

644  
1971/3

5  
12  
9641339-0  
313-2040333

# האנציקלופדיה

12

1971



კონსტანტინე გამსახურდია



# ტესტი

52811

174

გამოცემის მეთხუთმეტი წელი

12

დეკემბერი

1971


თბილისი



საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



# შინაქრონი



კონსტანტინე გამსახურდია 80 წლისაა

3. ქართული სიტყვის დიდი სტატი

## კოეზი

- 31. ნელი გაბრიჩიძე. ლექსები
- 33. ტაბუ მებუროშვილი. ლექსები
- 35. მუხან ჯგუზურიძე. ლექსები
- 37. ეშვარ კვიციანი. ლექსები
- 43. თინათინ კაკუშაძე. ლექსები
- 45. შუკო ჯიქია. ლექსები

## კროზა

- 5. გურამ გეგუშიძე. აპრილი. მოთხრობა
- 40. შოთა ასანიშვილი. ჯილდო. მოთხრობა

## ფანტასტიკა

- 46. შოთა ტოლაძე. ორმხრივი შეცდომა. მოთხრობა

## ასფურცელას რვეული

- 51. ნოდარ ღუბაძე. ლექსები

## თარგმანი

- 55. კომაროვი. ოდისეა. დასასრული. ძველებიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ, თამაზ ჩხეწყელმა

## ნარკვევი

- 64. ვლადიმერ მდივანი. ჩემი უნივერსიტეტი

## წერილები

- 76. დავით მგებელი. კ. მარქსი და ვ. ენგელსი კავშირში მდებარეობს სოციალიზმში გადასვლის გზების შესახებ
- 84. ვალერიან მემკვიბრევილი. ბრძოლაში დაფრთხილი
- 87. შოთა რევიშვილი. XVII საუკუნის გერმანელი მწერალი ქართველების შესახებ
- 92. ივოლია ბარაძე. პატრიოტული მოტივი ანტონ ფრეცელის პოეზიაში
- 97. ლეონიდა ნოზაძე. ენა და მწერალი
- 102. გიორგი გაჩეჩილაძე. დუმილის ცნება და ლიტერატურა
- 120. ოთარ პაპოკოძე. დრო და სახელები

## ჩვენი პალენდარი

- 128. ვასილ ლაშქარაშვილი. რუსი ხალხის დიდი პოეტი
- 133. სერჯო სოლოვი. კოლ ვალერი. იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ
- 135. კოლ ვალერი. წერილები, აზრები. ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ
- 157. შურულ „ცისკრის“ 1971 წლის ნომრების შინაარსი

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ნარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,  
პაპი ბატაძე,  
გივი ვიგუაშვილი,  
გურამ გვირგვინი,  
მერაბ ელიაშვილი,  
კარლო კალაძე,  
კონსტანტინე  
ლორთქიფანიძე,  
ოთარ პაპოკოძე,  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნუგარ ფოფხაძე,  
ნოდარ წულუკიძე,  
ტარიელ შანტაძე,  
სერგი შილაძე,  
თამაზ შილაძე,  
ლაშა ჯანაშია.

## ქართული სიტყვის დიდოსტატი

„დიდ მწერლებს არ ედავებიან, მათ მხოლოდ ემაღლიერებიან ყოველივე იმის გამო, რაც მოგვანიჭეს“. დღეს, როცა ჩვენი საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთმა ბურჯმა თავის ნათელი და ძნელი ცხოვრების რვა ათეული მიითვალა—ჩვენგანაც, ათასობით და ათიათასობით ქართველი ახალგაზრდისაგან, უღრმესი მადლიერება, პატივისცემა და წრფელი სიყვარული მიითვალოს მონიჭებული სიამაყისა და სულიერ სიამეთა საზღაურად.

უურნალმა „ციცქარმა“ უკვე რამდენიმე ახალთაობას დაულოცა გზა ლიტერატურასა და ცხოვრებაში, და ამ თაობათა მორალური მრწამსის, ზნეობის, ეროვნული შეგნების ჰორიზონტზე ყოველთვის ჩანდა მათი ხატი, ისმოდა მათი სიტყვა, ვისაც გზასავალი დიდი მწერლის წარმოსახვამ და ფიქრმა გაუყავა.

ერი — მეზობელი მიწისპირიდან აღველი სახელმწიფოებისა და კულტურებისა, თავისი ოფიციალური ისტორიის პირველწყაროთაგან, თვით უღრმესი მითოსური წიადიდან აღბეჭდილი იყო ერთი თვისებით — არავინ იცის მისი პირველქმნილი უშუალოებისა და უბრალოების სახე — მის სულიერ კულტურას, ყოფას, ხასიათს ოდითგანვე ახლდა მხნეობის, მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნების, დახვეწილი აზრისა და ფაქიზი პოეტურობის მომხიბვლელი იერი.

ეს არ იყო მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისი, ეს იყო ერის არსებობის საწყისთა ის მძაფრი განცდა, რომელიც ასე ნათლად გაამუღავნა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ქმნილებებში.

ესაა სამყარო, სადაც აწუნდა სვეტიცხოვლის ტაძარი და დგას დიდოსტატი არსაკიძე, კაცი და შემოქმედი — მსხვერპლი საკუთარი უკვდავებისა. და საოცარია სვეტიცხოველი თავისი მშვიდი და კანონიერი სიდიადით, რაც ერის სულიერი და პოლიტიკური აღორძინების კვირაძალზე უნდა შექმნილიყო. იგი თითქოს გამონატავდა იმ ენერჯისა და შინაგანი შესაძლებლობების ზრდასა და კონსოლიდაციას, რასაც საქართველო სახელმწიფოებრივი აღორძინების მწვერვალზე უნდა აეყვანა.

ესაა სამყარო, სადაც დგას „ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი მეფე“ გიორგი, თავისი ზნეობრივი და ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსით, ღამეული საუბრებით პლატონზე და სულის თავისუფლებისთვის ზრუნვით უკვე წინარენესანსული სასიათი; თავისი ღვისებით უშუალო წინამორბედი და დასაბამი დიდი ქართველი მეფეების — ზაგრატის, დავითის, დემეტრესი და გიორგისა.

ბედი ეწია ამ სვეტამწარებულ კაცსა და მეფეს, რადგან მისდამი თითქოს აღსრულდა — „...დიდსა მიემთხვე მამებელსა“. ხოლო სხვა, ვისაც თავისი „უმირონი“ აროდეს მოკლებია, სევდიანი და ბრძენი ჭაბუკი დავით, თავის ხალხს მარა-





დი არსებობის სული რომ შთაბერა, ქართველი კაცის შეგნებაში ერთხელ აღორძინდა ხორცშესხმულ ხატად მწერლის ზეგარდმო ნიჭის წყალობით.

მან, ვინც მთელი არსებით შეითვისა ხალხის წარსული, ირწმუნა მისი ისტორიული მისია და მომავალი; ერთიანად გაუსხნა გულისკარი ახალ საქართველოს. შექმნა უვრცესი ეპიური ტილოები, სოციალური განახლების ამსახველნი. მან შემოსა რთული და პლასტიკურად გამოკვეთილი ხასიათები ეროვნული თვითყოფადობის მიმზიდველი სამოსელით და ზოგადი სოციალური აქტივობით აღჭურვა ისინი. მან დაუტოვა ქართულ ლიტერატურას ქართველი ქალის სათნოებისა და პოეტური სულის სრულქმნილი განსახიერება; მოხეტიალე და მიუსაფარ მარტოსულთა განწირულების თაღი ფერი, ახალი ცხოვრების შემოქმედი ინტელიგენტის შარმონიული სახე... მან თამამად მოუხმო სიტყვას და, ისე შეაბაჯა ქართული ენის წიაღში, ერთ-ერთმა პირველთაგანმა იზრუნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბედსა და მომავალზე.

იგი მათგანია, ვისაც ყოველთვის ერგება აღიარება თაობათაგან და წინააღმდეგობის გაწევის, უარყოფის ცდაც, რადგან ჭეშმარიტი მწერალი ემოციურ შემოქმედებასთან ერთად, ემოციურად და ინტელექტუალურად მისდამი მორჩილებიდან თავისდახსნის სურვილსაც აღძრავს და ეს აღიარებაა, მხოლოდ აღიარება.

კონსტანტინე გამსახურდია დღეს ოთხმოცი წლისაა, მრავალ ჭირნახული, შუბლდაღარული კაცი, რომელიც წუთითაც არ კარგავს მხნეობასა და ქმედითობას.., მწერალი და კაცი, რომელიც არავის არ ჰგავს ამ ქვეყანაზე — იქნებ ცოტათი თავის სვეტიცხოველს, და ჩვენ გვინდა გავიმეოროთ ჰიმნი, ავღლენილი ლოცვად შორს, სხვაგან, მეორე დიდი ტაძრისადმი, რაც იმავე დროს სიტყვა ნათქვამი შემოქმედისთვის:

„შენი მარადისობის, შენი სიღიადის და სივაჭიზის საიდუმლო ისაა, რომ ადამიანებმა შენში თავიანთი სიძაბუნე, აღმაფრენა და წუხილი გამოკვეთეს.

იპოვეს ენა, რომლითაც შენს კედლებზე თავიანთი რწმენა და სასოწარკვეთა აღბეჭდეს — აი რატომა ხარ სავსე უჭკნობი სიცოცხლით.

შენ მთრთოლვარე გულმა გშობა და ამიტომ ჩანხარ ცვალებადიცა და მუდმივიც.

ოი, ტაძარო, უშრეტო წყაროვ ხელოვნებისა; არაერთგზის უარყოფილო, შელახული და გაძარცვული დიღო წინაპარო — კვლავ აღმართულხარ ხელუხლები შენი სიმართლით“.



## ა კ რ ი ლ ი

ჟინელავდა. მერე წვიმამ გადაიღო. პაერი აივსო ფრინველთა ჟივილით. გალობდა შაშვი. ბულბულიც გალობდა. სტ-სტ-სტ-სტ! — ეს რაღაა? ალბათ, სკვინჩა! შორიდან, დროგამოშვებით მამლების ყივილი ისმოდა. ჩიტები კი გახუწყვეტივ სტვენდნენ, გალობდნენ, ჭიკჭიკებდნენ.

ეზოში, მწვანე მოლს სამყურა ბალახის თეთრი თაველები რთვილივით მოსდებია. ყვითელ ბაიებსაც ამოეყოთ ზოგან თავი. სახლის წინ წითელი ვარდები ბრდღვიალებდნენ. ბალის კარი ღია იყო, გაბარდლულ ხეხილს წვიმის შხეფები მძივებივით ეკიდა ჯერ კიდევ. ირგვლივ, საითაც არ გაიხნავ, ხეები ერთმანეთში ჩახვლანჯულან და საოცარი სიმწვანე და სიმშვიდეა! წუხელ კი მაგრა იწვი-მა.

მზემ გამოანათა. ბახვა რომ უკეთ იყოს, უკანა აივანზე გაიტანდა ჯორჯოს, დაჯდებოდა ზედ და მზეს შეეფიცებოდა. იქიდან ბალსაც შეავლებდა თვალს, ეამებოდა. მთელი ღამე იწვიმა, მიწა ალბათ, გაძდა. საწყალი ბახვა! ასეთი დარი სულის ხუთვას არ უხდება. ნეტა გამოიდარებდეს! თუმცა სნეულება ისე გაურთულდა, რომ ვაი თუ მზიანმა დარმაც ვერა არგოს?! რა გასაკვირია? საკმაოდ მოხუცია უკვე. როდის იყო მზიანი დარი სენს არჩენდა? თუმცა სნეულებასაც გააჩნია.

ვისია ეს ძალი? ეზო გადაირბინა, უკდი ლაჩებში ამოუყვცია, ღობესთან

ძეძენარში შეძვრა. ღობის კიწაწები ატკაცუნდნენ. ღობე მორღვეულია. რომ ადგეს ახლა და შეშა დაჩხოს? კარგია, გახურდება. თუმცა აივანზე ჯდომა ჯობს. მით უმეტეს, შეშა ჯერ კიდევ საკმარისია. სულ ზომ არ იწვიმებს? კარგია აივანზე უსაქმოდ ჯდომა და შორეული სივრცის ყურება, მაგრამ ვინ მოგასვენებს?

— თებრო, თებ-როო! — იძახის ბახვა თავისი ოთახიდან.

— მაცალე, შე ოხერო, კვერცხებს ვლებავ! — პასუხობს თებრონე სამზადიდან.

ხვალ აღდგომაა! დილით ადრე ადგება, სასაფლაოზე წითელ კვერცხებს წაიღებს და მახლობლების საფლაოზე გადააგორებს. შუადღეზე საკუროთხსაც გააკეთებენ. სანთელს და საკმეველს დაანთებენ. ოთახი საკმეველის საამური, მშვიდი სუნით აივსება. მერე არაყს და ღვინოს დალევენ, მიცვალეზულთა სულს მოიხსენიებენ. ისე იხარა მტერმა, საკუროთხი მიცვალეზულთა სულებს რამეს არ შევლოდეს! თუმცა, ვინ იცის? საწყალი ბახვა ერთი წუთით ვერ ჩერდება მარტო.

რომ მივიდეს, რა უთხრას, რით ანუგეშოს, ან რით უშველოს? ყველა მარტოა საკუთარ ტანჯვაში და ავადმყოფობაში. გუშინ ურჩია თებრონეს ექიმში მოვუყვანოთო, მაგრამ თებრონემ უპასუხა: „აჰ, რად უნდა ექიმი, რას უშველოს? ზომ გეყავდა ამას წინათ, უშ-



ველა რამე? ფუჟი ხარჯია!“ იქნებ მართლა კვდება?

— ვკვდები, თქვე ოხრებო, ვკვდები, მიშველეთ რამე! — იძახის ბახვა.

თუ მართლა კვდება, მაშინ ექიმი რაღა საჭიროა? ექიმი იმას შველის, ვისაც პირი ამქვეყნისკენა აქვს. განწირულს ექიმი ვერ უშველის. იქნებ ბახვამ უკვე პირი იქეთ იბრუნა? ერთი კვირის წინ, შინ რომ დაბრუნდა, მშვენიერად დახვდა. მშვენიერად არ ეთქმოდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ფეხზე იდგა. ახლა...

მზეს ისევ გადაეკრა ღრუბელი. აპრილია. ორღობეში ბავშვების ყრიაშული ისმის. სკოლაში მიდიან თუ სკოლიდან ბრუნდებიან? მაყვლის ბუჩქებს შორის მოქცეული ორღობე ატლახდა. თემშარის გარდიგარდმო მალალი, თეთრი ვერხვები დგანან და შრიალებენ. სადღაც საქონელი ბღავის. რა სიჩუჩეა!

— ვკვდები ხალხო, ქრისტიანი არავინა ხართ? — ისევ ყვირის ბახვა.

ბახვა უჯანა ოთახში იწვა. მისი ლოგინი კედელთან იდგა. ოდის კედლებზე ძველი, ალაგ-ალაგ ჩამოფხრეწილი შპალერი და დრო-ყამისგან გაყვითლებული გაზეთები იყო აკრული. ბუხრის თავზე ჭრაქი ჩამოედგათ. ჭრაქი ღამდამობით სულისშემხუთველად ხრჩოლავდა. ბახვას სულის ხუთვა აწუხებდა. ლოგინზე წამომჯდარიყო ბალიშს ზურგიით მიყრდნობილი, ქუთუთოები ჩასწითლებოდა, თვალეზე ლიბრი გადაჰკვროდა, სანთლის ფერი გახდომოდა სახე, ჭაღარა წვერი ზღარბის ეკლებივით აბურძგნოდა. ისე იყო გამხდარი, თითქოს მხოლოდ დაქმუქნილი ტყავი ეკიდა ჩონჩხის ქრიჭოზე. უმწეოდ, უაზროდ, სასოწარკვეთილად იმზირებოდა. მის ლოგინთან მძიმე, მყრალი სუნი იდგა.

თებრონემ კვერცხები შეღება და სააღდგომო პასკაც გამოაცხო. თავწაკრული, მხრებში მოხრილი, ისლით დახურული სამზადილად გამოვიდა და უკანა აივნის კიბე აიარა.

— თებ-როო!

— რა იყო, შე ურჯულო, მგებელი ათასი საქმე მაქვს.

— რა დროს საქმეა, ქალო, ვკვდები! — ნერვიულად, კბილების კრაჭუნით იძახის ბახვა და თან კვნესის, ოხრავს, ახველებს.

— აბა, რა ვქნა, აქანა დაგიჯდე?

— დაეჭვი, აქანა, მიშველე რამე!

თებრონეც მკაცრად ლაპარაკობს, თავმობეზრებულო, მაგრამ ფარული ალერსი, ზრუნვა თუ წუხილი მაინც გამოსჰვივის იმის ხმაში. რამდენი წელიწადი იცხოვრეს ერთად? ო, ძალიან ბევრი. ორმოცდაათი. ფანჯრიდან მოჩანს ბოსტნის ყურეში მოკუნტრუმე ერთი თვის ხბო. პატარა მოზვერი. ისეთი ლამაზი, ისეთი საყვარელი, ისეთი თეთრი და ფუნჩულა, რომ გინდა გულში ჩაიკრა, ჩაეხუტო და დრუნჩი დაუყოვნო. შუკაში ვიღაცამ ველოსიპედით ჩაიარა, მამია კი არა ჩანს. რატომ ავგიანებს, ხომ ხედავს მამამისი რა ღლეშია.

ორმოცდაათი წელი! დიდი დროა ორმოცდაათი წელი, ნახევარი საუკუნეა. ორმოცდაათი წლის წინათ ართვინში ცხოვრობდნენ. იქ მიაბარეს მიწას თავიანთი პირმშო. იმისი საფლავი დიდი ხანია გამქრალია. უკვლოდ დიკარგა წლინახევრის ბავშვი. სადღაც, უცხო მიწაში ჩარჩა. ფილტვების ანთებამ იმსხვევრპლა. დროზე ვერ გაუგეს. საყმაწვილო წამალი ასვეს და არგორც ბოლოს გამოირკვა, თვით მშობლების შეცდომა შეიქნა მისი სიკვდილის მიზეზი. მაშინ ომი იყო, პირველი მსოფლიო ომი. ბახვა ტელეგრაფისტად მუშაობდა. მერე თურქებმა ართვინი აიღეს. ართვინის სომხური მოსახლეობა, ვინც ვახიზვნა ვერ მოასწრო, თურქებმა თითქმის მთლიანად ამოკლტეს. ჭოროხის ნაპირზე გაიყვანეს და მაღალი კლდიდან წყალში ყრიდნენ თურმე ხალხს. ასეთმა ხმამ მიადწია ბათუმში. „ართვინიდან რომ გამოვიქციეთ, მთელი ქონება დავკარგეთ, ცარიელ-ტარიელი დავრჩით“, — იგონებდა ხოლმე ზოგჯერ თებრონე. მამია მერე შეეძინათ, როცა ლტოლვილებმა ბათუმს შეაფარეს თავი.



მერე თურქები ბათუმსაც მოადგნენ. დიდი შიმშილობა და სიღარიბე იყო, ჩაის ქიშმიშით სვამდნენ, საღ იყო შაქარი. ნავთიც არ იშოვებოდა, არც ტანსაცმელი. ხალხი ქალამნებით დადიოდა. ბათუმიდან სოფელში ჩამოვიდნენ და აქ დასახლდნენ სამუდამოდ. სწორედ იმ ხანებში ბახვას მამაც მოუკვდა.

ბახვა მეტისმეტად ფიცხი, თავკერძა კაცი იყო, მაგრამ თებრონე უძლებდა. უძლებდა, რადგან ახალგაზრდობაში ფრიად ლამაზი ყოფილა. კამოდის თავზე ახლაც დგას მისი სურათი. ამ სურათში ჩინოვნიკის, ფოსტის მოხელის ჭველებური ფორმა აცვია. მაღალი, ტანსრული კაცი ჩანს სურათის მიხედვით. შავი უღვაში ზემოთა აქვს აწკეპილი, იმდროინდელი მოდის კვლობაზე. ლამაზი ტუჩები ღიმილს გაუბია ოდნავ. თხელი დაწვები, თეთრი კანი, მრგვალი, მოშვილდული წარბები, დიდი, ცოცხალი თვალები და სქელი შავი ქოჩორი, შუაში გაყოფილი და ტალღისებურად გადავარცხნილი უკან. გვერდით თებრონე უდგას. თებრონეს ხელში ქოლგა უჭირავს და გრძელი კაბა აცვია. თებრონე იმ სურათშიც ტანმორჩილი და ულაზათოა. აი, ამიტომ უძლებდა თებრონე ბახვას. მართალია, ფიცხი, სულმოკლე, მოუთმენელი კაცი იყო, მაგრამ ლაზათიანი გარეგნობა კი ჰქონდა.

— ჰიჰიკო, მიშველე! ერთი კვირა გამძალებინეთ როგორმე და მერე მე ვიცი! — საწყალობლად იხევება ბახვა.

— ნუ გეშინია, დაწყნარდი, გამოკეთდები...

— კვდები, შე უბედურო, კვდები!.. აივნის კარი ღიაა, ქანობს, და მოქანგული ანჯამები გულისგამაწვრილებლად ჰრიალებენ.

მზემ ისევ გამოანათა. მიწა შრება. რა სიმწვანეა! მაინც არ ეყო გადახნულ მიწას წვიმა. აჰა, მამიაც მოვიდა. ჰიშკართან ველოსიპედიდან გადმოხტა. დაბანცალდა. მთვრალია? ჰმ, რასაკვირველია, მთვრალია, რა დროს დალევია იყო? რკინის ჰიშკარი შემოალო. ჰიშ-

კართან უზარმაზარი, ფართოფოთლებიანი ქადარი დგას.

კიბე ჩაიარა და ეზოში შეეგება მამიას, ველოსიპედი ჩამოართვა.

— რას შეება? — ეკითხება მამია.

— ისევ ისეა. — ვადააპურქუყა.

— აილე ფული?

— ვერა, — ენაც ერევა.

— აბა?

— ხბოს დავკლავ და გავყიდი. ეგ ვალი უნდა მოვიშორო...

ერთი თვის ხბო კი ფრთხილად მობაკუნებდა, კისერი წააგარქელა და მამიას ყნოსავდა.

ეჰ, საწყალი ბახვა. სხვებისთვის შეიძლება ავი კაცი იყო, მაგრამ ჰიჰიკოს უხეშად არასოდეს მოქცევია. პირიქით, ებრალებოდა ობოლი ბავშვი და მამის მაგივრობას უწყევდა. ამ ოჯახში გაიზარდა ჰიჰიკო. ბახვა მამამისის ბიძა იყო და როდესაც ჰიჰიკოს მამა დაიღუპა, პატარა ჰიჰიკოზე ზრუნვა ბახვამ თავს იღო. თებრონემაც არ დააკლო სიყვარული. იმიტომაც მიაჩნია ეს ოჯახი მშობლიურ ოჯახად. თუ ბახვა მოკვდა, ისე თავისუფლად ვეღარ იგრძნობს აქ თავს. მამია ლოთი კაცია... ჰიჰიკოს მიმართ ყოველთვის ალერსიანი იყო ბახვა. მშვენიერი თხრობა იცოდა. როცა ძველ ამბებს იგონებდა, მის მოსმენას არაფერი ჯობდა.

საწყალი ბახვა!

მაგრამ იმდენად ბახვას სიკვდილზე კი არ ფიქრობს, რამდენადაც იმ უკანასკნელ კვირაზე, აქ რომ ვაატარა. ზაფხული იყო. იმ წელიწადს ტყემლის კარგი მოსავალი მოვიდა და მამიამ და ყუყუნას მშობლებმა ტყემალი დაკრიფეს და გასაყიდად რუსეთში წაიღეს. ყუყუნა კი თებრონეს ჩააბარეს. ეჰ, რა კარგი იყო! რა კარგი იყო ის უკანასკნელი კვირა, რომელიც ჯარში წასვლას უძღოდა წინ აქ, ამ სახლში, როდესაც მატარებლით უახლოვდებოდა მშობლი-

---

გურამ გავაშიძე  
აპრილი

ურ ადგილებს, გულუბრყვილოდ ელო-  
და: ის ერთი კვირა, რომელიც ჯარში  
წასვლამ შეწყვიტა და ეს წყვეტილი  
სამ წლად გადააქცია, — ისევ გაგრძელ-  
დებოდა, ყველაფერი ისევ დახვდებოდა,  
როგორც სამი წლის წინათ დატოვა,  
მაგრამ ოჯახი არეული დახვდა. ბახვა  
მეორე დღესვე ჩაწვა ლოგინში და სულ  
უფრო და უფრო დაუძლიერდა...

ჟუჟუნას კი ერთხელაც ვერ მოჰკრა  
თვალი. და ვერც ვერავის ეკითხება, სად  
არის, როგორ არისო და თითქოს ყველას  
პირი შეუკრავსო ჭინაზე, შემთხვევი-  
თაც კი არ უხსენებიათ ჟუჟუნა.

გრძელი ქერა თმა, მწვანე თვალები,  
ხორბლისფერი კანი და სწორი ტანი  
ჰქონდა. პირველად როცა მოეხვია,  
გოგოს ფქვილისა და ომბალოს მძაფ-  
რი სუნის სდიოდა და წისქვილზე ახლად-  
დაფქული თბილი ფქვილის, თივის,  
ძროხის რძის და სოფლის სუნმა, რომ-  
ლითაც გაუღენთილი იყო ქალის ტა-  
ნი, — თავბრუ დაახვია, უცნაურად  
აუთრთოლა მასუთისა და მანქანის ზე-  
თის შეყნოსვას მიჩვეული სხეული,  
დაუშრვებელმა ყრუანტელმა მუხლებ-  
ში დაუარა. ვნებიანი გოგო იყო. იმ-  
დენად ვნებიანი, რომ ეს გახურებული  
ვნება სიარულშიც კი ეტყობოდა, რო-  
ცა წელს ოდნავ შეზნიქავდა, მრგვალ და  
მკვრივ მკერდს წინ გამოიწვევდა და  
თეძოებს აქეთ-იქით დააქანებდა. მაშინ  
ჭიჭიკო დეპოში მუშაობდა. დეპოს  
უკან, სამსართულიან თეთრად შეღესილ  
საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა  
და სოფლის ამბებს ვერ გებულობდა.  
იშვიათად ჩამოდიოდა სოფელში, თუმ-  
ცა რა იყო, სულ ათი კილომეტრი იყო  
ქალაქიდან სოფლამდე, მაგრამ ამის მი-  
ზეზი ის ვახლდათ, რომ საერთო საცხო-  
ვრებელში ჭიჭიკო ერთ ხანშიმისულ  
რუსის ქალს ყვარობდა და ვეღარ იც-  
ლიდა. სწორედ იმ ზამთარს რუსის ქა-  
ლი რუსეთში გაემგზავრა სამუდამოდ.  
ჟუჟუნას ოჯახი კი ახალი ჩამოსახლე-  
ბული იყო ამ სოფელში. ჭიჭიკო ჟუჟუ-  
ნას რიგიანად არც იცნობდა, თუმცა  
გაგებული ჰქონდა, რომ ერთხელ, სალა-

მო ხანს, ცხენისწყლის პირას, მიყრუე-  
ბულ ქალაში ბუჭუნისათან ერთად ენა-  
ხათ სოფლის ბიჭებს. ბუჭუნია რაცინა  
ყველამ იცოდა. ბუჭუნია ახლა ციხეში  
იჯდა. დამერთამა უწყის, მართალი იყო,  
რასაც ამბობდნენ? თუმცა რა არის  
დაუჯერებელი?

ცხელოდა და ჟუჟუნას თხელი ჩითის  
კაბა ეცვა. იმ პირველ დღეს თებრონეს  
ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში. ეზოში  
ლილინით დადიოდა ფეხშიშველა, თვა-  
ლები მაცდურად უბრწყინავდა, თამა-  
მად, გამომწვევად უყურებდა ჭიჭიკოს  
და განუწყვეტლივ კისკისებდა...

მერე?

ჭიჭიკო მაშინ წინა აივანზე იძინებ-  
და, თებრონე და ბახვა უკანა ოთახში,  
სადაც ახლა ბახვა კედება, ჟუჟუნას კი  
„ზალში“ გაუშალეს ლოგინი, ხოლო  
„ზალის“ დაგმანულ კარ-ფანჯრებს თებ-  
რონემ რატომღაც შიგნიდანაც გაუყარა  
ურდული და ის ფანჯარა გამოუღო ჟუ-  
ჟუნას, რომელიც ბოსტანს და ბაღს გა-  
დაპყურებდა. იქიდან შემოდიოდა ფარ-  
თო ოთახში გრილი ჰაერი. მერე ყვე-  
ლანი დასაძინებლად დაწვენენ, ჭიჭიკო  
კი ტახტზე იჯდა და ყურს უგდებდა ვა-  
საკას კრუსუნს და სადღაც, ტბორებში  
ჩასკუპული ბაყაყების ყიყინს, შორი-  
დან რომ ისმოდა. მერე აივანზე ჟუჟუნა  
ამოძვრა და ტახტზე ჩამოუჯდა ჭიჭი-  
კოს. „ჯერ არ მეძინებო“. მერე ხმა-  
დაბლა, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ,  
მოხუცები რომ არ გაეღვიძებინათ.  
უმთვარო, ბნელი დამე იყო, სადღაც.  
ძალიან შორს ძაღლიც ყეფდა. ისინი  
კი ლაპარაკობდნენ, ჩურჩულებდნენ,  
ჩურჩულებდნენ და ჭიჭიკო ვერაფერს  
ვერ ბედავდა, თუმცა აშკარად გრძნობ-  
და: გოგო მხოლოდ სალაპარაკოდ არ  
იყო მოსული. მერე ჟუჟუნამ თქვა, ახ-  
ლა კი წავალ, უკვე მეძინებო და მაშინ  
კი გაბედა, უცბად, მოულოდნელად,  
ყოველგვარი შესავლისა და შემზადე-  
ბის გარეშე ეძგერა და იგრძნო თბილი  
ფქვილის, თივის, ძროხის რძის და ბოს-  
ტნის სუნის, თითქოს ხელი შეახო იმ მო-  
ლოდინს, რომლითაც შეპყრობილი იყო



თურმე გოგო. ლოგინში ჩაიწვინა და ჩითის კაბა გააძრო, მთლიანად გააშიშვლა, უფრო ზუსტად რომ ითქვას, თვითონ გადაიძრო გოგომ, თვითონ გააშიშვლა, ჭიჭიკო მხოლოდ ეხმარებოდა და მერე დაეწაფა მის შიშველ სხეულს, ამობურცულ ძუძუებს, მაგრამ... მაგრამ გოგონას ფეხები დაეჭიმა, ბალეტის მოცეკვავესავით გადაეგვარედიწინა, გაემარებინა და დაეძაბა და როცა ჭიჭიკო მისი ფეხებისაკენ გააპარებდა ხელს, წამსვე ხელს ხელში სტაცებდა და ვნებიანი ჩურჩულით ეუბნებოდა:

- დაუკრეფავში ნუ გადადიხარ!
- რატომ?
- იმიტომ!
- ნუ გეშინია!
- ნუ გადადიხარ-მეთქი!

და დილამდე ივაჭრეს ასე. ვერ შეთანხმდნენ! ჭიჭიკო მაინც კმაყოფილი დარჩა. კმაყოფილი და ვნებადაწურული. მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რატომ ეშინოდა ყუყუნას, ან რას აკეთებდა ეს გოგო ცხენისწყლის ხაზოზე ბუჭუნისათან ერთად? ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, ქალიშვილი იყო თუ მამაკაცის ალერსს ნაგემი ქალი?

ჯარში რომ წაეიდა, მაშინ მიხვდა: ვერ ივარგა იმ დამეს. არ ეყო სიჯიუტე, თავდავიწყება, შეუპოვრობა. მცირედით დაკმაყოფილდა. ვინც მცირედით კმაყოფილდება, იმან რას უნდა მიაღწიოს? თუ შენ თვითონ არ გამოგლიჯე, ვინ რას მოგცემს ამ ქვეყანაზე? ზოგნი, სისუსტის გამო, ნახევრად მიღწეულ გამარჯვებას სრულ გამარჯვებად ითვლიან, ათასგვარი მიზეზებით ინუგეშებენ და იტყუებენ თავს და ზოგჯერ თვითონაც სჯერათ, რომ მართლაც მიაღწიეს საწადელს, ნამდვილად ჰპოეს. რასაც ეძებდნენ. ასეა ყველა საქმეში, მაგრამ ეს ხომ სუსტი ხალხის ხვედრია? ჭიჭიკომაც ისუსტა. ისუსტა, რადგან სუსტი იყო, და გულის ტკივილით გრძნობდა ამას მთელი სამი წლის განმავლობაში...

...მეორე დღეს ყანაში ეძგერა ყუყუნას. სიმინდი მალალი იყო, უკვე ფოჩვი გამოსვლოდა. მოლზე წამოაქცია

ყანის ბოლოში, ალვის ხეების ქვეშ, სემინდებით და თხმელის ბუჩქებით შემოზღუდულ პატარა მინდორზე იწვნებდა და ტუჩებში კოცნიდნენ ერთმანეთს. მზე თვალისმომკრელად ბრწყინავდა, საძოვრიდან ძროხის ბლავილი ისმოდა, ნეღლი ბალახის და ნოტიო მიწის სუნი ნესტოებში უღიტიწებდა, ხედავდა ყუყუნას ყურის ბიბილოსთან ბალახის ღეროზე დასკუბულ ჭიამაიას და გოგოს თმებიც ძროხისთვის დაყრილ ჩალასავით გაშლილიყო მიწაზე... მაგრამ იმ დღესაც მცირედით დაკმაყოფილდა, ვერ მიაღწია საწადელს.

მესამე დამეს აივანზე აღარ ამოვიდა გოგო და კარგა ხნის ლოდინის შემდეგ თვითონ გადაძვრა მოაჯირზე, მოეჭიდა რიკულებს, დახტა მიწაზე, მოუარა სახლს და მიადგა უკანა ფანჯარას, ბალბოსტისკენ რომ გამოდიოდა, მაგრამ ფანჯარა ჩაკეტილი დახვდა. დააკაკუნა. ხმა არ ისმოდა. გაშმაგდა, სისხლი მოაწვა ყელში და უფრო მაგრა დააკაკუნა. აღარ დაეძებდა სიფრთხილეს, თებრონე და ბახვა აღარ ახსოვდა და მზად იყო ფანჯარა ჩაეღწია, შეენგრია და მხეცივით შეეპარდილიყო ოთახში და ნაფლეთებად ექცია ფანჯრის ჩამკეტი. უნდოდა დაემცირებინა ქალი და რადგან ხელთ ვერ იგდო, იმ სურათს, რომელიც წინა დღეს ყანაში მოლზე მინეზივრეს შორიდან მოსულ ტკბილ სიმღერასავით ჩარჩა სულში, ახლა სხვაგვარად იდგენდა. ახლა ის ქალის ყურის ბიბილოსთან ბალახის ღეროზე მარგალიტის ყურსაკიდივით დაგდებულ ჭიამაიას და ჩალისფერ თმებს კი არ ხედავდა, არამედ წამოხდილ კაბას, მუცელზე ამოპარულ ღინღლს, შიშველ თქოებს, ერთმანეთზე გადაჯვარედიწებულ, უგუნური სიჯიუტით დაკომულ, მაგრამ ხორკლიან ბაყვებს, ბალნიან წვივებს, გაუხეშებულ ფეხისგულებს, რომელსაც მზის შუქი დაუნდობლად ავლენდა, მაგრამ ნეტარება და სიამე აქრობდა, ავიწყებდა. ყოველივე ამას ერ-

**გურამ გავაშიძე**  
აპრილი



თვოდა ნივრის სუნი, პირიდან რომ ამოსდიოდა გოგოს და ამიტომ ახლა ეზიზღებოდა ის, და როდესაც ყუყუნა ფანჯარას მოადგა და დამცინავი, გამომწვევი ჩურჩულით უთხრა, სულ ერთია, არ გაგიღებო, გაცოფებულს ქვედა ყბა აუკანკალდა და შეაგინა:

— გააღე, შე ბოზო, თუ არა შემოვა-მტკრევ და ცხვირს დაგინაყავ...

და მართლაც მზად იყო ეს ჩაედინა, მაგრამ ბედზე, ცივი წყალი გადაასხეს. თებრონეს გაელვიძა და თავისი ოთახიდან დაიძახა:

— გძინავს, ყუყუნა?

— მძინავს, ბიცოლა!

ფეხაკრებით ჩაირბინა კიბე, ისევ შემოუარა სახლს, აძვრა წინა აივანზე და თავის ლოგინში ჩაწვა გამწარებული და მთელ ქვეყანაზე გულგატეხილი. ეს გულგატეხილობა სამი წელიწადი აწვალებდა.

შემდეგი დამე რუსეთისკენ მიმავალ მატარებელში გაათია, ახალწვეულებთან ერთად.

ახლა ისევ დაბრუნდა. ისევ გულისტკივილით აგონდება ხელიდან გაშვებული შემთხვევა და იმაზე ოცნებობს, რომ ახლა მაინც მიიყვანოს ბოლომდე მაშინ დაწყებული და დაუმთავრებელი საქმე. უკვე ერთი კვირაა, რაც დაბრუნდა. აი, ამ წუთში ეზოში დგას. ჰის წითელ გვიმრს დაპყრდნობია და ოდა სახლს გასცქერის, სადაც ბახვა კვდება. მერე ხავსმოღებული ქვებით მოკირწყლული ჰიდან ვედროთი წყალი ამოაქვს და ეწაფება. ისევ გალობენ შაშვები. სკვინჩები განუწყვეტლივ სტკენენ. ჰიკჰიკა მერცხლები ჰაერში კამარას ჰკრავენ და როცა გგონია, მიწას დაასკდებიანო, უცბად მაღლა აიჭრებიან ხოლმე. მალე ოფოფიც გამოჩნდება, დაცუნტულდება ღობეზე. კოდალაც შეუდგება კაკუნს. უთენია ტოროლა აფრინდება მინდვრებიდან, აფართხალდება ცაში, თითქოს ერთ ადგილზე დაეკიდაო და დაიწყებს გალობას, საღამოს მათშალიც შემოაჯდება ცაცხვის ტოტზე

და ამღერდება. გაზაფხულია, ჰაერში თაფლის სუნი დგას!

როცა დადამდა, მეზობლები ბახვას სანახავად მოვიდნენ. ისინი ცოტა ხანს ჩუმიდ უყურებდნენ ავადმყოფს, მერე საუბარი დაიწყეს. კაცები თუთუნს ეწეოდნენ. ქალები დაბალ ჯორკოებზე ისხდნენ და მუხლებზე კაბა გადმოეყცათ. ზოგიერთს კალთაში ბავშვი ეჯდა. ზოგი ხენა-თესვაზე ლაპარაკობდა, ხენათესვაზე და ამინდზე, ზოგი ბაზრობაზე, ხანდახან ბახვას ავადმყოფობაც ასენდებოდათ. ბახვა კვნესოდა, ვერ ისვენებდა ლოგინში, ჰაერი არ ჰყოფნიდა. ფანჯარა დაკეტილი იყო და თუთუნის კვამლით გაბოლილ ოთახში მძიმე სუნი იდგა. მეზობლის ვერიჩქა, ორმოცი წლის ქალი, რუსეთის ამბებს ჰყვებოდა. იგი რუსეთში ყოფილიყო სავაჭროდ, იმ ქალაქში, სადაც მისი ვაჟი სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

— მაგი სადაა, რომელ ქალაქში დგას? — შეეკითხა მამია.

— ეიტომირში!

— რაო? — ისე იყვირა მამიამ, თითქოს დედა შეაგინეს.

— ეიტომირში!

ვერიჩქა ცხვირში დუღდუნებდა. სიხარულით ჰყვებოდა, როგორ ინახულა თავისი შვილი.

— ქეა მშენივრად. დაეუკაცებულა. „ნაკოლკები“ დაუხატია. მარჯვენაზე ტიტველი ქალი ახატია, მარცხენაზე რუსულად დაუწერია, არ დამაიწყებდა ჩემი სამშობლოო, — სახე უბრწყინავდა აღფრთოვანებულ დედას.

მერე მეზობლები თანდათან გაიკრიფნენ. მხოლოდ შალიკო დარჩა. ავადმყოფი ბორავდა. შალიკო ნარზე იჯდა და ბრიყვული სიჯიუტით მისჩერებოდა რომელიღაც წერტილს ავადმყოფის სასთუმალთან. მან შვიდი წლის წინათ შეირთო ცოლი და უკვე ხუთი შვილი ჰყავდა. მაღალი იყო, გრძელკისერა და გრძელცხვირა, მაგრამ მაინც ბუს ჰგავდა. მოკლედ შეკრეჭილი ოთხკუთხედი უღვაში საფოსტო მარკასავით

ჰქონდა აკრული ზედა ტუჩზე. ამ კაცს მთელი სოფელი მასხარად იგდებდა, რადგან დანიშნული ქალი სწორედ ქორწინების წინა ღამეს გაექცა. ვიღაც სოფლიდან სოფელში მოხეტიალე მე-წონგურეს გაჰყვა და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა შინ. მანამდე საღ დაეთრეოდა, არავინ იცოდა. მიუხედავად ამისა, მაინც შეირთო, აპატია. შეიძლება იმიტომ, რომ არაფერი ებადა, დანიშნული კი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, თანაც დედისერთა, თუმცა გონჯი და ულაზათო. შეიძლება ეს კი არ იყო მიზეზი, არამედ ის, რომ ამ ხნის კაცმა ქალი არ იცოდა რა იყო და ისე სწყუროდა ამის ვაგება, რომ არაფერს დაეძებდა, არაფერი ახსოვდა ამის გარდა. ახლა უკვე ხუთი შვილი ჰყავდა.

ბოლოს შალიკოც წამოღდა. ჰიჭიკომ ჰიშკრამდე ვააცილა. ბნელი ღამე იყო. ჰიჭიკო ჰიშკრიდან გამობრუნდა. ფანჯრის კვადრატებში ფორთოხლისფერი შუქი ჩამდგარიყო. გამკვრივებულ წყვილიაღმი დაბალი ოდა სახლი ყველასაგან მიტოვებულ, ჩასაძირავად განწირულ გემს ჰგავდა.

საოცრად უყვარდა „ზალაში“ წოლა. დირუზე გადებულ ადამისქამინდელ გამხმარ ფიცრებს ნესტის სუნი სდიოდა. ჰერის კუთხეში აბლაბუდები ეკიდა. კიღობანში თავი ფხაკურობდა. კედლის მიღმა ისმოდა იდუმალი, გაურკვეველი ფაჩუნი ღამისა, რომელსაც ბავშვობიდან შეგუებული იყო და ჰიჭიკო ახლაც მშვიდად და უზრუნველად მისცემდა ძილს თავს დიდხნის მონატრებულ და ნაცნობ გარემოში, რომ უკანა ოთახიდან, სადაც ბახვა საკუთარი სატივიარის პირისპირ დარჩენილიყო, ავადმყოფის შფოთვას არ დაერღვია მისი განცხრომა, მშობლიური საწოლის შეჩვეული სითბოთი მოგვრილი. ჰიჭიკოს ესმოდა, როგორ ბორგავდა ბახვა, ესმოდა როგორ აუტყდა ხველა, მერე რადაცნაირი, სტვენის თუ კენესის მსგავსი სუნთქვა გაისმა, მერე ჰკითინი და ძილი საბო-

ლოდ გაუტყდა. ბახვა ტიროდა, ფიზრონე აწყნარებდა, გვერდითა ოთახში ტახტზე გამოტილი მამია არხენინად ხვრინავდა.

— არ მინდა სიკვდილი, მიშველეთ რამე, ხალხი არა ხართ? სადაა, ქალო, მამია? რა აძინებს მაგ ოხერს, მაგან დაიძინა მიწის ქვეშ, ხომ ხედავთ, გველები თქვე ანტიქრისტეებო, ორი დღის სიცოცხლე მინდა, ორი დღე მინდა, მერე მე ვიცი... — სასოწარკვეთილი ყვიროდა და ჰკითინებდა ბახვა და მისი სიტყვები უნუგეზოდ ინთქმებოდა ხენეში ღამის გულგრილ დინებაში, რომელსაც არავითარი შეღავათი არ მოჰქონდა ავადმყოფისთვის, პირიქით, პანიკური ძრწოლით აცებდა იმ გრანდიოზული განსაცდელის წინაშე, რომლის პირისპირ მარტო იყო მიტოვებული მხრჩოლავი ჰრქაძე გაბოლილი ოთახის სამარესავით დახუთულ და შემოზღუდულ სივრცეში.

ჰიჭიკო გრძნობდა, რომ ბახვას ძალიან უჭირდა, მაგრამ ლოგინიდან წამოღგომა ეზარებოდა. ნამდვილად სულმოკლე კაცი იყო ბახვა. სულმოკლე, მოუთმენელი. იოტისოდენა თავშეკავება არ ჰქონდა. როცა გაბრაზდებოდა, ველური ცხოველივით დაუნდობელი ხდებოდა. ჰქედა ყბა უტახცახებდა, კბილებს აკრაჰუნებდა, ენაზე მომდგარ სიტყვას ტყვიასავით მოგახლიდა პირში. ზოგჯერ თვითონვე სანანებლად უხდებოდა გაცოფების ქამს წამოსროლილი სიტყვა, თუგინდ საგანი, რომელიც ბრაზით გონდაკარგულს ხელში მოხვდებოდა, — თეფში იქნებოდა ეს თუ წყალი, — და იქნებოდა, ისროდა, ფშენდა. როცა ექიმებმა თუთუნის მოწვევა აუკრძალეს, ფეხსადგილში ან სადმე ბოსტნის ყურეში ჩაიმალებოდა და ჩუმად ეწეოდა, თითქოს თავისი თავისთვის კი არ მოჰქონდა ვნება-ზიანი, არამედ თებრონესა და მამიასათვის, ჩამჰვარტლულ ყალიონს რომ უმაღავდნენ, რათა თამბაქოს გადაჩვეო-

**გურამ გვახუშიძე**  
აპრილი

და. მაგრამ ბახვა ვერ ითმენდა. არც არასდროს უცდია რამე მოეთმინა. ახლაც არავის ერიდება. შუალაშე ვადასუ-ლია და ის კი არ ისვენებს, არც სხვებს ასვენებს, თითქოს ვინმეს შეუძლია გაჭირვებაში შეენაცვლოს.

— დაწყნარდი, შე უბედურო, მოითმინე ცოტა, აწი გათენდება, — ისმის თებრონეს ხმა. ერთი წუთით არ კარგავს ეს დედაკაცი მოთმინებას და მხნობას. ავადმყოფსაც უყვავებს, ოჯახის თადარიგიც არ ავიწყდება, ბახვა კი მაინც უმადურია, უმადური და სულმოკლე. მაგრამ ვინ იცის, იქნებ თვითონ ჭიჭიკოა სულმოკლე, დასაძინებლად განწყობილს მომაკვდავის ტანჯვა რომ რულს უფრთხობს, აწუხებს და სულმოკლეობად მიანიჩნა?

საბოლოოდ გაუტყდა ძილი, მაგრამ თბილი ლოგინიდან გამომძრომა მაინც გაუჭირდა. ბოლოს და ბოლოს თვითონაც ბახვას ჯიშისა და სისხლისა იყო და თუ ასეა, სულმოკლეობა არც მისთვის უნდა ყოფილიყო უცხო რამ ხილი. ერთბაშად იგრძნო, რომ თავად არ გაანდა იმის უნარი, რასაც ბახვასაგან მოითხოვდა ქვეშეცნეულად. ვინ იცის, მძიმე განსაცდელს იქნებ თვითონ უფრო ძაბუნად დახვედროდა? თავშეკავება გვარში არ ეწერა და თებრონეს სიმხნვე და მოთმინება იმიტომაც აკვირვებდა აგრერივად. თებრონე ხომ სხვა სისხლისა იყო? მომაკვდავის შფოთვა მაინც გუნებას უმღერევდა. სულმოკლეობასთან ერთად გულჩვილობაც მისი გვარ-გუჯაბის ნიშანს წარმოადგენდა.

სწრაფად წამოხტა ლოგინიდან და ცივი ტანსაცმელი გადაიცვა. კარში გავიდა. იატაკის მორყეულ-მოფამფალე-ბული ფიტრები ააჭრაჭუნა. აივნიდან წკვარამად ქექულ სივრცეს გაჰყდა. სადღაც, შორს იელვა და ელვამ ერთ წამში გამოსტაცა წყვილადს შიგ ჩაფლული ხეები. ქინელავდა კიდევ. ჰაერი იყო ნესტივთ გაქლენთილი და დამძიმებული. ერთხანს სიჩუმეს მიაყურა და ერთბაშად ქუქუნა მოავონდა, რომელსაც სუნთქვაშეკრული ელოდა ამ

აივანზე სამი წლის უკან. დაბურული ეზოს ბინდიდან გამომკრთალი ყოველი ჩქამი დაძაბულობას უთაქეცებდა შაშინ და ქალის ფეხის ხმად ეჩვენებოდა მანამ, ვიდრე მოთმინებადაკარგული და ვნებააშლილი თვით არ მიადგა ბაღის მხრიდან დაგმანულ ფანჯარას. ახლა წვიმის მისუსტებული შხრიალი ისმოდა, სიმინდის ფშვნის მინაგვანი. ლორთქო ფოთლებზე, ძველ ყავარზე და შიფერზე დაცემული წვეთების ტკაპანი ამ კუნხაზე, კაეშნით სავსე ღამეში, იღუმალებით ავჯებდა სულს. წამომ-ლილი მოგონებები ღამის უფერო ნის-ლივით იცრიცებოდნენ, თითქოს ის განსაცდელი, რომელიც ამ ოჯახს ელოდა, ჭიჭიკოს წარსულ ყოფასაც საფუძველს აცლიდა, ყველაფერს ცვლიდა და ასხვაფერებდა. მერე გვერდითა ოთახის კარი შეაღო. ნამთვრალევი მამია ძი-ლით ძღებოდა. ბნელ და ცივ ოთახში, სადაც ჯერ კიდევ კომშისა და თამბაქოს ბოლის სუნი იდგა, ხვრინვის ხმას გაა-ყოლა თვალი და იბოვა ფანჯარასთან მიდგმული ტახტი, რომელზეც თავიდან ფეხებამდე საბანში გახვეული მამია მოკუნტულიყო. მერე ოთახი გაიარა, ჭრიალით გათაღო შბალერაკრული სი-ფრიფანა კარი, და ცხვირში ნავთის მხრჩოლავი სუნი ეცა, ზღურბლს რომ გადააბიჯა, დაინახა ჭრაქის ალით განათებული კუთხე, სადაც კედელთან მიდგმულ საწოლში იწვა ბახვა, ტან-ჯვით და სასოწარკვეთილებით გასავე-თებული, ბალიშზე უგონოდ მიგდებუ-ლი. ავადმყოფი აღარ შფოთავდა და ამ მოშვებულმა, შეგუებულმა სიმშვიდემ თვითონ ჭიჭიკო შეაშფოთა. „ამაღამ მოკვდება“, — გაიფიქრა მან და გაუ-კვირდა, ასე ერთბაშად და ძალუმად რომ მომდგარიყო სამანთან აღსასრული ქამი.

— ადექი, ჭიჭიკო? — ალერსიანად ჰკითხა თებრონემ.

თებრონე ავადმყოფს სასთუმალთან უჯდა. ავადმყოფს არ ეძინა. სუნთქვის დროს, გამომერილი ყანყრატო აულ-ჩა-მოუდიოდა. ხმა რომ შემოესმა, კვინიხ-





ში ჩავარდნილი თვალები ფართოდ დაჭყიტა და საწოლთან მდგარ ჭიჭიკოს ხარბად მიაჩერდა.

— რომელი ხარ, ვერ გიცანი, — წამოიკნავლა მან.

— მე ვარ ბიძია, ჭიჭიკო!

— ეპ, მე ექიმი მეგონე! — კვლავ მილულა თვალები. ისევ ახროტინდა. სუნთქვა ძლიერ უჭირდა. „ხმ, ხმ“ — ახველებდა ზოგჯერ სულის მოსათქმელად. მერე თვალები გაახილა და კედელს უაზროდ მიაჩერდა.

— მოგვეყვანა ექიმი? — ხმადაბლა უთხრა ჭიჭიკომ თებრონეს და ავადმყოფის ფეხებთან, დაბალ ჯორკოზე დაჯდა. ებრალებოდა ბახვა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ბერძენის მიხრწნილი სხეული და მყრალი ქვეშაგები ზიზღს ჰკვირდა.

— რად უნდა? ვერ ხედავ, წასულია!

— ეგებ გამხნევდეს!

— აპა! რა გამხნევებს აწი მაგას?!

თებრონე წამოდგა და ბახვას ბალიში გაუსწორა. ეს ზრუნვა ზედმეტი იყო. ბახვა ისედაც მშვიდად და მოხერხებულად იწვა. მაგრამ თებრონემ თავი ააწევინა, წამოაჯინა, მერე ისევ ბალიშზე მისვენა. ყოველივე ამის შედეგად ბახვას ხრინწიანი ხველება აუტყდა, მაგრამ მალე მოითქვა სული.

— ხომ ხარ უკეთესად? — ჩასძახა ყურში თებრონემ.

— ა?

— ხომ ხარ უკეთესად-თქვა!

— კი, — მშვიდად უპასუხა ბახვამ და ისევ მიაშტერდა კედელს. დედაბერი საწოლზე ჩამოუჯდა მოხუცს და სახეზე ხელი მოუსვა.

— გამოიხედე აქეთ, რას უყურებ?

გაყინული, ცივი მზერა დაეფანტა და გამეშვებულ სხეულს სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო. ბახვამ თავი, — თავი აღარ ეთქმოდა, — თავის ქალა მოაბრუნა და თებრონეს ისეთნაირად დააკვირდა, თითქოს საიდანაც დაბრუნდა, ძლივძლივობით გამოარღვია გარსმოხვეული ბურანი და ეუცნაურა აქაურო-

ბა. მერე, თითქოს გონება დაეწმინდა, სვენებ-სვენებით ამოილულულა:

— წედან ვილაც ცხენოსანმა გამოიარა...

— რაო?

— ალბირი მესროლა კისერზე იმ კაცმა ქამანდივით, მარა არ წაუყევი...

ხელეღს საბანზე აფათურებდა, თითქოს რაღაცას დაეძებდა. ზოგჯერ ტუჩებსაც იკვებდა, ისევ აჩქარებით, ხრინწიანად სუნთქავდა. ცხვირი წაწვეტებოდა და ვაფითრებოდა. წამდაუწუმ უღვაშებზე და ნესტოებზე ისევ და ხელს: გეგონებოდა კოპწიაობს, უღვაშებს ისწორებსო. ჭრაქის ალი თეთრად შელესილ ბუხარს მურავდა და მარაოსებრ ჩრდილებს აფარფატებდა ძველი შპალერით ჩამოქმედილ კედლებზე. ახლა, ამ კედლებს შორის სიკვდილის უხილავი აჩრდილი ტრიალებდა. საწოლთან ნახველით საცხე ქილა იდგა. დარაბამიხურულ ფანჯარასთან პატარა, ოთხკუთხედი მაგიდა. მეორე კედელზე ძველებური, ართვინიდან ჩამოყოლილი რუსული გობელენი ეკიდა. გობელენზე, ცხენიდან ჩამოკვეთილებულ ჰუსარს ვედროთი წყალს აწვდიდა ჭასთან მდგარი, გრძელ, მაქმანებიან კაბაში გამოწყობილი ქერა ქალიშვილი, მოშორებით კი ტყის პირზე, განმართებული ქოხი მოჩანდა. რამდენჯერ განუწყვია საოცნებოდ ამ გობელენს პატარა ჭიჭიკო. განსაკუთრებით მხედრის უცნაური სამოსი ხიბლავდა. არაჩვეულებრივ სამყაროდ ესახებოდა გობელენზე ამოქარგული სურათი. არაჩვეულებრივი იყო ბახვას მონაყოლებიც, ნესტორ ესებუას და კულა გლდანელის ორთაბრძოლის ამბავი, რომელიც მისი ბავშვური წარმოსახვით გობელენის სურათს უცნაურად ერწყმოდა, უერთდებოდა, თითქოს ის ორი გოლიათი გობელენზე გამოსახული ტყის პირას, პატარა მინდორზე შერკინებოდნენ ერთმანეთს, ცხენოსანი ჰუსარის

**აურამ ბაგაუშიძე**  
აკრილი

და ქასთან მდგარი ქერა ქალიშვილის თანდასწრებით. ახლა ყოველივე ამას ოდინდელი, მიმზიდველი იდუმალება დაჰკარგვოდა და ის სამყარო ერთი ხელის მოსმით განედევნა ამ ოთახიდან სულ სხვა იდუმალებას, უხეშს, ტლანქს, არაოცნებისიყულს. არც კი სურდა გამოტყდომოდა საკუთარ თავს იმაში, რომ ეზიზღებოდა ბახვას სხეული, ამ გადაულახავ ზიზღს წინ ვერ აღსდგომოდა, თუმცა ერთ დროს, იმ შორეულ და სანეტარო დროს, საოცრად უყვარდა ამ სხეულის პატრონი, როცა თავს სწორუპოვარ ნესტორ ესებულად წარმოიდგენდა, ხოლო სახლის წინ მწვანედ აბიზინებულ მოღზე მუხლებით მდგარ ბახვას კულა გლდანელად და შეუბოვრად ეკვეთებოდა, მთელის სერიოზულობით ეგაჯუტრებოდა, სანამ ბოლოს სიცილით გადაფიჩინებული ბახვა მოღზე არ წაკოტირალიდებოდა და თვითონ მეკრძღე არ მოექცეოდა საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული და გაამაყებული. ეჰ, კეთილი კაცი იყო ბახვა! ბავშვობაში ძალიან ანებიერებდა ჰიკიკოს. არც შემდეგ აკლებდა ხელს. ღონეც ერჩოდა და შრომაც უყვარდა. ახლა ამ საპყრად ქცეულ უმწეო სხეულს რომ შესტკეპროდა, ბავშვობის ტკბილი მოგონებები ცოცხლდებოდა მიჩნეული საგნების გარემოცვაში, მაგრამ ოთახში ერთბაშად შემოჭრილი სიკვდილის სუნი ყველაფერს თავდაყირა აყენებდა. არ უნდოდა გულთან ახლოს მიეტანა ბახვას სატანჯველი და მისი დაძაბუნებული სხეულის შემყურე, ცდილობდა აღარაფერი დაენახა ამ სხეულის გარდა, არაფერი, რაც ამ სხეულის მიღმა იდგა და ესოდენ ძვირფასი იყო მისთვის. ამას ახერხებდა, თუ თავისთავად ხერხდებოდა: ბახვას მიხრწნილი სხეული ზიზღს ჰგვრიდა. მართალია, ებრალებოდა ბახვა, მაგრამ ეს სიბრაღული მოვალეობას უფრო ჰგავდა, ვიდრე გულწრფელ განცდას. ულმობელ გარდუვალობას მშვიდად ელოდა, ყველაფერი ბუნებრივად ეჩვენებოდა და გულგრილობა ეუფლებოდა.

მშვიდად ელოდა ბახვას სიკვდილს. დაბალ ჯორჯოზე მჯდარი მშვიდად მიჰქროდა ბახვას. ბახვა კი ისევ მიშტერებოდა. მერე თავი, თავის ქალა, მოაბრუნა, თებრონეს დააკვირდა და საბოლოოდ რომ იცნო მეუღლე, ხელზე უძღურად წაებოტინა.

— შენ ნუ შეგეშინდება... მე რა მიჭირს?! — ძლივს ამოილულულა.

— კარვად ხარ ხომ?

— ყველა იქ დამხვდება. დედაჩემი იქინა, ბაბაც, დებიც იქინა არიან, რა მიჭირს?

— სად მიხვალ, საიქიომი? — აღერსიანად გაუცინა თებრონემ, — ე, შესულელო, რას ბოდავ?!  
რამოდენიმე საათში მთლად შეცვლილიყო ავადმყოფი, გარდაქმნილიყო. აღარ უჩანდა ამ ქვეყნის პირი. დაბალ ჯორჯოზე ჯდომისაგან ჰიკიკოს წელი ასტიკვდა. თვლემაც მოერია. წამოდგა და ოდაზე მიდგმულ ფიცრულში გავიდა. ისევ გამოიჭირა საკუთარი თავი სულმოკლეობაში. მარტო შიატოვა თებრონე მომაკვდავთან. ბახვას ფერხთით ჯდომას ვერ გაუძლო. არ ეყო უბრალო სიმტკიცე, როგორც მაშინ, სამი წლის უკან, ჟუჟუნას რომ ებლარძენებოდა, და ამის შეგრძნებამ უცნაური კაეშანი მოჰკვარა. კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ სუსტი, უნებისყოფი კაცი იყო: რალაცა, მისი აზრით ძალზე მნიშვნელოვანი და საჭირო რამ აკლდა და, რაკი ამას გრძნობდა, ყოველთვის საოცარ უკმარისობას განიცდიდა, საკუთარი თავით უკმაყოფილებას. ფანჯრებში კი ჯერ კიდევ სიბნელე იდგა. გრილოდა. ერთი მინა ჩამტვრეული იყო და ზედ აკრული ფარატინა ქალაღი ცოც ჰაერს ვერ აკვებდა. ვიწრო ოთახი ფქვილისა და მწნილის სუნით გაუდნთილიყო. კედელთან მდგარი თუნუქის ჩამქრალი ღუმელი თითქოს უფრო აცივებდა ოთახს. წინათ ესეც აივანი იყო. მერე ფიცრებით შემოტიხრეს და ოთახად აქციეს. ფიცრებს შორის დარჩენილ დრიკოებიდან სიცივე შემოდიოდა. ჰიკიკო ნარზე წამოწვა და ზემოდან ბახვას ნა-



ქონი ძველი პალატო გადაიფარა. პალატო ოფლის მომწარო სუნით გაყდენთილიყო. კედლის მიღმა ბახვას საწოლი იდგა და ჭიჭიკოს ესმოდა ავადმყოფის სუნთქვა. ძიღმოწყურებულს მთელ ტანში აურყოლებდა და თანდათან რული ერეოდა. ცდილობდა რამე სასიამოვნოზე ეფიქრა, თუნდაც უუყუნაზე, მაგრამ ვერ ახერხებდა. კედლის მიღმა ბახვა ხროტინებდა, ახველებდა, ზოგჯერ თავის თავს ელაპარაკებოდა:

— რა გინდა, კაცო? წადი, თავი დამანებე... ახლა გინდა წამიყვანო? რატომ მოხვედი??. მაცაღე ცოტა ხანს, შე ურჯულო! — ვიღაცას მიმართავდა ბახვა.

— ვის ელაპარაკები? — ეკითხებოდა თებრონეს.

თებრონეს ხმას ბახვა ზმანებებიდან გამოჰკავდა.

— ჰა?

— ვის ელაპარაკები-თქვა?

— მამაჩემი იყო. ე, აგერ იჯდა კუთხეში, ჯორჯოზე.

— მამაშენს აქ რა უნდა, შე უბედურო? მამაშენი საიქიოშია, ვაგიჟდი?

— რა ვიცი, კი მოვიდა და...

ორი სამყაროს მიჯნაზე მდგარს, უკვე დარღვევდა საკუთარი მე და მისი სულის რომელიღაც ნაწილი დაუბრკოლებლივ მოძრაობდა უკიდვანო სიერცეში. კიდობანში ისევ ფხაკურობდა თავგი. საღდაც, შორეულ, უსაზღვრო გარემოში მარტო დარჩენილი ძალღი ყრუდ ყმუოდა. დაღრღნილ ფიცრებს მწერები ფხაკნიდნენ. გრძელი ღამე უჩუმრად და უსასრულოდ მიედინებოდა. ჭიჭიკო ძიღს თავს ვეღარ ართმევდა. მომაკვდავის ოთახიდან გამოსული ხმები სულ უფრო და უფრო შორიდან ესმოდა. ბახვა მიცვალებულებს ხედავდა. წყვდიადით მოცული სახლი მიცვალებულთა ლანდებით იყო სავსე და ჯერ კიდევ აქ დარჩენილი ბახვა ეტყობა, უკვე იმათ შორისაც იმყოფებოდა. ის ისე ბუნებრივად ესაუბრებოდა თვალის არხილულ მოჩვენებებს, როგორც თავის მეუღლეს, გვერდით რომ ეჯდა

უმწეო მეთვალყურესავით, თვალთხილული, რეალური, ფიზიკური სხეულის მქონე. ესაუბრებოდა დედას, ჯერ კიდევ ბავშვობისას რომ დასტოვა ამ ქვეყნად მარტო, სიკაბუჯის ეამს წასულ მამას, დებს და ნათესალებს, მეგობრებს და მეზობლებს, სხვადასხვა დროს წასულთ, გამქრალთ და მაინც ესმოდა თებრონეს ხმა, ხმა მიწისა, რომლის დროებითი სტუმარი იყო, რომელსაც ტოვებდა ახლა უამრავი ჭირისა და ვარამის შემდეგ, დიდი შრომისა და განსაცდელის გამომვლელი, აუარებელი მწუხარებისა და სისხარულის გამომცდელი, ტოვებდა ყველაფერს, რასაც ერთ დროს მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ უკვე ჰკარგავდა მნიშვნელობას, ქრებოდა, იხნეოდა ყოველის მხრივ, როგორც დაშლილი სილის გროვა, — უერთდებოდა მიწას და ჰაერს.

დილა ხმაურით იჭრებოდა ცნობიერებაში: მამლების ყივილს მიჰყვება ქათმების კრიახი, წიწილების წრიპინი, ბატების ყიყინი, მერე ძაღლების ყეფა და საქონლის ბლავილი. ეს გაერთიანებული ხმაური თითქოს მზის სხივებთან ერთად მიერეკებოდა შემამაშურებულ დამეულ ბინდს და ჭიჭიკოს მთვლემარე ცნობიერებას, ისევე, როგორც მთელ სოფელს, სინათლით ავსებდა. ჭიჭიკო გრძნობდა, რომ უკვე გათენდა და თუმცა ძიღგატეხილს ძალზე უჭირდა თვლების გახელა, ბოლოს მაინც დასძლია თავს, გამოფხიზლდა, გამოიღვიძა და დაინახა კედლის ღრიკოებიდან გრძელ, თეთრ ხაზებად შემოჭრილი მზის სხივები, რომელშიც მტვერი ტრიალებდა. ხმაურთან ერთად გარედან დიღის სუსხიც შემოდიოდა, სახლში კი უცნაური დუმილი იდგა. ბახვა ხომ არ მოკვდა? სოფლის ხმაურსა და ოდა სახლის ოთახებში ჩამოვარდნილ სინამდვილეში იმოდენა სხვაობა იყო, როგორც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ჭიჭიკო წამოდგა და ბახვას ოთახში გავიდა. ბახ-

**მურამ გვიშვილი**  
აპრილი





ვას ეძინა. რასაკვირველია, არ მომკვდარა! რომ მომკვდარიყო, ჭიჭიკოს იმ წამსვე გააღვიძებდნენ, ან თვითონვე გააღვიძებდა, რადგან თებრონე ხომ აუცილებლად ატეხავდა კივილს?! არა, კერი არ მომკვდარიყო. თავი ბალიშზე გადადგო, გალუული, გაუბარსავი დაწვები ერთმანეთს მიჰკვროდა, უფერულ შუბლზე ოფლის წვეთები დაწინწკლოდა, ხელები უმწეოდ გაეშალა და გაწამებული, უნუგეშო გამომეტყველებით ზარბაღ, ხროტინით ისუნთქავდა გამოკეტილ ოთახში დაგუბულ, აშორებულ დამეულ ჰაერს. ძინავს თუ სულს დაფავს?

ჭიჭიკო უკან აივანზე გავიდა. იქნებ ბახვა მართლაც სულს დაფავს, მაგრამ უკეთესია თუ ამ ამბავს გულთან ახლოს არ მიიტანს. სიმტკიცეა საჭირო! ბოლოს და ბოლოს ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ეს დღე ყველას მოგველის! გულჩვილობა ვის რას არ გეხს? ცივი წყალი აფხიზლებდა, სიამოვნებდა. აივნის ბოძზე მიმაგრებულ პირსაბანთან იდგა და სახეზე წყალს ისხამდა. მოცვარული მდგელო თვალის-მომპრვლად ბრჭყვიალებდა მზეზე. ნახევარი ცა თოვლის გუნდებივით თეთრ ღრუბლებს დაეფარა, იმათ ქვეშ კი შეუშინეველად მოძრაობდნენ ჭუჭყიანი მატყლივით გაწეწილი მუქი ღრუბლები. წმინდა ჰაერი შარბათივით ჩადიოდა ფილტვებში. მშვენიერი დილა იდგა, ახლად გამოღვიძებული ბავშვივით საყვარელი, ტკბილი და სურნელოვანი. მაგრამ ისლით დახურული სამზადი ქოხის წინ ერთი თვის ფუნჩილა მოზვევის გასისხლიანებული თავი ევდო. სამზადის გვერდით, ჯორჯოზე მჯდარ მაიას იდაყვებამდე დაკაპიწებული მკლავები სისხლით მოსვროდა და გრძელი და ბასრი სისხლიანი დანით ხბოს ატყავებდა. მამია ბეითალი იყო. ის ოსტატურად ქნიდა საქონელს, ვინაიდან ამ საქმეში ბეითლები ყასბებს არ ჩამოუვარდებიან. სისხლიან ხელებს ზარბაღ აფათურებდა გამოფატრული ხბოს შიგნულში და უვარგის ნაწილებს გან-

ზე ისროდა, აკნავებული კატბებებზე იქვე, ტყემლის ხეზე მიბმული შინდისფერი ფური, მამიასკენ კისერგადრეკილი, ხის ირგვლივ მოუსვენრად წრილბდა და დროდადრო ზმუოდა, რაღაც ჩაწყდა ჭიჭიკოს გულში, ზანტად, უხალისოდ ჩაიარა კიბის საფეხურები, მამიას მიუახლოვდა და სამზადის კედელს მხრით მიეყრდნო. საქმეში გართულმა მამიამ კმაყოფილი ღიმილით ამოხედა და თვალი ჩაუკრა.

— ჰე-ჰე! ვამოიძინე?  
 ჭიჭიკომ შუკისკენ გაიხედა. შუკამი როხროხი ისმოდა. სანდროს ხმას ჰგავდა. რასაკვირველია, სანდრო როხროხებდა. ასე გულიანად ამ სოფელში სხვა არავინ იცინოდა. სანდრომ ჭიჭიკარი შემოაღო და პირდაპირ სახლისკენ გამოემართა. ბოსტინიდან გამოსული თებრონე შუა ეზოში შეეგება. თებროს ხელში გომბეჭირა.

— რაგა ბახვა, არ დგება? — როხროხებდა სანდრო.

— დეიძინა, როგორც იქნა, — უპასუხა თებრომ.

— მაგას თვრამეტი წლის გოგო თუ არ უშოვოვთ, არაფერი არ უშველის!

თავისივე ხუმრობით კმაყოფილი სანდრო გულიანად ახარხარდა. მზიარული, უდარდელი კაცი იყო. უყვარდა ხუმრობა და ღვინის სმა. შრომას მაინცდამაინც თავს არ აკლავდა, მაგრამ ვერც სიზარმაცეს დასწამებდით. სამოცი წლისა იქნებოდა. ოცდახუთი წლის წინათ, საშოვარზე ოსეთში გაემგზავრა. ცოლშვილი შინ დასტოვა. გზაში ომმა მოუსწრო. შინ არც კი დაბრუნებულა, ისე წავიდა ომში. ოთხი წლის განმავლობაში ტყვიას ერთხელაც არ გაუკაწრავს, საღსალამათი დაბრუნდა. ორი ობოლი ბიჭი დახვდა შინ, მეუღლე გარდაცვლილიყო. ბიჭები ნათესავეებს შეეფარებინათ. გაჭირვებაში და სიღატაკეში იზრდებოდნენ. მძიმე დრო იყო. მაგრამ სანდროს დიდხანს არ უდარღია. ერთი წლის მერე ცოლი შეირთო, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი. მეზობლები და ნათესავეები კიცხავდნენ, რა ეჩქარებოდაო, ახალგაზრდა ქალი ოჯახს არ გამოადგე-



ბა, ბიჭებს ვერ მოუვლისო. ზოგიერთებში იმასაც ამბობდნენ,—რას არ იტყვიანა?—პირველ ცოლზე გული გაუტყდა, რადგან შინ არ ყოფნისას დალატობდა და ეს ამბავი ყურში ჩაასმინესო. იქნებ მართალიც იყო ეს ამბავი? დაუჯერებელი რა არის? დედინაცვალი კი მართლაც არ გამოადგა სანდროს პატარა ბიჭებს, ვერ უვლიდა, ვერ პატრონობდა. თავის ნებაზე იზრდებოდნენ ბიჭები, უფროსის ყურადღებას და მზრუნველობას მოკლებულნი. სანდრო ამ ამბავს ვერ ამჩევდა. როგორ შეიძლება იმის თქმა, თითქოს არ უყვარდა შეილები, მით უმეტეს შეილები გიჟდებოდნენ მამაზე, განსაკუთრებით უმცროსი, მაგრამ ამბობდნენ, სანდროს საკუთარი თავის გარდა არაფერი ედარდება ამქვეყნადო. ეტყობა, სანდრო მუდამ დღევანდელი დღით ცხოვრობდა, მოგონებები არ აწუხებდა. შეიძლება, საერთოდ არ ჰქონდა მოგონების უნარი, როგორც ცხოველს, რომელიც თავის პირმშოს გამოზრდის და მერე ვეღარც ცნობს. ეშმაკმა იცის, იქნებ ეს უფრო ბუნებრივია? ადამიანი ხომ ყველაზე არაბუნებრივი ცხოველია ცხოველთა შორის? რა თქმა უნდა! აბა, თუ ბიჭია იაროს შიშველმა ცივ ზამთარში, გასძლოს უცეცხლოდ და უმი საკვებით ისაზრდოს?! ჰმ, სასაცილოც კია ამის წარმოდგენა. ალბათ, სანდროსაც უყვარდა თავისი შეილები, მაგრამ მათზე ზრუნვა ბედსა და დიდერს მიანდო. თხუთმეტი წლის უკან, მისი უმცროსი ვაჟი, შეთვალწარბა, ლამაზი, ცელქი ბიჭი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა მამა, მდინარემ გაიტაცა. დილიუბა, დიხრჩო. ერთი კვირის შემდეგ იპოვეს. ისე იყო დასახიჩრებული, რომ ვერავინ იცნო. ისევ მამამ იცნო, ფრჩხილებით და დიდი, შავი ხალით, ბეჭზე რომ ჰქონდა ბიჭს. მაშინ ატირდა სანდრო, საბრალოდ აზლუქუნდა. როცა იმ ოთახში შედიოდა, სადაც მიცვალბული ესვენა, კედელთან აიტუზებოდა და ტიროდა. როცა გარეთ გამოდიოდა, ეზოში მო-

ფუსფუსე ხალხს შეერეოდა და სხვეთან ერთად სვამდა ღვინოს. სწორედ იქამად სახლის უკან მდგარი გარძელი ალვის ხეები მოჭრეს, ქერჩი ვაცალეს და ეზოს ორივე მხარეს, ღობეებთან დაალაგეს. სატირალში მოსული ხალხი ამ თეთრ, ნედლ მორბეზე ისხდა. ქელებმა კარგად ჩაიარა, ღვინო და ღობიო ბლომად იყო. ხალხი კმაყოფილი დარჩა. თუკი ვინმე გაიხუმრებდა, გაილაზნდარებდა, სანდროც იცინოდა. კეთილი და უბოროტო კაცი იყო, ოღონდ განცდები არა ჰქონდა ღრმა. ამ ამბის შემდეგ უფროსმა ვაჟმა ოჯახზე გული აიცრუა და სადღაც გადაიკარგა. სანდრომ მხოლოდ რამოდენიმე წლას შემდეგ შეიტყო, რომ გეშზე მეზღვაურად მოწყობილიყო. არც ამაზე უდარდია ბევრი. ეტყობა, დარდის უნარი თვითონ ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული და არა დარდის წარმოშობა მიზეზზე. სანდროს ადგილზე სხვა შეიძლება სამუდამოდ წელში გამტყდარიყო, მაგრამ სანდრო ისევ უდარდელი და მხიარული დარჩა. ახლა მას წალდი სჭირდებოდა. მამიას წალდი სთხოვა. მამიამ ასწავლა სადაც იდო წალდი. სანდრო სამზადში შევიდა და წალდი გამოიტანა. ლურჯი სატინის ხალათი ეცვა, გახუნებული. სამუალო ტანის, ხმელი კაცი იყო. გაჭალარავებული უღვაში მოკლედ ჰქონდა შეკრეკილი. ფართო, მზემოკიდებული ცხვირი. ცისფერი თვალები.

- წუხელ მაგრა დავთვერი, — თქვა მან.
- მამიამ ყური ცქვიტა.
- შენ რომ წასულხარ კანტორიდან, მეც მოვედი და ვადამეკდა ბუჭუნია, წამიყვანა წისქვილში და სამ-სამი ბოთლი ღვინო დავლიეთ.
- ბუჭუნია გამოუშვეს ციხიდან? — იკითხა ქიკვიომ.
- კი!
- ვისი ღვინო სვით? — შეეკითხა მამია სანდროს.

**გურამ ბაგაშიძე**  
აპრილი



— მექის!

— მექის კაი ღვინო აქვს.

— ცოტა მყავდა.

— ჩვენც უბედურად ვურტყით. ბრიგადირმა დაგვაბატოვა.

— ბუჭუნიაშვიტ მადრა გვასვა. სახლს ღლივს მივაგენი, — სანდროს გაეცინა.

— მოჰკვიანდა ეგ ბიჭი ხომ? — ჰკითხა ჯორჯოზე მჯდარმა მამიამ.

— რაც ქალი შეიყვანა, ქვა ჰქუაზე.

— ქალი ყველას უხდება, — გაიღრიჭა მამია.

— იმიტომ ვიძახი, მოუყვანეთ ბახვას ერთი თვრამეტი წლის გოგო და ორ დღეში წამოდგება-თქვა, — სანდრომაც ჩაიროხროხა.

— შენი მტერი წამოდგა ისე, — ჩაურთო თებრონემ და ამოიკვნესა.

— რაგა, არ მოკეთდა?

— წუხელის მთელი ღამე არ დაგვაძინა. ამ დილას მივარდა, მგონი ჩაეძინა.

— ნუ გეშინიათ, მორჩება!

— ღლეს აღდგომაა, სანდრო! ნაშუადღევს ვადმოდი, — მამიამ სანდროს თვალი ჩაუკრა, ვითომ დავლიოთო.

— ბჟოლები მაქვს დასაბელი... მერე ვადმოვალ.

— ხბოს მწვადი ხომ გიყვარს?

— იფ! რაგა არა! კაი გამოსულა შენი ხბო, — სანდრომ ხორცს დახედა.

— ისე ჩაპუნტულბული იყო, რომ... თერთი, ქათქათა — სიყვარულით დახედა მამიამ ლემს და იმით კმაყოფილმა, რომ საქონელი უქვს, ამაყად ჩაიხიხითა.

— კაი გამოსულა.

— კი, კარგია. აბა, გელოდები სანდრო!

— ვადმოვალ!

— ჰიჭიკო, წახვალ შეილო, სასაფლაოზე?

— კი ბიცოლა. ჩამილაგე სანოვაცე ჩანთაში და წავალ.

აი, სასაფლაოც, ქვიტკირის გალავნით შემოყორილი! შორიდან სასაფლაო

დაბურულ ტყეს ჰგავდა. ოდესღაც მის მომგვრელი იყო მისი სიჩუმე და ეს მიწა, მიწის მცირე ნაკვეთი ბებერი ცაცხვების მუღმივი ჩრდილით დაბნელებული, უცხო რამ იყო, გაუგებარი და სახიფათო, როგორც შორეული, ცხრა მთის იქეთ მდებარე ქვეყანა. ამ უცხო სამყაროში უცხოები განისვენებდნენ. მაშინ ხომ ჰიჭიკო წესიერად არ იცნობდა არც ერთ იმ ადამიანს, რომელიც საფლავის ლოდებს ქვეშ მიწას ჩაეყლაპა? მართალია, ზოგიერთი მათგანი უნახავს, ზოგიერთზე რაღაც სმენია, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავდა. წვრილმანი, შემთხვევითი სურათის, საგნის ან უმნიშვნელო ფაქტის გარდა ჰიჭიკოს არაფერი აგონდებოდა. ერთხელ, ჰიჭიკო მაშინ შვიდი-რვა წლისა იქნებოდა; თებრონემ მეზობლის სატირალში წაიყვანა. მიცვალებული ახალგაზრდა კაცი იყო. კუბო რატომაც შუა ეზოში დაესვენებინათ, პატარა ქოხის წინ. ცხელი ზაფხული იდგა. მიცვალებულის ირგვლივ მსხდარი ქალები მოთქვამდნენ და თხმელის ნეშოთი ბუზეებს იგერიებდნენ. ბუზეები ისევ ასხდებოდნენ მკვდარს სახეზე, ცხვირში და ყურებში უძვრებოდნენ. მიცვალებულს ახალ-ახალი უცხოური ფეხსაცმელები ეცვა. იმ სატირალიდან მიცვალებულის სახეზე მცოცავმა აბეზარმა ბუზეებმა და ლამაზმა ფეხსაცმელებმა მიიპყრო ჰიჭიკოს ყურადღება. განსაკუთრებით ღრმად ჩარჩა მესსიერებაში ფეხსაცმელები. ვინ იცის, შეიძლება ენანებოდა, რომ ის უხმარი ფეხსაცმელები უსარგებლოდ უნდა ჩაფლულიყო მიწაში?

ან თუნდაც მერე შემთხვევა. იმავე ხანებში კარის მეზობელს ოცი წლის ბიჭი მოუყვდა. ჰიჭიკოს ასხოვდა, რომ ერთხელ, ის სქელქოჩორა ზორბა ბიჭი დღეში ცხენს ბანდა. სულ ეს იყო. მხოლოდ ეს სურათი. დღეში ჩამდგარი ცხენი და დაკუნთული ჰაბუჯი, მღვრიე წყალს რომ ასხამდა იმ ცხენს სრიალა ფერდებზე. ყოველივე, რაც ამ სურათის, შეგნებაში წამიერად შემოჭრილი სურათის მიღმა არსებობდა იმ ჰა-



ბუკის ცხოვრებაში, ჭიჭიკოსთვის უცნობი იყო. რასაკვირველია, გაგებული ჰქონდა, რომ ის ბიჭი ვილაკებმა მაგრა სცემეს და ამის შედეგად სისხლის დებინება აუტყდა, რამაც საბოლოოდ იმსხვერპლა კიდეც. მაგრამ როცა იმ უბედურ ბიჭზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ჭიჭიკო მხოლოდ ერთ სურათს ხედავდა: მღვრიე ღელეს, ნესტოებდაბერილ მოწყენილ ცხენს, ალბათ ბებერი ცხენი იყო, და გაშიშვლებულ, თმაქოჩორა, მხიარულ ჭაბუქს. სულ ეს იყო მისი განცდა სიკვდილისა, ეს შემთხვევითი სურათი.

ან კიდევ საწყალი გივია, თითქმის ჭიჭიკოს თანატოლი! ისიც სახელოსნო სასწავლებელში მიაბარეს მშობლებმა. გივიას გარდა ოთხი შვილი ჰყავდათ, უჭირდათ, ვერ უვლიდნენ. ომი ახალი დამთავრებული იყო და ხალხი ჯერ კიდევ შიმშილობდა. ერთი წლის შემდეგ გივია შინ დააბრუნეს. პლევრიტით დაავადდა ცამეტი წლის ბიჭი და ეს სენი ჭლექად გადაეცა. სანთელივით ჩამონდა და გაყვითლდა დათვივით მოუხეშავი, მორცხვი ბავშვი. თავჩაღუნული სიარული იცოდა. როცა უფროსები ელაპარაკებოდნენ, რცხვენოდა. საოცრად მორცხვი ბავშვი იყო. ერთი შეხედვით ძლიერი აგებულებისა ჩანდა, მაგრამ ვერ დასძლია სხეულში გამჯდარი სენი. ხელის შეწყობა სჭირდებოდა, განსაკუთრებული კვება, ჰაერი, მაგრამ მშობლებს არ ჰქონდათ ამის შეძლება. მთელი დღეები ჩუმად იწვა აივანზე. როცა ბიჭები ბურთის სათამაშოდ იკრიბებოდნენ, ზოგჯერ გივიაც დაჰყვებოდა მათ. გული არ უთმენდა დასწვლულს და ერთხელ, როცა ისიც ჩაება თამაშში, ჭიჭიკომ იოლად აართვა ბურთი, ხელიც ჰკრა. ებრალებოდა მაშინ გივია? არა, არ ებრალებოდა, თუმცა უფროსებისაგან იცოდა, რომ განწირული იყო. მაგრამ მაინც არ ებრალებოდა, პირიქით, კეთროვანივით ერიდებოდა, ეშინოდა, რადგან ის მატარებელი იყო რაღაც უცხოსი, გაუგებარის და საშიშის, და ეს გულცივი

გრძნობა იმიტომ კი არ ეუფლებოდა, რომ თვითონ იყო გულცივი, არც იმიტომ რომ ბახვა აფრთხილებდა: გივიას ნუ გაეკარები, მოერიდე, ავადმყოფობა არ გადაგედოსო. არა! თავისთავად ის განწირულება, რომელიც გივიას ნაადრევ სვედ ქცეულიყო, გაუგებარი იყო ჭიჭიკოს გონებისათვის, გაუგებარი, უცხო, შორეული, და ამ გაუგებრობას ინსტინქტურად ერიდებოდა, იცილებდა...

ახლა ზოგი რამ შეიცვალა. ახლა ამ სასაფლაოზე ის ადამიანებიც განისვენებდნენ, რომლებსაც ჭიჭიკო კარგად იცნობდა, რომლებიც ჭიჭიკოს უყვარდა და ამის გამო, მათი სიკვდილის გამო, სიკვდილს ჩამოსცილდა იღუმალეზის ბურუსი და ისეთი ჩვეულებრივი გახდა, ისე მოახლოვდა, როგორც ხვალინდელი დღე. ჭიჭიკოს აღარ აფრთხობდა ასწლოვანი ცაცხვების იღუმალი მდუმარება, არც სურთომოდებული ჯვრები და მიწაში ჩაფლული მძიმე ლოდები. ყოველივე ეს აღარ იყო უცხო, სხვისეული. საფლავები აღარ აკვირვებდა ჭიჭიკოს. ახლა მან იცოდა, რომ სიკვდილს ვერაინ გაექცევა, როგორც არ უნდა ერიდო სასაფლაოებს და სიკვდილზე ფიქრს. და თუ სიკვდილია, ისევე სჯობს შენს მამულში დაიმარხო, მშობლიურ მიწაში, რომელსაც დასცქერის მშობლიური ცა, სადაც ღრუბლების მოძრაობაც ნაცნობია შენთვის და ვარსკვლავების განლაგებაც, და ეს ცა კი არ გაშინებს მარადისობის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილს, არამედ გამშვიდებს; რაღაც გაურკვეველ იმედს გიტოვებს.

ახლა ზოგი რამ შეიცვალა...

მზე მიიმალა, ცაზე ღრუბლები ირეოდნენ. გრილოდა, მაგრამ ნაწვიმარზე მიწას თბილი ოხშივარი ასდიოდა. ისმოდა ყანის ჩიტების დაუცხრომელი ჟღერტული. მყუდრო, კონინდარაბიზებული ეზოების სიღრმეში ოდა-სახ-

**გურამ ბაგვაშიძე**  
აპრილი



ლები იდგნენ. ასკოკორა, ხვიარა ვარდი შემოხვეოდა აივნის სვეტებს. ოდა-სახლების წინ იასამნები ჰყვავდნენ. გზის პირას დარგული მოვერცხლილფოთლებიანი თეთრი ვერხვები კენწეროებს აწრიალებდნენ. სიარულისას სასიამოვნო შარიშური გაჰქონდა ფეხქვეშ ნესტი და მბალ, ჩამოყრილ ფოთლებს. ზოგან, ღობის პირს ანწლი და ძაღლყურძენა მორეოდა. თხრილის პირებზე მრავალძარღვა გართხმულიყო. წედანდელი წვიმისაგან ალუფხულ შეჯამი ნაკელის სუნს ბოსტნის სურნელი, პიტნის, ომბალოს, ყაშკვლამის და მაკიდოს სუნი ერთვოდა. მაგრამ როდესაც მოთავლა ორლობე და თეთრი შარავზა ტრილა მინდორზე გავიდა, — გამოჩნდა უსაზღვრო სივრცე, გადახსული მიწები, აბიზინებული ჭეჯილი. ვადმობრუნებული ბელტებისა და ნედლი ბალახის სუნით გაქლენთილი ჰაერი არ მოძრაობდა. აგე, სადღაც ნახნავის ბოლოს, ერთმანეთში გადაბურღული ხეების ჭგუფში თავი წამოუყვიათ ისრებივით მალლა აჭირლ ალევებს. იქ, ლორთქო ფოთლებში ჩაფლული სოფლებია, ღელის პირას გაშენებული. დია მწვანე და მუქი მწვანე ფერები ერთმანეთს შერევა და დაბურულ ტევრში აქა-იქ გამოკრთის განაპირა სახლის წითელი კრამიტი. შორს მოჩანს ყავარაყრილი ძველი წისკილი. ფშანის პირზე საქონელი ძოვს. მერე კი, როცა ჭიჭიომ ღელეზე გადაებული ხის ბოგირი გადაიარა, — ამღვრელი ღელე მიღულუნებდა თხმელის ბუჩქებს შორის და სადღაც იკარგებოდა, — სულ უფრო მოახლოვდა სასაფლაო, ნაცრისფერი ცის ფონზე მკაფიოდ გამოისახა გუმბათჩამონგრეული ძველი ეკლესია.

სასაფლაოზე შეგროვილ ხალხს უცნაური, საზეიმო განწყობილება დაუფლებოდა, თუმცა ამ ხალხის აქ შეგროვების მიზეზი იყო სიკვდილი, ვიდაცის, ამათი ახლობელი ადამიანის საშინელი აღსასრული, ოდესღაც მხოლოდ ტანჯვისა და ვაების შემცველი. მაგრამ ახლა ის ტანჯვა-ვაება ყველას დაეწყებოდა.

ბავშვები ყრიაშლით დარბოდნენ საფლავეს შორის და ერთმანეთს სააღდგომო წითელ კვერცხებს უჭახუნებდნენ. მამაკაცები მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად თუ გულწრფელი პატივისცემის გამოსახატავად, ღვინოს შეეჭკეოდნენ. ღვინო მაინც ღვინოა, პატივისცემით იქნება ის შესმული თუ სულის მოსახსენებლად, და თავისდაუნებურად შეზარხოშებული და გამხიარულებული ღვინის მსმელები, საფლაოზე გამოილ სახელდახელო სუფრასთან შეგროვილნი, თავიანთ ყოველდღიურ საქმეებზე საუბრობდნენ. მომავლის სადღეგრძელოს სევადნენ. უიმედოდ ბრიყვი უნდა იყო კაცი, რომ სასაფლაოზე მყოფი მომავალს იმედით და რწმენით შეჰყურებდ, მაგრამ ღვინო თავის საქმეს აკეთებდა, სასაფლაოდან დევნიდა სიკვდილს. ნათქვამია, იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერიაო, მაგრამ არც გულხელდაკრეფილი ჯდომა ვარგა. განა სწორად არ იქცეოდა ეს ხალხი? მაშ რა უნდა ექნათ? მხოლოდ ძაძებში ვახვეული, ხნიერი დედაკაცები გამოირჩეოდნენ თავიანთი განსაკუთრებული, ნაღვლიანი გამომეტყველებით. ნიკაპზე მიედოთ ხელი და უსასრულო სივრცისთვის მიეშტერებინათ მზერა. ზოგიერთი მათგანი შვილის საფლავთან იდგა და ვინ იცის, იქნებ გულის უღრმეს კუნჭულში ბუნდოვნად გრძნობდა კიდევ იმ უცნაურ თუ უნებლიე დანაშაულს, რომელიც მიუძღოდა იმ ადამიანის წინაშე, ვის საფლავთან იდგა ახლა, ვისაც მისცა სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლესთან ერთად ათასი ტანჯვა-წვალება არგუნა, ბოლოს სიკვდილით დამთავრებული. უმეტესობას ხომ ასე მიაჩნია: ხელის გულზე რომ ერბოკვერცხი შეიწვა, მშობლის ამაგს ვერ გადაიხდიო. მაგრამ ვინ იცის, იქნებ პირიქით არი? იქნებ თვით მშობელი ვერ გამოისყიდის ვერასოდეს დანაშაულს შვილის წინაშე? იქნებ ეს ინსტინქტად ქცეული დანაშაულის ბუნდოვანი შეგრძნებაა, რომ აიძულებს



ადამიანს ბოლომდე უანგაროდ ემსახუროს თავის ნაშვიერს?! შვილი ხომ თითქმის არასოდეს არ არის მშობლისადმი ასე ერთგული? თვით ყველაზე გულცივი და უგრძობელი ადამიანიც კი გრძობს ზოგჯერ, რომ თავისი შვილის ყოველგვარ გასაჭირთა მიზეზი თვითონ არის და ცდილობს ამ მიზეზის დავიწყებას, ან დანაშაულის გამოსყიდვას. ჭიჭიკოსთვის ეს ახლა სავესებით ნათელი იყო. მშობლებისადმი მადლიერების გრძობა მას არ გააჩნდა. ის დედამისის საფლავთან იდგა. ბადურიდან ორი ბოთლი ღვინო ამოიღო, საფლავზე ქალაღი გაფინა და ზედ წითელი კვერცხები და პასკა დააღა. ბადურა დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო. თორმეტი წლისა იყო, დედა რომ მოუკვდა, მამა კი უფრო ადრე დაეღუპა, არც კი ახსოვდა. მამის სიკვდილის შემდეგ დედა მალე დაავადმყოფდა და ჭიჭიკოს ნაადრევად მოუხდა ოჯახში ზრუნვა. უთენია დგებოდა ლოგინიდან, გამოუძინარი და დაყვებოდა ბახვას სათოხარში. მერე მთელი ღღე, გაგანია სიცხეში მიგრეკებოდა ხარებს კვალში ჩამდგარი, ან თოხს უბაყუნებდა გამომშრალ ბელტებს. საღამოს, შინ დაბრუნებულს, დაღლილობისგან სიჭაწართმეულს აღარ ჰქონდა ტოლბიჭებთან გარევის თავი. როცა დედა მოუკვდა, სახელოსნო სასწავლებელში მიაბარა ბახვამ. რამდენი გაჭირვება და დამცირება განუცდია იქაც! თავიდანვე რბილი ხასიათისა იყო, მორიდებული და გაუბედავი. ერთხელ, როცა ბურთის თამაშის დროს კინკლაობისას, ბუჭუნამ სახეში სტკლიცა და ცხვირიდან სისხლი ადინა, ხელიც კი ვერ შეუბრუნა. ხმისამოუღებლად გამობრუნდა შინისკენ და ყელში მომდგარი ცრემლები აღრჩობდა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ იმდენად ბუჭუნიაზე კი არ მოსდიოდა ბრაზი, რამდენადაც საკუთარ თავზე, ასეთი უნიათო რომ იყო. ასე იყო თუ ისე, იმ დღის მერე სასტიკად შეიძულა ბუჭუნია. შურდა მისი სითამამე და ამავე დროს სძულდა. ბუჭუ-

ნიას კი არც დამახსოვრებია ის უმნიშვნელო შემთხვევა. როცა წამოიზარდნენ, ჭიჭიკოს მეგობრულად ექცეოდა, მაგრამ გადიოდა წლები და ჭიჭიკოს მაინც არ მოუბრუნდა გული ბუჭუნიაზე. ის მოგონება, რომელიც ბუჭუნიასთან იყო დაკავშირებული და საკუთარ უხეირობაში არწმუნებდა, ლოდინით ედო გულზე. ზედმეტად მორიდებული კაცი იყო, უნებისყოფო და ამის გამო დაჩაგრული. ჭიჭიკოს სძულდა თავისი ხასიათის ეს თვისება და როცა ზოგჯერ თავის თავზე და თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა, აღარ იყო მშობლების მადლიერი. რა მისცეს მათ, რა ნახა ამ ცხოვრებაში სახარბიელო? ის ხომ მუდამ უკმაყოფილო იყო თავისი ბედით? თუმცა ზოგჯერ ბედნიერი წუთებიც ჰქონია, თუნდაც მაშინ, როცა ბახვა ნესტორ ესებუას და კულა გლდნელის შერკინების ამბავს უამბობდა, ან კიდევ სულ პატარას ოდა სახლის წინ მოლზე წამოწოლილი ეჭიდავებოდა ხოლმე. მაგრამ ეს ხომ ძალზე დიდი ხნის წინათ იყო და თანაც ბედნიერი წუთები ისე იშვიათია!.. უმეტესი დრო ცხოვრებისა გადის ყოველდღიურ საზრუნავში, წუხილში და გაჭირვებაში. სრული ერთფეროვნებაა. ამიტომაც არი, რომ ის ერთი-ორი წამი, ოდნავ განსხვავებული, ბედნიერი გგონია და საშუალოდ გამახსოვრდება. უბრალოდ იტყუებ თავს, რადგან სხვა გზა არა გაქვს და იფიწყებ იმას, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი თავდება. ტყუილად გგონია, რომ ბედნიერებისთვის ხარ გაჩენილი. ის კი არა, გაჭირვებაში მყოფიც კი მადლიერი უნდა იყო, რომ უარესი გაჭირვება არ შეგახვედრა განგებამ. ხოლო თუ სულ გაიწირე, მაშინ რაღა ფასი აქვს სიცოცხლეს და ვიღას უნდა ემადლიერო?..

— ხვალინდელი დღის გათენებას არ მოვესწრო, ავი თუ ჭიჭიკო არ იყოს — შემოვსმა ამ დროს ჭიჭიკოს ჩახრენწილი ხმა და მისკენ მომავალი გაღიმებუ-

**გურამ ვაგვიშიძე**  
აპრილი



ლი და შეზარხოშებული ბუჭუნია დანახა. მაინცდამაინც არ ესამოვნა ბუჭუნის დანახვა, მაგრამ სანამ მიესალმებოდა, იმის გაფიქრებაც მოასწრო, რა არ მოგივა კაცს თავში, როცა სასაფლაოზე მარტო დარჩებიო.

მერე ისინი სევადნენ. ორი ბოთლი ღვინო, რასაკვირველია, არ ეყოფოდათ. ბუჭუნია მარტო არ იყო. მას წითური კაკო და ნაპოლეონ ამბროსოვიჩი ახლდნენ. ბობრი კაკო ბუჭუნისა და ჭიჭიკოს ტოლი იყო, ნაპოლეონ ამბროსოვიჩი კი სამოც წელს გადაცილებული კაცი გახლდათ. მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი. ნაოკებით დაღარული ყავისფერი სახე ჰქონდა და ფერფლისფერი, თხელი თმა. ბოხი ხმით საუბრობდა და საუბრისას ნიჩბებივით დიდ ხელებს ტრაგიკოსი არტისტივით ამოძრავებდა. შეიძლება, ახალგაზრდობაში თეატრის მოტრფიალაც იყო, ვინ იცის? ან შეიძლება თანდაყოლილი არტისტიზმი აძლევდა ამ კაცს ასეთ ტრაგიკომიკურ იერს?! ომის დროს ნაპოლეონ ამბროსოვიჩი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ტყვეობიდან გაიქცა და სადღაც, შორეული იტალიის მთებში პარტიზანულ რაზმს მეთაურობდა. თავისი საბრძოლო საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებს მუდამ გულსიჯიბით დაატარებდა და როცა საჭიროდ თვლიდა, ხალხს აკითხებდა. მაგრამ ზოგჯერ ავღებულადაც იხსენიებდა თავის პარტიზანულ წარსულს, ახლა ეს ვის რაში აინტერესებსო, ამბობდა.

— Прошлое — это ерунда! Я за будущее, — იტყოდა ხოლმე და ჩაიხითხითებდა. ძნელი მისახვედრი იყო, ოხუნჯობდა თუ მართლა ასე ფიქრობდა, რადგან ეს კაცი ზოგჯერ თავს შეგნებულად ისულელებდა. ომიდან რომ დაბრუნდა, სმა დაიწყო. სმა აღრეც უყვარდა, მაგრამ ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ უფრო არაყს ეწაფებოდა, თუმცა არც ღვინოს თაკილობდა. დღენიადაგ მთვრალი იყო. ჭიჭიკოს ნაპოლე-

ონ ამბროსოვიჩი ფხიზელი არც უნახავს. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონ ამბროსოვიჩი სასმელს კარგად იტანდა. დადიოდა სტუმრად ნათესავებთან, მეზობლებთან, დალევა, იოხუნჯებდა, შემდეგ შინ დაბრუნდებოდა და დაიძინებდა. აყალმაყალი არ უყვარდა. მოსწრებული შვილები ჰყავდა, მაგრამ შინ გული არ უჩერდებოდა. ალბათ, შვილებს არ მოსწონდათ მამის ლოთობა. უცხო ხალხს სიამოვნებდა ნაპოლეონ ამბროსოვიჩთან დროსტარება, ისინი რას ჰკარგავდნენ? მშვენიერი მოსაუბრე იყო, გონებაამახვილი და ენამახვილი კაცი. გარეშეებთან დროსტარებაში ხომ ადამიანი ერთობა, ისვენებს და სრულიადაც არ ამყლავნებს თავის ნამდვილ სახეს?.. შინაურებს თავი მობურჯებული ჰქონდათ ნაპოლეონ ამბროსოვიჩისაგან.

ორი ბოთლი ღვინო, რასაკვირველია, არ იყო საკმარისი. ამიტომ ბუჭუნია მჯობიდან ტკიცინა თუმნიანი დააძრო და ერთი ბიჭი ღვინოზე გააგზავნა. ბიჭმა ღვინო მალე მოიტანა. სანამ ბიჭი ღვინოს მოიტანდა, ბუჭუნია ჭიჭიკოს ესაუბრებოდა. ჭიჭიკოს კარგა ხანია არ ენახა ბუჭუნია. ბუჭუნია გამოცვლილი ჩანდა. სერიოზულობას იჩემებდა. მაგრამ ერთი რამ ისევ უცვლელად დარჩენილიყო მათ ურთიერთობაში და ეს ჭიჭიკომ იმწამსვე იგრძნო, როგორც კი ერთმანეთს დაელაპარაკნენ. ჭიჭიკოს ისევ ძველებურად ერიდებოდა ბუჭუნისა, რაღაც ბორკავდა, თუმცა ახლა უფრო აშკარად გრძნობდა, რომ ბუჭუნია ბრიყვი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა ბუჭუნისა ესაუბრებოდა. ვერ იყო თავისუფლად. თვალის თვალში გასწორება უჭირდა. ძალდატანებით ცდილობდა პირდაპირ თვალებში შეეხედა მისთვის, მაგრამ ბუჭუნისა მოუსვენარი, ბრიალა თვალები ისე აწვებოდნენ სახეში, თითქოს ბურღავდნენ და აიძულებდნენ განზე გაეხედა, დაჰყოლოდა მის ნებას. ბუჭუნისა ისევ ისეთივე თავხედური, თავის თავში ზედმე-

ტად დაჯერებული კაცის გამოხედვა ჰქონდა, ჭიჭიკო ახლაც გრძნობდა ამას. რამდენი წელი გავიდა, მაგრამ ეს ურთიერთობა არ შეცვლილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ბუჭუნია ჭიჭიკოს გულთბილად, პატივისცემით ეპყრობოდა ახლა, ჭიჭიკოს მაინც ერიდებოდა მისი. ვითომ გულის სიღრმეში პატივისცემის ღირსად არ მიაჩნდა თავი? კი მაგრამ რით იყო ბუჭუნიაზე ნაკლები? ალბათ, იყო რაღაცით! ამის შეგრძნებისაგან ჭიჭიკო უსიამოდ გრძნობდა თავს, თითქოს ვიღაცას დაემორჩილებინა. რაღაცა ქენჯნიდა. შეიძლება ისიც კი, რომ ღვინო ბუჭუნიაზე მოატანინა და დაუკითხავად შეუღდა სმას ჭიჭიკოს დედის საფლავთან. თუმცა ისიც სავარაუდოა, თითონ ჭიჭიკოს რომ მოეტანა ღვინო, მაინც არ განუღებოდა ვიღაცაზე დამოკიდებული კაცის შეგრძნება. ორივე შემთხვევაში ჭიჭიკო ბუჭუნისას ნებას უნდა დაჰყოლოდა, რადგან მას შინ წასვლა უნდოდა. მას შინ წასვლა უნდოდა, მაგრამ ამის თქმა ახლა წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. ამაში გამოიხატებოდა მისი მორჩილება. ბუჭუნისას რომ სადმე წასვლა მოესურვებინა, ვინ დააკავებდა? ვერაინ! ჭიჭიკო კი რატომღაც ვერ ბედავდა თავისი სურვილის გამოთქმას, თუმცა შინ წასასვლელად მიზეზი ჰქონდა, და სვამდა ბუჭუნისასთან ერთად, მაშინ როდესაც საქეიფო განწყობაზე არ იყო. თუნდაც იმიტომ, რომ ბახვა კვდებოდა. ბუჭუნია კი ცხოვრებაში გამობრძმედილი, ბევრის მნახველი კაცივით იქცეოდა, თამამად ლამაზაყობდა. ნაპოლეონ ამბროსოვიჩის თანატოლივით ეპყრობოდა. ჭიჭიკო გულსტიკვილით თუ შურით გრძნობდა, რომ თვითონ ამდენს ვერ გაუბედავდა ნაპოლეონ ამბროსოვიჩის, მოერიდებოდა უფროსისა. ამისათვის რაღაცა აკლდა. ის, რაც ბუჭუნისას ჰარბად ჰქონდა...

ისინი სვამდნენ და საუბრობდნენ. ჭიჭიკო ვერ ხალისდებოდა, თითქოს თავისუფლად კი არ ატარებდა ღროს, არამედ უცნაურ მოვალეობას თუ ხარკს იხდიდა. ჭიჭიკო ჩუმად იყო. ნაპოლეონ

ამბროსოვიჩი წელში გამართული იდგა, როგორც ძველ მეომარს შეჭფერის რატომღაც თავს იმართლებდა:

— რა ექნა, ბატონებო, ერთი უმნიშვნელო კაცი ვარ, ვინმეს რამეს ხომ არ გიშავებთ? — ამას ნაპოლეონ ამბროსოვიჩი ნაძალადევი სერიოზულობით კითხულობდა.

— აჰ, როგორ გეკადრება, ამბროსოვიჩი! — ამშვიდებდნენ მას.

— თქვენ ახალგაზრდები ხართ, აწი თქვენ უნდა მოუაროთ ქვეყანას, — მჭექარე ხმით დაიღრიალა უცებ ნაპოლეონ ამბროსოვიჩმა და თვალები დააბრიალა. ერთ ხანს ასე იცქირებოდა. მეორე ისევ ჩაიხიხითია, მოეშვა, (ხუმრობდა თუ მართლა ბრაზობდა?) — ჰე-ჰე-ჰე! მე ერთ ჭიჭის დავლევ და... И все! больше не буду вас беспокоить!

— Никакой беспокоий! — გააწყვეტინა ბუჭუნია და ცარიელი ჭიჭა ხელახლა აუესო ნაპოლეონ ამბროსოვიჩს.

ამჯერად ჭიჭიკოს მშობლებისა შესვეს, მერე კი ამას იმ ქვეყნად უდროოდ თუ დროულად წასული ყველა ნათესავისა და მეზობლის სადღეგრძელო მოაყოლეს. სადღეგრძელოებს ბუჭუნია ამბობდა.

— ე, ბიჭო, მოვიგონოთ, რა დააშავა იმ ხალხმა, ა? — დარდიმანდულად იკითხა ბუჭუნია, თითქოს იმ საწყალ ხალხს ვინმე რაიმე დანაშაულს სწამებდა და თვალბუქში მიაჩერდა შეინახებდა. და უეცრად ჭიჭიკო მიხვდა, რით ჩამოუვარდებოდა ბუჭუნისას. ბუჭუნია არაფერზე არ ფიქრობდა. ბუჭუნია არავის არ აკვირდებოდა, მხოლოდ თავს ირთობდა და თავისი თავის გარდა არც არავინ და არც არაფერი აინტერესებდა.

— კარგი სადღეგრძელოა, ღმერთმა შეიწყალოს!

— მოსავანარი იყოს!  
— ფრიალ საგულისხმო სადღეგრძე-

**გურამ გვაგუშიძე**  
აპრილი

ლოა, მომწონს! — ჩაუტოთ ნაპოლეონ-  
მაც, — ისე, თქვენ კარგი ახალგაზრდები  
ჩანხართ. უნდა მომიგონოთ, აბა? მე  
რომ მოგვედები, მეც უნდა მომიგო-  
ნოთ... მაგრამ ამას მოვეშვათ, — არ ეს-  
იამოვნა ამბროსოვიჩის საკუთარი სიკვ-  
დილის ხსენება და ხელი გაიქნია, თით-  
ქოს ბუზი მოიშორა, Memento mori —  
წამოიძახა მერე, ალბად იტალიაში გა-  
გონილი ფრაზა და ღვინო ერთი ყლუ-  
პით შესვა. — მშვენიერი ღვინოა, ხომ  
იცო? ამისთანა ღვინო ჩემ სიცოცხლე-  
ში არ დამიღვია!

ბუქუნისა გაეცინა.

— ამბროსოვიჩ, იტალიაში არ გას-  
მევდნენ ღვინოს?

— რათ ვარგა, ბიჭო, იტალიის ღვი-  
ნო? იტალიურ ღვინოს ჩვენი ადესა ჯო-  
ბია.

— ეჰ, კარგი კაცი ხარ ამბროსო-  
ვიჩ! — ამოიგმინა ბუქუნია. მას რა-  
ტომღაც ძალზე მოეწონა მოხუცის პა-  
სუხი და ხელი წელზე შემოხვია. — მე  
არ ვიყო ბუქუნია ჯღამაძე, თუ შენ  
დღეს არღანზე არ გაქეიფე! — დაიქად-  
ნა მერე.

— ბიჭოს! შენ ჯღამაძე ხარ? — გა-  
უყვირდა ნაპოლეონს, თუმცა საოცარი  
არაფერი იყო.

— აბა? — ცოტა არ იყოს შეცბა ბუ-  
ქუნია ჯღამაძე.

— საიდან გაქვს მერე ამდენი ფუ-  
ლი? — ჩაიხიბითხითა ახმახმა მოხუცმა.

— ჩემი შრომით მონაგარი ფულია,  
ბიძია. კალატოზ კაცს ჩვენ დროში  
ფულს რა გამოუღევს? ხომ ხედავ, აშ-  
ენდა ქვეყანა, ყველა ორსართულიან  
სახლს იღვამს.

— აბა, აბა — დაეთანხმა ნაპოლეო-  
ნი, — მერე შენ რას უცდი, ვერ წამო-  
კიმავე ოდას?

— მე მოქეიფე კაცი ვარ, რასაც  
ვშოულობ, ვჭამ, — ამაყად განაცხადა  
ბუქუნია და ამ სიტყვებზე კაკოს გაე-  
ცინა, ვითომ ჩვენი ბუქუნია მართლაც  
ასეთი კარგი კაციო.

— ღმერთმანი, ბუქუნისა კაბიკი არ

შეაქვს სახლში, რასაც შოულობს  
კაცებში ჭამს, — თქვა კაკო.

— ყოჩაღ, ბიძია, — მოუწონა ნაპო-  
ლეონ ამბროსოვიჩმა, მაგრამ მერე თა-  
ვი ასწია და ბუქუნისა მიაცქერდა, —  
ამდენ ფულს რომ ჭამ, სახლში პატრო-  
ნი არა გყავს?

— ჰე-ჰე! — ისევ ამაყად ჩაიციხა ბუ-  
ქუნია, — ჩემმა ქალმა ქე იცის, რა  
ხვითოც ვარ. აბა, რომ მომყვებოდა რას  
ფიქრობდა? — თავისი ქალი რომ ახსე-  
ნა, ბუქუნისა ხმაში ერთგვარი თავმო-  
წონება გამოკრთა.

— ქალი, ბიძიკო, პირველ ხანებში  
უფულობას გააპატიებს, მარა მერე... —  
ნაპოლეონმა ეშმაკურად ჩაიხიბითხითა და  
დანარჩენებს თვალი ჩაუტრა, — ზოგ  
რამეს რომ მოაკლებ...

— ნუ გეშინია შენ, არაფერს არ მო-  
ვაკლებ, — გაიღრიჭა ბუქუნია, მაგრამ  
მისი ღიმილი უფრო დაფარულ ექვს  
ჰგავდა. ნეტა რა ჰქონდა საეჭვო?

შემდეგი სადღეგრძელო ნაპოლეონ  
ამბროსოვიჩისა წარმოთქვეს, აქვს და  
ადიდეს. ირგვლივ ხალხი ირეოდა. ნაპო-  
ლეონი ხითხითებდა და თავის კანტუ-  
რით მადლობას იხდიდა.

— რა ღირსი ვარ, რა ღირსი ვარ...

მაგრამ ღვინომორეული ახალგაზრ-  
დები სიტყვებს არ იშურებდნენ. ერთ-  
ბაშად ჭიჭიკოსაც მოუნდა რაღაც თბი-  
ლი და მნიშვნელოვანი ეთქვა. მაგრამ  
რატომღაც სათქმელს თავი ვერ მოუყა-  
რა, თითქოს აზრები სივრცეში იპნეოდ-  
ნენ. სამაგიეროდ ისე მაგრა მიუქახუნა  
ჭიჭა ნაპოლეონს, რომ ნაპოლეონი წა-  
ბარბაცდა და ღვინო გადმოეღვარა, თუ-  
მცა უმამლა აუვსო. მაგრამ ბუქუნია  
მაინც შეეკითხა:

— დალევ, ამბროსოვიჩ?

— ბიჭოს, აბა რას ვიზამ? აბა რის-  
თვის ვარ მე აქ?

— რა ვიცი, რაღაც...

— დარდი ნუ გაქვს. Все пропем,  
но флот не опозорим!.. დამისხით  
ღვინო.

სმა გრძელდებოდა. როცა ჭიჭიკოს  
ჯერი დაღვა, ყველა ენად გაიკრიფა. ამ  
ღროისათვის ყველანი საკმაოდ შეთერ-





ნენ და ალბათ იმიტომ, ჭიჭიკოსაც მოეკიდა ღვინო. უსმენდა დათაფლულ სიტყვებს, რომლითაც მას მიმართავდნენ და სადღეგრძელოში ნათქვამი სასიამოვნო სიტყვები სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. ბუჭუნამ ბავშვობის ტყბილი მეგობრობა მოაგონა და უეცრად ჭიჭიკომ იგრძნო: სრულიადაც არ ეჯავრებოდა ბუჭუნია, აღარ ახსოვდა დიდი ხნის წინათ ცხვირიდან წამსკდარი სისხლი, და თუმცა თავიდან მაინცდამაინც არ ეპიტნავენბოდა ბუჭუნისთან ერთად ღვინის სმვა, ახლა კმაყოფილი იყო და არაფერს ნანობდა.

მშენიერი გრილი დღე იდგა, ჩიტები განუწყვეტლივ სტვენიდნენ.

— ახლა სასადილოში წვედივით და გავაგრძელოთ ქეიფი! — განაცხადა ბუჭუნამ. მან ხელი მოხვია ჭიჭიკოს და ნაპოლეონ ამბროსოვიჩის და გასასვლელისაკენ გამოეშურა. ჭიჭიკო კარგ გუნებაზე იყო. ის გრძნობდა ძალას და იმედს, რაღაცა სურდა, რაღაც სასიამოვნოზე ფიქრობდა, როცა საფლავებს შორის მოაბიჯებდა ბუჭუნის მხარდამხარ, მთვრალი ხალხის გარემოცვაში, და მერე იმ სასიამოვნო ფიქრმა თუ ფიქრისგან გამოწვეულმა განწყობამ ერთბაშად მკაფიო ფორმა მიიღო, ქალის სახედ ჩამოყალიბდა. ჭიჭიკოს აუტანლად მოუნდა ყუყუნას ნახვა. ისე მოუნდა, როგორც დახუთულ, ბნელ ოთახში ჩაკეტილ კაცს სუფთა ჰაერი და ერთბაშად საცხებით ნათლად გაიზარა. იმ სამი წლის განმავლობაში, სამშობლოდან მოშორებით რომ გაატარა, ერთადერთი ოცნება ასულდგმულებად, ყუყუნასთან ხელმეორედ შეხვედრის სურვილი. თვითონაც არ ეგონა რომ ეს სურვილი თუ ოცნება ასე ძლიერ ჰქონდა გამჯდარი სულში. ახლა მას არაფერი ენადვლებოდა, არც ბახვას ავადმყოფობა, არც ის, რომ დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ბუჭუნის დაიჭერდნენ და ციხეში ჩასვამდნენ, ყუყუნასთან ერთად ენახათ ის ცხენისწყლის პირზე. წარმოუდგენლად მოენატრა ომბალოსა და ფქვილის

სასიამოვნო სუნით გაყდენილი სხეული ყუყუნასი, ხოლო მომავალი ცხოვრება, სასაფლაოზე შეგროვილი მთვრალი ხალხი და გაზაფხულის ღრუბლიანი დღე საოცრად მიმზიდველად მოეჩვენა. ყველაფერი მშვენიერი იყო, და ამ შინაგანი სიმშვიდის, იმედიანობის და კმაყოფილების შეგრძნება არ ტოვებდა მას მაშინაც კი, როცა სოფლის ცენტრში, სასადილოში გაჰყვა ბუჭუნის ქეიფის გასაგრძელებლად, თუმცა უკვე აღარა ჰქონდა სმის ხოში. მაგრამ ის მტკიცედ იდგა ფეხზე. ფიცრული სასადილოს ვიწრო ოთახში კედელს მიყრდნობილი ღია ფანჯრიდან გასცქეროდა მწვანეში ჩაფლულ სივრცეს, სოფლის მტკრიან შარაგზას, ამ შარაგზაზე ამვლელ-ჩამომვლელებს, შორეულ ოდასახლებს, ცხენისწყლის პირზე მობალახე ჯალავ ცხენს, და ყურს არავის უგდებდა, სადღაც სხვაგან იყო წასული, თავისი ტყბილი ოცნებების სამყაროში, სევდიანი და ბედნიერი ამავე დროს. მთვრალი ბუჭუნია ველურად აბრიალებდა თვალებს და ღვინოს თხოულობდა. ბობრი კაკო უშლიდა, მეტი აღარ არი საქიროო, ნაპოლეონ ამბროსოვიჩი ცხენივით ზეზეურად თვლემდა, ჭიჭიკო კი უსასრულოდ შორს იყო მათგან, რაღაც უცნაურ, საამურ იმედს ელოლიავენბოდა გუნებაში, მთელი არსებით სწამდა, რომ სამი წლის მოთმინება ჯილდოდ გადაექცეოდა, აუხდებოდა ოცნება, როგორც კი სასადილოს დასტოვებდა და გამოვიდოდა გარეთ, სუფთა ჰაერზე. ამასობაში:

— ბუჭუნია, ერთი წუთით, ვთხოვენ! — ოთახში თავი შემოჰყო ახალგაზრდა დაწლიდარმა.

— ვინაა? — არც კი შებრუნებულა, ისე იკითხა ბუჭუნია.

— შენი ქალა!

ბუჭუნის ვითომ ეწყინა, მაგრამ კმაყოფილი ღიმილი ვერ დაფარა.

— მოვიდეს აქანა!

**გურამ გვაგუშია**  
აკრილი

დახლიდარი გაბრუნდა და ცოტა ხნის მერე ოთახში ყუყუნა შემოვიდა. ოთახში შემოსული ლურჯაბიანი, ტანსრული ქალი ნამდვილად ყუყუნა იყო. ჭიჭიკო თვალებს არ უჯერებდა. დიახ, ეს იყო ყუყუნა. თვითდაჯერებული, მოლიმარი, უკმაყოფილოც. კი მაგრამ საიდან, როდის? ესე იგი...

— გამარჯობა თქვენ!

— რა გინდა, ქალო, რაზე მოდი?

— სახლში მივდივარ და შემოვიარე, რა იყო ვითომ?

ისეთივე თამამი და მოურიდებელი, როგორც მაშინ, აივანზე რომ ამოძვრა შუალამისას და ჭიჭიკოს უთხრა: არ მეძინებო. ამ ქალმა ყოველთვის იცოდა, რა სურდა და, როგორც ჩანს, მოთმენა და ლოდინი არ უყვარდა. ისეთი მშვიდი დიმილით შემოხედა ჭიჭიკოს, როგორც ახლობელ ბიძაშვილს შეხედავენ ხოლმე.

— რაეა ხარ ჭიჭიკო, როდის ჩამოდი?

არავითარი მღელვარება. სრული სიმშვიდე და თავშეკავება. ჭიჭიკოს კი სიტყვის დაძვრა გაუჭირდა. გული აუთრთოლდა და რაღაც დაეჭიმა სხეულის სიღრმეში, გაღიმებაც ვერ მოახერხებია.

— რა მიჭირს, ერთი კვირაა ჩამოვედი...

— ქალო, არ მოვდივარ მე სახლში. ამბროსოვიჩი, გაიცანი ჩემი მეორე ნახევარი.

ბუჭუნისას ხმამ ამბროსოვიჩი გამოაფხიზლა. მან თავი უკან გადასწია და ყუყუნას დააკვირდა.

— ბიჭო, ამაზე უკეთესი ქალი ვერ მოიყვანე? — ცხენივით დაიჭიხვინა ამბროსოვიჩმა და ყუყუნას ხელი გაუწოდა. ახლა კი დაიბნა ქალი, ცოტათი წამოწითლდა, მაგრამ ამბროსოვიჩმა იმწამსვე თავი იმართლა:

— არ გეწყინოს გენაცვალე, მიყვარს ხუმრობა... ერთი უმნიშვნელო კაცი ვარ, ნაპარტიზანალი. შენზე უკეთეს ქალს ვინ მიაშავებდა ამ ოხერს, — ნაპოლეონმა ბუჭუნისასკენ გაიშვირა ხე-

ლი და ისევ ყუყუნას მიუბრუნდა: პატრონი არა გყავს, ბიძია? რიან ლოს როგორ წაყევი?

ბუჭუნისას ესიამოვნა ამბროსოვიჩის ხუმრობა, განსაკუთრებით ლოთი რომ უწოდეს და სახეგაბადრულმა დახლიდარს თავმომწონედ გასძახა: ღვინო!

— ბუჭუნია, გეყოფა აწი! — მკაცრად უთხრა ყუყუნამ, — მთელი დღე ვადაღმა ხარ, სირცხვილი არა გაქვს? რა ამბავია ამდენი სმა?

ყუყუნა შეცვლილი ჩანდა, დასრულებული, დამძიმებული...

— არაა მაგი შენი საქმი!

...მაგრამ მაინც ისეთივე ხორბლისფერი, მწვანეთვალეა და ვნებიანი. რა ნაცნობი იყო ჭიჭიკოსთვის ეს მკაცრი ტონი. ოდესღაც ფანჯარაზე აკრულ ჭიჭიკოსაც ხომ ეუბნებოდა: სულერთია, არ გაგიღებ, არ შემოგიშვებ ოთახშიო. და თითქოს ახლაც, ბუჭუნისას რომ მიმართავდა, იმავე სიტყვებს იმეორებდა, ოდესღაც ჭიჭიკოსთვის ნათქვამს. ნაცნობ სიტყვებს, გამომწვევს, გამაღიზიანებელს. ჩალასავით გაშლილი ქერა თმა ახლა კეფაზე დაეგრაგნა. ღია გულისპირიდან მკერდის ნაწილი მოუჩანდა. ძუძუს ძირში ხომ ხალიც ჰქონდა? მოაგონდა უცებ ჭიჭიკოს და სახეზე ალმური მოეკიდა. ენაჩავარდნილი იდგა იგი და საოცრად უცხოვდ გრძობდა თავს, თითქოს ამ ცხოვრების სტუმარი იყო, ვიღაც უსაქმო და უსარგებლო მეთვალყურე. ყველაფერი ჭიჭიკოს გარეშე ხდებოდა, დაკეტილი იყო იმ ოთახის კარები, სადაც აუტანლად სწყუროდა შესვლა, მაგრამ არასდროს, არასდროს არ უშვებდნენ ჭიჭიკოს იმ სანეტარო ოთახში, და იდგა იგი ახლაც კედელთან უცნაური ხუნდებით დამძიმებული და ამავე დროს ყველაფრისგან დაცლილი, ცარიელი, უცხო.

ალარც კი ახსოვდა, როგორ გამოვიდა სასადილოდან. ფართოფანჯრებიანი ერთსართულიანი თეთრი სახლი წარმოადგენდა სოფლის სასადილოს. ჭიჭიკოს არ ახსოვდა, როდის გამოვიდა ამ თეთ-



რი სახლიდან. ალბათ, მას მერე, რაც ყუყუნამ დასტოვა იქაურობა. ალბათ, იმიტომაც ვასტკეროდა დიდხანს გზას. მაგრამ გზაზე არავინ ჩანდა. მხოლოდ თეთრი ვერხვები შრიალებდნენ და მოსახვევში, შარაზე გამოსული ძაღლები უღრანდნენ ერთმანეთს. ყველაფერი სიზმარს ჰგავდა. ლეონომ და იმედგაცრუებამ დროის რალაც მონაკვეთში გონება დაუბინდა და მთვარეულივით მოძრაობდა თუ მოქმედებდა. ბანცალით შეაბიჯა სასადილოს პატარა ეზოში. სასადილოს თავისი ეზოც ჰქონდა, ათასგვარი ხარახურით, უსარგებლო კასრებიტა და ყუთებით მოფენილი. მესერს მიაწვა და დიდხანს შარდავდა. საზზარეულოს კარებიდან ხანშიშესული დამლაგებელი ქალი გამოვიდა, რალაც ყუთი გამოიტანა და სადღაც მიაგდო, მაგრამ ჭიჭიკოს, მიუხედავად იმისა, რომ ესმოდა ამ ქალის ხმა, თავის საქმე არ შეუწყვეტია, თუმცა მაინც შერცხება. მაგრამ „არაფერია, არაფერი“, — ჩაილაპარაკა ჩუმად და უსაზღვროდ ვაშლილ ნაცრისფერ ცას აჰხედა. დიდი და ნათელი დღე თავს დაჰფენოდა დედაამიწას, შორეულ ტყეებს და ჭალებს, მაგრამ ჭიჭიკოს სული ეხუთებოდა, არ ჰყოფნიდა ჰაერი და შარვალი რომ შეიკრა, მკერდი გაიღვია. ბუჭუნია, ამბროსოვიჩი და ბობრი კაკო ლეონოში იღრჩობოდნენ. ჭიჭიკოს ესმოდა მათი ღრინაცელი.

— ჭიჭიკო! — ეძახდნენ ისინი, მაგრამ ჭიჭიკო აღარ შებრუნდა სასადილოში. თავჩაქინდრული, ბანცალით გაუდგა გზას. დღევანდელ დღეს ყოველგვარი მნიშვნელობა დაეკარგა მისთვის. არც მომავალი ჰპირდებოდა რაიმეს სამედლოს. რასაკვირველია, თავის მოტყუება ბედნიერებაზე ფიქრი. მხოლოდ გულუბრყვილო კაცს შეუძლია თავი ბედნიერად წარმოიდგინოს, ან საერთოდ ირწმუნოს ბედნიერების არსებობა. ჭიჭიკო გონებაფხიზელი კაცი იყო, რა ვუყოთ რომ დღეს უღმერთოდ დათვრა? მაინც არ მოიტყუებს თავს, არავითარ შემთხვევაში. დაე, სხვებმა წარ-

მიდგინონ თავი ბედნიერად, დაე, სხვები მოტყუებდნენ. ჭიჭიკოს ასეთი ზრამე არ შეეშლება. არავითარ შემთხვევაში არ შეეშლება. „არა ჭიჭიკო?“ — ხმამალა იკითხა მან და გაეცინა.

ქალებს შორის ვაჭიმული ლარივით სწორი გზა სადღაც შორს, უსასრულობაში მიემართებოდა და იქ იკარგებოდა. ჭიჭიკომ ველარ მოიგონა, სად მიდიოდა ეს უკაცრიელი შარა. ირგვლივ ჭეჭილი ბიბინებდა. დაბნეული ბელოებში თითქოს საგანგებოდ ჩაერგათ საყანევებში. მზემ გამოანათა. მწვანე ხასხასა მოლი, მზის სხივებით ოდნავ შეყვითლებული, ალაგ-ალაგ ხეტა ჩრდილების მუქი ლაქებით იყო დატვიფრული. მზე ისევ მიიმალა. ისევ გამუქდა გარემო. ჭიჭიკოს სიამოვნებდა ღრუბლიანი დღე. შუკაში შეუხვია. სუნთქვა და სიარული უჭირდა, მუხლები ეკეცებოდა. შუკაში ნაკელის სუნი იდგა, შორს, ვიღაცის კარმიდამოდან ბოლი ამოდიოდა. ვერაფრით ვერ მოიგონა ჭიჭიკომ, სად მიდიოდა ორთავ მხარეს სხლტეთი და თხმელებით შემოზღუდული შუკა. შორეული საძოვრიდან ძროხის ბლავილი გაისმა და ამ ბლავილმა ჭიჭიკოს მოაგონა თბილი რძის გემო, ფქვილის და თივის სამაური სუნი და ისევ მოენატრა ყუყუნა, ისევ ისეთნაირად მოუნდა, როგორც ამ დილით თუ შუადღით, სასაფლაოდან გამოსულმა, სასადილოში კედელთან მდგარმა რომ გაიფიქრა ამ ქალზე, რომელმაც—ახლა უკვე ცხადი იყო,—ჯერ კიდევ სამი წლის უკან აუფორიაქა სული. ჭიჭიკოს არ შეეძლო არ ეფიქრა ყუყუნაზე. აღარ შეეძლო ამ გადაულახავი სურვილის დაძლევა. მაინც რა თილისმა ჰქონდა ამ ქალს ასეთი? გონება ველარ იმორჩილებდა წინანდელი შეგრძნების მოგონებით გამოწვეულ მოთხოვნას სხეულისას, და უცებ თვითვე იგრძნო, როგორ იოლად დაჰყვა გონება გამძვინვარებული სხეულის ძა-

**შურამ ბაგაშიძე**  
აკრილი





ხილს. მან გადაწყვიტა ყუყუნასთან მისვლა. დასაწყისში, ვიდრე ასეთი ნაბიჯის შესაძლებლობას დაუშვებდა, მან იცოდა, რომ ეს ფლილობა და სულმდაბლობა იყო. მაგრამ ახლა აზრი შეეცვალა. ახლა ჭიჭიკოს სავსებით ბუნებრივად მოეჩვენა თავისი გადაწყვეტილება. ისევე ბუნებრივად, როგორც ბუნებრივი იყო მისი დაუოკებელი სწრაფვა ამ ქალისკენ. და როცა ეს გადაწყვეტილება მიიღო, უცნაური სიამოვნებაც კი იგრძნო, თითქოს სამაგიეროს უხდიდა ბუჭუნას. თითქოს ბუჭუნას ედო ბრალი იმაში, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ჭიჭიკო გაუბედავი, მორიდებული და უპრეტენზიო კაცი იყო და ამის გამო ყოველთვის დაუქმყოფილებელი რჩებოდა, ყოველთვის იგვიანებდა და ვერასოდეს ვერ აღწევდა საწადელს. „სითამამეა საჭირო, მე სითამამე მაკლია“, — თამამად გადაწყვიტა ჭიჭიკომ. მას მოაგონდა, რომ სადღაც, სწორედ ამ შუკის ბოლოში, იდგა ბუჭუნის ორი თვალი ქოხი, ყვარით დახურული ფიცრული, განმარტობით მდგარი, რომ დაიყვირო, მეზობელს ხმას ვერ მიაწვდენ, და ეს გარემოება ახლა რატომღაც მეტისმეტად ეამა. გონებას კი არა, თვით ვნებას მიჰყავდა ჭიჭიკო იქ. იქნებ, არღირდა? არა! არა! ჯერ ყველაფერი არ იყო დაკარგული. არაფრით არ ეთმობოდა ყუყუნა, თუმცა სხვა კაცი ჭიჭიკოს ადგილზე ალბათ ხელს ჩაიქნევდა. მაგრამ ჭიჭიკო ვერ ახერხებდა ხელის ჩაქნევას. მაშის სამი წელი ფუჭად იოცნება? გიყი კი არ იყო, რომ სამი წლის განმავლობაში სულ ერთი და იგივე სახე ედგა თვალწინ! ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, დღეს ყუყუნამაც გაუღიმა: „რავა ხარ, ჭიჭიკო, როდის ჩამოდიო?“ სხვა რა უნდა ექნა? კისერზე ვერ ჩამოეკიდებოდა. ნამდვილად ეამა ჭიჭიკოს ნახვა. ვინ იცის, იქნებ ამ სამი წლის განმავლობაში ისიც ხშირად ფიქრობდა ჭიჭიკოზე? თუ ჭიჭიკომ ვერ შესძლო ყუყუნას დაევიწყება, რა გასაკვირია, ყუყუნასაც ხში-

რად მოჰგონებოდა ჭიჭიკო. შეიძლება, ახლა ზოგ რამეს ნანობს კიდევ. ლება იმიტომაც შემოვიდა სასადილოში, რომ უთხრეს, შენი ქმარი ჭიჭიკოსთან ერთად სვამსო. იქნებ, სულაც ჭიჭიკოს ნახვა უნდოდა. ალბათ, გაუხარდება ახლა ჭიჭიკოს ნახვა. მით უმეტეს, ბუჭუნია სასადილოშია და დღინოში იღრჩობა, არაფრის თავი არა აქვს. სწორედ შესაფერი დროა ყუყუნასთან მისასვლელად.

მაინც არ არის საკადრისი ასე ქურღივით მიპარვა, სანამ ბუჭუნია სასადილოში იღეშება. მაგრამ თუ ასე იფიქრებს და ისევე კადრება არკადრება შეაყოყმანებს, ვერაფერს ვერ მიიღებს. თუ იმ ხალხისთვის მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი საკადრისია, ვითომ ჭიჭიკო რა გამონაკლისს წარმოადგენს? რამდენჯერ შეუჩერებია თავმოყვარეობას, სინდისს, ნამუსს და ამგვარ სისულელებს, ბოლოს კი ხახამშრალი დარჩენილა. მეტისმეტი თავმოყვარეობაც ხომ ძალზე ხშირად მორცხვობის და გაუბედაობის დასაფარავად შექმნილი ფანდია? ახლა აქვს დრო. მთვრალია და თამამი. თავი რომ ნორმალურ კაცად იგრძნო, ყოველთვის სჭირდებოდა სასმელის გარკვეული დოზა. ახლა უნდა მისცეს გასაქანი ვნებებს და სურვილებს. რა მშვენიერი შეგრძნებაა, როცა გადალახავ იმ ზღუდეს, რომლის წინაშე ყოველთვის უკან იხევდი. რა უსაზღვრო თავისუფლება! რის სინდისი, რა ნამუსი?! რა ჯობია ამ თავისუფლებას, როცა შინაგანე ხმა დღმს, როცა მხოლოდ შენი საკუთარი სურვილი არსებობს და მიჰყვები მას შეუზღუდავად?!

აჰა, ბუჭუნის კარმიდამოც გამოჩნდა. ჭიჭიკო დაიღალა და ცოტა ხნით ბილიკის პირას მდგარ არღევანის ხეს მიეყრდნო, ატმისყვავილას. ბახვასგან ჰქონდა გაგებული, ასეთ ხეზე ჩამოიხრჩოო თავი ოდესღაც იუდამ. რატომღაც არ ესიამოვნა ეს მოგონება, მაგრამ საოცარი სიმწვანე არაამქვეყნიურ სინათლესავით იდგა ირგვლივ. ხასხასა მდე-



ლოს იაყუყუნა მოსდებოდა. ნეტა შინ არის ახლა ყუყუნა? როგორ მიიღებს? რა დროს ოდესღაც მომხდარ სისულელებზე ფიქრია. მთავარია ის წამი, რომლითაც აი ახლა ცხოვრობ. დანარჩენი ყოველივე სისულელეა. იქნებ, ახლა საჭირო და აუცილებელიც არი ყუყუნასთან მისვლა, თუმცა ჭიჭიკოს მთლად საკადრისად ჯერ კიდევ ვერ ეჩვენება ასეთი საქციელი. მაგრამ ისიც რამდენჯერმე მომხდარა, რომ კაცს შენი ჭკუით სიკეთეს უკეთებ და სინამდვილეში ბოროტება გამოგდის. საწყალი ლუკა, ბუჭუნისა ბიძა, ენამოსწრებული, ოხუნჯი კაცი! ღვინო უყვარდა. დღენი-დავ სვამდა. ერთხელ მისი სიკეთის მოსურნე ცოლმა სასამელში რაღაც წამალი ჩაუყარა, ვიღაც მოექიშმაში დედაკაცმა ასწავლა, ღვინოს შეაძულესო. მაგრამ მოიწამლა ის უბედური და მოკვდა. ცოლის კეთილი განზრახვა ასე შეატრიალა ცხოვრებამ ბოროტებად. არ ჯობდა ცოცხალი ყოფილიყო და ესეა? თუმცა, რა დროს ლუკაა?..

ჭიჭიკომ სული მოითქვა და ბუჭუნისა ეზოს მიუახლოვდა. ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, რათა უკანასკნელი მიჩქმალული ეჭვიც ჩაეხშო სულში. ირგვლივ არავინ ჩანდა, მხოლოდ ყარანა ჩიტების გადაბმული სტვენა ისმოდა. დაუდევრად შეაღო ჭიჭიკარი, რადგან იცოდა სახლის პატრონი შინ არ იყო. და რაღაც აქამდე უჩვეულო, გამოუცდელი შეგრძნება დაეფლა, შეგრძნება მოძალადესი, გადამთელველის, შეგრძნება, რომელიც შინაგანად აცარიელებდა, ამსუბუქებდა, ათავგნებდა და რატომღაც ვიღაცაზე თუ რაღაცაზე ამძვინვარებდა კიდევ. ქოხის წინ ზამბახები ჰყვოდა. ეზო მშვენივრად იყო მოვლილი. ჭიჭიკო აივანს მიადგა და ღია ფანჯრიდან ოთახში შეიხედა. ოთახის შუაგულში სუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა. კედელზე ბუჭუნის მშობლების გადიდებული სურათი ეკიდა. ჩიტები ისევ გალობდნენ. სახლს მოუარა და ლაფაროში შევიდა. სვეტებზე გაბმულ სინაზე სარეცხი ეკიდა, ქალის ვა-

რდისფერი საწმერთული და მამაკაცის ნიფხავ-პერანგი. რატომღაც ჩექმები ამოიწია და ნაბიჯი გადადგა. შემთხვევით ჯორკოს წაჰკრა ფეხი.

— რომელი ხარ? — გაისმა ქალის ხმა. ჭიჭიკო შედგა. მერე ლაფაროში ყუყუნა გამოვიდა. მან გაკვირვებით შეხედა ჭიჭიკოს. ხელები საპნის ქაფით ჰქონდა მოსვრილი. სახეზე ოფლს დაესხურა. წინსაფარი საპნიანი წყლით დასველებოდა. საპნის სუნი გამოიტანა ქალმა ვარაუთ. ხელები სველ წინსაფარზე შეიმშრალა.

— რა ვინდა, ჭიჭიკო? — რატომღაც შემფოთებით იკითხა და სწორედ ამ შემფოთებულმა ხმამ აღუძრა ჭიჭიკოს ხელმეორედ ის ვნება, რომელიც საწმერთულის დანახვამ უფრო მეტად გაუშმაფრა, მაგრამ საპნის სუნმა და ოფლიანმა სახემ ერთი წუთით მთლიანად ჩაუხშო.

— რაღაცა უნდა გითხრა, — უაზროდ გაიცინა ჭიჭიკომ და ქალს მკლავზე წაეპოტინა.

— გაიწიე იქეთ, — ხელი აუკრა წარბებშეკრულმა ყუყუნამ, — შენ ხომ არ გადარეულხარ?

ჭიჭიკო წაბარბაცდა, მაგრამ ისევ გასწორდა.

— რრა იყო, შშე ქალო, ხელი არ მომიკიდებია შენთვის თუ რა?

— ვისთვისაც მოგიკიდებია, იმას მოკიდე და დაილუპე აქედან!

ჭიჭიკო გაოცდა. ასეთ რამეს სრულებით არ ელოდა. ერთი წამით, სინდისი თუ რაღაც ამისი მსგავსი შეშმაშურდა სულში და გაბრუნება მოუნდა, მაგრამ იმ წამსვე წარმოიდგინა, თუ რა გუნებაზე დადგებოდა აქედან ბირში ჩალაგამოვლებული რომ გაბრუნებულიყო და უეცრად ებდღვნა ქალს და ხელები წელზე მოხვია, მაგრამ მყისვე სილა მოხვდა სახეში, და ბლლარძუნში და ჭიდაობაში ჭიჭიკოს სრულებით დაავიწყდა თუ რა უნდოდა, რას ესწრაფვოდა. ის გრძნობდა, რომ მწარე სილა ხედე-

**გურამ ბეგუშიძე**  
აპრილი



ბოდა სახეში, ცხვირიდან სისხლიც წას-  
 კდა, მაგრამ თვითონაც იქნევდა ხელებს  
 და გამეტებით ურტყამდა აქვითინებულ  
 ქალს, ოლონდ რატომ, რისთვის, — ვე-  
 ღარ გაეგო. რაღაცას გაემწარებინა, რა-  
 ლაცას ებრძოდა, რაღაც უნდოდა მო-  
 ესპო, ამოეგლიჯა, ამოეძირკვა გულიდან  
 და დაუნდობლად იქნევდა ხელებს. მე-  
 რე დაიღალა. აქლოშინებული იდგა  
 სვეტთან და იდაყვით ცხვირიდან სისხლს  
 იწმენდა. თავებრუ ეხვეოდა, თითქოს  
 ბინდდებოდა უკვე. აქვითინებული ყუ-  
 ყუნა ლაფაროს კუთხეში ეგდო და გვე-  
 ლივით სისინებდა:

— შე გაფუჭებულო, შე თავსლაფდას-  
 ხმულო, მოგკლავს ბუჭუნია, ვერ გა-  
 დაურჩები...

— როგორ სწყუროდა ჭიჭიკოს ახლა  
 ვინმე თანამგძნობი, თუმცა თვითვე  
 იცოდა, რომ ვერავითარი თანამგძნობა  
 ვერ უშველიდა ახლა. ის სრულიად მა-  
 რტო იყო დარჩენილი თავისი აუტანე-  
 ლი სირცხვილის წინაშე. ის გრძნობ-  
 და, რომ ეს უცხო ქალი მისი მტერი  
 იყო და სძულდა ეს ქალი, მაგრამ უფრო  
 მეტად ეზიზღებოდა საკუთარი თავი და  
 უნდოდა გართხმულიყო მიწაზე, ჩამ-  
 ძვრალიყო მიწაში, აღარ დაენახა, რა  
 ხდებოდა ზემოთ. გაშუმებული იდგა მო-  
 ნუსხულივით. ხელები უთრთოდა, მუხ-  
 ლები სისუსტისაგან ეკეცებოდა და  
 გული ერეოდა. ვერც წასვლას ახერხე-  
 ბდა, ვერც სიტყვის თქმას. რატომ გას-  
 წირა ასე ღმერთმა, რატომ დაუბინდა  
 გონება და მოიყვანა აქ? და უცებ:

— რა ამბავია აქანა?! — გაიგონა  
 ბუჭუნის ხმა.

— რა ამბავია აქანა-მეთქი? — დაიღ-  
 რილა ოთახის კარებში მოულოდნე-  
 ლად შემომართულმა ბუჭუნია.

ჭიჭიკომ შეხედა ბუჭუნის სისხლიან  
 თვალებს, — როდის მოვიდა? — დუჟ-  
 მორეულ პირს, ღვინისა და გააფორები-  
 საგან მოღრეცილ სახეს, შემდეგ შიში-  
 სგან გაფითრებულ და სახეშეცვლილ

ყუყუნას. შემდეგ ყუყუნა ფეხებზე მოეხედა  
 მოეხედა ბუჭუნის, თითქოს იჭერდა, არ  
 უშვებდა სადღაც და მიხვდა: უნდა გას-  
 ცლოდა აქაურობას. მობრუნდა და ჭიჭ-  
 კისკენ წაძინძულდა. მან გაიგონა ბუ-  
 ჭუნის მხეცური ღრიალი „გამიშვი“,  
 ყუყუნას ისტერიული კივილი „ბუჭუ-  
 ნია არ გაბედო“, შემდეგ გაიგონა, რომ  
 ოთახში რაღაც დაიმხვრა, რაღაც ჩა-  
 მონგრეა და ნათლად იგრძნო საფრთხე.

ეზოდან გამოსული შუკაში მიძინებუ-  
 ლებდა. უკან მოსდევდა ავისმომასწავ-  
 ბელი ღრიალი. ქალის კივილი ისარი-  
 ვით ერჭობოდა ზურგში. ჭიჭიკომ თავი  
 მოაბრუნა და ღობის იქეთ ბუჭუნია შე-  
 ნიშნა, რომელსაც ცალ ხელში თოფი  
 ეჭირა, მეორე ხელით ბუჭუნია მამარ-  
 ზე ჩამოკიდებული ყუყუნა მოიშორა,  
 ხელი ჰკრა და ჭიჭიკართან მიაგდო, მერე  
 თვითონაც დაეცა, მაგრამ მყისვე წა-  
 მოხტა და გამოედევნა. და უეცრად ჭი-  
 ჭიკოს მოხეზრდა სირბილი. გული ყელ-  
 ში ებჯინებოდა, აღარ შეეძლო გაქცევა.  
 ისე რცხვენოდა საკუთარი თავის, რომ  
 აუტანლად შეეზიზღა არსებობა. მუხლე-  
 ბი მოეკვეთა. განწირულივით შემობ-  
 რუნდა, მისკენ გამოვარდნილი ბუჭუ-  
 ნის ზურგს უკან, სადღაც შორს, შორს  
 გაიხედა და დაინახა მთები. მთე-  
 ბი ისე წამომართულიყვნენ თვალსა-  
 წიერის ბოლოს, თითქოს ოკეანის ტალ-  
 ლა, ვეებერთელა, უზარმაზარი ლურჯი  
 ტალღა მოადგა დაბლობს და საცაა უნ-  
 და ჩამოიქცეს, უნდა წალეკოს ქვეყა-  
 ნაო. მერე გაისმა თოფის გრუსხნი,  
 მთები გაქრა, უკანასკნელად გამოჩნდა  
 იღუმალი კარიბჭე, რომლის პირქუში  
 მცველნი განერიდნენ მათკენ მომავალ  
 ლანდს, — ვინ იყო ის? — და შენგრეუ-  
 ლი გულის ფიცარი რაღაცას მიებჯინა.  
 სხეულის სიდრემში, ერთბაშად გამო-  
 დევნა სული გარეთ, უკიდევანო სიფრ-  
 ცეში და დაცარიელებული, უაზრო სხე-  
 ული მოცელილ ძნასავით ჩაიკეცა აპ-  
 რილის იებით მოფენილ მოღზე.





## ფ რ თ ე ბ ი

თურმე ფრთები აქვთ, რომელიც ბრწყინავს,  
 ჭიანჭველებსაც ფრთები ჰქონიათ,  
 აფრინდებიან მდელიოზე წყვილად,  
 როს სიყვარულის ჰკლავთ აგონია.

მათ მიაქანებთ ზეცისკენ ძალა,  
 თვით ჭიანჭველას ღონეზე მძლავრი.  
 შემდეგ მუდღე ბრუნდება ცალად  
 და იღუპება ფრენაში მამრი...

ჩუმი ტრიალით, ო, იქნებ ლოცვით,  
 ფრთებს იკუნეტს ქვრივი, იბრუნებს ხუნდებს,  
 და მიბარბაცებს, მწუხარე ცოცვით  
 უახლოვდება მშობლიურ ბუდეს.

ნამი გვეონია, ხავსზე რომ ელავს,  
 დავაკვირდები და ელდით ვკრთები,  
 ნუთუ სიყვარულს, მარტო სიყვარულს,  
 მხოლოდ სიყვარულს სჭირდება ფრთები...

როგორ იშორებს, როგორ იმეტებს,  
 რითაც ამალდა ბოლოს და ბოლოს,  
 ვით ეთხოვება ლამაზ იმედებს,  
 რად უბრუნდება დასვრეტილ სოროს...

ან იქნებ ტოლის ხსოვნისთვის სწირავს,  
 და ფრთებს იცილებს, როგორც ფანტელებს,  
 ო, ნაზი ფერფლი ბალახში ბრწყინავს,  
 და ცისკენ უხმობს ციციანათელებს.

არვის აოცებს მსგავსი გმირობა,  
 ვინ ეტყვის დედას: „ძვირფასო, ცდებით“,  
 ჰოი, სამყაროს უნაპირობა  
 დაფარულია ფარფატა ფრთებით.

თურმე ფრთები აქვთ, რომელიც ბრწყინავს,  
 ჭიანჭველებსაც ჰქონიათ ფრთები...  
 ჩვენ კი წინწყლები გვეონია წვიმის:  
 დავაკვირდები და ელდით ვკრთები.

## რომელს ინატრებს?!


ხომ წაიკითხავს ამ ლექსს ნათია,  
როცა იქნება,  
ხომ გაიხსენებს ხელებს ჩემსას  
და ახლებურად,  
სულ სხვანირად ხომ იტყვის: დედა...

გაახსენდება ბეჭედი ვერცხლის? —  
როგორც სიმბოლო სილატაკის და სიყვარულის  
და კეთილშობილ ლითონთაგან რომელს  
ინატრებს?!

მიხვდება განა, თუ რამდენჯერ  
მარჯუა უხმოდ  
მთელი თავისი უმწეობა,  
უშუალობა  
და თვით სიცოცხლაც,  
საკვირველი და უსაშველო...

გაიგებს განა,  
რომ არ იყოს ამაღამ იგი,  
ჩემი პატარა, ამაყი შვილი,  
დამთავრდებოდა ცხოვრება ჩემი,  
რომელიც ერთობ დიდხანს შერჩა  
სვედიან მერჩის...

ხომ წაიკითხავს ამ ლექსს ნათია!



## მ ს ვ ე ნ ტ ი ე ი

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკებში ჰიტლერელებმა 4 მილიონ ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე.

აქ ნუ გამაჩერებთ დიდხანს,  
ცუდად მითამაშებს წარბი...  
ოთხი მილიონი კითხვა  
სულში შემულიღივით დარბის.  
პესი!  
გამოხედვა მგლური!  
ცოდვის მიკიდი ალი —  
ოთხი მილიონი გულის  
და რვა მილიონი თვალის.  
კაციჭამიების კასტა!  
ღვარძლი ალესილი სამტროდ...

რუსი ჩემოდნების დასტა  
აღარ ელოდება პატრონს;  
ტყვიით დაცხრილული კეფა  
დედის მკერდსმიკრული ბაკშის!  
ქერა ნაწნავების წყება  
აღარ გაფრინდება ქარში.  
აქ ნუ გამაჩერებთ დიდხანს,  
ცუდად მითამაშებს წარბი...  
ოთხი მილიონი კითხვა  
სულში შემულიღივით დარბის.

## ლომეხის შიში

კარპატებში მნახველს აოცებს მე-12  
საუკუნის ისტორიული ძეგლი — ხის  
ეკლესია, რომელიც პოლანდიელი ვიკინ-  
გების ზიერაა აშენებული.

კარგა ხანია  
გაოცებას გადანაჩვევი, —  
პატრონი ზარზმის,  
სეგტიცხოვლის  
და ნიკორწმინდის,  
მე ვიკინგების  
ზღაპრულ ხომალდს  
ვეღარ მოვცილდი  
აბრიალებულ კარპატების  
ზურგზე გარჩენილს.  
მეჩვენებოდა:  
თითქოს ჟამი  
დაოთხილ კენტაერს  
საუკუნეთა წიაღიდან მოაგვლევბოდა...

და ჩუქურთმები  
ეკლესიის ვარდისფერ სვეტებს  
ეგრაგნებოდნენ,  
ეხვეოდნენ ყვითელ გველებად.  
ვდუმდი.  
ხომალდი-ეკლესიის  
ვეება ჩრდილში  
დიდხანს მესმოდა  
ვიკინგების ნიჭის გალობა...  
და რვაასი წლის  
პირდაღებულ ლომების შიში  
ბორკილად ედო  
ცივ ხელებზე წარმავლობას.



მოსხეტიალე,  
მოუსვენარ ტურისტს ჰგავს ფიქრი.  
აქ კარპატებში,  
მოლისფერი ჩიტის გალობამ  
მე გამახსენა  
ათას ცხრაას ორმოცდასამის  
ავვისტოს დილა,  
ზუსტად ასე უსტვენდა ჩიტი.  
— კარგი ამბავი, ჩიტუნია,

კარგი ამბავი! —  
მავედრებელი  
და მთრთოლი ხმით  
გასძახა დედამ.  
საღამოსას  
დაჭრალი და ნატანჯი მამა  
დაბრუნდა...  
და მე სოფლის გზაზე მივაბიჯებდი  
ომგადახდილის კაფანდარა,  
ხეიბარ ჩრდილში.

## პირველი მსხვერპლი

ხელოვნების უმშვენიერესი ძეგლის —  
კრავოვის მეფეთა სასახლის დარბაზთა  
კედლები დაფარულია უძველესი უნიკალური  
ხალიჩებით, რომლებზედაც ბიბლიური  
სიუჟეტებია ამეტყველებული.

დაუცხრა მადა ცნობისწადილს  
ხარბსა და უძღვებს,  
ანგელოსები ღვთიურ ბაღებს  
ფრთებით არწვევენ...  
ადამის ცრემლი გამიცოცხლდა  
თვალებში უცებ,  
ავტირდი,  
თიოქოს სამოთხიდან  
მეც გამაძევეს.  
ჩაქრა სინათლე  
და ცთუნების ლანდი წყვეული  
ლამეულ ფერში  
ქირქილებდა იქვე თავხედად...

ვიგრძენ:  
გაყანულ  
და ქერცლიან ათასწლეულებს  
ვრღაც ცოდვიან გველებივით  
ყელზე მასხვევდა.  
ვნახე,  
პირველი მსხვერპლი ვნახე  
ღვარძლის და შურის,  
ნდობას საყრდენი მორყეოდა  
და გამოცლოდა...  
და შემზარავად ხარხარებდა  
კაენის სული  
აბელის სისხლის უზარმაზარ,  
წითელ კოცონთან.





„ოქროს საწმისის“ ეკიპაჟს

როგორც კოლხიდელს შეენის,  
 ზღვად შევაცურე გემი,  
 მიდის სიცოცხლე ჩემი  
 მშვენიერი და ლაღი.

როცა აისი ჩაღდება,  
 როცა ქვეყანა ახლდება,  
 ავ თვალს არ დაენახვება  
 ჩემი მამულის თაღი.

მე გული ქარში ვატარე,  
 სიცოცხლე ღელვას ვადარე,  
 მიტომაც აგრე მახარებს  
 ჩემი თამამი გემი.

„ოქროს საწმისად“ ხმობილი,  
 ჩემი დაი და ძმობილი,  
 უაზისის პირად შობილი  
 თეთრი ფრინველი ჩემი.

(კოლხიდა)

რა სივრცე არი, რა ფერადები,  
 რა ამო არი გულისნადები,  
 ან საყვარელი მისამართების  
 რა სიმრავლეა!

მე ამა მხარის მახსოვს ჩონგური,  
 რა გამაფრებით ჭეჭდა მომხდური,  
 რა მტკიცე იყო მიწა კოლხური,  
 მტკიცე რარიგი!

რას მიიმღერის ფაზის-მდინარე,  
 მამულის დაცვას მტერთა წინარე,  
 თუ უპირველეს რარიგ ბრწყინავენ  
 კოლხი ცირები?

ცხოვრობს ფაცხაში მეგრელი კაცი,  
 ფაცხის გარშემო ჯაგი და ქაცვი

ხარობს მარადი და შქერში მაჩვი  
 დადის, ფაჩუნებს.

ხოლო სად იმერს საზღვრავს გურია,  
 ფერები ისე უცნაურია,  
 როგორც სიმღერის ხმას გაურიო  
 ცრემლის სინათლე.

აქეთ ზღვა არი, იქით ველები,  
 მინდორთა ზედა ძოვენ შევლები,  
 და ჩანს ქუთათით ნაირფერები  
 ვეფხის ტყავისა.

რა სივრცე არი, რა ფერადები,  
 რა ამო არი გულისნადები,  
 ან საყვარელი მისამართების  
 რა სიმრავლეა!

## უ უ ა ფ ხ ო

უკვე გავლიეთ ორწყალი,  
წინ გვიდევს მცირე მინდორი,  
მარცხნივ — ხმაურობს არაგვი,  
მარჯვნივ — მთებია დიდრონი.

პირველად მოხვალ შუაფხოს?  
არაფერია იმდონი!  
მარცხნივ — ხმაურობს არაგვი,  
მარჯვნივ — მთებია დიდრონი.

თვალისწორ — ციცქნა სახლია  
გზისაკენ გადმომზირალი,  
სტუმრისთვის მუდამ კარლია,  
ამოდ ღიმილის მჩინარი.


აქ რა შეხვედრა სცოდნიათ,  
რა უთქმელია ფშაველი,  
ასე მგონია, შუაფხოს  
ასი წელია ჩაველი!

## ს ა ა ს ა ლ წ ლ ო

როგორც დალოცვილს შვენის ბუნებას,  
მალე ეს წელიც გადიღუნება,  
და შეიცვლება კაცის გუნებაც,  
როგორც ყოველთვის.

ახალი წელი მოვა თოვლითა,  
მოციმციმდება სხვა სიშორიდან,  
და სიხარულსაც მრავალს მოიტანს,  
როგორც ყოველთვის.

ახალს ყოველთვის მოაქვს იმედი,  
მიტომაც აღარ გავიწირებით,  
გულისთვის შეება კმარა მცირედიც,  
როგორც ყოველთვის.





## ბ ა ხ მ ა რ ო ს გ გ ა გ ე

(1940 წ.)

აზელილია თიხა წითელი,  
 სიმწრით ჩათხრილი და გასაჭრელი,  
 თავქვე კიღია ვიწრო გიდელი  
 და მის ხახაში ჩვენ ვართ გარჩილი.  
 ცხენები მიწას გულს ანაყავენ,  
 არ დაილია ბარდი და ქაცვი.  
 უცხო სამზერი და სანახავი  
 არ მოშორდება დაბნეულ ყმაწვილს...  
 ნაძვებზე ნისლის ეხვევა ფთილა  
 და მაინც იტყვი: ახლა სად არი  
 ის ჟრუანტელი,  
 ის ტყე და დილა,  
 ან თავწაკრული ის ჩალვადარი.  
 ისევ ახრჩოლდა ძველი სანავთე,  
 ბნელში ბავშვობის მთას ეჯახები...

ისევ დაბრუნდა და აქანავდა —  
 ხუმარა დოსტი, ჭრელი ჯოხები...  
 მოდის სურნელი კარაქის, ფიტის,  
 მოდის ზაფხული ცეცხლისთვალემა...  
 და მამაჩემი — გამხდარი ბიჭი —  
 ჩვენთვის ჯახირობს და ეწვალემა.  
 იელეებს ცხენის ყბა ათასმული,  
 იმ დღის არ დარჩა არც ნატამალი...  
 ზედ უნაგირის კეხზე დასმული,  
 ექიმთან მოყავთ გლეხებს მამალი —  
 დასახსნელ სულის გადასახადი;  
 გადაუვლია მზეს ბიბილოზე  
 და ბატონების ისმის ღაღადი:  
 ჩვენ მოგუოხებთ,  
 ჩვენთვის ილოცეთ.

## კ ა კ ლ ი ს ხ ე აკალემიკოს ნუხუაიკის ეპოეი

უშლის კედელი, ასფალტი უშლის,  
 მის თავზე ცაა და სიმაღლეა.  
 ტანჯავს ათასი კორძი და ნუჟრი  
 და აღსასრული, იცის, ახლოა.  
 სიცოცხლის წვენი აკლიათ ფესვებს,  
 ასე ცახცახებს მსხვერპლი დაკლული...  
 მზადაა დათმოს საწუთრო დღესვე,  
 დანაცრდეს გონჯი და დღენაკლული.  
 სამად გაშლილი ის სამი ტოტი  
 მისი სუნთქვაა და სალოცავი...

იანვრის სუსხი აძნელებს ლოდინს,  
 მის დამსკდარ ტანზე აღარ ცოცავენ  
 ჭიანჭველები. ხეს წყალი უჭირს,  
 ქვესკნელის ძღვენი არ შეერგება,  
 ზედ შესმობია ნაყოფი ფუჭი, —  
 ვერ გაახარებს მწკანე ნერგებად.  
 მაინც არ უსმენს ბედის მუქარას,  
 იშორებს ნაღველს ბებერი მხრიდან  
 და ელოდება დღეებს უქაროს,  
 როცა ყველაფერს ადვილად იტან.

## კალეების გვჳრთნელი

წითლად ჩაღდება დარბაზის ხახა,  
 დატალღულ მკერდზე ცხელ სუნთქვას გახლის.  
 შენი ჯერია. ამაყად დგახარ  
 წრეში. გმორჩილებს ათივე ძაღლი.

გდევნ საწყლები კუდის ქიციანით,  
 თვალეზში უკრთით შიში და რიღი,  
 გორავენ, შენ კი სახე გიციანის,  
 ბედნიერი ხარ, არ ვიცი რითი.

დასტიან, როგორც შენ გეამება,  
ყფენ, გვილიან თეთრს და სხვიანს,  
გადააბრუნეს წნული სკამები,  
უბრძანე — ცეცხლში გადაცვივიან.

შენ გვევდრები, შენ — დიდო შიშო,  
ხელდაშვებული ვდგავარ ბავშვივით,  
არ მომიშალო,  
არ გამითიშო  
გულის და ტვინის დიდი კავშირი.

შენ არ წამეჭეცე, სიმაგრევე ჩემო,  
გრანტიის ძარღვით ნაკვეთო ბოძო,  
გამეხსნას კარი ზემო და ქვემო,  
რომ ისევ შენი სიმაღლე ვლოცო.

ეწურებოდა ზაფხული ტყეებს —  
ჯავახეთს, სამცხეს.  
აქ ამოვედი,  
რომ აგარაკი მენახა თქვენი.  
იდგა ხის სახლი,  
იმდენად მყუდრო, იმდენად სუფთა,  
შემაკრთო უცებ.  
არ მქონდა წონა,  
თეთრ ტანსაცმელში სვეტებს ფარფატივით  
ჩამოვუარე, გავჩერდი მარცხნივ,  
სადაც იჯექი, კარტს თამაშობდი  
შენიანებთან. და მაშინ მივხვდი  
როგორ მიყვარხარ.  
ენატრობდი —  
ჭრელ ქარს არ დაებერა

შენს ხელში ვერცხლის ტკაცუნობს წვეკლა,  
მანუქზე თეთრი გამოდის რაში.  
ასე მგონია იქცევი ბებულად,  
გაიყოლიებ ფინიებს ცაში.

სხვას მიაგებე სხივი დიდების,  
გაულიმარო, მდუმარევე, მკაცრო,  
რომ სისხლდადენილ, სუსტი თითებით  
შენი მართალი კედლები ვკაწრო.

ამაოდ ვეძებ, ვერ გამოვიდა —  
რა უნდა იყოს ნიშანი სიბრძნის...  
ცეცხლი მახურავს,  
ცეცხლი მივია,  
დამარცხებისთვის ვცოცხლობ და ვიბრძვი.

და არ წავიდე პირქვე ჩამხობილ  
მთების გადაღმა.  
არც ის მიწოდდა, რომ დაგენახე  
და დამფრთხალიყავ.  
ამ წვალემაში ვიყავი,  
როცა ასწიე თავი და ჩალის ქუდი  
მომასკდა მკერდზე, ცეცხლად მომედო  
ყვითელი ნამჯა.  
მერე ის იყო, შენ გაიცინე  
და იმ სიცილმა მომიღო ბოლო,  
გამადნო, გამცრა...  
ასე უკვალოდ  
მზედაფენილი ბილიკი ქრება  
ტანმალალ ტყეში.

## კ ი ბ ე გ ე

შენ მომაკითხე... ასეც ვიცოდი. მოჰყვედი წლობით დაგუბულ სურვილს.  
დატოვე ბნელი ფაშვი მდინარის, სოფელ კიბესთან მოხვედი ცურვით.

მოხვედი ჩუმად და გამახსენე: ჩამოიცალა ეს დეკემბერი,  
დამბალი ქერქი მოშორდა ვენახს და უქმად გდება აღარ შემფერის.

შენ დაგინახე ღია კარიდან, ამღვრეულ ცაზე როცა იჭექა,  
სამ საფეხურზე უშნო ტან-ფეხს გეწყო და ბნელში მარტო იჯექი.

გიცახცახებდა ხელის თითებში, ფეხის თითებში გაბმული აპკი,  
მიძიმედ ქელავდი და ქვის კიბეზე საგზალი გელო გაზნეწილ აბგივით.

შენ მომაკითხე შუალამისას და არ დამტოვე საკუთარ შიშთან;  
ხელი შეგახე ხორკლიან ზურგზე, მწვანე თვალებში ვეძებდი იშთარს.

ელვაში ჩანხარ, პატარა შუბლი გაქვს წინგოსფერი და წამახული...  
იმ დღესაც ასე მარღვევდა წვიმა და მივხვდი — სადღაც მყავდი ნახული.

ვიცანი ხმელი მუხლისთავეები და ცრემლიანი დუმილი მეცნო.  
ცოდვის ხესავით გადექი თავზე, შეწუხებულმა დაგიწყე ხვეწნა.

გითხარი: მორევს მიეცი ტანი, დალოპრილ ქვებზე გაიჯირითე,  
წყალში ჩამჯდარმა და გატრუნულმა, მზეზე გაკიდე ჭრელი ქვირითი.

გითხარი: დროა შენი გაქრობის, მიწა სივდება და ილარება...  
ნულარასოდეს მომელანდები, მეყოფა ჭირი და მწუხარება.

## გ ა ფ ხ უ ლ ი

როგორ გიპოვო ამხელა ქვაბში...  
შენ ჩანისლული თვალები გქონდა  
და სუსტი მხრები.  
გაიცინებდი,  
მაინც მოწყენილს გხედავდა თვალი.  
ბრუნავს ქალაქი,  
სახურაგების მტვერი და ჟანგი  
მეყრება თავზე.  
ყელში წაჭერილს,  
რა გაუძლებს ამ ცეცხლის ღვედებს,  
კლდის ძარღვებზე წითლად მოვლებულს.  
ისე აბიჯებ,  
ჯერ კაცის ყურს არ გაუგია

ფეხის ხმა შენი.  
დაზაფრულს ბევრჯერ დამიხედავს  
შენს პატარა,  
შენს ნაჯაფარ ხელისგულებზე —  
მინდოდა გამეგო,  
საით წახვიდოდი.  
ივლისი გადის.  
დაღრეკილ ხეთა ნავვიანევი  
ყვავილებით ივსება ტბორი...  
მე კი სად გნახო,  
შენგანვე დარგულ შიშის ტოტებში  
ხარ გახლართული.

## მ ე ბ ო ბ რ ე ბ ს

ვიდრე გული და სისხლი ანათებს,  
არ გამოვხურთ სიწმინდის კარი,  
ასე გაგახსოვდეს ჩვენ ერთმანეთი,  
დავრჩეთ ხანმოკლე სურვილთა გარე.

იმ ერთი წამის ვისწავლოთ დაცდა,  
დიდი ტკივილის გავიგოთ ფასი.  
ჩვენ უნდა გავძლოთ. კიდევ ცოტაც და  
გადავინაცვლებთ, ბიჭებო, ცაზე.

## რ უ ს უ ლ ი ს ო ფ ე ლ ი

გეორგინები. ფიცრული ღობე.  
მდინარის შლამში ძველი ნაგები.  
დადუმებულან,  
არავის ხმობენ  
ძველი სათიბი და ნახნაგები.  
ყველაფერს ახლავს რიგი და წესი...  
სასაფლაოსთან თეთრი ბატები...

თეთრი ლოდები — გაშლილი მზეზე,  
შენც იმ სითეთრეს მიემატები.  
შემოგანათა ღეთიშობლის სატმა.  
ივსება სული და იბანგება,  
დახუჭუჭე თვალი,  
შენ რომ არ დათმო,  
ისეთს არაფერს ითხოვს განგება.



შოთა ასანიშვილი

ჯ ი ლ დ ო

ყვავილებად ქცეულა ეზოები. ხეხილს ფუტკარი შესევია და ზუზუნით იკლებს იქაურობას. საღამოობით მზე ფეხს ითრევს. გლეხკაცი გვიან ვახშმობს და მთელი დღის დაღლილს ძილისათვის ეპატარავება ღამე. ზამთარში ნაპატივები სიზარმაცე ზოგჯერ წამოეპარება, მაგრამ საქმე რას დაანებებს! — ვენახის თოხნით დაიღლება და სარავს; სარვა მოსწყინდება და შეყელავს; შეყელვა შეაბეზრებს თავსა და ახლა ბარავს... ჯერი გლეხკაცზეა: მარჯვედ მოიქცევა — შემოდგომაზე გულდიდად იქნება, თეთრი ზამთარიც ტკბილად ჩაივლის. იმცონარებს და — ზამთარიც უსაშველოდ გარძელებდა წუწუნსა და ვიშ-ვიშში...

ვენახიდან შინ მობრუნებულ დათას ცოლი ჭიშკართან შეეგება.

— სადა ხარ, კაცო, აქამდე?

— სად ვიქნებოდი? საცეკვაოდ.

— დაიწყე შენებურად?

— რა გინდა, ღედაკაცო, ეზოში არ მიშვებ?

— რაღაცა რო გითხრა, სამახარობლო რა იქნება?

— ქალაქიდან წითელ მესტებ ჩამოგიტან.

— ვის იგდებ მასხრად?

— შე კაი ქალო, აბა, ამ დაღლილზე რა დროს სამახარობლოა?!

— არადა, ვინ თავმკვდარმა, ეს წერილი ხელში ჩაგიგდოს.

— მაგრა შეინახე, ჩემო თამრო.

— აღარაფერი გაინტერესებს, შე გულმკვდრისაგ, ი, ვენახის მეტი!

თამრომ წერილი წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო და სახლისაკენ წაბუტბუტდა. ვახშამი საჩეხში, დაბალ მაგიდაზე გააწყო: ახლად გამომცხვარი თონის პური, თუშური ყველი, ქორფა მწვანილი, მონარშული კვერცხი, ერბოში მოხარაკული მაკრატელა ფხალი და ხელადა ღვინო. მერე თამრო იქვე, შორიახლოს ჩამოჯდა. ცალი ხელი იდაყვს ამოსდო, მეორეთი მოსახვევგადაკრული ყბა დაიჭირა და მოღუშულმა საღდაც შორს იწყო ყურება. დათამ ხელ-პირი შეიმშრალა, მაგიდას მიუჭდა და ღედაკაცს გადახედა:

— შენ რა, ნიშნობაზე ხომ არ მიხვალ?

— ეგემანდ თუ სჭამ, ჭამე, მე თავი დამანებე!

— მოდი, ღედაკაცო, ნეტა ეგეთი რა გაწყენინე, ჩემთან პურის გატეხვაც რომ გეზარება?

— ჯერ ამოიგე ფერდი, თორემ ისე შენთან ლაპარაკი არ შეიძლება.

დათამ ჭიქაში ღვინო დაისხა, დაილოცა და დალია. თამრო გაქვავებული იჯდა, ხანდახან აღმაცერად გადახედავდა

ქმარს. დათა ნელა, გემრიელად ილუქმე-  
ბოდა, შიგადაშიგ ღვინოს აყოლებდა  
დაგემოვნებით.

— ეხლა შეიძლება ორიოდ სიტყვა  
გითხრა? — ჰკითხა თამრომ.

— ადრე ვინ დაგიშალა რო?! — გაი-  
ცინა დათამ.

— ქალაქიდან წერილი მოვიდა.

— შენ მოგივიდა?

— არა კაცო, შენა!

— ვის გავხსენდი, ი, ბიჭი წინა კვი-  
რას აქ იყო, სხვას, რა ვიცი, ვერავის  
ვიხსენებ.

— სამხედროდან გწერენ.

— რაო, რა გვინდაო?

— რა და, ქალაქ ჩამოო, აქედან იტა-  
ლიაში მოგიწევს წასვლაო.

იტალიის ხსენებაზე დათას კინაღამ  
ლუქმა გადაუტედა. შავი, დიდრონი თვა-  
ლები მოჭუტა. თამრო სულგანბული  
მისჩერებოდა ქმარს, უცდიდა, როდის  
ამოიღებდა ხმას. დათა მალე გამოერკვა:

— იტალიაში?!

— ეგრე სწერია. იქ თურმე რაღაც  
დიდ ორდენს გაძლევენ. ჰოდა, ჩამოვი-  
დეს და წაიღოსო.

— ჩამოვიდეს და წაიღოსო?!

— მაშ, მა რო მეცი და ხმა არ ამამა-  
ლებინე, რა გეგონა?

— რა უნდა მგონებოდა!

— შაიტყაპუნე სამახარობლო?

— რა სამახარობლო, რის სამახარობ-  
ლო, ეხლა მე იქ წამსვლელი ვარ?!

თამრო გაშრა. მიმქნარი თვალები იმ-  
ხელაზე აჭყიტა, დათასაც კი ნირი შე-  
ეცვალა.

— ხუმრობ? — ჩურჩულით ჰკითხა  
თამრომ.

— რა მეხუმრება! — დაიბუხუნა და-  
თამ.

— მაშ უარს ამბობ წასვლაზე?

— აბა ეხლა რა დროს ორდენ-მენდა-  
ლია დედაკაცო?!

— რა უდროსია, ქა?! — გაცეცხლდა  
თამრო.

— ვაზს კვირტი ცერის სიგრძეზე აქვს

გამოტანილი, ზევრი-ზევრი, ერთ კვირაში  
შე შესაწამლიც იქნება.

— თურმე რა უდროობა ასტეხია, ამ  
სამგლესა, ამასა!

— ქალო, ამაზე მეტი რა გინდა, ეხლა  
ვენახს ელაატება?

— შენ ხო არ გადაირიე?

— რათ გადავირიე, ამ ზამთარს მენ-  
დალი დაგარჩენს?

— შე რო ჩხუბში იყავ, შეუწამლავი  
მქონდა ვენახი?!

— მერე კიდევ, მოსახენელია, გამო-  
სათონხნია... ათასი ოხრობა!

— მაშ ვერავის გამოვათონხნინებ?!

— დედაკაცის გაკეთებულ ვენახს რა  
უთხრა!..

— ეს კაცი გაგიყებულა!

— ვინ გაგიყებულა, ქალო?! იმიტომ  
არ ვიომე, რო ვენახი არ გამფუჭებოდა?

— ქვის ნატეხო, სხვათა ქვეყანაში  
გიცნობენ, ქულს გიხდიან... შენი გმირო-  
ბა გადამთიელ ხალხს არ დავიწყებია,  
შენ კი აქ ვენახია შასაწამლიო. რამ გა-  
მოგაყრუა შე!..

— ის რაც იყო, იყო. ეხლა ხო არ  
დავჯდები გულ-ხელდაკრეფილი და არ  
მოვყვები: ეს მიქნია, ის ჩამიდენია-მეთ-  
ქი. რაც იყო, იყო!

— კაცო, მაგას ვინ გეუბნება!

— ეხლა ამას რაღა გააჩერებს?

— ადე, ადე გაემზადე! დილითვე ჩა-  
დი ბაქანზე და გაჰყე მატარებელს, თო-  
რემ არ ვიცი, რას ვიზამ!

— მაიცა, კარგათა ვნახოთ წერილი,  
რას იწერებიან, როდის ჩამოდიო, სად  
გამოცხადდიო... რამდენი ხნით მივდი-  
ვარ, ის მაინც არ უნდა ვიცოდე?

— აჰადა, წაიკითხე.

დათა წერილს კითხულობდა და ნამ-  
ზეურთი სახე ეწმინდებოდა.

„ბიჭებს არ დავიწყებია. ნეტა რო-  
გორები არიან? ალბათ ჩემსავით დაბერ-  
დნენ. აბა, ისეთი გადარეულები ხომ  
აღარ იქნებიან? იმ დალოცვილებს, რამ-

ჯ ი ლ დ რ

ზოთა ასანიოვილი

დენი ლაპარაკი უყვართ, ჰა? ჩემი დედა-  
კაცი, მე მოგიკვდე, იმათთან მონაგონია.  
მხიარული ჯელები არიან, დარდი იშ-  
ვიათად იციან, რომ ატირდებიან, უცებ  
ისევ იცინიან, იფიქრებ, წელანდელი ტი-  
რილი ნამდვილად მომეჩვენაო“...

— რაო, არც ეხლა გჯერა, რო გვი-  
თხულობენ, გეძებენ?—ფიქრი შეაწყვე-  
ტინა თამრომ.

— როგორ არა მჯერა!

— მერე, რას აპირებ?

— რა ვიცი, — განგებ ვააჭიანურა  
დათამ.

— შე უჯიგრო, შენა, ი ბიჭების ნახვა  
მაინც არ მოგენატრა, ემაგას მიყვებო-  
დი, ერთად ვიტანჯებოდითო, ერთად  
ვჭამდითო, ერთად გვეძინაო, ერთად  
ვჩხუბობდითო, ერთად ვიხოცებოდითო,  
ერთადაო...

— კარქი, ჰო, მივდივარ!

— ემაგრე, შე კაი აღამიანო, **ნათნერა**  
ვები დამაგლიჯე?

— მივდივარ, მაგრამ ვენახის ჯავრი  
მიმყვება.

— შენ მაგისი ნუ გედარდება. მარტო  
იმაზე იფიქრე, თავი არ მოიჭრა და იმ  
ბიჭების გამოპატიჟება არ დაიფიწყო.

— კიდე კარგი, გამახსენე!

— მერე კიდევ: ქალაქში რო ჩახვალ,  
ბიჭს არ გაეპარო.

— ვახ, კაცო!..

— მე ჩამადან გაგიმზადებ, შენ აღე  
პირი გაიპარსე!..

დათა დაბალ სამფეხაზე იჯდა, ძარღ-  
ვიან მარჯვენაში ლამაზად ნაწერი წე-  
რილი ეჭირა.

ნიავეს ბაღიდან ვაშლის ყვავილების  
ტკბილი სურნელი მოჰქონდა.







## მიბინდულ გზებზე

ნატვრით და ტრფობით შემოზღვავებულს,  
 ანკარა სივრცის სიმღერებს ვისმენ,  
 ნეტავ იმ მწიფე ქლიავის იქეთ მაყურებინა  
 მზის ჩასვლა ისევ.  
 დაეფინება წიგნებს ჩრდილები და ფეხს აიდგამს  
 ნიავი ზღვასთან,  
 ქალწულებივით წმინდა წუთებით, გთხოვთ ჩემთან დარჩით,  
 ნუ წახვალთ სხვასთან.  
 როგორ კოცნიან ჩამავალ სხივებს  
 კენწეროები ხეების სუსტი,  
 წლების მანძილზე იმ დღეთა წყურვილს,  
 იმ გულწრფელ ხვეწნას ვერ გამოვუსლტია.  
 მანათობელო, შენი სხივები იცრიცებიან  
 სარკმელში, მთებზე,  
 ჩამეთვლიმება მოგონებებში ჩემი ბავშვობის  
 მიბინდულ გზებზე.

## დაღლილ ხსოვნაში აკიაფებულს

აღერსით სავსეს, ჭადრის აფრებით,  
 გაზაფხულის ქარს რომელიც მოსდევს,  
 დაღლილ ხსოვნაში აკიაფებულს,  
 შენს ნაფეხურს და სინათლის ზოდებს,  
 იმ უძვირფასეს ლანდთა ფორიაქს,  
 თბილი ქარისგან გახსნილ საყვლოს,  
 ვთხოვ, რასაც გზები უკვე შორი აქვს,  
 შემომცინოს და შემომაშველოს  
 ის მოაღერსე შუქთა სილბილე,  
 გულისცემისგან გამთბარ წუთებით,  
 კი არ ვბერდები, ჩემო სალბუნო,  
 მხოლოდ გამოვლილ გზებზე ვბრუნდები.

## ბ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ტანი დასუსხული ყანის გაჭრჟოლებით  
 და თვალებში მთვარე თეთრ ზამბახად იქცა,  
 ყველა შენი ნერვი, როგორც ცეცხლში ძნები,  
 პოეზიის ქარის ქროლვით გადაიწვა.  
 შენთა ხეტიალთა ერთგულ თანამგზავრებს,

შენი სულის ბრძმედში დაწვა უწილადე,  
სულს უკმევდი მქროლავ ხელსახოცთა ზღაპრებს  
და უქსოვდი სიტყვის უნატიფეს ბადეს,  
ეს მცირედი რამ ვთქვი, ალბათ ვიტყვი კიდევ,  
რომ ამაღლდეს შენი სულის სიდიადე.

## კვირფასი ლანდი

გული, რომელიც შენ გეკუთვნოდა, გზებზე  
დაგკარგე, სადღაც სიბეცით,  
განცვიფრებული, სინანულისგან ბავშვის ტირილად  
გადაფიქვცი.  
შემოტრიალდი და დამანახვე, როგორ გიყვავის  
შეკრდზე აპრილი,  
ჩემს მოგონებებს წყალი ჩაუდის და  
ვდგავარ ასე ყავარაყრილი.  
და სინანულში ისე იზრდები, თითქოს  
ხელახლად გამოგიგონე,  
წლების წვიმებით ჩამქრალ კოცონის კვამლი  
აუდის ამ თბილ სტრიქონებს.  
მეც მას მივტირი, რაც არ მასვენებს  
და დაისვენე კეთილ შურო,  
დღეს თანახმა ვარ, ახალგაზრდობის ძვირფასო  
ლანდო, იშარიშურო...

## შუქი ხარ სავსე

რა შუქი გივსებს თვალებსა და თმებს,  
როდის გიღებება შუქთა ნაწნავი,  
შენს მჭვრეტელსა და ხელის არ შემსვებს,  
ეს თვალები მაქვს ამოსაწვავი.

დაღმართზე სიომ ჩამოირბინა,  
გადაეხვია ჩურჩულით ხეს ხე,  
მოგონებების გადაღმა, წინათ,  
ამ ხეებს იგივე ფოთლები ესხნენ.

შევეფარები მწუხრის სალოსი,  
იმ დღეთა ფეთქვით სავსე თბილ კარავს,  
ეს ლექსი არი შენი სამოსი,  
იმით ამაყოფს, რასაც იფარავს.



●

შენ საქართველოს  
გაზაფხულით  
ცამდე ასული  
ბრუნდები როცა,  
თუ უნებურად  
შეხედე ციხეს,  
გორზე წამომდგარს,  
იგი უეცრად  
გზას აგაცდენს  
და დაგაბრუნებს  
ისევე ცისკენ.

●

რუხის ციხესთან  
ვიდექი დიდხანს,  
და მერე, როცა  
სათანჯოსაკენ წასვლა მომინდა,  
მაშინ უეცრად,  
როგორც მსხვილი  
და მძიმე ცრემლი,  
გადმოუგორდა... ლოდი კოშკიდან.

## გამოქვაბული

ბურძნელი ამეშალა  
ტანზე საზარელად,  
ცრემლით ამომევისო  
თვალთა უპეები...  
იგი შემყურებდა  
როგორც ზარბაზანი,  
გატენილი მძიმე  
საუკუნეებით.







შოთა შოლელი

## ორმხრივი შეხედომა

გალაქტიკური მზვერავი, რომელიც ცენტრალურ ვარსკვლავთა სისტემის ასოციაციის მიერ იყო გაგზავნილი ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი პერიფერიის გამოსაკვლევად, საექსპედიციო რეისს ამთავრებდა. მხოლოდ ერთი, განაპირა ყვითელი ვარსკვლავის სისტემადა იყო დარჩენილი, რომლის შესწავლით დასრულდებოდა ექსპედიციის პროგრამა და ასოციაციას წარუდგენდნენ გალაქტიკის ამ უბნის სრულ სურათს. გიგანტურმა ვარსკვლავმფრენმა ყვითელი მზის სისტემისაყენ აიღო კურსი...



— ყურადღება! მზის სისტემას უახლოვდება უცნობი კომეტა. ასტრონომების ვარაუდით იგი ძალიან ახლოს ჩაუვლის დედამიწის ორბიტას. ეს მეტად უცნაური კომეტა, რომელსაც კუდი არა აქვს, ნამდვილ გამოცანას წარმოადგენს მეცნიერებისათვის, რადგან აქ საქმე გვაქვს ბუნების იშვიათ მოვლენასთან. მსოფლიოს ასტრონომები გადაციცებით თვალს ადევნებენ მის მოძრაობას... — გადმოსცემდნენ დედამიწის რადიო და ტელესადგურები.

მოსახლეობა მაინცდამაინც ყურადღებას არ აქცევდა ამ ახალ ამბავს. ყველა თავისი საქმით იყო გართული. მხოლოდ

ობსერვატორიებში თუ შეინიშნებოდა გამოცოცხლება. ყველასთვის აშკარა იყო, რომ ამ მოვლენას წმინდა მეცნიერული ინტერესი გააჩნდა და სხვა არაფერი.



— რა მინიატურული პლანეტაა! — გოცებით წამოიძახა გალაქტიკური მზვერავის უფროსმა ასტრონომმა, როდესაც ყვითელი მზის მესამე პლანეტის გამოსახულებას შეხედა ეკრანზე, — პლანეტის მცირე მოცულობა რომ არა, ნამდვილად ჩემი მშობლიური მიწა მეგონებოდა. ჟანგბადის შემცველი ატმოსფერო, წყლის კოლოსალური მარაგი, ნორმალური ტემპერატურა, ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ პლანეტაზე შესაძლებელია სიცოცხლე ჩასახულიყო და განვითარებულყო... ვინ იცის, გალაქტიკის ამ განაპირა მხარეში გონიერ არსებებსაც წააწყდეთ...

— ნუ დაგავიწყდებათ პლანეტის მიზიდულობის მცირე ძალა, — შეაწყვეტინა სიტყვა ბიოლოგმა, — დავუშვათ, რომ იქ სიცოცხლის ჩასახვა-განვითარებისათვის ყველა პირობაა შექმნილი, მაგრამ ისიც უქვევლია, რომ მხოლოდ პრიმიტიულ ან მიკროსკოპიულ ორგანიზმებს შეუძლიათ არსებობა ასეთ მცირე ზომის ცის სხეულზე. გაიხსენეთ, რომ



გალაქტიკის ცენტრის სხვა გონიერი არსებანიც არ ჩამოგვივარდებიან ჩვენ ზომის თვალსაზრისით. ეს თითქმის კანონზომიერებაა — საპიენსები ჩნდებიან მხოლოდ კოლოსალური მიზიდულობის მქონე დიდ პლანეტებზე და ისინი, როგორც წესი, გიგანტები არიან. აი, მაგალითად, ამ სისტემის მეხუთე პლანეტას რომ ჰქონდეს შესაფერი პირობები, იქ შეიძლებოდა განვითარებულიყო ჩვენსავით მოაზროვნე ადამიანი. მესამე პლანეტაზე კი გამოიციხულია საპიენსების არსებობა...

საუბარში კაპიტანი ჩაერია:

— ერთი რამ მაინც გასათვალისწინებელია. ჩვენ გალაქტიკის ცენტრის ცივილიზაციებს ვიცნობთ მხოლოდ, ეს კი მისი ერთ-ერთი განაპირა უბანია. იქნებ აქ ცოცხალი არსებების ჩასახვისა და ევოლუციის სხვა კანონზომიერებებთან გვაქვს საქმე, რომლებიც ჩვენთვის ჯერ უცნობია?

ამაზე ბიოლოგმა უპასუხა, რომ სამყაროში, როგორც გალაქტიკის ცენტრში, ისე მის პერიფერიებში უნივერსალური კანონზომიერებანი მოქმედებენ და გამონაკლისი ძნელად წარმოსადგენიაო.

— მიუხედავად ამისა, — დაასკვნა ბიოლოგმა, — ჩვენი მოვალეობაა შევისწავლოთ ამ ყვითელი მზის პლანეტები და ეს სწორედ მესამედან უნდა დაიწყოთ, რადგან ბიოსფეროსათვის სხვაგან ხელსაყრელი პირობები ნაკლებად არის.

გალაქტიკური ხომალდი მესამე პლანეტისაკენ გაეშურა...



დედამიწის მცხოვრებლები საშინელმა პანიკამ მოიცვა. ეთერში გამუდმებით გაისმოდა დიქტორების აღელვებული ხმები:

— კოლოსალური კომეტა, რომელიც ზომით ყველა ცნობილ ასტეროიდს აღემატება, დედამიწას უახლოვდება! დედამიწისა და კომეტის დაჯახება გარდუვალია! კოსმოსური კატასტროფა ემუქ-

რება კაცობრიობას, რადგან სადაც არ უნდა ჩამოვარდეს კომეტა — ზღვაზე თუ ხმელეთზე, სულ ერთია — საშინელება დატრიალდება. ზღვები გადმოვლენ ნაპირებიდან და ხმელეთს წალეკავენ...

პარიზში სასწრაფოდ შეიკრიბნენ მსოფლიოს სახელგანთქმული მეცნიერები და მთავრობათა წარმომადგენლები. პირველსავე სხდომაზე გადაწყდა კომეტის შესახვედრად გაეგზავნათ ავტომატურად მართული რაკეტები წყალბადის ბომბებით, რომ დედამიწიდან საკმაოდ დაშორებით აეფეთქებინათ ეს ციური სხეული. სხვა გამოსავალს მეცნიერები ვერ ხედავდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფა გარდუვალი იყო. თავდაპირველად განიზრახეს თორმეტი რაკეტის გაგზავნა. სტარტი დანიშნულ იქნა საღამოს რვა საათზე.



— დროა უკვე გადავიდეთ წრიულ ორბიტაზე მესამე პლანეტის გარშემო, — წარმოსთქვა კაპიტანმა და გასცა ბრძანება, — მოამზადეთ ავტომატური ზონდები პლანეტაზე გასაშვებად!

გალაქტიკური ხომალდის ეკიპაჟი აფუსფუსდა, ყველა მათგანი გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. ამოწმებდნენ ზონდების ავტომატურ სისტემებს, ეკრანებს, ენერჯის წყაროებს. მთელი მუშაობა რიტმულად, აუჩქარებლად მიმდინარეობდა. აშკარა იყო, რომ გალაქტიკური მზვერავის ბორტზე მყოფთათვის ეს ჩვეულებრივი საქმე იყო. ჯერ სამუშაო არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ ხომალდის ყველა კუთხეში უცებ გაისმა განგაშის გულშემშარავი ხმა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ყველანი სასწრაფოდ მთავარ დარბაზში უნდა შეკრებილიყვნენ, იქ, საიდანაც ვარსკვლავმფრენის მართვა ხორციელდება.

რამდენიმე წუთში ყველა ადგილზე

**შოთა ბოლელი**  
ორგანიზი შვიდოვა

იყო და გაკვირვებით მისჩერებოდნენ კაპიტანს, რომელიც მეტად აღლევებულნი ჩანდა. ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის შემდეგ ეს პირველი განგაში იყო ხომალდზე და გასაგებია, რომ ეკიპაჟის თვითეული წევრი შეშფოთებულნი იყო.

— რა მოხდა, კაპიტანო? — გაისმა აქეთ-იქიდან.

— მინიატურული პლანეტა რაღაცას გვიმზადებს. აი, შეხედეთ, — და მან ხელი ვეებერთელა ზემგრძნობიარე რადარის ეკრანისაკენ გაიშვირა, რომლის მარცხენა კუთხეში თორმეტი მიკროსკოპიული ნათელი წერტილი მოჩანდა.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — იკითხა ფიზიკოსმა.

— იმას, რომ მესამე პლანეტაზე გონიერი ადამიანები ცხოვრობენ და მიუხედავად ჩვენი ბიოლოგის მტკიცებისა, თურმე პატარა არსებებიც შეიძლება იყვნენ საპიენსები.

— ეს შეუძლებელია, — წარმოსთქვა ბიოლოგმა, — ალბათ, მეტეორიტების ჭვადთან გვაქვს საქმე... რა უშაშია საპიენსები.

— ეს რაკეტები თუ მეტეორიტების ჭვადი, რაც გნებავთ ის შეარქვით მათ, ზუსტად ჩვენს შესახებდრად მოესწრაფიან... მე ოდნავ შეეცვალე კურსი, რომ ამერიდებინა ხომალდი მეტეორიტებთან შეჯახებისაგან, თუ ისინი მართლა მეტეორიტები არიან, მაგრამ, ძვირფასო მეგობრებო, მათაც იცვალეს მიმართულება და ისევ ჩვენსკენ მოეშურებიან. არაცოცხალ მატერიას არ შეუძლია ასეთი მანევრის გაკეთება. აქ უმეკველად საპიენსების ხელი ურევია.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა რამდენიმე ხმამ.

კაპიტანი ჩაფიქრდა, ერთხელ კიდევ გახედა ეკრანს და წარმოსთქვა:

— ჩვენ არ ვიცით, ჰუმანოიდები არიან თუ არა ამ პლანეტის მცხოვრებნი, ჩვენ არ ვიცით, რა მოაქვს ჩვენთან ამ თორმეტ რაკეტას. ამ შემთხვევაში გალაქტიკის ცენტრის კოსმოსური ფრენის წესდება გვიკარნახებს, რომ მივი-

ლოთ თავდაცვის ზომები... დავამუხრუჭებ ხომალდს და წინ გავუშვებ ერთ ზონდს, რომელიც პლანეტის გამოსაკვლევად გვქონდა გამზადებული. ვნახოთ როგორი იქნება მათი შეხვედრა.

— არავითარ საშიშროებას არ ვხედავ, — წამოიძახა უფროსმა ასტრონომმა, — რას უზამს ეს თორმეტი მიკროსკოპიული რაკეტა ჩვენს ხომალდს, რომელიც მოცულობით მათი ერთ-ერთი კონტინენტის ზომისა!

— სიფრთხილე სისუსტეს როდი ნიშნავს. მე კაპიტანი ვარ და ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. ეკიპაჟზე მე ვაგებ პასუხს გალაქტიკური ცენტრის წინაშე და თუ მცირეოდენი საშიშროება მაინც არსებობს, უფლება არა მაქვს წინდაუხედავად მოვიქცე.

კაპიტანმა მოიხმო ორი ასტრონავიგატორი.

— სასწრაფოდ დაამუხრუჭეთ ხომალდი! გაუშვით ზონდი!

ღეღამიწის რაკეტოდრომის სადისპეტჩეროში სამართავ პულტთან რამდენიმე კაცი კლავიშებსა და გადამმრთველებს დასტრიალებდა. მსოფლიოს სახელგანთქმული მეცნიერების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ცოტა მოშორებით სკამებზე ჩამომსხდარიყო. ზოგიერთი ფეხზე იდგა და ბოლთასა სცემდა.

— ყველაფერი პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს, განაცხადა მთავარმა ოპერატორმა. სამ საათში ჩვენი კიბერნეტიკული რაკეტები — ანუ როგორც მათ ჟურნალისტებმა შეარქვეს „კიბები“ — კომეტას დაეჯახებიან და ციური სხეული ვეებერთელა რადიოაქტიურ ღრუბლად გადაიქცევა. ამრიგად ღეღამიწის კატასტროფისაგან გადავარჩენთ.

სადისპეტჩეროში მყოფნი კმაყოფილი სახეებით შესცქეროდნენ ეკრანს, რომელზედაც მშვენიერად ჩანდა, თუ თორმეტი „კიბი“ როგორ მიიწვედა კომეტისაკენ. ყველა მათგანს შეგნებული ჰქონდა ის დიდი მისია, რაც მათ კაცობრიობამ დააკისრა, და თვითეული ღრმად



იყო დარწმუნებული ადამიანის გონების გენიალობაში, მის უპირატესობაში ბუნების ბრმა ძალების წინაშე... და უცებ მოხდა ისეთი რამ, რასაც ვერც ერთი იქ მყოფი ვერც კი წარმოიდგენდა და არ დაიჯერებდა, რომ საკუთარი თვალით არ ენახა: კომეტის ძირითადმა მასამ მოძრაობა შეანელა, მას მოსწყდა პატარა ნატეხი, რომელმაც ძველი სისწრაფით განავრძო სრბოლა. ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მანვეერიების საშუალება ყოვლად შეუქლებელი შეიქმნა. რაკეტებსა და კომეტას შორის ციური სხეულის ნატეხი აღიმართა, რომელიც წყალბადის ბომბების დარტყმას მიიღებდა. აშკარა იყო, რომ კომეტის მასა უვნებელი დარჩებოდა.

— გაამზადეთ რაკეტების შემდეგი სერია — გასცა ბრძანება მთავარმა ოპერატორმა და იქ მყოფთ მიმართა — ძნელია იმის ასხნა, თუ რამ გამოიწვია კომეტის ძირითადი მასის დამუხრუჭება, ან მისგან საკმაოდ მოზრდილი ნატეხის ჩამოცილება, რომელიც მოცულობით თითქმის ევერესტის ზომისა იქნება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: კომეტის ასაფეთქებლად კვლავ დაგვიპირდება „კიბების“ გაშვება...

გალაქტიკური მზვერავის ეკიპაჟის წევრები დაძაბულად შეკუთრებდნენ ეკრანს. ნათლად ჩანდა, თუ როგორ უახლოვდებოდნენ ზონდს მინიატურული რაკეტები.

— იქნებ ამ რაკეტებში ცოცხალი არსებები სხედან და ჩვენთან კონტაქტის დასამყარებლად მოეშურებიან? — გამოთქვა ვარაუდი ერთმა ასტრონავიგატორმა.

— საეჭვოა, რომ ეს ასე იყოს, — განაცხადა ფსიქოლოგმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და თავისი კოლეგების ლაპარაკში არ ერეოდა. — არავითარი გამაფრთხილებელი სიგნალები ჩვენ არ მიველია კავშირის არცერთი არხის საშუალებით. თვით ეს რაკეტებიც, შეხედეთ, როგორ ჯიუტად მოემართებიან

თავიდანვე აღებული კურსით. მათი ერთ-ერთი დანიშნულება ჩვენი მოსპობაა.

— მოსპობა? ეს კი მეტისმეტია! — წამოიძახა უფროსმა ასტრონომმა, — ამ მიკროსკოპულმა არსებებმა ჩვენ რა უნდა დაგვაკლონ?

— თუკი მათ ვაშიფერეს ატომგულის საიდუმლოება, ეს ძნელი საქმე არ იქნება, — თქვა ფიზიკოსმა.

ეკრანზე ზონდსა და რაკეტებს შორის ძალზე მცირე მანძილი-ღა იყო დარჩენილი...

— შეაჩერეთ ვარსკვლავმფრენი! — ბრძანა კაპიტანმა.

ის იყო ასტრონავიგატორებმა დაამთავრეს ხომალდის საბოლოო დამუხრუჭება, რომ ლოკატორის ეკრანები უცებ თვალისმომჭრელად განათდა...

— ატომგულური აფეთქება! — წამოიძახა ყველამ ერთხმად.

— ზონდი მოსპობილია. ეს დაგვემართებოდა ჩვენც, საჭირო ზომები რომ არ მიგველო. ესეც შენი მინიატურული ცოცხალი არსებანი!.. ეჰ, ბიოლოგო, ბიოლოგო! ხედავ, რა კრახი განიცადა თქვენმა ყბადაღებულმა უნივერსალურმა კანონზომიერებამ? მაგრამ ახლა საყვედურების დრო არ არის...

...სასწრაფოდ ჩართეთ ძრავები და გავშორდეთ ამ არასტუმართმოყვარე მზის სისტემას. გალაქტიკის ცენტრი აქ თავის საკონტაქტო ექსპედიციას გამოგზავნის. ჩვენს უფლებამოსილებას სცილდება კოსმოსურ კონფლიქტებში ჩარევა... ჩვენ ხომ მხოლოდ გალაქტიკური მზვერავები ვართ!

როდესაც დედამიწაზე საღისეპეტჩეროს ეკრანმა ნამსხვრევის აფეთქება დაადასტურა, დარბაზში მყოფმა მეცნიერებმა შვებით ამოისუნთქეს.

— ნახევარ საათში „კიბების“ მეორე სერიას გაუშვებთ — გამოაცხადა მთა-

**შოთა ოლოლი**  
ორმხრივი შვიდოლა

ვარმა ოპერატორმა და ეკრანს გახედა, — კომეტის მთავარ მასასაც იგივე დაემართება, რაც მის ნატეხს... მაგრამ ეს რაა? კომეტამ 180 გრადუსით შეიცვალა მიმართულება და ახლა დედამიწას სცილდება? ეს წარმოუდგენელია..

— შესაძლებელია წყალბადის ბომბების აფეთქებამ გამოიწვია ეს? — გამოთქვა ვარაუდი ერთმა.

— ეს გამორიცხულია, — განაცხადა მთავარმა ოპერატორმა, — აფეთქება ისე დიდი მანძილით იყო დაშორებული კომეტის მთავარი მასისაგან, რომ მას არავითარი გავლენა არ შეეძლო მასზე მოეხდინა... რჩება ერთადერთი ვარაუდი, რომ ის რაც ჩვენ კომეტად ჩავთვალეთ, სინამდვილეში კომეტა არაა. მკვდარ მატერიას არ გააჩნია მანევრების საშუალება და თავდაცვის ინსტინქტი. ხოლო კომეტის წინ ნატეხის მოძრაობა რომ თავდასაცავი საშუალება იყო, ამაში ეჭვი არ მეპარება. ნატეხი ავადფეთქეთ — ძირითადი მასა კი უვნებელი დარჩა. ეს წინასწარ იყო მათ მიერ გაანგარიშებული...

— ვის მიერ?! — გაისმა გაკვირვებული ხმები...

— კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის მიერ!

— კოსმოსური ხომალდი, რომელიც ავსტრალიის კონტინენტს აღემატება თავისი მოცულობით, წარმოუდგენელია! მაშ რა ზომის უნდა იყვნენ მაშინ საპიენსები, რომლებიც მას მართავენ?

— ეიფელის კოშკზე მაღალნი...

— მაშინ ჩვენ ჭიანჭველები ვყოფილვართ მათთან შედარებით... გიგანტური საპიენსები! საინტერესოა, რატომ არ დაამყარეს ჩვენთან კონტაქტი?!

უფროსი დისპეტჩერი ჩაფიქრდა და მდუმარედ უყურებდა ეკრანზე წერ-

ტილს, რომელიც სულ უფრო უზოღობოდა დედამიწას.

— მე მგონი, — სთქვა მან, — ისინი არ იყვნენ მზად კონტაქტისათვის ჩვენისთანა არსებებთან. წელან ჭიანჭველა ასხენეს აქ. დიახ, განა შეიძლება კონტაქტი სპილოსა და ჭიანჭველას შორის? ამისათვის ხანგრძლივი მზადებაა საჭირო და ეტყობა იმ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟისათვის ეს გადაუჭრელი ამოცანა იყო... როდესაც მათ ჩვენი ძლიერება დაინახეს, ისინი ალბათ მიხედნენ, რომ დედამიწაზე მინიატურული გონიერი არსებები ცხოვრობენ. ისინი უეჭველად ჰუმანოიდები არიან, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს პლანეტაზე ქვას-ქვაზედ არ დატოვებდნენ. მათ ამჯობინეს უკან დაბრუნება, რომ თავისიანებს შეატყობინონ ჯუჯა საპიენსების არსებობა სამყაროში. ისინი უეჭველად გამონახავენ ჩვენთან კონტაქტის გზებს და ახლო მომავალში გვეწყვიციან...

— საინტერესო მოსაზრებაა, — წარმოთქვა ერთ-ერთმა ბიოლოგმა, — მაგრამ გიგანტური გონიერი არსებანი შეუძლებელია რომ ბუნებაში არსებობდნენ... დიდი მიზიდულების მქონე პლანეტებზე წარმოუდგენელია სიცოცხლის ჩასახვა და განვითარება. სამყაროს ყოველ კუთხეში ერთნაირი კანონზომიერებანი მოქმედებენ...

— კანონზომიერებანი? — შეაწყვეტინა სიტყვა უფროსმა ოპერატორმა, — თქვენი კანონზომიერებანი საპნის ბუშტივით გასკდა წყალბადის ბომბების აფეთქებასთან ერთად. ჩვენ ახლა სულ სხვა კუთხით უნდა მივუღვეთ და შევაფასოთ სამყაროში მიმდინარე პროცესები. აი, მთავარი გაკვეთილი, რაც ჩვენ გიგანტური კოსმიური ძმების სტუმრობიდან მივიღეთ.



ნოვარ ლეონიძე

## გლარიან თუშის ბიჭები

მატანტალებენ ბილიკზე  
თუშის პატარა ბიჭები,  
ფეხში ესობათ ეკლები,  
ფეხში ესობათ ხიჭვები.

მიდიან, მიიმღერიან,  
მოები უწყობენ ხმასაო.  
„თუში ვარ, მიტომ კარგი ვარ,  
კიდევ ვჯობივარ სხვასაო...  
არ მივატოვებთ არასდროს  
მთაში გარეკილ ცხვარსაო,  
არ გავაცივებთ ღადარსა,

არ გამოგვეტავთ კარსაო,  
ომალოს, დიკლოს, შენაქოს  
არ დავეუტოვებთ სხვათაო“.  
ნიაზორები გადმოდგენენ,  
გადმოგვიდნენ მთებსაო,  
მდინარეები გადმოსკდნენ,  
კლდემ კლდეზე დაიკვესაო,  
ირემმა ირემს გასძახა:  
— ბალებმა ეს რა თქვესაო.  
ნეტაი ჩვენსა მამულსა,  
ნეტაი ღედათქვენსაო.

## ერთმა პატარა ბელურამ

ერთმა პატარა ბელურამ  
დალენწა რკინის გალია;  
ასი პეპელა შესჭამა,  
ორი ათასი — კალია,  
ასი ათასი — მუხლუნო,  
მერე მოსწყურდა წყალია,  
შავ ზღვას დაადო ნისკარტი,  
შეისრუტა და დალია,  
მერე ჩემს ფისოს ეძგერა,

დაუბრიალა თვალია.  
ფისომ ირიბად გახედა,  
იფიქრა, ალბათ მთვარლია,  
თათი წაართყა კეფაში:  
— შენთვისო არა მცალია.  
თათი რომ წააჭრა კეფაში,  
გაქრა ბელურას კვალია,  
ქარს ვაატანა ბუმბული,  
მე გადმომიგდო ძვალია.

## სარფელი მეთევზე ბიჭების სიმღერა

აიდა, აიდა,  
გასცურე, ბაიდა,  
გამოდი, კეფალო,  
გამოდი, სტავრიდა!  
აიდა, აიდა,  
მოუსვი, ბაიდა,

ღელფინი მოვარდა,  
ნეტავი საიდან?...  
სტავრიდას გაიტანს,  
კეფალსაც გაიტანს,  
ბადეს და ბაიდას  
გაიტანს ლაზისტანს.



ამ ბადეს დაგტოვებთ,  
ტალღებზე ეფინოს,  
ოღონდ შენ მოგვეშვი,  
კეთილო დელფინო.  
რა მოხდა ასეთი,  
ეს ზღვა რომ გაცალე,  
სულ შენი არ არის?  
ცოტა ჩვენც გვაცალე.  
დღეს არა გვცალაია,  
ხვალ გეთამაშებით,  
დილიდან ვთევზაობთ  
სარფელი ბავშვები.

დღეს თევზის ნასახიც  
არ გაგვიყიდა,  
გვაცალე, გავყიდი  
სტავრიდას, მიდიას,  
ტალღები მოდიან,  
ტალღები მიდიან,  
სხვაგან ითევზავე,  
შავი ზღვა დიღია,  
მიბრუნდი, ბაიდა,  
მზე ზღვაში ჩავიდა.  
დელფინი წავიდა,  
აიდა, აიდა!

## კ ვ ი ს ი

იყო ერთი კვიცი,  
ყორნისფერი კვიცი,  
ემმაკი და მკვირცხლი,  
ოჩანი და ფიცხი,  
დედის ურჩი კვიცი.  
ალბათ, ყველამ იცის,  
ერთხელ მკვირცხლი კვიცი  
მოყვა თავის ქიციის,  
უკითხავად დედის  
მიატოვა თავლა,  
მოინდომა გავლა,  
გადირბინა ველი,  
მოღერებულ ყელით

და მდინარის პირას  
შიშხილისგან ხელი,  
შეუფეთა მგელი,  
მგელს ცრემლით და ფიცით  
გულს მოუღობოს კვიცი?..  
პოდა, ყველას, ყველას,  
თაგუნას და მელას,  
ბაჭიაა იგი,  
თუ ნუკრია შველის,  
ვინც არ უსმენს მშობლებს,  
განსაცდელი ელის.

იყო ერთი კვიცი...  
მეტე აღარ ვიცი.

## ღათუნის მონაწევრი ბარათი

სათაფლიას უსიერში  
ყველას, ყველას გელით,  
ხვალ ჯვარს იწერს ჩემი ბიჭი,  
საამაყო ბელი.  
ფიჭვნარში მაქვს გამართული  
მამული და სახლი,  
საჯესე პანტიო, კურკანტელით,  
წაბლითა და თაფლით,  
ქორწილი მაქვს არნახული,  
სმით და ჭამით დაგლით,  
ოღონდ არ წამოვიყვანოთ  
მონადირე ძაღლი,  
ოღონდ არ წამოვიყვანოთ  
ტყეში სტუმრად ფუტკარი,

და თუ მოვა, ის ნესტარი  
შინ დატოვოს, უთხარით.  
ოღონდ არ წამომიყვანოთ  
მონადირე სოფლის,  
და თუ მანაც არ დაიშლის,  
შინ დატოვოს თოფი.  
თქვენი კარგად ყოფნის მეტი  
არაფერი მინდა,  
ერთხელ მანაც ვიქეიფოთ  
უჩხუბრად და მშვიდად.  
ჩემს სასახლეს უღრან ტყეში  
არკ აწვიმს და ათოვს,  
თუ მეწვევით, გამახარებთ —  
მარად თქვენი დათო.

## იხვი და მამალი

ვიტი, ვიტი,  
ჩემზე დიდი  
მოცურავე ვინ არი.  
ვის ამშვენებს უღვაში,  
გამეჯიბროს ცურვაში.  
'ზურგზე ლურჯი ზოლი გამდევს,  
ჩემპიონის კანტია,  
იხვთა მოდგმა ვასახელე,  
მეძახიან „კვანთას“.  
და დედლების ამალით  
იქვე გაჩნდა მამალი.  
უკან არ დაიხია,  
ტანზე წემოიხია.

— მაგ დაფეხვილ ტრაბახას  
მივალ, ყელში ვეცემი,  
დაახალეთ, დედლებო,  
ოქვენი ლაყვ კვერცხები.  
ისე მაგრად გავცურო,  
ისე მაგრად ვიყვილო,  
მაგას თუ არ ვაჯობო,  
დე, გამისმეს ბიბილო!  
გადაეშვა მორევში,  
ცა ყივილით გახია,  
და იმ დღიდან მამალი  
დედლებს არ უნახიათ.

## შეჯიბრება სალორიის ტყეში

კვირკობ-მარიობის თვეში  
სალორიას უღრან ტყეში  
ნადირთ შორის გაიმართა  
პირველობა ჭამა-სმაში.  
იმ შეჯიბრზე თავად გახლდით,  
თქვენი ტოლი ვიყავ მაშინ.

დაახვავეს სალაფავი,  
სასმელი და საყლაპავი,  
მოაქვთ გოდრით,  
მოაქვთ ურმით:  
ყველი,  
პური,  
ხაჭაპური,  
თაფლი — კასრით,  
ღვინო — ჭურით,  
ვაშლი,  
მსხალი,  
ხეჭეჭური,  
კვახი,  
ნესვი,  
კარტოფილი,  
წაბლი,  
გობზე დაწყობილი.

გამოვიდნენ ფალავნები  
ზოგი ძალით,  
ზოგი ნებით,

გადმოთელეს სტადიონი,  
გადმოთელეს გაზონები,  
და ღორები ვიდრე გვერდზე  
ვირებს მუცლებს აზომებდნენ,  
უცვებ ჩართეს წამმზომები.  
ერთი, ორი,  
ერთი, ორი,  
თავს დააცხრა საჭმელს ქორი.  
წინ გავარდა უცვებ ყვავი,  
ყვავი, სვავის ნათესავი,  
ყვავს ფეხდაფეხ მიყვა სვავი,  
დათემა კასრში ჩარგო თავი.  
განაბული ყველა ელის,  
გაიმარჯვებს შმაგი მგელი,  
მაგრამ, ვაგლახ, შეცდა ყველა,  
მგელს გაუსწრო წამით მელამ.  
ტურამ დანთქა ყველა ჭური,  
ბაჭიები მოკვდნენ შურით,  
ვაშლის ხარბი  
დარბის ზღარბი,  
თავის არჩივს  
ექებს მაჩვი.  
ერთი, ორი,  
ერთი, ორი,  
ძლივს მოგლიჯეს საჭმელს ჯორი.  
ვირს დაადგა გასაჭირი,  
მიშველეთო, ყვირის ვირი.  
ვერ აჯობებს, ვერვინ, ვერა,

საჭმელს ძერა

დაეძგერა.

სტადიონზე გრგვინავს ტაში,  
ცხენს გაუსკდა ჭამით ფაშვი.  
გაბერილი უმი ნიყვით —  
გაათრიეს გვრდზე ციყვი,  
თხა ძროხას და ირემს შველის,  
გულწასული გაყავთ შველი,  
გაუზრდელი, ბრიყვი, ანცი,  
არვის აცლის  
შაფი ვაცი;  
იცინის და წვერს ივარცხნის.  
აბა, განი,  
აბა, განი,  
გაპყავთ ვაცი  
ზულიგანი.

ერთი, ორი,  
ერთი, ორი,  
გაინაბა სტადიონი.  
ქრუანტელი უვლის ტანში,  
აბა, ტაში,  
ჩქარი ტაში,  
მეცხრე კასრი მიაქვს ყბაში,  
გამარჯვების დასცხეთ მარში,  
ერთი, ორი,  
არ ჰყავს სწორი,  
ჩემპიონი გახდა ღორი.  
ყველა ნადირს ყველა გზები  
მოუჭრა და მოუცველა,  
და იმ დღიდან დააწესეს  
ეს ტიტულიც — ღორმუცველა.







# ოდისეა

## XXIII

ქორღში ავიდა ევრიკლეა, რომ ძვირფასი მუხლის ჩამოსვლა ეხაზებინა დედოფლისათვის. მკვირცხლად აირბინა დედაბერმა კიბეები, თავით დაუდგა მძინარე პენელოპეს და შესაბა:

— გაიღვიძე, ჩემო შეილო! საკუთარი თვალით იხილე, რასაც ამდენხანს ელოდი. ჩამოგივიდა დიდხინის უნახავი ქმარი, შენი ოდისეუსი! შემუსრა თავისი სახლის ამაოხრებელნი და ტელემაქეს შემაჭირებელნი!

— დია, ბედშავო! გონთით გადაუგდიახარ ღმერთებს! — უპასუხა პენელოპემ, — აკი ხელუწიფებათ უკვდავთ, გონი აღხადონ გო-

ნერთ, ხოლო უგუნური სიბრძნეს აზიარონ! რატომ დამცინი ისედაც სვეგამწარებულს? რატომ დამიფრთხე ტკბილი ძილი? მას შემდეგ, რაც იმ დაწყველილ ილიონს გამგზავრა ოდისეუსი, ასე უშფოთველად არ მძინებია. ნულა მაწუხებ! შენს ადგილზე მონათავანს სხვას რისხვით გავისტუმრებდი უკან. შენ კი, სიბერეს შენსას უმაღლოდ, რომ არას გეუხნებში!

— აბა, ჩემო საყვარელო, ჰეშმარიტი გაუწყე! როგორც წელან გითხარ, ჩამოვიდა ოდისეუსი და ახლა ქვემოთ, დარბაზში ველოდება. ეს ის ყარიბია, აბუჩად რომ იგდებდნენ სასიძოვები. ტელემაქეს თავიდანვე სცოდნია ეს ამბავი, მაგრამ მამამისის ბრძანული რჩევით გულში დაუმარბავს საიდუმლო, რომ ხელი არ მოსცარვოდათ შურის მიგებისას.

ასე უთხრა ევრიკლემ. წამსვე საწოლიდან

დასასრული. დასაწყისი იხ. „ციცკარი“ № 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.



წამოიჭრა პენელოპე და გულში ჩაეკრა მოხუც ვაღიას. სიხარულით ატირებულმა ესლა შესძახა დედებებს:

— ჩქარა, ჩქარა მამცნე ყოველივე! თუ ის ყარბი მართლა ოდისევსია, მითხარი ბარემ, როგორ შემუსრა ერთმა მრავალნი? ისინი ხომ დღემოდ ამჯეროდ ეყარნენ ჩვენს დარბაზში?

— არც მე და არც სხვა მონაქალბს არაფერი დაგეინახავს, — უბასუხა ევრიკემ, — მაგრამ ოთახებში გამოკეტილებს მომაკვდავთა ეგნესა და სასიძოთა ვაი-ვინი გვესმოდა. ყოველი რა მიწყნარდა, შენმა ძემ, ტელემაქემ, ოდისევსთან მიხმო. დარბაზში შესულმა ეს დავინახე: დახოცილ სასიძოთა შორის ლომივით იდგა სისხლით შესერილი ჩვენი ბასილევსი. ნეტამც მამინ შეგახედა მისთვის! ახლა გვაპყენი ეზოშია გატანილი. ოდისევსმა ახაროლებულ გოგირდით განწმინდა დარბაზი, მე კი შენს დასამახებლად გამომწაუნა. გამომყევ, შვილო! ერთმანეთს ნახეთ გული გაიხარეთ! წარხნა დღე ქირისა და სიავის! ცოცხალი დაგიბრუნდა სანატრელი ქმარი, ცოლიცა და შვილიც ცოცხალი დაუხვდით, ხოლო ქვეგამებდვარ სასიძოებს სამაგიერო მიეწლო!

კეთილგონიერმა პენელოპემ ასე მიუგო ევრიკელას:

— ჩემო ვაღია, გულიათქმას ნუ აყვებთ. თავადაც იცი, როგორ ვუხარდებდა ყველას ოდისევსის დაბრუნება, ნამეტნავად კი მე და ჩვენს მხოლოდშობილ ძეს. მაგრამ, რა ვქნა. არ მეჭერება შენი სიტყვა. ეგების ვინმე უკვლავთაგანმა შემუსრა სასიძოები, მათი სიავითა და გულწვავობით განრისხებულმა? ისინი ხომ უხადრისად ექცეოდნენ ყველას, კეთილსაც და უკეთუთარს, ამიტომაც მიეგოთ შური... ოდისევსის დაბრუნების იმედს კი გადაწურული მამქვს, ითავიდან შორს, მოიკრებმა დედებმა იგი!

— ეს რა სიტყვა დასცდა შენს კბილთა ზღუდეს! — შეიცხადა ევრიკემ, — ავი გეუბნები, დარბაზში დგას და შენ გელოდებამეთქი კერასთან! მუდამ ურწმუნო იყავ და არც ახლა გერა ჩემი ნათქვამი. კარგი, მამ, ამასაც გატყვი: ხომ გასსოვს, ნადირობისა ეტანა ეშვით რომ დაუშავა წვივი? ფეხს როცა ეხანდა, მენიშნა ეს ნაპირიბოვეი, მინდოდ, შენთვის გამეცხადებინა ეს ამბავი. თავს გეფიცები, მართლს ვამბობ. თუ გატყუებდი, წამებით ამომხადე სული!

— გულწმიერი ქალი ხარ, ჩემო ვაღია, მაგრამ ღმერთების განგებას რას შესწევდები! კარგი, კარგი. — დაპყვა პენელოპე, — ჩავიდეთ ტელემაქესთან. რომ ჩემი თვლით ვიხილო დახოცილი და შურისმაგებელი.

ასე თქვა და ქორედიდან დაბლა დაეშვა დედასეული. გული ძალუმად უცემდა, არ იცოდა. რა ექნა. — შორიდან შეხმიანებოდა ძვირფას მუხუღებს, თუ გადაჰხვევოდა და პირი და მხრები დაეკონა მისთვის. ამ ფიქრში ქვის ღირეს

გადააბიჯა და კერასთან, ოდისევსის პირსებურ ცეცხლს მიუჯდა. მაღალ სვეტთან მჯდომი ოდისევსს თვალები დაეხარა და ელოდა, რას გეტყოდა ოცი წლის უნახავი მეუღლე. მძღვარედ იჯდა ვაგონებულ პენელოპე, დაკვირვებით უტყუარა, თითქოს სცნობდაო ჳვალითი მოსილ ოდისევსს.

ტელემაქემ ყვედრებით მიმართა დედამისს: — გულმა ქალი ხარ, დედაჩემო! ცალკე დამჯდარხარ და არაფერს ეკითხები მამას. არცერთი ქალი არ შეხედებოდა ასე გულცივად ოცი წლის უნახავ, თავის მრავალტანჯულ მეუღლეს!

— ჳერაც გონს ვერ მოვსულვარ, შვილო! — მიუგო პენელოპემ, — ენადაბმულს ძალი არა მაქვს რამე ვკითხო და მისი შეხედვაც კი მიმძიხს. თუ ეს კაცი მართლაც შინადაბრუნებული ოდისევსია, ჩვენ თავად გამოვემცნაურებთ ერთთვის. ავი მართო ჩვენ ორმა ვუწყით სხვებისაგან დაფარული ბევრი საიდუმლო!

ჩაელომა ამის გამგონე ოდისევსს, ტელემაქეს მიუბრუნდა და ფრთიანი სიტყვაც უთხრა:

— დედაშენს დაეხსენა, ტელემაქე! თავად უკეთ იცის, როგორ გამოვიცადოს, მამინ კი უწყველად მიცნობს. რა გასამტყუნია, რომ ოდისევსსად ვერ ვუცვნივარ ძონძებში გახვეული ყარბი? ჩვენ საქმეს მივხვდით ახლა, გავბრტოთ, რა აჯობებს, როგორ მოვიქცეთ. მოკლულს ერთი შურისმაძიებელიც რომ დარჩეს გვარში, მკვლულს მამაპაპული მიწიდან ვადახვეწა მართებს. ჩვენ კი, ითავის წარჩინებულნი და სახელოვანი მოყმენი დავხოცეთ. ამაზე იფიქრე ახლა, აი რას ვირჩევ!

— გამჭირაბი და გონებით სწორუბოვარი ვარ კაცთა შორის. ასე ვგეხმენია. არასოდეს ვაცუდებულაო ოდისევსის თათბირი, ამიტომაც თავად შენ იფიქრე ამაზე, — სიტყვა შეუბრუნა ტელემაქემ, — ჩვენ კი უსიტყვოდ ამოკვადგებით მხარში და ჩვენი ძალისაებრ შეგვეყვიო.

მამინ ოდისევსმა ასეთი რჩევა მისცა შინაურთ:

— უმჯობესად ეს მიმიჩნევია: უწინარეს ტანინ განვიბანოთ და ახალთახალი ქიტონები ჩავიცვით; მონაქალები საზეიმოდ გამოეწყონ: დღთაებრივმა მომღერალმა საროკველი ჰანგი დაუქრას წყრილა ფორმინგზე, რომ მევობლებსა და ვამველელ-გამომველეს ეგონოს, — ქორწილს იხდიანო ოდისევსის სახლში. სანამ სასიძოთა ამბავი მისწვდებათ, მანამდე სოფლად, ჩვენს ბალ-ვენახებში უნდა გავასწროთ. რომ იქ გულდინჯად ავწონად-დავწონოთ ყოველივე, ვინძლო ზევის შეგვეყიოს ამ საქმეში!

აგრც მოიქცნენ: ტანინ განიბანეს და ახალთახალი ქიტონები ჩაიცვეს. მონაქალებიც მოიკაზმნენ, დღთაებრივმა აედმა ჰმატკბილი ფორმინგი მომართა და ცეცვა-თამაშიც გაიხლდა. მროკველ ქალ-ვაჟთა ფეხების დგრიალი აყრუ-



ებდა დარბაზს. ასე ამბობდა ოდისევსის ბუქ-  
მაღალ სახლთან ჩაეღილი მავანი:

— ალბათ ქორწილს იხდის ჩვენი დედუფა-  
ლი, სასიძოთავანი თუ მისთხოვდა ვისმე, არ  
დავლოდა ქმრის დაბრუნებას, უპატრონოდ  
სტოვებს სახლსა და საბადებელს!

ასე ამბობდნენ, გარნა არ უწყოდნენ, რა  
ამბავი დატრიალდა ამ დარბაზში. ამასობაში  
ვერცოლა ამ დანაზ ოდისევსი, სურნელოვანი  
ნელსაცხებლით დაუხილა ტანი, ქიტონი ჩააც-  
ვა და ძვირფასი მოსასხამი მოასხა მხრებზე.  
ათინამ ღვთაებრივი მშვენიებით განმშვენია პი-  
რისასზე, ახოვანება და ფერობრივი შეჰმატა.  
ხშირი, ოქროსფერი კულულებით შეუმცო თავი  
და, როგორც ჰეფესტოსებრ დახელოვნებული  
ოქრომქედელი მოვარაუებს ხოლმე ოქროთი  
ვერცხლს, ისე განამშვენია ათინამ თხემიდან  
ტრუფამდე მრავალტანჯული გვირი.

აბახანიდან ღვთივგანმშვენიელი გამოვიდა  
ოდისევსი; კვლავ პენელოპეს პირისპირ, იმავე  
ადგილზე დაჯდა და ასე შეესიტყვა თავის მე-  
უღლეს:

— დედაკაცო, უღმო გული ჩაუდგამთ შენ-  
თვის ოლიმპიელებს! გულშეუვალი სხვა ქა-  
ლიც კი უფრო ლამობიერად შეხედებოდა ოცი  
წლის უნახავ მრავალტანჯულ მეუღლეს. მაშ,  
შენ გამიშალე, ჩემო ვადია, საწოლი; მარტო  
დაეწეები. რკინის გული ჰქონია ამ დიაცს!

— არც გულქვა ვარ და არც არაფერს გაყ-  
ვედრი, კაცო! — მიუგო პენელოპემ. —  
ოღონდ არ მჭერა, ის ოდისევსი იყო, შეკაზ-  
მული ხომალდით რომ ვაგისტუმრე ითაკიდან.  
წიღ, ვერცხლეა, ოდისევსის ნახელავ საწოლ-  
ზე გაუშალე ქვეშავები, სანთიობოდან კარში  
რომ არის გატანილი!

ამ სიტყვით უნდოდა გამოეცადა პენელო-  
პეს ოდისევსი. გამწყარღმა ოდისევსმა ფიც-  
ხლად შესძახა ცბიერ მეუღლეს:

— ეს რა სიტყვი, დედაკაცო! გული მომიკლ-  
უნნა ნათქვამმა! ვის უნდა გაედგა ვარეთ ჩემი  
საწოლი? დმერთს თუ ხელწიფებოდა მისა  
ადგილიდან დაძვრა. ხორციელთაგან, რა ვეჟა-  
ცი უნდა ყოფილიყო, ძერას ვერაინ უზამდა  
ჩვენს საწოლს! ჩვენს ვარდა ავი არავინ უწყო-  
და მისი საიდუმლო! მე თავად გაეკეთე იგი  
ზეთისხილის რტომრავალი და ტანამშვეტილო,  
მაგარი ხისაგან. ჩვენს უზოში იზრდებოდა ის  
ხე. გარშემო წმიდად გათოლილი ლოდებით სან-  
თიობო შემოვუშენე, გადავხურე და კარიც ჩა-  
ვეუღვი. მერე ხეს ტრატები მოკაფე და ცუ-  
ლით შუაზე გადავჭერი. ძირკვი ვავრანდ, ამო-  
ვევლე და ზედ ხარის ძოწისფერი ტყავები ვა-  
დავკიმი, ხოლო გვერდები ოქრო-ვერცხლითა  
და სპილენძით მოვუპირკეთე. აჰა, ნიშანი სა-  
იდუმლოსი, რომელიც ჩვენს გარდა არავინ  
უწყობდა! აწ აღარ ვიცი, რა ვიფიქრო: ისევ იქა  
დგას ჩვენი საწოლი თუ ფუძიანად მოჭრა ვინ-  
მემ და სხვაგან გაიტანა?

ოდისევსის პირით გამხელოლი საიდუმლო  
რა ენა, ძუღლი მოუღუნდა პენელოპეს, ცრემ-  
ლებს ფრქვევით მიეჭრა საყვარელ მეუღლეს  
და ყელზე შემოეჭდო. სიხარულით ატირებუ-  
ლი პირისხეზე უყოცინდა ქმარს და თან გუ-  
ლამოსკენით ეუბნებოდა:

— ნუ, ნუ გამიწყებები, ჩემო ოდისევს! მამ-  
რთა შორის უგონიერესი იყავი ელდამ. დმერ-  
თებს შეშურდით ჩვენი ტკბილი ცოლქმრობა  
და ჭირისდელ დავგვატხებს თავზე, რომ ერთმა-  
ნეთის საყვარულში უზრუნველ სიბერემდე ვერ  
მივევლი! ნუ გამიწყებები და ნუ გამიცხავ,  
პირველ ნახვითანვე რომ არ ვაგისხენი წარ-  
ბი. სულ ამის შინაში ვიყავი — ვინმე მოკვდავ-  
თავანმა ტუბილი სიტყვით არ მომაცოთუნოს-  
მეთქი! ვინ მიხედვება, ვის რა უღვეს გულში?  
განა გაყვებოდა უცხო კაცს ზევის ასული  
არგოსილი ელენე და ვიზიარებდა მის სარე-  
ცელს, რომ სცოდნოდა, — რა სისხლის ფსად  
დაუჭდებოდათ აქველ გმირებს მისი სამშობ-  
ლოში დაბრუნება? ქალღმერთმა მოცოთუნა იგი  
და ჩააღენინა ეს უმსგავსი საქციელი. გვიანდა  
მიხვდა იგი, თუ რა უბედურება დაგვატხა  
ამით აქველეს. ახლა, რაკი ჩვენი საწოლის  
საიდუმლო ახსენე, იქვის ნატამალიც გამიქჩა  
გულში! ეგ საიდუმლო ხომ ჩვენს ვარდა მხო-  
ლოდ ერთმა მესაწოლე ქალმა, აქტორისმა იყო-  
და, რომელიც მამაჩემმა გამოამატანა გამოთხო-  
ვებისას. ის მუდამ ფხიზლად დარაჯობდა ხოლ-  
მე ჩვენი სანთიობოს კარს.

პენელოპეს ნათქვამმა ატირა ოდისევსი.  
ტიროდა იგი და გულში იჯრავდა თავის ქკეა-  
ნსა და ღვთივმშვენიერ მეუღლეს.

როგორც მძინვარე პოსეიდონის რისხვით  
ხომალდდაწილი მუზღუებრები თავს დააღწე-  
ვენ ბომბოქარ ზღვას და სამშვიდობოს ვასუ-  
ლი შეხზარის ხმელეთს. — ასე სასოებით შეს-  
ცქეროდა თავის მეუღლეს პენელოპე და აღარ  
უნდოდა ყელიდან ჩამოხსნოდა. ამ ყოფაში  
მოუსწრებდა ცოლქმარს ვარდისფერთიფება  
ეოსი, რომ თვალსხივოსან ათინას სხვაგვარად  
არ განესაჯა: მან გაახანგრძლივა ღამე, — ოქ-  
როსტანტოსან ეოსს უბრძანა, ოკეანის უღეს-  
რულებში დაყოვნებულიყო და ჯერხნობით ეტ-  
ლში არ შეებდა ფრთამალი რამები — ლამპოსი  
და ფეთონი, რომელთაც ცარგვალზე ამოჰ-  
ყავდნენ ხოლმე შექთამფენელი რიჭრაყი.

მაშინ ეს უთხრა ქირთამთმენმა ოდისევსსა  
თავის მეუღლეს:

— ჩემო ძვირფასო! განსაცდელი ჯერ კიდევ  
წინა გვაქვს, ჯერ კიდევ ბევრი მძიმე დღე მე-  
ლის. ასე მიწინასწარმეტყველა ტირეზიას ან-  
რიღლმა, როცა ჰადესში ჩამხდარმა ჩემი და  
თანამეგზურთა ამბავი გამოკითხე. ახლა კი  
დროა, სარტყელს მივაშურო, დავწვი და  
ტუბილი ძილით მოვისვენოთ.

**შომეროსი  
ოდისეა**





— შენს კეთილნამდებარე სახლში — მიუგო პენლოპემ. — ყოველთვის მზად არის შენთვის სარეცელი. მადლი ღმერთს, კეთილად დღებოდა მამაბაბუელ მიწას! ახლა ისიც მიიხარბარებ, კიდევ რა განსაცდელი გვლის, ღმერთების შთაგონებით კიდევ რა უნდა მოიმოქმედო? მერტვ გავივებ ყველაფერს, მაგრამ მიჩვენია, ახლავ ვიყოღო.

ასე უპასუხა მრავალტანჯულმა ოდისევსმა: — ჩემო ძვირფასო! რად გინდა ყველაფერი მათქმევინო? გეტყვი, მაგრამ, იცოდ, გასახარი არაფერია. თავად მეც არ მახარებს ეს ამბავი! ასე დამომოდერა ტირიზიას აზრდობა, — მხარზე უნდა გავიდო კარგად გამოთლილი ნინაბი და უცხო-უცხო თემად მორატული ის ხალხი მოვებნო, რომელთაც არც მარილით შემზადებული ჭამაღი უწყიან და არც ნინებებით ფრთამესხმული, ფერდებგამოწვენილი ხომალდებით ზღვოანობა. ისიც გამიზილა, როგორ გამოვიცნო ეს ხალხი და როდის დაედება სამანი ჩემს ხეტიალს: როდესაც გზად მიმავალს მგზავრი ვინმე შემომიყვრება და მიითხავს, — ეს რა ბარი გავიდევსო, უცხოლო, ძალოვან მხარზე, მაშინ იქვე ჩავარტყმ ნინაბს და ზღვითა მიუფე პოსეიდონს ვერს, ხარსა და ეშვებთან ტახს შევწირავ მსხვერპლად. შემდგომად ამის, შინ მოვბრუნდები და ცარგვალის მკვიდრ ყველა ღმერთს რიგისამებრ წმიდა პეტრომას მოვეუშვადებ. ბოლოს მიიხრა, — ზღვაზე სიკვდილი არ გიწერიაო, მგებრელი ტკბილად დაბერდები საყუთარ სახლში და სიკვდილის შემდეგ ბედნიერ და მადლიერ შთამომავლობას დასტოვებო. ასეც იქნება შეუმცდარი და გარდაუვალია ტირიზიას წინასწარმეტყველება!

ამ სიტყვებზე სიხარულით შესძახა პენლოპემ:

— რაკი ტკბილი სიბერე გადაგიწყვიტეს ღმერთებმა, ჰვავს, ქირსა და განსაცდელსაც მოგარიდებენ!

ამ საუბარში იყვნენ, რომ ევრიკემ და ევრინომემ მამასალების მუჭზე რბილი საგებელი გაუშალეს ცოლ-ქმარს. მოხუცი გაღია დასამინებლად წავიდა, ხოლო ევრინომე მამასალით ხელში სანთობოსკენ გაუძღვა ოდისევსსა და პენლოპეს. ძველთა წესისამებრ სიხარულით გულსავსენ დაწვენენ ისინი თავიანთ საქორწინო სარეცელზე.

მაშინ ტელემაქემ, მწყემსებმა და მონაქალეზმა შეწყვიტეს ფერხული და ჩაბნელებულ სახალემ მიყუდობებამ დაისადგურა.

მხურავლე ალერსით გული რა იჭერეს, ტკბილი საუბარი გააბეს ოდისევსმა და პენლოპემ. წვრილად მოუყვა დაცითა შორის უტურფვის დედოფალი თავისი ძნელბედობი: ამბავს: თუ როგორ ეყარნენ ჯგროდ მათ დარბაზში უტიფარი სასიძობები, როგორ ხოცავდნენ ნასუფლად ძროხებსა და ცხვრებს, როგორ

ხაზადნენ ძველი, გადახალული ღვინოთა სეკემქი ქოცებეს. ოდისევსი კი უამბობდა, თუ რა დაატეხა მტერს და თავადაც რა განსაცდელი გადაიტანა. სულგანაბული უსმენდა პენლოპემ მრავალქირსახულ მუდელეს და მანამდ არ მიჰკარებია ძილი, სანამ ბოლომდე არ მოუთხრო ოდისევსმა თავისი თავგადასავალი.

თვალსხვიოსანმა ათინამ რა გულისხმაყო, ძილითა და ცოლთან ალერსით გული მოსრულთა ოდისევსმა, ოქროტახტისან ეოსს უბრძანა, ოქეანის სიღრმეებიდან აღმომხდარიყო და ნათელი მოედნად მოეცადეთათვის. სანტარო სარეცელიდან მყისვე წამოდგა ოდისევსი და ასეთი სიტყვა უთხრა მეუღლეს:

— ბევრი ქირი დატრიალებულა ჩვენს თავზე, სანტრელი შენ ჩემს უკუღმართ ბედს დასტირდი, ხოლო მე, შენს მონატრულს, სამშობლოდან ვარე-ვარე მატარებდნენ უკვდავი ღმერთები. ახლა, რაკი ვედირსეთ სანტარო სარეცელს, შენ სახლ-კარს მიხედვ ჩვენსას, მე კი სასიძობის მიერ დახოცილ ხვასტავს ავინაზლავებ. ნაწილს ძალით წავართმევ, ნაწილს ნებით მომიტყავენ, ვიდრე ბანსლებსა და საღორეებში კვლავ არ მოვამრავლებ ხვასტავს. ახლა კი სოფლად მივდივარ, ჩემზე ჯავრით გულგასენილ მამაჩემთან. აბა, შენ იცი, ხელმარჯვე და გამჭირაბი ხარ, გულს დამარჩე ჩემი სიტყვა: შენ რა ამოვა, მოველ ქალაქს მოედება სასიძობთა დახოცვის ამბავი, ქორეღში ადი და შიმენუარებთან ერთად შენ ჩაიკეტე. მშვიდად იჯექი, არავის ეჩვენო და ხმაც არავის გასცე.

ეს რა თქვა, შეიჭურვა ოდისევსი. მერე ტელემაქე და მწყემსებიც გააღვიძა და უბრძანა საჩქაროდ შეპურვილიყვნენ. მათაც სასწრაფოდ აისხეს იარღლი, კარიბჭე განახვენეს და ოდისევსს მიჰყვნენ. მზეს უკვე ნათელი მოედნა ქვეყნის ერთათვის. მაგრამ ათინამ ნისლით შებურთისინი და უტრძინულად გაიყვანა ქალაქიდან.

XXIV

ხოლო ამ დროს, კლენიელი ჰერმესი ძილიდილის კვერთხით ჰადესისკენ მიერეკებოდა სასიძობთა სულგებს (ამ ოქროს კვერთხით ნებისაებრ აძინებდა და აღვიძებდა იგი მოკვდავთ). როგორც ბნელ მღვიმეში მიყუდული მამაინების გუნდს მოწყვდებოდა ხოლო ერთი მამაინი და შემზარავი წრამინით სხებთან გაჰყვებოდა, ისე მისდევდნენ შავეთის სულისშემხუთველ გზებზე დახოცილთა აჩრდილები ჰერმესს. ოქეანის ქუფური ტალღები გადალახეს; თერთი კლდე, ჰელიოსის კარიბჭე და სიზმართი საუფლო უკან მოიტოვეს და ასოფლილოს ველზე გავიდნენ იქ, სადაც მზეგადასულთა სულგები დაბორილობენ. იქ იხილეს სულგები აქილევსისა და პატროკლესი, ანტილოქესა და აინატისა, იმ აინატის, პელევსის ძის შემდეგ დანახლთა შორის ყველას რომ აღემტებოდა



ეკეციკობით. აქილევსის გარშემო შემოკრებულ მალე ავამენონის მწუხარე სული და ევისთვის სახლში მასთან ერთად დაღუპულ გმირთა ანრდობები მიეახლნენ.

პირველად აქილევსი შეეხებინა ავამენონს: — ევა, ატრევსის ძეო, არც შენ ავტდენია მწერ სიკვდილი, რომელსაც მოკვდავთაგან ვერაინ გვეტყევა? ჩვენ კი ვეგვონა მესხამატყორცნულ ზეეს ყველასაგან გამორჩეული ჰყავდი. განა შენ არ გმორჩილებდა ურცევი სპა ილიონის კედლებთან, სადაც აქავილებს მრავალი ქირი გარდაგვებდა? სჯობდა, ისეც ტროაში დაცემულიყავ ესოდენ ძალამორტყული, ბორცვს მაინც აღვიმართოდნენ პანაქაველი და შენი სახელი შესსავ შეამომავალი განადიდებდა. მაგრამ ვაი, რომ უსახელო სიკვდილი გერგო!

— ევა, ბელევსის ძეო, ღვთისდარო აქილევსს, — გაეხმაურა ავამენონის ანრდობი, — ბედნიერი ხარ ილიონის კედლებთან რომ დავიქი შენი ცხედრის დასანარჩუნებლად აქველთაგან უმამაცესნი მთელი დღე ვერცინებოდით ტროელ გმირებს, ვიდრე ზეესის აედარმა არ ვავაშვილა. შენ კი, ვეებერთელა ტანით მტვერნი გართხმულს დაგვიწყებოდა ბრძოლა და ომი. ბოლოს გამოვიხსენით და ხომალდებისკენ წავიღეთ. თბილი წყლით ვანებანეთ, სურნელოვანი ზეთით ვაგვიპოხეთ ღვთიერშევიერი ტანი და სარეცელზე დავასვენეთ. ჩვენ კი თმები დავიკურით და მღულარე ცრემლი დავადინეთ. ხოლო დედამენმა, შენი დაღუპვის ამბავი რა სცნა, ნერვიდების თანხლებით ზღვიდან ამოვიდა: შემზარავმა კვილიმა შესძრა ზღვა და ნაპირი და თევზარი დასცა აქველებს. მეომრებმა ხომალდისაკენ გაქცევა დააბირეს, მაგრამ კეთილმრჩეველმა ნესტორმა ვაიყარა:

— დაღუპით, აქველნო, საით ვარბიხართ! ნერვიდებთან ერთად თავისი სახელოვანი შვილის დასატირებლად ზღვიდან ამოსული აქილევსის დედა ჰკივის, ნუ გეშინიათ!

ნესტორის სიტყვით გულგამაგრებული აქველნი დადგნენ, ხოლო შენზე მგლოვარი ზღვის ასულნი შემოგვევივნენ და უხარწნელი სუღარით შევიმოსეს ტანი. მერე ცხრავე მუხამ რიგროგობით დაგიტარა. აქველთაგან ვერაინ შეიმაგრა ცრემლი, აქილევსს, ისე გულმღულრად მოსთქამდნენ მუხუბი. ჩვილმეტი დღე დაღამე ერთად დაგტიროდით უკვდავნი და მოკვდავნი. მეთვრამეტე დღეს შესსაწირავი თაფლითა და ზეთით ცეცხლს დაუღვეით შენი ცხედარი და ბევრი რქადარეხილი ძროხა და ნასუქალი ცხვარი დაგეკალით. აბჯარასხმული ქვეითნი და ეტლოსანი დგრიალით გარს უვლიდნენ შენს მოვიზიზე კიკონს. ეოსის გამოჩენისთანავე, წმინდა ალმა რა გმთანთქა, თთირი ზეთით ავკრიფეთ, ზეთითა და ზედამით გავებოხეთ და დედაშენისთვის დიანისესგან ნაბოძებ, ჰეფესტოს ნახელავ ლავინში ჩავალა-

გეთ. პატროკლეს ძვლებთან ერთად აწყვიდა შენი ძვლებიც, აქილევსს, ხოლო პატროკლეს შემდეგ შენთვის უსავარდესი ანტილოქეს ძვლები ცალკე ასვენია. მერე არგოსელმა მეომრებმა სამახსოვრო ბორცვი აღვიმართეთ ჰელსპონტოს მალღ კონცხზე, რომ შორიდანვე საჩინარი ყოფილიყო არა მარტო აქამინდელ კაცთათვის, არამედ ყოღადში შობილითთვისაც. დედაშენმა კი ღმერთებს უტყობლასიხილველი ჟილდოები გამოსთხოვა და აქველთაგან უმჯობესთა შორის დააწყო. ბევრი ვეკეციკის ტირილში ვყოფილვარ, მინახავს ქამარშემორტყმული ჰაბუტები როგორ მომზადებულან სასპარეზოდ, მკვდარი ბასილევსისათვის სახელის დასადებად, მაგრამ ვერცხლისხვევბა თეტისის მოტანილ ჟილდოებისთანა არაფერი მიხილავს. ევა, შენ ხომ ყოველთვის ეთნოდი ღმერთებს! ახლაც, თუმცე სამზეოს აღარა ხარ, შენი სახელი არ წარხოცილა ჰეყეანზე. მე კი რა მერგუნა ომგადახილს? შინმოზრუნებულს მწარე ხვედრი დამახვედრა ზეესმა: ჩემსავე სახლში ევისეთესა და ორგული ცოლის ხელით მოვიკალ.

სწორედ ამ დროს არგუსისმკვლელმა მითაკენ წამოიბალა ოდისევსის მიერ დახოცილი სასიძობის ანრდობები. თვალს რა ჰკიდეს, განციფრებული გმირები მათ შესახვედრად გაემართნენ. ავამენონმა მყისვე იცნო მელანთევსის მე ამფიმედონი, რომელსაც წინათ ითაკაში სტუმრებოდა.

— ო, ამფიმედონ, — შესძახა ავამენონის სულმა, — რამ ჩამოყვარათ შვეთში ესდენ წარჩინებული თანამოასაკენი? ერთ ქალაქში კაცი ვერ შეყრიდა ამდენ რჩეულ ჰაბუტს. პოსეიდონმა ხომ არ დავიღუწათ ხომალდები ქარიშხლიან ზღვაზე? სამეკობროდ წასულნი მღვერებმა ხომ არ დავხოცეს, როცა მათ ხვასტავს მოვალეობოდით? ან იქნებ ქალაქს დავით ქალების მოსატაცებლად და დამხვედურებმა გაგწყვიტეს? ყოველივე წვრილად მითხარი, ჩვენ ხომ ერთად ვავკიტეხია პური. არ ვახსოვს განა, ჩემს ძმასთან, ღვთაებრივ მენელაოსთან ერთად რომ გეტსუმრე სახლში? ოდისევსის დაყოლიება გეინდოდა, რომ თავისი ხომალდებითურთ წამოგვეყოღდა ილიონის დასალაშქრავად. ერთი თვე დავყავით თქვენსა და ბოლოს როგორც იქნა დავითანხმეთ ოდისევსი.

ამფიმედონის სულმა უპასუხა:

— ატრევსიანთა სიქადლო, ერისმთავარო ავამენონ, რა დამავიწყებთ თქვენი სტუმრობას? წვრილად მოვიყვები ჩვენი საშინელი დაღუბვის ამბავს... რომ აღარ ბრუნდებოდა ტროას წასული ოდისევსი, ითაკელმა წარჩინებულებმა დედოფლის ცოლად შერთვა განვიზრახვეთ. ჰენელოპეს არც უარუყვია მისთვის

**კომენტარი  
ოდისეა**



საძლეველი ქორწინება და არც დასტური მოუცია. გულში ჩვენი დაღუბის მოწადინებ ვერაგული ეშმაკობა მოიგონა ასეთი: დარბაზში ბეკსახეხელი ააგრილა, უგრძესი ქსელის ბეჭევა დაიწყო და ასე დაგვიამდა: — ქაბუჯო, თუმი ამაქ ქვეყნად აღარაა ოღისევისი, ქორწილის ჯერხობით ნუ გაემართავთ, ვიდრე გირ ლაერთეს თეთრ სუდარას არ მოუქსოვ იმ დღისთვის, როცა დამღუბველი მითრები სამუდამო ძილით დააძინებენ. არ მინდა გამეცხონ აქველმა დღიებმა, — უსულდაროდ როგორ უწევსო ეს დოვლათიანი კაცი. ასე ვითხოვა და ჩვენც დავენდეთ მის სიტყვას. დღისით, ჩვენს თვალწინ ბეჭევადა ამ დასრულებულ ქსელს, რათა ღამით მამახლებს შუქზე იღმულა დაეღვიო. ასე თვალთმაქცობდა მთელი სამი წელიწადი, მოცუთუნებული ვყავდით, სანამ ერთმა მხევალმა არ გაამხილა და თავზე არ წვაადეჭით. მაშინ კი სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა დაესრულებინა ქსოვა. მაგრამ როგორც კი ქსოვა დაასრულა და გვიჩვენა მზისა და მთვარისებრ მბრწყინავი სუდარა, რომელიდაც ავმა დაიმონმა თაყას დააბრუნა ოღისევისი. იქ, თავის მელორესთან შეხვდა მამამისს პილოსიდან ახლად დაბრუნებული ტელემაქე. იქვე მოითათბირეს და ჩვენი დახოცვა დაასვეს. მერე ქლაქისკენ გამოემართნენ ცალ-ცალკე. ჯერ ტელემაქე მოვიდა სასახლეში, ხოლო შემდეგ მახოვრის ჯვალაში გახვეული, ძაბუნ ბერეკაცს შემსგავსებულ ოღისევისი გამოგვეცხადა. ისე იყო ჩვერმუცველი, რომ ჩვენზე ხნორბა ხალხმაც ვეღარ იცნო იგი. მოხუცს უპატიურად მოვეპყართ: საუეთარ სახლში ვღანდეთ და ვათრით. ნაყემსა და გალანძლუს ხელიც არ შეუბრუნებია ჩვენთვის, ყველაფერს გულში იხვევდა, ვიდრე ზევსმა არ აღძრა საქმეც. მაშინ დარბაზის კედლებიდან ჩამოსხნეს ბრინჯაოს საკურველი და საღარო ბალატში გადაინხნეს. მერე ასეთი ვერაგობა მოიგონა ოღისევისმა: მუელღეს ურჩია სასიძოებისთვის თავისი დიდი მშვილდისარი და ჩუვალუბები გამოეტანა, რომ ჩვენთვის დამღუბელი ასპარეზობა მოეწყო. მაგრამ ვერცერთმა ჩვენთაგანმა ვერ გამართა მშვილი, ძალა არ გვეყო. ხოლო როცა ოღისევისმა მოინდომა მშვილდის აღება, ერთობლივ ავეყირდით, არ გვინდოდა ჩვენთვის გაეტოლებინა თავი მათხოვარს. მაშინ ტელემაქემ დაიჩემა, მიეცითო მშვილი! მრავალნაყადმა ოღისევისმა ადვილად მოქიმა ლარი და ისარი უცთომლად გააჭრინა ჩუვალუბებში. მერე ზღურბლზე შეხტა, ქორულად მზირალმა ჯერ ანტიონეს გაუყარა ყელი ისარი, მერე კი ჩვენ დაგაყარა ფრთამალე ქიბურები. მაშინ კი მივხვდით, რომელიდაც ღმერთი ედგა მხარში, არცერთს არ აგვეცდინა ისარი, ყველანი ერთობლივ ამოგვეყუდა და ჩვენი სისხლით მოწყვა დარბაზის კედლები და იატაკი. ასე და-

ვიღუბეთ, აგამეზონ. ჩვენი ვაჟი ვაჟი, უქირსულად ჰყარა სასახლის ეზოში: ახლობელთაგან ჯერ არავის გაუგია ეს ამბავი, თორემ სისხლს მინც მოგვებანდნენ, სარეცელზე დაგვასვენებდნენ და მწარედ დაგვიტირებდნენ, — მეცდართა პატივი ხომ ეგ არი!

— ბედნიერი ხარ, ოღისევის, — შესძახა აგამეზონმა, — რომ ასეთი ზნერული ქალი შეირთე. ხედავ, როგორც უერთგულა გონიერმა პენელოპემ პირველმეყრილ ქმარს! არა, არასოდეს წარხოცება მისი დღედა! ხმატკბილი აედები მუდამ ქებით მოიხსენიებენ მის სათნოებას. არა ჰგავს იგი პინდარევის უზნეო ასულს, რომელმაც მხაკვრობით მოაკვლევინა პირველმეყრილი თავისი ქმარი და საუდამოდ ლაღველ ამოსვარა არა მარტო საყუთარი თავი, არამედ ქალთა მთელი ჯილავი, ისინიც კი, ვისაც უმწიკვლოდ უცხოვრია ამქვეყნად!

ამასობაში ოღისევისმა, მწყემსებმა და ტელემაქემ დასტოვეს ქალაქი და მალე ლაერთს ბალ-ვენებისა მიადგნენ. ეს მიწა დიდი ხნის წინათ ეყიდა ლაერთს, კარვად დაემუშავებინა და გაეშენებინა. სახლიც იქ ედგა. იქვე ქობებში ცხოვრობდნენ მისი შონები, სიყვარულით რომ ემსახურებოდნენ თავიანთ პატრონს. იქვე ცხოვრობდა ერთი სიცილიელა დედაბერი, რომელიც ზრუნვას არ აკლნებდა მოხუცს ამ მიყრუებულ სოფლად.

ლაერთს სახლს რა მიადგნენ, ოღისევისმა ასე უბრძანა ტელემაქესა და მწყემსებს: — თქვენ შინ შედიეთ. ერთი კარგი ბურეკავი ამორჩიეთ, დაკალო და ქაზადი მოამზადეთ. მე კი მამაჩემს მოგნახავ. მინდა გამოვცალო, დიდი ხნის უნახავ შეილს იცნობს თუ არა!

ეს ბრძანა, იარაღი შეიხსნა, სახლში შეატანინა ერთგულ ყმებს და ნაყოფდასხმული ბაღისკენ გაემგოლა. გზაზე არავინ შეხვედრია, არც დოლიოსი, არც მისი შვილები და არც მონათავანი ცნებენ. ყველანი დოლიოსს წაუყვანა სალდაც ბაღის შესაღობი ძეხვის მოსატანად. ზეიყანში მარტო მამა დახვდა, დახრილიყო და სანერგე ორნოს თხრიდა; წვირიანი და დაბუკალი ქიტონი ემოსა ბერეკაცს, ხარის ტყავის პაჭიჭები ეცვა, ხელებზე კი თათბანები ეიკთა, რომ ეკალზე არ დაეყწროდა. თავზე თხის ბუწის ჩაიი ეხურა. დანადგლანებულნი ჩანდა მოხუცი. მსხლის ხეს მიყვრდნო ოღისევისი და ცრემლები წაედინა თვალთაგან ჯავრითა და სიბერით გატეხილი მამა რა იხილა. ხეს მიყვრდნობილი ასე იდგა, ვერ გადაეწყვიტა, მისულოყო და გულწა ჩაეჭრა ძვირფასი მამა, ახლა წვრილად მთეყოლა თავისი სვეუქლმართი მოგზაურობისა და სამშობლოში დაბრუნების ამბავი, თუ ჯერ ავადებული სიტყვით გაეკეწლა და მით გამოეცადა მოხუცი.

ამ ვაზნახვით მიუახლოვდა მშობლობაში გართულ ბერეკაცს და ცხვირად შეესიტყვა:





— კარგი მუშაკი ყოფილხარ, მოხუცო, ათწლეულის დავიკლია ხელი. რაღა არ გავიზარებია შენ ბაღში, ლეღვი და მსხალი, ზეთისხილი და ვაზი. მაგრამ ერთსაც გეტყვი და ნუ გეწყენება. თავს რატომ არ მიხედავ? ბერიკაცი ხარ და არ გეკადრება წვირიანი და დაკონკილი ჭვალთ. ზარმაცე არ გეთქმის, რომ პატრონი ხედი აეღო შენზე. სხვაფერი მოზობისა არაფერი გეტყობა: სახითა და ანაგვით იმ სიბერით სავსე ბასილევს მგაონებ, რომლისთვისაც სააშური აბაზანა, უხვი სუფრა და რბილი სარტყელი უპირიანი. ახლა გულახსნით მითხარ, ვისი მონა ხარ, ვინ არის ამ ბაღის პატრონი? ისიც გამაგებინე, მართლა ითავაში ვარ, როგორც ერთმა უზადმეყრილმა კაცმა მითხრა წელან? უხიაგი ვინმე იყო, ყური არ მთხოვია, როცა ჩემი აქაური მეგობრის ამბავი გამოვიცითხე: გამაგებინე-მეთქი, ცოცხალია თუ მკვდარი ის კაცი! ახლა ყურს თუ დამიგდებ. გეტყვი: ერთხელ ჩემს ძვირფას საშობოლოში უცხო სტუმარი მეწვია, მოკვდავთა შორის მის უკეთესი კაცი არცა მსტუმრებია ოდესმე. თავი მოჭონდა, — ითაკელი ვარო, მამაჩემი არკესინთ ლაერტე არისო. სახლი დღევანითი მქონდა სავსე და ხელგამლით დაუხვდი. სტუმარ-მასპინძლის წესზე საკადრისი საჩუქრებიც მივართვი: შვიდი ტალანტი ბაჯალო ოქრო, ყვავილებით მოსევალებული ვერცხლის ლავკინი, თორმეტი ერთეული მოსასხამი და საფენი, ამდენივე ძვირფასი კაბა და ქიტონი. გარდა ამისა ხელსაქმეში გაწეული ოთხი ლამაზი ღიაცი ავარჩევინე და თან გავაყოლე.

ატარდა ამის გამორე ლაერტე:  
— კი, ითაკეში ხარ, უცხოელი. მაგრამ ახლა უსამართლო და კანდიერი ხალხი განაგებს ამ კენჭულს. ვაი, რომ ამოდ გიძღვნია შენი სტუმრისთვის ის საჩუქრები! ცოცხალი რომ დაგხვედროდა. სიკეთეს სიკეთითვე გადაგიხდიდა, დავასაჩუქრებდა და წესისამებრ შესაფერი პატივით გაგისტუმრებდა საშობოლოში. ახლა ეს მითხარი, ნუ დამიძალავ. რა ხანია მას შემდეგ, რაც ის უცხოელი გეწვია, ის შვე დღეზე გაჩენილი ჩემი შვილი? არ ვიცი სად დაიღუპა, ზღვაში თუ ზღვების კერძი გახდა თუ ხმელზე ნადირისა და ფრინველისა. სუღარაში გახვეული ვერ დავიტოვებ დედ-მამამ, და ვერც მისმა დიდ-მზიოვანმა ცოლმა დაუხუტა თვალები სარეცელზე ისიც მითხარი ბარემ, სადაური ხარ, სად გარდას მამულთ სახლი, ითაკეში მოსულმა სად დატოვე ხომალდი და თანამგზავრები? ან იქნებ სხვისმა ხომალდმა მოგიყვანა, შენ გადმოგვსევს და თავად გააგრძელეს გზა?

— პირახსნით გეტყვი ყველაფერს, — უპასუხა ოდისევსმა, ალიბანტიდანა ვარ, იქა მამქეს სამკვიდრებელი. პოლიუმონიანთ აფეიდანტის ძე გარ, ეპერიტოსს მეტყვიან სახელად. სიკანიდან დაიმონმა გადმომაგლო აქეთ. ხო-

მალდი ქალაქიდან მოშორებით მიყენია ნაპირზე. ხუთი წელი მიყარა უკვე, რაც მრავალტანჯული ოდისევსი გამოვისტუმრე საშობოლოში. გზაზე დამღარეს კეთილ ნიშნად მხარმარჯვნივ აუფრინდნენ ფრთოსნები. მოხარულმან გავაცილე მოხარული, იმედი გვქონდა, კვლავ არაერთგზის შევიყრებოდით და უხვი საჩუქრებით გავუხარებდით გულს ერთმანეთს!

მწუხარების შევსილმა მოცოლა ლაერტე: ვაიო, — დაიძახა, ორივე ხელით მოხვეტა მიწა და ქალარა თავზე დაიყარა. გული დაეწურა და სიმწრით დაბებრა ნესტოები ოდისევსს, ველარ გაუძლო ამდენს, მამას მივარდა და გულში ჩაიხშუტა:

— მე ვარ ის შენი შვილი, ოცი წლის და-კარგული ოდისევსი, ძლივს რომ მეღირსა საშობოლოს ნახვა. ნუ სტირი, მამა, მოიხოცე ცრემლი. მოკლედ გეტყვი, დრო აღარ ითმენს: პენელოპეს სასიძოვებს შუილი მივაგე სიკეთისთვის, გუშინ ერთობლივ ამოვეყუე სახლის დარბაზში!

— თუ მართლა შინმობრუნებული ჩემი ძე ხარ, — შემპყვირა ლაერტემ, — ნიშანი რამ მაჩვენე, რომ დამაგვირო!

— ჯერ ამ წვივს დახედე, პარნასის მთებში რომ დამიშვაე ტახმა, — ნაპროლობევი აჩენსა ოდისევსმა, — გასსოვს პაპაჩემთან, ავტოლიკესთან რომ გამაგზავნეთ შენ და დედამ დაპირებული საჩუქრების წამოსაღებად? შენგან ნაჩუქარ ხეებსაც ჩამოვიტალი თუ გინდა. უკან დაგდევდი ბაღლი და გეხვეწებოდი, მაჩუქემეთქი. შენ კი თვითელის სახელს მეუბნებოდი და მიქებდი მათ ნაყოფს. ოცდაათი მსხალი, ათი ვაშლის ხე, ორმოცი ლევი მაჩუქე და დამპირდი, ორმოცდაათი ძირ ვაზსაც გაჩუქებო, როცა მზის თვალი ჩაუდგება მტევნებს და სთელის ეამი მოაწევსო.

მუხლი მოუღუნდა და გული შეუქანდა მოხუცს, რადგან ენიშნა ოდისევსის თქმული. შვილისკენ გაიწოდა ხელედი და ლაერტემ და ოდისევსმა გულში ჩაიკრა სიხარულით გულშედონებული მამა. სული რა მოიბრუნდა და ცნობას მოეგო, ასე შეპლადდა ლაერტემ:

— ეჰა, მამა ზრესო! კიდევ ყოფილან მალაო ოლიმპოზე ღმერთები, რაკი სამაყიერო მიეზლოთ თავეკასულ სასიძოვებს! მაგრამ შეშინია, ითაკელებმა არ დაგვასწრონ და ეფელუნის ქალაქებში მაცნენი არ დაგაზავონ!

— ეგ ნუ გენაღვლებ, მამაჩემო! ჯერ სახლში დაგბრუნდეთ. ტელემაქე და მწყემსები მყავს გაგზავნილი იქ ჰამადის მოსამზადებლად.

ეს თქვა და სახლისკენ გაემართა მამა-შვილი. ტელემაქესა და მწყემსებს თადარიგი დეიქრათ: ხორცი დაეჭრათ და ახლა ღვიონს აზავებდნენ. სიცილიელმა მონაქალმა დაბანა ლა-

**კომენტარი**  
ოდისეა

ერტე, სურნელოვანი ზეთით დაზილა და ახალი მოსახსამი მოასხა. მაშინ ქალღმერთი ათინა მიეახლა ლეერტეს და ძალი და ახოვანება შემატა მოხუცს. ღვთივდამშვენებული გამოვიდა აბაზანიდან ლეერტე. განცვიფრებულმა ოღისევმა ფრთიანი სიტყვა შეაგება მამას:

— ჰგავს, რომელიღაც უკვდავთაგანმა შეგმატა ღონე, მამაჩემო, და დაგიბრუნა წინანდელი ძალმოსილება!

— ეჰ, — შესძახა ლეერტემ, — კვლავაც ის ძალი რომ მომდევდეს, როცა კეფალენიელებს გავუძედი და ზღვისპირა ნერიკოსი ბრძოლით ავიწი, ზევსის, აპოლონისა და ათინას მადლს გეფიცები, შავ ღღეს დავყარდი სასიძოებს შენი გულის გასახარად!

ამასობაში ტელემაქესა და მწყემსებს სუფრა გაეწყობო. მერე ყველანი რივისამებრ მიუხსდნენ ტაბლას. ის-ის იყო პურის გატეხვას აპირებდნენ, რომ სიცილიელმა დედაკაცმა ველეზიდან დაბრუნებული, დამაშვრალს დოლიოსი და მისი შვილები შემოიპატიჟა. დოლიოსის ძეთა გამოზრდელი იყო ეს ქალი და თავად სიბერეში გადამდგარ დოლიოსსაც პატრონობდა. ოღისევსა რა შეიცნეს, გაოგნებული შედგნენ ზღურბლთან. ალერსიანად მოიხმო ისინი ითაკელთა ბასილევსმა:

— გეყო გაკვირება, დოლიოს! — შემოდი და ჩვენთან ერთად გატეხე პური. რა ხანია, სუფრაზე ვსხედვართ და თქვენ გელოდებოთ.

ხელგაწვდილი გაემართა დოლიოსი პატრონისკენ, მარჯვენაზე აკოცა და გახარებულმა ასე უთხრა:

— როგორც იქნა, მოგვიხვედი ჩვენო პატრონო! დიდიხნის ნანატრი დღე გავითენეს ღმერთებმა! იცოცხლე და დღეგრძელე, ნუშეც დავიწყებინარ ღმერთებს! ოღონდ ეს მითხარი, პენელოპემ თუ იცის შენი დაბრუნების ამბავი? ბარემ მახარობელს გავგზავნიდი ქალაქში ნუსქუნარ, — უპასუხა ოღისევსმა, — იცისო პენელოპემ.

დოლიოსი წმინდად გარანდულ საყარცხლულზე დაჯდა, ხოლო მისმა შვილებმა გამარჯვება უთხრეს და ხელი ხელზე ჰკიდეს ოღისევსს, შემდეგ მამის გვერდით უმცროსუფროსობით მიუხსდნენ სუფრას და პურობაც დაიწყო.

ამასობაში ხმა გავარდა ქალაქში, სასიძოები დაუბოცავთო. ვაიფიშით მოაწყდნენ ოღისევსის სასახლეს მოქალაქენი. ქირისუფლებმა თავიანთი მკვდრები გაიტანეს სასახლის ეზოდან და დამარხეს. ითაკაზე სტუმრებულთა ცნებრები კი ზღვაოსნებს ხომალდებით გაატანეს სამშობლოში. გულდამძიმებულებმა მერე თავი მოიყარეს საფინენოში. ყველა რა შეერბა, წამოდგა ანტიჩრეს მამა, შვილის სიკვდილით გულმოკლული ევპეითოსი და ასეთი სიტყვა ბზაძანა.

მღუღარე ცრემლები ულტობდა სახეს ღერო-  
კაცს:

— ეს რა შავი ღღე გავითენს ჩემს ცხელს ამ კაცმა! ჯერ იყო, ტროას წაასხა და ხომალდებიანად დაგვიღუპა ითაკის ურჩეულესი ჰაბუკემი, ახლა კი, იქიდან დაბრუნებულმა კეფალენელთაგან უკეთესნი ამოწყვიტა. სანამ პილოსში გავასწორებდეს ან მხოლოდ ელიდამი ეპეიოსთან შეაფარებდეს თავს, შემოგეწყობო მის სახლს და შური ვიძიოთ, რომ შთამომავალთა თვალში სამუდამოდ არ გავიციდეს სახელი. თუ ჩვენ ძეთა და ძმათა მკვლელებს არ გავუსწორებთ, თავი ცოცხალი რაღად მინდა სჯობს დახოცილთა აჩრდილებს გავერიო შევეთში! მამ, დავეციო, სანამ გავგეცივია!

გული შეუძრა ბერიკაცის სიტყვამ აქაველებს. ამ დროს საფინენოში გამოჩნდნენ მეღონტი და ღვთაებრივი მომღერალი ფემიოსი. ხალხის შუაგულში ჩადგნენ და ყველამ ხმა გაკმია. ვონიერმა მეღონტმა ასეთი სიტყვა უთხრა სურბებელთ:

— უერი მათხოვეთ, ითაკელნო! გეტყვიოთ და დამიჯერეთ: ღმერთების ხელი ურევია ამ საქმეში! მე თვითონ დავინახე, როგორ ედგა მხარში ოღისევსს მენტორის სახით გამოცხადებული ღმერთი, ხან რომ ოღისევსს ამხნევებდა, ხან კი დარბაზში მიდამო რიალებდა და სასიძოებს გონებას უძრწუნებდა...

ამის გამგონე აქაველებს სიკვდილის ფერი დაედოთ. მაშინ წარდგა ბერი პალითერსე, მას-ტორის ძე. ერთადერთი ის იყო წარსულისა და მომავლის მხედი. ასე მიმართა სიტყვასწორმა პალითერსემ საფინენოში თავშეყრილთ:

— მოიხსინეთ. ითაკელნო! ხომ გახსოვთ, როგორ გაფრთხილებდით მე და მენტორი, მოგეთოკათ თავგასული შვილები, ჩვენი ბასილევსის ქონებას არა უკმანდენ და შეურაცხყოფდნენ მის ღვთისდარ მეუღლეს; იმედოვნებდნენ, აღარ დაბრუნდებოთ ოღისევსი. აწ თქვენს თავს მოჰკითხეთ მოწყული ქირი! ახლა მაინც დამიჯერეთ: მოვეშვათ ოღისევსის სახლს, რომ უარესი ქირი არ მოვეყვართოს!

საფინენოში შეკრებილთაგან ნაწილი დაჰყვა პალითერსეს სიტყვას და ხმაურით დაიშალა. დანარჩენებმა კი ევპეითოსის წაქეზებით სახლებს მიაშურეს საქურტელის მოსატანად. მზინვარე იბარღმი ჩამსხდარნი კვლავ შეიყარნენ მოედანზე. მოკლული შვილის გამო მძვინვარე შურისგებით აღესილი ევპეითოსი წინამძღვრობდა მათ. არ კი იცოდა უგუნურმა, რომ შინდაბრუნება აღარ ეწერა.

მას ჟამს შინა ასე ჰკითხა ათინამ კრონიონს:

— ცათამყობელო ჩვენო მამავ, აწ რა გაქვს განზრახული? კიდევ ერთმანეთის ბრძოლად აღძრავ ითაკელებს თუ ზავს ჩამოაგდებ მათ შორის?

ღრუბელთმეფეებმე მიუგო:

— რატომ შეკითხვები მავას, ჩემო ასულო? განა თავად არ გადაწყვიტე, რომ შინმობრუნებულ ოდისევსს შური ეძია სასიძობებზე? ჰქმენ, როგორც გენებოს! მე კი გაგიმხელ ჩემს განზრახვას: რაილა ოდისევსმა შური მიაგო თავის მტრებს, აწ სამუდამო ბასილევსად აღიარონ და ერთგულება შეჰფიცონ ითაკელებმა. ჩვენ კი შურისგების ყინი გადავუვდლოთ გულიდან ჰირსულელებს, რომ წინანდებურად მშვიდობა და სიყვარული სუფევდეს ითაკაში.

ზევისიგან იმდენულმა ათინამ მყისვე დასტოვა ოლიმპოს მწვერვალი.

ამასობაში ლაერტესას მოთავდა პურობა და ოდისევსმა ბრძანა:

— ვინმემ გაიხედოს გარეთ, მესისხლენი ხომ არ გვიახლოვდებიან!

წამოხტა დოლოისის ერთერთი ძე, ზღურბლიდანვე მოჰკრა თვალი იარაღში ჩამსხდარ ითაკელებს და სწრაფადვე ამცნო: — ახლოს არიან უკვე, იარაღი შეეისხათო!

სუფრიდან წამოიშალნენ მებინახენი და ფიცხლად შეიჭურნენ. ცალკერბ ოდისევსი, ტელემაქე და მწყემსები დადგნენ, ცალკერბ დოლოისის ექვსი ძე; თავად ჰლარა ბერეკაცები — ლაერტე და დოლოისი — შეიარაღდნენ. მზინვარე თორ-აბჯარში გამოწყობილებმა კარი განახნეს და ოდისევსის წინამძღოლობით გარეთ გავიდნენ. გასულთ მენტორის სახით გამოცხადებული ათინა ამოუდგათ მხარში. მენტორი რა დაინახა, შეიღს შესძახა გახარებულმა ოდისევსმა:

— აბა, მკლავი გაიმამაცურე, ტელემაქე! ჩენი გვარი ოდითგანვე განთქმულია ვაჟკაცობით. ნურც შენ შეარცხვენ წინაპართა სახელს!

— გულმშვიდად იყავ, მამაჩემო, — სიტყვა შეაგება ტელემაქემ, — ფიქრი ნუ გაქვს, სახელს არ გავუტეხ სახელოვან ჩვენს გვარს!

— ეს რა დღეს მოვესწარ, ნეტარო ღმერთებო! — შესძახა გახარებულმა ლაერტემ, —

შვილი და შვილიშვილი ჩემს თვალწინ ბრძოლად ავუღიანებენ ერთმანეთს!

თვალსხვიოსანი ათინა გვერდით დაუდგა ლაერტეს და უთხრა:

— ღმრულო არკესიანო, მოყვასთა შორის უსაყვარლესი ჯერ მამაზევისი და მისი ასული ასხენე და მერე მოიქნე გრძელჩრდილიანი შენი ჰოროლი!

ეს უთხრა და საშინელი ძალა შთაბერა მოხუცს. ასხენა ლაერტემ ქალღმერთის სახელი და მძლავრად მოუქნია გრძელჩრდილიანი ჰოროლი ევპეითოსს. შუბმა მუზარადში გაატანა და ევპეითოსი იარაღის ყლარუნით დაასცდა მიწას. მაშინ ოდისევსი და ტელემაქე შვილდისრითა და მახვილებით მიეტევენ მეწინავეთ. მუსრს გაავლებდნენ ყველას, რომ ზავი ხმით არ დაეძახნა ფარისმპყრობელის ასულს, ათინას:

— გეყოთ სისხლის ღვრა! თავი დაიოკეთ მესისხლენო, ზავი შეჰკარით!

ქალღმერთის ხმა რა გაიგონეს, მიწისფერი დაედო ყველას, შემარწუნებულებს იარაღი გაუფარდათ ხელიდან და მიწას გაერთხნენ.

მერე გონი მოიციეს და თავის საშველად ქალაქისკენ იბრუნეს პირი. ხოლო ოდისევსი მთიდან მოფრენილი არწივივით ხმამყვარი დააცხრა მათ. მავრამ იგრავინა ამ დროს კრონიონმა და ცეცხლის გორგალი დავარდა ათინას ფერხით.

მაშინ ასეთი სიტყვა უთხრა ათინამ ოდისევსს:

— ეჰა, ზევისი ნაშვირო, მრავალჰირანულ ოდისევს! დაიოკე გული, შესწყვიტე მათამკელელი ბრძოლა, რათა შენვე არ დაგატყდეს თავს მეხთამტეხელის რისხვა!

ეს თქვა ქალღმერთმა და ოდისევსი სიტყვის უთქმელად დაჰყვა მის ნებას.

საშინელი ფიციით დააფიცა მაშინ და ზავი შეჰკრა მათ შორის მენტორის სახით გამოცხადებულმა თვალსხვიოსანმა ათინამ.

კმეღბერძნულიდან თარგმნის, ზურაბ კიკნაძემ, თამაზ ჩხენკელმა.





პარიზი მკვირი

ჩემი უნივერსიტეტი

მეც უნივერსიტეტელი ვარ — აღზრდილი ჩვენი დიდი ტაძრის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომელსაც 1968 წ. 50 წელი შეუსრულდა. შეიძლება იმიტომ, რომ სწავლა მომიწია მაშინ, როდესაც უმაღლესი სასწავლებლები ძალიან ცოტა იყო ჩვენში, და სტუდენტობაც არც ისე ადვილი და ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. ან იქნებ იმიტომ, რომ ესწავლობდი მშობლიურ უნივერსიტეტში (ეს ჯერ კიდევ ახალი რამ იყო და ჩვენ თაობას ადევნებდა) და მასწავლიდნენ ისეთი მნათობები, როგორებიც იყვნენ: ი. ჯავახიშვილი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ან იქნებ იმიტომ, რომ სტუდენტობა — ეს არის ცხოვრების საუფიქროსო ხანა, სიყმაწვილის რომანტიკულ ნისლში გახვეული — ის წლები ყველაზე ტკბილ მოსაგონრად დარჩება ჩემთვის.

დღეში ორჯერ ვიყავი შენს კედლებში, ჩემო უნივერსიტეტო. პირველი კორპუსის პირველი სართული. ფართო დერეფანი. ვრცელი აუდიტორიები, ცოდნას მოწყურებული მხიარული, ცოცხალი ახალგაზრდობა, რომელიც მყუდროებას ვერ იტანს. თუ საინტერესოა, სხვის ლექციასაც დაესწრები, ხოლო მოსაწყენი თუა — შენი საკუთარიდანაც გაიპარები და, პერი ბიჭო, მოუსვამ სპორტული მოედნისაკენ, კინოში, თეატრში ან დაუმთავრებელ წიგნს მიუბრუნდები, მეგობრებთან გაიქცევი, ან მიხვალ იმასთან, ვინც ერთადერთია ამ ქვეყანაზე! მიიღე ცხოვრებისაგან ყველაფერი, რისი მიღებაც შეიძლება, მერე კი... მერე მოდის სესიები, უძილო ღამეები: გამოცდები მთავარია სტუდენტის ცხოვრებაში, მის ირგვლივ და გარშემო ტრიალებს სტუდენტის მთელი გონება, აზრი, ზრახვა, სურვილი, ვინაიდან ისაა მისი ბედ-იღბლის ვადადამწყვეტი.

წარმატებები, სიხარული, მწუხარება, ტრაგიკომიკული შემთხვევები ერთმანეთს ენაცვლება.

მახსოვს, ერთხელ გამომეცხადა ერთი ასობელი ამხანაგი, რომელიც შესანიშნავად სწავლობდა სამედიცინო ფაკულტეტზე. მან, თავისი თავით ძალიან კმაყოფილმა, მითხრა: „იცი, გამოცდიდან გამოვიქეცი. შევამჩნიე, პროფესორს რაღაც სხვანაირი იერი ჰქონდა: მეც ავდექი და ავითესე. საზიზღარი ჩვეულება აქვს — როგორც კი ღვიძლი ასტიკვდება, მორჩა და გათავდა, საკუთარ მძასაც არ დაინდობს, ჩაჭრის. ასე რომ, ჯობია დავიცადო. ის კია ეშმაკი, მაგრამ მეც არანაკლები ვარ“.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ის ამხანაგი კვლავ მოვიდა ჩემთან. სახეზე ფერი აღარა აქვს: „სულ არაფრის გულისთვის პირველი საბიანი არ მომაკერა? მას რომ ღვიძლი სტიკოდეს, მე რა შუაში ვარ. ვერაფერში რომ ვერ გამომიჭირა, მთლად გაგიყვდა, მიყვირა, ზუთხია ხარო“. — უეცრად ჩემს ამხანაგს გავიცინა. — „სამედიცინო შეცდომა მომივიდა. გაბიტუსმა დაძლუპა. ვერ გამიგია, ასე როგორ ჩაეფლავდი. მაშინ, თურმე სულ ტყუილებრალოდ გამოვეტყუე ვერა გამოცდიდან, დღეს კი ჩემი სისულელით მევე გაყავი თავი ყულფში. ეს რა მომივიდა, კაცო? ახი კია ჩემზე, დასწყევლოს ღმერთმა მისი ღვიძლი! — ამხანაგმა სასოწარკვეთით ჩაიჭნა ხელი.“

კიდევ ერთი ტრაგიკომიკული ამბავი მახსენდება ჩემი სტუდენტობის ცხოვრებიდან, ოღონდ ამჯერად სამწუხარო ფინალის გარეშე გადავიჩიო. ასე რომ, შეგვეძლოს გული სიცილით გვეჭკერებინა.

საქმე ის იყო, რომ თავის საკუთარ „ნაღმზე“ კინალმ თვითვე აფეთქდა აბრაშა რ-შენლი — ჩემი თანაკლასელი ქუთაისის სკოლიდან. იგი მეცნიერებას აგრონომიულ ფაკულტეტზე ეუფლებოდა. საერთოდ კარგად სწავლობდა და სულაც არ სჭირდებოდა შეღავათები. მაგრამ როგორც იტყვიან, შიშს დიდი თვალები აქისო. მოკლედ, მოვიდა ჩემთან აბრაშა და



ბუცები მოხვოა. გამიკვირდა, აბრაშას არასოდეს იტაცებდა ფეხბურთი. ბუცები „აყადემიური“ მიზნითვის შპირდებოა, ამიხსნა. დოკენტიტი, რომელსაც აბრაშა ბოტანიკას აბარებდა, თურმე ფეხბურთის დიდ გულშემატკივრად ითვლებოდა: „ჩაივცემ ბუცებს და ისე მივალ, — თავის გემებს მიზიარებს მომავალი აგრონომი, — (სხვათაშორის, მართლა კარგი აგრონომი დადვა და სამწუხაროა, რომ ადრე დაიღუპა) — იქნება ჩემი დოკენტი ნაკისზა წამოგვას. ამბობენ, როგორც კი ბუცებიან სტუდენტებს დაიხანავს, ბოტანიკა წაიწყდება“. „შენ რა, არ გაქვს სავანი მომზადებული?“ — კეთხე შე. „როგორ არა მაქვს მომზადებული, მაგრამ უბრალოდ, დოყუპია არ უნდა იყო, როცა შეიძლება სულ ტყუილად მიიღო კარგი ნიშანი. ცხოვრების შინა უნდა გქონდეს, ბიძია — აბა!“ — ქუა დამარევა ბოლოს.

ახლაგზრდები დაეკვდებიან. ვის გაუგონია ბუცებით სიარული ქალაქში, მით უმეტეს, გამოცდაზე? რას ლაპარაკობს ეს მდივანიო. ახლა იქნება ისიც თქვას, პროფესორები ტრუსების ამარა კითხულობდნენ ლექციებსო?

მე ვუპასუხებ მათ მაიაკოვსკის სიტყვებით: «Ehre haus... чтоб цензор не нацинал. Передли вам — говорят — видали даже двух влюбленных членов ВЦИКА: ВЦИК»-ის წევრ შეყვარებულებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ პროფესორს ვიცნობდი... ცოცხალით ახლაც თვალწინ მიდვას შევთმინი, ლამაზი ვეკაცი, ბრწყინვალე მათემატიკოსი და ინჟინერი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, ჩანთით ხელში, შორტებიანი, ამაყად რომ მიამჯებდა რუსთაველის პროსპექტზე. იგი აღტაცებას იწვევდა დამიანებში...

ხოლო ბუცებს რაც შეეხება... ბუცები მაშინ საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვისაც იყო გამოსადეგარი და სავარეო ფესხაქლის ყველანაირი უფლებით სარგებლობდა. ყოველ-სომხვევაში, ჩვენ ბუცებით თავი მოგვექონდა ხომდე და ვკოხტაობდით. ასე რომ, ბუცებიანი აბრაშას ქალაქში გამოჩენა ნამდვილად არ გამოიწვევდა საზოგადოებრივი ნორმების დარღვევას. „ნაღმს“ თითქოს ხელს არაფერი უშლიდა, ვაეკეთებინა თავისი საქმე, ოღონდ ნათქვამია, ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადვილას ახრჩობსო, და კიდევ, სხვამ იმდენი რა უნდა უქნას კაცს, თავის თავს რომ დამართებსო.

... ბუცები, რასაკვირველია, მიეციე, ხოლო შემდეგ რაც მოხდა, ამაზე თვითონ აბრაშამ გვიამბო: „როგორც კი დაინახა ბუცები, იგი მაშინვე დაინტერესდა: ფეხბურთელი ხარო, მკითხა. ვარ-მეთქი, დაველასტურე. შეგონა, აი ახლა დამწყება ლაილია და ფრიალი ინშანიც განაღდებული მაქვს-მეთქი, მაგრამ არაფერი შეგეშალა. თურმე ჯერ სადა ხარ. კულის რიკადე ჩამყვა. სხაპასუხობით მელაპარაკება, მე კიდევ ორ სიტყვას თავს ვერ ვუყრი, რაღა-

ცას ვზომი ჩემთვის მოხვერებით — მთელი ჩემი ფეხბურთის ცოდნა ამ ნახოვარი ბუცებით ამოიწურება, ვეკებო, რაღაც სისულელებს მივედ-მოვედები. მირჩენია, მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს. ამაზე უარესად არ შეიძლება კაცი ჩაფლავდეს. ვაბრაშდა, მარა რა ვაბრაშდა. მიბრძანა, ბილეთი აიღეო. ავიღე. კიდევ კარგი, იღბლიანი შემხვდა. აღდგომა გამითენდა. ისე ვპასუხობ, რომ უკეთესი არ შეიძლება, მაგრამ მას არ სჯერა ჩემი. ჩამეძია და მერე როგორ ჩამეძია. მთელი კურსი მომტარა. მე კიდევ წყალივით ვპასუხობ. ბოლოსდაბოლოს ფრიალი მაინც დამიწერა. მაგრამ სირცხვილის ოფლში კი გამწურა. ასე რომ არ გეცოდნოდა სავანი, კაცი იფიქრებდა, ჩემი გულისთვის ჩაიციე ეს ბუცებიო, მითხრა...“

ხდებოდა ასეთი რამეებიც, მაგრამ ჩვენ ყველა ვინც უნივერსიტეტი დავამთავრეთ, ცოდნას ხომ უნივერსიტეტს ვუმაღლით? ნამდვილი აღამიანები რომ ვავხდით, ესეც მისი დამასხლებია. რასაკვირველია, უნივერსიტეტი არ დიდ საქმეს ვერ ვაეთებდა, ასე რომ არ ვბრუნა მასზე დიდი რევოლუციის შედეგად განთავისუფლებულ ხალხს — ეს ასეა, მაგრამ ვანა ყველას ძალუქს ამაგის გადახდა, ვანა ყველას შეუძლია ამდენის ქმნა?

როგორ მიყვარხარ, ჩემო უნივერსიტეტი, რა თრთოლვით შემოგყურებ ხოლმე დღესაც. შენ ჩვენი მეცნიერების დიდი ტაძარი ხარ. ვანა შენ ვან არ იშვა ყველა დანარჩენი უმაღლესი სასწავლებელი და კვლევითი ინსტიტუტი? ვანა შენს მიერ აღზრდილმა მეცნიერებმა, მწერლებმა, პედაგოგებმა, სპეციალისტებმა, პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა არ გაგიოქვეს შენ სახელი კიდით-კიდემდე!

დღეს უნივერსიტეტის გარეშე წარმოუდგენლად მიგვჩანია მთელი საქართველოს არსებობა.

ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, შენს კედლებში რომ აღვიზარდე!

ამიტომ ნუ გაიკვირებთ, თუკი ხსონვა იმას ესათუთება, რისგანაც იგება არა „ბრინჯაოს ფეთხანი ძეგლები“, არამედ ის, რაც გულში თესდა სიყვარულის, სიყეთისა და მაღლიერების მარცვლებს.

**კომპაავირული ნიშანი**

ზოგადი სტატისტიკის კურსს ვეკითხავდა მოხუცი პროფესორი ფ. გოგინაშვილი. იგი ფენომენალური ცოდნის პატრონი იყო, მაგრამ ცოდნის გადმოცემის უნარი არ გააჩნდა. ამისდა მუხუნავად, მის მოსაყენ ლექციებს

**ვლადიმერ გიბანე  
ჩემი უნივერსიტეტი**



უპირაზო სტუდენტი ესწრებოდა, თუმცა ლექციებზე დასწრება მაშინ სავალდებულო არ იყო. ასეთ პატივისცემას იწვევდა სავანი და თვითონ ლექტორიც.

ზოგად სტატისტიკაში გამოცდების ჩვენ ყველაზე მეტად გვეწინადა. თავისთავად სავანი, რასაკვირველია, საკმაოდ ძნელი და რთულია. მაგრამ ამას ემატებოდა ლექციების გადატვირთვა უზარმაზარი მასალით, აურაცხელი ციტატებით, მეცნიერულ შრომათა დამოწმებით. ჩვენ არ გამოვცდებოდით არც ერთი ლექცია იმ იმედით, რომ რაღაცას მაინც გავიგებდით. ერთი სიტყვით, ზოგადი სტატისტიკა ჩვენთვის რაღაც უსაშველო აბლა-უბლად იქცა. მით უმეტეს, რომ ათასგვარ საშინაო ლაბარაკოდნენ გოგინაშვილის სისასტიკეზე გამოცდების დროს. სტუდენტებს მიაჩნდათ, თუ ზოგად სტატისტიკას ჩააბარებ, ესე იგი შეგიძლია მშვიდად იყო, — უნივერსიტეტი დამთავრებული გაქვსო.

ამ გამოცდისათვის მზადება ჯერ კიდევ შემოდგომაზე დაიწყო. ძირითადი დამხმარე სახელმძღვანელოები კაუფმანის (მეტად სქელი) და ვობლის (უფრო თხელი) წიგნები იყო: მე მათ ვამზადებდი უკანასკნელ ძალია დამრეტამდე. ამას გარდა წყვილით მრავალ დამატებითი ლიტერატურა. მოკლედ, სტატისტიკამ ისე გამოიწვია სისხლი, რომ ბოლოს შემომშვავდა პირბოთი რეფლექსი: როგორც კი ავიღებდი წიგნს ხელში, უსაშველო მეთნარება ამიტყდებოდა. ეგ უმძველად ნერვიული მეთნარება გახლდათ. როგორც კი გამოცდა ჩავაბარე, მეთნარებამ გაშირა. ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პირველ სტუდენტურ გამოცდას, მით უმეტეს, ასეთ ოდიოზურ სავანში!

ახლა თქვენ მიხვდებით, როგორი ცახცახით გავდიოდი ამ პირველ გამოცდაზე, მაგრამ არავინ არ აპირებდა ჩემს ვადაყლაპვას. ის კი არა და, პირიქით, გოგინაშვილმა ერთობ კეთილი ღიმილით მითხრა, ბილეთი აიღო, ხოლო მოხუცის სიმშვიდემ და უბრალოებამ, რომლითაც ის ყურს უდგებოდა ჩემს პასუხს, განმაცვიფრა. გაეთამამდი. წარმოეთქვი თუ არა ხმის ოდნავი კანკალით პირველი ფრაზა, უცებ დაგწმუნდი, რომ სავანი ვიცოდი. შემოძლია იმაზე მეტი მოვეყე, ვიდრე პროგრამითაა გათვალისწინებული. შემოძლია და უნდა შევძლო კიდევ! — და ყველაფერი ჩინებულად აეწყო. ალბათ ასევე დამთავრდებოდა, თვლი რომ არ მომეკრა, რა ყურადღებით მისჩერებოდა გოგინაშვილი ჩემს კომპაემირულ ნიშანს, პიჯაკის საყლოზე რომ მქონდა მიმაგრებული. კომპაემირები უნივერსიტეტში ცოტანი ვიყავით და ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ ძველ პროფესორას თვალში არ მოესტდიოდი. მუშაბეუ ამას რეპუტაცია გოგინაშვილისა, როგორც სტუდენტთა ჩაჭრის ოსტატისა, და ნათელი

იქნება, რა დღეშიც ჩავებრდებოდი. <sup>მეცნიერული მივლვა: მორჩა-მეთქი, და წამსვე ენა დასებდა.</sup> ამას მოჰყვა მცირე პაუზა, რაც, როგორც ჩანს, სრულიად მოულოდნელი იყო მოხუცისათვის. ვაოცებით შემოხვდა. მომეჩვენა, რომ გამამხნევებლად გამოიღმა კიდევ, მაგრამ არ შემეძლო დამეჩვენებოდა, ისე ვიყავი საწინააღმდეგოში დარწმუნებული. ასე იყო თუ ისე, იძულებული გავხდი მომეკრება მთელი ძალიონე და განმეკრბო მოყოლა. თუმცაღა დაზებირებოდა სიტყვების ნაცვალ ახლა მიხვდებოდა საკუთარი, უფრო ძნელი სიტყვების შერჩევა.

... გამოცდა ჩავაბარე და არც დაეინტერესებულვარ, რა ნიშანი დამიწერეს, ისე საშინლად შეწუხებული გამოვედი დერეფანში. კარბთან უამრავი ხალხი მყარალოდა. ჩემი მატრიკული ჩემდა ვასაოცრად ხელოდან ხელში გადადიოდა ხმამალაი შეძახილებით, რაც ბოლოს საერთო ხმაურსა და ყვირინაში გადაიზარდა. მე მილოცადენენ. მარსიდან ჩამოფრენილი მათვალეირებდენ. მოხდა იშვიათი რამ: გოგინაშვილს თურმე ფრიადი დაწერა. მე კი ვერც მოვისაზრე, მატრიკულში ჩამეხედა.

რატომ მოიქცა ასე? შესაძლოა, როგორც გამოცდისი კაცი მიხვდა, რომ წავბოძიცი ირა უცოდინარობის გამო. შესაძლოა, მიშველა იმან, რომ დაზებირებული სიტყვებით არ ვლაპარაკობდი. მაგრამ მოხუცი ერთ რამეში მართალი იყო: სავანი ვიცოდი. სხვა დანარჩენს იგი უფრადლებას არ აქცევდა. მისთვის სულ ერთი იყო — კომპაემირები იყავი, თუ არა. იგი სტუდენტებს სხვა ნიშნით ჰყოფდა: სავანს მცოდნედ და აბმცოდნედ, სწავლამოწყურებულად და ფილონებლად. უკანასკნელთ გასაქანს არ აძლევდა. მის გამოცდებზე თავს ვერავენ დაიძვრება და ის, ვინც ჩაუვალდებოდა, პროფესორს საფრთხობელად სახავდა — საფრთხობელად სახავდენ იმას, ვინც კეთილსინდისიერების განსახიერება იყო.

„ინსოლინიტი“

გ ვებტმანი ეკონომიერი გეოგრაფიის კურსს კვიციობხავდა. იქნებ მისი სახე ამოშლოლიყო კიდევ ჩემი მახსოვრობიდან, ერთი ჰქუის სასწავლებელი ამბავი რომ არ დამმართოდა. მან ნიშანი დამაკლო, და იციო რისი გულისთვის? მაგრამ სანამ ამ ამბავს მოვეყებოდე, მინდა გიამბოთ, რის მოწმეც ვიყავი ამ რამდენიმე ხნის წინ. უნდა მოვახსენოთ, რომ მიკლინებაში ყოფნისას, უქმე დღეზე უარესი არაფერია. არ იცი, რა ქნა, როგორ მოკლა დრო. იმ ზაფხულს მიწვედა ერთ-ერთი კვირა დღე მახარაძეში უსაქმოდ გამეტარებინა. მე ის-ის იყო განვეწყვი კიდევ საამისოდ, მაგრამ უცებ ყველაფერი შეიცვალა. ჩემს ნაცნობებს თავიანთი ოჯახები ბახმაროში მიჰყავდათ და შემომთავა-



ზეს, მეც წაყვლოდი. ამაზეა ნათქვამი, კოჭი აღიუზე დამიჭდაო.

ასე და ამრიგად: ორი მამა, ორი დედა, სამი ბავშვი და მე — თქვენე მონა-მორჩილი, მეორე დღლას უთენია აღმოჩნდა პატარა ავტობუსში, რომელიც სანახევროდ საავარაკო ბარგი-ბარხანით იყო ავსებული.

მარტო მამაკაცებს ვიცნობდი, ვაეციანი დანარჩენებიც. როგორც იყო, მოვთავსდით და მგზავრობაც დაიწყო.

ბაზმაროში მიმავალი გზა არაჩვეულებრივად ლამაზია. ციკაბო კლდეებზე დაკლანილი — იგი ხან აღმა უხვევს, ხან დაღმა და ისეთი სანახაობა იწლება მგზავრობა წინაშე, რომ თვალს ვერ მოწყვეტ. ეს ადგილები მართლაც ერთ-ერთი ულამაზესია მთელ საქართველოში.

მინქანა ძალიან ნელა მიბობდავდა დახვეულ გზაზე, გზა კი არა, უფრო საურბე ბილიკი რომ ეთქმოდა.

ბავშვები ხმაურობდნენ და წარამარა უფროსების ყურადღებას ითხოვდნენ. მამაკაცები მეგზურის როლს თამაშობდნენ და გზადმუხევედროლ ყოველ ღირსშესანიშნავ ადგილს გვაცნობდნენ. სხვათაშორის, მოგვიყვანენ, ვითომდა ბაზმაროს სახელი წარმოიშვა სიტყვიდან... ბაბი.. მაროდანო — ქართველი ქალიშვილი ვაუტანით თურქებს და როცა მღვერები დასწყვიით, მათ თვალწინ რომელიღაც თურქს თოფი უსრია ქალიშვილისთვის და მოუტლავს.

მამაკაცები მეშვიდე ცაზე იყვნენ, როცა რომელიღაც სოფლის შარავზაზე ჩადრინი მოხუცი ქალი დაინახეს, ხოლო ცხრაწყაროში რომ ჩავედით, ცხრავე წყარო გადათვალენ, თითქმის ჩემს წინაშე პასუხს აგებდნენ — ვაი თუ ცხრა არ აღმოჩნდესო. მოკლედ, ერთხანობას მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ, მაგრამ თანდათან მამაკაცები აქტივობამ იკლო იმისდა მიხედვით, რაც უფრო მატულობდა შიმშილის გრძნობა. ბოლოს მათმა მკვირმეტყველებამ კატასტროფა ვანიცადა და ახლა მოკლე რეპლიკებს სცერდებოდნენ, ისინიც მეტწილად ჩამაშხლებელი ადგილის შერჩევას ეხებოდა. საუბრის სათავე ხელთ იგდეს მონახივლელმა გურულმა ქალებმა.

რაზე არ იყო ბაასი... ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ საკითხებზე, სიმენონის „ციხეზე“, ღ. დუმბაძის მოთხრობაზე, ტ. სამილოვას თამაშზე „ანა კარენინაში“, ვალაკტინის, ნოველა მატვეევას ლექსებზეც და ყოველივე ამაზე ინტერესით, საქმის ცოდნით და შეუდარებელი გურული იუმორით ჰყვებოდნენ. ცნობილია, რომ გურულებს განსაკუთრებით ემარჯვებათ იუმორი. იგი თანდაყოლილი თვისებაა მათი, სისხლ-მარღვში აქვთ გამჭვარი. ვიცოდი ეს და არ მივიკირდა. ისდა მრჩებოდა, თან ყურა მეგლო მათთვის და თან გულთანად მეცონი. სამაგიეროდ, მათცებდა რთოგორი სუფთა, დახვეწილი რუსულით მეტყველებდნენ ქა-

ლები, როცა ქართულს რუსული შეენაცვლებოდა. კიდევ უფრო განეცვიფრდი, როცა ვაევიე რომ ერთ-ერთი მათგანი თურმენას ასწავლიდა საშუალო სკოლის მაღალ კლასებში. ვაუგონარა ამბავია. გურის შეუავლში მცხოვრები, და უცებ რუსულის ასეთი ცოდნა? უზრალოდ არ ვუყარებდი საყუთარ თვალებს და იმ ანეკდოტურ პერსონაჟს ვემგავსებოდი, სამხეცეში ყირაფი რომ ნახა და წამოიძახა: „ასეთი კისერი არ შეიძლება ასრებობდესო“.

ორი ათას მეტრ სიმაღლეზე ავტობუსიდან გადმოვედით და ალვის ზის ძირში მოვეკალათდით. ქვევით, ხრამებში ჯერ კიდევ თორატბრწყინავდა დაუმდნარი თოვლი. ირველი სიმწვანე გვერტყა. მცხუნვარე მზისგან თავშესაფარი ჩეროში უნდა ვეძებნახ, ხოლო გრილი ჩეროდან ისევ მზისკენ მიგვიწყედა გული.

სტუმართმოყვარე გურულმა ქალებმა ხელამოდ გაშლეს მწვანე მინდორზე ცელოფანის სუფრა. გაჩნდა წიწილები, სულგუნი, ხაჭაპური, მწვანილი და გურული ტრადიციული „ოდესა“. სადღვეგრძელის სადღვეგრძელი მოჰყავს ცხადაი, დისასლისების სადღვეგრძელიც დაილია. მე ვისარგებლე მომენტით და სადღვეგრძელში ჩავერთე, რა საოცარია, რომ გურული ქალები ასე შესანიშნავად ფლობენ რუსულ ენას-მეთქი. ქალებმა სიცლი დამაყარეს. „კი მაგრამ ვინ მოგასენათ, რომ გურულები ვართ? ჩვენ წმინდა წყლის რუსები ვართო...“ სახტად დავჩი. მათი მშობლები თურმე ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში გადმოსულან რუსეთიდან და ორივე ქალი დაბადა და ვაიზარდა მახარამეში. ჩვენში, მართალია, ბევრია ისეთი, რომელიც დედით ქართველია და გვარია აქეს არაქართული, ისინი იწერებთან კიდევ ქართველებად, ამათ კი დედაც და მამაც — ორივე ნამდვილი რუსი ჰყავდათ. შედარებით ახლახანს ჩამოსულიყვნენ რუსეთიდან და კავშირს არ წყვეტდნენ იქ დარჩენილ ნათესაებთან, უნდა გამეკვირებოდა სულ სხვა რამ: სახელელობარ ის, რომ ამყვარდ რუსები ჩანდნენ გაქართველებულება და არა პირიქით. ამ ამბავმა ისე დამაინტერესა, რომ თბილისში დაებრუნდი თუ არა, ჩავიხედე მოსახლეობის აღწერის მონაცემებში. გამოირკვა, რომ საქართველოში 106 ათას არაქართველს თავის მშობლიურ ენად მიანია ქართული. და რაც უფრო საყურადღებოა, აქედან 1900 რუსია. რატომია ეს ამბავი უფრო საყურადღებო? იმიტომ, რომ ცარიზმის დროს ასობილაცია, როგორც წესი, ატარებდა ერთხანოვან, კოლონიზატორულ-რუსიფიკატორულ ჩასაბას. ხოლო ახლა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენი ნაციონალური პოლტიკის შედეგად, რომე-

**ველიდინი მონაწიანი**  
**ჩამი უნივერსიტეტი**

ლიც ამტკიცებს ერების თანასწორუფლებიანობას და ადამიანთა შეგნებაში მომხდარი გარდატეხის შედეგად, შესაძლებელი ხდება ორი სახის ასიმილაცია. ქართული ასიმილაცია ისეთივე ბუნებრივი და კანონზომიერი რუსებისათვის, როგორც რუსული — ქართველებისათვის. და თუ მაინც გვიკვირს ხოლმე ეს ამბავი, ახლა თითქმის ვაკვირვება ვასოცარი. ყოველ შემთხვევაში ახლა, საქართველოში გაზრდილი არაქართველი, რომელსაც მშობლიურ ენად ქართული მიიჩნია, სრულებითაც არ წარმოვიდგებავ გვირად. დროა, ამას ისე შევხედოთ, როგორც ჩვეულებრივ ამბავს.

ჩვეულებრივი მაგრამ ყოველთვის ესმის თუ არა ჩვენს ახალგაზრდობას, რომ ჩვენი, საბჭოთა ხანის ეს ნაყოფი — ადამიანის შეგნებაზე ზემოქმედების შედეგია, რომ ახლა ჩვეულებრივი ამბავი ოდესღაც სრულიადაც არ იყო ჩვეულებრივი და აღედგებდა ადამიანთა გონებას და არსებითად იგი გვირობას უტოლდებოდა. ვინაა ცარიზმი ყოველნაირად არ უწყობდა ხელს ადამიანთა იმ კატეგორიას, ვისაც ერცხენებოდა თავისი ეროვნება და რუსულ ყიდაზე იკეთებდა გვარებს. ვინა ყოველნაირი საშუალებით არ ცდილობდა ცარიზმი ჩაენერგა ადამიანებისათვის, რომ ადგილობრივი მკვიდრი, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვანი ადამიანი და სამარტხენინო იყო მისი წარმომადგენელი; რა სიყვარული უნდა გქონდა, როგორი მოქალაქეობრივი ვაჟაკობა, რომ ასეთ პირობებში, გვარის მიხედვით გაბატონებული ერის შვილი — შერწყმული პატარა ერს, მთელი არსებით გემსახურა მის საკეთილდღეოდ და ყოველნაირად: ვნით, ბუნებით მის ნამდვილ, ღვიძლ შვილად ქცეულიყავი.

ასე და ამრივად ჩვენი საუკუნის დასაწყისში რუსი კაზაკი იგნატიევი წაიდა მასწავლებლად ქართულ გიმნაზიაში და შემდეგ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე უანვაროდ ემსახურებოდა საქართველოს — მისი ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. და ცოტა ვინმე თუ იცის მისი წარმოშობა და თვალაპირველი გვარი, ვინაიდან შეუძლებელი იყო მიხვედრილიყავი ამას. მისთვის მშობლიური იყო ქართული ენა, ადათ-წესები, ხასიათი, ჩვეულება, კულტურა, ხელოვნება... მის იცნობდნენ და იგი ახლაც სსოციალში შემორჩათ, როგორც გურგული ეგნატაშვილი.

ამ საოცრად მომხიბვლელმა, კრისტალურად წმინდა ადამიანმა უხმაუროდ, შეუქმნევლად შეძლო ბევრი რამის გაკეთება: მაღლიერმა საბჭოთა საქართველომ იგი იდუბინო პანთეონის მიწას მიაბარა, თავისი გამოჩენილი შვილების გვერდით.

მე ვცამ კითხვას: რით დაიმსახურა მაინც ჭურჭელი ეგნატაშვილმა ასეთი სიყვარული, ასეთი მაღლიერება, ასეთი პატივისცემა ხალხისა? უდიდესი როლი ითამაშა მისმა მოქალაქეობ-

რივმა პოზიციამ. იგი თავგამოდებით ჩვენს ნაციონალურ კულტურას ცარიზმის შემოტევისაგან, მკერდით ეფარებოდა მას, საბჭოთა დროში კი ასევე დაუღალავად იღწვოდა მის ასაღორძინებლად, ახლა მასზე მზრუნველობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა, რადგან ერთიანად შეუწყნარებელი იყო გულგრილობაც და ურაბატრიოტიზმიც. სწორედ ამგვარი მგზნებარე და გონიერი დამცველი იყო ეგნატაშვილი ქართველობისა და ასე განვლო მან თავისი ცხოვრების გზა. ამგვარი რაინდობა კი არასოდეს რჩება ყურადღების გარეშე. იგი ყოველთვის იწვევს ხალხს ცხოველკეთილშობილურ გამომხატვრებას.

... თქვენ ალბათ მიხვდებით, რომ გეტმანის ამბავსაც, რომელზეც როგორც იქნა მოვედით, რაღაც კავშირი აქვს ზემოთ მონათხრობთან.

და მართლაც გეტმანი ეგნატაშვილის ბუნების ადამიანი ვახლდათ. შეიძლება თქვან, რომ მასზე გარკვეული გავლენა მოახდინა დედით ქართველობამ, მაგრამ ეს სრულბოთაც არ ამცირებს მის მოქალაქეობრივ გვირობას. მას, ცარიზმის პირობებში გაზრდილს, შეეძლო ამოფარებოდა თავის გვარს და წარმოშობას. მაგრამ არჩია ქართველი მეცნიერისა და აღმზრდელის ზედი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოუძღვნა მშობლიური მხარის შესწავლას. უნივერსიტეტში იგი იყო ერთადერთი ქართველი არაქართველთა შორის. იმ დროს ეს უჩვეულო ამბავი იყო და გაკვირვებას და პატივისცემას იწვევდა.

საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიას ჩვენ ვსწავლობდით მისი სახელმძღვანელოს მიხედვით — დანარჩენ კურსს კი სხვადასხვა მრავალრიცხოვანი დამხმარე სახელმძღვანელოებით, რომლებიც რუსულ ენაზე იყო შედგენილი. ამან ნაწილობრივ უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენზე, რადგან სავანი ქართულად უნდა ჩავგებარებინა.

სავანი მომწონდა. კარგადაც მოვემზადე გამოცდისათვის. გეტმანიც კარგ გამოცდელად ითვლებოდა და მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ფრიაღს მივიღებდი.

თავიდან ყველაფერი ჩინებულად წარიმართა. მე, როგორც იტყვიან, ფრთებგამოსხმული მიგვარდი სასურველი ნიშნისაკენ და უეცრად... დასწყევლა დღმერთმა... შეგბრკოლდა. არ მახსოვს რასთან დაკავშირებით, მაგრამ აუცილებლად დამჭირდა ინდონინეთის სხენება. მახსოვდა, როგორ იყო რუსულად, მაგრამ ქართულად ვერა და ვერ გავისხენე. რაღაცნაირად მახსოვრობიდან ამომვარდა ეს სიტყვა. უცნაური ის იყო, რომ მანამდე რამდენჯერმე ვახსენე ჩინეთი. მეტი რა ჩარა იყო, რუსულად ჩავივლილულე "ინდოიტიან"-მეთქი, გეტმანს უტე შევიცვლა სახე, მაყარი გაუხდა.



„ვეხდავ, რომ თქვენ საგანი იცით. მაგრამ მე მინდა მიპასუხოთ ქართულად, მხოლოდ ქართულად“. — გამეორა მან. ამის შემდეგ რაიმეს გახსენება კი არა, საკუთარი სახელიც დაგვიწყვდებოდა კაცს. გეტყვანა ცოტა ხანს თიღვე მაილა, მეერ როცა დარწმუნდა, ტყუილა-უბრალოდ ეციდო, ნაღვლიანად ამოიხზა და შემახსენა: „ინდოჩინეთი“. ინდოჩინეთი! როგორ შემეძლო ამის დაეიწყება. მაგრამ თითვე კებნა ახლა გვიანდა იყო. გეტყვანა ნიშანი ჩამიწერა და მატრიკული გამოიწერა: „თქვენ რომ ქართველი არ იყოთ, — წარმოთქვა მან, — ფრიადს დაგვიწოდით. ახლა კი... — კვლავ ამოიხზა, — იძულებული ვარ დავიკლოთ ნიშანი. ვარ თუ არა მართალი?“ — მკითხა მან. რასაკვირველია, მართალი იყო. სირცხვილით ვიწვოდი. გეტყვანა სჯიდა, ვის? მდივანს — ქართული ენის უცოდინრობის გამო. როგორ არ უნდა დამახსოვრებოდა ასეთი გაკვეთილი!

### მეცნიერების ტრიბუნა

მე არ ვაპირებ დაგწერო ლიტერატურული პორტრეტი ჩვენი დიდი მეცნიერებისა. პორტრეტისათვის სრულბითაც არ კმარა ლექციებზე მიღებული შთაბეჭდილებანი და ის ბოკლე, პირადი კონტაქტები, გამოცდების დროს რომ გავქონდა.

მე გადმოგვეთ შ. ნუცუბიძის სახეს ისეთს, როგორც შემომჩანა მესხიერებაში. ასე რომ, ძალიან მკაცრად ნუ ვანმსჯილთ, თუკი ჩემი შალვა ნუცუბიძე არ დავმსგავსებთ თქვენსას, მით უმეტეს, რომ ლაპარაკი ისეთ მრავალმხრივ და წინააღმდეგობით აღსავსე პიროვნებაზე, როგორც შალვა ნუცუბიძე გახლდათ.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანებს მთავარი და ძირითადი შეიძლება სხვა რამ მოსჩვენებოდეთ ამ ადამიანში, რომელიც ერთდროულად იყო დიდი ფილოსოფოსიც, დუცხრომელი მეკლერაიც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისა, ლიტერატურული კრიტიკოსიც და მთარგმნელი ვეფხისტყაოსნისა რუბულ ენაზე, პოლიტიკოსიც და პედაგოგიც, იგი ერთდროულად გახლდათ მეცნიერიც და პოეტიც, მასში ერთმანეთს ერწყმოდა და ურთიერთს ებრძოდა ლოგიკური და ემოციური: ამიტუნად, არ უნდა იყოს უქნაურო, თუკი ერთ პიროვნებას ყველა „სხვადასხვანაირად ამოიკითხავს“...

... გამოცდები დიდი მოვლენაა სტუდენტის აკადემიურ ცხოვრებაში და სულაც არაა საკვირველი, ყველაზე უფრო გამოცდებთან დაკავშირებული ეპიზოდები რომ გავონდებ. მაგრამ ნუცუბიძე როგორც გამომცდელი, არ დამხსოვრება. არავითარი მაღლი არ მიგრძენია მის გა-

მოდებზე — ლოგიკის გამოცდაზეც კი, როცა პირველად აღმოჩნდი მასთან, პირისპირ. შეესაძლოა, თვით საგანიც არ იძლეოდა საამისთვის საბაზს. „ლოგიკას“ ჩვენ ვამზადებდით მის მიერ ქართულად დაწერილი სახელმძღვანელოთი და ეს რამდენადმე გვიმსუბუქებდა მდგომარეობას. ვიმეორებ, ნუცუბიძეს, როგორც გამომცდელს, კვალი არ დუტოვებდა ჩემს ცხოვრებაში. გამოცდები არ იყო მისი სტიქია, თითქოს არ უნდოდა დაწერილობაზე დაეხმარებოდა ინტერესს არ იჩენდა გამოსაცდელის მიმართ, მისი ცოდნის მიმართ. სამაგიეროდ, ეს ოქროპირი განუყოფელი იყო აუდიტორიაში, ლექციებზე, სტუდენტების წინაშე. აქ უკვე შემთავონებული ხვდებოდა.

„ლექცია — გვიხსნიან ლექსიკონები, — უშალეს სასწავლებლებში მასწავლებლის მიერ სასწავლო საგანის ზეპირი გადმოცემა“. ჩვეულებრივად, იგი მოსაწყენია სტუდენტისათვის, მაგარიც არის გამოწვევისა და მე მასხვს ლექციები, რომელთაც უამრავი ხალხი ესწრებოდა, აქედან ნახვარზე მეტი სხვა ფაქტორტიდან იყვენ. ასე იყო თუ ისე, ასეთ ლექციაზე მოდიოდნენ საგნით დაინტერესებულნი. ხოლო შ. ნუცუბიძის ლექციაზე მოდიოდნენ თვით პროფესორის მქვერმეტყველობის მოსამენად. და სულ ერთი იყო, რას კითხულობდა იგი, რა თემას ეხებოდა ლექცია. დაე ლაპარაკი ყოფილიყო ძალიან რთულ და განყენებულ საკითხებზე, ფორმალური ლოგიკის ძალიან მშრალ კანონებზე — სულ ერთია — მისი ორატორული ნიჭის თავყვანისმცემლები მანაც ავსებდნენ აუდიტორიას. და რაც ყველაზე უფრო საოკარია — თვით კომპეტენტური და საგნით დაინტერესებული მსმენელებიც იხილებოდნენ და აღტაცებული იყვენ პროფესორის ოქროპირობით. მისი ლექციებიდან ყველანი აღგზნებულნი, ყველანი კმაყოფილნი და ნასიამოვნებნი გამოდიოდნენ. ასეთი გუნება-განწყობილებით, ჩვეულებრივ, თეატრიდან გამოვდივართ ხოლმე, კარგი და ხალისიანი სპექტაკლის ნახვის შემდეგ.

რით ახდენდა ეგზომ ძლიერ ზეგავლენას შ. ნუცუბიძე? რა მავთურ ძალას ფლობდა? რით იპყრობდა და იტაცებდა ადამიანებს? როგორ ხდებოდა გასაგები ურთულესი საგანი? წარმოადგინეთ გაკვეთილი აუდიტორია. — ჭრელ ხალხს მოუყრია თავი. აქ არიან გართობის მოყვარულნიც — ბეგონებიც და ექსალტირებული ქალიშვილებიც, ეს ე.წ. „ბომონდი“ — კარგად ჩაცმულნი და კაბარეებში გაჩვეულბივით თავისუფალი მანერების მქონენი — აუდიტორიაში ვიმყოფებით ჩვენც — ახალბედა სტუდენტები: დარბიულად ჩაცმულნი, უკანა

**ელადიმერ მდივანი**  
ჩემი უნივერსიტეტი



მერხებზე მოკრალბულად მოუქნტუნლი— ჩვენ, ვინც მთავარი პერსონაჟებია აუღიტორი- სისა, ვინაიდან სწორედ ჩვენთვისაა გამიზნული ლექცია. ჰოდა, ვსხედვართ და მღელვარებით ველოდებით პირველ ნივთობას ახალ საგან- თან, რომლის მარტო სახელწოდებაც კი შიშს გვგვრის და არასივეულებრივ მოკრალბებს იწ- ვევს. მოკლედ, სამართლის ფილოსოფიის შესა- ვლილ ლექციის მოსმენა გვიყვინს.

ყველა თავისებურად განიცდის ამ ამბავს, ყველანი მოუთმენლად ველოდებით ლექტო- რის გამოჩენას. ლოდინი დიდხანს არ გვირ- დება, — დიდი-დიდი ათი წუთი და, აი, — სწრა- ფად შევმოღის ნუტუბიძე, წარმოთქვამს პირველ სიტყვებს...

მოგვხსენებთ, როგორი ლაპარაკი იცოდა მან — ამ საშინლად რთულ და სხვიდასხვა იდეალისტური მიმდინარეობით ახლართულ- ზახლართულ საგანზე, საგანზე, რომლის უბრა- ლოდ გახსენებაც კი, განსაკუთრებით პეტრა- ჟიკის თეორიისა, ღმერთმანა, ახლაც ვრუან- ტელს მგვრის, ტანი მეტურაგლება.

მან ასე დაიწყო: „სანამ დღევანდელი ლექ- ციის თემსა გაეაცნობდეთ, ნება მომეციეთ შე- ვახსენოთ ცნობილი რუსული ანდაზა, რომელ- საც უშუალოდ კავშირი აქვს ჩვენს საგანთან და რამდენადმე მის შესავალსაც წარმოადგენს. ანდაზა ამბობს, — დანარჩენი ნუტუბიძემ რუ- სულად განაგრძო, — Закон, что дышло: куда повернешь, туда и вышло».

წელია კალმით აღწერო, რა შთაბეჭდილება მოახლინა ამ სიტყვებმა — ატყდა სიცილ-ხარ- ხარი, აუღიტორია გამოცოცხლდა. ამ ტირადამ ასიაშოვნა ისინიც, ვინც მარტო ვართობას ეძ- ებდა, სიმხნევე შეჰმატა იმთავით, ვისაც ამ მეც- ნიერების ციხე-სიმაგრის ივრითი უწყევდა. უნე- ბურად ვფიქრობდით: არც ისე წვიმს, როგორც ქუხს. ამოცანა უფრო ადვილი, მარტივი გვეჩ- ვებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

მხოლოდ ნუტუბიძეს შეეძლო ასეთი რამ: სიტყვის აკადემიურ პურიზმში ანაზღად შეიჭ- რებოდა ხალხის ცოცხალი, მოსწრებული, სა- მართებელივით ბასრი, ანდაზებითა და მოიარე- ბით დამწვენებული ხატოვანი თქმა, და მყის- ვე ცხოვრება გეიადილდებოდა, გაუგებარი გა- საგები ხდებოდა...

იგი გვასწავლიდა და აღგავფრთხილებდა ერ- თორთულად. რასაც გვიქვდავებდა, ყველაფერი უცილო ჰქმნაბრებდა როდი იყო, ყველაფერი მეცნიერების უქანასკნელ სიტყვას როდი წარ- მოადგენდა და, ამისდა მიუხედავად, თუ ვერ წარმოსახავდა მეტროლ მეცნიერებას, სამაგი- ეროდ, მუდამ ნალარასავით გაისმოდა მისი მგზნებარე სიტყვა, ახალგაზრდობას საიერიშოდ რომ მოუწოდებდა!

ჩემს სტუდენტობაში ფსიქოლოგიური მეც- ნიერება მაინცდამაინც დიდ პატივში არ გახ- ლდათ...

გამოჩნდნენ მეცნიერები, რომელთაც მოეჩ- ვენათ, რომ ფსიქოლოგია მხოლოდ თეთრი ლაქაა ფსიქოლოგიაში; გამოჩნდნენ „სოციო- ლოგები“, რომლებიც აუსახურებდნენ ადამი- ანის საქციელს და ფსიქოლოგიისათვის, რო- გორც დამოუკიდებელი მეცნიერებასათვის, ადგილი აღარ რჩებოდა მეცნიერებაში. მაგრამ ყველაფერზე უარესი ის იყო, რომ ზოგი ჩვენ- ნი ცნობილი ფსიქოლოგი აპყვა მოდას და ხე- ლი შეუწყო ამ მეცნიერების ვულგარიზაციის საქმეს. ადამიანის საქციელი მათ დაპყვადათ რეფლექტორული აქტივით უბრალო ერთო- ლიობაზედ, ანუ არსებითად ავტომატურ ხასი- ათს აღუედნენ მას და ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ასეთი მექანიკური განმარტება სი- ნამდვილეში იწვევდა იმას, რომ უარს ამბობ- დნენ შეესწავლოთ ცნობიერება, ანუ სხვათადად რომ ეთქვათ, ხელს იღებდნენ თვით ფსიქო- ლოგიის არსის შესწავლაზე.

მე ავტორიტეტი არა ვარ ამ დარგში — ამი- ტომ მოვიყვანე გამოჩენილი საბჭოთა ფსიქო- ლოგის დ. ს. ვიგოდსკის სიტყვებს, რომელიც მაშინ ამბობდა: „ცნობიერების პროგრამის იგნორირებით, ფსიქოლოგია თვით იხშობს გზას ქვეყნის პრობლემის გამოსაკვლევად“.

რასაკვირველია, ფსიქოლოგიის გარშემო შექ- მნილ ატმოსფეროს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მოსწავლე ახალგაზრდობაზე. რა- კილა თვით ფსიქოლოგიაში დროებით გაიმარ- ჟვა შეხედულებამ, რომელიც ამცირებდა მის როლს და მნიშვნელობას, როგორც დამოუკ- დებელი მეცნიერებისა, რაკილა ზოგიერთ მეც- ნიერს მოეჩვენა, რომ ფსიქოლოგია დროებითი სადგომო ადამიანის ცნობიერებისა და რომ იგი ფიზიოლოგიისა და სოციოლოგიის განვითარ- ტების შედეგად განწირულია დასაღუბავად, არ უნდა იყოს საკვირველი, ახალგაზრდობა უფრო „შორს“ რომ მიდიოდა.

ჩვენ ვფიქრობდით, მეცნიერება, რომელიც ფსიქიკურ მოქმედებებს სწავლობს, მეცნიერე- ბა კი არა, რაღაც სპირიტუალიზმია, ვინაიდან სულელობთან აქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, მეც- ნიერება თუა, რულიმენტულია უთუოდ.

ცოლვა გატეხილი სჯობია, ადამიანის ქცე- ვებს ჩვენ ერთობ გაუბრალოდებულად, სწორ- ხაზოვანად უქავშირებდით საზოგადოებას და ზოგად კანონებს, სადაც სუბიექტის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

დიდი ბიროვნებების შეცდომებს მხოლოდ ობიექტურ მომენტებში ვეძებდით და გვავიწი- ვდებოდა, რომ არსებობს (და ეს მეტად მნიშ- ვნელოვანი ამბავია) სუბიექტური მომენტებიც,

გავიწყდებოდა, რომ ადამიანისათვის არაფერია ადამიანური უცხო არ არის.

ფსიქოლოგიის, მისი მატერიალისტური სიწმინდის, მისი როგორც სავნის, არსისათვის ბროლიუმში იშვა და საყოველთაო აღიარება პპოვა ქართულმა სკოლამ. კამოს ქუჩაზე, პატარა ლაბორატორიაში მიმდინარებოდა გულმოდგინე უღებო, იყოფებოდა ლექციები უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოვიდა დ. უზნაძის მონოგრაფიის პირველი ტომი. როგორი რაინდი უნდა ყოფილიყო მეცნიერებისა, რომ მისი ერთგული დარჩენილიყო ძნელდამიხრის ვაჟს, ვარკვეულიყო ცრუ გზების ლაბირინთებში და ვაკეყვანა იგი სწორ შარავნაზე.

უზნაძეს მხოლოდ ერთადერთი მეცნიერების სიყვარული შეეძლო. სამაგიეროდ, ამ მეცნიერებაშიც უხვად მიუზღო მას სანაცვლო.

და მართლაც, რა უნდოდა უზნაძეს ცხოვრებაში ყველაზე მეტად? უნდოდა აემსახებინა ფსიქოლოგიური მეცნიერების მნიშვნელობა და მან შესწოლო ეს. უნდოდა, შეეტანა თავისი წვლილი და მან შეიტანა ეს წვლილი. უნდოდა, მის დაწყებულ საქმეს ეცოცხლა, განვითარებულიყო. და მის საქმეს ეწერა სიცოცხლე და განვითარება, რადგან მან დააარსა თავისი სკოლა და დატოვა მოწაფეები. დიახ, უზნაძე მადლიერი უნდა ყოფილიყო ცხოვრების. ცხოვრებაც სამაგიეროს უხდოდა, თუმცაღა ერთ რამეში შეიძლებოდა დაეჩვილა და დამდურებოდა ცხოვრებას — ცოტა ხანი რომ გამოიმეტა მისთვის.

... სანამ ლექციებს წავგივითხავდა, უზნაძეზე ჩვეულებრივად გვემართა გავიწყობა. მაგრამ ფსიქოლოგიის მაინც უპატივცემულოდ ვემკვიდრებით და თვითმკაცრობის ვიქორბოდით, რომ ვერანაირი უზნაძე ვერ გადაგვავარდობდა. მაგრამ ლექციოდან ლექციამდე ჩვენი ინტერესები სავნის მიმართ იზრდებოდა და, ბოლოს და ბოლოს, იგი ერთ-ერთ საყვარელ და საინტერესო სავნად იქცა. უარყოფილები ნეოფიტები გავხდით, ვინაიდან მარჯვე ხელს შევყავდით ადამიანის ცხოვრების აქამდე უცნობ, ახალ სამყაროში, ჩვენს თვალწინ იშლებოდა. მისი მომავალთბელი იდუმალება, რომელსაც ფრიალ ახლო ურთიერთობა ჰქონდა თვით ჩვენს სულთან, მის საიდუმლოებებთან.

ასეთი იყო უზნაძე სწავლული, დამრიგებელი. ვფიქრობ, იგი ვერ მიღწევდა ყოველივე ამას, თვით რომ არ ყოფილიყო მომხიბლველი პიროვნება. მასში შერწყმული გახლდათ არაჩვეულებრივი გარეგანი და სულიერი სიღამაზე, ღრმა ინტელექტი, ელვანტური გარეგნობა და მკვერმეტყველება. იგი ისეთი მკვერმეტყველი იყო, რომ ნუტუბიძის ლექციების არ იყოს, მის ლექციებს უამრავი გარეშე პირი ესწრებოდა, რომელთაც იმდენად სავანე კი არ აინტერესებდათ, რამდენადაც ლექტორის ოქროპი-

რობა. დიახ, ბევრი მის ლექციებზე უბრალოდ იმისთვის მოდიოდა, რომ დამტკბარიყო კლასიკური ქართულით;

იგი არასოდეს, ბეწვისოდენადაც კი არ გადაუხვევდა ლექციის მთავარ თემას, თავს ვალდებდა არ აძლევდა, ცეცხლი შეენით აუდიტორიისათვის, ეფექტური წილისვლებით გამოეწვია მისი აღფრთოვანება. მას არ სჭირდებოდა არავითარი სიტყვიერი თინაზობა სტუდენტების ყურადღების დასაპყრობად. მისი ენა — ზოგჯერ საოცრად მეტაფორული, ხატოვანი, აფორისტული, დახვეწილი და მოქნილი, ამასთან ისე ორგანულად იყო შერწყმული ღრმა და ცნობისწადლის აღმქველ შინაარსთან, რომ ლექციებისადმი ინტერესის გასაზრდელად სიტყვიერი დოპინგი აღარ იყო საჭირო.

უზნაძე დელიკატური, მიმნდობი და ძალიან კეთილი ადამიანი იყო. მაგრამ ყველაზე საოცარი ის გახლდათ, რომ სტუდენტები, რომელთაც საერთოდ სჩვევიათ ლექტორის მიმნდობა ხასიათის გამოყენება, უზნაძესთან, როგორც წესი, პატიოსნად იქცეოდნენ, ყველანი წესიერად მეცადინეობდნენ და ცდილობდნენ გამოცდების დროს სირცხვილი არ ეტამათ, ე. ი. როგორც ყველა ნამდვილი ჰუმანიტი პედაგოგი, უზნაძე არა მარტო თესავდა ცოდნის მარცვლებს, არამედ შეუქმნევლად და წარსტუბით ზრდიდა ადამიანში სიკეთის გრძნობასაც.

... გამოცდას ვაბარებდი მას, მგონი, მისის ბოლოს თუ ივნისის დასაწყისში. მასსავს, თუმცა დილა იყო, საშინლად ცხელოდა. კამოს ქუჩაზე, ლაბორატორიის დერეფანში ვიდექი და პრაფესორის მოლოდინში გული მეღულოდა. ჩემს პირდაპირ, ღია კარში ორი ასისტენტი რაღაც ხელსაწყოს თავს დასტრიალებდა. მე მარტო ვიყავი და, გამოცდელის მოლოდინში, უნებურად ვაკვირდებოდი მეცნიერებს და მათი საქმიანობა უბრალო მოკვადისთვის საოცრად მიუწვდომლად, ჯადოქრულადაც კი მეჩვენებოდა. შიშმა შემიპყრო. სავნის ცოდნაშიც ეჭვი შემიპარა და მომინდა გავპარულიყო. მაგრამ ამ დროს გამოჩნდა დ. უზნაძე, დაბნეულად მივესალა. „გამოცდაზე ხართ?“ — მკითხა და მერე თავის დაქნევით მანიშნა, გამომეყვიო.

ოთახში მისთან პირისპირ რომ აღმოვჩნდი, უფრო დავიბენე, მაგდას უხერხულად მიეუწყებო. უზნაძემ ჩემი მატრიკული ყურადღებით გადაფურცლა და უცებ მკითხა, სადაური მდინანი ხართ. გამოირკვა, რომ ჩემს ბევრ ახლობელ უფროს ნათესავს კარგად იცნობდა. გამომკითხა მათ შესახებ. საუბარმა რამდენიმე წუთს გასტანა. ეს კი საქმარის აღმოჩნდა იმისათვის,

**ვლადიმერ გიბანი**

ჩემი უნივერსიტეტი



ქვეყნული  
ბიბლიოთეკა



რომ მღელვარებას მოვრეოდ. მერე მან გამი-  
ლიმა და მითხრა:

„უკაცრავად, მგონია ცოტა გადაუხვებით. დაე-  
უბრუნდეთ სავანს“...

„ღმერთო ჩემო, — გამიელვა თავში, — ეს  
ხომ განგებ გააკეთა, რათა დაეწყინებულეყა-  
ვი“. ჩემი გული, გული ჯერ კიდევ პატარა ბი-  
ჭისა, მაღლიერების გრძნობამ მოიცივა და გა-  
მეტებით ამიძგერდა. ახლაც კი, როცა ამ ამ-  
ბავს ვივანებ, გული მიჩუყდება...

გამოცდა კარგად ჩავაბარე. უზნაქემ უამარ-  
ვი შეიკითხვა მომცა. მასსოფს, განსაკუთრებით  
ღაინტერესდა იმით, თუ როგორ ვიცოდი ვუნ-  
დტი. ჩანდა, კმაყოფილი იყო ჩემი პასუხით,  
რადგან უცერად შემაწყვეტინა სიტყვა და რო-  
გორღაც მიმნდობი კილოთი მკითხა: „ყველა-  
ფერი გასაგებია თქვენთვის, არაფერი არ იწ-  
ვევს ეშას?“

ისეთი კილოთი იყო ნათქვამი ეს სიტყვები,  
რომ ვიფიქრე, რაც იქნება იქნება, ვეტყვი-მეთ-  
ქი. მე მაწუხებდა, და არა მარტო მე, სხვების-  
თვისაც გაურკვეველი იყო ერთი სასუქმანო  
საკითხი: სახელდობრ, „მეს“ პრობლემა.

უზნაქემ მოთმინებით მოისმინა ჩემი მღელ-  
ვარე, საკმაოდ დაულაგებელი და გრძელი სიტ-  
ყვა. „ერთი სიტყვით, — მორცხვად დაეკვიცი-  
ნი ბოლოს, — მაინტერესებს, კონკრეტულად  
გავაჯერებ „მეს“ არსი. ხოლო თუ ეს საკით-  
ხი გადაჭრილი არ არის, მაშინ ფსიქოლოგიას,  
როგორც ცნობიერების მეცნიერებას, არ გა-  
უცნია პასუხი თავისი მთავარი კითხვისათვის“.

უზნაქემ თბილად გაიღიმა და შემეპასუხა: —  
„უნებო თქვენი მთავარი კითხვა მხოლოდ და  
მხოლოდ საპნის ბუშტებია? არ გინდათ ღრმად  
გაერკვეთ? სიამოვნებით მიგიღებდით ჩემთან“.  
მაგრამ ვაი, რომ ასეთი რომ არ შედიოდა ჩემს  
გეგმაში, თვითდაჯერებული ყმაყვილის გეგმა-  
ში, რომელსაც ფსიქოლოგია ერთობს მცირე  
ასპარეზად ეჩვენებოდა თავის თავისთვის.

... მე ვღუშდი. უზნაქემ მიმიხვდა.  
„როგორც გენებოთ, — დანანებით ამოიოხრა,  
— მაგრამ ხომ არ ცდებით ჩვენი მეცნიერების  
შეფასებაში? მას არაჩვეულებრივი პერსპექტი-  
ვები აქვს, ვინაიდან იგი სწავლობს ცნობიერე-  
ბის მექანიზმს, ხოლო ჩვენს ინტელექტუალურ  
სამყაროში, იგი იძენს უფრო და უფრო დიდ  
მნიშვნელობას და დაიხსიანეთ: არ არსებობს  
უმნიშვნელო და მნიშვნელოვანი მეცნიერება.  
არის მხოლოდ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო  
მიდგომა მისდამი.“

უზნაქემ თქვა ის, რის მავალითაც თვითონ  
იძლეოდა. მნიშვნელოვანი მიდგომა! ასეთი იყო  
ის მეცნიერებაში. ასეთი იყო ცხოვრებაში. სი-  
ცოცხლე კი ერთხელ ეძლევა ადამიანს და ბედ-  
ნიერია ის, ვინც ღირსეულად გაატარებს მას  
და შექმნის თავის ხალხისათვის მნიშვნელოვან  
რამეს, როგორც ეს უზნაქემ გააკეთა.

ის რომ გამოჩნდებოდა, წამსვე სტუდენტულ  
ხმაურიანი ბროს ჩუმდებოდა და მოწინავენი  
იხვევდა უკან, წამსვე ცარიელდებოდა მის ირ-  
ველი ადგილი. არც ერთი მეცნიერი უნივერსი-  
ტეტში და არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ  
მთელს ქართულ საზოგადოებრიობაში არ სარ-  
გებლობდა ისეთი პატივით, როგორითაც ივანე  
ჯავახიშვილი და იმიტომ კი არა, რომ მის გარდა  
ჩვენ არ გვეყავდა სხვა დიდი მეცნიერები. მად-  
ლობა ღმერთს, მსოფლიო სახელის მქონე მეც-  
ნიერები საკმაოდ გვეყავა. ისინი ბრწყინავდნენ  
მათემათის, ქიმიის, ფილოლოგიის, შინაარსო-  
გიის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების, ფილო-  
სოფიის, ფსიქოლოგიის და სხვა დარგებში.

ჩვენ, სტუდენტები, მათ მეცნიერულ ავტო-  
რიტეტს ზოგჯერ გადაუმეტებულადაც ვუკმევე-  
დით ხოლმე ვუნდრუტს.

ჰოდა, ეს არ იყო მთავარი. მარტო ამის გა-  
მო არ ვაყენებდით ივანე ჯავახიშვილს სხვებზე  
მაღლა.

ჩვენ ბევრი რამ გავინილი გვექონდა მის რა-  
ინლობაზე, ქველობაზე, ქეშმარიტად აღამაინურ  
თვისებებზე, კეთილშობილურ ხასიათზე. იქნებ  
ამიტომ ვეთაყვანებოდი ასე? დიახ, რადენაღმე  
ასეც ვახლდათ. მაგრამ მარტო იგი ხომ არ იყო  
მდიდარი ბუნების მქონე პიროვნება?

იქნება გვხიზლავდა მისი გარეგნობა?  
დიახ, უთუოდ ესეც იყო. ჩვენ გვხიზლავდა მისი  
ლაშაზი, დაწყობილი პირი-სახე, მოხდენილი ტა-  
ნი, კეთილშობილური იერი, თვალში საცემი  
იყო ისიც, მულად დიდებულად შეკერილი ტა-  
ნისაბოში რომ ეცევა. ჩვენს წარმოსახვაში იგი  
ლონდონელ დენის ეტოქებოდა. მაგრამ მარტო  
ის ხომ არ გამოიჩინებოდა გარეგნობითა და ჩა-  
მულობით? და ესეც არ იყოს, ვანა ამას შეუძ-  
ლია რაიმე არსებობა როლი ითამაშოს მაშინ,  
როდესაც ლაპარაკი მეცნიერისა და საზოგადო  
მოღვაწის განსაკუთრებული მომხიზველობის  
საიდუმლოებაზე?

იქნება ჩვენზე მოქმედებდა მისი პოსტი უნი-  
ვერსიტეტის რექტორისა? მით უმეტეს, რომ  
იგი არჩეული იყო მეცნიერთა უაგტორიტეტულ-  
ესი კოლექტივის მიერ, რომელთაც თავისი  
ნებით აღიარეს მისი პირობიტეტი?

ნაწილობრივ ესეც იყო, მაგრამ საეარძელი კი  
არ ამშვენებს აღამიანს, არამედ აღამიანი საეარ-  
ძელს. მას როგორც რექტორს, იცნობდნენ ისი-  
ნი, რომლებიც 1926 წლამდე სწავლობდნენ.  
იგი დიდი ხანია აღარ იყო რექტორი, ხოლო  
ხალხი მაინც ყველაზე უტყად პატივს სცემდა  
სწორედ მას — ივანე ჯავახიშვილს.

იქნება მნიშვნელობა ჰქონდა ივანეს პირველ-  
ხარისხოვან როლს ქართული უნივერსიტეტის —  
ქართული მეცნიერებისა და უმაღლესი განათ-  
ლების ამ მთავარი ციტადელის — ორგანიზა-  
ციის საქმეში? დიახ, ჩვენ ყველამ, ჩვენმა შთა-





მომავლობამაც, ახალმა თაობამაც ქედი უნდა მოხაროს მისი მოქალაქეობრივი და პატრიოტული გმირობის წინაშე.

დაიხ, ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ მარტო ეს რომ იყოს, მაშინ რითი აიხსნებოდა ის უჩვეულო ინტერესი, რასაც მისი ლექციების მიმართ იჩენდნენ? როცა ის ლექციას კითხულობდა, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავერდებოდა დარბაზში.

**ქენება ისიც, ნუტუბისა და უზნაძის დარიდი, უხალლო მკვირვარეობები იყო? არა, ივანე ჯავახიშვილი ლაპარაკობდა ერთობ არამკვირვარეულად. და მაინც თუ მის ლექციებზე ისეთი სამარისებური სიჩუმე იდგა, რომ ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით, თუ ყველა დაძაბული იჭერდა მის თითოეულ სიტყვას, ეს საყვირველი არ უნდა იყოს. მის ლექციებზე ხომ ლაპარაკი იყო უნიკალურ აღმოჩენებზე, რომლებიც ფხვნილია ჩვენივე ისორიდან ძვირფას და ახლობელ—შობლიურ ისტორიას. იგი ხომ პირველი აღმოჩენილი, პირველი გზის გამაყვავი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.**

ერის „ისტორიულად ჩამოყალიბებული მყაბის ერთობაა ადამიანებისა, რომელიც წარმოიშვა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომელიც კულტურის ერთობაში ვლინდება“. მარქსიზმის მიერ ფორმულირებული ეს განმარტება კლასიკურია. და ერის ობიექტური ნიშან-თვისების თვალსაზრისით, რაიმე დამატებას არ საჭიროებს. მაგრამ გარდა ამ პირველადი ობიექტური, აუცილებელი, უდავო ფაქტორებისა, არსებობს კიდევ მეორადი, სუბიექტური. ობიექტური კომპონენტები საზოგადოების უზარმაზარ მამოძრავებელ ძალად ხდებიან მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ეფუძვებიან ადამიანის გონებას და გარდაქმნიან სუბიექტურ ფაქტორად — ეროვნულ თვითშეგნებად, რომელიც შობლიურისადმი სიყვარულოში გამოიხატება — ესაა სიყვარული შობლიურთ მიწისა, ხალხისა, ენისა, ადათ-წესებისა, მისი მატერიალური და სულიერი კულტურისა. ამასთან უნდა ითქვას, რომ სამშობლოს სიყვარული ყოველთვის როდია სტიქიური, უანგარმო, ქვეშევსეული, იგი მეტწილად გააზრებული სიყვარულია. რაც უფრო განვითარებულია ერი, მით უფრო დიდია ინტერესი ყოველივე იმისა, რაც მის ქვეყანას ეხება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეროვნული თვითშეგნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ თვითშეგნებასთან. უფრო მეტიც, იგი ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელსაც შეუძლია უტყუარად განსაზღვროს ეროვნული გრძნობის ძალა და მისი ხარისხი, მისი ზნობრივი სიწმინდე, უანგარობა და თავგანწირულობა.

და ადგილი უჭირავს თავისი ქვეყნის წარსულსა და ინტერესის გრძნობას.

ლენინი ამბობდა, რომ სამშობლოს სიყვარული ერთ-ერთი ყველაზე დრმა, საუკუნეებითა და ათასწლეულებით განმტკიცებული გრძნობაა!...

რაკილა ამ გრძნობას ფესვები საუკუნეებში აქვს გადგმული, საოცარი არ უნდა იყოს, რომ გულგრილი არა ვართ ჩვენი ხალხის წარსულსადმი და უწინარეს ყოვლისა, მას იმიტომ მივმართავთ, რომ ის ჩვენია, მშობლიურია. და მაინც, ამისდა მიუხედავად, მარტო იმიტომ როდი გვანტერესებს, რომ ის მშობლიურია. აწმყოს, თანადროულობის მჭიდრო კავშირი აქვს წარსულთან, ეს კავშირი არა მარტო შემეცნებთ ინტერესს აღძრავს.

ერის ისტორია წარმოადგენს თანამედროვე სინამდვილის რეალურ მონაწილეს, იგი ერის ბედის მნიშვნელოვანი გამგებელია, კულსიებს მიღმა — პროგრესის მამოძრავებელი ძალაა. ხოლო უფრო ქველდით, უფრო დიდი მნიშვნელობისაა მისი სუბიექტური ძალა. გავიხსენოთ, რომ საერთო, ტიპიური, საზოგადოებრივი ნიშან-თვისება ადამიანის ხასიათისა, მათ შორის, განსაკუთრებით ეროვნული, ბევრ რამეში მემკვიდრეობითად მიღებული ნიშან-თვისებაა. ისინი ყალიბდებოდნენ და იერს იცვლიდნენ ჩვენი წინაპართა ცხოვრების ობიექტური პირობების ცვლილებათა გავლენით და მათგან ასე თუ ისე, გადმოგვევა ჩვენი ამრიგად, ცოცხლდება რა ახალ თაობათა ხასიათის ნიშან-თვისებებში, ისტორია ადამიანთა საქციელის მეოხებით აქტიურად იჭრება დღევანდლობაში.

და ბოლოს, ერის ისტორია — ეროვნული სიამაყის ერთ-ერთი მთავარი წყარო — ის ძალაა, რომელიც ადამიანებს აღანთებს თავისი სამშობლოს სამსახურად, აღვივებს მათში ეაყკაცურ გრძნობას, ენერგიას, თავდადებას მამულისადმი. ერთი სიტყვით, ერის განვითარებასთან ერთად საკუთარი ისტორიის შეცნობის მოთხოვნისგან თუნდაც როგორც თანამედროვეობის მამოძრავებელი ძალისა, სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდება. ისტორიული მეცნიერების მდგომარეობა — ერის კულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ამის დიდი საჭიროება იყო, საქართველოში, თითქმის მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, არ არსებობდა ჩვენი ქვეყნის სრული და ქვეშაობით მეცნიერული ისტორია. და ეს დანაკლისი შეავსო ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც თავის მსრებზე გადაიტანა ტიტანური შრომა. ამ საქმეს შესწირა მან მთელი თავისი ცხოვრება და უზარმაზარი ნიჭი — მკვლევარ-ისტორიკოსისა. იგი გახდა თანამედროვე ქართული ისტორიული სკოლის

**ვლადიმერ გიციანი**  
ჩამი უნივერსიტეტი

ამ თვითშეგნებაში განსაკუთრებულად დი-

ფუძემდებელი. ეს თითქოს ადვილად სათქმელია. მაგრამ აბა წარმოიდგინეთ 40 წელი დაუღალავი, ფანატურული შრომისა, ძიებისა, ფიქრისა — უთვალავი რიცხვი ნაშრომი საგნებისა, ფაქტებისა, საბუთების დღენებისა, გუჯრებისა, წიგნებისა და წერილებისა, რომლებიც ბევრ რამეში ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. გარდა იმისა, რომ საჭირო იყო მათი მოძებნა, გადახედვა, შერჩევა, სისტემატიზირება, გააზრება ისტორიული სიმაართის თვალსაზრისით, საჭირო იყო აგრეთვე მათი ახსნა, მწყობრად გადმოცემა, რასაც ვხვდებით მის კაპიტალურ შრომებში, ქართული მეცნიერების ოქროს ფონდის რომ არის შესული. მართლ „ქართველი ერის ისტორიის“ ვრცელი ნაშრომი სამუდამოდ უკვდავყოფდა მის სახელს. ამას გარდა ჭავჭავიძელის უხადლო ტალანტმა დავიკოტვა „ქართული სამართლის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, „IX-XIII საუკ. საქართველოს სოციალური ბრძოლების ისტორია“, „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“ და სხვ.

მცირე გამოჩაგლისის გარდა, ჩამოთვლილი ნაშრომები გამოიკა მისი ცხოვრების უკანასკნელ ათეულ წლებში, ზოგიერთი კი სიკვდილის შემდეგ ჩვენ კი საშუალება გვქონდა მოგვეგინა მისი ლექციებისათვის, მოგვესმინა მისი ცოცხალი სიტყვისათვის. ეს და კონსპექტების ჩანაწერები ერთადერთი დამხმარე „წყაროები“ იყვნენ იმ საგანში, ჭავჭავიძელის რომ გვიკითხავდა. მხოლოდ ამით შეიძლო დაეცხრო საზოგადოების შიშშილი, რასაც ეროვნული ისტორიის მიმართ განიცდიდა. ამ ლექციებზე მოხედრა კი, ვიმეორებ, ძნელი იყო.

ო, რა ლექციები იყო! გუნებაში ჩვენ ვწყევლიდით ლექტორის ძნელად აღსაქმელ შეტყველებას. უამრავი ფაქტებით, მწყობრი კონკრეტული ცოცხლებობა ჩვენს ქვეყნის წარსული, ხოლო ამას სხვაგან ვერსად ვერ გავიგონებდით და ვერ წავიკითხავდით. და მართლაც, ის, რაც მაშინ ლექციებზე მოვისმინეთ, მხოლოდ დიდი ხნის მერე გამოქვეყნდა.

ისტორიკოსის ყამირი-დანამული ველივი-თაა. მასზე მიმავალმა შეიძლება სულ უმნიშვნელი საუბარი წამოსდოს ფეხი და „აფეთქეთ“! შეცდომები ივ. ჭავჭავიძელსაც მისდიოდა, მაგრამ გაცივებას უნდა იწვევდეს ამ უნიკალური ნაშრომებში სწორედ შეცდომების სიმცირე. ივანე ჭავჭავიძელის ისტორიული ნაშრომები კლასიკური არიან იმიტომ, რომ ისინი დამკვირვებელი და უტყუარი გახლავან და ასეთადაც დარჩებიან დღეს, ხვალ და ყოველთვის.

მისი ერთადერთი წყარო — ფაქტობია. მეოთხე — ამ ფაქტების დაუტყვობელი ძიება, ფაქტების, რომლებიც არასოდეს არაა იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა, რომელიც არასოდეს არაა

არასასურველი. ფაქტები კი, როგორც იტყვიან, ჯიუტი რამაა. მაგრამ ხომ შეიძლება ფაქტებიც წინასწარგანზრახვით არიან როგორც შეიძლება მათი გაყალბება და არასწორად ახსნა შეიძლება. ამგვარი მანიპულაციებს ეწეოდნენ ზოგი ცრუ ისტორიკოსები, რომლებიც ჯერ იგონებდნენ მოვლენების თავიანთ „ისტორიულ“ სქემებს, ხოლო შემდგომ ფაქტებს უმარჯვებდნენ მას. ისინი წარსულ მოვლენებს ხსნიდნენ ისე, როგორც თვითონ უნდოდით, როგორც თვითონ მოსწონდათ ხოლმე, როგორც შეესატყვისებოდა მათ ინტერესებს მიზნინარე მომენტის პოზიციიდან. ასეთი უკაცრავად პასუხია, ისტორიკოსები დიდხანს ვერ იბოგინებდნენ, და რც ასეც მოხდა...

ჭავჭავიძელის ფაქტები მეცნიერების ძირითადი საძირკველია, მასალაა. იგი არასოდეს შევრილა ისტორიაში დამპყრობელის სახით, რომელიც ისტორიის რაც შეიძლება ხერხიანად უმორჩილებს თავის სურვილებს, კონკრეტული ისტორიული გარემოსათვის დამახასიათებელი თავისებურებანი არასოდეს გაუზომია თავისი საზომით; პირიქით, რესტავრატორიები, ნატეხებისაგან რომ აღადგენენ ხოლმე ძველ ლარნაკს, გულმოდგინედ აგროვებდა ისტორიულ ფაქტებს, აწონ-დაწონდა თვითეულ მათგანს და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოსახავდა წარსულის საერთო სურათს და იძლეოდა მის ახსნა-განმარტებას.

მაგრამ მშობლიური ისტორიის შესწავლაში ფუძემდებლური წვლილი რომ შეიტანო, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის გჭონდეს უზარმაზარი ტალანტი მეცნიერისა, საჭიროა აგრეთვე თავდავიწყებით ვიყვარდეს შენი მშობლიური მიწა-წყალი. ივანე ჭავჭავიძელს უყვარდა, უფრო მეტიც: ამ სიყვარულში, ვით ფოქუსში, თავს იყრიდა მისი ნათელი პიროვნების ყველა დანარჩენი ნიშან-თვისება, ეს სიყვარული აორკეცებდა მის ვეჟაკურ შრომას, იგი ამლედა სიმხნევეს შებრძოლებოდა კერენსკის მთავრობას, უფრო აღრე კი — ქართული უნივერსიტეტისათვის ბრძოლისთვის აწრთობდა. ამ სიყვარულმა დაამოუწინა მის ორგანიზატორული დავიდარბა უნივერსიტეტის გასახსნელად, იგი უნათებდა გზას ძნელ და რთულ სარეკტორო მოღვაწეობაში, იგი ასხამდა ფრთებს — ალგზარდა ახალგაზრდობა, ჩაენერგა მათთვის ცოდნის წყურვილი, წარმართავდა მის სხვა საზოგადოებრივ საქმიანობას.

ამ მგზნებარე სიყვარულის გამო იყო ჭავჭავიძელი ასე სათაყვანო თავის ერისათვის.

თითქოს რა ვეჟაკური შემართებაზე უნდა იყოს ლაპარაკი, როცა ივანეს თითქმის ყველა ნაშრომი დაიწერა და გამოქვეყნდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს თითქმის ასეა და არც მთლიანად ასეა. ცნობილია, რომ თითქმის 1938 წლამდე ისტორიულ მეცნიერებაში ბატონობდა ე.წ. პოკროვსკის „სკოლა“, რომელ-



მაც მისი საკუთრა უფლება მარქსისტული ეწოდებინათ მხოლოდ მისთვის. იგი, ეს სკოლა, სერიოზული ისტორიული გამოკვლევების ნაცვლად თავისი გამომცემარი ზერელე „სოციოლოგიური“ სკემებით კმაყოფილდებოდა, ხოლო ნამდვილ მეცნიერებას შავ იარაღებს აკერებდა. მათი წყალობა იყო, რომ ივანე ჯავახიშვილს აღმაცერად უყურებდნენ, ფაქტობრივად, დინასტიურ ისტორიოგრაფიულ და საერთოდ, ჩვენთვის უცხო სწავლულად მიაჩნდათ იგი. დიან, მას მართლაც სჭირდებოდა დიდი ვაჟაკობა, რომ ყველაფრის მიუხედავად, ევლო თავისი სწორი გზით, ევლო მოვლენათა მსვლელობის საპირისპიროდ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ი. ჯავახიშვილი-სადმი რადიკალურად შეიკვალა დამოკიდებულება ი. ბ. სტალინის ჩარევის შედეგად. შეწყდა მეცნიერის დევნა, ამან კი უთუოდ დიდი როლი ითამაშა, რადგან თავისი ცხოვრების ბოლო 5 წელიწადში იგი საოცრად პროდუქტიული იყო.

ამგვარად, სამშობლოს სიყვარული იყო ივანე ჯავახიშვილსათვის მთელი ცხოვრების მიზანი, მისი მამობრავებელი ძალა. ეს სიყვარული ისე ძლიერი იყო, რომ ბადებდა მასში პატარა სისუსტეებსაც. მაგალითად, ჰქონდა მას ერთი ასეთი პუნქტი: მამინ, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ლექციებზე იგი ავითარებდა ვაზის ქართული წარმოშობის თეორიას. შემდგომში, დაბეჭდილ ნაშრომში, მან მგონი ვანგებ გამოტოვა ეს საკითხი. ჩვენ ცხადია, თვით ეს პრობლემა როდი გვაქვებდა; ამისათვის ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტიც კაროდა და საერთოდაც, ჩვენ თვითონ მოგვწონდა, ჩვენი ქვეყნის ალიარება ვაზის სამშობლოდ. მაგრამ ჩვენ პროფესორულ უცნაურობად გვაჩვენებოდა ის, რომ საერთოდ მუდამ ლოიალური ჯავახიშვილი, შეუწყნარებლობას იჩენდა ამ თითქოს საქართველოსთვის არც თუ ისე მნიშვნელოვან საკითხში. ვაი იმის ბრალი, ვინც გამოცდის დროს ვაზზე წაიბროძიკებდა.

... და მოხდა ისე, რომ გამოცდაზე, პირველი, რაც ჯავახიშვილმა მკითხა, ვაზის პრობლემა იყო. მე ავიტყვიდი. ვლაპარაკობდი და ვხედავდი, როგორ ეღვრებოდა თავლებში სითბო, იგი გრტაკებით მისმენდა, თითქოს პირველად ჩემგან გაიგო ის, რაც უარეს შემთხვევაში, მისი ნათქვამის გადამწერება თუ იყო. და მე მივხვდი, იგი „აწვალდა“ სტუდენტებს ამ

საკითხით იმიტომ, რომ უნდოდა ჩაენერგა ჩვენთვის მისი მნიშვნელობა და აგრეთვე იმიტომ, რომ უბრალოდ სიამოვნებდა მისი მოსმენა. საოცარია, როგორ ახერხებდა იგი შეენარჩუნებინა აღქმის ისეთი სიახლე, რომ არასოდეს სწყინდებოდა თუმცა საყვარელი, მაგრამ უკვე გაკეთილი „ფორფიტის“ მოსმენა სტუდენტებისაგან. მაგრამ ის, რაც ძალიან ძვირფასია, ალბათ არასოდეს ცდებდა.

არ ვიცი, მართლაც პირველად ჩვენს მიწა-წყალზე აღმოცენდა ვაზი თუ არა, არ ვიცი, მართლა ჩვენი სამშობლოა მისი აკვანი თუ არა, არ ვიცი, ამ კულტურის შედარებითი ეკონომიკაც; ვთქვათ, რამდენი კილოგრამი ყურძენი იკრიბება წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე ჩვენთან და სხვაგან, მაგრამ ერთ რამეში ეჭვი არ მეპარება: საქართველო და ვაზი განუყოფელი ერთმანეთისაგან ისევე, როგორც ჩვენ და ჩვენი სისხლი. იქნება ვინმესთვის ის მართლაც მხოლოდ შემოსავლის წყაროა — ჩვენთვის კი ვაზი მშობლიურია, ისევე, როგორც, ჩვენი ქვეყნის პეიზაჟი, როგორც რუსეთისთვის არყის ხე; მე ვიტყვი, ჩვენში სისხლშია გამჯდარი, თაობიდან თაობას გადაეცემა ვაზის ნამდვილი კულტი. ჩვენი ორნამენტი — ვაზია. ჩვენს თქმულებებში ვაზზეა ლაპარაკი. ასე მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ წმ. ნინო მქართველები ვაზის ჭვრით მონათლწ და თუ ეკლესიის მსახურთ დაუფრებთ, სწორედ ეს ჭვარი, რომელიც ახლა 15 საუკუნეზე მეტი ხნისაა, ინახება სიონის ტაძარში.

სადაც კი შეეძლო, ვაზს ახარებდა, ახარებს და ალბათ მომავალში გაახარებს ქართველი კაცი. იქნება სწორედ ეს მუდმივი მოთხოვნილება ქართველი კაცისა ეხარებინა ვაზი, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ბადებდა ივანე ჯავახიშვილში სურვილს, რომ ღრმად ჩაენერგა ჩვენთვის მისი მნიშვნელობა?

ან არადა, იქნება თვითონ იყო ის მსხმოიარე, დიდებული ვაზი, რომელიც ეგზომ ბრწყინავს ხოლმე თავისი საუცხოო, ტბილი, მზისფერი ნაყოფით?

... ჩემო უნივერსიტეტო! შენ ჩემი სანუკვარი ხსენება ხარ, ჩემი გულის ნაწილი. მე წავალ — შენ კი დარჩები სამარადეთაოდ. დე, იყავნ ესე. ზარდ მცოდნე, კარგი, კეთილშობილი ადამიანები — ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ერთგული შვილები, მისი ნათელი, დიდებული, მზიანი მომავლის მშენებლები.





რეპორტი

## კ. მარქსი და უ. ენგელსი კაპიტალიზმიდან სოციალიზმად გადასვლის გზაზე

მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოაჩინეს კაპიტალიზმის წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის კანონები. მათ დაასაბუთეს, რომ კაპიტალისტები ნებაყოფლობით არ დათმობენ ძალა-უფლებას. ისინი რომ განდევნილი იქნან ხელისუფლების ასპარეზიდან, ამისათვის საჭიროა ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შესწევს უნარი დაამხოს კლასობრივ ჩაგვრაზე დამყარებული ურთიერთობა და დაამყაროს ახალი საზოგადოებრივი წყობილება ერთის მიერ მეორის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის გარეშე. „ისეთი საზოგადოებრივი ძალა წარმოადგენს პროლეტარიატი — თანამედროვე მუშების კლასი. მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს მუშათა კლასის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო ისტორიული როლი“ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია. 1961. გვ. 23).

მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ, რომ სამრეწველო პროლეტარიატი წარმოადგენს კაპიტალისტური საზოგადოების პროლეტარს. ის ერთადერთი კლასია, რომელიც წარმოიშობა თვით კაპიტალიზმის წიაღში. ვითარდება და იზრდება კაპიტალისტური საზოგადოების ზრდასა და განვითარებასთან ერთად. მწვეველ განიცდის კაპიტალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მთელ სისასტიკეს და თანდათანობით გადაიქცევა იმ მძლავრ პოლიტიკურ ძალად, რომელსაც ისტორიამ დააქისრა კაპიტალიზმის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მსოფლიო ისტორიული ამოცანა.

მარქსი და ენგელსი ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ კაპიტალიზმის პირობებში პროლეტარ-

იატის ძალას შეადგენს მისი ორგანიზებულობა და შეგნებულობა, მისი კლასობრივი ამოცანების, ბრძოლის გზებისა და საშუალებების ნათელი გაგება. პროლეტარიატმა წარმატებას რომ მიადწიოს კაპიტალიზმიდან ბრძოლაში, ამისათვის ის შეიარაღებული უნდა იყოს მეცნიერული სოციალიზმის თეორიით, ე. ი. იმ იარაღით, რომელიც პროლეტარიატს უნათებს გზას კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და აქედან გააქეთეს დასვენა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების აუცილებლობის შესახებ, „ვიინაიდან მხოლოდ ასეთი შეერთებისას იქცევა მუშების კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატის შეგნებულ ბრძოლად კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან თავისი განთავისუფლებისათვის“ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1961, გვ. 24).

მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთება, ე. ი. მეცნიერული სოციალიზმის თეორიით მუშათა კლასის შეიარაღება, მარქსისა და ენგელსის დასვენით, უნდა განხორციელდებინა მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას — კომუნისტურ პარტიას. ისინი თვლიდნენ, რომ კომუნისტური პარტიის ამოცანაა პროლეტარიატის ჩამოყალიბება კლასად, მისი გათვითცნობიერება და შეიარაღება კლასობრივი ბრძოლის თეორიით. პროლეტარიატის კავშირის განმტკიცება კაპიტალის მიერ ექსპლოატირებულ მშრომელთა ფართო მასებთან ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მოსაწყობად. „კომუნისტები წარმოადგენენ, — მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი, — ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე გამყდვ, მოძრაობისადმი მუდამ წინ წამბიძგებელ ნაწილს; ხოლო თეორიულად მათ ის უპირატესობა აქვთ პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებ-

მით, რომ ესმით პროლეტარული მოძრაობის პირობები, მსვლელობა და საერთო შედეგები. კომუნისტების უახლოესი მიზანი იგივეა, რაც ყველა დანარჩენი პროლეტარული პარტიისა: პროლეტარიატის ჩამოყალიბება კლასად, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, პოლიტიკური ძალუფლების დაპყრობა პროლეტარიატის მიერ“.

(ქ. მარქსი და ვ. ენგელსი. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. 1968. გვ. 73.)

მარქსი და ენგელსი, როდესაც იყვლენდნენ პროლეტარიატის მოკავშირის საკითხს სოციალისტურ რევოლუციაში, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ერთადერთი ასეთი საიმედო მოკავშირე შეიძლება იყოს მხოლოდ გლეხის ღარიბი გლეხობა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა სოფლის წვრილი მესაკუთრე კლასია, ის ისევე განიცდის მემამულე-თავადანაურების მიერ ჩაგვრას, როგორც ქალაქად კაპიტალისტები ეწევიან პროლეტარიატის შრომის ექსპლუატაციას. ქალაქის მუშებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ განთავისუფლდნენ, თუ ისინი ძალით გამოსტაცებენ ხელიდან კაპიტალისტებს წარმოების საშუალებებსა და იარაღებს და ვალაქტევენ მათ საერთო საკუთრებად; ასევე, — მიუთითებდა ენგელსი, სოფლის გლეხობას „მხოლოდ მაშინ შეუძლია თავი დაადლოს შემარქუნებელ სიბატაკეს, თუ, უწინარეს ყოვლისა, მათი შრომის მთავარი საგანი, თვით მიწა მსხვილ გლეხობისა და კიდევ უფრო მსხვილ ფეოდალ მებატონების საკუთრებიდან საზოგადოებრივ საკუთრებად იქცევა და სოფლის მეურნეობის მუშების ამხანაგობათა მიერ დამუშავდება მათი საერთო ანგარიშზე“ (ქ. მარქსი და ვ. ენგელსი. „რჩეული ნაწერები“. ტ. I თბ. 1950. გვ. 752).

აქედან მარქსი და ენგელსი აცეკებენ დასკვნას პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური კავშირის აუცილებლობის შესახებ სოციალისტურ რევოლუციაში.

მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ, რომ გაშატონებული კლასები თავიანთი ნებით არ დათმობენ ხელისუფლებას. პროლეტარიატისა და გლეხების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეიარაღებული აჯანყების გზით დაამხონ კაპიტალისტური წყობილება და დაამყარონ პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა — პროლეტარიატის დიქტატურა.

მარქსი 1856 წლის 14 აპრილს „სახალხო გაზეთის“ იუბილურ წარმოქმნულ სიტყვაში, ეხებოდა რა პროლეტარიატის როლსა და ამოცანებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიუთითებდა: „მე კარგად ვიცი რომ იმ გმირულ ბრძოლებს, რომლებსაც ინგლისის პროლეტარიატი აწარმოებდა გასული საუკუნის წინაინი წლებიდან. ეს ბრძოლები ჭრჭერობით ნაკლებად არის პოპულარული იმიტომ, რომ სიბნელეშია გახვეული და ბურჟუაზიული ისტორიკოსები ინგლისის პროლეტარიატის ამ გმირული

წარსულის გაშუქებას განგებ დუმილით უშინაში არსებობდა ფარული სასამართლო. „ფემის სასამართლოდ“ წოდებული, რომელიც მმართველი კლასების ბოროტმოქმედებისათვის შურისძიებას აწარმოებდა: თუ რომელიმე სახლზე ნახავდნენ წითელ ჭვარს, უკვე ყველამ იცოდა, რომ იმ სახლის პატრონი მსჯავრდებულ იყო ფემის მიერ. ახლა ევროპის ყველა სახლზე იღუმალი წითელი ჭვარია დახატული, ახლა თვით ისტორიაა მოხამართვე, ხოლო განაჩენის აღმსარებელია პროლეტარიატი“.

(ქ. მარქსი და ვ. ენგელსი. „რჩეული ნაწერები“. ტ. I. გვ. 404).

მარქსი და ენგელსი „ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში კომუნისტთა კავშირისადმი“, რომელიც დაწერილია 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ანალიზს უკეთებენ ამ რევოლუციის შედეგებს გერმანიაში და მიუთითებენ, რომ გერმანიის ბურჟუაზია გამოდიოდა რა თავისი კლასობრივი ამოცანებიდან, ყოველნაირად ცდილობდა პროლეტარიატის ბრძოლა გამოეყენებინა თავისი მიზნების მიღწევისათვის, ე. ი. ფეოდალიზმის დამარცხებისა და ბურჟუაზიის მიერ ხელისუფლების დაპყრობისათვის. ამის შემდეგ გერმანიის ბურჟუაზია ცდილობდა რევოლუცია ამ ეტაპზე შეჩერებინა და პროლეტარიატი უკუეგდო თავისი ძველი პოზიციებისაკენ.

მარქსი და ენგელსი წინადადებას აძლევდნენ კომუნისტთა კავშირს, რომ მომავალი ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის დროს კარგად გაეთვალისწინებინათ ეს გაკვეთილი, არავითარ შემთხვევაში არ დაეთმოთ პოზიციები ბურჟუაზიისათვის; არ შეჩერებულყვენ რევოლუციის ამ ეტაპზე, ჩადგომოდნენ სათავეში პროლეტარიატსა და ყველა ჩაგრულ კლასებს, გაეგრძელებინათ ეს რევოლუცია მანამ, სანამ ის არ დამთავრდებოდა პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების ხელში აღებით. „ჩვენი ამოცანა და ჩვენი ინტერესები იმაში მდგომარეობს, — მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი,

— რომ რევოლუცია განუწყვეტელი გავხადოთ მანამდე, ვიდრე ყველა მეტნაკლებ მქონებელი კლასი განდევნილი არ იქნება ბატონობის ასპარეზიდან, ვიდრე სახელმწიფო ხელისუფლება არ იქნება პროლეტარიატის მიერ დაპყრობილი... ჩვენთვის საქმე შეეხება არა კერძო საკუთრების შეცვლას, არამედ მის მოსპობას, არა კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვას, არამედ კლასების მოსპობას, არა არსებული საზოგადოების გაუმჯობესებას, არამედ ახალი საზოგადოების დაარსებას... მათი საბრძოლო ლო-

**დაპიტი მგელაძე**

ბ. მარქსი და ვ. ენგელსი ტაკიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის გზების შესახებ.



ზუნგი უნდა იყოს: განუწყვეტელი რევოლუცია“ (ჯ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწ. ტ. I, გვ. 104 და 112).

მარქსი და ენგელსი ამავე დოკუმენტში მიუთითებდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ კომუნისტთა კავშირსა და პროლეტარიატს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში, რომ მათ ბურჟუაზიის ოფიციალური მთავრობის გვერდით, დაუყოვნებლივ უნდა შეექმნათ დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელიც განამტკიცებს რა რევოლუციის პირველი ეტაპის მონაპოვარს, მოახდენს რევოლუციის ძალის ახლებურად გადაჭრუფებას და დაუყოვნებლივ დაიწყებს მზადებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადასახრდელად სოციალისტურ რევოლუციამდე.

„ახალ ოფიციალური მთავრობების გვერდით, — წერდნენ მარქსი და ენგელსი, — მათ დაუყოვნებლივ უნდა დააწესონ თავიანთი საკუთარი, რევოლუციური მუშათა მთავრობები, იქნება ეს ადგილობრივი თვითმმართველობის სახით, თუ მუნიციპალური საბჭოებისა, მუშათა კლუბებისა ან მუშათა კომიტეტების სახით, ანე რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა მთავრობებმა არა თუ დაუყოვნებლივ დააპარჯონ დასაურდენი მუშებში, არამედ დაინახონ კიდევ, რომ იმ-თავითვე იმყოფებიან ისეთი ხელისუფლებათა კონტროლისა და მუქარის ქვეშ, რომლების უკან მთელი მუშათა მასა დგას“ (ჯ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 107).

მარქსი და ენგელსი თვლიდნენ, რომ პროლეტარიატს ბურჟუაზიის ძალა-უფლების დამხობისა და ხელისუფლების ხელში ადების შემდეგ მოუხდებოდა სამოქალაქო ომის გამართვა დამარცხებული კლასების პარტიებისა და მათი ნაშთების წინააღმდეგ, რომლებიც აუცილებლად შეეცდებიან დაამარცხოონ პროლეტარიატი და უკანვე დაბრუნონ დაკარგული ხელისუფლება. იმისათვის, რომ პროლეტარიატმა დაიცვას რევოლუციის მონაპოვარი, დათრგუნოს კლასობრივი მოწინააღმდეგე და ააშენოს ახალი სოციალისტური საზოგადოება, საჭიროა დამყაროს თავისი ინტერესების დამცველი მტკიცე ხელისუფლება — პროლეტარიატის დიქტატურა.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველი გაბედულ ცდას წარმოადგენდა პარიზის კომუნა, მაშინ როცა წინანდელი მმართველობის ფორმები არსებითად მხოლოდ ჩაგვრის ფორმები იყვნენ. მისი (პარიზის კომუნის — დ. მგელიძე) ნამდვილი საიდუმლოება შემდეგში მდგომარეობდა: იგი არსებითად მუშათა კლასის მთავრობა იყო, შედეგი მწარმოებლური კლასის ბრძოლისა მიმთვისებელი კლასის წინააღმდეგ; და ბოლოს, აღმოჩენილი პოლიტიკური ფორმარომელიზაც შეიძლებოდა შრომის ეკონომიური

განთავისუფლება მომხდარიყო“ (ჯ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 601).

ჯ. მარქსი შრომავს „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, კვლავ განვიხილავს რა პარიზის კომუნის როგორც მუშათა კლასის პოლიტიკური ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის პირველ ნათელ განსახიერებას, წერს: „გნებავთ თუ არა იცოდეთ, როგორი სანაზავია ეს დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას. ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა“ (ჯ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 555).

სოციალისტ უტოპისტებისაგან განსხვავებით მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმის დაშობისა და სოციალისტური რევოლუციის განხორციელების ერთ-ერთ მძირითად საშუალებად თვლიდნენ მშრომელი და ექსპლოატირებული მასების საყოველთაო სახალხო შეიარაღებულ აჯანყებას. მათ თავიანთ შრომებში მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრეს შეიარაღებული აჯანყების გზები და საშუალებანი. ისინი მუშათა კლასისა და მისი პოლიტიკური პარტიისაგან მოითხოვდნენ კონკრეტულად — მომენტის შესაბამისად განეხილათ და მთელი სერიალურობით მიდგომოდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების საკითხს. აჯანყება განეხილათ როგორც ხელოვნება, წინასწარ გაეთვალისწინებინათ აჯანყების ყველა ძირითადი მომენტი, კარგად გამოეყენებინათ მოწინააღმდეგის ყველა შეცდომა და სუსტი ადგილი, აჯანყების დროს ემოქმედათ სწრაფად და გაბედულად. შრომავს „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში“ ენგელსი მოუთხოვდა: აჯანყება არის ხელოვნება. რაკი აჯანყება დაწყებულია, იმჟამედ უდიდესი გამბედაობით და ყოველთვის შეტევაზე გადადი. თავდაცვა ყოველი შეიარაღებული აჯანყებისათვის სიკვდილია:

მარქსისა და ენგელსის ეს გენიალური მითითება ნათლად დაადასტურა 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მსვლელობამ და შედეგებმა რუსეთში. მიუხედავად მუშათა კლასისა და გლეხობის თავგანწირული ბრძოლისა, აჯანყება როგორც მოსკოვში, ისე რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებშიც დამარცხებით დამთავრდა. ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „მოსკოვის აჯანყების გაკვეთილება“ მეცნიერულად განახოვდა აჯანყების დამარცხების მიზეზები და მიუთითა, რომ ამ დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მასების სუსტი შეიარაღება და აჯანყების მსვლელობაში ბრძოლის თავდაცვითი ტაქტიკა და არა გაბედული და გადამწყვეტი შეტევა მეფის სამხედრო შეიარაღებული ძალების წინააღმდეგო. „დეკემბერმა თვალნათლივ დაადასტურა, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — კიდევ ერთი ღრმა და ოპორტუნისტების მიერ მიგვიწყებული დებულება—





აჯანყება ხელოვნება და ამ ხელოვნების მო-  
ვარე წესი — თავგანწირული, გაბედული, უაღ-  
რესად გადამწყვეტი შეტევა არისო. ჩვენ საქმა-  
რისად ვერ შევითვისეთ ეს კემშარიტება. ჩვენ  
საქმარისად არც თვითონ შეგვისწავლია და  
არც მასებისათვის გვისწავლებია ეს ხელოვნება,  
ეს წესი აუცილებელი შეტევისა“ (ვ. ი. ლე-  
ნინი. თხზ. ტ. II, გვ. 195).

ლენინი ამავე სტატიაში მიუთითებდა პროლე-  
ტარიატის და გლეხობის ძირითადი ამოცანე-  
ბის შესახებ მომავალ ბრძოლაში და წერდა:  
„ჩვენ ყველა წარი უნდა ვრეკოთ იმის შესახებ,  
რომ აუცილებლად საჭიროა გაბედული შეტე-  
ვა და თავდასხმა იარაღით ხელში... მტერზე  
შეტევა მეტად ენერგიული უნდა იყოს; არა  
თავდაცვა, არამედ თავდახმა უნდა ვახდეს მა-  
ისთვის ღოზუნგად“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. II,  
გვ. 195, 198).

მარქსისა და ენგელსის გენიალური მითითება  
და რუსეთის პირველი რევოლუციის გაცვეთი-  
ლები შეიარაღებული აჯანყების შესახებ კარგად  
გამოიყენეს ბოლშევიკებმა 1917 წლის ოქტომბ-  
რის სოციალისტური რევოლუციის მომზადე-  
ბისა და გატარებისათვის ბრძოლის პერიოდში.

1917 წლის 8 ოქტომბერს, როდესაც რუსეთ-  
ის მუშათა კლასი და ლაბირი გლეხობა ემზა-  
დებოდა გადამწყვეტი იერიშისათვის ბურჟუა-  
ზიის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, ლე-  
ნინმა დაწერა საღირებელო სტატია — „გარე-  
შეს რევინაი“. ლენინი ამ სტატიაში კვლავ ამა-  
ხელებდა რა ყურადღებას მარქსისა და ენგელ-  
სის სახელმძღვანელო დებულებაზე, რომ „აჯან-  
ყება არის ხელოვნება“, წერდა: შეიარაღებული  
აჯანყება პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძო-  
ლის განსაკუთრებული ფორმაა დაქვემდებარე-  
ბული განსაკუთრებული და მებრძოლი კლასი-  
სათვის სავალდებულო მცადარი კანონებისადმი.  
ამ ხელოვნებიდან მარქსმა და ენგელსმა წამოა-  
ყენეს შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

- „1) არახოცეს არ ეთამაშოთ აჯანყებას, ხოლო,  
თუ დაიწყებთ, მტკიცედ იცოდეთ, რომ ბო-  
ლომდე უნდა მიხვიდეთ.
- 2) აუცილებელია დაგროვოთ ძალით დიდი  
უპირატესობა გადამწყვეტ ადგილას, გადამწყ-  
ვეტ მიმდევრობი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვე-  
ვაში მტერი, რომელსაც უკეთესი მომზადება და  
ორგანიზაცია აქვს, გაანადგურებს აჯანყებულთ.
- 3) რაკი აჯანყება დაწყებულია, უნდა იმოქ-  
მელოთ უდიდესი გაბედულებით და უმკვძ-  
ლად, უსათუოდ გადახვიდეთ შეტევაზე. „თავ  
დაცვა სიკვდილია შეიარაღებული აჯანყებისა“.
- 4) უნდა ეცადოთ მოულოდნელად დაეხსათ  
თავს მტერს, შეურწოთ მომენტს, სანამ მისი  
ჭარბი დაქსაქსულია.
- 5) უნდა ცდილობდეთ ყოველდღე მიაღწიოთ  
თუნდაც მცირე წარმატებებს... და შეინარჩუ-  
ნოთ, რადაც უნდა დაქდეს, „მორალური უპი-

რატესობა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 204).  
მარქსმა და ენგელსმა, — მიუთითებდა ლე-  
ნინი, — ანალიზი გაუკეთეს პროლეტარიატის  
კლასობრივი ბრძოლის განვლილ გაცვეთილებს  
და იგი შეაჭმეს რევოლუციური ტაქტიკის  
უდიდესი ოსტატის — დანტონის შემდეგი სი-  
ტუაციით: „გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ  
გამბედაობა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 26, გვ.  
205).

მარქსი და ენგელსი, ეხებიან რა პროლეტა-  
რიატის კლასობრივი ბრძოლის განვითარების  
სხვადასხვა ეტაპებზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ  
პროლეტარიატის ბრძოლის ვეგებს, ფორმებსა  
და მეთოდებს, მიუთითებენ, რომ XIX საუკუ-  
ნის განმავლობაში დასავლეთ ევროპის მოწი-  
ნავე კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარია-  
ტისა და ბურჟუაზიის შორის ბრძოლის პერი-  
ოდში ხან ერთი ფორმა წამოიწვია წინ და  
ხან მეორე, იმისდა მიხედვით, თუ როგორი  
იყო ამა თუ იმ ეტაპზე სოციალისტური რე-  
ვოლუციის განვითარების კონკრეტულ-ისტორი-  
ული პირობები და კლასობრივი განვითარე-  
ბის თუ რა საფეხურზე იდგა პროლეტარიატი.  
აქედან ისინი აყვებენ მეცნიერულ დასკვნას  
ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის  
მშვიდობიანი და არამშვიდობიანი, პარლამენტა-  
რული და არაპარლამენტარული ბრძოლის ფორ-  
მების ურთიერთ შერწყმის შესახებ.

1865 წლის ივნისში შედგა მუშათა საერთა-  
შორისო ამხანაგობის გენერალური საბჭოს  
სხდომა. სხდომაზე მარქსი გამოვიდა მოხსენებით:  
„ხელფასი, ფასი და მოგება“. მოხსენებაში მარქ-  
სმა, შეეხო რა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლე-  
ტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმებსა  
და მეთოდებს, მიუთითა, რომ პროლეტარიატმა  
ყველა ხელსაყრელი მომენტი უნდა გამოიყე-  
ნოს, რათა კაპიტალისტებს ხელიდან გამოსტა-  
ცოს შრომის უკეთესი პირობები და შედარე-  
ბით მაღალი ხელფასი, რომ პროლეტარიატის  
ბრძოლა შრომის ნორმალური პირობებისა და  
მაღალი ხელფასისათვის განუტრეცად არის და-  
კავშირებული მთელ კაპიტალისტურ წყობილე-  
ბასთან. თუ მუშები ეკონომიურა მდგომარე-  
ობის გაუმჯობესებისათვის ყოველდღიურ  
ბრძოლაში კაპიტალისტების წინაშე „ლარჩუ-  
ლად დათმობაზე წავლენ“, მაშინ ისინი ხელი-  
დან გაუშვებენ ინიციატივას და დაჰკარგავენ  
იმის უნარს, რომ უფრო მასიურ და ფართო  
მოძრაობაში ჩაებან ბურჟუაზიის წინააღმდეგო.  
ამასთანავე მარქსი მიუთითებდა, რომ პროლე-  
ტარიატმა მეტისმეტად არ უნდა ვაახვიდოს  
და დამყაროს მთელი იმედები ეკონომიურ  
ბრძოლაზე, რომ „ამ ყოველდღიურ ბრძოლა-  
ში ისინი შედეგებს ებრძვიან და არა მათ წა-

**დავით მგებლამძ**

ბ. მარქსი და ვ. ენგელსი კაპიტალიზმიდან  
სოციალიზმზე გადასვლის გზებზე შესახებ.



არმოშობა მიზეზებს, რომ თავიანთი ბრძოლით მხოლოდ აჩერებენ მოძრაობას დაკვირვებით-საკენ, მაგრამ არ ცვლიან თვით მის მიმართულებას; რომ ისინი მხოლოდ პალიატიურ ზომებს ხმარობენ, და ავადმყოფობას კი ვერ არჩევენ. ამიტომ მუშებში არ უნდა ჩაიფლან მარტოოდენ ამ აუცილებელი პარტიზანულ ომში, რომელსაც კაპიტალის განუწყვეტელი შემოტევა ან ბაზრის მდგომარეობის ცვლილება იწვევს. მუშებმა უნდა გაიგონ, რომ... კონსერვატიული მოწოდების მაგივრად: „სამართლიანი ხელფასი, სამართლიანი სამუშაო დღისათვის“, მათ დროსაზე უნდა დაიწეროს რევოლუციური ლოზუნგი: „დაქირავებული შრომის სისტემის მოსპობა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“. ტ. I. გვ. 510-511).

შემდეგ ენგელსი კიდევ უფრო აწვითარებს მარქსის თვალსაზრისს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმების შესახებ. იგი შრომისათვის — „ვლესთა ომი გერმანიაში“ 1874 წელს დაწერილ წინასიტყვაობაში მიუთითებს იმ გამოცდილების შესახებ, რაც ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ მისცა კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე შედარებით გვიან გამოსულ გერმანიის პროლეტარიატს. „სამართლიანობა მოითხოვს, — მიუთითებს ენგელსი, — აღინიშნოს რომ გერმანიის პროლეტარიატმა საუკეთესოდ გამოიყენა ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის მდიდარი გამოცდილება. პირველი შემთხვევა იბრის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, რომ „ბრძოლა გეგმაშეწონილად წარმოებს სამივე მიმართულებით, ერთმანეთთან შეთანხმებულად და შეკავშირებულად: თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკულ-ეკონომიური მიმართულებით... სწორედ ამ, ასე ვთქვათ, კონცენტრირულ თავდასხმაში მდგომარეობს გერმანიის მუშათა მოძრაობის სიძლიერე და უძლეველობა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“. ტ. I. გვ. 759).

აქედან გამოდის დასკვნა, რომ მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს ძირითადი იდეები შეიარაღებული აჯანყების, როგორც სოციალისტური რევოლუციის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალების შესახებ; მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მათ შეიარაღებული აჯანყება სოციალისტური რევოლუციის განხორციელების ერთადერთ გზად მიაჩნდათ. მარქსი და ენგელსი კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში არ გამორიცხავდნენ სოციალისტური რევოლუციის განხორციელების შესაძლებლობას შეიარაღებული აჯანყების გარეშე — ბრძოლის მშვიდობიანი მეთოდებით.

მარქსი მუშათა კლასის საერთაშორისო ამხანაგობის ლონდონის კონფერენციაზე. 1871 წლის 21 სექტემბერს წარმოთქმულ სიტყვაში,

ბურჟუაზიული მთავრობების მისამართებულ წინადა: „თქვენი სამხედრო შეიარაღებული ძალები მიმართულია პროლეტარიატის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება ჩვენ თქვენს წინააღმდეგ ვიპოქმედებთ ბრძოლის მშვიდობიანი მეთოდებით; ხოლო როდესაც აუცილებელი გახდება მაშინ ბრძოლა მოკვიდებით ხელს, და მისი საშუალებით გადავწყვეტო ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს.“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. II გამოცემა. ტ. 17, გვ. 649). ცოტა უფრო გვიან, 1872 წლის 8 სექტემბერს ამსტერდამში მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში მარქსი კვლავ შეეხო რა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გზებსა და მეთოდებს, — მიუთითებდა: „ჩვენ არასოდეს დატყვებით არ ვამტკიცებდით, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღებისათვის ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლის ერთიანი საშუალებები არსებობს. კარგად გვესმის, რომ ამ საქმეში ანგარიში უნდა გავუწიოთ ცალკეული ქვეყნების კონკრეტულ პირობებს, დაწესებულებებს, ზნეჩვეულებებსა და ტრადიციებს. ჩვენ სრულებითაც არ უარვყოფთ, რომ არიან ქვეყნები, როგორცაა, მაგალითად, ამერიკა, ინგლისი და, მე ახლოს რომ ვივსონებდე თქვენს დაწესებულებებს, მაშინ შესაძლებელია, მათ მივუმატებდი პოლანდიასაც, სადაც მუშებს შეუძლიათ თავიანთ მიზანს მიაღწიონ ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებებით; მაგრამ თუ ეს ასეა, ჩვენ აგრეთვე უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიოს მეტ წილ ქვეყნებში ჩვენი რევოლუციის ბერკეტი უნდა გახდეს ძალა; სწორედ ძალაა ის ძირითადი საშუალება, რასაც გარკვეულ მომენტში უნდა მივმართოთ, რათა საბოლოოდ დავაყაროთ შრომის ბატონობა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., II გამოცემა. ტ. 18, გვ. 154. რუს. გამოცემა).

ფ. ენგელსმა 1895 წელს დაწერა შესავალი კ. მარქსის შრომის „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე“ ახალი გამოცემისათვის. სადაც მეცნიერული ანალიზი გაუყენა იმ დროა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ცვლილებებს, რასაც ადგილი ჰქონდა მსოფლიოში 1890-იან წლებში საფრანგეთის 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ განვლილ პერიოდში. ენგელსი მიუთითებს, რომ ამ პერიოდში არსებითად შეიცვალა ბურჟუაზიული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პირობები. უკვე „განვლო ანაზღაურებული თავდასხმების დრომ, იმ რევოლუციების დრომ, რომლებსაც შეუგნებელი მასები შეგნებული უმცირესობის ხელმძღვანელობით ანხორციელებდნენ“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „რჩეული ნაწერები“. ტ. I, გვ. 131).

„რომანულ ქვეყნებში, — ამბობს ენგელსი, — ეხლა ნათლად ესმით, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ძველი ტაქტიკა უნდა



გადაისინჯოს. გერმანული მაგალითი — ბრძოლის პარლამენტარული მეთოდების გამოყენება ჩვენთვის სასარგებლო მოპოვების დასაპყრობად — ყველა ქვეყანაში მისხამ მაგალითად ზდება. „საფრანგეთში, სადაც ნიადაგი გამოხიერებულია მთელი რიგი რევოლუციებით. რომლებსაც ადგილი ჰქონდა საწელზე მებრძონ განმავლობაში, სადაც... პირიბები საზოგადოდ უფრო ხელშემწყობია აჯანყებისათვის, ვიდრე გერმანიაში... თანდათანობით მუშაობა პროპაგანდის გზით და პარლამენტარული მოქმედება აქც პარტიის უახლოეს ამოცანად აღიარებული“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 131-132).

ენგელსი მიუთითებს, რომ ვერპოის სხვადასხვა ქვეყნებში საარჩევნო უფლებებისათვის სოციალისტური პარტიების ბრძოლის ამ ტაქტიკამ სერიოზული ნაყოფი გამოიღო: საფრანგეთში სოციალისტები უკვე გაბატონებული არიან მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში. აქ ბურჟუაზიულ პარლამენტში 50 სოციალისტი ზის, რომლებმაც უკვე დაამტკიცეს სამი ბურჟუაზიული სამინისტრო და ჩამოაგდეს საფრანგეთის რესპუბლიკის ერთი პრეზიდენტი. ბელგიაში მუშებმა 1894 წელს მოიპოვეს საარჩევნო უფლება და გამიარჯვეს საარჩევნო ოლქების მეოთხედში. შვეიცარიაში, იტალიაში, დანიაში, ბულგარეთში და რუმინეთში სოციალისტებს რამოდენიმე წარმომადგენელი ჰყავთ თავიანთი ქვეყნების პარლამენტებში. „ავსტრიაში ყველა პარტიამ ეროსულოვნად დააკენა, რომ უშუალოდ ბელგია ჩვენ მტხანს გვაძლევს დახშული გზა რიხსხატისაკენ. ჩვენ უმკველად შევალთ იქ, სადაცა მხოლოდ ის თუ — რომელი კარებიან. და რუსეთშიც კი, როდესაც შეიკრიბება ეხადლებული საერობო კრება, — ეს ეროვნული კრება, რომლის წინააღმდეგ ახლგაზრდა ნიკოლოზი ასე ამაოდ ასავსავებს ხელებს, — იქაც კი ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით მოველოდეთ, რომ გვეყოლებიან წარმომადგენლები“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „რჩეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 132).

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყების სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ დამახინჯებული და მივიწყებული იქნა მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტების მიერ.

ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად ისინი წინ აყენებდნენ ბრძოლის მშვიდობიან, რეფორმისტულ და პარლამენტარულ საშუალებებს.

მარქსიზმის ამ დებულებების წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურად გამოიქვეყნა მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ფრთის ისეთი იდეოლოგები, როგორიც იყვნენ ბერნშტეინი, ჰილფერდინგი და სხვები. ბერნშტეინმა

თავის ოპორტუნისტულ შრომებში: „სოციალიზმის წინამძღვრები და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები“ და „სოციალიზმის პრობლემები“, უარყო პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობა. მან თავის ცნობილ თეზისში „მომართაბა ყველაფერია, საბოლოო მიზანი კი არაფერია“, პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეცვალა წერილობრივი რეფორმებისათვის ბრძოლით. ბერნშტეინმა გააკეთა დასკვნა, რომ პროლეტარიატი სოციალიზმს დაამყარებს არა შეიარაღებული აჯანყების საშუალებით, არამედ კაპიტალიზმის სოციალიზმში ნელი, მშვიდობიანი და თანდათანობით გადაზრდის გზით.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის შესახებ ასეთივე თვალსაზრისზე იღვა ჰილფერდინგიც. მან წამოაყენა ე. წ. „ორგანიზებული კაპიტალიზმი“ ანტიმარქსისტული თეორია. ამ თეორიის თანახმად, იმპერიალიზმი თითქოს ნიშნავს თავისუფალი კონკურენციიდან ორგანიზებულ კაპიტალიზმზე გადასვლას. ჰილფერდინგი ამტკიცებდა, რომ წარმოების მონოპოლიზაციას, რაც ესოდენ დამახასიათებელია იმპერიალიზმისათვის მიყვევართ საერთაშორისო კარტელის ჩამოყალიბებამდე, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას მთლიანად გაუწიებს რეგულირებას და რის შედეგადაც კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ანტიკონისტური წინააღმდეგობანი დაყვანილი იქნება ანტაგონიზმად პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის მხოლოდ პროლეტატების განაწილების სფეროში.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მუშათა მოძრაობაში მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტობისადმი მხარდაჭერის ლოზუნგით გამოვიდა ე. წ. „ეკონომიზმი“ — საერთაშორისო ოპორტუნისტის ეს რთული ნაირსახეობა. რუსმა „ეკონომისტებმა“ თავიანთი მოღვაწეობის ძირითად დღეიზად გაიხადეს ბრძოლა რევოლუციური მარქსიზმის ძირითადი დებულებების წინააღმდეგ. ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობას, უტყობას და დავიწყებას მისცეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგი. „ეკონომისტები“ ქედს იხრიდნენ მუშათა მოძრაობაში სტიქიურობის წინაშე და ამტკიცებდნენ, რომ სტიქიური ბრძოლა, და ბრძოლა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, თავისთავად მიიყვანს პროლეტარიატს სოციალიზმამდე.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება შეიარაღებული აჯანყების, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შე-

**დავით მგელაძე**

ბ. მარქსი და ფ. ენგელსი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის გზების შესახებ.





სახებ მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტებისგან დაიცვა და შემდგომ განავითარა ვ. ი. ლენინმა. „პარიზის კომუნის გამოცდილებაზე დაყრდნობით იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ხალხის შეიარაღებული აჯანყება.

მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ პირველად ლენინმა წამოაყენა შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხი, როგორც პრაქტიკული ამოცანა, რომლის გადაჭრისადმი დაქვემდებარებული იყო პარტიის მთელი მოღვაწეობა რევოლუციის დროს. (თეზისები „რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წელი, 1955, გვ. 12).

პარტია შეიარაღებული აჯანყების საკითხს ცხრაასიანი წლებამდე არ სვამდა დღის წესრიგში. კლასობრივი ბრძოლის განვითარების ამ ეტაპზე ის პროლეტარიატსა და გლეხობას არ მოუწოდებდა ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ამ პერიოდში პარტიის მთავარი ამოცანა იყო მშრომელ მასებში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელება, მასების პოლიტიკური აღზრდა და მათში პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესის გაღვივება.

„1900-იანი წლებიდან რუსეთში პოლიტიკური ვითარება თანდათანობით იცვლება. მუშათა კლასმა დაიწყო გადასვლა ეკონომიური ხასიათის გამოსვლებიდან და გაფიცვებიდან პოლიტიკურ გაფიცვებზე და დემონსტრაციებზე. პარტიამ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განვითარების ამ ეტაპზე ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების საკითხი წინ წამოსწა და დღის წესრიგში დასვა ზოგადი მომხადების თვალსაზრისით; ხოლო 1905 წლის 9 იანვრის სისხლიანი ამბების შემდეგ, როდესაც მეფის მთავრობამ იარაღს მიმართა და ბარბაროსულად გაუსწორდა პეტერბურგის მუშათა დემონსტრაციას, რამაც მშრომელი მასების საყოველთაო-სახალხო აღშფოთება გამოიწვია ცარიზმის წინააღმდეგ, რევოლუციის განვითარების ამ ეტაპზე შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობის დამხობის საკითხი გადაიქცა პირდაპირი მოწოდებით — პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ძირითად და გადაუდებელ საკითხად (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 333).

ვ. ი. ლენინი, რომელიც ეყრდნობოდა მარქსისა და ენგელსის სახელმძღვანელო დებულებებს, მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ერთ-ერთი ძირითადი გზა არის შეიარაღებული აჯანყება, მაგრამ ამავე დროს ის კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში არ გამოირჩევადა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის მშვიდობიან გზასაც.

ლენინი 1899 წელს დაწერილ სტატიაში

„რუსული მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“ მკაცრად აკრიტიკებდა „ეკონომისტების“ შეხედულებას, რომლებიც უარყოფდნენ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას და ხოტბას ასხამდნენ ბრძოლის მშვიდობიან მეთოდებს — ეკონომიური ხასიათის გაფიცვებსა და გამოსვლებს, მიუთითებდა: „პროლეტარიატი, რა თქმა უნდა, ამჯობინებდა შვიდობიანი გზით აეღო ხელში ძალაუფლება, მაგრამ შეიარაღებული ბრძოლის გზით ძალაუფლების ხელში აღებაზე საერთოდ უარის თქმა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით პროლეტარიატის საქმიანობის დღვატი და ბურჟუაზიისთვის სამარცხვინო დათმობა იქნებოდა. სავსებით მოსალოდნელია, რომ ბურჟუაზია თავისი ნებით არ დათმობს ხელისუფლებას და გადაწყვეტდნენ მომენტში ძალას მიმართავს თავის იძულებული ასეთ შემთხვევაში პროლეტარიატი დასაძვინკვითი იქნება ბურჟუაზიის სამხედრო-შეიარაღებულ ძალას საყუთარი შეიარაღებული ძალა და უპირისპირისო“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 334).

1916 წელს, მაშინ როდესაც პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის შედეგად გამოწვეული ნგრევის, ადამიანთა დიდი მსხვერპლისა და ეკონომიური გაჩანაგებისაგან აღშფოთებულნი რუსეთის მშრომელი მასები ემზადებოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ მორიგი გადამწყვეტი შეტევისათვის, ლენინი შრომაში „მარქსიზმის კრიკატურის შესახებ“ კვლავ შეეხო რა სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გზებისა და ფორმების საკითხს, მიუთითებდა: „შემუძღებელია იმის უარყოფა, რომ ძალკეულ შემთხვევებში, როგორც გამოჩაქისი, მაგალითად, რომელიმე პატარა სახელმწიფოში მას შემდეგ, როდესაც მეზობელმა დიდმა სახელმწიფომ უკვე მოახდინა სოციალური რევოლუცია, შესაძლებელია ბურჟუაზიის მიერ ძალაუფლების მშვიდობიანად დათმობა, თუ იგი დარწმუნდა წინააღმდეგობის უარობაში და არჩია საყოთარი თავის გადაარჩენა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 80).

1917 წლის აგვისტოს ბოლოს რუსეთში მზარდი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მოეწყო გენერალ კორნილოვის სამხედრო-კონტრ-რევოლუციური შეთქმულება. ეს შეთქმულება ბოლშევიკური პარტიის აქტიურობის მოქმედების შედეგად ჩაიფუშა. შეთქმულების სამარცხვინოდ დამარცხების შემდეგ დაიწყო შეცდომითა შეყვანილი მშრომელი მასების მასობრივი ჩამოშორება დროებითი მთავრობისაგან და მათი გადასვლა რევოლუციის მხარეზე; დაიწყო ესერ-მენშევიკური საბჭოების ბოლშევიზაციის სწრაფი პროცესი. პოლიტიკური მოვლენების ასეთმა განვითარებამ გამოიწვია დროებითი მთავრობის კიზნისის შემდგომი გამწყვეტება, რა-



მაც ერთხელ კიდევ შექმნა რეალური პირობები საბჭოების მიერ ხელისუფლების ხელში აღების გზით სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისათვის.

ამ დღეებში დაწერილ სტატიაში „კომპრომისების შესახებ“ ლენინი წერდა: „ხოლოდ გამოხალისის სახით, მხოლოდ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, ჩვენ ეხლა კვლავ შეგვიძლია შეთავაზოთ მენშევიკებსა და ესერებს, რომ ხელში აიღონ ძალა-უფლება და შექმნან საბჭოების წინაშე უსახსისმგებელი მთავრობა. ასეთ მთავრობას „შეეძლო უზრუნველყო, და ეს ძალიან და ძალიან მოსალოდნელია, მთელი რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი წინსვლა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 371).

სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ეს გზა 1917 წლის შემოდგომაზე რუსეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო გამოირჩეული იქნა. რუსეთის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მხრივ მწვევე კლასობრივი წინააღმდეგობის, ესერებისა და მენშევიკების ლალატის, წვრილი ბურჟუაზიული ფენების სიმრავლისა და მერყეობის გამო, მუშათა კლასი და გლეხობა იძულებული გახდა ბურჟუაზიის ძალა-უფლების დაშობა და პროლეტარიატის დიქტატორის დამყარება შეიარაღებული აჯანყების გზით განეხორციელებინა.

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე მოხდა ისეთი ძირეული ცვლილებები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ახლებურად მიეუღღეთ სოციალისტური რევოლუციის სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელების საკითხს.

პარტიზონის კლასიკოსების სახელმძღვანელო დებულება სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი გზით განხორციელების შესაძლებლობის შესახებ თანამედროვე კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით დასვა დღის წესრიგში და შემდგომ განავითარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

პარტიის XX ყრილობის დასკვნას კაპიტალიზმშიან სოციალიზმში გადასვლის გზებისა და ფორმების შესახებ მხარი დაუჭირეს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1957 და 1960 წლების ნოემბრის თათბირებმა.

ყრილობის ამ დასკვნამ შემდგომი განვითარება პპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში და პარტიის ახალ პროგრამაში.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სოცი-

ალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალეში მსოფლიოში გარკვევით გაიზარდნენ და განსტკიცდნენ, ხოლო კაპიტალიზმის ძალები კი პირიქით, უფრო დასუსტდნენ და კვლავ განიცდიან შემდგომ დაქვეითებასა და დაცემას. განუწყვეტლო იზრდება და მტკიცდება სოციალიზმის ბანაყი, რომელიც საქმით ამტკიცებს თავის უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა ახლა მძლავრ ვალებს ახდენს მსოფლიო მოვლენების განვითარებაზე.

ამჟამად მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში შექმნილია სათანადო პირობები, რათა მუშათა კლასმა კომუნისტური და მუშათა პარტიების მეთაურობით თავის ირგვლივ შემოიკრიბოს ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების უმრავლესობა, სამოქალაქო ომის გარეშე დაეუფლოს სახელმწიფო ხელისუფლებას და შესაძლებელი გახადოს წარმოების ძირითად საშუალებათა გადასვლა გაბატონებული კლასების ხელიდან მშრომელი მასების ხელში.

„ხალხის უმრავლესობაზე დაყრდნობით და ოპორტუნისტული ელემენტებისათვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევით, რომლებსაც არ ძალუძთ უარი თქვან კაპიტალისტებთან და მემამულეებთან შემთანხმებლობის პოლიტიკაზე, მუშათა კლასს შესაძლებლობა აქვს დაამარცხოს რეაქციული, ანტიხალხური ძალები, მოიხოვოს მტკიცე უმრავლესობა პარლამენტში, გადააქციოს პარლამენტი იარაღიდან, რომელიც ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს ემსახურება, იარაღად, რომელიც ემსახურება მშრომელ ხალხს, გააჩაღოს პარლამენტ გარეშე ფართო მასობრივი ბრძოლა, დაძლიოს რეაქციული ძალების წინააღმდეგობა და შექმნას საჭირო პირობები სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი განხორციელებისათვის... იმ პირობებში, როცა ექსპლოატატორული კლასები ძალადობის მიმართავენ ხალხის წინააღმდეგ, მხედველობაში უნდა ვიქნით მერვე შესაძლებლობა — არამშვიდობიანი გადასვლა სოციალიზმზე“ (სკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 371).

ამრიგად, ე. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოაჩინეს კაპიტალისტური საზოგადოების წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის კანონები; მიუთითეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ძირითადი გზების, ფორმებისა და მეთოდების შესახებ და ამით ჩაგრულ და ექსპლოატირებულ მშრომელ მასებს მისცეს სწორი მიმართულება კაპიტალისტური ურთიერთობის სოციალისტური ურთიერთობით შეცვლისათვის ბრძოლის გზაზე.



## პაღიაჩიან მუხამბატი

# ბრძოლებში დაფრვლილი

აქიების მასალებს ვეცნობოდი. საქმეებს 1943 წელს აწერია. თვალწინ ომის ბოლოქარი დღეებია, — ჩვენი ჯარების მიერ ველიკოლუკის გათავისუფლება, ბრძოლა როსტოვისათვის, ქალაქების მოზაიკის, მალგობეკის, პიატიგორსკის ხსნა ფაშისტთა ურდოებისაგან. ვენერალ ფელდმარშალის პაულისის მუხლებზე დაჩოქება, კიევში წითელი დროშის ფრიალი და კიდევ ბევრი და ბევრი.

აქვეა საქმის შეყვითლებული ფურცელი წარწერით: „გერმანელ ოკუპანტებთან ომში გმირულად იბრძოდა ლეიტენანტი არჩილ დავითის ძე ბეჭაური“. ამ უკანასკნელმა დამინტერესა, ძებნა განვაგრძე.

ჩემს ხელთ კვლავ საარქივო საქმეები. ამჯერად გვარდიის 67-ე მსროლელი დივიზიის 196-ე მსროლელი პოლკის ისტორია. ამ პოლკში იბრძოდა ჩვენი თანამემამულე — საარტილერიო ოცეულის მეთაური ლეიტენანტი არჩილ ბეჭაური. აქვეა სამხედრო გაზეთში დაბეჭდილი მისივე სურათი წარწერით: „კომუნისტი არჩილ ბეჭაური“.

უყურებ ამ სურათს, მის ფართო, ღია თვალებს, ჯერ კიდევ პირტიტულ ჯარისკაცს, ასე გგონია, მწყობრშია და კვლავ მზადაა მომავალი შემართებისათვის. ვფიქრობთ ვინ არის იგი, სად დაიბადა, სად გაიზარდა, სად ისმინა ქართული ნანა ტკბილი, რა გზით იარა იმ დიდ ომში და აი, თითქოს მისი ტუჩები ჩურჩულებენ — ვიბრძოლე მთელი ძალით, შეგნებულად ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისათვის“.

ძებნამ სოფელ მამკოლაში მომიყვანა — ბეჭაურების ოჯახში. არჩილი ომამდე შევიდა თვით აღრე წასულა ამ სოფლიდან არმიის რიგებში. წითელ ყაზარამში მივიდა როგორც კომუნისტი, საბრძოლო სწავლებისათვის მაღალი მოწოდებით.

იგი, როგორც ყოველთვის, აქაც მშვიდი და ზრდილი იყო, სიტყვაძვირი. ყველაფერს, რასაც აკეთებდა, იყო დროული და საქმიანი, სწავლობდა, ეუფლებოდა სროლის ილეთებს, ოცნებობდა სამეთაურო სასწავლებელში წასვლაზე. აი, მისი პირველი წერილი ბელორუსიდან: „როგორც კი ვაგივ მომავალ წელს სამხედრო სკოლაში გამგზავნიდნენ, არ ვიცოდი სიხარულისაგან რა მექნა, — სწერდა იგი თავის მშობლებს, — დედიკო, ვფიცავ შენს სახელს სასახელო მეთაური ვიქნები“...

არჩილის სურვილი ზუსტად ერთი წლის შემდეგ განხორციელდა. 1942 წლის დეკემბერში იგი სამხედრო საარტილერიო სასწავლებელშია, აქ დაიშახურა უფროსთა პარტიისცემა და ყურადღება. იყო არა მარტო ფრიადოსანი კურსანტი, არამედ შესანიშნავი ავიატატორიც, ამასთან, შესანიშნავად უკრავდა, ცეკვავდა, მღეროდა.

— „აბა, მთიელო, გავგახარე შენი ტკბილი ჩონგურით“, — სთხოვდნენ არჩილს. ის ვალში არასოდეს რჩებოდა. მის წკრიალა ხმას, მოხდენილ ცეკვას, ფართო შავ თვალებს ემხში შეყავდა მყურებლები.

არჩილს გული ფრონტისაკენ უწყევდა. თითებზე თვლიდა დარჩენილ დღეებს, ოცნებობდა, რაც შეიძლება ჩქარა დაეტოვებინა სასწავლო მერხი, შეებოდა მტერს.

ამასთანვე წუთითაც არ ივიწყებდა მშობლიურ მხარეს, ზედმიწევნით უყვარდა თავისი სოფელი მამკოლი, მუდამ თვალწინ ედგა წიფლისა და ცხმელის ასწლოვანი ხეები, მოჩუხჩუხე ცივი ნაქადლები. საყვარელი დედა ნინო, მზრუნველი და მოჭირანხლე მამა დიდა, ძმა გიორგი, დები — რაისა, ზინილა, ნელი.

ჩვენ ვნახეთ მისი წერილები. ვკითხულობდი და ვფიქრობდი, რა ტკბილი და მოსიყვა-





რულე შვილი ჰყოლიათ პატივცემულ ნინოსა და დავითს-მეთქი. არჩილის თითქმის ყველა ბარათი ასე იწყება. „ჩემო საყვარელო და კარგო დედიკო, ჩემო ჰარამგო მშობელო დათა მამა...“

აი, 1942 წლის 17 აპრილი. კვლავ ზამთრის სუსხია. ალიონიდან გვიან დამემდე ბიჭებს სითბო არ უნახავთ, მთელი დღე თოვლი ბარდნიდა, ყინვა ძვლებს წიწწნიდა, სადილიც სანვარში მიიღეს. ვაცხარებული მეცადინეობა იყო, ფრონტისათვის მზადდებოდა მომავალი ოფიცრები, აქ იყო არჩილ ბექაურიც. ამ დღეს მან წარმატებით შეასრულა ქვემეხიდან სროლის ნორმები და მიიღო შეფასება ფრიადი, ეს საგამოცდო შეფასება იყო.

უკვე კარგად ბნელოდა, კურსანტები ყაზარმაში რომ დაბრუნდნენ. საბრძოლო იარაღი წესრიგზე მოიყვანეს. თავისი ადგილი მიუჩინეს. ყაზარმაში შესვლისას სითბო იგრძენეს, ლენინის ოთახში უხვად იფრქვეოდა ილიჩის ელნათურების შუქი. არჩილს სახე აწითლებოდა, მის მაღალ წარბებს თოვლის ფიფქი შერეოდა, მორიგე ბარათი ვადასცა.

არჩილმა წერილი სწრაფად გახსნა — იცნო დედის ხელი: „მწერს შენი დედა, შენი დარღილი ვადალილი, გელოდება ოჯახი...“ ბარათი გულში ჩაიკრა, რამდენჯერმე გადაიკითხა, პასუხი არ დააყოვნა.

„ჩემო საყვარელო დედიკო, ყველაზე კარგო და ტკბილო, შენმა წერილმა დიდად გამახარა, მაგრამ თანაც გული მატკინა. დედიკო ნუთუ მე გადავალე! მე დაგადარდიანე? მამატიე. ჩემი თხოვნაა, ნუ იდარდებ, დედი, მე ჩქარა მოვალ, თუ ჩემი სიყვარული და ხათრი გაქვს, მომიმინე, ჩემო კარგო, ტკბილო დედი...“

დედი, გახსოვს ზოგჯერ როგორ გაბრაზებდი? ჭოხითაც კი გამოიმდგებოდი. მე კი გავრბოდი, გავრბოდი და შენ ბრაზობდი; ასე რომ მცოდნოდა, არ გაგაჯავრებდი, ან კიდევ მაღლულად რომ მურაბებს დავითრევდით მე და გოგო, კაკალსაც არ ვიკლებდით, რა ტკბილია ეს მოგონება“.

1941 წლის 21 ივნისი. ბელორუსია, სისახლევრო სოფლის ახლოს საბანაკო შტერებას ვადიონდენ არჩილ ბექაური და მისი თანამებრძოლები. ამ დღეს შაბათი იყო, დასვენების წინაღღე. არჩილს სახვლიოდ ქალაქში წასვლის ნებართვა ჰქონდა.

მშვიდი დამე იყო, ვარსკვლავები კიაფობდნენ ცის გუმბათზე, ნელი სიო ეამბორებოდა ჰუბუისი ღონღლიან სახეს. ბანაკს მორიგე დასვენების ნიშანი მისცა. არჩილიც ამ ნიშანს დაემორჩილა. საბანაკო კარავებში ცხელოდა, მზის სითბოს სული ტრიალებდა, არჩილს თვალზე

რული არ ეკარებოდა. ხვალინდელი დღის გემებს აწყობდა, აი გათენდება, საღღესასწაულო ტანსაცმლით ქალაქში წავა, სურათს ვადიონდებს. მერე და, ვის გაუგზავნის? ერთს ე-ის. ნათლად დაუღდა თვალწინ მშობლიური გარემო, თანაკლასელი გოგონა ე-ი. უმწიკვლო სიყვარული, მორიდება. უქანსკენლად, ჭარში წასვლის წინ, მშრალ ხევიან შეხვდნენ ერთმანეთს, თავდახრილები იდგნენ. სდუმდნენ, მათ შუახის შეყვითლებული ფერცლები დაფარვტებდნენ.

- რას იტყვი? — გაისმა არჩილის ხმა.
- დაველოდები.
- მე დავბრუნდები!

...თენდებოდა, ეძინა ბანაკს, არჩილიც ტკბილ ძილში იყო, უტერად თვითმფრინავების ზუზუნმა ყველანი ფეხზე წამოყარა!

— აისხით იარაღი! — ბრძანა მეთაურმა.

ცაზე მტრის თვითმფრინავები ზუზუნებდნენ, მერე აფეთქების ხმა გაისმა: ერთი, მეორე, მესამე, ფაშისტი მფრინავები ბომბავდნენ ჩვენებს. ჩვენმა არტილერიამ საპასუხო ცეცხლი გახსნა. „იხიციბოდნენ — წერდა ერთერთ წერილში არჩილი, — მაგრამ დამშეული კალიებივით მოცივიდნენ“...

ასე ვაგრძელდა 16 აგვისტომდე, ამ ხნის განმავლობაში არჩილმა არ იცოდა ძილი და მოსვენება, მის არც ერთ დღეს უშედეგოდ არ ჩაუვლია, ათეულობით ფაშისტი მოაცილა საბჭოთა მიწას, მაგრამ 16 აგვისტო კინაღამ საბედისწერიო ვახდა მისთვის. მტრის რკალში მოექცა, გზა ჩაუტეტეს — ან უნდა გაევიდეთ, ან დავიხოცოთ! — გადაწყვიტა არჩილმა. წინ უღრანი ტყეა, გზაუვლო ჭოთბი და ეკალბარდები, ბრძოლა კი გრძელდება. ამ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა ოცეული მეთაური, წინამძღოლმა კომუნისტმა არჩილმა ითავა.

სეტყვასავით ცვიოდა ტყეა, ფაშისტები ისროდნენ ტყვიამფრქვევიდან, ისროდნენ ქვემეხებიდან, უღრანი ტყეებში ცეცხლი გიზვიზებდა: ცეცხლის ალში და ტყვიის კორიანტელში მოიკვლევდა არჩილი გზას, კიდევ რამდენიმე ნახიჯი და ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა.

„ბიჭებო — აი ჩვენები! — უშესახა მან, მაგრამ უკვე ფეხზე აღარ იდგა, მტრის მსხვრევადმა ტყვიებმა ფეხი დაუსერა, თანამებრძოლებმა არჩილს ხელი სტაცეს, წამოაყენეს. მერე კარგა ხანს იწვა ლაზარეთში.

1941 წლის დეკემბერში არჩილი სამეთაურო სასწავლებელში გაგზავნეს. 1942 წლის მაისში იგი კვლავ ფრონტის წინა ხაზზეა, ხარკოვის მიმართულებით, 5 მაისს არჩილი მშობლებს

**ვალერიან მემვანიშვილი**  
**ბრძოლებში დაფარული**

წერს: „გაცნობებთ, რომ ფრონტზე ვარ ოცეულის მეთაურად, ჩემი ბიჭები მტერს ურტყამენ ყოველწინადად, თუმცა ძნელი ბრძოლებაა, მტერი თავისას არ იშლის, ვეშაადებით შეტევისათვის“.

12 მაისი, სამშაბათი. სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. ჩვენი არტილერია მასიური ზალპების შემდეგ შეტევაზე გადავიდა. აქ იყვნენ არჩილ ბექაურის თანამებრძოლებიც. არჩილი ზუსტი გასროლით მტერს ცეცხლავდა. გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა კონტრშეტევაზე გადმოსულებს. მართალია, მაშინ ჩვენმა ჯარებმა ხარკოვის მიმართულებით ვერ შეძლეს დასმული ამოცანის შესრულება, მაგრამ იმდენად მძლავრად უტევდნენ მტერს, რომ გერმანელთა სარდლობა იძულებული გახდა დამატებითი შენაერთები გადაეხსროლა დასავლეთის ფრონტიდან ხარკოვის მისაღწევისაკენ.

ბრძოლები გრძელდებოდა. ცხარე შეტაკებები გადაიტანა ლეიტენანტმა არჩილ ბექაურმა. ცხადია მის მკერდს ამშვენებდა წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის“.

ეს იყო 1943 წლის ივლისში. ბრძოლები კვლავ ხარკოვის მიმართულებით გრძელდებოდა. ერთ-ერთ უბანზე საცეცხლე პოზიცია ეკავა არჩილ ბექაურის მებრძოლებს.

იმ დამით ცა ღრუბლიანი იყო. ქარი ჰჭროდა, ფრონტის წინა ხაზზე სიწყნარე სუფევდა, მხოლოდ ზოგჯერ ჰერს ჰკვეთდა წითელი და ლურჯი რაკეტები. ნაშუადღევს არჩილმა ქვემეხების საბრძოლო მზადყოფნა შეამოწმა. მერე მთელი დამე თვალი არ მოუღულავს. შტაბიდან ცნობა მოვიდა, მტერი კონტრშეტევაზე გადმოსვლას აპირებსო.

თენდებოდა. ალიონის ცისკარი ჰორიზონტს ეალერსებოდა. აღმოსავლეთით ღრუბლები გაფანტულიყო, მზე წითლად აფერადებდა ცის კაბადონს, ამ სანახაობის შემყურე არჩილს წუთით მოეჩვენა ჩემს მშობლიურ სოფელში, მამკოდაში ვარო.

გუშინ არჩილმა ყაზახი ქალიშვილებისგან საჩუქარი მიიღო წარწერით:

„სამხედრო ნაწილის საუკეთესო საარტილერო ოცეულს, ამანათში იყო ყაზახი გრძელბრძოლის მიერ ამოქარგული ცხვირსახოცები, სანაფხულო წინდები, პაპიროსები..., ოცეულში ერთი ყაზახი ჯარისკაცი იყო. არჩილმა სწორად მას დართო ნება ყაზახი ხალხის სახელით საჩუქრები დაერიგებინა.“

დაიწყო საარტილერო მზადება. ცეცხლი გახსნეს არჩილ ბექაურის მებრძოლებმა. მტერმა ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხა. მწყობრიდან გამოვიდა პირველი ქვემეხის მეთაური, მას მემიზნე მიჰყვა; ორივე მძიმედ დაჭრილი საცეცხლე ხაზიდან გაიყვანეს. დრო არ ითმენდა, ყუმბარების ვრიალმა არე-მარე გააყრუა, დაღუპდა არჩილ ბექაურის პირველი ქვემეხი. არჩილმა არ დააყოვნა. თვით მოუჭდა ქვემეხს და ცეცხლი გახსნა. ისროდა პირდაპირ, აუცდენლად, აი მტრის ერთი ტანიც ცეცხლის ალში გახვია, არჩილი სროლას ვანაგრძობდა. მის მიერ გასროლილი ყუმბარები მოსავლიანი აღმოჩნდა, გერმანელები შეჩერდნენ, შემდეგ პირი იბრუნეს, ჩვენები შეტევაზე გადავიდნენ და 23 ავჯისტოს უკვე ხარკოვის გათავისუფლებას ზეიმობდნენ.

5 დღის შემდეგ კვლავ მიმე ბრძოლები გაჩაღდა, მამაცმა არტილერისტებმა მტერი უკუაგდეს, მაგრამ მას შემდეგ სოფელში არჩილის წერილი აღარ მოსულა.

...მამკოდაში კვლავ დგას ის ძველთაძველი მამაბაბუელი სახლი, სადაც არჩილი დაბადებულა და გაზარდილა. აქ ახლაც მწვანეში ჩაფლულ ეზოში სიწყნარეა, არჩილის მშობლები ქვემოთ, ბარში ჩამოსულან უმცროს ვეათან. ჩვენც მასთან მივიდით, დათამ რომ სოფლის თავი, მიხეილ ბურღული დინახა, გაუხარდა, ოჯახში მიგვიპატივა, გვერდით მოგვიჯდა. არჩილის სხსენებაზე მოხუცი შეკრთა. თავი დახარა.

— კარგი ბიჭი იყო ჩემი არჩილი. აგეთ უკვე 30 წელია ველოდებით, თქვა და სოფლის თავიკაც შეხედა, ღვინით საგსე ღოქს ხელი წაავლო, მკერდზე მიიკრა... თვალები ცრემლით დაენმა.



შოთა რაპიზვილი

XVII სუჟენის ბეჰენალი მნეჰალი  
ჰარტოველიშის შესახებ

ჩენი საზოგადოებისათვის უდავოდ საინტერესო იქნება ოლეარიუსი და მისი ცნობები ქართველებთან დაკავშირებით.

აღამ ოლეარიუსი XVII საუკუნის გერმანელი მწერალია (1599-1671). მისი ნამდვილი გვარია ოელშლეგერი. ოცდაათწლიანი ომის საწინდელბამ აიძულა იგი მშობლიური საქსონიიდან გადბეჭეწილიყო შლეზვიგ-ჰოლშტინიაში და თავე-შესაფარი ჰერცოგ ფრიდრიხ III სასახლეში ეხოვნა. ა. ოლეარიუსი საუკეთესო პროზაიკოსი და მთარგმნელია. ფლობდა რუსულ და არაბულ ენებს, კარგად იცოდა ლიტერატურა, გეოგრაფია და მათემატიკა. მისი მდიდარი ბიოგრაფიიდან ჩვენთვის ამჟერად საინტერესოა მწერლის მოგზაურობა რუსეთსა და სპარსეთში და მის საფუძველზე დაწერილი დიდი მოცულობის წიგნი. 1633 წელს ადამ ოლეარიუსი დაინიშნა იმ საელჩოს მდივნად, რომელიც ფრიდრიხ III ორი მოსაზრებით გაუგზავნა რუსეთის მეფეს, მიხეილ თევდორეს ძეს და სპარსეთის მეფეს შაჰ სეფის: პირველი — საეპრო ურთიერთობების დამყარება და, მეორე, — იმდროისათვის ნაკლებად ცნობილი ხალხებისა და ქვეყნების, მათი ეკონომიკისა და კულტურის მეცნიერულად შესწავლა. საელჩოს მეთაურობდნენ დიპლომატი ფილიპე კრუზიუსი (კრუზენშტერნი) და ჰამბურგელი ეპარო ოტო ბრუემანი (ბრაიუგემანი). 1633 წ. 14 აგვისტოს საეელჩო ჩავიდა მოსკოვში და რაიკი მიიღო მეფის თანხმობა მომავალში რუსეთზე გავლით სპარსეთისაკენ გამგზავრებისა, დაბრუნდა უკან თავის სამშობლოში. ორი წლის შემდეგ (1635) ლიუბეკიდან გავიდა მეორე საელჩო, რომელშიც აღამ ოლეარიუსს უკვე მრჩევლის ადგილიც ეკავა. საელჩო მოსკოვში ჩამოვიდა 1636 წ. 29 მარტს, ხოლო სამი თვის შემდეგ განაგრძო გზა სპარსეთისაკენ მდინარე ვოლგისა და კასპის ზღვის გავლით. 1637 წ. 3 აგვისტოს საელჩომ ჩააღწია სპარსეთის დედაქალაქს — ისპაჰანს, სადაც დაჰყო 1639 წ. 2 იანვრამდე. შემდეგ იმავე გზებით საელჩო გაეშურა უკან და, მოსკოვზე გავლით, დაბრუნდა ჰოლშტინი-

აში. საელჩომ ვერ შეასრულა მთავარი კომერციული მიზანი, რაშიაც დანაშაული მიუძღვის მის მეთაურებს, კერძოდ, ოტო ბრაიუგემანს, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფრიდრიხ III სამართალში მისცა და თავის მოკვეთით დასაჯა ფიცის გატეხისა და უცხო ქვეყნებში ელჩისათვის მიუტევებელი საქციელის გამო (შაჰის კარზე მას კაცი შემოაკვდა). რაც შეეხება მეორე მიზანს, აღამ ოლეარიუსის წიგნის მეოხებით იგი ბრწყინვალედ განხორციელდა. ოლეარიუსი ყოველდღიურად ადგენდა მოგზაურობის დღიურს, აღწერდა ნახულს, მოსმენილსა და განცდილს; იხატავდა გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ, ოჯახური ყოფისა და რელიგიური კულტის მსახურების სურათებს. და ყველაფერი ეს გააფორმა დიდ წიგნად, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1647 წ. შლეზვიგში სხვათა შორის, 1643 წ. აღამ ოლეარიუსი მესამედ იყო მოსკოვში, ისევ საელჩოს შემადგენლობაში. ცხოვრების დანარჩენი მონაკვეთი მან გაატარა გერმანიაში, მეცნიერულსა და ლიტერატურულ საქმიანობაში.

ჩვენთვის საინტერესოა, აღამ ოლეარიუსის წიგნს ეწოდება: „საწერარელებითი აღწერა მოსკოვსა და სპარსეთში საყოველთაოდ ცნობილი მოგზაურობისა, რომელიც მოეწყო მოსკოვის დიდი მეფის მიხეილ თევდორეს ძისა და სპარსეთის მეფის შაჰ სეფის კარზე გოტარფიდან ჰოლშტინიის საელჩოს გაგზავნასთან დაკავშირებით“.<sup>1</sup> აღამ ოლეარიუსის წიგნი დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო. ავტორისავე სი-

<sup>1</sup> Adam Olearius, Ausführliche Beschreibung der kundbaren Reise nach Moscov und Persien, so durch Gelegenheit einer Holsteinischen Gesandtschaft von Gottarff auss an Michael Fedorowitz, den grossen Zaarn in Moscov und Schach Sefi, König in Persien, geschehen Schleswig, 1656.

საკონტროლოდ გამოვიყენეთ იმავე წიგნის 1671 წ. გამოცემა (გვერდები ყველგან მითითებულია ამ გამოცემის მიხედვით).





ცოცხლეში იგი გამოიკა ოთხჯერ, გოეთეს იგი მიაჩნდა „ფრიად სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელ“ წიგნად, რის გამოც უმაღლესი ითარგმნა ევროპის თითქმის ყველა ძირითად ენაზე. რუსი მეცნიერები (პაველ ბარსოვი, სერგი ბელოკოვროვი, ლ. პუმპიანსკი<sup>4</sup> და სხვ.) აღასტყურებენ, რომ ილიარიუსის წიგნი არის ძვირფასი წყარო XVII საუკუნის რუსეთის სახელმწიფოს ყოფისა და ცხოვრების შესასწავლად. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ასეთივე ხასიათის იქნება სპარსეთის ყოფის შესწავლის თვალსაზრისითაც. ამისი გარანტიაა ავტორისეული უცხო ენების კარგი ცოდნა, დაკვირვების უტყუარი უნარი, უღრმესი წინდახედულება და კრიტიკული ტაქტი.

დამ ოლიარიუსი საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ რაკი მის წიგნში ლაპარაკია შაჰების დინასტიაზე უკანასკნელი 150 წლის გახმავლობაში, მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, სასახლის სისხლიან ინტრიგებზე და XVII ს. დასაწყისში საქართველოზე დაპატრონებისათვის თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებზე (გვ. 631-662), ამიტომ ავტორი ხშირად მსჯელობს როგორც საერთოდ ჩვენს ქვეყანაზე, ასევე ბედის უტყუარობით სპარსეთში გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებზე.

ოლიარიუსის შრომაში მოიპოვება ცნობები მეფე თეიმურაზზე. იგი არ მიუთითებს თარიღებს, მაგრამ ლაპარაკობს საქართველოში შაჰ აბასის ორჯერ შემოჭრაზე. პირველი მოსვლისას, გერმანელი მწერლის ცნობით, საქართველოში შაჰ აბასმა დაჰყო ცხრა თვე, სადაღაც ზაგემის (Seggen) მხარეში (საქართველოს შუაში რომ მდებარეობს) იქ მას ლ. შკრიტოტორ შეეგება მეფე თეიმურაზი (Tameraz Chan) და განიცადა დიდი მარცხი, რის გამოც დაკარგა ბევრი თანამებრძოლი (გვ. 645; გვ. 854). ა. ოლიარიუსს აქ მხედველობაში უნდა ჰქონდეს 1615 წ. ანტისპარსული აჯანყება მეფე თეიმურაზ პირველის მეტაურებით. შემდეგ შაჰი კილიანში (გილანში — შ. რ.) წავიდა (გვ. 645). გვამცნობს მწერალი, — მაგრამ როცა გვიგო, რომ თეიმურაზმა ხელახლა „დაიპყრო“ შაჰ აბასის მიერ წართმეული ადგილები, მაშინ საქართველოში მეორედ გააგზავნა თავისი ლაშქარი ალიყული ხანის, მეჰმედ ხან ყაჯარის და მურთაზა ყული ხანის

მთავარსარდლობითა და მეტაურობით. რუსებს ხანები უკან დაბრუნდნენ დავალების შესრულებლად და განაცხადეს, მტერი მეტად ძლიერიაო, განისრებულმა შაჰმა ბრძანა დაესვათ ეს დიდი მეტაურები. მომდევნო წელს იგი თავად წავიდა დიდი ლაშქრით თეიმურაზის წინააღმდეგ და დაიფიცა, თუ გავიმარკვებ, თითო აბახად გვეყიდი საქართველოს ყველა მაცხოვრებელს, ყოველ კაცსო (ოლიარიუსი აქ საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს: აბახი უღრის ერთ ლოუბეკურ მარკას, ან 8 გროშს — შ. რ.). შაჰ აბასმა გაიმარჯვა და ხელთ იგდო აურაცხელი რაოდენობის ტყვე. ოლიარიუსს აქვე მოჰყავს ერთი მეტად საინტერესო და დამახასიათებელი ეპიზოდი, სადაც ჩანს ქართველებისათვის ნიშანდობლივი ერთმანეთისათვის თავდადებისა და ურთიერთგატანის გოქნობა: ერთხელ ერთი უბრალო მეომარი (ზოლდატ), — ზეაწეულ ხელებში აბახიანები რომ ეჭირა, — შაჰს ვალუდვა წინ და ასეთი მოთხოვნის მიმართა: „ეჰო, შაჰ აბასო, მომიყდე ერთი წყვილი ქალიშვილი (Magdigen)“ შაჰ აბასმა გაიხსენა თავისი დეი და ბრძანა ამ ეკომარისათვის ორ აბახად შეერჩიათ ორი კარგი ქალიშვილი (გვ. 646). და ყველაფერი ეს მიმოხილულია თურქეთის წინააღმდეგ სპარსეთის ბრძოლების საერთო ფონზე. ა. ოლიარიუსი საჭიროდ არ მიიჩნევს დაწვრილებით ილაპარაკოს სხვა ბრძოლებზე, რომლებითაც შაჰ აბასი თავისთვის ბედნიერად და წარმატებით აგვირგვინებდა საომარ ოპერაციებს ხშირად მოჯანყე ქართველების (და სომხების) წინააღმდეგ (გვ. 647).

სპარსელები, ოლიარიუსის ცნობით, საქართველოში მისულან აგრეთვე შაჰ თამაზის მეუღეების ღროს. ამჯერად მათი მიზანი ყოფილა შეეპყროთ აქ თავმომდარებული სომეხი დავითი, რომელმაც არეულობითა და შუოთით თავის მძას სიმეონ II წართვა მემკვიდრეობით მიღებულ ტახტი. ორივენი იყვნენ სომხეთის გავლენიანი თავადის ლევასპის (Levasap) შვილები (გვ. 637). სიმეონმა დახმარებისათვის მიმართა შაჰ თამაზს. ეს უკანასკნელი ჩაერია საქმეში და მშაბა შორის ტახტის მემკვიდრედ სცნო, რომელიც მიიღობდა მამადის რჯულს და დათანხმდებოდა წინადაცვეთაზე. ასეთი აღმოჩნდა სულმოკლე დავითი, რომელიც სპარსელებმა შეიპყრეს საქართველოს ტერიტორიაზე. სიმეონმა კი უარი თქვა რჯულის დადებაზე, რისთვისაც ტყვედ ჩაგდეს სპარსეთის ერთ-ერთ ციხეში. ხოლო რჯულისაგან გამდგარი (abtrünnige) დავითი დანიშნეს მხოლოდ თბილისის გამგებელად (გუბერნატორად) (გვ. 637).

მეორე ქართველი რომელზედაც მოიპოვება ცნობები გერმანელი მწერლის წიგნში, — ესაა შაჰ აბას I ცოლი, საქართველოდან ჩაყვანილი,

<sup>2</sup> Барсов Павел, предисловие перевода чинка.

ოლიარიუსის წიგნის რუსული გამოცემა, მ., 1870, გვ. I-XIV.

<sup>3</sup> Белокуров, С. А. Адам Олеарии о греческой школе арсения Грека в Москве в XVII в., М. 1888, стр. 1-43.

<sup>4</sup> История немецкой литературы, т. 1, стр. 371-372; М., 1962.



ტყვე ქრისტიანი ქალი (გვ. 649): ამ ქალის ხელში შეეძინა მეფეს უფროსი ვაჟი, — სეფი მირზა, რომელიც მომავალში ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. ოღეაროუსის დახსნათებით, შაჰ აბასი იყო ტიპიური აღმოსავლური დესპოტი. გარდა იმისა, რომ სიკვდილით დასაჯა მის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილე მახლობელი ადამიანები, ურჩობისა და უხაგობისათვის დააბრმავა თავისი მეორე და მესამე ვაჟი (გვ. 652), ხოლო პირველი, ქართველი ქალისაგან გაჩენილი, — სეფი მირზა, — სულაც მოაკვლევინა. ადამ ოღეაროუსი საკმაოდ დაწვრილებით ყვება დედით ქართველი უფლისწულის ცხოვრებისა და მკვლელობის ამბავს: სეფი მირზა იყო ღირსეული და მრავალი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. როცა დაეჯიჯიკადა, შეიტყუა, რომ ერთმა შემახელმა ვაჟბრმა მის მამას აჩუქა უჩვეულოდ ლამაზი ლექსი ქალიშვილი. სეფი მირზამ სთხოვა მამას, მისთვის დავითო ქალიშვილი, რათა გაეზარდა მომავალ ცოლად. მამის მხრივ თანხმობის შემდეგ ლეკი ქალიშვილი თვალის სადენებლად და გასაზრდელად მიაბარეს სეფი მირზას დედის, ქართველ ქალს. შემდეგ ამ ლეკი ქალიშვილისაგან სეფი მირზას შეეძინა ვაჟიშვილი, საამ მირზა, რომელმაც იმეკვიდრა პაპისეული ტახტი, რადგანაც უფრო ადრე შაჰ აბასმა ბრძანა მოეკლათ მისი შვილი, ტახტის მემკვიდრე, სეფი მირზა, ერთადერთი ყოვლად უსაფრთხო ექვსის ვაჟი (გვ. 649). ოღეაროუსი საპიროდ მიიჩნევს დაწვრილებით ილაპარაკოს ამ უნიადგო ექვსე და მის სავალაო შედეგებზე. იგი წერს: მოხუცი შაჰ აბასისაგან განწყევნებულმა დიდებულებმა სცადეს მისი ტახტიდან ჩამოშორება და ხელმწიფედ სეფი მირზას დასამა. უფლისწულს ამ შინაარსის წერილიც კი მიუტდეს. სეფი მირზამ, როგორც მართალმა და პატიოსანმა ადამიანმა, ამის შესახებ აცნობა მამას. შაჰ აბასი ერთხანს კმაყოფილი იყო შვილის ერთგულებით, მაგრამ შემდეგ დაეჭვდა მის გულწრფელობაში. იგი შეიპყრო შიშმა და გამოსავალი შვილის სიკვდილში ნახა. მეფემ თავისთან იხმო ყორჩიხა-ხანი და უბრძანა სეფი მირზას მოკლა. ყორჩიხა — ხანმა მოიხსნა ხმალი, ფეხებში ჩაუფარა შაჰს და დაუწყო მუდარა ასეთი მიმეიდ დავალებისაგან განთავისუფლების თაობაზე (გვ. 649-650). გულქვა შაჰმა შეიწყინა მისი ვედრება, ხოლო მკვლელობის საქმე დაავალა ერთ თავადს, სახელად ბებუთ ბეგს (Bebut-bek). მან მოკლა დედით ქართველი სეფი მირზა. როცა ოთხი საათის შემდეგ შეიტყეს უფლისწულის მოკვლის ამბავი, ტირილი და მოთქმა იწყეს, როგორც ცოლებმა და ნათესავებმა. ასევე ქ. რეშტის მთელმა მოსახლეობამ. მეფის სასახლესთან შეკრებილნი მოითხოვნენ დამნაშავეს

დასჯას დაღვრილი მეფური ხისხლისათვის (გვ. 650). შაჰი კიდევ უფრო მეტად შეძრწუნდა დედოფალი, ქართველი ქალი, სეფი მირზა დედა, გამოიწია თმით და სამღურავი გოგლებით მიიჭრა შაჰთან, რომლისგანაც იგი აღდგინდა საკუთრებული პატივისცემით და განწყობილებით სარგებლობდა, თავს დაესხა და დიდი საშიშროების მიუხედავად, — რაც სიცოცხლის ფასად ითქვამოდა, — დაუწყო ცემა და მიხალა ლიტყვები: „ხისხლის მძებლო მეფე! რატომ გახდი საკუთარი ნაშვირის, სახელისა და მთელი სამეფოს მკვლელი. ვიდა იმეფებს შენს შემდეგ? შენი საქციელით ბტრებს მიჰყიდე საკუთარი ქვეყანა. რით დამისახურა ასეთი სიკვდილი ჩემმა თვინიერმა ვაჟმა, რომელსაც შენ ასე ძლიერ უყვარდი?“ და ბევრი მსგავსი სიტყვა აკადრა დედოფალმა მეფეს. ის კი იჭდა მონუსხულებით და ლულულებდა სიტყვებმა, რომლითაც აღიარებდა თავის დანაშაულს და სინანულს მომხდარის გამო (გვ. 651).

ათი დღის შემდეგ რეშტიდან შაჰი გაემგზავრა ქ. ყაზენს. იქ სადილზე დააპატივა ყველა, შეთქმულებაში ეკემიტანული და დამბეზლებული ბრძანა, მათთვის სუფრაზე მორთმეულ ღვინოში ჩაერთა საწამლავი და არ გაეფიჯთ გამომთვრალი სტუმრები, ვიდრე შაჰი არ იხამდა თავისას (გვ. 651).

ბებუთ ბეგი იმეხამა არ იყო წვეულთა შორის. იგი დაწინაურეს კიდევაც. რამდენიმე წლის შემდეგ კი მას შაჰ აბასი ესტუმრა ყაზენში და უბრძანა ბებუთ ბეგს, მოეკვთა თავი საკუთარი შვილისთვის და მიერთო მისთვის. ბებუთ ბეგი იძულებული გახდა, შეესრულებინა თავისი შაჰის ეს სისხლიანი დავალება (გვ. 651).

მესამე ქართველი, რომელზედაც ვხვდებით ცნობას ა. ოღეაროუსის წიგნში, არის გიორგი სააკაძე, წიგნის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია ყორჩიხა-ხანის ვინაობასა და ბედზე. ა. ოღეაროუსი შენიშნავს: წარმოშობითა და რწმენით ყორჩიხა-ხანი იყო სომეხი ქრისტიანი, მთელი სპარსეთის ჯარების მთავარსარდალი, შახის საყვარელი პიროვნება. და ეს გაბედული რაინდი, — დასძენს ოღეაროუსი, — საბოლოოდ სამარცხვინოდ მოკლა ერთმა ქართველმა თავადმა სახელად მოურავმა (Mourav). (გვ. 650).

ა. ოღეაროუსის მიერ მოხსენებული მეოთხე ქართველი არის ვინმე „ახალგაზრდა ბატონი-შვილი“. შაჰი ხობადანდეს მეუფეების დროს, — ყვება მწერალი, — თურქებმა დაამარცხეს სპარსელების ლაშქარი, 5000 სპარსელი მოკლეს, 3000 წაიყვანეს ტყვედ. თურქმა სარდალმა ბრძანა, რომ ტყვეებისათვის დაეყრვივნებინათ

**შოთა რაჰივიშილი**

XVII საუკუნის ბერძენული მწერალი ძარ-თხველავის შესახებ



თავები და თავის ქალებმისაგან ერთ ადგილას აფშენებინათ ვალაყანის, ანდა სანგრის მავგარი რამ. და მჯდომარემ ამ თავის ქალათა შორის, თურქმა სარდალმა „აუდიენცია გავუშინა ერთ ახალგაზრდა ქართველ დიდებულს“. მაგრამ ვინ იყო ეს უქანსკენელი, ან რა საგანზე ითათბირეს, ამის შესახებ ოლეარიუსი, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს (გვ. 639).

მუხუთე ადამიანი, ბებიით ქართველი, არის მირზა სედის ვაჟი შაჰ აბასის შვილიშვილი. აბასის ნება-სურვილით, მას შეარქვეს თავისი გაუხარელი მამის სახელი და უწოდეს შაჰ სეფი (გვ. 653). ღირსშესანიშნავე იგი ყოფილა იმით, რომ გაათავისუფლა საბრალო ხალხი, რომელიც შაჰ აბასმა ძალით გარკვეა ერევნიდან, ნახჭევნიდან, ხალივნიდან და საქართველოდან. რიცხვით 7000 მეტ კაცს მისცა სამშობლოში დაბრუნების უფლება. სამწუხაროდ, დაბრუნდა მხოლოდ 300 კაცზე ნაკლები, რაკი დანარჩენი დაიღუპა მათთვის უჩვეულო კლიმატურ პირობებში მოგზაურობის დროს (გვ. 663). შაჰ სეფის სამ კანონიერ ცოლთაგან მეორე იყო ქრისტიანი ქალი, საქართველოს გამგებელი თავადის, მეფე თეიმურაზის ქალიშვილი, რომელიც შაჰს მიათხოვეს თეიმურაზთან დაზავების აღსანიშნავად (გვ. 663).

ა. ოლეარიუსი ლაპარაკობს აგრეთვე სხვა ქართველებზე, რომელთაც პირადად ხედავოდა. შაჰ აბასის დროსო, — აღნიშნავს ავტორი, — ბევრი ქრისტიანი საქართველოდან ისპაჰანში გადაასახლეს, რომელთა მემკვიდრეები ჩვენ იქ ვხილეთო. (გვ. 646). ხოლო სხვა ადგილას, როცა მწერალი ლაპარაკობს ისპაჰანის ვაჭრეების მაცხოვრებლებზე, იგი ასახელებს ერთ უბანს, — ჯურჯი (Tzurzi), — რომელიც ყოფილა დასახლებული ქართველი ქრისტიანებით. ესენი არიანო ვადმოსახლებული საქართველოდან: ცნობილი სოფდაგრები, რომლებიც სავაქროდ მოგზაურობენ შორეულ ქვეყნებში და ეცნობიან სხვადასხვა მხარეს (გვ. 562); სხვა ეროვნების ვაჭრებთან ერთად, ქართველებიც აღებმიცემობას აწარმოებენ ცალობითა თუ ბოთლმად (გვ. 559).

და არა მხოლოდ ვაჭრები, ქართველები ყოფიანო თანამდებობის პირნიც ადმინისტრაციულ, თუ სასამართლო დაწესებულებებში, მეფის კარზე, — გვაცნობს მწერალი, — ბევრიაო ქრისტიანული წარმოშობის მაღალი თანამდებობის პირი, რადგანაც სპარსელები უფრო მეტად ენდობიან წინდაცვეთილ ქრისტიანს, ვიდრე ზოგიერთ თანამორწმუნეს, მით უმეტეს, თურქებს, რომელებს, საერთოდ, არაფერში ენდობიან (გვ. 670). ამ ნდობით აღჭურვილ ადამიანთა შორის ბევრია განზრახ დახოჯებულნი იმ ბოროტი მიზნით, რომ გარდაცვალების შემდეგ სისხლით მემკვიდრის უყოლო-

ბის გამო მათი ქონება გადაეიდეს შაჰის ხელში (გვ. 670). მეფის კარზე მომსახურეთო მხოლოდ ოლეარიუსი ასახელებს ერთ „მეტეპერს“ (კამერალერს), რომელიც ყოველთვის შაჰთან ახლოს იყო და, როგორც სახელმწიფო კანცლერს, ჰქონდა მეფეების დიდი უფლება და ამ კაცს ერქვა შანიფერი. წარმოშობით ეს ქართველი ქრისტიანი იყო. სიჭაბუკეში მოიტაცეს და ტყვედ მიჰყიდეს შაჰ აბასს. შემდეგ დაახოჯავენ და აქციეს მეფის კარის მსახურად (გვ. 671) თავის დროზე შაჰ აბასს დაუტყვევებია, ჯერ რიგით მსახურად უწყევია და ბოლოს შეიარაღებული ცხენოსანი გუშაგების — ყაიულენების — უფროსად. აქვე დაუწინაურებია კიდევ სხვა ქართველი, სახელად სიფუშევი (გვ. 671).

აღამ ოლეარიუსი ლაპარაკობს ქართველი ქალების მღვდმარობაზეც. სპარსეთში, — წერს იგი, — ხშირად ყიდულობდნენ ტყვე ქართველ ქალებს და ირთავდნენ კანონიერ ცოლებად. ასეთ ტყვეებს, ჩვეულებრივად, „დალესტანელი თათრები“ (ლეკები — შ. რ.) სტაცებდნენ ქართველ ქრისტიანებს და მიჰყიდდნენ ხოლმე სპარსელებს (გვ. 609). ამიერიდან ტყვე ქალი იქცეოდა კანონიერ ცოლად და მასთან ერთად მისი პირშვილი სარგებლობდა ჩვეულებრივი მოქალაქის ყოველგვარი უფლებით.

და კიდევ ორი ქართველი, რომელნიც გერმანელ ელჩებს სპარსეთიდან შინისაკენ მიმავალ გზაზე უხანავს. ერთი მათგანი იყო ყაზვინის, ხოლო მეორე ქ. ყურაბას მცხოვრები და თანამდებობის მქონე პირი. ამათგან პირველმა, ა. ოლეარიუსის შეფასებით „საკმაოდ საზრიანმა“ კაცმა, გერმანელ ელჩებს და მათ მზღებლებს უამბო, თუ შაჰ აბასმა იგი და მისი ქრისტიანი შობლები, — იმეამად ჯერ კიდევ ცოცხლები რომ იყვნენ — როგორ წიყყანა ძალით საქართველოდან, და მონათლა სარკინოზთა წესისამებრ. მაგრამ საკუთარ გულში ისინი დარჩენიო ქრისტიანებად, ფარულად ლოცულობენ თავიანთ ქრისტეს და, სადაც კი შეიძლება, არ იშლიან კეთილი საქმე გაუკეთონ ქრისტიანებს (გვ. 696).

მეორე, ყურაბელ ქართველს, ემირი ერქვა. ოლეარიუსის ცნობით, იგი იყო ქრისტიანის შვილი, რომელიც ბავშვობაშივე გააპაჰმადიანეს. იგი შაჰ სეფის ემსახურებოდა საწყობის უფროსად. როცა ერევნის ციხის აღებაში მან სიმამაცით გამოიჩინა თავი, ხანოზა უზოქეს, საწყობის უფროსად კი დანიშნეს მისი ვაჟიშვილი. ქართველი ხანი ემირა იყო კაცთმოყვარე და მოალერსე; ადამიანური და საუბრის მოტრფიალე. იგი, — აღნიშნავს ოლეარიუსი, — ინტერესით გვეკითხებოდა ჩვენი სამშობლოს თავისებურებებზე და ომის წარმოების წესებზე. გვითხრა, რომ გულწრფელად უყვარს ქრი-





სტიანები და არის მათი ქვემარტი მეგობარი (გვ. 702).

ა. ოლგარიუსი ახსიათებს სპარსეთის სამეფოს სხვადასხვა ოლქს, თუ თემს: ერაცი, ფარსი, შირვანი, აზერბაიჯანი და ირანი, ანუ ყარაბაღი (გვ. 451-542). ირანი მოქცეულია ორ მდინარეს, — მტკვარსა და არაქსს შორის. ამ ტერიტორიაზე ნაწილობრივ მათავსებულა „არმენია“ და საქართველო. ეს უკანასკნელი არის „მეტად ნაყოფიერი და მდიდარი ქვეყანა“ (გვ. 541). ამ მხარეში ბევრია ლაშაზი დიდი თუ პატარა ქალაქი და ციხე-სიმაგრე, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია თბილისი (გვ. 541). რაკი ეს ქალაქები თურქეთის საზღვართან ახლოს მდებარეობენ, ამიტომ განიცდიან ხშირ თავდასხმებს თურქების მხრივ. სპარსეთს დიდ შემოსავალს აძლევს აბრეშუმით გაჭრობა, ხოლო ამ საქონელით განსაკუთრებით მდიდარია საქართველო (გვ. 601 და 541). აბრეშუმში სპარსეთიდან გააქვთ როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ბაზრებზე!

კასპის ზღვის ნაპირზე მიმავალმა ელჩებმა დასავლეთისაკენ დაინახეს მთები, რომელთა თხემები ღრუბლებში იმალებოდა. ჩვენში ამ მთებს, — წერს ოლგარიუსი, — უწოდებენ „ჩეჩქეზეთის მთებს“, მაგრამ იგი სინამდვილეში არისო კავკასია, მდებარე კოლხეთის ქვეყანაში. ისინი ცნობილია იაზონის ლაშქრობით ოქროს საწმისის მოპოვების მიზნით... არაჩვეულებრივი სიმძალით ამ მთებმა პოეტებს მისცეს მიზეზი მითისათვის, რომლის თანახმადაც პრომეთეოსმა მზეს მოსტაცა ცეცხლი და გადასცა ხალხს (გვ. 397). ოლგარიუსი ცდილობს პრომეთეზე არსებულ თქმულებას მოუძებნოს მატერიალური — კონკრეტულ-ისტორიული და გეოგრაფიულ-კლიმატოგრაფიული საფუძველი. პრომეთეოსმა, — წერს ოლგარიუსი, — როგორც გონიერმა ადამიანმა, შეისწავლა კავკასიის მთების განლაგება, პლანეტებისა და სხვა ვარსკვლავების მოძრაობა, მათი ამოსვლა და ჩასვლა, და იგი პირველი იყო, რომელმაც ასირელებს გადასცა ასტრონომიული ცნობები. მან ისიც გაიგო, რისგან წარმოიშვება ელვა და ქუჩილი, შეძლო მზის სხივებით დაენთო ცეცხლი. მსგავს ცდებს იგი აკეთებდა დიდი ხელოვნებით და აჩვენებდა

1 ბევრ ჩანახატთან ერთად ა. ოლგარიუსის წიგნს ერთვის ჩრდილო და სამხრეთ კავკასია-ის რუკები. ამ უკანასკნელს სახეულებულ შეიძლება ვიძახოთ იმდროინდელი კარტოგრაფიის დონეზე. შავი ზღვის (პონტუს ეგქსინუს) აღმოსავლეთ სანაპიროზე არის სახელმწიფო „მენგრელია“, ხოლო მის სამხრეთით — „კოლხეთი“. ცალკეა სახელმწიფო „გეორგია“, (ტიფლისი, გორი და სხვა), რომელიც უფრო ახლოა კასპის (გირკანის) ზღვასთან (გვ. 768).

ხალხს. რაკი ადვილი წარმოსადგენია, თუ ამ პირველ მთებზე რა დიდი გაკორეგბა და სატანჯველი უნდა გადაეტანა მას. ამიტომ მოიგონეს მითი, თითქოს პრომეთე იყოს მიჯაჭვული კლდეზე და არწივი უკორტნიდეს გულს (გვ. 397).

ა. ოლგარიუსი, ჩვეულებრივად არაფერს გვეუბნება თავისი ინფორმატორების შესახებ. მხოლოდ ერთ ალგას წერს, რომ სპარსეთიდან შინ მიმავალ ელჩებს ეახლათ თბილისიდან მათთან სავანგებოდ ჩასული პორტუგალიელი (ლისაბონელი) კათოლიკე ბერი ამბროზიუს დოს ანოსი (Ambrosios dos Anios). ათი დღის გამავლობაში ერთად ყოფნისას ამ ბერს მათთვის ბევრი რამ ყურადსაღები და ღირსშესანიშნავი უამბია, მით უმეტეს, რომ სხვა ენებთან ერთად კარგადაც ცოდნია ქართულიც. თავისი ცნობებითა და მითითებებით კათოლიკე ბერს ელჩებისათვის გაუწვია კარგი სამსახური. (გვ. 440).

ა. ოლგარიუსის ცნობები საქართველოსა და სპარსეთში მცხოვრებ ქართველებზე უდავოდ საინტერესო და ყურადსაღებია, ისინი ავსებენ და აღსატურებენ იტალიელი მისიონერის პეტრო დე ლა ვალეს ცნობებს სპარსეთში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეების ყოფასთან დაკავშირებით. ახსიათებენ იმ მეტად მოკრძალებულ როლს, რომელსაც თამაშობდნენ სპარსელების სახელმწიფოებრივ თუ პირად ცხოვრებაში, ტყვედ წაყვანილი და მონებად გაყვანილი ქართველები.

აღამ ოლგარიუსის წიგნის — „დაწერილებით აღწერაში“ — გაფანტული ცნობების საფუძველზე შეიძლება დაგასვენოთ: უკვე XVII საუკუნის პირველი ნახევარში ქართველები დიდი რაოდენობით იყვნენ სპარსეთში, კერძოდ, ისპაჰანში. ესენი იყვნენ ტყვედ წაყვანილი, თუ მოტაცებული ადამიანები, რომელთაც სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით მიიღეს მამაკაცის სარწმუნოება, მაგრამ არ დაივიწყეს თავიანთი დედაენა, სამშობლოსადმი სიყვარული და სიმპათია ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. ნიჟისა და უნარის, განათლებისა და მცდელობის, აგრეთვე სილაშობის შესაბამისად, ქართველები ზოგჯერ ახერხებდნენ დაღწივით თავი ტყვისა და მონის სავალალო მდგომარეობისათვის; მამაკაცები ხდებოდნენ მეტ-ნაკლები სიდიდის თანამდებობის პირნი, ან სიმდიდრის მქონე ვაჭრები; ხოლო ქალები, თავიანთი სათნოებებით და კლემანოსილებით, ხდებოდნენ მეფეთა და დიდებულთა კანონიერ თანამეცხედრებად, ამდენად — ტახტის მემკვიდრეთა დედებად და ბებებად. და მინაც, ამ ქართველთა ბედი იყო სავალალო, რაკი მდიდრებსა და თვალად მამაკაცებს ელოდოდა დასაპურისება, ხოლო დიდი თანამდებობის პირებს — ვერაგული მკვლელობა ინტრიგების შედეგად.



## იზოლდა ბერაძე

# კასტრიოტული მოტივი ანთონ ფურცელაძის პროზაში

ანტონ ფურცელაძის ყოველთვის აფიქრებდა სამშობლოს ბედი, მისი აწმყო და მომავალი. იგი ქართველი ხალხის გმირული წარსულის დიდი თაყვანისმცემელი იყო და თავის შემოქმედებაში ხშირადაც გამოუსახავს სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა ცხოვრება. „მისი პატრიოტიზმი როდი ჰკავდა იმ ცრუ ფრაზეოლოგიას, რომელიც ვაშლიც სუფრას დაეკვება. მისი პატრიოტიზმი რევოლუციურად მეტროპოლია და სახალხო. იგი ეთაყვანება იმ მსოფლიო რევოლუციონერ-პატრიოტებს, რომელთაც კაცობრიობას სასაულები აჩვენეს. ასეთები იყვნენ: გარიბალდი, კოშტიცი, კოსტიუშკო და სხვ.“<sup>1</sup>

მართლაც, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტონ ფურცელაძის პატრიოტიზმი ვიწრო ნაციონალური ჩარჩოებით არ იფარგლება. იგი თავისი შემოქმედებით „ერთა თვისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის იდეის მსახურად გვევლინება“<sup>2</sup>, ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს მწერლის სტატიების ციკლი — „გარიბალდის ცხოვრება“ და ტრაგედია „ასუ-ლი ისრაელისა“.

როგორც ცნობილია, ქართველი მწერლები და მოღვაწეები არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენდნენ იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის — ჟუზეპე გარიბალდისადმი, მათ შორის ა. ფურცელაძემ ყველაზე მეტი გააკეთა საქართველოში ამ გმირის სახელის პოპულარიზაციისათვის.

ანტონ ფურცელაძე აღფრთოვანებული იყო გარიბალდის გმირული საქმეებით. ამ დიდმა გრძნობამ დააწერინა ვრცელი სტატია მის ცხოვრებაზე, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა.<sup>3</sup>

მწერალი სტატიების ამ ციკლში დაწერილებით გადმოგვცემს იტალიელი ხალხის საყვარელი გმირის თავგადასავალს და მისი ყოველი წარმატებით გულწრფელად ხარობს.

ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლებისადმი უდიდეს სიმპათიას ამჟღავნებს მწერალი თავის ტრაგედიაში „ასული ისრაელისა“, სადაც მხატვრულადაა დამუშავებული ბიბლიის ერთი ეპიზოდი — ებრაელთა ბრძოლა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის წინააღმდეგ.

ანტონ ფურცელაძემ ამ ტრაგედიაში გამოკვეთა ისრაელი ქალის — ივდითის გმირული სახე. ივდითიმ შეძლო მტრის ბანაკში შეპარვა და მხედართმთავრის მოკვლა.

ქართველი მწერლის მიერ სხვა ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლებით ესოდენ დაინტერესება შემთხვევით მოვლენა არ ყოფილა. ანტონ ფურცელაძე ვერ გავუმოხდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გავრცელებას საქართველოში, ამიტომ წარმოთქვამს ნადვლიანი კილოთი შემდეგ სიტყვებს:

ჩვენი ერობა დაცემულა ნაცელად  
აღდგენის,  
ენა ქართული, ჩვენი მზრდელი, აღარ  
იმართვის.<sup>4</sup>

მას ისე, როგორც ქართველ სამოციანელებს, აღაშფოთებდა ეროვნულ გრძნობას მოკლებულ თანამემამულეთა ყოფა, რომლებიც ვერ გრძნობდნენ ქვეყნის დაბეჩავებულ მდგომარეობას. ამიტომ, შემთხვევით როდი მიმართავს იგი ქრისტიანულ მამაცაშვილს შემდეგი სიტყვებით:

აჟ, რა ვუმზერი, ველარა ესცნობ  
დღევანდელს ხალხსა:  
ალარაფერით არა ჰკვანან მამა-პაპასა...<sup>5</sup>

1. ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959 წ., გვ. 452.

2. ა. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატორიიდან, ტ. III, 1965 წ. გვ. 175.

3. „ცისკარი“, 1863 წ. № 1, 2, 3.

4. მიძღვნა ქრისტეფორე მამაცაშვილისადმი.

5. იქვე.



ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივად მიგვაჩნია მწერლის შემოქმედებაში ქართული ხალხის წარსულის გააცოცხლება.

ანტონ ფურცელაძის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია ეროვნულ-პატრიოტული მოტივი, რომელიც მრავალ ეპოქაშია წარმოდგენილი და უმთავრესად ქართველი ხალხის გმირულ თავგადასავალს ეხება. მწერალს თავის თანამედროვეებში ქართველთა გარდასული დროის ჩვენებით წარსულის სანატრელად ვახლომა კი არ სურს, არამედ ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, რის შესახებაც ჟურნალ „იმედის“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „უკეთუ ხალხს უჩვენებთ პოეზიაში ან ისტორიაში ვისმე მხნე პირთა, ქვეყნისა და თავის ხალხის სიმართლისათვის მოქმედელ და თავგანწირულთ — იმისთვის კი არა, რომ წარსული გაუხადოთ ხალხს სანატრელათ, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ პირების და ამაღლითი აღიძებდეს ხალხში მშენებელ და აძლევედეს ძალას, რომ გასწიოს ბრძოლა წარსულზედ უკეთესი მომავლის დასამყარებლად“<sup>6</sup>.

ყველაზე კარგად ზემოთმოთხანილ სტიქონებში ჩანს მწერლის კონცეფცია, რითაც ხელმძღვანელობდა იგი პატრიოტულ თემზე წერისას.

ანტონ ფურცელაძე ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიას. იგი მიაჩნია სარკედ, რომელშიაც არეკილია გარდასული დროის როგორც დიდება, ასევე განსაცდელი. მისი აზრით ისტორია, მხოლოდ ნამდვილი და პირთუენელი, არის ხალხის მასწავლებელი... „თუ უნდა ხალხს ისწავლოს რამე ისტორიისაგან, უნდა დაინახოს და გაიცნოს თავის თავში დამკვიდრებული ისტორიისაგან ავი და კარგი მხარე, რომ ამითი ავს გაუწიოს ბრძოლა და მოჰკვეთოს, კარგს მოჰკიდოს მგარა ხელი, უფრო დაიკვიდროს თავის თავში და მისცეს წარმატება“<sup>7</sup>.

ა. ფურცელაძე ისტორიის ნამდვილ შემოქმედად ხალხს აღიარებს. მას სამართლიანად აღელვებს საქართველოს ისტორიაში ხალხის როლის სათანადოდ შეუფასებლობა, ამიტომ ... „უარყო ეს ისტორია და მიაშურა იმ ხალხს, რომელიც აქამდე არაფერი იყო, მომავალი კი ყველანაირბას უქადადა“<sup>8</sup>.

მწერალმა თავის თხზულებებში წინა პლანზე წააშორწია ისტორიისაგან მივიწყებული ხალ-

ხი და ქვეყნის ის ერთგული შვილები, რომლებიც განსაცდელში მყოფ სამშობლოს საჩუქრად კუთარ სიცოცხლესაც კი ანაცვალებდნენ.

სამართლიანადაა შენიშნული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში: ანტონ ფურცელაძე „უკან იხედება იმიტომ კი არა, რომ გვირგვინები განუმტკიცოს წარსულის გმირებს, არამედ ამ გვირგვინების მოსახდელად და იმ ხალხის ასამაღლებლად, რომელიც წოდებრივ-მა მიდრეკილებამ მიჩქმალა“<sup>9</sup>.

მკვლევარს, ამ შემთხვევაში, მხედველობაში ჰყავს გიორგი სააკაძის პიროვნება, რომელიც დიდგვაროვანთა წოდებრივმა შურმა დაღუპა. მწერალი მთელ რიგ თხზულებებში — ტრაგედიაში „დიდი მოურავი“, პოემებში „მარაზ-და“, „თამარ ღაზნელი“, ისტორიულ ნარკვევში — „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“ — დიდი სიყვარულით ახასიათებს ამ შეუდრეკელ არინდს, რომელსაც მხოლოდ მშობლიური ქვეყნის ინტერესები ამოძრავებდა.

ანტონ ფურცელაძე შეეცადა მთელი სისრულით აღედგინა ამ სახელოვანი პატრიოტის დეაწლი სამშობლოს წინაშე, ადამიანისა, რომელსაც მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ თავისი მიზნის შესასრულებლად, რომელიც, როგორც ავტორი წერს, „უნდა გამკლავებოდა შინაურს ღალატს; შინაურს არეულობას, გარეულს ცბიერებას, ამას ყველა ამისათვის უნდა გაეწია ბრძოლა ცარიელი ხელით, მართო თავისი გონება და მკლავი იყენენ ამის იმედნი, ამისი შემწენი“<sup>10</sup>.

როგორც ტრაგედიაში, ასევე ისტორიულ ნარკვევში მწერალი მთელი სისრულით გადმოგვეცემს გიორგი სააკაძის მძიმე თავგადასავალს; პიროვნებისას, რომელმაც მეტად რთულ საქმეს მოჰკიდა ხელი — მეფის ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის გაძლიერებას. ამ კეთილშობილური საქმის სფასურად კი მიიღო სამშობლო ქვეყნიდან გაქევა, საკუთარი სახლკარის ფერფლად ქცევა, ოჯახის წევრთა და ახლობელთა როგორც მორალური, ასევე ფიზიკური განადგურება, საბოლოოდ უცხო ქვეყანაში ისევ შურიანობის ნიადაგზე სიკვდილი და სამშობლოს მოღალატის სახელიც კი.

ანტ. ფურცელაძეს ქართველი ერის ცხოვრებაში ყველაზე კრიტიკულ მომენტად მიაჩნია XVII საუკუნის I ნახევარი — სპარსეთის შა-

6. ა. ფურცელაძე, „რამდენიმე სიტყვა“... ჟურნალი „იმედი“, 1882 წ., № 7-8, გვ. 79.

7. ა. ფურცელაძე, „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, 1911 წ., გვ. 5.

8. ვ. კობეტეიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959 წ. გვ. 456.

9. იქვე, გვ. 453.

10. ა. ფურცელაძე, „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად...“ 1911 წ., გვ. 68.

**ივოლვა ბერაძე**

პატრიოტული მოტივი ანტონ ფურცელაძის პროზაში





პის, აბას I-ის შემოსევების ხანა საქართველოში, როცა მიმდინარებდა „ერთ მხრივ ბრძოლა საქართველოს მოსასპობლათ, მეორეს მხრით — ბრძოლა საქართველოს სახსენლათ“. ისტორიის ეს მონაკვეთია გაშუქებული მის მეთერ რივ თხზულებებში და მათ შორის ისტორიულ მოთხრობაში — „დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“.

მწერალი სამართლიანად ფიქრობს, რომ „საზოგადოების ისტორია იყო არა მეფეთა და მხედართმთავართა ისტორია, არამედ ხალხის ფართო მასების ისტორია“<sup>11</sup>, ამიტომ უძღვნა მან ცალკე თხზულება სახელოვან გმირ მამულიშვილ დავით ასლანიშვილ-ჯანდიერს, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ხალხის წრიდან გამოძულ გმირთა თავდადებებსა და გმირობას სამშობლოს წინაშე.

მართალია, ანტონ ფურცელაძე ამ გმირი მამულიშვილის თავგადასავალს დაწვრილებით ეხება ისტორიულ ნარკვევში „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად“.. მაგრამ ცალკე, დამოუკიდებელ ნაწარმოებში კრებს მრავალ ცნობას ამ პიროვნების შესახებ და ვარკვეული ვანზოგადოებით აწვდის მას მკითხველს, ზრდის ინტერესს ამ ისტორიული პიროვნების მიმართ.

მოთხრობა გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1888 წელს. ამავე წელს იგი ცალკე წიგნად გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძემ.

ავტორი მთელი სერიოზულობით მოეყიდა დავით ასლანიშვილის ცხოვრების შესწავლას, რასაც ადასტურებს ამ გმირის გვარის გენეალოგიის დადგენის ცდა.

ავტორმა ყურადღება მიაქცია დავით ასლანიშვილის გვარის დამახინჯების ფაქტს სხვადასხვა ისტორიკოსთა ნაშრომებში, ამიტომ საკმაო ადგილი დაუთმო მის დაზუსტებას ისტორიულ ნარკვევში.

ისტორიკოსი ისკანდერ მუნჯი ანუ მუნში (როგორც ავტორი წერს, ი. ბ.) ამ გმირის იხსენიებს დავით ბეგად, პლატონ იოსელიანი — თეიმურაზ პირველის ცხოვრებაში დავით ხანიშვილად. ანტ. ფურცელაძე თავის ისტორიულ ნარკვევში ორ გვარს ასახელებს, ხან ასლანიშვილს და ხან ჯანდიერს.

ასეთი აღრვის თავიდან აცილების მიზნით, ანტ. ფურცელაძე შეეცადა ამ გმირის ზუსტი გვარის დადგენას. აი, რას წერს იგი: „ეს დავით ასლანიშვილი იყო გვარად ჯანდიერი. თუმცა ამას ჩვენი მწერალნი არსად მოგვითხრობენ, მაგრამ ეს მტკიცდება შემდეგის სახეობით. 1633 წ. მეფე თეიმურაზ პირველი აძლევს წყალობის წერილს ახია ყორჩი ჯანდიერისშვილს, სადაც ამბობს, რომ შაჰ-აბაზმა

მამაშენს დავითს ჩააბარა კახეთი ჩემი ცხელი ნის დროს და ისეც სახლთუხუცესად დასაწესნაო, კახეთი და იასე, როგორც ვიცი, შაჰ-აბაზმა ჩააბარა დავით ასლანიშვილს და ნოდარ ჯორჯაძეს; უწინ ხშირად იყო, რომ გვარის მაგვირად ევაძებნენ მამის სახელს, რომელიც ზოგჯერ გვარადაც უადაძეცოდა ზოლმე. გვარი ასლანიშვილი არც ეხლად და არც უწინ სადმე სიხანს. ცხადია, ასლანიშვილობა ამ სახელოვანს კაცს ეწოდებოდა მამიდან ან პაპიდან“<sup>12</sup>. ე. ი. როგორც მწერლის მსჯელობიდან ირკვევა, დავითის გვარი — ასლანიშვილი წინაპართა სახელიდან შერქმევია.

ანტ. ფურცელაძეს, როგორც თვით გადმოგვცემს ისტორიულ ნარკვევში, პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემული „თეიმურაზ პირველის ცხოვრების“ ტექსტი შეუღარებია მისი ხელნაწერებისათვის, რის შედეგადაც ასეთ დასკვნას აკეთებს: „ხელნაწერებში ყველგან დავით ასლანიშვილი სწერია და არა ხანიშვილი“<sup>13</sup>.

ამრიგად, ეს ერთი კონკრეტული მაგალითი იმის დამადასტურებელია, თუ რა დიდი ყურადღებით ექცეოდა მწერალი საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი ისტორიული ფაქტების სიზუსტეს ყველგან არ იცავს. თავის პატრიოტულ თხზულებებში იგი „ფანტაზიის, ოცენების წყალობით ადადგენს წარსულის კოლორიტს და შინაგან ლოგიკურ სიმართლებით უფრო სარწმუნოდ და დამაჯერებლად წარმოგვიდგენს მას“<sup>14</sup>. ამის შესახებ მწერალი „თამარ ღაზნელში“ აღნიშნავს:

მე ისტორიას აქ არა გწერ, გწერ  
ლეგენდასა, —  
მინდა ამ ამბით დავანახო ხალხს თვის  
წამება, —  
და ყურს არ უგდებ მათიანის წინ-უკან  
თქმასა...

ავტორი თხზულების დასაწყისში ამ გმირის პატივისცემისა და მოკრძალებსიკენ მოუწოდებს მკითხველს, რადგან ეს „არის ნამღვილი მომქმედი კაცი, თავ-განწირული თავის ქვეყნისთვის, დამსნელი თავის სამშობლოს ტყვეობასა და მთლათ მოწყვეტისაგან“<sup>15</sup>.

მწერალი მოთხრობის დასაწყისში აშკარად უპირისპირდება იმ ავტორებს, რომელთაც

11. ვ. ვახანია, „ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა“, 1958 წ., გვ. 124.

12. ა. ფურცელაძე, „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად...“ 1911 წ., გვ. 172.

13. იქვე, გვ. 173.

14. ვ. ვახანია, „ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა“, გვ. 228.

15. ა. ფურცელაძე, „დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“, 1888 წ., გვ. 2. აქ და ყველგან მითითებულია ეს გამოცემა.



თავიანთ თხზულებებში შაჰ-აბასის წინააღმდეგ მებრძოლებად გამოიყენეს დიდგვაროვანი: კერძოდ, ეკამათება დრამატურ დავით ერისთავს; მკაცრად ექცევა მის პეისას — „სამშობლოს“, ზღაპრად აცხადებს მას. აი, როგორ მიმართავს იგი მკითხველს: „შენ გაგიგონია, რასაკვირველია, ბუნდად სახელი შაჰ-აბაზისა, მაგრამ შენ შაჰ-აბაზი ის შაჰ-აბაზი გგონია, რომელიც სწერია ერისთავის ზღაპარში და რომელიც ეწოდება „სამშობლოს“. შენ წარმოდგენილი გაქვს, რომ შაჰ-აბაზის წინააღმდეგნი და მებრძოლნი იყვნენ ლეონიძეები,<sup>16</sup> ხიმშიაშვილები და ამისთანები. ნამდვილი — კი ვინ იყო შაჰ-აბაზი, რა დღეები დააყენა იმან საქართველოს, ვინ იყვნენ ქართველებში მებრძოლნი და წინააღმდეგნი შაჰ-აბაზისა, მხსნელნი თავის სამშობლო ქვეყნისა, შენ არა იცი-რა. აი, ეს უცნობი შენთვის კაცი არის ის ზღაპრული კაცი — კი არა, რომელთაც შენა ჰხედდე „სამშობლოსი“, არის ნამდვილი მოქმედი კაცი...“<sup>17</sup>

ანტ. ფურცელაძის აზრით, მაღალი წრის წარმომადგენლებმა კი არ დაიცვეს სამშობლო განსაცდელის ეპოს, არამედ ესენი იყვნენ მიზნური ქვეყნის დაწინაების და დაბეჩავებისა. მწერლის მიერ ისტორიულ თემაზე შეთხზულ ნაწარმოებებს მართლაც წითელი ზოლივით გასდევს საზოგადოების მაღალი ფენის — მეფე-ერისთავთა და ცალკეულ ფეოდალთა დამღუპველი გავლენა სახელმწიფოს ინტერესებზე, მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხელაღებით ყველა ქართველ დიდგვაროვანზე ასეთი აზრის გავრცელება არ შეიძლება, რაც კარგად იცის თვით მწერალმაც, როცა ტრაგედიაში და ისტორიულ ნარკვევში სამშობლოს დასაცავად გამზადებულთა გვიჩვენებს ქაიხოსრო მუხრანბატონს, ბაადურ ციციშვილს, იასე ქსნის ერისთავსა და მრავალ სხვას. მწერალი ისე იყო აღმფთვებული შედიმან ბარათაშვილის, ქაიხოსრო ჭავჭავიძის, ფარსადან ციციშვილის, ედიშერ ჩოლოყაშვილისა და სხვათა მოღალატური საქციელით სამშობლოს წინაშე, რომ გულისწყრომას ვერ ფარავდა საერთოდ დიდგვაროვანთა მიმართ და ამიტომ კრიტიკულად უყურებდა მათ როგორც სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას.

მოთხრობაში გადმოცემულია ის საბრძოლო ეპიზოდები, რითაც დავით ასლანიშვილმა შეუდრეკელი გმირის სახელი დაიმკვიდრა და ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

16. მწერალი აქ შეცდომით იხსენიებს „სამშობლოს“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირის სვიმონ ლიონიძის გვარს; მოთხრობაში ლეონიძეების ნაცვლად უნდა იყოს ლიონიძეები.

17. ა. ფურცელაძე, „დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“, გვ. 2.

ანტ. ფურცელაძე მის პირველ საგმირო ნაშრომად ასახელებს კახთა მეფის — ალექსანდრეს გამაჰმადიანებული ვაჟიშვილის — კონსტანტინეს წინააღმდეგ ბრძოლას, როცა ქეთევან დედოფალს მედვარდ ამოუდგინნ გვერდში კახეთის ლომკაცები; დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, დავით ვაჩნაძე<sup>18</sup>, თამაზ ვაჩნაძე, რომელთაც მოკლეს კონსტანტინე და განდევნეს სპარსთა ჯარი საქართველოდან.

დავით ასლანიშვილი ძლიერ, გონიერ და კეთილშობილ პიროვნებად გვევლინება მოთხრობაში. იგი თავისი თვისებებით თვით მრისხანე შაჰ-აბასისაც კი ხიბლავს, იმსახურებს იასე მეფის სახლთუხუცესობას და კახეთის მოვლავატრონობას ნოდარ ჯორჯაძესთან ერთად.

ასლანიშვილის მეტრადვეწ ნამდვილი მამულიშვილის გული სციმდა — „პატიოსნებითა და ქვეყნის სიყვარულით აღსავსე გული ასლანიშვილისა ვერ ინელებდა იმას, რომ ამისი საყვარელი სამშობლო, ქვეყნიერი სამოთხე კახეთი ვაჰმზადიყო ვისიმე მონა, აღეპარვა თავისი ეროვნება და თავისი თავისუფლება“<sup>19</sup>.

ამ შეუდრეკელი ვაჟკაცის დიდი სიყვარული მშობელი მხარისადმი მთელი სისრულით გავმოვლინდა სწორედ ალავერდობის დღესასწაულზე, როცა ასლანიშვილისა და თამაზ ვაჩნაძის კაცები ხალხში დადიოდნენ და ქართველებს სპარსელთა წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

ასლანიშვილის მოწოდება — „მუსრი ამ ურჯულთათა“, — იყო თათრების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდება და, როგორც მწერალი გადმოგვცემს, „რამდენსამე საათის განმავლობაში აღარც ერთი სპარსელი არ გადღურჩა ქართველების მრისხანებას“.

ასლანიშვილი მხოლოდ ალავერდში დაბანაკებული სპარსელების გაწვევით როდი დაკმაყოფილდა. იგი „გაღუბტა გრემს სპარსთა, სადაც მოიკლა მეფე იასეც, და შემუსრა მთლად სპარსნიც. აქედამ მიუხტა ზეგამს<sup>20</sup> ბეგთაშ-ბეგს, შეიპყრა იმცია, იმისი ზანებიც და მთლად ჯარებიც და აღარც ერთი აღარ გაუშვა ცოცხალი. რამდენსამე დღის განმავლობაში მთელი

18. მოთხრობაში დავით ვაჩნაძის ნაცვლად უნდა იყოს ბებურ ვაჩნაძე, რასაც მწერალი შენიშნავს და ასწორებს ისტორიულ ნარკვევში, გვ. 147, 1911 წ. გამოცემა.

19. ა. ფურცელაძე, „დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“, გვ. 15.

20. ისტორიულ ნარკვევში მწერალი გეორგი-ფიულ ადგილს ზეგანს ასახელებს, გვ. 197.

**იწოდება ვერაძე**  
პატრიოტული მოტივი ანტონ ფურცელაძის პროზაში

კახეთი გასწვინდა ასლანიშვილმა სპარსთა-განა<sup>21</sup>...

არაჩვეულებრივი სიმაჩვევით და მამაცობა გამოიჩინა დაეითმა კახეთში შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგაც. მან შირვანელ დალი-მელიქთან ერთად გვერანებული და დაცარიელებული კახეთის მოშენება დაიწყო — „გამოასხა სახიზნავებიდან ხალხი და უწყო მოშენება კახეთს, ხალხი ჩამოგროვდა მთებიდან. იწყეს სოფლებში და ქალაქებში შენება“<sup>22</sup>.

თავისი ხალხის პატრონად გვევლინება ნაწარმოებში დავით ასლანიშვილი მაშინაც, როცა ისევ შემოვიდა მტერი საქართველოში ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით. მან უხელმძღვანელა კახთა ვახიზენას თუშ-ფშავ-ხევისურეთში; როცა „ცხენოსანი და ქვეითი სპარსელობა აწვებოდა და ესმოდა ზარ-დაცემულს ქართველობას, მაგრამ საოცარი მხნე და გაუტეხარის სიმამრის კაცი დავით თავისის ჯარებით უღდა სპარსთა კრიჭაში და არ უშეებდა, რომ დაეყრევიანებინათ ამათთვის ამათი ცოლ-შვილი და ხაბაი“<sup>23</sup>.

დაეითმა აქაც დიდი გამჭირაობა და ძლევამოსილება გამოამჟღავნა; იგი რჩეული ვაჟკაცებით ჩაუსაფერდა დაღვენებულ სპარსელთა და, როგორც მწერალი გადმოგვცემს, „შეიქნა მუსრი უწყალო. რაც იხოცებოდა ქართველების ხელით, რაც არა და, არეული და ზარდაცემული ქვეითობა თუ ცხენოსანი ცვივოდა მთის მალეობიდან უფსკრულში და ხდებოდა ყვავთა და ყორანთა საჭმელი“<sup>24</sup>. ავტორი სპარსი მწერლის სიტყვებს იმორწმუნებს ამ ფაქტთან დაკავშირებით — „ამ მარცხით წახდა უმთავრესი ჯარი სპარსთა“.

მწერალი დიდი სიამაყით გადმოგვცემს სააკაძის ხელმძღვანელობით სპარსთა ჯარის შემუსვრის ამბავს ქართლსა და კახეთში, რომლის აღსრულებაში მას გვერდში სხვებთან ერთად უღდა დავით ასლანიშვილიც.

ნაწარმოების ბოლო თავში გადმოცემულია მარაბდის ომის ტრაგიკული ამბავი. აქვე, სულ რამდენიმე სიტყვით ახასიათებს მწერალი გიორგი სააკაძეს, როგორც შორსმჭვრეტელსა და გონიერ სარდალს, რომლის „გენი სხედავდა,

რაც ძალა და წყობილება ჰქონდათ სპარსთა“<sup>25</sup> და სინანულით ურთავს მთავართა<sup>26</sup> დღეობას ბულთა იმ სამარცხვინო საქციელს, რომელმაც გადაწყვიტა ამ ომის ბედი — მათ „ჩამოართვეს სააკაძეს მთავარ-სარდლობა და მისცეს თეიმურაზ მეფეს გამგეობა მთელის ჯარებისა“<sup>25</sup>.

მწერალი შეუპოვებლობად არ ტოვებს ასლანიშვილის შეცდომას ამ ომში, რომელმაც იმსხვერპლა ეს შეუდრეკელი გმირი. იგი ესწრაფვოდა ქვეყნის გათავისუფლებას, „იმისი ამპარტავანი გული ვერ იტანდა, რომ ამდენი ხანი სპარსნი იდგნენ საქართველოში დაუსჯელად... ქვეყნის სიყვარულითა და საკუთარის გმირულის გულით გაატყვებული დავითი არა მხედავდა სპარსთა ნამდვილს ძალას“<sup>26</sup> რამაც მოატყუა ბრძოლაში ნაწრთობი ვაჟკაცი. მან და აღათანგ ხერხეულიძემ, მართალია, დიდი რისხვა და მუსრი შეიტანეს სპარსთა ჯარში, მაგრამ მტრის მახვილის მსხვერპლნი გახდნენ. ავტორი მარაბდის ომის ტრაგიკულ დასასრულს კიდევ ერთხელ იხსენიებს სინანულით — „ისინი დაიხოცნენ გმირულად და აღარ მოესწრნენ იმ საშინელს მარცხსა და მუსრს, რაც დავმართა ამ დაუფიქრარ მარაბდის ომში ქართველობას“<sup>27</sup>.

ასე გვიხასიათებს ანტონ ფურცელაძე ამ ისტორიულ პიროვნებას, რომელმაც მთელი თავისი ძალა, ენერჯია და გამოცდილება მოახმარა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას. ეს იყო შეუდრეკელი გმირი, რომელიც გიორგი სააკაძის, ბებურ ვაჩანაძის, ნოდარ ჯორჯაძის, ქაიხოსრო ომანაშვილისა და მრავალ სხვა ქართველ პატრიოტთა გვერდით იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს.

ანტონ ფურცელაძე ამ თხზულებაში ნაკლებად იყენებს ემოციურობის ასამაღლებელ მხატვრულ ხერხებს. იგი უფრო მეტად გადმოგვცემს გმირის თავგადასავალს, ვიდრე ძირწავს მის ხასიათს. მიუხედავად მოქმედი პირის ხატვის ამ ერთგვარი პრიმიტიულობისა, მწერალი მაინც აღწევს დამაჯერებლობას, რასაც უპირველეს ყოვლისა, ახერხებს ამ ქართველი მამულიშვილის საგმირო ეპიზოდების ჩვენებით. მკითხველი დავით ასლანიშვილი-ჯანდიერის შეუდრეკელი ხასიათით იხიბლება და მისდამი დიდი თანაგრძნობით იმსჯელება.

21. ა. ფურცელაძე, „დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“, გვ. 18-19.

22. იქვე, გვ. 21.


23. იქვე, გვ. 23.

24. ა. ფურცელაძე, „დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“, გვ. 25-26.

25. იქვე, გვ. 32.

26. იქვე .

27. ა. ფურცელაძე, „დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი“, გვ. 34.





## ენა და მწერალი

(ზოგი რამ ლ. გოთუას თხზულებათა ენის შესახებ)

ენა შეიძლება შევედაროთ საბადოს, რომელიც სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროა. საკმარისია კალმის თამამი ბიძგი, რომ ენის წიაღში მოგვგუნე ჯერ გაუფორმებელმა მასამ ვულკანით ამოხეთქოს და მზის სინათლეზე ამოიტანოს აქამდე უხილავი თვალისმოპყრელი საგანძურები.

„ნიჭიერი მწერალიც იმისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის ნიმდირე გამოაჩინოს ხოლმე“, — წერს დიდი ილია.

მართლაც, განუზომელია მწერლის როლი ენას დახვეწის, გამდიდრებისა და განვითარების საქმეში. განსაკუთრებით ფართოა ნიჭიერი შემოქმედისათვის ლექსიკის სარბიელი, რომლის საზღვრებმა შეიძლება გაიწიოს სულ უფრო შორსა და შორს, ალბათ, უსასრულობამდე.

თუ შევისწავლით ცალკეული მწერლების ლექსიკას, ადვილად დავრწმუნდებით ზემოთქმულის სისწორეში.

ყოველ ჩამოყალიბებულ მწერალს აქვს საკუთარი, მკაფიოდ გამოხატული სტილი, რომლის მიზანი სიტყვის „ექსპრესიული მაქსიმუმის მიწვება“ ძირითადი მნიშვნელობა კი ამ საქმეში „შესიტყვების სტრუქტურასთან ერთად ლექსიკას ეკისრება. მწერლის სტილს განაპირობებს ის, თუ როგორ იყენებს იგი ამა თუ იმ ენობრივ ფაქტს მოვლენისა და შინაარსის გადმოსაცემად.

თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის თავისებური, სრულიად განსხვავებული სტილით გამოირჩევა ლევან გოთუას თხზულებათა ენა. იგი (ეს ენა) პირველად გეუცხოვება, თითქოს გვიჩრს კიდევ გაუმკლავდენ ერთბაშად მოზღვაველთ არაჩვეულებრივად ემოციურ და მრავალფეროვან ლექსიკას. ვერ ასწრებ ჩასწვდენ ერთ გამოთქმას, აზრს, რომ მეორე, მესამე... მეათე წამოგვეყვება, კიდევ უფრო უცხო, თავისებური,

საინტერესო და შთამბეჭდავი. შემდეგ კი ეს სიტუხვე ფრაზების, სიტყვებისა და აზრებისა მიგვიზიდავს, მოგვიჩვენებს და თვალს ველარ აშორებ წიგნის ფურცლებს, თვალწინ უკვე ასობი და სიტყვები კი არ მირბიან, არამედ თვითონ გვირევი მოძრაობენ, მოქმედებენ, განიცდიან და მათთან ერთად განიცდის მკითხველიც. აქ ჩანს მწერლის უდავო ნიჭი ზედმიწევნით ნათლად, ხატუნად და ხელშესახებად გადმოსცეს ამბავი, აღწეროს სურათი, დაგანახოს ცოცხალი, ხორც-შესხმული გმირი. ამას სიტყვის ოსტატი ენის საშუალებით აღწევს. ენის ღრმად ცოდნა, მისი გამოხატველობითი ძალის სრულად გამოყენება, სიტყვების, გამოთქმების ზუსტად შერჩევა, — აი, რა არის დამახასიათებელი ლევან გოთუასათვის.

როცა ლ. გოთუას ენის თავისებურებებზე ვლაპარაკობთ არ შეიძლება უწინარეს არ შევეხებოთ მწერლის ლექსიკის იმ ნაწილს, რომელიც მის ენას ასე განასხვავებს სხვა მწერლებისაგან. ეს არის კომპოზიტები. კომპოზიტების სიტუხვე თვალში გეცემთ მის ნაწერებთან პირველი შეხვედრისთანავე. ლ. გოთუას თხზულებებში „გმირთა ვარამი“ (წიგნი I-II, III-IV) და „ნისლი ნახატების ტყეში“ რვა ათასამდე რთული სიტყვაა დამოწმებული. ძნელად შეხვედებით სხვა მწერლთან ამდენ კომპოზიტს ერთ წინადადებაში: „დიდხანს, გულამომჭდარად იტირა სიმთაუნდგომი, საქართველოს ხმაღვაჟაკი და გულდამწვარი ქირისუფალი“ („გმ. ვარ“, ტ. III, გვ. 338), „არა, იგი ძველებურად სიტყვაჟაკრი და რიტორმეტყველი იყო, ზნეობამყარი... მაგრამ როგორღაც ფუძეგამოშლილსა და ჰაერზე გამოკიდულს ჰგავდა“ (იქვე, გვ. 515); „ერის-თავი თავის ყმათა თვითმწვეველი, შემრჩეველი, თვითაღმქურველი და თვითმოსარდლევ იყო“ (იქვე, ტ. I-II, გვ. 79) „ამისი უტყუარი დასტურია მრავალი ათასი გამოქვამული, ქვაბ-ციხენი,



ქვაბ-სახიზრები, ქვაბ-სენაკები, ქვაბ-ტარბები, ქვაბ-სავანური, ქვაბ-ქალაქები... ახლა ამით შევიმატა ქვაბ-ელსადგურიც" (მატიანური", გვ. 196-197).

ზოგჯერ ეს სიმრავლე კომპოზიტივისა იქნებ გადაჭარბებულიც იყოს.

ლ. გოთუას მიერ გამოყენებულ რთულ სიტყვებს შორის ძალიან ბევრი ავტორისეულია. მწერალს კომპოზიტები იზიდავს იმით, რომ ისინი სემანტიკურად ტევადნი და ემოციურნი არიან. იძლევიან აზრის ლაკონურად, ზოგჯერ კი პირაქით, ზედმეტად ვრცლად და დაზუსტებულად გადმოცემის საშუალებას. კომპოზიტები უდიდეს გამომხატველობით ძალას იძენენ ლ. გოთუას ხელში. შეუდარებელი სილამაზის ეპითეტები და მეტაფორები აქვს მწერალს გადმოცემული მათი საშუალებით. აი მაგალითები: „უღვაჯარული თვალები“, „შუშაამდგარი თვალები“, „ცრემლ-გადანისლული მხერა“, „ხამხამავშუშებული ქუთუთოები“, „ჩადრდარეული ღრულები“, „ფიჭრის კალტრიალი“, „მზეცრილი შხაპუნა“, „ხმალიაღშევი ბობოლა“, „ბოღმადალესილი“ და სხვა. (მაგალითები ამოწერილია რომანებიდან „გმირთა ვარაში“, „მითრიდატე“ და კრებულებებიდან „ნისილი ნახატარის ტყეში“ და „მატიანური“).

ამგვარი მოხდენილი მაგალითების გვერდით ვხვდებით ხელოვნური ელფერის მატარებელი რთული სიტყვებიც. ისინი ხშირად არა მარტო უცხოვდ ხვდება ყურს, არამედ გაუგებარნიც არიან. ბუნებრივად არ ყურდები მაგალითად: რუსულითი, ქართულკება, ძნელსაყუენი, ფარულშიკრიკი, წყარომშვიდობისა, ირან-მოციქულები, ცხენილიკი, ხელსახებად, მუცელხიზურად, თაიშემოკრულად... მეტისმეტად ხელოვნურია და ძნელად გასაგები: იდუმალფარვა; ხელმოკლება, შავ-ფრთხილად, ცარიელ-მოპარულად, ხევშშრალი, ცეცხლიკული, ძნელ-კვიმატი და სხვ.

მსგავს სიტყვებს ხშირად სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. მწერალი მათ სპეციალურ კონტექსტში აქტევს, წინასწარ ამზადებს მკითხველს მათთან შესახებდრად, რითაც აზრის სრულყოფილად აღქმის წინა პირობას ქმნის. ამას იგი უმეტეს შემთხვევაში დიდი ოსტატობითა და სხვადასხვა საშუალებებით აკეთებს. ერთ-ერთი გზა ასეთია: წინადადებაში ნახშირი ორი მართვი სიტყვა იქვე ერთიანდება კომპოზიტში.

„მძიმედ სდუმდნენ და ამ დუმბილ-სიმძიმეს არ ჰქონდა დასასრული... („გმ. ვარ“, I-II, გვ. 212); „მართალია... ჯანო... მართალი! მი მეოქვამს სუფრა და ოში რამ გაარიგა?! ომსუფრიანობისა გაუმარჯოს!“ (იქვე, გვ. 55) „ითით სახელი ერწყმოდა საქმეს და სახელსაქმედ ქმნილი თითქოს ცალკე იდო, როგორც აბრეშუმის ჭიის მოცილილი კანი“ (იქვე, გვ. 255).

ცალკე აღებული დუმბილ-სიმძიმე, ომსუფრიან-

ობა, სახელსაქმე, შეიძლება ითქვას, მარტო მოქმედი სიტყვებია და, იქნებ, გაუგებარიც იყოს, სათანადო კონტექსტში კი ისინი ემოციურ ძალას იკრებენ და უკეთ ყურდენ.

შეიძლება კომპოზიტში მხოლოდ ერთი სიტყვა შევიდეს წინა წინადადებაში: „ცოტა, დაღვივებით და მეტე ბორჯილი ენაბორჯილად წიალულულა მამუკამ“... („გმ. ვარ“, I-II, გვ. 191); „ხალხის ყიფინი“ — ჩაქია ხალხგამწყურალა“ (იქვე, ტ. IV, გვ. 619) „გვგონებ თარჯიმანი არ დაგვირდება; გულთარჯიმონსა კი შენზე უკეთ ვერავინ შეძლებს“ (იქვე, ტ. III, გვ. 84). სტრუქტურული ეფექტი აქაც ისევე დიდია, როგორც წინა მაგალითებში.

სხვა შემთხვევებში უბრალო გამოვრება რაღვ გვაქვს ამა თუ იმ კომპონენტისა, არამედ ერთგვარი შეპირისპირება შეინიშნება. „მართენა დარდიანი ქართული, ვარამქართული ენა იყო“ („გმ. ვარ“, I-II, გვ. 135); „ლევიან მეფის კახთა სიშაღისი, კარჩაეკეთილობა, ალექსანდრე მეფის კახ-ქართველიზად უნდა იცვალოს“. იქვე გვ. I-II, 35)...

ვარამქართული დარდიან ქართულს უპირისპირდება და აზრი თითქოს აღმატებით ხარისხშია აყვანილი. ბოლო წინადადებაში ლევიან მეფის კარჩაეკეთილობას, ალექსანდრეს კახ-ქართველობა, ერთიან-ქართველობა უპირისპირდება...

განხილული კომპოზიტები მჭიდრო კავშირშია წინა წინადადებებთან თუ სიტყვებთან და მათი საშუალებით აიხსნება. მაგარამ რთული სიტყვის ასახსნელად ყოველთვის წინა წინადადების გაცნობა ვერ გვშველის. საჭიროა ტექსტის დიდი ნაწილის აღდგენა. ასეთ შემთხვევაში მწერალი ხშირად ბრჭყალებში აქტევს კომპოზიტს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ის რაღაც სიმბოლურს აღნიშნავს. მაგ.: „იგი კი გლმა „ხმალოთამაშის“ ნახვით გულმეოყრილი იყო“ („გმ. ვარ“, III, გვ. 39) ხმალოთამაში აქ დავით უფლისწულის უწუნე „თამაშს“ ნიშნავს. ჰაშიშით მივრალი უფლისწული და მისი მეგობრები დახცილ და დაჭრილ ლეკებს დაერიგენ და ხმლის ერთი მოქნივით თვის წაღებაში შევიტრება გააჩაღეს. ამ „თამაშის“ შემამარწუნებელი სურათი მწერალს რეალისტური სიხადით აქვს აღწერილი. რამდენიმე გვერდის შემდეგ კი მას „ხმალოთამაშს“ უწოდებს.

ასეთივე მაგალითია „შავ-ბედაურობა“.

პონოსი მეფე მითრიდატე ვერგეტი ლალატიო მოკლეს, რადგან იგი რომის საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდა. მეფის ცხედარი ტაძარში ასვენდა მსხვერპლად შეწირული შავი ბედაურას ტყავზე. შავი ბედაურის „თავ-ფაფრიანი“ და „შუა-ფლოკვებიანი“ ტყავი მითრიდატე ტომობრივ სუდარად ითვლებოდა.

მეფის „სარეცელის მოზიარე“ დედოფალი ყველაფერს მოზადებული შეხვდა და მისი „საკელილის სარეცელი აღარ გაიზიარა“. დედოფა-

ლი ცდილობს თავი იმართლოს საკუთარ სინდისთან. მას ბრალი არ მიუძღვის, მან სწორი არჩევანი გააკეთა.“ „და აი მას გვირგვინი ადვანს, ძველ-გვირგვინისანი კი შავ-ბედღაურის ტყავზე წვეს თავგაპობილი! რომთან ყოველმა მებრძოლმა ეს „შავ-ბედღაურობა“ წინასწარ უნდა იცოდეს“ („მოთირიდატე“, „მნათობი“, 1968, № 1, გვ. 24).

„ემირთა ვარამის“ I-II წიგნში არის ასეთი ეპიზოდი.

ქედელმა გლეხებმა მოურავი ჩაოლეს. განრისხებულ ამფე, რომელმაც მათ საქციელში პირველად მებოხი დაინახა, მოხუცი გლეხის რჩევით ჩემად მიდის სოფელში, რათა აღვიღოთ გამოიკვლიოს ყველაფერი. ხალხი ერთ-ერთი გლეხის ახალი სახლის ფუძის ანგელოზის დასალოცად შეყრილა. სოფლის მოლექსე ქოხსალამურა კთვებზე ჩრდილებს! აჩვენებს და ხალხს ათობს. კაკლის ჩრდილს შეფარებული მეფე ქოხსალამურას სთხოვს მოურავი გამოსახოს კედელზე. შეშფოთებული ხალხი ერთხანს დღეს. შემდეგ უარს ამბობს საძულველი მოურავის „გაცოცხლებაც“.

„არა, ხალხნო! იგრე, განა! ყასიდად, განა მართლა! ჩრდილ-ზეპირად! (გვ. 421) — გაისმა ხმა.

კედელზე კოხმა მოურავის ჩრდილი აისახება. ქოხსალამურაც მის ხმაზე და კილოზე ალაპარაკება.

— ვინ მომკლა მე? — კითხულობს ჩრდილი.

„სოფლის თოფმა! — უეცრად ერთხმად აგრიალდა ჩრდილდარული სოფელი“ გვ. (422). ჩრდილისა და სოფლის კითხვა — პასუხში თანდათან ირკვევა მოურავის აჯიყობა.

ქოხსალამურა ახლა მოურავისა და მისი დედის ჩრდილს აჩვენებს კედელზე და მათ ასაუბრებს. იგი ლექსად აწყობს სოფლის შურისძიების ამბავს. მთელი ხალხი, და მათ შორის მეფეც მოწონებულად შეჰყურებს ჩრდილების თამაშს და ტატიტ აყევება ლექსის რითმს. მეფეს ეკვი აღარ ეპარება მოურავის დანაშაულში. იგი ტოვებს თავის სამალავს, რათა განმარტოვდეს და დამშვიდდეს, თავისი ბეჭდითაც ადასტურებს სოფლის განაჩენის სამართლიანობას, მაგრამ განცილები და ნახული მაინც არ ასევენებს: „ალექსანდრემ სოფლის სიგელი გაშალა, თავისი ბეჭდი უხმოდ დაასო. მერმე არავი ითხოვა. თანისთან გადაჰკრა, „ჩრდილ-ტატიტ“ და „ფუძისეული“ მაჩისცემა მაინც ვერ დაიციბრო“ (გვ. 425)...

აღწერილი სურათის გადმოცემისას სიტყვებს — ჩრდილი, ტატიტ არაერთგზის გაეორება ცალკე თუ კომპოზიტში საშუალებას აძლევს მწერალს გააძლიეროს შთაბეჭდილება.

არანაყლეს საინტერესოა მაგალითები, სადაც

რთული სიტყვები კიდევ უფრო აშკარად გამოხატული სიმბოლიკის გადმოსაცემად გამოიყენება.

თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი მოთხრობის „ყინწვისის ანგელოზის“ ყველაზე დაძაბულ მომენტში ხმარობს მწერალი სიტყვას ცხენ-მხედარ||ანგელოზი“ „სპილენძისფერ სიტყვში მიჰქრის ცხენ-მხედარ-ანგელოზი“ „ნ. ნ. ტ.“ გვ. 404). ერთი შეხედვით აქ სიტყვათა ხელოვნური თავმოყრა ვაკვებს. იმისათვის, რომ ჩაეწვდეთ ამ კომპოზიტის მნიშვნელობას, უნდა ვიცოდეთ დრამატული ამბავი, რომლის აღწერისას გამოყენებულია იგი. მაშინ ვიგრძნობთ, როგორ ივსება ამ სიტყვის თითოეული კომპონენტი განსაკუთრებული შინაარსით.

ლ. გოთუას ენაში კომპოზიტის ხმარების კიდევ ერთ თავისებურებას ვხვდებით. მწერალი ერთ წინადადებაში ათავსებს რთულ სიტყვებს, რომელთაც გარკვეული კომპონენტი საერთო აქვთ: „ქერში კი მრავალმუხუხიანი მრავალფაიერი გუგუნებდა“ („გვ. ვარ“, III, 329) „თითქოს კალიები შემოესივნენ და ერთი და იგივე ფიქრი ათასსახურად დაუბორიანეს“ (იქვე I-II, გვ. 233).

„ბერეკაცებს კი მარტოსულობა მოსდგამთ და დრომდე მარტოფიქრობაც ერჩიათ.“ („მოთირიდატე“, „მნათობი“, 1968, № 2, გვ. 54).

„ხესტაფონი პირდაპირ ახალსახურავზე იხდიდნენ ახალსახლობას“, („მატიანური“, გვ. 171). ამგვარი ტავტოლოგია სხვადასხვა აზრობრივი ნიუანსის გადმოსაცემად არის გამოყენებული. ერთ რიგ მაგალითებში ამ გზით ლამაზი დაპირისპირება მიღებულია: „მე მუცდამწვარი მეგონა... და მზეთუნახავი არ ყოფილა?“ („გვ. ვარ“, III გვ. 328). მტრდამწვარისა და მზეთუნახავის დაპირისპირებით ავტორმა ზნა მიიღო. მზეთუნახავის პირვანდელი მნიშვნელობაც შეგვახსენა (მზის მიერ დაუნახავი) და შემდეგ შეძენილ (ლამაზი) შეუნარჩუნა. ტრადიციულ კომპოზიტთან მწერლის მიერ ნაწარმოები სიტყვების შეპირისპირების მაგალითებია აგრეთვე: საბედისწერო და საკეთილბედო („ნოლო ეს კი ალბათ არავენ იცოდა — საბედისწერო თუ საკეთილბედო ამბავი იდო ამბიონზე“, „იქვე“, I-II, გვ. 512); გულისხმა და გარეხმა („გიორგის გამახვილებული სმენა კი გარეხმასაც და გულისხმასაც იჭერდა“... „იქვე“, III, გვ. 522). ზოგჯერ ორივე კომპოზიტი მწერლისეულია: პირ-შეუპოვარი-ბრძოლმუშუოვარი... „ასეთ პირშეუპოვარ ხალხს, ბრძოლმუშუოვრობაც არანაკლები ეცოდინება“, „იქვე“, IV, გვ. 514), მიცვალბედულ-წამებული — ცოცხალ-წამებული („იქვე“, III, გვ. 339), თავუმადღური-ხელმადღური („იქვე, I-II, გვ. 66.) ძველშფოთიანი-ახალშფოთიანი („ნ. ნ. ტ.“, გვ. 32); ბერდიდი-ბერპაწიწი („გვ. ვარ“, I-II, გვ. 373) და სხვ.

უბრალო შეპირისპირებაზე უფრო რთული,

1 ხაზვასმული სიტყვები არაერთხელ მეორდება და ბოლოს კომპოზიტში შედის.





ღრმა აზრია ჩაქსოვილი წინადადებაში: „და ეს გზა **ერთხმანი** საქართველოს თუ ვერ შეკრავდა, ქართული **მრავალხმანი** გუნდი მაინც შეხმატებინებელი გამოვიდოდა“ („გმ. ვარ.“, III, გვ. 83). ერთხმანისა და მრავალხმანის ვადატანით მნიშვნელობა აქ სრულიად ნათელია.

დავით უფლისწულის დახასიათებისას ავტორი წერს: „ხმალ-ისარშიაც ხელოვანი იყო, მაგრამ **ხელვაშლილი**, გრძლად მიქნეული ბროლა არ უყვარდა, უფრო მოკლე-მოკლე და **ხელმრუდე** ღარტყმები ეხერხებოდა“ („გმ. ვარ.“, III, გვ. 358). ხელმრუდე რომ იხმარა მწერალმა ხელვაშლილის საპირისპიროდ ამით პერსონაჟის ხასიათის სიმრუდეზეც გაამახვილა ყურადღება. ამ აზრის სიკბადეს მაშინ უფრო შევნიშნავთ, თუ წინადადებას კონტექსტში გავიყურებთ.

აი, კიდევ უფრო საინტერესო მაგალითი: „...ახლა მძრახავს კიდევაც **წარბთეთრი** თუ **ხელთეთრი**?“ („გმ. ვარ.“, III, გვ. 551). ხელთეთრი აქ თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგება, თუმცა პირველი შეხედვით შეიძლება ასე მოგვეჩვენოს. ეს სიტყვები ქონდაქართუბუცესს — დავით ჯანდიერს უტრიალებს თავში. მან, ქვეყნის ერთგულმა და თავდადებულმა მამულშიშვილმა, იყისრა დიდი პასუხისმგებლობა, მკვლელობის დიდი სიმძიმე, დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება — მოეუბნებინა სამშობლოსათვის მეფე, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავდა და სისრულეში მოიყვანა კიდევ თავისი განაჩენი. მას სწამს, რომ სწორად მოიქცა, სწამს რომ მოხდა თავისი ვალი, თუმცა მძიმე და მტანჯველი. და აი, მეფის სიკვდილი შეიტყვეს. იგი მკვდარი იპოვეს თავის საწოლში. ქონდაქართუბუცესი ჯანდიერი დაძახებინათანვე გამოცხადდა. ახლა მუხლმოდრეკილი დგას მეფის ცხედრისა და მგლოვანი დედოფლის წინ, ისმენს მეფის სიკვდილის ამბავს. ირგვლივ ყველაფერი უცვლელადაა. ისეა, როგორც თვითონ დატოვა წინა დამეს, მხოლოდ სუღარა მიმატებული. მისი სითეთრე თვალს სჭრის იღუმალ მკვლელს. უეცრად იგი „ხელშეხებულებით“ კრთება. ზოსიმე-ბერდიდი უმზერს მას მდუმარედ, მაგრამ „მეტყველზე მეტყველად“.

— „ბოლო ბრძანება, ანდერძი ან რაიმე ხომ არ უსურვებია უბედურს? ხომ ვერაფერს გვაუწყებ... სულის აღმასრულებელი? — კითხვა მუშბივით მიაბჯინა ბერდიდმა.

ჯანდიერი შეყოყმანდა, ჩაუკვირდა ყრულ ნათქვამს, დუმოლი არჩია, მაგრამ ზოსიმეს ქურუხად წამოზიდულ **თეთრ წარბებს** რომ შეხედა, უეცარი წყრომაც კი ამოადგა ყელში... „კვლავ მედავება? ახლა მძრახავს კიდევაც **წარბთეთრი** და **ხელთეთრი**?“ ეს — „სულის აღმასრულებელი“ ხომ სულთამხუთავს ნიშნავს?“ (გვ. 550-551).

ამ ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, როგორ თანდა-

თანობით ამზადებს მწერალი მკითხველს მინაკითური მომენტისათვის. ჯერ სუღარის სითეთრე, შემდეგ მამზილებელი „ქურუხად წამოზიდული თეთრი წარბები“ და ბოლოს „წარბთეთრი თუ ხელთეთრი“ ბერი. ზოსიმეს ხელი თეთრია, იგი სისხლში არ ვასვრილა და მას წარბთეთრისა და ხელთეთრის უფლება აქვს გაიციხოს „სულის აღმასრულებელი“ თუ „სულთამხუთავი“.

ანდა ავიღოთ მეორე ეპიზოდი „გმირთა ვარამის“, III ტომიდან. თავაწყვეტილი დავით უფლისწული ლტოლვილებს სდევნის. ახალბატონისაგან დევნილი შეეხიზნენ ალავერდის ტაძარს, სადაც ბერად შემდგარი ალექსანდრე მეფე იმყოფება და სადაც დავითის მაგიერად თურქეთში მიველად წასული და დაღუპული უფროს ძმის, ერეკლე, ხელი მარხია. დავითი გაუგონარ დანაშაულს ჩადის. დაუნდობლად ხოცავს „ხატშენიხულთ“. ამ ამაზრზენი სურათის დახახაკი შეძრწუნებული ალექსანდრე წყევლას ტაძრის შემბლაგვ, შეხვეწილთა ჯალთ შვილს. ვაოვრებულ დავითს თითქოს არც კი ესმის მამის საზარელი წყევლა. იგი ეკლესიის ფილქანზე დადენილი სისხლის კვალს მისჩერებია. „...კვალი მკაფიოდ, წითელ ზოლად მიედინებოდა ფიქაზე შორის, იქით მიედინებოდა, სადაც ქვაზე ხელი იყო ამოკვეთილ. ძმის მარჯვენა. ერეკლეს ხელის საფლავისაკენ მიედინებოდა ახალი სისხლი და **ახალბატონს** ტვინს უბურღავდა აზრი... „მიადწევს — ვერ მიადწევს!“ (გვ. 529).

სისხლმა მიადწია „**ხელმოკვეთილ ფიქალს** და **მაჯათითებში** ჩადგა“. თითქოს გამოცოცხლდა თორმეტი წლის წინათ მოკვეთილი ხელი და ააღლა მამის საზარელ წყევლასთან ერთად ისიც დავითისაკენ იძვრის. ჯერ კოჭებში, შემდეგ წვევებში, „ახლა უკვე წელ-ხერხემალში სწვდა **ქვათითები**“...

„განვედ ჩემგან! განვედ, წყველო! — შემზარავი ხმითა და სახით წამოდაგა ალექსანდრე... **სისხლის კვალს** გადმოაბიჯა... ხატშენიხულებიდან — ძმის ხელამდე დადენილ **სისხლის** კვალს... მისი **ახალბატონობის ნახელავს**, მისი ნამოქმედარის **კვალსა** თუ **რკალს**?“... (გვ. 530).

— „განვედ ჩვენგან! — მიელო ტაძრული დიდძალა... ყველანი მოიფრენენ — დროშები, ჯვრები... ნათლები და ხატები... თვითკედლები და იატაკი და ზედ ვეება სისხლიანი **ხელკვალი** თუ **ხელრკალი**! აი, ყელშიაც სწვდა ქვის ხელი“ (გვ. 530) და ა. შ. ხელკვალი და ხელრკალი შემთხვევით, უმიზნოდ არ არის აქ ნახმარი. ძმის ხელამდე დადენილი ახალი სისხლის კვალი და მისი, ახალბატონის ნახელავი ერთ რკალად იკვრება და ეს „ხელკვალი თუ ხელრკალი“ სულ უფრო ევიწროვდება, სულ უხუთავს ბოროტს მოქმედს.

უფრო შთამბეჭდავად, უფრო ნათლად ძნელა-



ვადმოიცეს შიშიმე განცდა, რომელიც ლ. გოთუას აქ ასეთ შემამარწყუნებელი სიცხადით აქვს აღწერილი. და ამაში მწერალს ეხმარება დიდი ნიჭი, თავისი ადგილი მოუძებნოს ყველა სიტყვას. შეადღეროს ერთ მთლიან სურათად მეტყველების დანაწევრებული ნაწილები, მტკიცედ გადააჯავროს ისინი ერთმანეთს, გააბას მათ შორის აზრის უწყვეტი ძაფები.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ლ. გოთუას თხზულებათა ენის, კერძოდ კი, რთული სიტყვის ხმარების თავისებურებებზე. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგნად გამოდგება.

ყურადღებას იქცევს, მაგალითად: — ა სუფიქსით ნაწარმოებ რთულ სიტყვათა სიუხვე, როგორებიცაა **ძაძადრუბელა** („გმ. ვარ.“, IV, გვ. 508) **ძველბატრუქა** (იქვე, I-II, გვ. 38), **ქხელი-დამლა** (იქვე, გვ. 527), **ქვაუჭრელი** („მითრი-დატე“ „მნათ.“, 1968, № 2, გვ. 54), **მთვარენამ-გალა** — (იქვე, გვ. 47), **წერტაღარა** (იქვე, № 2, გვ. 25), **ცხენგრიგალა** (იქვე, გვ. 33), **შავძაძა** (იქვე, გვ. 25) და სხვ.

ზედსართავებით მიღებული რთული სიტყვები, რომელთა კომპონენტებს შორის მსახვერელ-სახვერულის მიმართება გვაქვს, მაგ. **რჩეულლამაზი** („გმ. ვარ.“, III, გვ. 93), **მალა-ობი** (იქვე, I-II, გვ. 238), **დიდერაგი**, (იქვე, I-II, გვ. 227) და ა. შ.

რთული სიტყვები, რომელთა კომპონენტები კომპოზიტი მოქცევის შედეგად იღებენ სინონიმურ გავებას; მაგ. **მგლურ-საზარლად** (გმ. ვარ“ III, გვ. 57), **ქმარ-ბელი**, (იქვე, I-II, გვ. 64), **ქმარ-საზრუნავი** (იქვე, IV, გვ. 37), **შავ-მარის-ხანე** (იქვე, IV, გვ. 154), **ლამაზ-ვაჟაკური** („ნ. ნ. ტ.“, გვ. 49) და მისთ.

ტრადიციული კომპონენტის შეცვლის შედეგად ახლებურად აღედგებული რთული სიტყვები: **ქანცაკლილი** („გმ. ვარ.“, I-II, გვ. 191), **ძალგამოფიტული** (იქვე, გვ. 382), **ძველდაზმული** (იქვე, III, გვ. 102), **იმედგაწყალეზული** (იქვე, I-II, გვ. 133).

ისეთი კომპოზიციები, სადაც კომპონენტთა შორის რაიმე სინტაქსური კავშირი არ ჩანს, თითქოს ფუძეთა უბრალო თავმოყრა გვაქვს: **წყალ-ქამრები** („გმ. ვარ“, I-II, გვ. 428), **ტანსაბანი** (იქვე, გვ. 183), **ცხენილიკი** (იქვე, გვ. 296), **ფრთა-კალამი** („ნ. ნ. ტ.“, გვ. 171).

ვითარებისა და მოქმედებით ბრუნებებში

მდგარი რთული სიტყვების დიდი ჯგუფი, რომლებიც ვითარების გარემოების როლში გამო-  
დანიან: „**ცალთვალთი ვადმომხედა**“ („ნ. ნ. ტ.“, გვ. 59), „**ავქეიფად იყენენ**“, (გმ. ვარ“, III, გვ. 38), „**აღმაყიბედ მიიკლანებოდა**“ (იქვე, I-II, გვ. 335), „**მხვილმარცვლად წვიმა**“ („ნ. ნ. ტ.“, 68) **ჩუმ-ჩასაფრებულად** („გმ. ვარ“, III, გვ. 554), **გაბმულ-ამღერებულად** („ნ. ნ. ტ.“, გვ. 337) და ა. შ. ლ. გოთუას ენის თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე ამგვარი ფორმების ხმარება იქ, სადაც სალიტერატურო ქართულში სახელობითი ბრუნვაა დამკვიდრებული.

ქართულ წინადადებაში ვხვდებით ასეთ კონსტრუქციას: სახელობითში მდგარი სიტყვა, რომელიც მიუგებს კითხვაზე როგორ? (და არა როგორ?) ვითარების გარემოებად გაიგება, რადგან იგი ზმნას ახლავს. მაგ. „**მორჩილი ხარ-ვით თავჩაზნექილი წვილა**“ („ნ. ნ. ტ.“, გვ. 94). თავჩაზნექილი შინაარსით ვითარების გარემოება, ფორმით კი არა. თუ რა წევრად მივიჩნიოთ იგი, სადაო საკითხია. სხვადასხვა დროს ამის შესახებ აზრი გამოთქვებს: პროფესორებმა ალ. ლლონტმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კვაჭაძემ.

ლ. გოთუა თავისებურად წყვეტს საკითხს. იგი, ვერ ვიტყვით რომ სისტემატურად (ზემო მოტანილი მაგალითი მისი ნაწარმოებიდან არის ამოღებული), მაგრამ ხშირად, ასეთ შემთხვევაში ვითარებისა და მოქმედებითი ბრუნების ფორმებს მიმართავს. ასე, მაგალითად, „**გულამოსკენილად ხარხარებდა თრიაქნაწევი შაპი**“ („გმ. ვარ“, IV, გვ. 388), „**ჰეი, ვინ ხარ? — შესმახა თუშმა და თოფშედერებით ზემოეჭრა**“, (იქვე, I-II, გვ. 88), „**მამაკაციები გულჩათხრობით შეჰყურებდნენ განიაგებულ ნაამაგარს**“ (იქვე, I-II, გვ. 167), „**იგი იღვა და თვალმოჭუტულად უმზერდა ჩემს ვერდაფარულ აღფრთოვანებას**“ („ნ. ნ. ტ.“, გვ. 88), „**სასახლე ჩანვის სიმებში ჩახაზულ-გაცრილად ჩანდა**“ („მითრიდატე“ „მნათობი“, 1968, № 1, გვ. 43) და სხვ.

მსგავსი ფორმები შეიძლება სხვა მწერლებთანაც შეგვხვდეს, მაგრამ არა ისეთი სიუხვეთ, როგორც ეს ლ. გოთუასთან გვაქვს.

პატარა წერილში არ შეიძლება ყველაფრის აღნიშვნა და გაანალიზება, რითაც ლ. გოთუას ენა ყურადღებას იმსახურებს. მასში კი ბევრია სადავოცა და ანგარიშგასაწევიც.





## გიორგი ბაჩაჩილაძე

# ღუმლის ცნება და ლიტერატურა

თანამედროვე ცივილიზაციის თავბრუსმსხვევ ტემპს აყოლილი ადამიანი ათასგვარი ინფორმაციის ალუაში იმყოფება. მაგრამ დღევანდელდობის აურაცხელ შთაბეჭდილებათა გარდა მის სულიერ ცხოვრებაში შესაფერის ადგილს უნდა იკავებდეს ძველი კულტურის ტრადიციები და ლიტერატურის ოდესღაც მივიწყებული ძეგლებიც. ასეცაა. მაგრამ მათ გამოცემებში (დამხმარე აპარატურა, კომენტარები, ლექსიკონები) ძალიან ხშირად გაუთვალისწინებელი ან უგულვებელყოფილია ძველი კულტურისა და აზროვნების ამა თუ იმ მოვლენის ან ცნების სპეციფიკა. ეს ეხება სასწავლო პროგ-

რამით გათვალისწინებულ ზოგიერთ ნაწარმებსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ფილოსოფიურა-სიმბოლიკით აღბეჭდილ თანამედროვე ლიტერატურის მრავალ ნიმუშზე.

ამ ცნებათა საგანგებო შინაარსის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ასეთი ტიპის ლიტერატურული ძეგლების სისტემაში სწორი ორიენტაციის აღება.

წინამდებარე წერილში — ერთ-ერთ ასეთ ცნებაზე ვამახვილებთ მკითხველთა ყურადღებას. ეს ცნებაა ღუმელი (ბერძნ.  $\Sigma\lambda\eta\gamma$  ლათ. Silentium).

### I

წინასწარი შენიშვნები. ღუმლის, როგორც ცნების ფესვები, მითოსისა და მისტიკის უშორეს ნაბრალეებშია განტოტვილი. მაგრამ ლიტერატურისა და ფილოსოფიის განვითარების მთელ მანძილზე იგი შეუწყნებელი ინტერესისა და დაკვირვების საგნად გვევლინება. დროთა ვითარებაში იგი რთული და მკრებელობითი შინაარსის ცნებად დამკვიდრდა და საგანგებო ქვეტექსტებითაა აღბეჭდილი თანამედროვე ლიტერატურაშიც.

ეგვიპტური მითოსის მიხედვით, ღმერთების პანთეონში ცხოვრობს ღუმლის ღმერთიც. მისი სახელია ჰარპიკრუტი. ღუმლის ღმერთი ლოტოსის ყვავილზე ზის და ტუჩთან თითი აქვს მიტანილი. ამ ექსტში ზისი საკრალური შინაარსია გამხელილი. იგი ღუმლის ტრადიციული სიმბოლური ნიშანია. ღუმლის სხვა სიმბოლოებია: კლიტი, შავი ფერი და სიკვდილი.

სულს ფარული მიმოქცევების საიდუმლო რხევისა და ინტიმის იღუმალების არმურში

განცდის გამო ჰარპიკრუტის ხატი ითვლება ნაყოფიერების თილისმად, აგგაროზადაც<sup>1</sup>.

ყოველი ერის ყოფასა და ლიტერატურაში, ვისაც კი რელიგიური ტრადიციებით უცხოვრია, უხვდაა მიმობნეული ღუმლის ცნებაში კონცენტრირებული როგორც ფორმალური, ისე ეზოთერული აქცენტები. ამ მხრივ, ცხადია, არც წარმართული, არც ქრისტიანული კულტურაა გამოწაკისი. ღუმლის საკმაოდ მრავალფეროვანი სიმბოლიკა საგანგებო ფუნქციებს ასრულებს აგრეთვე ლიტურგიკულ მსახურებაში, ლოცვასა და სხვა რიტუალურ პროცესებში.

ცხადია, ეს არ იყო ქრისტიანობის მონაპოვარი ისევე, როგორც გამოცხადების (откровение) საიდუმლოება. მასში ღუმელიც უძველესი ტრადიციების ნაყოფია.

<sup>1</sup> Gertrude Jobs, Dictionary of Mythology folklore and Simbols, New York, 1962.





ქრისტიანულ მწერლობაში ესოდენ უხვად წარმოდგენილი დემიოსის ცნების სხვადასხვა შინაარსობლივი ნიუანსებიც უძველესი მითოლოგიური და მისტიკური ტრადიციებიდან მომდინარეობს. იგივე უნდა ითქვას ამ ცნების ინტერპრეტაციასა და მისი განხორციელების პრაქტიკაზე სხვადასხვა რელიგიურ სექტებში.

დემიოსის აღქმა და მნიშვნელობა სულტურის სხვადასხვა მოძრაობათა შემადგენელი ნაწილია, დაწვებული უძველესი აღმოსავლეთიდან გაავრცელებული დასავლური ცივილიზაციის მიწნებადღე.

პარმენიდე და მანჰანა, ეკლესიასტესა და ბუღისმის ძენის მიმართულების შემქმნელები, გნოსტიკოსები და ქრისტიანი თეოლოგები, პლატონი, პეტრე იბერიელი (არეოპაგელი) და იულიანე, ყვაყვრები და ტრაპისტები, კერკეგორი და ჰაიდვერი. ისაპერსი და სანტაიანა, შექსპირი და რილკე, ტიუტრევი და მეტერლინიკი, ბარათაშვილი და ილია ჰავაძეაძე, სელინჯერი და ეგვიპტური, ჰერმან ჰეგე, პოლ ვალერი და ა. შ. ხარბად ეწაფებოიან დემიოსის ცნებაში კონცენტრირებულ შინაარსს.

როთ აიხსნება დემიოსის ცნებისა და სიმბოლიკის საგანგებო შინაარსით აღბეჭდვა ყველა დროის ლიტერატურაში? ან რამ განაპირობა მისი ქმედითობა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ საზაროვნო სისტემებში უძველესი აღმოსავლეთიდან მოყოლებული თანამედროვე დასავლეთის ინტელექტუალურ მოვლენებადღე? რატომ არის ესოდენ ღირებული დემიოსის სიმბოლიკაში აღბეჭდილი მნიშვნელობა განსხვავებული ეპოქების, მრწამსისა და მსოფლმხედველობის შემოქმედთა ნააზრევში?

დემილი ვადანითი მნიშვნელობით გაიაზრება. იგი ვარკვეული შინაგანი მდგომარეობის გამოსატყუებადაა დასახტული. მასში ვლინდება პირადი მე-ს ღმერთში განლევა, გონების ღმერთთან შერწყმა — «Unio mistika». ამ თვისებით დემილი გაიაზრება, როგორც «მეტყუელების», უხენაეს არსებასთან ადამიანის დიალოგური მიმართების უმაღლესი ფორმა. იგი კომუნიაციის თავისებური სახეა.

ძენის სექტის მეხუთე საუკუნის უდიდესი რეფორმატორი ბოდმდარბა წირდა: «ქეშარიტების გადაცემა ხორციელდება წერისა და მეტყუელების, სიტყვისა და ასოსავან ყოველგვარი დამოკიდებულების ვარეშე».

აზრის გონიზიდან გონებაზე გადაცემა, საყუთარი პირველსაწყისი მდგომარეობის კერეტა არის ბუდის მდგომარეობის რეალიზაცია<sup>4</sup>.

იგივე მომენტი ელო საფუძვლად პითაგორელოა ხუთწლიანი დემიოსის პრინციპს. მასში აქცენტირებული იყო დემიოსის შემეცნებითი მნიშვნელობა. სწავლა სხვის ვაგებას ნიშნავს. სხვისი ვაგების უღრმესი წვდომის ფორმა კი დემილია.

ამდენად, დემილი სულიერი და ინტელიქტური კერეტის ვამოვლენაა, როდესაც მაქსიმალურად მობილიზებული პიროვნება შინაგანი ხრტვის გზით აღწევს განსაკუთრებულ ტრანსს და წვდება მასში და მის ვარეთ არსებულ ლოვოსს, ადამიანი მოიაზრებს ფარული ქეშარიტების პათოსს, რომელიც ემპირიულობის ზედაპირზე არ ჩანს.

დემილი შინაგანი კონტაქტისა და სულიერი ცხოვრების უღრმეს შრებთან შემხები მდგომარეობაა. ცნობილი საბჭოთა მეცნიერის დ. ს. ვიგოტსკის შენიშვნით: «Неизреченность и молчание — это совсем не одно и то же: неизреченность — недостаток, ущерб, уменьшение смысла, убыль духа, его неполнота, недоговоренность, то, что надо преодолеть; молчание — избыток, полнота, завершенность смысла, тайна, то, что надо принять»<sup>2</sup>

უო რა «საიდუმლოებაზეა» აქ საუბარი, ამას უფრო ღვიფთ დავინახავთ. მავრამ როგორ უნდა ვეზიარებოთ მას? საქმე ისაა, რომ «Тайну надо принять как тайну. Разгадывание — дело профанов. Невидимое — вовсе не синоним непостижимого: оно имеет другие ходы к душе. Невыразимое, иррациональное воспринимается неразгаданными доселе чувствлищами души. Таинственное постигается не отгадыванием, а ощущением, переживанием таинственного»<sup>3</sup>.

უძველესი დროიდანვე ირაციონალური პლანის სწორედ ამ ინტელტური წვდომის რეალურმა საფუძველმა განაპირობა დემიოსის მდგომარეობისადმი ინტერესის ხასიათი. დემილი წარმოიდგინება, როგორც თვით სამყაროს, ნების ვაჩენამდღე არსებული მდგომარეობა. ეს კი თვით ღმერთის მდგომარეობის სახეა.

ამიტომაც, რომ უძველეს წარმოდგენებში პირველი კოსმიური შერხევა ვააზრებულაა ღმერთის ემანაციის ვამოხატულებად, როგორც დემიოსის უფსკრულიდან ამოტივტივებული ლოვოსის, სიტყვის ვაჩენის მისტიკია. ამ პლანის განცდა უკავშირდება სიბნელიდან ამოზიდული მზის შობის პრიოცესს ღამისა და დღის განწვალების ეაჩ. ამგვარად იქცა დემილი ღვთაების დამახასიათებელ ნიშნად.

ეს მომენტი უნივერსალურია თითქმის ყველა რელიგიისათვის. პირველსაწყისი, პირველმხეზი თუ პირველარსი შეუთნობა და მისი ნიშნა დემილი. ქრისტიანული თეოლოგია ღმერთის

<sup>2</sup> Л. С. Выготский, Психология искусства, М., 1968, стр. 359.

<sup>3</sup> იქვე.

**გიორგი ბაჩიჩილაძე**  
დემილის ცნება და ლიტერატურა

შესახებ ამბობს: „რომელ იგი იყო ზემოთა სიტყვა და გონებისა, მხოლოდ დუმილით ოდენ განსაკვირებელ“ (იოანე დამასკელი, VII, 163, 26). და ამიტომ, რომ მისი წვდომისა თუ განცდის გზა სწორედ დუმილის მდგომარეობაზე გადის. „გმადლომ შენ მხოლოდს, მით ხშირთა... რომელ იგი დუმილით საცნაურ არის“.<sup>4</sup>

## II.

დუმილის ცნება ასევე იყო გააზრებული სხვადასხვა თეოლოგიურ სისტემებში. დუმილის უძველეს თეოლოგიურ და იმავე დროს პოეტურ გააზრებათა შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ ცნების გნოსტიკურ ინტერპრეტაციას.

გნოსტიკური სექტის მოძღვრებაში დუმილი ერთი ეონი იყო იმ ოცდაათ ენათა შორის, რომელშიც ღვთაების ემანაცია ხორციელდებოდა. ვალენტინის (II ს.) მიხედვით ეონები ღვთაების შინაგანი ცხოვრების მომენტებია. მასში იგულისხმება ღმერთის თავისთავზე წარმოდგენის შემადგენელი ერთეულები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „პლირომების“ ანუ წმინდა ყოფის ისტორია.

მისი მიხედვით ყოველივე არსებულის პირველმა (πρωταρχη) დასაწყისში არს ყოფიერების სიღრმე, უფსკრული (ჰაზიჯ). იგი საქორწინო დაუღლებაში (თაჯაჯა) იმყოფება „დუმილითან“ (Σιγη), „გონებასა“ (Νοση) ან — „სიკეთესთან“ (χαριჯ). ამ სიზიგის ანუ შეუღლების ნაყოფია მთელი სულიერი არსებობის სისრულე ანუ პლირომა, ოცდაათ ეონით. ყველა ეონი ყოფიერების სიღრმის, უფსკრულის (ჰაზიჯ) შემეცნებისაკენ მიილტვის, მაგრამ მისი სრული წვდომის უნარი მარტო მხოლოდ შობილი ძეა აღჭურვილი. ძე მამის წიაღშია იგი მოწოდებულია აღსარებად გაიხსნას ყველა ეონისათვის, მაგრამ ამ მისის შესრულებაში მას აკავებს ეონი „დუმილისა“ (Σιγη). გნოსის მოძღვრებაში აქედან ეძლევა დასაბამი მთელი სულიერი ყოფის დრამას.

მთელი პლირომა თავისი სურვილების დაუძემოყვანილობის გრანობითაა შექცევბული. იქ კი, სადაც ეს წყურვილი ყველაზე ნაკლებადაა დაკმაყოფილებული, ციდანის უქმარისობის გრანობა მიდის იდეალისა და რეალობის გათიშვის ტრაგიკულ განცდამდე. მას ვნების (იაზიჯ) ეონის მტანჯველ მდგომარეობამდე მივყავართ.

ამ ვითარებაში სიბრძნე, „სოფია“, რომელიც

<sup>4</sup> „სინური მრავალთავი“, 248, 25.

<sup>5</sup> ეს მომენტი არკელიოა იოანეს სახარებაშიც: „ღმერთი არცნადა იხილა, მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წაიღია მამისათა, მან გამოთქუა“ (იოანე, I, 18).

უქანსკენლ ქალურ ეონს წარმოადგენს, „სოფის წყვეტს“ სურვილიან (მეჯიჯიჯ) დუმილით რებით შეპყრობილი მისწრაფვის პირველ წყისის, ყოფიერების უფსკრულთან შეუღლები-საყენ, რათა უშუალოდ ჰკრიტოს მისი სრულყოფა. პირველამის წიაღში, როგორც ყოფიერების უფსკრულში, მას სრული ვადგარგვა და გაქრობა ეძუტებოდა, რომ ამ გზაზე „საზღვრის“ ეონს არ შეეკავებინა იგი. მაგრამ „სოფიას“ ვნება უკვე იმდენად დაუფიქვლია, რომ ავადმყოფურად დაუმცხრალი იგი თვითჩასახვის გზით შობს „ზრახვის“ (Επιψαυσιჯ) ეონს. „ზრახვის“ ეონი არის ასევე ქალური არსება, მაგრამ უფრო, უსახო და მახინჯი მონაწივეტინ „ზრახვის“ გამო პლირომის მწყობრის რიგის ასეთი დარღვევა ვითარდება ამ დრამაში „ქრისტიესა“ და „სული წმინდის“ დამამოშინებელი მონაწილეობის მისტიკამდე.

ვალენტინის შემოქმედებით ამოცანის მთავარ პათოსს წარმოადგენდა სასრულიდან, ბოლოვადიდან უსასრულობის წარმოშობის დილე-მის დაძლევა.<sup>7</sup>

ვალენტინის მოძღვრებაში (ჰაზიჯ) ყოფიერების სიღრმე საბოლოოდ მანქნ მიუწვდომელი რჩება. მისი ყოფა იაზრება, როგორც უღრმესი თვითნებარება (gratia), როგორც გონების ცხოვრება და, ამდენად, მისი განსაზღვრა არც შეიძლება, რადგანაც ეს არის დუმილი (Σιγη).

მაგრამ რაც არ უნდა ვუწოდოთ მას, — ყოფიერების სიღრმე, უფსკრული, ფორმა თუ შინა-არსი, — სულ ერთია, მის თვითშემეცნებას საფუძვლად ad extra უღვევს გამოცხადების, გახსნის მოტივი.

გამოცხადება откровение სწორედ გონების (ty Evoia) და დუმილის (Σιγη) ატმოსფეროში ხორციელდება. აღსრულებული გამოცხადება კი ქეშმარიტების გახსნაა.

## III

გამოცხადების იგივე მომენტთან გვაქვს საქმე ქრისტიანულ თეოლოგიაშიც. ეს არის დუმილით გარემოსილი ღმერთის წიაღშიად სიტყვის, ლოგოსის შობის საიდუმლოება (ტრინიტეტის ძე, სიტყვა, რომელიც ქრისტიდ ევლინება სამყაროს).

ყოფიერების ამ პირველსაწყისი ანუ დუმილის მდგომარეობის წვდომა, ქეშმარიტების გა-

6 საეულისხმოა, რომ გნოსის სისტემაში „სოფიას“, სიბრძნის ეს ტრაგიკული თავდასაყავალი, საოცრად გვაგონებს ფაუსტისა და მშვენიერი ელენეს ასეთვე სიზიგის ნაყოფს — ევფორიონს, გოეთესთან. ისიც ასევე უღდეური და ტრაგიკულია.

<sup>7</sup> В. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, т. 2, Тб. 1910, стр. 316.



ხსნის თვალსაზრისით, არის სწორედ გამოცხადების აღსრულება. ცხადდება ის, რაც დაფარულია, გახშიანდება ის, რაც ღუმლია, აელვარდება ის, რაც ბნელია. მისი წვდომა კეზმარტებაა.

მეისტერ ეკპარტან კითხულობთ: „და სიქვა ბრძენა ერთმა: „ღამის სიბნელეში, როცა სდუმდა ნივთი ყოველი, უღრმეს ღუმელში ჩამესმა სიტყვა საიდუმლო. იგი ფეხაკრფით შემოვიდა. ვითარცა მპარაივ“. და როგორ იაზრებს მას იგი? სიტყვა იგი მანც იყო დაფარული. სიტყვის ბუნება ხომ იმის გახსნა, რაც დაფარულია? ეს კი განცხადდა და აელვარდა, თითქოს უფლის განგებას მაუწყებდა. ამიტომ იწოდება იგი სიტყვად. მაგრამ ჩემთვის იყო დაფარული. მიტრამ უნდა ვეძიოთ, რომ იგი დაფარულია. იგი განცხადდა და მანც იყო დაფარული.<sup>8</sup>

მაგრამ რა უნდა ვეძიოთ ჩვენ? ჩვენ უნდა ვეძიოთ სიტყვა, ლოგოსი. სიტყვა, რომელიც განცხადდა და იმავე დროს მანც დაფარულია. მაგრამ სად და როგორ უნდა ვიპოვოთ იგი? თურმე იგი უნდა ვიპოვოთ ღუმელში.

აქ კი შინაგანი სმენის გამახვილებაა საჭირო. სმენამ უნდა შეეცვალოს კერეტა, სმენა შინაგანი ხილვის საფუძველია. დიონისე არეობაგელის თქმით „ღმრთის-მეტყველების საიდუმლოებანი ნათელთა უზეშთავსითა მით დაფარულ არიან, დაფარულ საიდუმლოებასა ღუმელისა არმურითა და ბნელსა შინა უმეტეს საჩინოებთა უფროას ბრწყინვენ და ყოვლით კერძო შეუხებლისა და უხილავისა ზეშთა სიკეთისა შეწინიერებთა აღავსებენ უთუალოთა გონებათა. და ჩემდა ესე იყავნ სალოცველ“.

აქ დროებით თავი შევიკავოთ ბარათა-შვილის „ჩემი ლოცვის“ ღვათებისადმი აღლენილი დამაბოლოებელ სტრაქონთან ასოციაციისაგან: „მამა ღუმელიც მიმივიდალე შენდამი ლოცვად“. მას ქვემოთ შევხვებით.

აქ არსებითია „ღუმელის არმურით მოცუ-ლი“ ამ საღმრთო ნისლის „ბნელსა შინა უმეტეს საჩინოებთა უფროას ბრწყინვა“, რომელიც სწორედ უხილავობით ხასიათდება და თავისი ღუმელით „აღავსებენ უთუალოთა გონებათა“.

საქმე იმაშია, რომ ამ უხილველობას, სიბნელეს ანუ „ნათელ სიბნელე“ აქ მინიჭებულა აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

სადაც არა სჭრის თვალი, იქ სჭრის სმენა. სმენა იქცევა ბნელში კერეტის ფორმად. სმენა — ღამეული ხედვაა. ამ მომენტთან დაკავშირებით მეისტერ ეკპარტი წერდა:

„ერთი მოძღვარი აცხადებდა, რომ სმენა ხედვაზე უმაღლესია. რამეთუ უმეტეს სიბრძნეს შეისწავებ სმენით, ვიდრე ხედვით. სმენას მეტი შემოაქვს შიგნით, ხედვა კი გეიხსნის გარე-

ნულს — თვით ხედვის მოქმედებას! რამეთუ საქმე მარადი სიტყვისადმი ყურადღებისა არის ჩემს შიგნით: ხოლო საქმე ხედვის, წინაუკმის განვრცოვდება ჩემგან; სმენაში ვნებულად ვიყოფივარ, შემგარნებულად, ხედვაში ვარ მოქმედი.<sup>9</sup>

მაგრამ სმენისა და ხედვის დაპირისპირება აქ დახუსტებას თხოულობს. ერთი შეხედვით იგი გაუგებარიცაა. ფაქტურად კი აქ საქმე გვაქვს არა შეგარნების ორგანოთა ღირებულებრივ კლასიფიკაციასთან, არამედ თვით შეგარნებუ-ლი სინამდვილის ხარისხთან.

ზიარებულისათვის, ანუ მისტისათვის არსებობს ორი სინამდვილე. ემპირიული სინამდვილე, რომელიც ასევე ყველა მოკვლევისათვის არსებობს, მას რეალობის დაბალ კატეგორიად მიაჩნია, ხოლო სულის ნათელში ხილული სინამდვილე უზენაესი რეალობაა.

ემპირიული სინამდვილის შეგარნებაში ჩვეულებრივი ორგანოთა მონაწილეობენ: თვალცი და ყურიც, მაგრამ უმაღლესი სინამდვილის შეგარნებაში მონაწილეობს არა ჩვეულებრივი თვალი და ყური, არამედ სულის თვალი, რომელიც ღუმელის სმენაში გათავებული ზიარებულის უკიდურესად გამახვილებული ორგანოა.

ჩვეულებრივი, ფიზიკური თვალი თვალმისაწიერში დატეული ქვეყნის სინამდვილეს გვიმტკიცებს; შინაგანი თვალი, შინაგანი ხედვა კი — გარბნობით აღქმის დეთაბრივ ნათელში ხილულ სინამდვილეს.

ამდენად, აქ საქმე გვაქვს არა სმენისა და ხედვის დაპირისპირებასთან, არამედ ფიზიკურად ხელშესახები სინამდვილისა და შინაგან ხილვაში გაელვებული სინამდვილის განსხვავებასთან. ზიარებულის ლექსიკაში სმენა მხოლოდ შინაგანი ღუმელის სმენაა, ხედვა — შინაგან ღუმელში ხილვაა, სმენა ღუმელის არმურში ხორციელდება. საჭიროა ღუმელში სმენით ჩაღრმავება, საჭიროა ღუმელისათვის ყურის გდება, რომ გავიგონოთ სიტყვა, რომელიც დაფარულია, დავინახოთ მაღალი სინამდვილე. მაგრამ სიტყვა ყოველთვის დაფარულია და იგი არასოდეს არ წარმოვიდგება გასაგნებულ თვალსაჩინოდ. მისი თვალსაჩინოება მხოლოდ შეიგარნობა, მაგრამ აქ იხილვება. იგი „საიდუმლოებასა ღუმელისა არმურშია“ ვარგმოსილი.

ეს სწორედ ის საიდუმლოებაა, რომელიც ლ. ვიგოტსკის ზემოთ მოხმობილი შენიშვნით: უნდა მივიღოთ, როგორც საიდუმლოება. მისი ამოხსნის ცდა უმეტესადაა საქმეა, უხილავი სულაც არ არის სინონიმი მიუწვდომელისა. იგი სხვა გზით უკავშირდება სულს. გამოუთქმელი,

<sup>9</sup> М. Эххарт, Прововеди... стр. 75.

<sup>8</sup> Мейстер Эххарт, Прововеди и рас-суждения «Мусегим», М., 1912, стр. 18.

**ბიოგრაფიული**  
ღუმელის ცნება და ლიტერატურა





ორაციონალური აღიქმება სულის დღემდე ამო-  
უხსნელი მიმოქცევებით. საიდუმლოება შეიცი-  
ნობა არა მისი ამოხსნით, არამედ ამ საიდუმლო-  
ების განცდილია და შეგრძნებით“.

მხოლოდ დუმილი ქმნის პირობას საიდუმლო-  
ების „მეტყველებს“ მისაწვდომად, საიდუმლო-  
ების სიტყვის შესაგრძნებად. ამიტომაც, რომ ამ  
მდგომარეობის გამოსახატავად ორიენტაციას  
იღებენ ხილვაზე. იგი არა ემპირიული, შინაგანი  
ხედვის გამოხატულებაა. ეს არის დუმილის სი-  
ნითი ხედვა. ემპირიულობის ყოველგვარი შთა-  
ბეჭდილობისაგან განტიერთული სმენა და ხედ-  
ვა იძენს შინაგანი ხილვის, ენოიონერული განც-  
დის ფორმას. ეს მომენტი ნათლად აქცენტრი-  
რებულ ილია კვაკვაძის „ანრილიცი“. ზეკა-  
ციის „საქართველოს თანამდევნი უცდავი სუ-  
ლის“ ხილვას წინ უძღვის სწორედ ეს განცდა.  
იგი იწყება მას შემდეგ, რაც „ქვეყანაც იყო  
დადუმებული, თითქოს დუმილით უტრს უგდებს  
ცასა“. ამ მომენტიდან უცნაურად ნათლად ადა-  
მიანის შინაგანი მზერა.

გარდამოველინა ყოვლად შემოლები  
ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,  
აღმთფრთოვანა მან ოცნებები  
და განიშწინდა ხედვა და სმენა.  
მეწვივინენ იგი უცხო ხილვანი  
სავენი ღვინით, ნეტარებითა, —  
რომელთაც წარაქვთ კაცთ გულისთქმანი  
საიდუმლოების მაცდურობითა.

ამ სტრიქონებს მოსდევს მეოთხე თავში უშუ-  
ალო ხილვა ზეკაციისა —

და მომველინა მე კაცი დიდი

მაგრამ ამაზე უფრო ქვემოთ გვექნება საუ-  
ბარი.

ამრიგად, დუმილი ფიგურირებს არა მხოლოდ  
დადუმების მდგომარეობის გამოვლენაში, დუმი-  
ლით აღინიშნება შინაგანი სმენის გამახვილება  
მეტყველების დროსაც. ის, რაც გაურკვევე-  
ლია მეტყველებაში, ის, რაც არ ჩანს ემპირიუ-  
ლობის ზედპირზე, მაგრამ არსებითია და ივე-  
ლისხმება, შეიგრძნება სწორედ ამ შინაგანი  
დუმილის სმენით. მაგრამ საიდუმლოების სიღრ-  
მეში მყოფი ეს მთავარი და არსებითი არსო-  
ბის არ ტრეტირებს ემპირიულობის ზედპირზე.  
ყოველი ასეთი ცდის შემთხვევაში იგი ისევე გავ-  
ვისხსტება, როგორც მოკუმშული თითებიდან  
ჰაერი. იგი მხოლოდ დუმილში სმენის ამ აღ-  
მაცერი, ირიბი გზებით შეიგრძნობა. ასეთ შემ-  
თხვევაში კი, მ. ჰაიდბერგის თქმით, ეს „გაურ-  
კვევლობა კი არ გავისხსტება, არამედ უფრო  
ნათლად გაშლის თავის მკრებელობით ძალას  
მეტყველების პროცესში“.

მაგრამ რა არის ის მთავარი და არსებითი,  
რომელსაც ჩვენ უნდა ჩაეწვდეთ და რაც თავ-  
სებურ მიზნად ისახება ადამიანის წინაშე? ან

საიდუმლოების რა მკრებელობით მისი  
მახვილდება ყურადღება?

მის საფუძველს წარმოადგენს მისი  
და ობიექტურ, ინდივიდუალურ და აბსტრაქ-  
ტულ სამყაროთა ერთიანობა — იგივეობის  
პრინციპი ანუ მიკრო და მაკრო სამყაროთა  
მთლიანობის განცდა.

ამიტომაც, რომ დუმილში ეძებენ უნივერსა-  
ლურ დილოგს, როგორც ამ გათიშულ სფერო-  
თა დაუნაწევრობის განცდის გამოხატულებას.  
ძველთა შეგონება „სიტყვა დროის პირშია“,  
დუმილი-მარადისობისა“ ამ პრინციპს ეყრდნო-  
ბა. ეს არის სუბიექტის თავისებური უნივერსა-  
ლიზაციის ფორმა.

მაგრამ როგორია ის ტექნიკური გზა, რომელ-  
საც ამ განცდის სიღრმეებთან მივყავართ.

თუ ჩვეულებრივ წარმოდგენაში სიტყვა დუ-  
მილის დარღვევაა, მისი უარყოფა, ხოლო დუმი-  
ლი განუცხადებლობის, უთქმელობის გამოვლენა  
ანდა სიტყვა არის აზრის გადაცემის საშუა-  
ლება, დუმილი — მისი დაფარვის ფორმა, მი-  
ტის წინაშე ისახება სწორედ ამ დაპირისპირე-  
ბულ საწყისთა დაძლევის ამოცანა.

იგი ხორციელდება მათი თავისებური დისპო-  
ზიციის გზით. ხდება თავისებური ადგილშენაც-  
ვება, სიტყვა აღიბეჭდება აზრის გადაცემის უკ-  
მარ საშუალებად, ხოლო დუმილი — მის სრულ  
რეალიზაციად. „წინანი და უკანანი“ შებრუნ-  
დენ.

IV

როგორც აღინიშნა, ქრისტიან ღვთისმეტყველ-  
თა ნააზრევში განსაკუთრებული მნიშვნელობა  
მიენიჭა დუმილის მომენტს. იგი იქცა ინტელექ-  
ტუალური და ეთიკური სათნოების თავისებურ  
ფორმად. თუ იმისაც გავითვალისწინებთ, რომ  
აქ ღმერთისებრი ლტოლვა ადამიანის ერთ-ერთ  
სერიოზულ პირობად ითვლება, მაშინ გასაგე-  
ბია ის მნიშვნელობაც, რაც ქრისტიანობაში დუ-  
მილის მდგომარეობას უნდა მინიჭებოდა.  
გრიგოლ ღვთისმეტყველი სტატიოში „დუმილისა-  
თვის“ საგანგებოდ შეახსენებდა მორწმუნეთ  
რომ „დუმილის მეყუარე მიეახლების ღმერ-  
თსა“.

თეოლოგებმა ხელი მიჰკვეს დუმილის ფსი-  
ქო-ფიზიკური თავისებურებების გარკვეულ რი-  
ტუალად და ეთიკურად გარდაქმნის პრაქტიკას.  
სიმეონ ღვთისმეტყველმა ჩამოაყალიბა დუმილის  
უშკარესი რიტუალური კანონები, რომელთა  
დაცვაც მორწმუნის სავალდებულო ნორმად ით-  
ვლებოდა ლოცვის დროს.

თვით ლიტურგიულ პრაქტიკაშიც, მაგ. „ჩუმ  
მესაში“ (missa lacta) ქრისტიანობამ თით-  
ქმის პირდაპირ გადმოიღო წარმართული მა-  
გიური დუმილის მნიშვნელობა. იგი მსხვერპლ-  
შეწირვის ან ჭადოსნობის ცნობილი რომაული  
ფორმულის „გაკომდეთ მგა“ (favete linqui)



ეჭო. გარეგნული დემიო მსხვერპლშეწირვის აუცილებელი ატრბუტია. მისი დარღვევა საბედისწერო, ომონოზური ხმების მათემატიკურ სიგნალებად აღქმებოდა, როგორც უარყოფით ქმედებათა დასაბამი.

ქრისტიანული მწერლობა დემიოს ცნებაში აღბეჭდილი შინაარსის კლასიკურ ილუსტრაციას ბიბლიაში პოულობდა. ბიბლიაში კი დემიოს ორგვარი აქცენტები შეინიშნება.<sup>10</sup> ეს არის დემიო ღვთისა და დემიო ადამიანისა.

ღვთის დემიოს საიდუმლოება ემანაიკის პირველ საფეხურს უკავშირდება. ვიდრე ადამიანი საერთოდ გაიგონებდა სიტყვას „სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა“ (იოანე, 1, 1), მაგრამ რჩეული პრედისტანციით ხორციელდება ღმერთთან კომუნიკაცია: „და იყო სიტყვა უფლისა ჩემდამო მეტყუელ“ (იერემია, 1, 5).

მაგრამ ქრისტიანულ მსოფლგანცდაში დემიოთ აღინიშნება არა მხოლოდ ღვთაების ერთი გარკვეული მდგომარეობა, არამედ სხვა სიმბოლური მნიშვნელობის მომქეტებიც.

დემიოთ გამოიხატება ღმერთის მრისხანება კაცობრიობის მიერ ჩადენილი ცოდვების გამო. ამიტომაცაა, რომ იგი აღარ მიმართავს ადამიანებს წინასწარმეტყველთა პირით.

ძველი აღთქმის მთელი პასაჟები გამსჭვალულია შემოთავაზების გრძნობით ღმერთის ამ დემიოს გამო (ეზეკიელი, 3, 26; ამბაკუმი, 1, 13). იგივე მომენტი არეკლილია იობის ლოცვაში (30, 20) და ფსალმუნის მავდრებელთა ბათოსში (ფსალმუნნი, 83, 2; 109, 1).

ბიბლიური თვალსაზრისით ღმერთის ეს დემიო არის სასჯელის ფორმა (ესაია 62, 11) და იგი ჰგავს ჯოჯოხეთის იმ დემიოს, როდესაც ისინი აღარ ელაპარაკებიან ურთიერთს. თუმცა ღმერთის გაბოროტება მაინც შეიცავს შეწყობების იმედს და რწმუნას მისი მოთმინების უსაზღვრობაზე. „და იგი განბოროტებისათვის არა აღიღებს პირსა თვისსა, ვითარცა ცხოვარი კლუდ მიმართ მიყევანა, და ვითარცა კრავი წინაშე მრისველისა თვისისა უხმი ეგვრთ არა აღიღებს პირსა თვისსა“ (ესაია, 57, 11).

„ჟამი დემიოსა და ჟამი მეტყველებისა“ (ეკლესიასტ 3, 7) მდგომარეობის ის ორი სახეა, რომელშიც ვლინდება ადამიანის მიმართება პიროვნული მყოფობის გზაზე.

მაგრამ „ჟამი დემიოსა“ არ არის ერთმნიშვნელოვანი ცნება. მასში იგულისხმება სხვადასხვა ვანწყობილებებისა და მდგომარეობის გამოვლინება. ზოგჯერ იგი ადამიანის ყოყმანის ფორმაა (აფიონი შესაქმეთა“, 24, 21), ან შიშის, ან სირცხვილის, შეცოდებათა გამო. ან თანხმობისა და სხვა. ადამიანის მეტყველებისა და დემიოს ხასიათს თვით ღმერთი განსაზღვრავს.

მაგრამ როდესაც ქვეყანას ღმერთი ევლინება, მაშინ სამყარო გათანგულია. „ხოლო უფროსი ტაძარსა შინა წმიდასა მისსა და შეკლულ იქმენინ პირისაგან მისისა ყოველი ქუეყანა“ (ამბაკუმი, 2, 20). ხოლო ადამიანი ამ დროს პატივისცემის თუ შიშის დემიოთ გამოხატავს მოკრძალებას (იერემია, 2, 10). როდესაც ზამა ღმერთმა იხილა ქრისტე, მისმა მოწაფეებმა ამ შეხვედრის საიდუმლოება დემიოთ დაფარეს. „და ხმა იყო ღრუბლით გამო. ესე არს ჩე ჩემი საყურარული, ამისი ისმინებ. და ესე რა იყო ხმა, იპოვა იესო მარტოა და მათ დაიდუმეს და არავის უთხრეს მათ ღმერთა შინა, რომელ იგი იხილეს (ლუკა, 9, 35—36).

ასეთია, კონკრეტულად, დემიოს ფუნქციონალური დატვირთვა ბიბლიის ფურცლებზე.

ბუნებრივია, რომ დემიოს ცნების შინაარსი თავის გამოძახილს პოულობს როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ მწერლობასა და ფილოსოფიაში. მის შესახებ მრავალი საგანგებო სტატია თუ ინფორმაცია არის თარგმნილი ქართულ ენაზე. პეტრიწის აზრით, დემიო არის უზუნაესი ერთისადმი, რომელიც თავისთავად დემიოა, პატივისცემის ნიშანი. „აჲ ესე ცხოველი და ვითარ ერთი ცხოველი ცაჲ ერთ და კეთილ და სამარადისოდ კეთლებს და ერთლებს თვსთა დაუწყუდეღელთა დენათა მიერ. რამეთუ სდევსო, ვითარ განცვიფრებული, სიკეთესა მის საინეტარო სიეთისასა, რომელსა ოდენ დემიომან პატრეს-ცა მოკლევითა თქმითათა.“<sup>11</sup>

ამ თვალსაზრისით უადრესად საყურადღებოა ი. პეტრიწის მიერ საგანგებოდ დაწერილი ერთი თავი „დემიოსათვის“ „სათნობათა კიბიდანა“.<sup>12</sup>

სავსილსხმო, რომ „სათნობათა კიბის“ XI თავი, რომელიც დემიოსადმი მიძღვნილი, ორჯერ უფრო აღმეტება იოანე სინელის „კლემაქსის“ ამავე სათაურთან ტექსტს.

„დემიო შეიტკე, შეიყვარე“ მიმართავს თავის მკითხველს პეტრიწი.

ავტორი ცდილობს გააღრმავოს დემიოს სათნობათა საზღვრები. ამ მიზნით იგი იმოწმებს როგორც ემპირიულ, ისე თეორიულ და ბიბლიურ მავალითებს.

პირველი პარაგრაფი წარმოადგენს აკროსტიხს, რომელშიც იკითხება სათური — „დემიოსათვის“.

პირველივე სტრიქონი წარმოადგენს დემიოს ანოლოგიას, როგორც გარკვეულ სულიერი მდგომარეობის გამოხატულებას.

11. ი. პეტრიწი, შრომები, თბილისი, 1937, ტ. 2, გვ. 46.

12. ი. პეტრიწი, სათნობათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბილისი, 1968, გვ. 194—196.

<sup>10</sup> Dictionary of Biblicae Teology, London, 1969 pg. 479.

„დუმბილი არცხუენს იესოსებრ მსაჯულთა“, — აცხადებს პეტრიწი. აქ პეტრიწი გულისხმობს მაცხოვრის გასამართლების ეპიზოდს, რომლის დროსაც ქრისტე დუმბილით გამოხატავდა თავის პროტესტს მსაჯულთა მიმართ. „და აღდგა მღვდელთ-მთავარი იგი შორის და ჰკითხა იესოს და ჰქუა: „არარას მიუგება, რასა ესე შეგწამებენ შენ?“ ხოლო იესო დუმბა და არარა მუჟო მათ“ (მარკოზი, 14, 16). და შემდეგ — „დღეს მღვდელთ-მთავარი იგი და მწიგნობარნი და განკრძალულად შეასმენდეს მას“ (ლუკა, 23, 11). დუმბილი, პეტრიწის აზრით, მეტყველებაზე მაღლა დგას.

შეზღუდვება, რომ ადამიანის მეტყველება, სიტყვა არ არის გონების ნაფიქრთა და ჰუმანიტარების გადმოცემის უციომბელი საშუალება, უძველესი თვალსაზრისია.

პეტრიწის აზრით: „დუმბა უმჯობეს მეტყველებისა... ვინაჲთჳან ცთომას შეუღღს მეტყველებასა, ხოლო დუმბილა არ არცხუენს ყოვლადვე“ („დუმბილისათვის“ XI, 103).

უფრო ქვემოთ კი აღნიშნულია:

„ვით წყლისა განტეხილისა ჰურჭლისაგან ძნელ, ეგრეთ განდრეილისა გონებისაგან პურობა ენისა, რაჲამს ოცნებათაგან შემდურეული მრავალთა დაუდგრომელად ვარდების მათ შინა“. („დუმბილისათვის“ XI, 110). მეტერლინკის საყოველთაოდ ცნობილი შენიშვნაც: „საკმარისია ავლაპარაკედეთ, რომ იღუმალმა ხმამ გვაუფროს საღდაც ღვეთების კარის მხებრვა“, უკავშირდება მეტყველების სწორედ ამგვარი შეუასების პრინციპს.

დუმბილის სხვადასხვა სათნობებათა შორის პეტრიწი საგანგებოდ გამოჰყოფს „მდუმარე ლოცვა ტუბილს“.

ამ თვალსაზრისით უადრესად საყურადღებოა სულხან საბა ორბელიანის ორი სამოძღვრო სიტყვა: „სწავლა ეკლესიასა შინა დუმბილისათვის“, „სწავლა ეკლესიასა შინა დუმბილისათვის“, მეორე“.<sup>13</sup>

მაგრამ აქ საგულისხმოა არა მხოლოდ ის, რომ ი. პეტრიწი, ისევე როგორც მოგვიანებით ს. საბა ორბელიანი, ეთიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში სცნობენ და აღიარებენ დუმბილის სათნობას; საგულისხმოა ისიც, რომ ამ შემთხვევაში ისინი გარკვეული მოძღვრების ტრადიციას ეხმარებიან.

ამ ტრადიციის ძირითადი პრინციპებისა და ხასიათის შესახებ მომდებარე თავში გვექნება საუბარი.

## V

აქამდე ჩვენ საუბარი გვეკონდა დუმბილის ცნებისა და მისი რაობის ინტენსივობაზე სხვადა-

სხვა მოძღვრებებში. მაგრამ მისი ასკეტურ-სეოლოგიური შინაარსი მეფილ შუა საუკუნეების გასწვრივ იხვეწებოდა და უციოდ რამავებას მხოლოდ XIV საუკუნის „ისიხასტებში“ პოულობს.

ისიხასტი ღუმვის, მდუმარეობის მიმდევარს ნიშნავს. ისიხასტი აღმოსავლეთის უძველესი სამონაზვნო მიმდინარეობაა. მისი არსი წმინდა მკურეტელითი გზით დუმბილი მინუსხული ადამიანის ღმერთთან ლოცვით შეერთებაში, გლინდება. ამ მიმართულების ერთი თავისებურება კიდევ ისაა, რომ იგი ემჩვენება სარწმუნოების იდეალთა ქმედითად განხორციელების სამონაზვნო საერთო საცხოვრებლების პრაქტიკას.

საქმე ისაა, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების გზა იყო არა მხოლოდ თეორიული და მორალურ-იდეოლოგიური, არამედ პრაქტიკულ-პოლიტიკური აქტი. გრანდიოზულ სამონასტრო მშენებლობათა წარმოების აუცილებლობამ წარმოიშვა დიდი სამეურნეო და პრაქტიკული პრობლემები. სამონაზვნო ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღის წესრიგში სულიერი ამოცანების ადგილი პრაქტიკულმა ამოცანებმა დაიკავა. ეკლესიის მესვეურთა სულიერ ცხოვრებაში რელიგიური მომენტი შეიზღუდა. ასეთი მომენტების განსაკუთრებულად გაამძაფრების პერიოდს უკავშირდება ისიხასტური მიმართულების ამოტივტივება.

ისიხასტში, უპირველეს ყოვლისა, საკითხი დაისვა „vita religiosa“-ს, (რელიგიური ცხოვრების) არსის შესახებ. თუ კათოლიკური სამყაროს წიაღში ჰუმანიტარული რელიგიური ცხოვრება, ქრისტეს მიბაძვა მხოლოდ მონაზვნურ ყოფაში ისახებოდა.<sup>14</sup> ისიხასტურ-მართლმადიდებელთა თვალსაზრისით, წინა პლანზე მორწმუნის სულიერი, დუმბილის გზით ღმერთთან ზიარების მომენტი იდგა.

ისიხასტის შორეული ტრადიციები უძველესი პატრიკების მონათხრობთა გარდა მინიშნებულია ანტონ დიდისა და მაკარი ეგვიპტელის (IV ს.), ნილი სინელისა და ნეტარ დიადოხოსის (V ს.), ისაკ სირიელისა (VI ს.) და ეკლესიის სხვა წმინდანების ასკეტური ხასიათის შრომებში. შემდეგში სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის, ნიკიტა სტოვატის (XI ს.) და სხვათა გზით ამ სულიერ მიმდინარეობას მიუყვართ ათონის მთის მართლმადიდებლური ეკლესიის ისიხასტებთან წმ. გრიგოლ პალამის (1296—1359) მეთაურობით.

სამონაზვნო საერთო საცხოვრებლების პრაქტიკა კი ამჟამად ზღუდავდა სულიერი მობილიზებისა და შინაგანი ჩადრმავეების შესაძლებლობებს. და რადგანაც თვით დუმბილი სულიერი

13. ს. საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. 3, თბილისი, 1969, გვ. 26—35.

<sup>14</sup> А. Гарнак. Сущность Христианское. Общая история Европейской культуры, т. V, стр. 69.





ცხოვრების უმაღლეს ფორმად იყო დასახული, განდევნობის ასკეტური იდეალი იზრება, როგორც შინაგანი სულიერი განდგომა, განწმობა ყოველდღიურობის მოფუსფუსე პრაქტიკისმიხედვით და არა როგორც უბრალო „გეოგრაფიული“ გადასახლება მონასტრის გარემოცვიდან უდაბნოში.<sup>15</sup> მაგრამ აქ უფრო არსებითი სხვა მომენტებია.

ყოველგვარი რელიგიური ცხოვრების არსა საბოლოოდ ერთ ფუნდამენტურ საწყისამდე შეიძლება იქნას დაწვრილები. ეს არის ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართების პრობლემა. მასში თავს იყრის ადამიანის მხრივ ღმერთის შემეცნების შესაძლებლობებისა და ამ შეცნების გზებთან გადაჯაჭვული საკითხები. აქ იგულისხმება ამ დამოკიდებულების ორპირი-ვობა ანუ მიმართება დამადებელსა და დაბადებულს შორის. აქედან ედება სათავე ასკეტურ გნოსეოლოგიურ ძიებებს.

ამ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი წმ. გრიგოლ პალამის სინხასტური მოძღვრება.

წმ. გრიგოლ პალამის აზრით ღმერთი ადამიანია გონებისათვის მიუწვდომელია, ხოლო ერთ გამოუთქმელი. ახალი და ორიგინალური აქ არაფერია. წმ. გრიგოლ პალამა უბრალოდ აქ იმერებს აპოფატეურ ღვთისმეტყველების მრწამსს და ძირითადად, ეყრდნობა წმ. გრიგოლ ნოსელისა და დიანიე არეოპაგელის შრომებს.

მაგრამ გონებით ღმერთის შეუცნობლობა, წმ. გრიგოლ პალამის აზრით, არ გვეშუქრება მისი სრული მიუწვდომლობის საშიშროებით. მისი არგუმენტები შემდეგ ლოგიკურ მსჯელობას ეყრდნობა: რადგანაც ღმერთმა ადამიანი შექმნა მსგავსად თვისისა, იგი არის ნივთიერ და არა ნივთიერ სამყაროთა ნაზავი. ამდენად, ის წარმოადგენს თავისებურ მიკროკოსმოსს, რომელიც ემბრიონალურად ჩაღვრილია მაკროკოსმოსის ანუ ღვთაებრიობის რაობაში. შესაბამისად, ადამიანის ბუნებაში ღვთის გონებით ღმერთთან ამაღლების ცეცხლი. მაგრამ „გონების ღმერთამდე ამაღლება და მასთან უშუალოდ საუბარი“ ხელეწიფება მხოლოდ ამ უმაღლესი მისისათვის საგანგებოდ მომზადებულ თუ განსწავლულ ადამიანს. ამ უზენაესი მიზნის მისაღწევი გზა გონიერად მდუმარე ლოცვისა და ღმერთისადმი სათანადო შენამსწავლელი სულის დამეტულობაში იკვეთება. აქ ადამიანი განიძარცვება მცოცავი ემპირიზმის საგნობრიობისაგან, ყველაფრისაგან, რაც წარმოველია და მდგომარეობა, როდესაც ადამიანი განათდება ღვთაების

შეკით. წმ. გრიგოლ პალამის მოძღვრებაში იწოდება ღმერთად ანუ სინხიად.

წმ. გრ. პალამა წერდა: „ღმერთი არის აზრისა და სამყაროს შეჩერება, დაიწყება სიდაბლისა, საადუმლო ცოდნა სიმაღლისა, გონების მიმართება მასზე უკეთესისაკენ; ეს არის ქვემარტივი ქმედება, ამაღლება ქვემარტივ ხედვამდე და ღმერთის ხილვა... ეს ჰერეტა განმრთელი სულის თვისებაა. ადამიანი განმრთობილია ღმერთის საშუალებით... რადგანაც მისი შემეცნობით რაღაცეგარად ვეხებით (ღვთაებრივს) ნეტარსა და შეუხებელ ბუნებას. და ამ სახით. წმინდა ღმერთის გზით განწყნდელი გულები. შერეული გამოუთქმელ შუქს, აღმატებულნი გრძნობასა და გონებაზე, ისე ხედავენ თავისთავში ღმერთს, როგორც სარკეში“.<sup>16</sup>

წმ. გრიგოლ პალამა ღმერთის ასკეტურ-გნოსეოლოგიური სპეციფიკის საილუსტრაციოდ მოიხმობს უაღრესად პოეტურ მაგალითსაც. მისი აზრით, ღმერთი, როგორც განხორციელებული სიტყვა, არის ღვთისშობლის ბავშვობიდანვე მდუმარე ლოცვის ნაყოფი. „რამეთუ მან, ერთადერთმა ყოველ ადამიანთა შორის ჩვილობიდანვე ასე ზებუნებრივად მდუმარემ, ერთმა ყოველთაგან, მამრუხებულად შვა ღმერთსაკებრივი სიტყვა“.

ამგვარად, ღვთისშობლის სახით, ღმერთი არაოლე პოულობს უმაღლეს განსეტყეებასა და გამართლებას, არამედ თავის ძალსაც აღმოაჩენს ადამიანის ღმერთთან შეერთების საქმეში.<sup>17</sup>

ღმერთისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭების შემდეგ, ცხადია, ყურადღება მიექცა მასში აღბუქილი არა მხოლოდ ეზოთერულ აქცენტებს, არამედ მისი გარეგნული გამოვლინების ფორმებსაც. დამუშავდა ღმერთით ლოცვის ფსიქოლოგიური და გარეგნული გამოხატულების ხერხები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სინხასტური მიმართლება წარმოიშვა როგორც თავისებური რეაქცია სასულიერო წრეებში არსებულ სულიერ მდგომარეობაზე. ამდენად, ცხადია, რომ იგი არც თავის მხრივ დარჩა ოპონენტთა ყურადღების მიღმა. განსაკუთრებული რისხვა ისიცაა კათოლიკური სამყაროს თეოსოფიამ დაატება. მისი უკმაყოფილო დღემდე, მოხმობილი იქნა პოლემიკის ყველა აკრძალული და აუკრძალავი იღეთი და სინხასტური თეორიის პრინციპები კათოლიკეთა თვალში სიცილისა და ირონიის საგნად აქციეს.

კათოლიკე რეცენზენტები, ამბობდნენ: მართ-

<sup>15</sup> Монах Василий (Кривошеин). Аскетическое и богословское учение св. Григория Паламы. (Сборник статей по археологии и византиноведению. Seminarium Kondakovianum, Praga, 1929, стр. 101.

<sup>16</sup> Монах Василий (Кривошейн). Аскетическое... стр. 115.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 115.

**პირობი პახჩილბაძე**  
 ღმერთის ცნება და ლიტერატურა



მადიდებელი ისიხასტები ფიქრობენ, რომ დუმილით ლოცვის დროს ადამიანი თავდახრილი უნდა იყოს ე. ი. მისჩერებოდეს საკუთარ ქიპს („ომფალოსსკოპია“). მათ აღბთა ჰგონიათ, რომ სული ქიპშია. აქედან დაედო საფუძველი ირონიულ გამოთქმას „ომფალფისხია“. იგი ძალიან ხშირადაა ირონიულად გაელვებული კათოლიკურ დასავლურ ლიტერატურაში და განსაკუთრებით ჯემს ჯოისის „ულისში“.

VI

1843 წელს დასავლური ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობის მამამთავარი აქვეყნებს ნაშრომს უცნაური ფსევდონიმით — „იოჰანეს დე სილენციო“. ნაშრომის სახელწოდება „შიში და ჟრუანტილი“. „სილენციო“ — დუმილია, „შიში და ჟრუანტილი“ კი ის ემოციებია, რომელსაც უძღვრეს სვეროს ზიარებულ კეშმარტების პირაშემული უფსკრულის წინაშე განიცდის. მისი რეაქცია დუმილში ვლინდება. ეს იყო კირკეგორის კვლევის საგანი.

საგულისხმოა, რომ კირკეგორის შრომებში მოცემულია დუმილის არა მხოლოდ შემფასებლობებით ბრინცივები, არამედ მისი განცდის ხასიათიც.

თუ გავითვალისწინებთ იმ შემავფოთებელ მასშტაბებს, როგორადაც ისახება თანამედროვე ადამიანის წინაშე საერთოდ ადამიანური კომუნიკაციის პრობლემა, გასაგებია ვახლება ის მნიშვნელობა, რაც დუმილს, როგორც კომუნიკაციის ფორმას, ეგზისტენციელიზმში მიენიჭა.

კ. იასპერსის აზრით, ადამიანის პიროვნების უფენდამენტურ საწყისებში, ისტორიულობისა და თავისუფლების გვერდით დგას კომუნიკაციის პრობლემა. მასში იასპერსი ორ ურთიერთგამომრიცხვე ფენას გამოყოფს. ერთის მხრივ, არსებობს ყოფის არაქეშმარიტი კომუნიკაციის ფორმები, ხოლო მეორეს მხრივ, ქეშმარიტი ანუ ეგზისტენციალური კომუნიკაცია.

არაქეშმარიტია ყოველგვარი კომუნიკაცია, რომელსაც ადამიანი სოციალურ გარემოსთან ამყარებს. მასში იგულისხმება ყოველგვარი სოციალური ინსტიტუტით განსაზღვრული ურთიერთობის ფორმები.

სოციალური კომუნიკაციის უსკერზე შინაგანად დარღვეული ადამიანი ილტუება, როგორც უსახო, უპიროვნო ერთეული.

ქეშმარიტი ანუ ეგზისტენციალური კომუნიკაცია არის ის ურთიერთობა, რომელსაც პიროვნებები ანბორციელბენ წმინდა ადამიანური საწყისების წინ წამოწევის საფუძველზე. ასეთი საწყისებია: სიყვარული, ნდობა, პატივისცემის გრანობა, დუმილი, მეგობრობა და სხვა, ანუ ყოველივე ის, რაც იზოლირებულია სოციალური აუცილებლობის დაწოლისაგან. მათ შორისაა დუმილიც, როგორც ქეშმარიტი, ეგზისტენციალური კომუნიკაციის ფორმა. ისევე

როგორც თავის დროზე ფრიდრიხ ნიცშე, რომელიც პერსი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს პამლეტის უკანასკნელი მონოლოგის სიტყვებს: („სხვა ყველაფერი არის დუმილი“). მისი აზრით, „დუმილი მეტყველების ქეშმარიტი საშუალებაა და მხოლოდ მას შესწევს დაღრმება, ვინცა იცის, თუ რა არის სიტყველი.“<sup>18</sup>

ჰაიდეგერთანაც ამიტომ არის „დუმილი საუბრის პროლოგი“. იგი გვევლინება, როგორც ქეშმარიტების წედომის, ისე ადამიანური ურთიერთობისა და ინსპირაციის უმაღლესი ფორმაც.

დუმილის ცნება ლიტერატურაში

I

„სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“. გაისმის პამლეტის ხმა ელსინორას ტერასაზე. გაივლის კიდევ მცირე ხანი და იგივე პამლეტი წარმოთქვამს: „The rest is silence“ („ყოველივე არის დუმილი“)

პამლეტი კაცობრიობის გახსნილი ჭრილობებისა და მუდმივი ტკივილების ექთა. იგი არსებობის საიდუმლოებათა პირაშემული უფსკრულისათვის თვალის შეუზოვრად გასწორებას შეეცადა. ამიტომ, რომ მისი მხატვრული და ფილოსოფიური სიმბოლიკა ამოუწურავი ქვეტექსტების შემცველია.

პამლეტის სულიერი ცხოვრება საიდუმლოობის წედომის განცლითაა დაღარული. აჩრდილას სახით მან შეხება არსებობის საშინელ, ირაციონალურ განზომილებას. იგი თვითონ მიმართავს ამ იდუმალ აჩრდილს, ისევე როგორც შეშედვეში ნ. ბარათაშვილი მომართავს თავის ხმა იდუმალს, რომ მან გააჩვიოს ადამიანები, ეს „ბუნების სეზახავნი“, ისეთ მოვლენებში, — რასაც ქუთა ვერ მოსწელობია?!

სთქვი, ეს რად არის, ან ჩვენ რა ექნათ, ან შენ რა გინდა?“ (I.IV)

მაგრამ ირაციონალური, ემპირიულობის მიღმა არსებული სინამდვილე საიდუმლოების ისეთი დალითაა აღბეჭდილი, რომ მისი გარღვევა მოკვდავი ადამიანის გულისყურისათვის ჭიუწედლობია. აჩრდილი მიმართავს პამლეტს:

და რომ შემეძლოს  
გადმოვცე ჩემის საყრობილის საიდუმლონი,  
მე გაიამბობდი ისეთ ამბავს, რომ ამ  
მოთხრობის  
უბრალო სიტყვაც გულსა და სისხლს  
გავგიყინებდა,  
გადმოგიყრიდა ორსავე თვალს თავის  
ბუდიდამ,  
ვით ცის მნათობნი მათ სვერიდამ ცვევიან  
ხოლმე.  
და შენსა ხშირსა, ხუჭუჭ თმასა მიაშვავსებდა

<sup>18</sup> K. Jaspers, Von der wahrheit, Bd., I, München, 1947, 34.



რისხით გულმოსულ ქვემარამ ზღარბის  
 აბურძნულ ეკლებს,  
 მაგრამ სისხლ-ხორკით ქმნილნი ყური ვერ  
 მიჰხვდებიან,  
 რაც ამბავია საუკუნო განსასვენებელს.

ჰამლეტის შინაგანი თვალი და ყური უკვე  
 მზადაა ამ საშინელ სფეროსთან საზიარებლად.  
 გაეხსენოთ მისი ფინალი.

ჰამლეტი სასიკვდილოდ არის დაკრილი. დად-  
 გა ჟამი სიცოცხლისა და სიკვდილის წამიერ გზა-  
 საყარზე დგომისა. ტრაგედია მთავრდება და  
 ჰამლეტში უკანასკნელად იელვებს არსებობის  
 საიდუმლოებათა დილემა, რომლის წვდომასაც  
 თვითონ შეეწირა. მან იგრძნო მისი გემო. ის  
 ბევრ სიახლეს გვეტყოდა აღამიანებს, მაგრამ  
 ცალი ფეხით ახლა უკვე მართლა სამარეშია.  
 ამის სათქმელად დრო აღარ არის.

**ჰამლეტი:**

ჟამი რომ მქონდეს... ოჰ, სიკვდილი მკაცრი  
 ყოფილა,  
 მსგავსი მქვივარე ციხის მცველის... მე  
 ვიამობდით...  
 მაგრამ დავეხსნათ... ჰორაციო, ცველები და მას  
 ვგთხოვ,  
 შენ იცოცხლე და შეასმინე ჩემზედ ნაღვილი,  
 ჩემი ამბავი უთხარ ყველას, ვინც კი  
 მოისმენს.  
 (V.2)

ჰამლეტის ტრაგედია აქ კიდევ იმით მძაფრდებ-  
 ბა, რომ იგი კვდება იმ დროს, როცა ყველა-  
 ფერი გაიგო, იცის, შეუძლია კიდევაც გვაუწყოს  
 ჭეშმარიტება, მაგრამ დრო აღარ არის.  
 იგი კვდება. მის შესახებ მხოლოდ ჰორაციოს  
 შეუძლია გვიამბოს, მაგრამ ტრაგედიის ამ მძლ-  
 ბარე მოწესს, სიცოცხლე მოსქულება.

**ჰორაციო:**

აბა, რას ბრძანებთ, კიდევ დარჩა ამ ფიალაში.  
 მე ძველს რომაელს უფრო ვგვარ, ვიდრე  
 დანიელს!  
 (V.2).

ჰამლეტი დაეინებით თხოვს მეგობარს იცო-  
 ცხლოს მისი სახელისა და ღირსების ხალხში  
 გასატანად. ფორტინბრასთან დაკავშირებით ჰო-  
 რაციოსათვის სხვადასხვა დავალებების მიცემის  
 შემდეგ, იგი წარმოთქვამს...

**ჰამლეტი:**

...ეს ასე უთხარ  
 და მიზეზებიც აუხსენ, მას რად ვამჯობინებ.  
 სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიჩუმე მხოლოდ.  
 (ჰკვდება). (V.2).

ვიდრე ამ მონოლოგის სიმბოლიკას შეეხე-  
 ბოდეთ, მკითხველს უნდა ვაუწყოთ, რომ ი. მა-  
 ჩაბელის თავისთავად გენიალურ თარგმანში, ამ  
 ადგილას უნებლოე შეცდომაა დაშვებული.

ჰამლეტის უკანასკნელი სიტყვებია არა „სხვა რაღა  
 დარჩა? საუკუნე სიჩუმე მხოლოდ“, არა-  
 მედ „The rest is silence“ ანუ „სხვა ყოველივე  
 არის დუმლილი“.

უფრო ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებ-  
 ლობა აღვენიშნა ის განსხვავება, რაც ჩვეუ-  
 ლებრივი მეტყველების თვალსაზრისით სინონი-  
 მურ დუმლისა და სიჩუმეს შორისაა და აქ მას-  
 ზე საუბარს აღარ გვაგვრძელებთ.

ამ სცენის სიმბოლიკასთან დაკავშირებით  
 სჯობია სიტყვა ისევ შექსპიროლოგს მივცეთ.

ლ. ვიგოტსკის შენიშვნით „ჰამლეტში“ გამოი-  
 ყოფა ორი პლანი. ესენია მისი: „სიტყვები, სი-  
 ტყვები, სიტყვები“, რომელშიც იფიქსირდება  
 ამავე, თხრობა, ფაბულის განვითარება მის  
 გარეგნულ გამოვლინებებში, რომლის შესახებაც  
 შეუძლია შემდეგში გვიამბოს ჰორაციომ და მე-  
 ორე — „სხვა ყოველივე არის დუმლილი“ ანუ  
 ის, რაც გამოუთქმელია, რაც მიუწვდომელია,  
 ირაციონალურის დალითაა აღბეჭდილი და რო-  
 გორც საიდუმლო, ჰამლეტს თან გაჰყვა სამა-  
 რეში.

დუმლილი ყოფიერების უფსკრულის, პირველ-  
 არსის საიდუმლოებასთან ზიარების ნიშანია...  
 საიდუმლოება დუმლის ამურითაა გარემოსი-  
 ლი.

ჰამლეტის მონოლოგის უკანასკნელი სიტყ-  
 ვები „The rest is silence“ დიდი რეზონანსით  
 განზიანდა არსებობისა და ჭეშმარიტების საი-  
 დუმლოებათა მიძიებლების სულში.

და მაინც დუმლის ცნებაში კონცენტრირე-  
 ბული შინაარსისადმი ინტერესის გამძაფრებაში  
 პირველობის გვირგვინი რომანტიკოსებს ეკუთ-  
 ვნით. ეს გასაგებია. რომანტიკოსები არსებო-  
 ბისა და საერთოდ, ყოფიერების პირველსაწყის-  
 სის, პირველმოზღვის წვდომის ამოცანებით იყ-  
 ვენენ შეპყრობილი და, ბუნებრივია, თუ ამ გზა-  
 ზე მათ დუმლის სიმბოლიკაც გაიტაცებდა.

საგულისხმოა, რომ ლიტერატურის ისტორი-  
 კოსები დასავლურ კულტურაში ამ ცნების ში-  
 ნაარსისადმი ინტერესის გამძაფრების მიზეზებს  
 უკავშირებენ ბუღიზმისა და, კერძოდ, ძენის.  
 მოძღვრებისადმი ევროპისა და ამერიკის დაინ-  
 ტერესების ფაქტსაც.

თავისებური საჭრესტომათიო ლექსია ტიტუ-  
 ჩევის „Silentium“.

„სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“ იქცა დუმ-  
 ლის ყოვლადობის ანტოთეზად. Мысль изуче-

Как сердцу высказать себя?  
 Другому как понять тебя?  
 Поймет ли он, чем ты живешь?  
 Мысль изреченная есть ложь.  
 Взрываая, возмутишь ключи, —  
 Питайся ими -- и молчи.

**ვიორგი ბანჩილაპე**  
 დუმლილის ცნება და ლიტერატურა





„სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“ იქცა დუმილის ყოვლადობის ანტითვხად. «Мысль изреченная есть ложь». ქეშმარიტება დუმილია, რადგან დუმილია თვით პირველსაწყისის მდგომარეობის ფორმა და ლუმილივეა მასთან ზიარების გზაც.

სიტყვით უქმარისობის გრძნობა გაჩნდა მაშინვე, როცა იგრძნეს, რომ ოვი აზრისა და გრძნობის გამოხატვის ფუნქციის სრულყოფილად ვერ ასრულებს. მას ვერ ხელეწიფება, ვერ ძალუძს ჩისი ფარული მიმოქცევებისა და რთული მნიშვნელობების დატევა.

აზრისა და სიტყვის სრული დამთხვევა არ ზორციელდება. სიტყვა არ არის საგნის არსის ნიშანი. ისევე როგორც აზრი არ წარმოადგენს სინამდვილის სრულ ასახვას, ასევე სიტყვა არ არის საგნის აბსოლუტური ხატი. ასე წარმოიშვა სიტყვისა და საგნის ურთიერთდაპირისპირების პრინციპი. ამ პრინციპის აბსოლუტიზირებამ მეორე უკიდურესობა წარმოიშვა, სიტყვის ადგილი დაიკავა დუმილმა, როგორც კომუნიკაციის უღრმესმა ფორმამ.

ეს კამათი „არ ახალია, ძველია“. ყველას ახლოს „გულივერის მოგზაურობა“. შეხედულება, რომ სიტყვა საგნის აბსოლუტური ხატია ლავადოს ქვეყანაში თურმე ასე იყო ვააზრებული. აქაურმა მეცნიერებმა, გვიამბობს გულივერი, რამდენიმე ლინგვისტური პროექტი წააბოყენეს. „მეორე პროექტი ითვალისწინებდა საერთოდ ყოველი სიტყვის გაუქმებას. ამ პროექტის ავტორი, ძირითადად ხაზს უსვამდა მის სარგებლობას განმრთვლობისა და დროის დაზოგვის საქმეში. ხომ ამჯერაა, რომ სიტყვების წარმოქმნა ღლის ყელსა და ფილტვებს, და შესაბამისად, ამოკლებს ჩვენს სიცოცხლეს და რამდენადღე სიტყვები სავანთა სახელწოდების არსს წარმოადგენს, გაცილებით უმჯობესია თან ვატარო ჩვენი აზრისა და სურვილების გამოსახატვად აუცილებელი ნივთები“. ასე ზურგზე სხვადასხვა ნივთებმოკიდებული დაიარებიან ლავადოს ბრძენნი, რომ საკუთარი აზრისა და გრძნობის სრული რეალიზაცია მოახდინონ.

სხვა იყო წუხილი რომანტიკოსებისა. ისინი პირველმოხეზის მიუწვდომლობის ექოს აღიქვამდნენ, როგორც დუმილის და დუმილის ცნებაც, ფარული ქეშმარიტების სიმბოლურ ხატთა მიხალთვის გრძნობით იმუხტებოდა. ნოვალისისათვის ეს იყო სწორედ ის მკრებლობითი ერთეული, „სადაც უხილავი სამყარო ხილულ სამყაროს ექსელდება“. ამიტომაც, რომ ადამიანმა არ უნდა დაკარგოს ირაციონალურის, მიუწვდომლისა და უხილავის შინაგანი წვდომის უნარი, თავისებური ორგანო, რომლითაც ეს სამყარო აღიქმება, რადგანაც დუმილის მოსამენად სწორედ ეს დამატებითი სულიერი ენერგია თუ ორგანოა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი კარგავს სამყაროს მთლიანობასთან ზიარებისა და კავშირის გრძნობას.

თომას ელიოტს თანამედროვე ადამიანს მარტივებს გზასაცდენილ არსებად უჩივრებდა და ეს იმიტომაც, რომ მან სხვა ეთიკურ და ინტელექტუალურ ფასეულობათა შორის დაკარგა დუმილის, ლოგოსის წვდომის სათნოება.

დაუსრულებელი ციკლა აზრთა და ქმედებათა დაუსრულებელი გამოკონებანი,

დაუსრულებელი ცდები. ისინი გვაძლევენ ცოდნას მოძრაობისას, მაგრამ არა სიმშვილისა, ცოდნას მეტყველებისა, მაგრამ არა

დუმილისა, ცოდნას სიტყვებისა და უცოდინარობას სიტყვისა.

ყოველგვარი ცოდნა გვაახლოვებს უცოდინარობასთან, ხოლო უცოდინარობა მიგვაახლოვებს

სიკვილითან, მაგრამ სიახლოვე სიკვილითან არ მიგვაახლოვებს ღმერთთან.

სად არის ცხოვრება, ჩვენ რომ სიცოცხლეში

დავკარგეთ? სად არის სიბრძნე, ჩვენ რომ შემეცნებაში

დავკარგეთ? სად არის შემეცნება, ჩვენ რომ ცნობებში

დავკარგეთ? ცის ეტლის ბრუნვამ ოცი საუკუნის

მანძილზე დაგვაშორა ღმერთს, მიგვაახლოვა სიკვილის.

ეს ბათოსი სავანებოდ არის გაღრმავებული ლიტერატურაში და განსაკუთრებით იმ მიმდინარეობაში, რომლებიც რომანტიზმთანაა დაკავშირებული.

რილკეს პოეზიაში დუმილი არის ადამიანთა ყველაზე ღრმა და ინტიმურ ურთიერთობაზე მდალადებელი მდგომარეობა. დუმილიში მოისმის მათი სულიერი ნათესაობისა და ურთიერთგრძნობის ექო. ამიტომაც, რომ მეგობართა და შორეულებსაც, მანძილის დისტანციასაც არა აქვს მნიშვნელობა. თუ ადამიანები შინაგანად გრძნობენ ერთმანეთს, ისინი სიტყვის გარეშე, დუმილში პოულობენ ერთმანეთთან შეხების წერტილს.

გავიხსენოთ მისი „სტანსები“ ტ. სილმანის რუსულ თარგმანში (ლექსი ეძღვნება პაულ ბეკერ-მოდერზონს).

Я с вами там, в вечернем освещении,  
И жизнь моя пылает и поет.

Я говорю, — но с прежним нет  
сравнения, —

Привычных слов утрачено значение,  
Так пусть мое молчание цветет.

Ведь песня — это многих душ  
молчанье,

Что из души единственной звучит.  
Вот с нами скрипка говорит, —



Мелодия расходитя из нас,  
 Но глубже всех скрипач молчит.  
 Я с вами, робко внемлющие, с вами...  
 Я одинок, но наша связь крепка.  
 Меня не украшайте именами —  
 Я с вами и без слов, издалека...  
 Так сад, лишенный свежести полей,  
 Таит слова далекой волной сказки  
 В тиши задумчивых далей...

შინაგანი სამყარო ისე იღვრება სივრცეში, როგორც ვიოლინოს სიმებიდან მომსკდარი მელოდია, მაგრამ გარეგნულად იგი ისევე ღუმს, როგორც ამ მელოდიათა გამოიშვები სული, ვისაც აქვს შინაგანი სმენა, ის იგრძნობს სიტყვებზე მალლა მდგომ ამ ღუმლის ენას.

არის "ქამი ღუმლისა და ქამი მტყველებისა" — შეასმენდა ადამიანს ეკლესიასტე. არის საგნები და მოვლენები, რომელთა შესახებაც სდუმან. ისინი სიტყვით არ გადმოიციემათ. ედგარ ლი მასტერსის ლექსში "ღუმლი" გვიოთხულობთ:

ღუმლთან მჭდარ ხეიბარს პატარა ბიჭი ეკითხება:

"როგორ დაკარგე, ბიძია, ფეხი?"  
 და ბებერი ჯარისკაცი ღუმს უცნაურად,  
 გულსყური საღდაც მიუბრბს,  
 მას უკვე აღარ შეუძლია გეტაცებურგე  
 დააკავოს გონება

და ჯარისკაცი ხუმრობით ეუბნება პატარას:

"დათვა წამუამ, ბიძიო, ფეხი."  
 ბუქს უყვირს, ხოლო ბებერი ჯარისკაცს უცებ თვალნათლივ ათვლდება  
 ქვემოხთა გრვეინვა, თოფები, ცეცხლი,  
 მოპაკედავთა კენესა და გმინვა  
 და თავის თავი მიწაზე გართხული.

იგი იქნებოდა დიდი ხელოვანი,  
 რომ შესწლებოდა გამოთქვა ყველაფერი ეს,  
 მაგრამ მაშინაც დაინახავდა სიღრმეებს,  
 ენით გამოუთქმელს.

არის დიდი სიმულვილის ღუმლი  
 და ღუმლი დიდი სიყვარულისა  
 და სულიერი სიმშვილის ღუმლი.

არის ღუმლი სულიერი შექიჩვებისა,  
 რომლისაგანც მოგერილი ტანჯვის წიად  
 თქვენი გონება-გამოუთქმელს რაკი

მისწვდება —  
 უმადლეს ცხოვრებას ეზიარება.

არის ღუმლი ღმერთებისა, რომელთაც

უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის.

და არის მკვდართა მღუმარება,  
 თუკი ჩვენ — ცოცხლებს, ძალა არ შეგვეწვეს  
 სიტყვით გამოთქვით ჩვენი სიცოცხლე.

რატომღა გვიკვირს, მიცვალბულნი  
 სიკვდილის გამო რომ არაფერს გვეუბნებიან?  
 მათი ღუმალი გასაგები გახდება ჩვენთვის,  
 როცა თვითონ მათ მივეახლებით.  
 (თარგმანი თ. ჩხენკელისა)

ბოეზია უხვალა დავალებული ღუმლის, როგორც სულიერი მდგომარეობისა და ინტუიტური ჰერეტის სიმბოლოდ ქვეული ცნების შინაარსისაგან. ამ ცნების შინაარსი კი, როგორც ვხედავთ, არ არის ერთგვაროვანი, უფრო სწორად, ის მრავალმნიშვნელოვანია. ამიტომაც ღუმლის სიმბოლიკა ართული და მკრებელობითი შინაარსის მომცველი. ამდენად, ამ ცნების შინაარსი, ზნირად სხვადასხვა აქცენტებით იტვირთება. რთული ჰერეტისტებისა და სიმბოლოების შემცველია ეს ცნება პოლ ვალერის ლექსში "მეგობრული ქალა". მოგვყავს ბ. ლიფშიციის რუსული თარგმანი.

Дорогою о чистых и прекрасных  
 Предметах мечтали мы, пока  
 Бок о бок двигались, в руках,  
 Безмолствуя.. среди цветов неясных.

Мы шли, боясь нарушить тишину,  
 Обручники, в ночи зеленой прерий  
 И разделили этот плод феерий,

Безумцы дружественную луну.  
 Затем во власть отдавшись запустению,  
 Мы умерли, окутанные тенью  
 Приветной рощи, ото всех вдали,

И в черном свете, за последней  
 гранью,

Друг друга плача снова обрели,  
 О милый мой товарищ по молчанию!

შინაგანი სიახლოვის განცდა აქ სწორედ ღუმლის სფეროში ხორციელდება. ღუმლივე არის განშორებულთა დისტანციის დაძლევის გზაც.

პოლ ვალერის ლექსში ქამთა სიავით შემსრული სიახლოვე ისევეა აღორძინებული ღუმლში მათი ხელშეორედ შეხების განცდით. ღუმლი აქ არის სიმბოლო უღრმესი სიახლოვისაც და შავი ფერი გაჩემოსილი სიკვდილისაც. მაგრამ სიკვდილი არა მხოლოდ შეწყვეტა სიახლოვისა, არამედ სახეცა განშორებულთა თავის წიაღში მიღებისა და ერთმანეთის მობოვებისა. განშორება დროებით და შეუირიგებელი.

II

ყველას ესმის ორი ხელის ტაშის ხმა.  
 როგორ მხმის ერთისა?

ეს არის ხაკუნის ოსიოს სტრიქონები. მასში აქცენტირებულია სმენის გამახვილება იმაზე, რაც ჩვეულებრივ არ აღქმება და ღუმლის უფსკრულშია დანთქმული. ეს სტრიქონები სელინჯერის 1953 წელს გამოცემული ნოველების ეპიგრაფად იქცა.

გიორგი გაჩეჩილაძე  
 ღუმლის ცნება და ლიტერატურა



დუმილი ადამიანთა შინაგანი კონტაქტებისა და კომუნიკაციის უფრო მეტყველო ფორმაა, ვიდრე სიტყვების კორიანტელი. ასე ფიქრობდა ამ ნოველების გმირი ბადიე, როცა თავისი უფროსი ძმისთვის საქორწინო მილოცვის მიზნით, განმარტების ნაცვლად ქალაქის სუფთა ფურცლის გაგზავნა გადაწყვიტა.

ხაყური ოსია მეთრამეტე საუკუნის პოეტი და ძენის მოძღვრების მიმდევარია. ამერიკულ ლიტერატურაში დუმის ნიუანსებისადმი ყურადღების გამახვილების ერთ-ერთ მიზეზად სპეციალისტებს დღეს სწორედ ძენის მოძღვრების პაპულარობა მიაჩნიათ.

დუმის ფენომენი სავანგებოდაა წარმოსახული ჰერმან ჰესეს საყოველთაოდ ცნობილ რომანში „მინის მიძევების თამაში“.

იოსებ კნეხტი, ქაბტალის აწინდელი მაგისტრი, სიკვდილის წინ მოიხმო მისმა პირველმა აღმზრდელმა. ღრმად მოხუცებულმა კნეხტი თავის ოთახში მიიღო და მასთან „წარმართა ყველაზე უცნაური და უჩვეულო საუბარი“. რაში გამოიხატებოდა ამ საუბრის უცნაურობა და უჩვეულობა? მოხუცი სტუმრა. კნეხტი გვიამბობს: „მისი შინაგანად ნათელი მღვმარებიდან, მისი მოთმინებიდან და სიმშვიდიდან რაღაც გადმომედო და უცაბედად გამეხსნა მზერა იმ გზასაყარისაკენ, რომელზეც მისმა ყოფამ გაიარა. ის გავიდა, ადამიანებიდან გადავიდა მღვმარებაში, სიტყვებიდან მუსიკისაკენ, აზრებიდან — პირველ ერთისაკენ. მიხვდი, რომ ღირსი შეიქმენ ხილვისა. ბოლოს და ბოლოს მიგზენდი ამ დღისადაც, მისი ამ ნათელის არსს. ჩემს წინაშე იდგა წმინდანი და მოძღვარი, რომელმაც ერთი საათით დამართო ნება მის სხივებში შეყვანებისა და მე კი, სულელი, ცედილობდი მის საუბარში აყოლიებას, ლაპარაკით გართობას. სამედნიეროდ, არცთუ გვიან ამეხილა თვალი. მას ხომ შეეძლო ჩემი მოშორება და სამუდამოდ უარყოფა, მაშინ მე დაეკარგავდი ყველაზე უჩვეულოსა და ამაღლებულს, რაც კი ოდესმე ცხოვრებაში განმიცდია.“

მოხუცთან საათი თუ საათნახევარი ვიჯექი და რაც ჩვენს შორის ხდებოდა ვერაფრით გადმომიცია. ოღონდაც არ თქმულა არც ერთი სიტყვა. მე მხოლოდ ის ვიგრძენი, რომ მან მიმიღო თავისი სიმშვიდისა და შუქის წილი და ორთაგენი გარემოსილი ვიყავით საოცარი სინაჟლით, მღვმარებით. ამ წუთებში მე შეგნებულად არ მიმიმართავს მედიტაციისათვის, მაგრამ ყოველივე ეს მიაგავდა ყველაზე უფრო გამართლებულ და გამაბედნიერებელ მედიტაციას, რომლის თემაც იყო მოხუცი მაგისტრის ცხოვრება“.

დუმის თავისებურ აპოლოგიას დასავლურ ლიტერატურაში ალბათ, მაინც ეგზიზტების „ციტადელი“ წარმოადგენს.

ეს არის ეგზიზტების უკანასკნელი, სიკვდილის

შემდეგ გამოქვეყნებული რომანი. „ციტადელი“ სიმბოლური სათაურია. ეს არის დედა-ციხე, ურყევი სიმბავე, ბურჯი. თითოეულმა ადამიანმა მხოლოდ სულის მყარი ბალავარის ჩადგმით შეიძლება დამკვიდროს კაცური ღირსება და სულის სიმშვიდე. ეს ციტადელი კი ეთიკურ დარბეულებათა ის ერთობლიობაა, რომელთა გარეშეც ადამიანს სულიერი ცხოვრება არ შეუძლია. ადამიანის მოთხოვნილება საკუთარი ქვეყნის, სისხლის, მოდგმის, წარსულის, ტრადიციების სიყვარული. საქირთა მათი მოვლა და შენარჩუნება, რადგანაც იგი ვერასოდეს ვერ გამშვენიერებს ტაძარს, თუ ყოველ წუთში თავიდან იწყებს მის შენებას.

ვინ შთაავნებს ადამიანს ამ სათნოებათა სადარაჯოზე უღრტივრეულ დგომას? ან ვინ ღაღადებს მოციქულთა პირთ? ეგზიზტის პასუხობს: „მე ჯიუტად მივიწვევდი ღმერთისაკენ, რათა მეეთხა მისთვის სავანთა არსის შესახებ. მაგრამ მათა მწვერვალზე ვიპოვე მხოლოდ გრანიტის უმიმდისი ლოდი და სწორად ის იყო ღმერთი“. ამრიგად, ღმერთთან ასე დაკავშირება არ შეიძლება, რადგანაც თავის წიაღში ასე მიმდებო, შემწყალებელი, ყველ ადამიანურ ტიპივლებზე მრავალრეგული ღმერთი უკვე აღარ არის ღმერთი. ის სხვა რამეა, ღმერთი დუმს. ჩვენი შევიცლებათა ეჭო არ აღწევს მის სძენამდე. და ამაშია მისი სიდიადე და მნიშვნელობა. გასაგნებელი, კონკრეტულად ხელშესახები, თვინიერი, გამკვინ და მოწყალე ღმერთი არ არსებობს. იგი თითოეულმა უნდა იპოვოს საკუთარ სულში. ამ ძიების გზა კი დუმილია. დუმილში ჩაღრმავების, სიტყვათა ქსოვილის მიღმა ჩანს ეს უხილავი სინაჟლე. ეს არის ადამიანთა მაკვირბეობა, სამყაროს დაშლილი და დაღარბული ფრაგმენტების უზენაეს მთლიანობაში განცდის წყარო.

„ციტადელში“ მუსიკალური ქორალოვით გაისმის ჰიმნი დუმისისადმი.

„მე ჰიმნს ვუძღვნი დუმისს... შენ, რომელიც მათა სიმაღლიდან ხსურები ქალაქს, შენს შევიცლებას და გრდელშთა გუგუნს. ყველაფერი ეს შეღამების ფიალაში ჩაკიდებულს...“

დუმილი ქალთა, რომელნიც მხოლოდ ხორცი არიან და რომლებშიც მწიფეს ხილი. დუმილი ქალთა, მათი მძიმე მუძუბით დაფარული. დუმილი ქალთა, რომელიც არის დღისა და ცხოვრების ყველა ამოებათა დუმილი, ცხოვრებისა, რომელიც არის დღეთა კონა. დუმილი ქალთა, რომელიც მარადი ადგილია — უწყვეტი. დუმილი, სადაც იქმნება ხელისაკენ მიმავალი ერთადერთი სრბოლა, სრბოლა, რომელიც საღდაც მიემზავრება. მას ესმის ბავშვის ხმა, რომელიც ღრტივანგს მის მუცელში. დუმილი — ადგილი შესანახი, რომელშიც ყველაფერი დავალი ჩემი ღირსებისა და სისხლისა. დუმილი მამაკისა, რომელიც იდაყვადყრდნობილია და





ფიქრობს და ამიერიდან გაუფლანგავად ღებულა და ქმნის აზრთა დერტის...

თვით ფიქრთა დუმილი. გულის დუმილი, გრძნობათა დუმილი, შინაგანი სიტყვის დუმილი, რადგან უყუთესია, თუ შენ იპოვი ღმერთს, რომელიც თავად დუმილია მარადისობაში, რადგან ყველაფერი ითქვა, ყველაფერი გაკეთდა.

ღმერთის დუმილი — ძილი მწყემსისა, რადგან არ არსებობს ძილი უფრო ტკბილი, მიუხედავად იმისა, რომ ბატონებს ელის საფრთხე.

ო. ღმერთო! დაე, ერთ დღეს, როცა მივივით აახამ შენს ქმნილებებს, გაუხსენი ჰომეოპათი ადამიანთა მოყვანე მოდგმას, ჩამწყრივე ისინი მარადიულ ფარეხში. და როცა ეპოი იქნება, გარდასულ სწულლებათაგან განსურნების მსგავსად, მოაშორე აზრი მის კიბხვებს.

მე მომეცა საშუალება მიგვედრილიყავე, რომ კაცობრივი წინსვლა არის თანმიმდევრული აღმოჩენა, რომ მის კიბხვებს არა აქვთ აზრი. მე მივმართე ჩვენს სწავლულებს და მათ ვერაფერი პასუხი გამეცა ჩემს შარშანდელ შეკითხვებზე. მაგრამ, ღმერთო, ისინი დღეს საკუთარ თავზე ხითხითებენ, რადგან ჰეშმარტება მათთან მივიდა, რადგან კიბხვა წაიშალა.

მე კარგად ვიცი, ღმერთო, რომ სიბრძნე არ არის პასუხი, არამედ არის განკურნება მეტყველების გადახრებიდან. მე ეს იმითან შემიტყვიან, ვისაც ერთმანეთი უყვართ და ფორთოხლის ბაღის დაბალ ყორეზე ფეხებგადაიდებულები სხედებიან ერთმანეთზე მხარშიბეჭენილი. მათ კარგად იციან, რომ არ მიუღიათ პასუხი თავიანთ გუშიდელ შეკითხვებზე. მაგრამ მე ვიცნობ სიყვარულს და ეს არის ის, როცა აღარავითარი კიბხვა აღარ არის დასმულ.

და ასე ერთიანად ერთმადე, დათრგუნული წინააღმდეგობიდან დათრგუნულ წინააღმდეგობამდე, მე მივიწეე წინ კიბხვათა დუმილისაკენ და ამ სახით ნეტარებიასკენ.

ო, მოლაყენო! თქვენი ესოდენ გააფუქეთ ადამიანი. უგუნური ის, ვისაც შენ მივლი აქვს ღმერთის პასუხისა. თუ იგი შენ მივლიებს და ვაკურნავს, მხოლოდ იმით, რომ ციბეცხლებიანივით წაშლის შენს კიბხვებს...

დუმილო! გემის ნავსაყუდლო, დუმილო აღრთმა, გემთა ნავსაყუდლოა. 19

ანდრე მორუა თავის „ლიტერატურულ პორტრეტებში“ ეგზოპერის ამ რომანს უწოდებს „მისტიური პერიოზმის უკანასკნელ სიტყვას“.

ღმერთი, როგორც არსთამირივე, ამ თვალსაზრისის მატარებელთათვის არის დღემარე ღმერთი. ეს არის მისი მყოფობისა და სიდიადის ერთერთი ნიშანი. მასთან ყოველგვარი გარიგება და ანგარიშიანი ვედრება გულისმობს ღმერთის დღის დაყვანას საქმონობის დონემდე.

მხოლოდ დუმილია მისდამი პატივისცემის ფორმაც და მისი წედომის გზაც. მარტა ადამიანური თვალსაზრისით კი „ღმერთის დუმილი არის მისი სახით უარყოფითი ნიშანი“. სხვათა შორის, ეს მომენტი სავანგებობა ხაზგასმული ბერგმანის ცნობილი ფილმის „დუმილი“ სცენარის წინასიტყვაობაში.

ამ სახით გამოიყურება, ზოგადად, უტყუარ მწერლობის ფონზე დუმილის მეტაფიზიკა.

**დუმილის ცნება პართულ მწერლობაში 20**

I

რუსთაველის სიტყვები: „მსგავსი ყოველი მსგავსა შობს“ უშუალო გამოაზილია ემპედოკლეს ცნობილი მაქსიმისა: „მსგავსი შეიმეცნება მსგავსით“. მაგრამ თვით ამ თვალსაზრისის კედე უფრო შორეულ ტრადიციებში აქვს ფესვი გადვლული. დუმილის შეწყვილება მარადისობისა და პირველარის წედომის გზასთან სწორედ ასეთი თვალსაზრისიდან საზრდოობს. მისი ლოგიკაც იგივეა, „მსგავსი შეიმეცნება მსგავსით“, ანუ თუ ჰეშმარტებისა და უზენაესი ინსტანციის მდგომარეობის ფორმა არის დუმილი, მისი წედომის ფორმაც დუმილი ვლინდება.

ბიბლიის შეგონება, რომ „უგუნური განმარაგებს სიტყუათა“ სიბრძნის დუმილთან დაკავშირების გამოაზილია. გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესავალშივე აღნიშნავს, რომ „აჲ, სულენი, სიბრძნისმეტველეობენ და ბრძენთა აღირჩიეს დუმილით“. ეს მომენტი საერთოა ყველა დროისა და მიმართულების მისტიკოსათვის. ბო ძიუსი, ტანის ეპოქის ჩინელ პოეტსაც, იგივე მოუღმენია ლაო ძისაგან: „ვიცნო ლაპარაკობს, არაა ბრძენი, ბრძენი ხომ დუმი.“

ამიტომ, რომ თავისებურად იბოლოშებს მერჩულეც მეო, — ამბობს ის, „სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკულთაგანებამ ჩემი არ

20 სამწუხაროდ, ქართული მწერლობის თვალსაზრისით ეს ცნება ჯერ არ ქცეულა დაკვირვების საგნად. ვაკვრით მას მხოლოდ ერთხელ შეეხო აყად. კ. კეკელიძე სტატიაში: „შემოქმედებითი პროცესი ძველ ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით“. მაგრამ, ავტორთა სრულიად სხვა ინტერესების გამო დუმილის ცნების ექო ქართულ მწერლობაში, მისი ისტორიის, გენეზისის, მნიშვნელობისა და სიმბოლიკის ხასიათი, ყურადღების გარეშე დარჩა. იხ. რ. სირაძე, „კ. კეკელიძე და ძველი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების საკითხები“, „ცისკარი“, 1969, № 10.

19 „ციტადელიდან“, თარგმან ეკუთვნის ი. ხუბაძეს.

**გიორგი ბაჩანიასკი**  
დუმილის ცნება და ლიტერატურა



მიფლობს დღემოდ და ზოგს არა მე უმჯობესად შემირაცხვის „რათა ვიტყოდით“...

ფეხისტყაოსანში არის ასეთი ეპიზოდი. გულანშაროში მოხვედრილი ნესტანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. გადატანილი ხიფათის შემდეგ იგი ახალი უბედურების წინაშე დგება. მაგრამ იგი უკვე ხედვის სრულიად სხვა, სიბრძნით შეწონასწორებული კუთხიდან აღიქვამს აღმართულ უბედურებისა და პირ-ვარამთა დაუსრულებელ მონაცვლეობას. მისი მდგომარეობით შეეუბნებულ ფატმანს იქით ამშვიდებს ნესტანი. საქმე იმაშია, რომ ფატმანის საიდუმლოება გასცა პუსენმა და ნესტანი გულანშაროს მეფის პირისპირ დააყენეს. ნესტანისათვის ეს იყო ახალი სასურველი და ისევე როგორც მსჯავრდების შემს იესო „დღუნმა და არაა მიუგო მათ“ (მარკოზი, 14, 16), მეფის წინაშე მდგარი ნესტანიც „არას მოუბარია“ (1178, 4) და შეეითხებებუ —

მან არა გასცა პასუხი პირითა, მზისა დარითა, თავ-მოდრეკილი დადრეკით ქვე ზის ცნობითა წყნარითა“ (1181, 3, 4).

ნესტანის ქცევისა და მდგომარეობის ხასიათით გაოცებული მეფე ასკვნის:

ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხელი,  
 არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ქირი ზედას-ზელი,  
 ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედო,  
 სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითარ ტრედი. (1184)

ნესტანის დემილი მისი სიბრძნის, მისი გონების ყველა მოკვდავისათვის ნაკლებად მისაწვდომ სფეროებთან შეხმიანების ფორმაა.

II

მსოფლიო პოეზიაში ძნელად დაიძებნება მეორე ისეთი ლირიკული ნაწარმოები, რომელშიც იდუმალების ატმოსფერო განცდილი იყოს ისეთი სიმძაფრითა და შინაგანი სამყაროს შემარყველი ძალით, როგორც ნ. ბარათაშვილის შედედერში „ხმა იდუმალი“. ამ ლექსში განცდილია დემილში გამოვლენილი უცნაური შთაგონება, შეხმიანება უხილავ, მაინსპირებელ ძალასთან.

ლექსის პირველივე სტრიქონი იმ გაოცებისა და გაკვირვების მაუწყებელია, რომელსაც იწვევს უხილავი ხმის შეგრძნება.

„ვისი ხმა არის ეს საკვირველი?“

ეს ხმა განუყრელად, მოუცილებლად ადევნებია აღმართის არსებას.

ეს არის შემადარწუნებელი ხმა, რომელიც აშკარად ისმის და განიცდება, მაგრამ უხილავია და არა ჩანს, ვინ ან რა არის მისი წყარო, მისი გამოამყვამი. ამ ხმაში იგრძნობა ბრძანების, გან-

მარტების, დამრიგებლურ ინსპირაციულ დაზარდლი ტონი.

რა ვსცან პირველად წუთისოფელი

მას აქეთ ხმა რამ თან სდეგს ყოველთა ჩემთა ზრახვათა და საწაფელთა!  
 ცხადად თუ სიზმრად მე იგი მარად სულ ერთსა მიწერთის გულისა ქირად:  
 „ეძიე, ყრამო, შენ. მხვედრი შენი, ვინძლო იპოვო შენი საშენნი!“

ამ ხმის საიდუმლოების წვდომა ქეშმარიტებასთან ზიარებაა. იგი სულიერი ცხოვრების უზენაესი ამოცანაა. იგი იქცევა ისეთ ვენებად, რომლის წინაშეც მართალდება ყველა აღმართული მისწრაფება. აღმართული უღრტნიველად, ანგარიშმიუცემლად დგება თვით არსებობისა და ზნეობის მსხვერპლად გაღების გზაზეც. ოღონდ ამ ქეშმარტებებს ეზიაროს, ოღონდ მისი საიდუმლოება განიცადოს. ეს პათოსი ასეა განცდილი „ხმა იდუმალში“.

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,  
 ან თუ ეშმაკი, მაღდური ჩემი?  
 ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ სიცოცხლეს ჩემსა რას განუზადებ?  
 როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,  
 როს მხედეს ამ ქვეყნად ჩემი წილობა?..

ეს მომენტი ბარათაშვილის მსოფლშეგრძნების ფუნდამენტურ შრეებს უკავშირდება. როგორც სულიერი ცხოვრების კოლიზია, „ხმა იდუმალის“ ეს პათოსი უშუალოდ ეხმიანება შექსპირის „ჰამლეტის“ და გოეთეს „ფაუსტის“ ანალოგიურ პასაჟებს (გაიხსენოთ არდილიან შეხვედრის სცენა და მონოლოგი „ჰამლეტში“ (1, 4) ან ხმა იდუმალის გამოწვევა გოეთეს „ფაუსტის“ პირველ ნაწილში და თავისებური ხელშეკრულება.

ნ. ბარათაშვილმა, ისევე როგორც შექსპირის ჰამლეტმა, იცის რომ ირაციონალური, ემპირიულობის მიღმა არსებული სფერო დაფარულია და მიუწვდომელია ჩვეულებრივი თვალ-ყურისათვის. „შეშოლამებაში“... ამიტომაც გაისმის კი-ეშინაინ სიტყვები:

— მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდაენი განგებას ციურსა!..

ამიტომ დაადგა მაგიის გზას ფაუსტიც. იმავე ტიკივლს გამოხატავდა ჰამლეტი, როცა იგრძნო, რომ ამ საიდუმლოებას „ბუნების გლახკითა... ქუთა ვერ მისწვდომია“ (I, IV). აკი იგივე გაუმეორა არდილიან, რომ მას:

სისხლ-ხორციით ქმნილინი ყურნი ვერ მახვდებიან (I, IV).

მაგრამ ის, ვინც ერთხელ უკვე შედგა არსებობის ამ საიდუმლოებათა წვდომის გზაზე, ვისა შინაგანი მზერაც მთლიანად მოიხსნა მის სავერტელად, იცის რომ:



არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთ და უსუ-  
ლოთ შორის.

და უცხოველს სხვათა ენათა არს მნიშვნე-  
ლობა მათის საუბრის!

ეს არის დუმოლის ენა, „მეტყველი უმეტყვე-  
ლობა“, ენა, რომელიც გონის გაცილებით ღრმა  
შრებებს უკავშირდება, ვიდრე მკვივრებტყველ-  
ბის მთელი ფეიერვერკი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ სასენ-  
ბით ბუნებრივი და მოსალოდნელიც უნდა ყო-  
ფილიყო ბარათაშვილის მსოფლგანცდაში დუ-  
მოლის მდგომარეობის გრძნობა მოგვეცინებო-  
და იღუმელი ხმის წვდომის ფორმად. ასეცაა.  
ეს მომენტიც ყველაზე რელიეფურად გამოიკვე-  
თა ისეთ ლირიკულ შედეგში, როგორცაა  
„ჩემი ლოცვა“.

ეს არის ღმერთის, უზენაესი ინსტანციის პი-  
რისპირ დგომის განცდა. ეს არის ისეთი ლოცვა,  
სულის დადასის, როდესაც ყველაზე ღრმა და  
მნიშვნელოვანი სიტყვა, სათქმელი თავის სრულ-  
ყოფელ გამოხატულებას მხოლოდ დუმოლში  
პოულობს.

გულთა მხილავო, ცხად არს შენდა გულისა  
სიღრმე:  
შენ უწინარეს ჩემსა უწყვი, რაც ეიზრახო მე,  
და — ჩემთა ბავთ რაღა დაუშთ შენდა  
სათქმელად?  
მაშა დუმოლიც მიმითვალე შენდამი  
ლოცვად. 21

ამ ლექსში არ არის რომანტიკული ვედრება  
ამქვეყნიური ბედნიერებისა და სიამის მოპოე-  
ბაზე. აქ ვედრებაა მოწამებრივი სათნოების  
ფლობის უნარზე. ეგზოპერი „ციტადელში“  
წერდა: „ჩემს სიცოცხლეში პირველად მივხვდი,  
რომ ლოცვის სიღრმედ უპირველესად იმაში  
მდგომარეობს, რომ იგი ვერ პოულობს გამო-  
ძახისს. რომ ეს მიმართება მორწმუნისა და  
ღმერთისა არ იჩრდილება უმსგავსო გარიგებით.  
ლოცვის გაცეითილი — დუმოლის გაცეითილია.  
და სიყვარულიც მაშინ იბადება, როდესაც უკვე  
ადარ ელიან დასაჩქარებას. სიყვარული, უპირ-  
ველესად, ლოცვაში ვარჯიშია, ხოლო ლოცვა-  
დუმოლში ვარჯიში“.

III

„მამულის სიტყვას მამულიშვილი ყურს  
უდგებს განა მარტო  
ყურითა-გულთთაცა, რომლისთვისაც  
დუმოლიც გასაგონია“.  
ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილები“

21 ე. ბარათაშვილის ამ სტრიქონისა და შავთე-  
ლის „აბულმესიანის“ 108 სტროფის (ჩემგან  
დუმოლი თვით მიითვალეთ)—მსგავსებაზე პირვე-  
ლად ყურადღება გაამახვილა აკაკი გაწერელიამ.  
რჩეული ნაწერები ტ. II, გვ. 165.

ბიბლიური ლეგენდის მიხედვით ეგვიპტოლან  
ლტოლვილი მოსე, მაცვლოვანში მწყემსავდ  
ცხვრის ფარას, როდესაც მოესმა ჭეშმარიტების  
მაუწყებელი ღმერთის ხმა ისრაელის დაკინე-  
ბისა და განადგურების ქაშის შესახებ („გამოს-  
ვლათა“). ისრაელის მკვიდრნი სულით, ზნეობით  
დაეცნენ, დაკარგეს რწმენა და ერის ხვედრზე  
ზრუნვის უნარი. მოსეს, როგორც ამიერიდან  
წინასწარმეტყველს, ისრაელის ეროვნული ამო-  
ცინები ეუწყება და იგი იმიტომ ლაპარაკობს  
ღმერთთან, რომ სწორედ ის უნდა წარუძღვს  
ერს მონობის უღლიდან გამოსახსნელად.

ღმერთის გამოცხადების განცდა და მოსეს მი-  
ერ ღმერთის ხოლვა, როგორც უზენაესი ინსპი-  
რაციით ერის ამოცანების გამოხატვა უაღრესად  
საგულისხმო ექოდ გაისმის ილია ჭავჭავაძის  
პიროვნულ თვისებებსა და შემოქმედებაში. ეს  
ანალოგია, გარეგნულად, ჭერ კიდევ ილიას  
„პოეტშია“ სავრწნობი. გავისხვით:

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარუძღვე წინა ერსა.

ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, უმთავრესი  
ეჭვი, რომელიც ღვთაების ინსპირაციის მიუხე-  
დავად, მოსეს დაებადა, იყო თვით მისივე  
ხალხის უნდობლობა. ერი დაუჯერებდა, გაუ-  
გებდა და გაპყვებოდა მოსეს იმ ამოცანების  
განხორციელებაში, რომელსაც ღმერთი მს  
ავალებდა? აი, ის მტანჯელი კითხვა, რომელიც  
სრულიად ჭაბუკ ილიას „მგზავრის წერილების  
მიხედვით“ მონობის უღელში შემხულ სამშობ-  
ლოში დაბრუნების ქაშს დაჰბადებდა. ეს იყო  
ქართველი ერის ამ ჭეშმარიტი მესიის გულწრ-  
ფელი წუხილი; და პიროვნული ბედი ერის  
ბედთან გადაჯავრის განცდა, როგორც ღმერთ-  
თან დიალოგის გზა, ცხადია, არც ადვილი პოე-  
ტური თქმა იყო და არც ადვილად სატვირთე-  
ბელი ამოცანა.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა  
ქართველი ერის ისტორიული და ეროვნულა  
საზრისის ისეთი საპირფარეო ძეგლი, როგორი-  
ცაა „აჩრდილი“.

„აჩრდილი“ მრავალწახანგოვანი და შინაარ-  
სობლივად მრავალპლანინი ნაწარმოებია. ამი-  
ტომბა, რომ იგი იძარცვება და სამუდამოდ გა-  
ღარბებულად გამოიყურება, როდესაც ყურად-  
ღებას ამახვილებენ მის მხოლოდ პუბლიცისტურ  
პათოსზე. საქრესტომათიო დებულებებს ღო-  
ნემდე დაყვანილი „აჩრდილი“ იძარცვება უმ-  
დიდრესი სულიერი, მხატვრული და იდეური  
ანტირეჟისაგან.

ამ ნაწარმოების განცდა და წვდომა საჭიროა  
მისი კომპოზიციური და შინაარსობლივი გრან-  
დიოზულობის მთლიანობაში.

გიორგი ზაჩაჩილაძე  
დუმოლის ცნება და ლიტერატურა





სამწუხაროდ, „აჩრდილის“ შესახებ დაწერილ გამოკვლევებში ნაწარმოების მხატვრულ-კომპოზიციური მოდელი, და მისი ასოციაციური ქვეტექსტები უგულვებელყოფილია. ძირითადად, ყურადღება მის პუბლიცისტურ პათოსზე მხვდებოდა. მაგრამ როგორია „აჩრდილის“ მხატვრულ-კომპოზიციური მოდელი? ირკვევა, რომ იგი დემილის მეტაფიზიკას ეყრდნობა.

„აჩრდილი“ ღმერთის უზენაესი ინსტანციის პირისპირ ქართველი კაცის დგომისა და მასთან „დილოგის“ გადმოცემაა. ამ დილოგის ერთ-ერთი პირობა კი დემილია.

პოემის ექსპოზიციის წარმოადგენს ბუნების გრანდიოზული მისტერიული აქტის აღწერას; ეს არის ღამისა და დღის განწევლების მომდევნო სურათი, როდესაც სიბნელიდან ამოზიდული მზე გარკვეულობას უბრუნებს საცნებს.

აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი, ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ, იგივე დიადი, იგივე მყინვარი, იგივე დიდებულ და დაღუპებულ.

„აჩრდილის“ მეორე თავი უკვე სამყაროს დემილით მოცულ სურათს გვიხატავს. სამყარო დემილით გამოხატავს უზენაესისადმი პატივიცემისა და მასთან კომუნიკაციის გრძნობას.

ქვეყანაც იყო დაღუპებულა, თითქო დემილით ყურს უდღებს ცასა და ცაც უღრუბლო და მხიარული გადმოადგენდა მადლს ქვეყანასა.

მომდევნო სტრიქონები წარმოადგენს უაღრესად საგულისხმო მომენტს მიკრო და მაკრო სამყაროთა ერთიანობის გრძნობაში დაქვევებისა. „უნდო გონება“ სკეპსისის ელფერით მოსავს მთლიანობის ამ განცდას.

ხოლო კი ჩემი უნდო გონება არ მოიხიბლა ამ დილითაცა...

„ნუ გეჩრსო, — მითხრა — ეს მყუდროება სტყუისო ზეცაც და ქვეყანაც! ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს ბევრჯერ სხვა დროსაც ვასტუნებია, მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს. მადლი ცისა არ მიჰკარებია.

სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰკარნობ...

ქვეყნის დრტიკენვაა დაუქმინარი, დღით მაგ ჩააკვირდი მის დემილს და სცნობ, — თვით მაგ დემილში რა წყევლა არი!“

„დემილში რა წყევლა არი“ — უნდო გონების სიტყვებია, მაგრამ მასში ნათლადა აქცენტირებული ფარული ქეშმარიტების წვდომის სიმძიმე.

პოემის მესამე თავი უკვე მიკრო და მაკრო სამყაროთა შინაგანი ერთიანობის გრძნობითაა აღმართული. ადამიანი გრძნობს უხილავ კავშირს მთელ კოსმიურ მთლიანობასთან. სახეზეა უმაღლესი ჰარმონიის გრძნობა.

დემილში ჩაღრმავებული ადამიანისკენ ნაგანად იხსნება ყოფიერების საიდუმლო გარემოსილი სურათი. მის აეხილება შინაგანი თვალთამჯერა, ესმის „იღუმელი ხმა“.

გადმომეღვინა ყოვლად შემძლები ქვეყნისა ამის სიყუთის რწმენა, აღმიფრთოვანა მან ოცნებები და განმიწმინდა ხედვა და სმენა. მეწვიენენ იგი უცხო ხილვანი, საესენი ლხენით, ნეტარებითა, რომელთაც წარაქტო ცათ გულისთქმანი საიდუმლობის მაკდურბოთია.

მაგრამ რისი მომასწავებელია უცხო ხილვის წვევა? ეს არის უზენაეს ინსტანციასთან ადამიანის კომუნიკაციის განცდა. ინდური ფილოსოფიის ჯერ კიდევ ვედურ პერიოდში მიუთითებდნენ, რომ ამ დროს „ზიარებული ხედვას ოქროსფერ შემოქმედს, ყოვლისმპყრობელს ბურუშას (სამყაროს სული, ზეცაც-ი. გ.) ბრამანის წყაროს და კეთილისა და ბოროტისაგან განტვირთული იგი ყველგვეს აერთიანებს უზენაეს განუყოფელ საწყისში“ (მაიტრა, VI, სმ).<sup>22</sup> „აჩრდილშიც“ უცხო ხილვის წვევა უშუალოდ გვირგვინებს ამ ზეცაცის მარადიული სულის საწყისთან ზიარებით. მეოთხე თავი იწყება პირდაპირ მისი მოვლინების სურათით:

და მომეღვინა მე კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი მოხუცებული, ვითა ქვეყანა — ისე იყო მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული.

ეს არის ზიარებულის სულიერი მობილზაციის უმაღლესი საფეხური. ამ დროს მოვლენილ „დიდ კაცს“, „აჩრდილში“ ენიჭება იგივე მნიშვნელობა, რაც მამის აჩრდილთან შეხვედრას „ჰამელტში“, ან იღუმელი ხმის საწყისის გოეთეს „ფაუსტსა“ და ბარათაშვილის პოეზიაში. ვინ არის „დიდი კაცი“? პასუხად ამ შეკითხვაზე უმაღლე გაისმის „იმა მოხუცის დიდებული ხმა“.

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა! მე ვარო შენი თანამდევო, უკვდავი სული.

ეს არის ქართველი ერის ისტორიული საზარისის მატარებელი სული.

ილია ქაჭავაძე უშუალოდ გვაზიარებს ერის ისტორიულ საზარისს, მის ამოცანებს. მაგრამ როგორც „თანამდევო, უკვდავი სული“, იგი უხილავია, მიუწვდომელია. მისი ხილვა და წვდომა მხოლოდ დემილის გზით ზიარებულის ხედვარია. თავის უხილველობას თვითონ უსვამს ხაზს მოხუცი. XVI თავში ქართველი ერის უღრტე-

<sup>22</sup> Антология мировой философии, т., I, ч. 1, М., 1969, стр. 88.



ინველ, მოჩვენებითი კმაყოფილებით აღსავსე გონს მოკლებულ ცხოვრებას — მე უხილავი ყურსა ვუგდებდიო — ამბობს იგი. იგი უხილავია, რადგანაც იგია, საზრისი, გონი, იდეა; იგი მიზნის მპყრობელია, ხოლო ქართველთა გონებრივი ცხოვრება მოკლებულია მსგავსი შთაგონების პათოსს.

მაგრამ კი, ვფიქვავ ქართლის სახელსა, მათს აზრში აზრსა მე ვერ ვბოვებდი, — გვეუბნება მოხუცი. ამიტომაც, რომ საზრისთან „თანამდეგ უკვდავ სულთან“ ზიარება ძალუქს მხოლოდ მას, ვინც თავადაა აღბეჭდილი საზრისისა და „თანამდეგი უკვდავი სულის“ დადით. სხვებისათვის იგი დაფარული, მიუწვდომელი და უხილავია.

ისევე როგორც ბიბლიური მოსე ღმერთისაგან ეღებს მცნებას ერის ისტორიული საზრისის განსახორციელებლად, ან ჰამლეტი ეზიარება აჩრდილის საიდუმლოებას, ხოლო გოეთეს ფაუსტი იღუმელი ხმას გზით წვდება ქეშპარატების არსს, ილია ჭავჭავაძის „აჩრდილშიც“ ამ ეპიზოდთან იწყება ერის ცხოვრების საზრისთან ზიარება.

„ღიდი კაც“ საქართველოს „უკვდავი სული“ წვდება ერის ისტორიული ცხოვრების საზრისს და მიზნის უღელში მყოფ ქართველ კაცს აზიარებს ეროვნული ცხოვრების ამოცანებს.

ერთ დროს ქართველ ერსაც ჰგენია „ქვეყნის მადლი — თავისუფლება“. ახლა მისი ვალია ეხმაროს „ზოგადს მცხოვრებას“ და „მცნების ნათლით“ შთავონებულმა განუკურთოს „საზოგადო ცხოვრების ღენა“.

„აჩრდილის“ მერვე თავიდან ოცდამეოთხე თავამდე ვაღმოცემულია ერის ისტორიული და ზნეობრივი ამოცანების ხასიათი.

XV თავში დედამიწის ხმაური არღვევს დუმლის ატმოსფეროში განხორციელებულ კომუნიკაციას ერის „უკვდავ სულთან“.

და მყის ბუნების წმინდი დუმილი ბნელ ჯოჯოხეთად გადაქცეოდა... მაშინ შევხვედ მყინვარსა მძლავრსა... დიდხანს ვეძებდი იმ მოხუც კაცსა, მაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს ვერ გაატანა თვალმა უძლურმა... „ნუთუ გათვდა ამით ხილვა ეს!“ — შემოამტირა მე მწუხარე გულმა.

რამდენადაც ამ „უკვდავ სულთან“ ზიარება არის სულიერი ცხოვრების უნეტარესი წუთები. იმდენად უფრო შემამრწუნებელია მისთან განუორების განცდა.

„აჩრდილშიც“ იგივე გრძნობაა განცდილი, მაგრამ „შვიების მომფენელი“ შუქი ბოლოს ისევე იელვებს — და მზისა სხვიით გაბრწყინებული კვლავ დავიხანებ მოხუცებულს.

მომდევნო XXXI თავი მისი ვერბრება: „ღე დავ ღვთისაი! ეს ქვეყანა შენი ხვედრია“.

„აჩრდილი“ მთავრდება ამ ჩვენების სიღაღამსა და მნიშვნელობის ამოლოგიით.

ასეთია ის უმაღლესი სპირიტუალისტური საწყისები, რომლის შუქზეც პოეტმა ერის ისტორიული და პრაქტიკული ცხოვრების ამოცანებს გვაზიარა.

IV

დუმილის მეტაფიზიკასთან დაკავშირებული ხილვები უხვდაა მიმობნეული ვეცა ფშაველას შემოქმედებაში. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ უფუჭავრობდა უაღრესად მდიდარი ქართული ფოლკლორი; განსაკუთრებით წარმართულ წარმოდგენებთან დაკავშირებული და მითი. დუმილი ფიგურებს ქართული ეთნოგრაფიული ყოფის ფენებში სხვადასხვა სახის აკრძალვას, ტაბუს ფორმით, მთაში ქაღვის წინასართული მომზადების პერიოდებში (საშლიანი განმარტობა) და სხვა. ეს მომენტები არეკილია ქართულ მითოსურ თქმულებებში, მაგრამ ყველა ამ საკითხში ორიენტაციას ეს წერილი ვერ იტვირთავს.<sup>23</sup>

დუმილის ცნება ინტენსიურად გვხვდება მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაშიც. იგი საგანგებო დაკვირვებისა და განსჯის საგანადა ქვეული ქოლა ლომთათბის მოთხრობა „საპყრობილეში“ და ნოველაში „დუმილი“.

უაღრესად საგულისხმოდაა ვაშლილი ნ. მიწიშვილის ეტიუდში „მდუმარება“. ასევე გ. ტაბიძის ლექსში „დუმილი“ და სხვა.

გ. ტაბიძის ერთ ლექსში სიტყვა გამოცხადებულია ჭეშმარიტების არა თუ ვაღმოცემის, არამედ დაკარგვისა და განადგურების სახედ.

სიტყვას არ ძალუქს სულის ფარული რხევებისა და აზროვნების რთული მიმოქცევის წვდომა.

სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?

ამ ცნების შინაარსი რთული ქვეტექსტებითაა აღბეჭდილი თანამედროვე ქართულ პოეზიაშიც. ასეთია მასშტაბები დუმილის ცნების გამოახილისა ლიტერატურის სფეროში.

23 ეს ნარკვევი აწყობილი იყო, როდესაც შესაძლებლობა მომეცა გვეცნობოდი გიორგი შარაშიძის ფუნდამენტურ ნაშრომს „La système religieux de la Georgie païenne“, Paris, 1968, გ. დუმეზილის წინასიტყვაობით. ნაშრომში. „ქართული წარმართობის რელიგიური სისტემა“ გ. შარაშიძის მიერ გამოწვლილ ვითაა გაანალიზებული ქართული წარმართული ეთნოგრაფიული ყოფა. ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხთან გადაჯაჭვულ მითოსურ ასპექტებზე, რომლებიც დუმილის გააზრებასთანაა დაკავშირებული.

## ოვია პაჭკოკია

# დრო და სახელები

ქმნიდ — დღენიადაგ ახამართლებდე საკუთარ თავს  
კნუტ ჰამსუნე

ინდიელთა ერთ ტომს ჩვეულება ჰქონია: წყაროში ერთიანად ჩაყოფენ ხოლმე თავს, რათა მთლიანად გამოეთიშონ გარემოს, არაფერი დაინახონ და ისე მოიკლან წყურვილი. რის გამოც, თურმე, მტაცებლის ლუკმაც ხშირად ხდებოდა.

ფვიქრობ გურამ გეგეშისის რომანი „ცოდვილი“ პირველად სწორედ ასე წავიკითხე.

„ცოდვილი“ ბევრის მიღებას, ბევრის უკუგდებასაც მოითხოვდა, მაგრამ ეს ხომ „პოზიციის უქონლობად“ ჩანდა; „ცოდვილი“ თითქოს განგებ ისწრაფოდა ბანალობისკენ და ამითაც გაცბუნებდა; უცნაური სიზუსტით იმეორებდა უკვე არსებულ და აღიარებულ მოდელს, „რალაც სკანდინავიურს“ და აქაც ხიფათს გიქადდა; სერიოზული წიგნი საოცარი გულტბრევილობის ინტონაციას ინარჩუნებდა და გაღიზიანებდა, ტრაგიკულის მიღმა ანაზღად გაიეღებდა დამცინავი ღიმილი და გაუგებარი იყო მისი სათავე.

და სწორედ იქ, სადაც აღრინდელი უნდობლობა და იქვე იშვიათი, თანდათანობით გამოიკვეთა ახალი, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ახალი, იქნებ მოულოდნელიც, ემოციური და აზრობრივი დამოკიდებულება ამ წიგნისადმი.

• • •

„მეტად საოცარი ამბავი მოხდა შარშან ზაფხულს ერთი პატარა ზღვისპირა ქალაქში. ყველასთვის მოულოდნელად გამოჩნდა უცნაური

ტიპი, ვინმე ნაგელი. კაცმა არ იცის, რა არ ჩაიღინა და ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოცხადდა“.

ამ სიტყვებით იწყება კნუტ ჰამსუნის „მისტერია“.

პატარა ქალაქში ჩამოვიდა უცნაური ტიპი. ევროპის ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ხასიათი, უაღრესად ახალი და იმავე დროს ძველი და ნაცნობი.

ღონ კიხოტი — მიშკინი — ნაგელი... ასეთი გენეტური ხაზი.

„მისტერიის“ VIII თავს აგრევე ჰქვია: „თერთი დამეები“. ჰამსუნს არ აკთობს ლიტერატურული „წინაპრის“ გამეღავენება. მან იცის — ლიტერატურა ვერ აერიდება არსებული მოდელის გამეორებას.

ვინმე ნაგელი კი... ნაგელისთვის ცოდვა-მადლი არავის გაუყვია. იგი სიკეთის მთესველია, მომკელი — არა; ნაგელი მარტოაკაცია, ერთხელ და სამუდამოდ გამოთიშული თავისი კლანიდან, დაშთენილი საკუთარი თავის ამარა. იგი დგას ალტერნატივის წინაშე — მხოლოდ პირადი რისკით მოახდინოს არჩევანი.

ნაგელი სინამდვილით არ ცხოვრობს — ცხოვრობს შესაძლებელით. მასში მძაფრია ყოფის ამოგებისა და უზუნავეს ტუბობასთან შერწყმის შეგრძნება. ოღონდ, მან არ იცის დუმისის სიდიადე, რადგან სულში დაგზნებულ სახმილს



გერ იურგებს და სუბლოგიურის წვდომის ეინთა ატანლი.

ნაველი ორია — ნაველი და ანტინაველი.

მას შეუღვისებია თავისებური, ცბიერი სიბრძნე თვითუარყოფის, საკუთარი გრძნობებისა და საბჭოელის კრიტიკულად შეფასების ეფექტის თაბუნე. იგი გულახდილია და არცაა, ამბობს და არც ამბობს. ესაა ნაველის ირონია.

„ცოდვილის“ გმირისთვის ყოველივე ეს არამცთუ ნაცნობია — თვისებაა, შესაძლოა გამოგელი, ფერხეცალი თვისება... მხოლოდ შენაკალი ხასიათისა, მაგრამ მძლავრი და თვალნათელივი.

და ეს არ არის რემინისცენცია. ეს შეგნებული ნაბიჯია, თამამად გადადგმული ავტორისაგან. გურამ გეგვიშიძე არც ებრძება მოქმედების დინების, სტრუქტურის, რიტმის გამეორებას.

სქემაც ნაცნობია: დაწყებული დავის სცენინთა და მიზეზით (უფრო მიზნით), გმირის სცენაზე გამოყვანის ეფექტით; შლეგის მფარველობით, მეგობრობით „მწიროთან“; ყოფის ორი წესის დაპირისპირებით (ვამეხ გურამიშვილის აქტივობა პროვინციული ქალაქის მღორე და წახნაგებმოცვეთილ ფონზე); ვამეხი ფერმენტო, მრავალ კათარზის რომ იწვევს, და ბოლოს — „ისევე მოულოდნელად გაქრობა, როგორც გამოცხადება“.

კი მაგრამ ეს ხომ „მისტერიაა“! რა თქმა უნდა და აღრე ითქვა კიდევ, გაკერითა და ნიშნისმოგებით.

მაშინ რაღა თავისი? გურამ გეგვიშიძე იღებს ცნობილ ფორმულას — „ყოველი, რომელმან ჰქმნა ცოდვა, მონა არის იმა ცოდვისა“, და საფუძვლად უდებს თავის რომანს. იღებს არსებულ მოდელს და მის თარგზე კრავს კომპოზიციას, იყენებს მზა მიზანსცენებს...

მაგრამ გურამ გეგვიშიძე, უბირველეს ყოვლისა, ჰქმნის თავის გმირს (ამ გმირს თავისი რეალური და ლიტერატურული წარმომავლობა ახასიათებს, ამაზე ქვემოთ), ჰქმნის მის ხასიათსა და მისიას, მის ბედს; იგი არ ცდილობს ამაოდ დაშვრეს რაღაც არგაგონილისა და არნახულის ძიებით (საოცარია, იმავე დროს სრულ თავისუფლებას ანიჭებს ფანტაზიას), იგი დიდათ ენდობა აღმანიების სულიერ და კულტურულ გამოცდილებას და იქვე, სრული დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვის. ირეალურია და ყოფითი სიზუსტის მორჩილი; ფანტასტია და მიწასთან, სინამდვილესთან მძიმე ღუზით დაბმული. იგი იშვიათადად ლირიული, ყოველთვის მკაცრია და ირონიული. ირონია სხვისგან შექმნილი მოდელის მორჩილების პოზა; ირონია სტილით აზრის დაკანონების ცდა.

და კიდევ... რამდენადაა მართებული ყოველი პარალელის, მსგავსების, ინტონაციის გადმოტანის მიმბაძველობად, პლაგიატად გამოცხადება! რა სჯობს — უბირისაგან ხელახლა გამოგონებული ველოსიპედი თუ თამამად აღიარება — ლიტერატურამ უკვე მოსინჯა თითქმის ყველა კომპოზიციური ვარიანტი, საერთოდ ყოველგვარი მოდელი, ინტონაცია, რიტმი... და მათი გამეორება არც ცოდვაა და არც მკრეხელობა, იქნებ გარდევალიცაა. თუ კი შეივსება, განიორფერდება საბაბით, განიფინება ეროვნულ ფონზე; თუ კი ბუნებრივად შეითვისებს პიროვნების ენერჯიასა და ნაფიქრს, მის „ზეგარდმო ნიუს“.

„დაამიანების მისტიფიციერებისთვის არ არსებობს უკეთესი საშუალება, ვიდრე შესთავაზო მათ რაღაც ისეთი, რისი გავგებაც შეუძლებელია“.

მაშინ მკითხველი იძულებულია, საკუთარი ინტელექტისა და ავტორიტეტის დასაცავად, ხოტბა შეასხას „გაუგებარს“, ან ხელაღებით უარყოს იგი.

„გაუგებრობით“ მკითხველის მისტიფიციერების ელემენტი „ცოდვილშიც“ მოიძიება, იქნებ თემისა და სტილის, აზროვნებისა და მეტყველების დაპირისპირების გამო.

ამ დაპირისპირების თაობაზე ბევრი ითქვა, თუნდაც იმტომ, რომ ეს თითქმის ერთადერთი სფეროა, სადაც „ცოდვილის“ ნაკლის მითითება იოლად, საკმაოდ დასაბუთებულად შეიძლება. „ცოდვილისთვის“ დაამახასიათებელი მეტყველება ექსტენსიურია, ფრაზა ზშირად ფხვიერი, დაუდგენელი... აზრი შემოსილია შეუფერებელი, მოულოდნელად განძარცვილი სიტყვიერი სამოსით. ასეა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა, გარეგნული და ზერეღე. აქ საქმე სხვაგვარადაა. კვლავ დაეუბრუნდეთ ზემოთ ნათქვამს. პირობითად, ეს ბურლესკია — „მადლი“ აზრის „დაბალი შტილი“ განხორციელებდა, და არ არის უნებელი, გაუცნობიერებელი ეფექტორი. მის მიღმა ავტორის ირონიული თვალსაზრისი იგულისხმება.

გურამ გეგვიშიძე თვითვე ართულებს გზას თავისი წიგნის ქეშმარტოდ არსისკენ. წიგნი თითქოს პალიმპსესტის თვისებას ინარჩუნებს. „ცოდვილის“ წყაითვისას აუცილებელია ზერეღე შთაბეჭდილებებიდან თავის დაღწევა, გარეგნული საფარველის გარღვევა, აზრისა და განცდის გამოხატვის ფორმათა გადაჩრევა და დალაგება. მაგრამ ეს პროფესიონალის „სამუშაოა“ და არ არის მკითხველის საზრუნევი. ნაწარმოები ყოველთვის როდი გაიძულებს დაუბრუნდეს მას და შეეჩვიო, რათა დაწმენდილი სახით აღიქვას ნამდვილი, საინტერესო სამყარო, რომელსაც მწერალი ჰქმნის.

კარგი ცხოვრება სჯობს ცუდს — დაახლოებით ამგვარია „ცოდვილის“ პერსონაჟთა მეტყველების (და არა აზროვნების) მანერა. მსგავსი ბანალობა სრულებითაც არ გამოხატავს გმირების

ობნია პაჭკორია  
დრო და სხელები

ზნობრივ და სულიერ მრწამსს, მითუმეტეს აზროვნების დონეს. არადა, მკითხველი იბნევა. მკითხველი გრძნობს, ამგვარი მსჯელობათა სერიოზულად აღქმა უხერხულია, რომ ეს დისპარმონია, ავტორის ირონიის უკუფენა, მხოლოდ დაიცენა, მაგრამ ძნელად აღსაქმელი, რადგან უჩვეულოა და იქნება წრეგადასულიც. სწორედ ამის გამო მსგავს „მედიაციების“ აზრის სიძაბუნედაც კი აღიქვამს. ვფიქრობ, ეს ვითარება მწერალმა ყურად უნდა იღოს.

ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია ყოველივე ეს. შესაძლოა თემისგან ვანდგომის, თუნდაც ლირიული საწყისის მიჩქმალვის სურვილმა; იქნებ აზრის წინაშე შეკრთომამ, იმ დედააზრისა, რაც რომანს საფუძვლად უდევს; იქნებ ირონია ნიღაბია, მკითხველის „მისტიფიკაციის“ ცდა. ოლონდ ჩემთვის ბოლომდე მინც გაუგებარია, რამდენად ჭირდება „ცოდვილს“ ასეთი ნიღაბი. რომანის ჰუმბარტი არის კი ნათელია და გასაგები.

ესა უნებლიე ცოდვით შეთოკილი კაცის შიშე ხედვრი, აღამიანების სულის წიაღში დაუარული პიროვნულის, „ნამდვილი ბუნების“ ზეამოზიდვის სურვილი, ზნობრივი განწმენდისკენ ლტოლვა და დიდი მარტობა, „სამყაროს საიონდ აღქმის ნიში“, რწმენა სიკეთის ზეობისა, გზა მოძღვრისა გოლგოთისკენ, სადაც მინც მძლავრობს მიწიერი და სული ვერ თავისუფლდება ხორცილთაგან.

და ეს კაცი გახლავთ ვამებ გურამიშვილი.

• • •

გურამ რჩეულიშვილი.

დღეს ყველამ იცის, საიდან მოვიდა იგი და საით უნდა წასულიყო. ეს უკვე ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა, ჩვეული გაზვიადებითა და უქმარისობითაც.

უეჭველი ნიშის და ძლიერი ბუნების, ვეჟიკური ხასიათისა და ენერჯის, შინაგანი თავისუფლებისა და დაუთარგუნავი ვნებების გამო იგი თაობის წარმოდგენაში გარკვეულ იდეალს დაუახლოვდა. იდეალის იმ ხორციელ განსახიერებას, რასაც თაობა ეძიებდა და რაც მას ამოდლებულისა და ხელოვანის სახით გამოეცხადა.

რა თქმა უნდა, ეს იყო ძლიერი პიროვნების ტრავიკული ნიღაბი და ბუნებრივად გადაიქცა პოეტური ხილვების, შთაგონების, აუხდენელი ოცნებების წყაროდ.

არსებობს მწერალი გურამ რჩეულიშვილი (ავტორი ჩინებული მოთხრობებისა) და არსებობს ლეგენდა გურამ რჩეულიშვილიწმ, მშვენიერი და ტრავიკული ლეგენდა ჰაბუტზე, რომლის შიშიმე ხევერი დიდხანს დარჩება ამოუსნენლ, იდუმალ თქმულებად.

და ყოველივე ამის გამო იგი ლიტერატურაში მეორე გზითაც შემოვიდა — გურამ რჩეულიშვილი გახდა ლიტერატურული პერსონაჟი.

გურამ გეგეშიძისთვის ეს ხასიათი არა მარტო ბიოგრაფიულადაა მასობიელი, იგი ფაქტობრივად ნაცნობია, ვათავისებული, ვანუყოფელი წარსულის მისი არსებისა. მან იცის ამ კაცის ფსიქიკა, მისი არტისტიზმის საიდუმლო, ოლონდ ისიც იცის, ძნელია მოიარგო მისი ენერჯია, ვნებები და ხილვები; მისი ფიქრი და წუხილი, მაგრამ გურამ რჩეულიშვილს საოცრად აქვს მიმადლებული ლიტერატურული ცხოვრების უნარი (როგორც მწერალს და როგორც პიროვნებას), იგი საოცარი პლასტიკური სიხსნადია დგას მწერლის თვალთა წინაშე და მოითხოვს, ჭეუტად მოითხოვს სიცოცხლის დაბრუნებას.

ვამებ გურამიშვილის ფიზიკური ხატი, ტემპერამენტი და ხასიათი საწყის ძალას აქ ჰპოვებს. იგი ნაცნობია, მასობიელი და იმავი იდეალუბიტი მოციული, იმავ სრულქმნილებისკენ სწრაფვით აღბეჭდილი, რითაც მისი ნამდვილი წინამორბედი. აქ ახალი ლიტერატურული ხასიათი იბადება. რაც სრულებით არ ნიშნავს, თითქმის გურამ რჩეულიშვილი „ცოდვილის“ გმირის პირდაპირი პაროტიზმი იყო, ან ვამებთ ემოცირებდეს ვინმეს ბედსა და ცხოვრებას. აქ ლაპარაკია იმ ზნობრივ ატმოსფეროზე, იმ ფსიქოლოგიურ მოდელზე, სადაც ამ ხასიათმა სათავე დაიღო, სადაც თავისი ზნეობის, პლასტიკისა და არტისტიზმის ფესვები ჰპოვა. სწორედ ამის გამო არ უფრთხის გურამ გეგეშიძე თავისი გმირის სხვა, მხოლოდ ლიტერატურული პერსონაჟისთვის დამსგავსებას რადაც მარადული, გაუცვეთელი თვისებით (ნაგელის შერჩევა შემთხვევითი როლია). ვამების პრავალანინა ბუნება შრეებადაა დალაგებული — აქ არის თვითანალიზით მიღწეული ავტორისეული აღსარებაც; სულიერი ინტენსივობა, რომელიც იმ ზნობრივი წარმოდგენებიდან მოდის, სადაც ავტორი უკვე სხვა, ძლიერი და მნიშვნელოვან ხასიათთან შორეულ, მაგრამ ლოგიკურ კავშირს ამყარებს; და ისიც, რაც ნაცნობი ლიტერატურული სფეროდან თამამადაა აღებული. ასეთი სინთეზი ავანთოვებს გმირის სულიერი მოდელწმობის სფეროს, ამბაფრებს იმპულსებს, აღრმავებს რეფლექსიას. მითუმეტეს, ყოველივე ამის მიღმა დგას ზღვარდადებული სიმართლე, პირადი დამოკიდებულებების რთული კომპლექსი და გამოცდებულება.

• • •

„ვიღაც ახალგაზრდა, რომელსაც მიუხედავად სიციხისა, შვი, ოდნავ გახუნებული პერანგი, შავი შარვალი და მალაყლიანი შავი „ბატინკები“ ეცვა, გადმოვიდა ვაგონიდან ბაქანზე და ნელა გაემართა ფარდულისკენ“.

დალია ლუდი.

აქალა მატარებელს წასვლა... ვავიდა ჭაღაქში. ყველაფერი ეს ხდება მშვიდად, გულგრილად, გამოზომილად და ატმოსფერო რატომღაც იძა-



ზება „ვილიც ახალგაზრდის“ უცნაური არტიკლიზმის, „განსაკუთრებულად“ მოძრაობის გამოისობით.

ჩნდება მოლოდინი. ვამეხ ვურამიშვილზე მსჯელობა ორი მომენტის გათვალისწინებას მოითხოვს.

ვამეხ ადამიანებს შორის და ვამეხ ადამიანებისგან გამოითიშული.

ვამეხ რეალობის, ყოველდღიურის ჩარჩოში მოქცეული და მისი მარტოობა, გარდუვალი დაღუპვის ცხადი შეგრძნება — ვამეხი ცოდვილი.

რა თქმა უნდა, ამ ორი პლასტის გამოყოფა ხელრეზური იქნება თუ მკითხველიც ვერ იგრძნობს ორგანულ კავშირს მათ შორის. ვამეხის მისია ამქვეყნად მისივე მარტოობის წიაღიდან მომდინარეობს, მაგრამ ვამეხის ზნეობასაც მარტოობა განაპირობებს და მასაც არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ ზნეობის საპირისპიროდ.

საიდან მოვიდა ეს კაცი და საით უნდა წავიდეს. რაა მისი წარსულის საიდუმლო და რა მოვლის, რა გზა უნდა გამოვედრო, რომ ნათლად გავიხატული სულიერი უპირატესობისთვის მივღწევიყ? ესაა პირობებების საკმაოდ რთული კომპლექსი, რომელთა წარმართვაც რეალობის ასპექტშივე შეიძლება და სრული განყენების გზითაც. ჩვენ პირველს ვირჩევთ.

ვამეხ გურამიშვილს ჩვენ ვეცნობით კათარზისის შემდგომ. იგი ჩადის პროვინციულ ქალაქში მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გამოეთიშა თავის კლანს, ცოდვის გამოვლით გამოეთიშა თვისტომთ (უნებლივაც ეს ცოდვა თუ არა, ცალკე მსჯელობის საგანია). ვამეხი ის კაცია, ვინც უკვე დაადწია თავი ფორმალური, თუ გნებავთ, სისხლისმიერი ურთიერთობის სფეროს და სულ სხვა ზნეობრივ მიჯნას მიადგა. ტრაგიკული ანტიური ძალთაშეშებით აღქმის უნარი მოიპოვა და დატოვებდა შიში, რითაც უნდა დათრგუნოს ხორცი.

მას შეუძლია ხელაღებით გაწიროს თავი, მაგრამ საკუთარი მორალური კანონის ერთგული მონაა. ესაა მოძღვრის, წინამძღოლის, სულიერად აღზევებული და განწმენილი კაცის მორალური კანონი.

მას თითქოს დაკარგული აქვს ალტაცების, ღირიული აღზუნების უნარი, მაგრამ შენარჩუნებული აქვს, იქნებ გაძლიერებულიც, შთაგონების, ზემოქმედების ძალა. ეს ძალა სახშილოვითაა, იგი ფოსფორული სხივით ანთია და ამიტომაც, რომ ვამეხის ირგვლივ, ერთი და იმავე დროს, დუმილიც სუფევს და განუწყვეტელი მოძრაობაც.

მართლაც ასეა, იგი თითქოს იმ ზღვარზე, იმ უბილავე მონაკვეთზე ცხოვრობს, რომელიც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორისაა გავლებული. ეს ზღვარი უდაბურია, მდუმარე, მისტიური იდუმალებით აღსავსე...

(რა იყო ნეტა ამ კაცში ასეთი? ნუთუ ჩაღ-

ნილმა ცოდვამ მართლა წმინდანად აქცია? ნუთუ ცოდვის გარეშე არ შეიძლება წმინდანად იყო? საოცარია, ღმერთო, შენი ნება. ის ვისაც სხვებისთვის ყველაზე მეტი სიკეთე მოაქვს, თვითონ ყველაზე მეტად იტანჯება...“).

იმავე დროს, ამ კაცის სახალოვეს ყოველივე მოძრაობს, რადგან იგი ფერმენტია და გარდაქმნებს იწყვეს. თავისი არსებობით, სიწმინდითა და სისუფთავით, თანდაყოლილი ზნეობრივი აქტიურობით, ახლობელთა დამოძღვრის ნიჭით, არტიკლიზმითა და სიმამაცით ადამიანებზე უცნაურ ზემოქმედებას ახდენს — აიძულებს მათ გააძევაინონ დაფარული, მფიწყებულები, ნამდვილი.

ვიღრე ამ ვითარებას კერძო მავალითებით დავასაბუთებთ, ერთხელ კიდევ დავებრუნდეთ ექსპოზიციას, ვამეხის ცხოვრების წინაისტორიას, მხოლოდ ვაკვირობ.

ვამეხს ძმა შემოაკვდა, მან ჩაიღინა „უნებლიე ცოდვა“, მოქმედება, რომელიც მისი ხასიათისთვის, ზნეობისთვის პირდაპირ წარმოუდგენელი რამაა. მაგრამ ფაქტი არსებობს და მას, სავარაუდოდ, თავისი როლიცა, აუცილებლობა ახლავს.

მე შეგნებით ვერადები ამ შემთხვევაში კატეგორიული დასკვნების გამოტანას, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რა არის აქ — ალტერნატივა თუ მხოლოდ შემთხვევითობა?

(დემიტრი კარამაზოვის მამა არ მოუკლავს, არ ჩაუდენია ცოდვა. მაგრამ დემიტრი კარამაზოვმა არსებობს ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, განწყობილება ცოდვისკენ. კარამაზოვის კათარზისი მისგან ჩაუდენილი ცოდვის ტვირთვაა, პასუხისგება ერთ-ერთი კარამაზოვის მიერ ჩადენილი ცოდვისთვის, პასუხისგება შესაძლებლის და არა ჩადენილის გამო. ამ თვალსაზრისით, იქნებ შესაძლებელი, მომხდარი, ალბათ უნებლიეც, დიდად არ ემიჯნება ერთურს).

გურამიშვილებისთვის უფროსი ძმა იდეალი იყო, მავალით და მისაბაძი. მოხდა ისე, რომ იგი ძმის ხელით დაიღუპა, დაიღუპა ძველი იდეალი. არის ერთი მოულოდნელი ფრაზა რომა რომაში (კონტექსტი ნეგატიურია) — იგი სხვა იყო... იგი უკვე სხვა გახდა, უფრო მცირე, ვიდრე ძმებს ცხოვრების კვირბაზე მიაჩნდათ. ვამეხი უნდა განთავისუფლებულიყო მისი უშუალო გავლენისგან, რადგან შინაგანად უკვე განთავისუფლდა, განიზიდა ძველისგან, ჩვეულისა და დაკანონებულისგან. იგი უკვე აღარაა ძმა ძმათა შორის; იგი მარტოდმონილი სულია, ტრაგიკულით დათრგუნვილი და აქედან აღზევებული.

სხვათა შორის, ვამეხს მთელი არსებით სწამს, რომ უნდა დაიღუპოს. რადგან იცის, ინტუიცი-

ობნა პაპორონი  
დრო და სხხმლანი



ითაც და ვანებიტაც იცის საკუთარი ტრავიზმის არსი, იცის, რომ უნებლიეთ მომხდარი ფაქტი შეიძლება უნებლიე ცოცხა არ იყოს, რომ იგი, მართალია, უნებლიე მკვლელობა, მაგრამ არის კი უნებლიე ცოცხალი!

და თუ ეს ასეა, ამით მის არსებობას მრუმე ეძახდება, მის ზნეობას კი არავითარი ჩრდილი არ ადგება.

ამ ძლიერმა კაცმა თვით „მოიკვეთა თავი თვისი“, ვანეშორა ძველს, ჩვეულს, თვისტომთ... რადგან იცის, იგი უკვე აღარაა ის ვამებ გურამიშვილი, ვისთვისაც ცხოვრების ძველი წესი მისაღებია, რომ მას შორი და მძიმე გზა ელის, განსაიდელი და გვემა მისი წილი. მან გადირჩინა რწმენა, თუმცა რწმენამ ვერ იხსნა შესაძლო შეცდომებისა და ორჭოფობისგან, ვერ დაიხსნა სასოწარკვეთისა და ფიზიკური არსისგან. მან მიიღო გადაწყვეტილება, აირჩია თავისი სავალი გოლგოთისკენ, თუმცა, ისიც იცის ვამებ გურამიშვილმა — „ყოველი გადაწყვეტილება ნახტომია შეუცნობელში“.

• • •

ვამებ გურამიშვილი ხედება შამილას, ძუკუს, იასონს, ალისას...

არსებობს გამოთქმა — გუბეში ჩადებულნი კენჭი ვერასოდეს ხედავსო წყლისპირზე მისგან გაჩენილ წრებებს.

ის ზემოქმედება, რასაც ვამები ახლობლებზე ახდენს, არც წინასწარგამიზნულია, არც პრაქტიკულად აწონილი. ეს წყლისპირზე გაჩენილი წრებია, რომელთაც კენჭი ვერ ხედავს.

ვამების მეშვეობით მელანდებდა აღამიანებში (ვინც მასთან რაიმე კონტაქტს ამყარებს) ის ფარული და ქეშმარიტი, რაც მათივე სულის უღრმეს შრეებშია ჩაიკრული (ამდენად არა მარტო სიკვით, ბოროტებაც, დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაცა და შერიც — თუნდაც სკოლის დირექტორი ვახუშტი, რესპექტაბელური, პატივცემული ობიექტელი, რომელიც ადრე თავისი ქეშმარიტი ბუნების დაფარვას ახერხებდა). ვამების წყალობით თავისუფლდებიან ისინი გარეგნული, შექმნილისა და ყალბისგან. ვამების ფიზიკური ძალის და მძიმე ზეფს კი არ ემორჩილებიან (შამილას და ძუკუს ამით ვერც დაიმორჩილებ), ქედს იხრიან იმ სულიერი უპირატესობის, სრულყოფისა და სამართლიანობის წინაშე, რასაც ამ კაცში ინტუიციით გრძნობენ (ან ეწინააღმდეგებიან, სურთ მოსპონ და მოაშთონ, რადგან მისი არსებობა მათი კეთილდღეობის, მოჩვენებითი მორალური წინასწარობისთვის უაღრესად სახიფათოა).

ძნელია უპოვო რაიმე ზადი, ფსიქოლოგიურად და მხატვრულად, მაგალითად, შამილას საბოლოო შემობრუნების სცენას:

— დამიჭერე, რომ მეც კაცი ვარ, — რაღაც

ნაირი გაზზარული ხმით თქვა შამილამ და მკერე!

და უკებ ვამებმა იგრძნო, რომ სხეულში ბარასავით დაჭიმული ნერვები მოეშვა, დაძაბულობა გაქრა, და დაღლილობისაგან მთელი სხეული სტილიდა. იგრძნო, რომ ამ კაცს, რომელიც მის წინ იდგა შეშინებული, შემოფოთებული სახით, მართლა არ უსერია, იგრძნო, რომ შეცდა. არა, ცხოვრებას სიკვდილისკენ არ მიჰყავდა, თუმცა, როცა აქვთ მოისწრაფოდა, ეგონა, რომ სიკვდილის შესახებ რადიო დიდობა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ქვეცნობიერად იმასაც კი ფიქრობდა, რომ მოხდებოდა სწორედ ის, რაც ახლა მოხდა, გაირკვეოდა სწორედ ის, რაც გაირკვა და ვინ იცის, როცა ასეთი დაუოკებელი სურვილით მოისწრაფოდა აქვთ, სწორედ ამას ელოდა და არა სიკვდილს და ამიტომ იყო მისი სწრაფვა ასეთი მძაფრი. მოულოდნელმა სიბარულმა აავსო მისი სული, ისევე საყვარელი გახდა ცხოვრება, ისევე საყვარელი გახდა აღამიანი. ახლა მას ეგონა, რომ დამთავრდა ის ბნელი გზა, რომელსაც მთელი დამე მიჰყვებოდა. ბოლოს და ბოლოს მოვიდა იქ, სადაც ელოდნენ. და აი, გაუღეს კარები და თბილ ოთახში შემოიყვანეს, ფანჯარასთან დაუდგეს სკამი და მოწოვბით დასვეს, მზარზე ხელი დაჭრეს, გაამხნევეს დალილი, დასცინეს იმ სულელური ფიქრებისთვის, რომელიც მთელი დამე თევეში უტრიალებდა, მისი ცხენი თვით გატენილ თავლაში შეიყვანეს, მოუარეს, ოფლი შეუმშორალეს, დილის ნისლი კი ნელ-ნელა გაიფანტა და გამორჩენა წიწვიანი ტყე და მწვანე ფერდობები, თეთრი ანგელოზები გამოვიდნენ ბურუსიდან, წრე შეკრეს და სიმღერა დაიწყეს. ამღერდა სამყარო და შავი ლანდები სიზმარულ მოჩვენებებშით გაიფანტნენ გამქრალ სიბნელისთან ერთად. მისი ჰიშნი აფუტუნდა ჰაერში:

ოშა, რერო, რამაია,  
ოვილ, ოვილ, ოვილ, ოსა,  
ოშა, რერო, რამაია.

— მჭერა! — თქვა ვამებმა და შამილას კისერზე მოხვია ხელი“.

აქ დამარცხებული არ არსებობს. ორმა ძლიერმა კაცმა მიიღო გვემა და მიავნო სიმორთეს. ამ უაღრესად დაძაბულ სურათში თანდათან, ტკივილის გაქრობასთან ერთად შემოდის ბუნების პანორეისტური ხილვა, იჭრება ჰიშნი მზეზე და მყარდება ჰარმონია.

(სწორედ ეს აღველი, და ბევრი ასეთი აღველი, გახლავთ ამ წიგნის აზრობრივი სიღრმისა და ქეშმარიტი სტილის საბუთი).

გურამ გვეგშიძე ფრთხილია, მას იოლად როდი სჯერა სრული მეტამორფოზის. შამილა შეიცვალა (ცოტა არ იყოს, ნამეტნავადაც კი, ბოლოს იგი წესრიგის დამყარებულის როლშიც კი გვევლინება), და შამილას სადაც შორს, უძველეს



ზავშობაში ჰქონდა საამისო წანამდვარი. იგი ოდესღაც საჩინო, ზრდილი და სამართლიანი ზავში გახლდათ. მერე, ცხოვრების გამო, კუბრივით დაიხვია პარკი, სადაც მიჩქვალა თავისი ნამდვილი ბუნება და სულ სხვა კაცად მოველინა თავის ქალაქს. ვამეხი ჯერ შამილას უძლეველობის მიის აქარწყლებს, შემდეგ გამოჰყავს სიყვარლის მღვრიე ბურუსიდან და პირველქმნილი, კეთილი სახით უბრუნებს ცხოვრებას.

ქუქუ ის კაცია, ვისაც ახლობლისთვის თავის გაწირვა დაუფიქრებლად შეეძლო... შემდეგ დაიმორცხვა და მთელი ცხოვრება ამ უნებლიე სიმორცხვებს ებრძვის.

ისონიც, „არტისტ“ ისონი — ზერეუ, მსუქი, პროვინციულად თეატრალური, თურმე ძლიერი და მშვიდი განსაცდელის ქამს, თურმე უშფოთველად შეუძლია მიიღოს ტკივილი, ქვეცნობიერად უკვე მოპოვებული აქვს თავისი თავი და არაფერს ეშინია.

ალისა კი...  
„ქუქუ იცოდა, რომ ალისასთან არაფერი გამოუვიდოდა, თუმცა მიაჩნდა, რომ არაფრით ნაკლები არ იყო იასონზე, არც ბენოზე და არც სხვებზე, მაგრამ ქუქუ იცოდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა...“

კი მგარამ რატომ? ალისა არც ისე მიუწვდომი იყო, არც სხვთა აზრსა და მორალს დავიდველად მიანიცდამიხდა და არც უბიწოების მავალითად გამოდგებოდა.

საქმე ისაა, რომ ქუქუ ქვეცნობიერად ხედება — ალისას გაუმხელელ ღირსიულ ბუნებას, მის ფარულ ქალობასა და უთქმელ ოცნებებს სხვა ჩარჩო, სულ სხვა სიტყვა სჭირდება.

ალისას შეუძლია, თუნდაც ქვეყნის დასალიურზე გაჰყვას თავის კერასა და მოძღვარს, თუ კი ასეთს შეხედება; ალისას სურს თავისი სათუთი ქალობა ერთიანად მიიტანოს სხვის სამსხვერპლოზე, თუ კი ამ ზვარაკს რაიმე ფასი უქნება; იგი ყოველთვის ნამდვილ მამაკაცზე ოცნებობს — ჩვეულებრივი უბრალო დიაცი, ცოტა არ იყოს, დიმილისმომგვრელი სწრაფვით კულტურისწიბვისკენ.

მგარამ ამ ქალს თავისებური თავშეკავება, სინაჩე და სწორი ინტუიცია ახასიათებს. მის არ შეუძლია უყუბ მივიდეს ვამეტთან, თუმცა პირველივე შეხვედრიდან განიცდის ამ კაცის ზემოქმედებას, მის უცნაურ მიზიდველობას. თან ზედება — ვამეხის ირგვლიე უკაცრიელი, უდაბური გარსი, ცივი ათინათი ნაწელები სულისა, ამის დაღწევა ჩვეული სიითლით არ შეიძლება.

„სწორედ ამ დროს გზაზე ველოსიპედით ჩამოიარეს ისონმა და ალისამ. მოუხერხებელი ჯდომისგან, ქალს მუხლებს ზემოთ კაბა ასწეოდა და ჩამოქნილი ფეხები მოსუჩანდა. ახალგაზრდა ქალის მუხლისთავეებს დააცურდა.“

ეს პირველი შეხვედრაა. თუ შეიძლება ასე თქვას, აქ ვიზუალური კონტაქტი მყარდება. ამ

დეტალს ფუნქცია აქვს და იგი მთელ წიგნში იგრძნობა თავისებური, იდეალური რეფრენიციული აქ ალისას ხასიათის ერთი ნაწილია. მოკარბებული ქალობის პლასტიკური შტრიხი... თავისი აზრობრივი აქცენტით. მწერალი აქც ცოტა ირონიულია, პათეტიკური რომანტიკის მტერი...

„შენ გიყვარს სიყვარული და გინდა ქვეყნად არაფერი არ არსებობდეს სიყვარისა და სიყვარულის გარეშად“ — ფიქრობს ვამეხი, ოღონდ აქ ქალი არაფერ შუაშია, ეს მოყვასის სიყვარულია, ეთიკური ფორმულა. თუმცა ქალის სიყვარულში განფენისა და გაზაფხების უნარი ვამეხს არ აკლია.

(მერე რაღაცამ გაიღვიძა ვამეხში, დიდი ხნის წინათ დავიწყებულმა და განდევნილმა. ერთბაშად იფეთქა სურვილმა და აღარაფერი აღარ დარჩა ამ ერთადერთი და ყოვლისმომცველი სურვილის გარდა. სხეულის სიღრმიდან წამოვიდა რაღაც თბილი და აუტანელი ჟრუანტელის აღმძვრელი. დაცარიელდა სული სიმინისაგან, ტკივილისა და ტანჯვისაგან. ის რაღაც კი ისევ მოდიოდა, თითქოს ტბის ტალღებმა აიტაცეს ვამეხი და დინებას მინდობილი, უცნაურად ბედნიერი ქვეყნისკენ გაჰქანეს, სადაც მან იპოვა თავისი სავანე. ვამეხს დაეაწყდა საღ იყო, ის რაღაც კიდევ მოდიოდა, მოდიოდა და მერე ერთბაშად ყველაფერი გაქრა. ვათავისუფელდა სხეული და სული და ბედნიერმა სიცარიელემ ფეთქა დაიწყო...“)

მგარამ იგი მიინც გონების თვალით ჰვრეტს „დავიწყებულისა და განდევნილის“ ამ მოულოდნელ დაბრუნებას, თუნდაც იმის გამო, რომ უკვე თავისი მთის, თავისი გოლგათის სანახებსაა მიტანებული.

ალისას ბედნიერება ეფემერულია. არც შეუძლია ვამეხს გურამიშვილს ვინმეს ბედნიერი ყოფიერება მიუტანოს, სიმშვიდე ან მეშინაური სიმყუდროვე. ვამეხის მისია სულიერი ინტენსივობის, საკუთარი არსის შეცნობის, შინაგანი თავისუფლების მიინებებაა და არა ბედნიერი ცხოვრებისა.



დროდადრო რაინდები ტოვებდნენ მეფე არტურის მრგვალ მაგიდას და მიემგზავრებოდნენ „საგრალოდ“ (გრაალის თასის მოსაპოვებლად), — ირონიულად წერს იანკი, მოხვედრილი მეფე არტურის კარზე.

ანტონი „საგრალოდ“ წამოსული მწერიია. ანტონს სურს ნახოს ფეიხოსა ხე.

ანტონის ფილოსოფია ნათელია — „მოზანი უეჭველად უნდა გქონდეს“. რა მნიშვნელობა აქვს, იქნება ეს ფეიხოსა ხე თუ გრაალის თასი. მან ნახა ფეიხოსა „მშენიერი ხე“ (რაც პი-

ობია პაპოკონია დრო და სახელები



რობითობა) და მოიბოვა სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა.

„ყველაფერი, რაც ბუნების მიერაა შექმნილი, უნდა გიყვარდეს“. ადამიანი ყველაფერს უნდა შეეგუოს, ყველაფერი, რაც შექმნილია, არსებობის უფლებითაა შექმნილი... შეგუება ბიოლოგიური თვალსაზრისითაც სიძლიერეა“. — ამბობს ანტონი.

იგი თითქოს არც უფიქრდება, შედის თუ არა „არსებობის უფლებას“, განუჩრჩველი სიყვარულის რკალში ბორბების არსებობის ფაქტი. მისთვის სულიერი კატეგორიები თავისებურადაა შერწყმული ბუნების მოვლენებთან. დადებითი ცნება ერთიანად ვრცელდება ადამიანზე და მცენარეზე. აქედან მოდის „ბიოლოგიური თვალსაზრისის“ ეთიკის სფეროში გადატანა.

„მხოლოდ ღირსება ქმნის ადამიანს მშენიერს“ — ეუბნება ვამეხი. ანტონი ეწინააღმდეგება ვამეხს (ეს წინააღმდეგობა მირაჟის, ანტონისა და ვამეხის საუბრები უფრო მონოლოგია; ესაა ვამეხის დავა საკუთარ თავთან, იჭვთან, ორჭოფობასთან), ღირსება, ღირსებისთვის ბრძოლა ანტონისთვის ეგოიზმი, პარმონის რღვევა. „სიკვდილი ტანჯვისგან თავის დახსნა“ — ასე მიანიშნა ანტონს და არ იზიარებს თავის დახსნის, თავისუფლების მოპოვების ამ გზას.

უცნაო ანტონი მოყვასთა შორის, რადგან სალოსის ორბინში ახასიათებს, პარადოქსის სფეროსაა შედწეული; ამდენად ადამიანებისთვის გაუგებარი, გონებრივად თითქმის არასრულფასოვანია.

მშვიდი და სათნაო ანტონი, რადგან ამქვეყნად მხოლოდ თავისი მელიადა ესმის, თავისი „სიმართლე“ იცის; იცის „არსებობის უფლების“ ხელყოფა არ შეიძლება.

ანტონს მკერდში თავლის სანთელი უნთია და მისი გამჭვირვალე ბუნების წიაღში ეს მცირე ალი უმწეოდ ფარფატებს.

უხროცთა და უსხულო იგი, თითქოს დამოუკიდებლად არც არსებობს, და აი რატომ:

„სალისას მოაგონდა, როგორ ჩამოიარა მამინა აქ, როგორ იჭდა ისონის ველსიანებზე და როგორ უყურებდა ვამეხი მის ფეხებს. ვამეხმა სწორედ მამის შეამჩნია პირველად ალისა. ალისა უყურებდა მიკვალბულის სახეს და აგონდებოდა ტრიბალი მინდორი, მიტოვებული თეთრი ეკლესია...“

როცა პალატიდან გამოდიოდა გრძნობდა, რატომღაც ვამეხი უფრო ეცოდებოდა ვიდრე ანტონი. მაგრამ ვერაფრით ვერ გაერკვია, რატომ ეცოდებოდა ვამეხი. იმიტომ ხომ არა, რომ წარმოიდგინა ის ამ პალატაში ანტონის მაგივრად მწოდარე“.

რამც „გაერკვა“ საკმარისია. ამ შემთხვევაში ქალს პირდაპირ მედღუმის ინტუიცია აქვს (ავტორი დასკვნის გამოტანის სრულ თავისუფლე-

ბას იძლევა)—ანტონი ვამეხის ანარქული ექვემდებარება ერთი კაცის უმწეო ჩრდილი, მხოლოდ მისი არსების, მისი ზნეობისა და სათნოების უბრალო, ვარგუნულად ნაყლებშიზიდელი ხატი.

ანტონის სიკვდილი ვამეხის აღსასრულის დასაწყისია.



„უპაბუკი დიდხანს, დიდხანს მიდიოდა მოხუცისკენ, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, როცა ერთი წამი მთელ საუკუნეს ემსგავსება და როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, როცა მთელი საუკუნე წამივით იკუმშება და უცბად იფეთქებს, ის სულ მალე მივიდა მოხუცთან“.

არის ამ სიზმარულ სურათში ვამეხის ხასიათისა და ბედის ნაწილი. იგი ეფემერიდია — კაცი მოსული იასზე და გამჭრალი მზის ჩასვლისას (საუკუნე წამივით შეკუმშული და წამი მსგავსი საუკუნისა). იგი უერთდება „მინდრის ბატონის საბრძანებლო“ მთის ლეგენდას.

ის, რაც მოხდა, ვარდუვლია, მაგრამ მაინც არ ხდება ისე, როგორც თვით ვამეხს სურდა ან, თუნდაც მეთხველი მოელოდა. ამ კაცმა ვერ უარყო ცხოვრება, ვერ გათავისუფლდა ფიზიკური არსიდან და არც შეეძლო, რადგან „არავითარი სხვა ქვეყანა არ არსებობდა, გარდა იმ ქვეყნისა, რომელიც დასტოვა ძირს“.

რეალური, შამილასა და ალისას ქვეყანა მას თავისკენ მოუწოდებს. მაგრამ ვამეხი დამორჩილად თავის ბედს — მისგანვე მოგონილ ზნეობრივ კიბრთებს — და მას „შინაგანი ბუნება“, მულმივი და უცვლელი არსი უწოდა. ვამეხ გურამიშვილმა უცნაურად მოაქცია საკუთარი პიროვნების საზღვრებში, საკუთარ მე-ში ბედისწერა. მისთვის ყოველი ცვალებადია, თვით ხასიათიც, მაგრამ აუცილებელი მასშივე არსებული ბედისწერის ცნება. მას არ შეუძლია, რაც მთავარია, არც უნდა გაექცეს ცოდვას, რადგან კარგად იცის მისი ნამდვილი სათავე და საბაბი. მძიმეა ამ კაცის ხებდრი, განსაკუთრებით მძიმე, რადგან იგი საკუთარი თავისადმი მოძალადეა.

გჯერა ამ კაცის ზნეობრივი უპირატესობის, სულიერი ზეობის, გჯერა მისი აქტიური, მოქმედი ბუნების, რომელსაც მოყვასისათვის მხოლოდ სიყვით, მაღალი ღირსების შეგნება მოაქვს; და გჯერა მისი ტკივილის, რადგან ეს მხოლოდ თვითგვემა როდია, ესაა სწრაფვა უზენაესი სრულქმნილებიკენ, სურვილი ლეგენდად გარდაქმნისა და უცბად გამღვანებული ცოდნა-მიწასთან დაბრუნების, აღამიანებისკენ უკუქცევის დაგვიანებული სურვილი. მიხვედრა იმისა, იქნებ ქვეყნობიერად, რომ ყოვლისმომცველი, განყენებული ჰარმონიის დაუცხრომელი ძიება მოიცავს პარმონიის დარღვევის ხეობას.

ოცნება ქვეყნისთვის, „სადაც ყველაფერი გარკვეულია“, ადამიანური ზადისგან ერთიანად გათავისუფლებაზე ოცნებაა. იქნებ ამის მიღწევა-



ვამებს გურამიშვილს მიწაზე, ადამიანთა შორისაც შეეძლო და განგებ უარყო ეს შესაძლებლობა, რადგან თვითვე გამოუტანა უაპელაციო განაჩენი ვამებს — ცოდვილს. ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ კაცის გარდუვალი აღსახრული იქნებ შეეძლოდა. ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისი (შესაძლოა აქ ჩვენ დალუპვის, ტრაგიკული ფინალის აუცილებლობასაც კი უარვეყოფთ და მართალი არცა ვართ), მაგრამ ეს ჩვეულებრივი, ადამიანური წუხილია პერსონაჟის ბედზე. ყოველ შემთხვევაში უფრო ღრმა ემოციური თანაზიარობის მოთხოვნა, ვფიქრობ, არ შეიძლება. ეს განწყობილება თვით პერსონაჟის განწყობილების ანარეკლია. ვამები ჭიუტად იბრძვის სიცოცხლისთვის, იბრძვის იმის გადასარჩენად, რაც ხელიდან ეცლება — ზესამყარო, რომლისკენაც ილტვიდა, რომელსაც რეალურ, ერთადერთ ქვეყანასთან“ აიგივებდა და აერთიანებდა და ამ მთლიანობას საფუძვლად სიკეთის სუბსტანციურობის ღრმა რწმენას უდებდა.

ვამების დალუპვა ინერციით, რადგან მას არ ძალუძს გადაუხვიოს ერთხელ აღებულ გეზს, უდალატოს იმ ეთიკურ ფორმულას, რითაც მოვლენათა მსვლელობაში, ცოტა არ იყოს ხელოვნურადაც კი, იჭრება.

აქ საცნაური ერთი — ვამები არა მარტო ემორჩილება თავის წარმოდგენას ცოდვის საზღაურის თაობაზე. იგი უადრესად იძლევა ამ მორჩილებით (რაც განსაკუთრებით იგრძნობს ალისასთან ბოლო საუბრისას), ამ გარემოებამ ვამების ბედზე გარკვეულ გავლენა მოახდინა.

ვამებს გურამიშვილი თითქოს ამ დადლილობას უფრო გაუბრის, ვიდრე საკუთარი განაჩენის სისრულეში მოყვანას ლამობს.

იგი გვიან იწყებს ბრძოლას თავის გადასარჩენად და აღარ სურს „დანებება“ (ავტორი თავს არიდებს ყალბ თეატრალიზმს, პოზას. ტკივილი ტკივილია, არც ამქვეყნიდან წასვლა გასლავთ დახვეწილი ინტელექტუალის თეორიულ მსჯელობათა საბაბი. აქ ერთხელ კიდევ უნდა გაიხსნას „შინაგანი ბუნების“ ყველაზე იდუმალი, ფართული და ქეშმარიტი თვისება). ვამები ტირის და ეს მიტევების, ერთგულ და მფარველ“ მუწასთან გამოთხოვების ცრემლია. მშვენიერი ცრემლი, იგი სიცოცხლეს ეკუთვნის და არა სიკვდილს.

„თავის გადარჩენის სურვილმა ძალი შემატა და გამწარებით მოეჭიდა წვეტიან, ალესილ ქმის, ფრჩხილებიდან სისხლი წასკდა, ხელისგულები დაუტყავდა, სხეული კი საშინლად დაუმიმდა, მაგრამ არ უნდოდა დანებება და კბილები ჩაავლო ქმის. თქრიალით მოსდიოდა სისხლი ტუჩებიდან, პირი გაუშრა, უგემური გაუხდა, მთელი არსებით მოუხდა დაპყრდნობოდა რამეს, მაგრამ შორს იყო ერთგული და მფარველი მიწა და არ იყო საშველი. თვალებიდან მდუღარე ცრემლები წამოუვიდა დაბალუბით, კიდევ ერთხელ სცადა შემაგრება, მაგრამ სიცარიელისკენ გადაქანდა ტანი...“

შემდეგ...  
„ჩვენ მეტი არაფერი ვიცით ვამებს გურამიშვილისა...“



# ჩინი ქვეყნებში

— 150 —

პასილ დაუკავშირი

## რუსი ხალხის დიდი პოეტი

არ გვეალბება შენ პოეტობა, —  
მოქალაქის კი მუდამ გდევს ვალი.  
და მოქალაქე მართლა ვინ არის?  
ერთგული შეილი სამშობლო მხარის.  
**ნ. ნიკრასოვი.**

ვის არ გაუგონია ბრწყინვალე რუსი კლასიკოსი პოეტის ნიკოლოზ ალექსის ძე ნეკრასოვის სახელი?! ვის არ წაუკითხავს რუსი მწრომელი ხალხის ამ ღრმა მესაიდუმლისა და მოამავის სახელგანთქმული ნაწარმოებები: „ფიქრები სადარბაზო შესასვლელთან“, „წარისკაცის დედა არინა“, „რკინიგზა“, „ბავშვთა ტირილი“, „პოეტი და მოქალაქე“, „რუსი ქალები“. „უინვა ცხვირწითელა“, ანდა საოცარი ორიგინალობით დაწერილი უკვდავი პოემა „ეინ ცხოვრობს რუსეთში კარვად“.

გერაფერმა ვერ შეუშალა ხელი ნეკრასოვის სახელის დამკვიდრებას რუსულ კლასიკურ პოეზიაში და მისი ფრთების გაშლას მსოფლიო ლიტერატურის ასპარეზზე. იყო შავბნელი დრო, როდესაც რუსი ხალხის ექსპლოატატორები, წურბელა სავაჭრო წრეები, თავდაზნაურობის დაზავებული, დრომოქმული ბუდეებისა და შგზო-უკვლო, მერყევი ინტელიგენციის წარმომადგენლები მტრულად შეხედნენ ახალგაზრდა ნიკოლოზ ნეკრასოვის ხალხისადმი უდიდესი თანაგრძნობით და სრულად ახლებურად შექმნილ პეშმარითად პოეტურ კმნილებებს. ჯაგრამ, როგორც ეამთა სრბოლამ და ლიტერატურული მწვევე ბრძოლის ისტორიამ დაგვა-

ნახა, გამარჯვება ზედა რუსი რევოლუციური დემოკრატიის უდიდეს მომღერალს, ხალხის უბაღლო მგოსანს ნიკოლოზ ნეკრასოვს.

რა ძალა უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ ხალხის გულიდან აეცილებინა, ძირ-ფესვიანად მოეწყვიტა მგზნებარე ლექსის „ფიქრები სადარბაზო შესასვლელთან“ გენიალური სიღრმით აღბეჭდილი. ექსპლოატირებული გლეხობის, მშობლიური ხალხისადმი მიმართული საოცარი პოეტური ძალის სიტყვები:

ო, ვოლგავ, ვოლგავ! მრავალწყლიან  
ვაზაფხულისას  
ისე არ ავსებ ნიაღვარით შენ ველს და  
ყანას,  
როგორც უდიდეს მწუხარებით ხალხის  
გულისა  
ავსებულთა წამებული ჩვენი ქვეყანა.  
სადაც ხალხია, იქ კვწესა... ეპ, ჩემო  
სულო!  
რას ნიშნავს შენი მწარე კენესა  
უდასასრულო?  
შენ გაიღვიძებ ავსებული ჯანით ძლიერით,  
თუ კვლავ მორჩილი ბედისწერის  
უკუღმართ წესის, —



რაც კი შეგეპოო შეასრულე შენ-  
ყველაფერი, —  
შეჭმენ სიმღერა, რომელიც ჰგავს ხმას  
მწარე კენკის,  
და სამტდამოდ განისვენე შენ სულიერად?..

ადგილებს, მწარე და საშინელი ბავშვობის მოყრაცუნული  
რეულ სურათებს:

რაოდენ მწუხარებითა და ცრემლით უნდა  
ყოფილიყო აღსავსე იმდროინდელ რუსეთში,  
სისხლიანი თვითმპყრობელი მეფის რუსეთში  
მცხოვრები ხალხის გული, რომ მიდინარე ვოლ-  
გის ნიაღვარსაც კი ვერ დაუფარავს მისი ზღვის-  
ოდენა ცრემლის დინება? რეალისტი პოეტი  
ნეკრასოვი ნათელი თვალით ხედავს, რომ მე-  
ფის რუსეთში „სადაც ხალხია, იქ კენკისა...“,  
მაგრამ ეს არ არის უდასასრულა კენკისა, ეს  
არ არის უტყუდმართი წესის ბედისწერის წინა-  
შე მორჩილება. არა! სტრაქონენს შორის პლეი-  
ვის ნათელი აზრი და ხალხის ბედნიერებისათ-  
ვის მებრძოლი პოეტი ასკვნის: „შენ გაიღვიძებ  
ავსებული ჯანით ძლიერთო“. ასეთია ნეკრასო-  
ვის ამ გენიალურ ლექსში პოეტის სულის  
აბოროტება, მისი ვალაშქრება იმის წინააღმ-  
დეგ, რომ ხალხმა სამუდამოდ არ მიიძინოს სუ-  
ლიერად.

... აქ ეწოდნენ წინაპრები გარყენილ  
ცხოვრებას,  
ძალმომრეობას, აღვირახსნილ ლოთობას,  
ენებას.  
გლეხებს, ქვეულებს ჩლუნგ მონებად და  
მათხოვრებად,  
ენატრებოდათ მებატონის ძაღლის  
ცხოვრება...  
ჩემი ოცნება წაიბილწა აქ ნადარევედ,  
ქვემმრომ ვნებების თავიდანვე ვახდა  
სათრეველ...  
ო, მოგონება სიჭაბუკის არის ცნობილი,  
როგორც შეენება სპეტაკი და  
კეთილშობილი.  
ჩემი ხსენება კი აღსავსეა ჭმუნვით,  
გოდებით,  
ეწყველი საზიზღარ ჭაბუკობას  
გაბორტებით...  
აქ გაისმოდა ტანჯულების კენკისა-ვება,  
მსხვერპლთა კვილი ორგების ხმას  
გაღება,  
და მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი სიამეს  
გრძნობდა,  
ჩაგრავდა ყველას, ბატონობდა და  
ზეიმობდა.

ჩვენს დღეებში, ახალი საზოგადოების შექმ-  
ნისა და კომუნისმის მშენებლობის დიად ეპო-  
ქაში, მილიონობით კომუნისტი და კომკავშირე-  
ლი, დიდი ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი  
მოწინავე მუშები, და კლამენტურნები, მშრო-  
მელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მთე-  
ლი საბჭოთა ხალხის ერთიანი ოჯახი თავის  
ცოდნას, უნარსა და ენერჯის არ ზოგავს თა-  
ვისი ზედნიერი ცხოვრების დიად სამქედლოში.  
კიდით კიდემდე გამოილი საბჭოთა ქვეყანა  
არაპოდეს არ იფიქრებს თავის გამოჩენილ წინა-  
პრებს, სოციალური უთანასწორობისა და უნა-  
მართლობის წინააღმდეგ თავდადებულ მებრ-  
ძოლებს. ამ სახელოვან წინაპართა რიგებში  
თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რუსი მშრომე-  
ლი ხალხის, მისი მრავალტანჯული გლეხობის  
ერთგულ-მოამავეს, მის დიდ-მგოსანს ნიკოლოზ  
ნეკრასოვს, რომლის დაბადების 150 წლისთავს  
აღნიშნავენ არა მარტო საბჭოთა კავშირის  
მშრომელები, არამედ მთელი მოწინავე პრო-  
გრესული კაცობრიობა, რომელიც იბრძვის  
მშვიდობისა, დემოკრატიისა და სოციალიზმი-  
სათვის, ბედნიერი ცხოვრების დამყარებისათ-  
ვის დღემომუშავე.

ასე თამამად და გულახდილად ამხელდა და  
ამათრახებდა პოეტი ბატონყმობის საზიზღარ  
მესვეურებს, მშობლიურ კუთხეში დაბუდებულ  
უსამართლობას.

ასეთი იყო ის დიდი ძვრები, რომელიც იმ-  
დროინდელ რუსულ საზოგადოებაში ხდებო-  
და, როდესაც ცხოვრების ასპარეზზე გამოვი-  
დნენ ახალი ადამიანები, რაზნოიჩიელები, რო-  
მელთაც მთელი თავისი არსებით სძულდათ ბა-  
ტონყმური რუსეთი. ნეკრასოვიც მათთან იყო  
სულიერად. ამ ახალი ადამიანების, რაზნოიჩი-  
ელების რიგებში მტკიცედ გაისმოდა მებრძოლი  
დემოკრატი პოეტის ხმა, ამ ახალი ადამიანების  
იდეალებს უერთდებოდა პოეტის შემოქმედე-  
ბის დედაარსი.

ჩვენს დღეებში კიდევ უფრო მკაფიოდ  
ჩანს ის დიდი, რთული და მძიმე გზა, რომე-  
ლიც მშრომელმა ხალხმა ექსპლუატატორებთან  
განუწყვეტელ და სასტიკ ბრძოლებში გამოიარა.  
ტრაგიკული იყო წარსული, სადაც გაისმოდა  
მღელვარე ხმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 25  
წლის პოეტის ნეკრასოვის შთამბრენილი ხმა,  
როდესაც იგი 1846 წელს დაწერილ ლექსში  
„სამშობლო“ იხსენებდა ძველსა და ნაცნობ

ახალი, მომავალი საზოგადოების მოტრფი-  
ულ პოეტს ნეკრასოვის მხურვალე ხმა უფვე  
ღღარ ჰგავდა პუშკინისა და ლერმონტოვის  
მწუხარებითა და გულწრფელობით აღსავსე  
შთამაგონებელ პოეტურ ხმას, ნეკრასოვი ახლო  
იღვა იმ დიდ საბატიო წოდებასთან, რომელ-  
საც ხალხის პოეტი და მასწავლებელი ჰქვია.  
არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ დიდი  
რუსი კრიტიკოსისა და სახელგანთქმული მწერ-  
ლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ჩერ-  
ნიშევსკის სიტყვა ნეკრასოვის შესახებ, რო-

**ვასილ ლაფარავილი**

რუსი ხალხის დიდი კომპი





მელშიც იგი პოეტის შემოქმედების ლაქონიურ შეფასებას იძლევა. აი, რას სწერდა ჩერნიშენსკი თავის მეგობარს მიხაილ ციმბირიდან მიმდევად დაავადებული, მომავლადი ნეკრასოვის შესახებ: „უთხარი მას, რომ მე იგი მხურვალედ მიყვარს, როგორც ადამიანი... დარწმუნებული ვარ, რომ მისი სახელი უკვდავია, რომ უკვდავია რუსეთის სიყვარული მისადმი, რომელიც არის რუს პოეტებს შორის ყველაზე გენიალური და კეთილშობილი პოეტი. მე მწარედ ვვოდებ მასზე. იგი მართლაც იყო კეთილშობილური მაღალი სულის ადამიანი; დიდი გონების ადამიანი. და, როგორც პოეტი, ცხადია, ყველა რუს პოეტზე მაღლა დგას“. ასე შეაფასა ნეკრასოვი იმ დროის დიდმა ადამიანმა და მოაზროვნემ.

ახლა ორიოდ სიტყვით თვალი გადავავლოთ ნეკრასოვის ცხოვრებას, მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ ადგილს. პოეტის მშობლიური მხარე თვალწარმტაცო ვოლგისპირეთი, დაიბადა 1821 წლის 10 დეკემბერს პოდოლსკის გუბერნიის ვინნიცის მაზრის დაბა ნემიროვოში. მამამისი ალექსი სერგის ძე ნეკრასოვი არმიის ოფიცერი, ეგერთა პოლკის პორუჩიკი იყო. პოეტის დედა ელენე ანდრიაის ასული ნეკრასოვა (ზაქრეცკაია) 1841 წელს გარდაიცვალა, როცა ნიკოლოზ ნეკრასოვი 20 წლისა იყო.

პოეტის ოჯახში დიდი დრამა და ტრაგედია ბობოქრობდა. პატარა ნიკოლოზის მამა ძალზე უხემში, უმეცარი კაცი იყო და, დესპოტურად ექცეოდა თავის ყმა გლეხებს. პოეტის დედა კი საეხეობით მოწინააღმდეგე ხასიათის ადამიანი იყო, განათლებული და პუბლიცისტი.

ვოლგის ნაპირას, ქალაქ იაროსლავლის მახლობლად, სოფელ გრეშნევოში, სადაც მამისეული მამული მდებარეობდა, პოეტმა გაატარა თავისი ბავშვობის წლები. მძიმე და მწარე იყო ცხოვრება გრეშნევოში, სადაც შიშით იყვნენ შეყარობილი არა მარტო ყმა გლეხები, არამედ მეამულის მთელი ოჯახიც. ამიტომ ასე არასასიამოვნო იყო პოეტისათვის იმ საშინელი კოლოზების გახსენება:

... მაგრამ ბევრი რამ მაგონდება მე  
 უარესი.  
 გული მეგსება ბოღმით, სისხლით,  
 ცეცხლის ალებით,  
 ჩემი ბავშვობა იყო სავეტ მხოლოდ  
 წვალებით.  
 მე არ მქონია მოგონება ნათელი, კარგი,  
 მაგრამ ბავშვობის საშინელი, წყევული  
 ბარგი,  
 სულს ამძიმებდა და აქამდე მომყვა  
 ხუნდები.  
 წარსული ჩემო! ნურასოდეს ნუ  
 დაბრუნდები!

ბავშვობიდანვე გაეცნო ნეკრასოვი ქრისტიანი ადამიანების ცხოვრებას, ბურლაკების მსგავსი შრომის და მწუხარებით აღსავსე მათ სიმღერებს, რომელნიც „სამკლავოებარო გმინვას“ ჰგავდნენ:

მე ვიზრდებოდი მივარდნილ მხარეს,  
 იქ, ნაპირებზე დიდი მდინარის,  
 სადაც ლერწმები შხოდნენ ყრულად,  
 სადაც ღალღები ეიოდნენ გუნდად...  
 ო, ვოლგავ, კვლავ შენს ნაპირთან

შედეგ —  
 მომაქვს სალამი დიდი ხნის შემდეგ!  
 მე ის აღარ ვარ, რაც ვიყავ წინათ,  
 შენ — დიდებული — კვლავ ისე ბრწყინავ...  
 უცერად კენესა მომესმა გაბმით  
 და მყისვე მზერა მივაყარ ნაპირს:  
 ლამის მოწამდე თავჩაღუნული,  
 ფეხმფეფუთვინილი ძონძით და ბაწრიით,  
 ვნახე — ბურლაკთა შვიი კრებული  
 მოზოზინებდა მდინარის გასწვრივ...  
 ო, დიდხანს, დიდხანს, მოშობელ მდინარის  
 სანაპიროზე ვიდექე მტირალო.

იმ დღეს დავარქე მე მას სახელი —  
 იმ დღეს ვუწოდე მე მას: მდინარე  
 მონობისა და სევდ-ნაღველის!  
 რაც განმეზრახა მე მაშინ ყრმასა  
 და რაც შევიფიცე მეგობარ ბავშვებს,  
 რაც შთამესახა მე მაშინ აზრად —  
 დე, საუკუნოდ ამ გულში დარჩეს,  
 რათა არავინ აიგდოს მასხრად!

როგორც ამ ლექსის ყოველი სტრიქონი გვიდასტურებს, ნეკრასოვი თვალნათლივ ხედავდა ხალხის მონურ მდგომარეობას, სოციალური უსამართლობის სურათებს, ხედავდა მშრომელი ხალხის მწუხარებასა და კენესას და ყველაფერი ეს მის გულს მძიმე განცდებად ედებოდა. ნეკრასოვის ლექსები „ნადირობა ძაღლებით“, „გზაში“ თუ „სამშობლო“ პოეტის ცხოვრების ერთგვარი ეტაპებია, მისი ბიოგრაფიის სისხლმარდიანი სურათებია.

ნიკოლოზ ნეკრასოვმა 1832 წელს მიაშურა იაროსლავლის გიმნაზიას, შემდგომ კი, როცა გიმნაზია დაამთავრა, გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც 1839 წელს უნივერსიტეტში ესწრაზოდა ლექციებს, როგორც თავისუფალი მსმენელი. მამამისს კი სურდა, რომ შეიღოს ესწავლა სამხედრო სასწავლებელში. ნიკოლოზმა არ შეასრულა მამის სურვილი. როცა ალექსი სერგის ძემ შეიტყო, რომ შვილი არ შევიდა სამხედრო სამსახურში, მაშინვე შეუწყვიტა ყოველგვარი მატერიალური დახმარება და თითქმის მათხოვრულ მდგომარეობაში ჩააყენა. მამის ასეთმა უხეშმა და არადამიანურმა საქციელმა კიდევ უფრო აიღვესო პოეტის გული დედისადმი ნაზი სიყვარულითა და მადლობით გრძნობით. დედამ ასწავლა, თუ როგორ უნდა



ებრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. დედამ ადავსო მისი გული სიმართლისათვის მებრძოლი მოქალაქის მგზნებარე გრძნობებით, დედამ ურჩია გაჰყოლოდა ცხოვრების მიმე, მაგრამ სწორ ვხას, ყოფილიყო უშიშარი და ხალხის თავი-სუფლებლისათვის თავდადებულ მებრძოლი ადა-მინი. პოეტის დედის კეთილშობილური სახე ნათლად ჩანს ნეკრასოვის ერთ-ერთ შესანიშნავ პოემაში, რომელსაც ჰქვია „რაინდი ერთი სა-თით“:

... და მე ამ ღამით მომსურებია,  
 ცრემლებს ვაფრქვევდე იმ შორ საფლავსა,  
 სადაც საბრალო დედის ძეგლია...  
 გამოქცხადე თუნდ ერთი წუთით  
 ო, საყვარელო, ძვირფასო დედავ,  
 სხვისთვის ცხოვრობდი და სხვისთვის  
 წუხდი...

რაოდენ ტანჯვას, ქარიშხლის ზვირთებს თავზე გამსხვრევდა ცხოვრება ფილი, შენ კი სუსტ მკერდით იცავდი შვილებს და გაკვირვებას არაფრად თვლიდი... გამომიყვანე ეკლიან გზაზე! გადაეჩვიე მისზე სიარულს, აპა, დაეფალ უწმინდურ ქაობს ტყვედ ვყავარ წვირილმან გულისთქმას ფარულს!

მოხეტიალეთ, მცონარეთ წრიდან, ხელები სისხლით რომ შეუვსებიათ, ვადამიყვანე იმათ ბანაკში — ვინც ეწირება სიყვარულს დიადს.

საინტერესოა გავიხსენოთ ნეკრასოვის გამო-სვლა სამწერლო ასპარეზზე. 1840 წელს გამო-ვიდა პოეტის ლექსების პირველი კრებული „ოცნებები და სხვები“. არც კრიტიკოსებმა და არც თვითონ ბ. ბელინსკიმ კრიტიკულ დადებით შეფასება არ მისცეს. იმ ხანებში მხოლოდ ნეკრასოვის ვოდელებს ხვდა წარმატება რუსულ სცენაზე. ამ ნაწარმოებთა შორის გამოირჩეოდა — „დედის დალოცვა“. 1843 წელს ნეკრასოვმა გამოცა ლექსად დაწერილი ფელეტონები. შემდგომ ნიკოლოზ ნეკრასოვის თაოსნობით გამოდის არა ერთი კრებული და აღმანახი, სადაც მონაწილეობას ღებულობენ ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, ი. ტურგენევი, თ. დოსტოევსკი და სხვა გამოჩენილი რუსი ადა-მიანები.

ლექსებში — „გზაში“, „სამშობლო“, „ნადი-რობა ძაღლებით“ და სხვა, რომლებიც ნეკრა-სოვმა გასული საუკუნის ორმოციან წლებში დაწერა, პოეტი ამხელს სოციალურ უთანასწო-რობას და ღრმად ასახავს მშრომელი ხალხის უდიდესი ტანჯვა-ვალებით აღსავსე ცხოვრებას. სახელგანთქმული რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინ-სკი მიეგება ამ ლექსებს და მგზნებარედ თქვა, რომ მათში „ბევრი რამ არის ჰკვიანი, საქმიან-ნი და თანამედროვე“. ისიც უნდა აღვნიშნოთ,

რომ ნეკრასოვის, როგორც პოეტი-მოქალაქის როგორც რევოლუციური დემოკრატის ერთი აღმზრდელი დიდი რუსი მოაზროვნე ბ. ბელინსკი იყო.

რუსი რევოლუციური დემოკრატიის ბეჭე-ვით ორგანოს — „სოვერენნისკ“ ნეკრასოვი სათავეში ჩაუდგა 1847 წელს და მრავალ წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. ეს ის ხა-ნაა, როცა პოეტი ქმნის მრავალ ნაწარმოებს ქალის მიმე ბედ-იღბალზე, გლეხობაზე, და ღრმად ასახავს ქალაქის მშრომელი ადამიან-ების არსებობის მიმე პირობებს. ასეთ მაღალ-ნიჭიერად და რეალისტურად დაწერილ ნაწარ-მოებებს ეკუთვნიან „მივიწყებული სიფელი“, „გლეხის ბავშვები“, „ქარისკაცი“ დედა არი-ნა“, „ქუჩაში“, „ქორწილი“, „ცინვა ცხვირწი-თელა“, „მოუწყალი ყანა“. ავიღოთ, მაგალი-თად, აქ დასახელებული ბოლო ლექსი, რომე-ლიც ნაღვლიანი ფიქრებით არის აღვსილი. მო-უწყალი დარჩა ყანა, რადგან მის მხენელსა და მთესველს „ნილაჟი გაუწყდა“, შრომისათვის აღარ ვერა, მან ამოწურა თავისი სასიცოცხლო ძალა: „არცა ჰამს, არცა სეამს — აგდია სნუ-ლი; ჰია შესჩენია — გულს უღრღნის წყეუთი“.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში რუსეთის საზოგადოებრივი აღმავლობის გზაზე, ეს გლეხური რეფორმის წლები არის. ამ პერიოდში ნეკრასოვი უხალოვდება ისეთ გამოჩენილ რევოლუციური დემოკრატებს, რო-გორიც არიან ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობრო-ლუბოვი. ნეკრასოვი ჰქმნის ბრწყინვალე ნა-წარმოებებს: „პოეტი და მოქალაქე“, „ფიქრები სადარბაზო შესასვლელთან“. ეს მაღალი იდე-ურობითა და სამოქალაქო პათოსით გააღწე-თილი უკვდავი ლექსები მრავალმა მკითხველმა იცოდა და იცის ზებირად, მებრძოლი სული-თაა აღჭურვილი მათი ყოველი სტრიქონი. აა, მოქალაქე ეუბნება პოეტს:

ვისაც აქვს შენგბრ ნიჭი, უნარი,  
 სამარცხვინოა იყოს მიმნარი;  
 სამარცხვინოა კვლავ უფრო მეტად,  
 როდესაც ვისმენთ ირგვლივ ვაებას —  
 სწერდე ბუნების სილამაზებზე,  
 ან ტურფა სატრფოს უძღვნიდე ქებმას...  
 ვით დედის ტანჯვას და მწუხარებას  
 მშვიდად უტყვიროს, ვერ შესძლებს შვილი,  
 ვერც მოქალაქე შესძლებს ვარჯისი —  
 სამშობლოსადმი იყოს გულგრილი...  
 შენ კი, პოეტო! რჩეული ზეცით,  
 სიმართლეს შენგან რომ ელის ვერი,  
 არ დაიჯერო, რომ შენი ქნარის  
 არ იყოს ღირსი კაცი მშვიერი...  
 შეხედე მუშას: იგი მაგარ ქვას

**ვასილ ლაფტარაშვილი**  
 რუსი ხალხის დიდი პოეტი

ტებს და ამრავლებს თოილ ნაკოდალებს,  
და თვისთავად ჩაქუჩის დარტყმა  
აჩენს ნაპერწყლებს და ცეცხლის ალებს.

რაოდენ ღრმა და მწუხარე განცდებია გა-  
მოსახული ჩაგრული და დამცირებული მშრო-  
მელი ადამიანების მიმართ, შეიძლება ითქვას,  
ნეკრასოვის ყველაზე უფრო იდეურად და ის-  
ტატურად შექმნილ ლექსში — „ფიქრები სა-  
დარბაზო შესასვლელთან“. დიდი დრამატიზმი  
და ღრმა ფილოსოფიური აზრებია ჩაქსოვილი  
ამ ბრწყინვალე პოეტურ ნაწარმოებში. და არ  
არის ადგილი მეფის რუსეთში, სადაც მშრო-  
მელი კაცი არ კენესოდეს:

კენესის გადაშლილ მინდორ-ველში  
და შარა გზაზე,  
კენესის ციხეში წამებული, გულსაკლავ  
ხმაზე,  
მალარობის ჭურღმულეებში  
ხუნდებშეყრილი,  
თივის ზვინის ქვეშ მორდრეილი, წელში  
მოსრილი...  
ყოველ მივიარნილ ქალაქებში ის კენესის  
მწარედ,  
სასამართლოს და პალატების კარებთან  
მდგარი.  
ვადით ვოლგაზე: ნახეთ, ვისი ვაისმის  
კვენსა,  
ვრცელ და უდიდეს მდინარეზე რუსეთის  
დიდის.  
ამ კენესას ჩვენში ეძახიან სიმღერას  
დღესაც —  
და ბურღაყები, საბრალონი, დარღს  
იკვლენ მითი...

პოეტის დიდი თანაგრძნობითა და სინაზით  
არის აღსავსე უდრევი რუსი ქალების, ცნობი-  
ლი დეკაბრისტების ცოლების განცდები და მათი  
პრაქტიკული მოქმედება ნეკრასოვის სახელ-  
განთქმულ პოემში „რუსი ქალები“. 1866  
წელს ნეკრასოვი იწყებს მუშაობას კაპიტალურ

პოეტურ ნაწარმოებზე „ვინ ცხოვრობს რუსეთ-  
ში კარგად“. პოემაზე მუშაობა დასრულდა  
განაგრძო 1876 წლამდე და ნაწარმოები დაუმ-  
თავრებელი დარჩა, ამ დიდ პოემაში იგი ღრმად  
ასახავს გლეხთა ცხოვრებას, გლეხური ოჯახის  
ზნე-ჩვეულებებს, სწორად გადმოგვცემს ხალხის  
ყოფას, მის დაუღალავ ბრძოლას ბოზბლა ექს-  
პლოატატორების წინააღმდეგ.

ნეკრასოვის რევოლუციურ-დემოკრატიულმა  
და სამოქალაქო შემოქმედებამ პოეტების არა  
ერთი თაობა აღზარდა. მათ შორის არიან —  
ნ. დობროლუბოვი, ნ. ოგარიოვი და სხვა დე-  
მოკრატი პოეტები, ჩვენს დროში კი — ა. ბლო-  
კი, ე. მაიაკოვსკი, მ. ისაკოვსკი და სხვა გამო-  
ჩენილი საბჭოთა პოეტები.

ნიკოლოზ ალექსის ძე ნეკრასოვის პოეზიას  
კარგად იცნობს და დიდად აფასებს ქართველი  
მკითხველი. 1867 წელს ლექსი „ფიქრები სა-  
დარბაზო შესასვლელთან“ თარგმნა ცნობილმა  
ქართველმა მწერალმა ანტონ ფურცელაძემ.  
ნეკრასოვის ლექსები თარგმნეს ი. ევდოშვილ-  
მა, კირილე ლორთქიფანიძემ („პოეტი და მო-  
ქალაქე“), ლ. მესხიშვილმა და სხვებმა.

ჩვენს დღეებში ნიკოლოზ ნეკრასოვის ლექ-  
სებსა და პოემებს დიდი სიყვარულით თარგმ-  
ნიან ქართველი საბჭოთა პოეტები, რომელნიც  
აცნობენ ჩვენს ახალგაზრდობას, ქართველ მკი-  
თხველს ნეკრასოვის შესანიშნავ სამოქალაქო  
პოეზიას. ე. ვაბესკირიამ და ე. გორგაძემ თარ-  
გმნეს პოემა „რუსი ქალები“, გ. ცეცხლაძემ,  
ა. შირტულავამ და რ. გვეტაძემ — პოემა  
„ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“. ნეკრასოვის  
მრავალი ლექსი თარგმნეს გ. ცეცხლაძემ და მ.  
ლებანიძემ. ბრწყინვალედ არის შესრულებუ-  
ლი ლექსების „სამშობლო“ და „უცნობ მე-  
გობარს“ თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ვა-  
ლერიან ვაფრინდაშვილის კალამს.

დღეს საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ერ-  
თად ქართველი ხალხიც სიხარულით ხვდება  
დიდი რუსი პოეტის სახელოვან იუბილეს.





# კოლ ვალერი

ფრანგი პოეტი პოლ ვალერი დაიბადა სენტში, 1871 წ. მამამისი ფრანგი იყო, ხოლო დედა იტალიელი. 1892 წლიდან დაუახლოვდა პარიზის ლიტერატურულ წრეებს, სადაც გაიცნო სტეფან მალარმე, რომელმაც შემდგომ ესოდენ დიდი გავლენა მოახდინა მის ინტელექტუალურ განვითარებაზე. ვალერის ლიტერატურული მოღვაწეობა 1889-90 წ. დაიწყო, სიმბოლისტური ჟურნლების ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსებით. მათ მოჰყვა „შესავალი ლეონარდო და ეინჩის მეთოდისა“ და „სალამო მ. ტესტან“. მაგრამ 1900 წლიდან თავს ანებებს ლიტერატურულ მოღვაწეობას და წლების მანძილზე კარნავეტილად ცხოვრობს აბსოლუტურ მღუმებაში, რომელიც მხოლოდ 1917 წელს ირღვევა „ნორჩი პარკას“ გამოქვეყნებით. ამ წიგნმა მას ჭეშმარიტი პოეტის სახელი მოუხვეჭა მეგობრებსა და პოეზიის ტრფიალთა შორის. 1920 წელს აქვეყნებს „ოდებს“ და ლირიულ პოემებს, რომელნიც შემდგომ გაერთიანდნენ კრებულში „ხიბლი“ და რომელთაც კიდევ უფრო განამტკიცეს მისი, როგორც პოეტის სახელი და საფრანგეთის ფარგლებს გარეთაც გაიტანეს იგი. „ხიბლი“. მოჰყვა დიალოგები — „ევალიონისი“, ანუ „ხუროთმოძღვარი“ და „სული და როკვა“ (1923), ესეების ორი ტომი — „სხვადასხვა, I“ (1924) და „სხვადასხვა, II“ (1930), აგრეთვე მრავალი მომცრო წიგნი და ლიტერატურულ-ფილოსოფიური ხასიათის ფრაგმენტები. 1925 წელს არჩეული იქნა საფრანგეთის აკადემიის წევრად, სადაც დაიკავა ანატოლ ფრანსის ადგილი.

ვალერის პოეზიის გაგება შეუძლებელია იზოლირებულად, მისი კულტურული საწყისებისგან მოწყვეტით. ეს საწყისები კი საკმაოდ მრავალრიცხოვანია: სიმბოლისტური მოძრაობა ზოგადად, და მალარმეს ქმნილებანი კერძოდ, მათ წიად — „პარნასი“ და ბოდლერი, ამ უკანასკნელის წიად — რასინი და, ბოლოს, ფრანგული ლიტერატურული ტრადიცია საერთოდ. სიმბო-

ლისტური რიტორიკიდან ვალერის შემოიჩა ენის ერთგვარი მანერულობა და მიდრეკილება პოეტური მითოლოგიურობისაკენ: სემრამიდა, ნარცისი, პითია, გველი... ვალერის შემოქმედების აღრინდელსა და გვიანდელ — „ნორჩი პარკასა“ და „ხიბლის“ პერიოდს ერთმანეთისაგან ჰყოფენ ტრაქტატი ლეონარდოს მეთოდის შესახებ, მ. ტესტის „იმიჯინისტური პორტრეტი“ და მედიტაციური მღუმარების ჩვიდმეტი წელი, რომელიც ბუნებისმეტყველებისა და უმაღლესი მათემატიკის შესწავლას შესწირა პოეტმა.\* ამ უჩვეულო ცხოვრების წიად ზრდიდა და ამწივებდა პოლ ვალერი თავის პოეზიას. ამიტომ ზოგი, გადაჭარბებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებს მის მიდრეკილებას პასკალის „გეომეტრიული სულისაკენ (l'esprit géométrique) მეტაფიზიკოსად და „ფორმალისმის“ ფილოსოფოსად მიიხედავს მას, მაგრამ ეს უმალ იმის მარჯვენებელია, რომ ვალერისთვის, როგორც ყველგან და ყველადღერში, ისე აქაც ჭეშმარიტი ფრანგისა და ტრადიციონალისტიკისათვის, უცხო არაა მორალიზმი და ფსიქოლოგიზმი. და თუ, როგორც ასეთი, თავის ყურადღებას ის მიმართავს ინტელექტის აქტებისა და სულიერი სამყაროსაკენ, მათ უმზერს როგორც სულოვანი და არა როგორც ლოგიკოსი. წმინდა აზრი მას სძრავს და აღლევებს არა თავისი უნივერსალური ღირებულებით, არამედ იმით, რაც მასში უკიდურესად ინდივიდუალურია, ე. ი. თავისი გენეზისით და ფორმირებით, თავისი კლასიკური აქციდენტურობით. ვალერის იზიდავს აზრი, არა როგორც ქმედითი ძალა შემეცნებისა, არამედ მისი ყოვლისმგნრველი ძალმორჭმულება, ილუსორთა განჭარბების მისი ჭეშმარიტად უსასღვრო უნარი, უნარი დღეს დაკარგვისა და დაკარგულის ხე-

\* ანდრე ჟიდის ვალმოცემით, პოლ ვალერი ამყობდა იმით, რომ დაუბრკოლებლად კიბხულობდა ანშტაინის ურთულეს შრომებს (მთარგმნელის შენიშვნა).

ლე პოვნისა, მისი მისტური იდენტურობა. ესაა ცენტრალური იდეა ტრაქტატებისა ლენინარდო და ვინისა და მ. ტეტის შესახებ. და მასში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ვალერის ყველა თეორიული შეხედულება, რომელთა თანახმადაც შეიმეცნება, არა მარტო ხელოვნური და ფიქტიური, არამედ, საერთოდ, შეუძლებელიც, მხოლოდ ენის წყალობით და მის წიაღში ხდება შესაძლებელი (ამ შემთხვევაში ენის ბუნება ჩვენ გვესახება როგორც პირწმინდად პრაქტიკული და კონვენციონალური); მსგავსა შეხედულებებმა მიიყვანეს მწერალი, ერთის მხრივ, რადიკალურ გნოსეოლოგიურ სკემტიციზმამდე, ხოლო, მეორეს მხრივ, სულიერი ქმედითობის ერთდროულად პესიმისტურსა და პერიოკულ კონცეფციამდე, რომლის თანახმადაც ეს სულიერი ქმედითობა სხვა არა არის რა, თუ არა გრანდიოზული თამაში, ხოლო ხელოვნება ამ თამაშის ერთ-ერთი მოდუსია მხოლოდ. არ ვაპირებთ ამ კონცეფციის არსის განხილვას, რომელიც, მართალია, პირწმინდად ანალიტიკური და ანტისისტემატური გზით, მაგრამ მაინც ორგანულად უკავშირდება თანადროულობის რელატივისტურ თეორიებს: ვიტყვი მხოლოდ, რომ ვალერი უბაღლო ხელოვნებით ავითარებს მას და ავლენს მისი ტრაგიკული წინააღმდეგობის მთელ შინაგან პათოსს. ვალერის თვით პოეტურ თემებშიაც კი, რომლებიც ხშირად კოსმოსისათუ ფარული სენსუალური ცხოვრების პირინპირ მდგარი შემეცნების ელემენტარული მოძრაობის სიმბოლოებესა თუ იმაჟინისტურ ტრანსპოზიციებს წარმოადგენენ, ზოგიერთი ფილოსოფოსი, როგორც მაგ. ალენი, ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჭდეს, აზრის ქეშმარიტად სპეციფიკური შინაარსი დაინახოს და „თანამედროვე ლუკრეციუსს“ უწოდებს მას; ზოგი კრიტიკოსი კი, როგორც, მაგალითად, ტიბოდე, ბერგსონის გავლენას მიაწერს ვალერის. მაგრამ ფაქტია, რომ ვალერის „დიდასკალიკოსი“ პოეტისა არა სცხია რა. მისი უზაღო, ღრმად ინტუიტური ლირიკისათვის, რომელშიაც „პერმეტული ფორმის“ კლასიკური სიმკაცრე პარმონიულად ეულ-

ლება თანამედროვე პოეზიის უახლესი ტენდენციებისათვის ძვირფას სახეებსა და სენტენცებს, აბსოლუტურად უცხოა ყოველგვარი რიტორიკულობა და მშრალი რაციონალიზმი.

ვალერის პოემებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „ნორჩი პარკა“ — პოემა ქმნილების პირველი გამოდგილების შესახებ, ქმნილებისა, რომელიც გრძნობს თავისი მსწრაფლწარმავალი სიცოცხლის მთელ ტრაგიკულ და მის მოკვეთილობას ნეტარი უგრძნობლობის დასაბამიერი და უზრუნველი ყოფნისაგან. ანალოგიურ თემას ავითარებს „გველის ესკიზი“, სადაც სიცოცხლისა და შემეცნების დაბადება ქვეყნად, მაღალი მეტაფიზიკური ირონიით, დანახულია როგორც ლაქა; როგორც დღევანდელი არყოფნის შუქმოიფხვ სრულქმნილებისა. აქვე დავსახელებთ „ნარციუსის ფრაგმენტებს“, „პალმას“, „ავრორას“ და, ბოლოს, „ზღვის სასაფლაოს“, შესაძლოა, ყველაზე ძლიერს, ყველაზე სრულყოფილს ვალერის პოემათაგან, რომელშიც სიყვადლსა და არარაობაზე ფიქრიდან პოეტის სული თანდათან გადადის, თანდათანობით იძირება ცხოვრების მქუხარე და ყოვლისდამეიწყებელ მდინარეებში.

როგორც პოეზიის თეორეტიკოსმა, ვალერამ ბოლოვამს შეიმუშავა აწმინდა პოეზიის ცნება, უკვე მონიშნული ედგარ პოს, სტეფან მალარმესა და მისი სხვა წინამორბედების მიერ. ეს ცნება, რომელიც პოეზიის სპეციფიკურად ემოციურსა და ინტუიტურ თვისებას მიიჩნევს მის ქეშმარიტ რაობად, უშუალოდ უკავშირდება საფრანგეთში გაბატონებულ ესთეტიკურ დოქტრინებს. ვალერი იკვლევდა აგრეთვე პოლიტიკურსა და სოციალურ პრობლემებს. მისი კონცეფციების უნივერსალისტურობამ, მისი პოეზიის ინტელექტუალურმა ხასიათმა განაპირობა ის, რომ „ზღვის სასაფლაოს“ ავტორს ახალგოეთეს უწოდებენ დღეს, თუმცაღა უფრო შეზღუდულს, უფრო ცივსა და უფრო მანერულს. ასეა თუ ისე, ექვს გარეშეა, რომ ამ პოეტის ქმნილებებიდან ჩვენ გვესმის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და ყველაზე მნიშვნელოვანი ხმა.

იბაღლოშვილიან თარგმანს ბაჩანა ბრეგვაქიძე.

# ფერილები, აზრები

## ს უ ლ ი ს კ რ ი ზ ი ს ი

ჩვენ — ცივილიზაციებმა — ახლა კი ვიცით, რომ მოკვდავნი ვართ.

ჩვენ ვიცნობთ უგზოუკვლოდ დაკარგულ სამყაროებს, მთელი თავიანთი მოსახლეობითა და ტექნიკით, თავიანთი ღმერთებითა და კანონებით, თავიანთი აკადემიკოსებითა და წმინდა თუ გამოყენებითი მეცნიერებებით, თავიანთი გრამატიკოსებით, თავიანთი ლექსიკონებით, თავიანთი რომანტიკოსებითა და სიმბოლისტებით, თავიანთი კრიტიკოსებითა და კრიტიკოსთა კრიტიკოსებით ზღვებში ჩამბრუნულსა თუ საუფუნეთა უსასრულო უფსკრულში დანთქმულ იმპერიებს. ჩვენ ვიცით, რომ მთელი ხილული მიწა ფერფლისაგან იღებს დასაბამს, და რომ ფერფლი მოკვლებული არ არის მნიშვნელობას. ისტორიის სისქის წიაღ ჩვენ ვარჩევთ აურაცხელი მატერიალური თუ სულიერი ფასეულობებით დატვირთულ ზომალდას ლანდებს. ჩვენ არ შეგვეძლო მათი აღრიცხვა, მაგრამ ეს საზღვაო კატასტროფანი, არსებითად, არც ვგეხებოდნენ ჩვენ.

ელაში, ნინეფია, ბაბილონი მშვენიერი და ბუნდოვანი სახელები იყენენ. და ამ ძველ სამყაროთა ტოტალური ნგრევა ისევე ცოცხალს ნიშნავდა ჩვენთვის, როგორც თვით მათი არსებობის ფაქტი. მაგრამ საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი... ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, ესენიც მართოდენ მშვენიერ სახელებად იქცნენ. ლუზიტანიაც მშვენიერი სახელია. და აი, ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ისტორიის უფსკრული ყველაფერს იტევს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ცივილიზაცია ისევე შეიფეა და მსხვრევადი, როგორც სიცოცხლე. გარემოებანი, რომელთაც ხელუწიფებათ კიტისისა თუ ბოდლერის ქმნილებებს შენანდრეს ქმნილებათა ხვედრი გახზიარებინონ, აბსოლუტურად ენიგმურნი არიან: ჩახედეთ ნებისმიერ ვაზეთს.

ეს კიდევ არაფერი. გაკვეთილი უფრო მწარეა. ჩვენმა თაობამ პირადი ცდით შეიცნო არა მარტო ის, თუ როგორ შეიძლება იქცეს შემთხვევითობის მსხვერპლად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ყველაზე უკეთ ორგანიზებული:

არა, მან თავისი თვლით იხილა ისიც, თუ როგორ იჩინა თავი ვონების, კეთილგონიერებისა და გრძნობეულობის სფეროში ყველაზე უჩვეულო ფენომენთა სიმრავლემ, პარადოქსთა ანანუდელმა რეალიზაციამ, სიცხადისა და სიაშკარავის უხეშმა რღვევამ.

მოვიტან მხოლოდ ერთ მაგალითს: გერმანული მოდგმის ხალხთა ყველა სიქველემ უფრო მეტი ბოროტება მოუტანა კაცობრიობას, ვიდრე მცონარებისაგან შობილმა ათასმა ბიწმა. ჩვენ ვიხილეთ, საკუთარი თვლით ვიხილეთ, როგორ დგებოდა შემზარავ ზრახვათა სამსახურში უკეთესინდისიერესი შრომა, უღრმესი განსწავლულობა, უსერიოზულესი დისციპლინა და გულმოდგინება.

ამდენი საშინელება შეუძლებელი იქნებოდა ამდენივე სიქველის გარეშე. უთუოდ საჭირო იყო დიდი და მრავალმხრივი ცოდნა, რათა ესოდენ მოკლე დროში გაეფუჭებოდა ამდენი ხალხი, იავარგეყო ამდენი სიყეთე, მიწასთან გაეგსწორებინა ამდენი ქალაქი. მაგრამ ასევე საჭირო იყო არანაკლები მორალური თვისებანიც. და აი, ცოდნავ და მოვალეობავ, — დღეს თქვეც საეჭვო ღირსებათა როლში გვევლინებით.

ამრიგად, სპირიტუალური პერსეპოლისი ისევე გაპარტახდა, როგორც მატერიალური სუზა. მართალია, ყველაფერი არ დაღუბულა, მაგრამ ყველაფერმა შეიგარჩა სიკვიდილის ცივი სუნთქვა.

უჩვეულო ერთხანტელმა დაუარა ევროპის ტენის. მთელი თავისი მოაზროვნე კანძებით მან შეიგრძნო, რომ უკვე ვეღარ ცნობს, უკვე აღარ ჰგავს თავისსავე თავს, და რომ მას თვითშემეცნების უნარის დაკარგვა ემუქრება, — უნარისა, რომელიც მან მხოლოდ ამდენი საუკუნის მანძილზე დათმენილი ათასგვარი უბედურების, ათასობით პირველხარისხოვანი მოაზროვნის ძალისხმევითა და ურიცხვი გეოგრაფიული, ეთნიკური თუ ისტორიული სპეციფიკის წყალობით შეიძინა.

მაშინ, — თითქოს მისი ფიზიოლოგიური არსე-





ბობის უმწეო მცველად, — ევროპის სულში ბუნდოვნად გაიღვიძა მთელმა მისმა მეხსიერებამ. ისტორიის სიღრმიდან რივრივობით ამოტივტივდნენ მისი ღიდი პიროვნებანი და დიადი ქმნილებანი. არასოდეს არ კითხულობდნენ უფრო ბევრს და უფრო ვნებიანად, ვიდრე ომის დროს: დაეკითხეთ წიგნით მოვაპრეთა თაროებს. არასოდეს არ ლოცულობდნენ უფრო მეტს და უფრო გულმზურვალედ: დაეკითხეთ სამღვდელეობას. სასოწარკვეთილობამ გამოიხშო ყველა მხსნელი და ფუჭემდებელი, ყველა მფარველი და მარტვილი, ყველა გმირი და მამულის მამა, წინადაცხად შერაცხილი გმირი ქალები, ნაციონალური პოეტები...

და ამ ინტელექტუალურ ქაოსში, იმავე სასოწარკვეთილობის ზემოქმედების შედეგად, ევროპამ განიცადა თავისი მრავალწახანავიანი აზრის ყველა ასპექტის უსწრაფესი აღორძინება: ათასგვარი დოგმები, ფილოსოფიური სისტემები, პეტროგენული იდეალები; სამყაროს ახსნის პამასი ვზა და საშუალება, ქრისტიანიზმის ათას ერთი ნიუანსი, პოზიტივიზმის ორი დუენი სახეობა. — ინტელექტუალური სინათლის მთელი სპექტრი აელვარდა თავისი ურთიერთშუთავსებელი ფერების გამმით და უცნაური და ცვლადი შუქით გაანათა ევროპული სულის აგონია. მაშინ როდესაც გამოგონებლები საკუთარ ნახაზებსა თუ განვლენი ომების ანალოგში გაცხარებით დაეძებდნენ მავთულხლართების ვარდევებს, წყაქქეშა ნაგების მწყობრიდან გამოყვანისა და საპაერო თავდასხმების უცნებელყოფის ვებებს, — სული ერთბაშად, ერთდროულად მიზართავდა მისთვის ცნობილ ყველა მისწინასა და მთელი სერიოზულობით იკვლევდა ყველაზე უცნაურ წინასწარმეტყველებათა ბუნდოვან არსს. მოგონებათა გრძელ წესსებში, წარსულის დიად მავლობებსა და წინაპართა საგმირო საქმეებში ის ეძებდა თავშესაფარს, კეთილ ნიშნებს, ნუგეშს. ყველაფერი ეს სხვა არა არის, რა, თუ არა საყოველთაო სასოწარკვეთილების ჩვეულებრივი გამოვლენა, ტვინის ქოტურე წრიალი, რომელიც სინამდვილისაგან თავის დასაღწევად კომპარულ ხილვებს აფარებს თავს და კომპარიდან კვლავ სინამდვილეს უბრუნდება, თავზარდაცემული, როგორც სათავურში მომწყვდეული თავი.

სამხედრო კრიზისი, შესაძლოა, უკვე დასრულს უახლოვდება; ეკონომიური კრიზისი, ჯერჯერობით, კვლავ ძალაშია; მაგრამ ინტელექტუალური კრიზისი, უფრო ტოტალური და, თავისი ბუნებისამებრ, უკეთ შენდებლად (რადგან მისი მოქმედების სფერო დისიმულაციის სამეფოა), — მეტისმეტად გვიწვლავს მთელი მისი უემპირიტი მასშტაბურობის, მისი დღევანდელი ფაზის შეცნობას.

ევრაიენ ვერ იტყვის, რა მოკვდება ან რა დარჩება ცოცხალი ხვალ ლიტერატურაში, ფილო-

სოფიასა თუ ესთეტკაში. ვინ იცის, რამდენად აღეას ან მათი გამოხატვის რამდენ საშუალებას შეიტანენ დანაკარგის სიმაჲ, ან რამდენ სიხალეს გამოიტანენ დღის სინათლზე. მართალია, იმედი ცოცხლობს და ჩუმად, თაკისთვის ღიღინებს:

*Et cum vorandi vicerit libidinem  
Late triumphet imperator spiritus.*

მაგრამ იმედი სხვა არა არის რა, თუ არა ცოცხალი არსების უნდობლობა თავისი გონების ზუსტი წინასწარხედვის მიმართ. ის გვარწმუნებს, რომ ამ არსებისთვის არაკეთილსაზრველა ყოველი დასჯენა მისი გონების შეცდომის ნაყოფი უნდა იყოს. მაგრამ ფაქტი უწყალოა და ჩიუტა: აი, უდროოდ დაღუპული ათასობით ახალგაზრდა მწერალი თუ მხატვარი; აი, ევროპული კულტურის გაფანტული ილუზიები და კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ შექმენებას არაფრის ხსნა არ ძალუძს; აი, სასიკვდილოდ დაჭრილი და მისი გამოყენების სისასტიკით თითქოს პატივადილი მეცნიერება, თავისი ერთგობმხსნერული მორალური მისწრაფებებით; აი, რაღაც სასწაული გამარჯვებული, მაგრამ გაცვეთილ-გამოფიტული და თავისი ზმაჲ-ზემისათვის პასუხისმგებელი იდეალიზმი; აი, სასომიხილი, ნაცემ-ნაგვემი, დანაშაულობები და შეცდომებით დამძიმებული და დეგრადირებული რეალიზმი; აი, დაცივნის საგნად ქვეუთი თვითგანდიდება თუ თვითგანდგომილება; აი, ყველა ბანაკის შიგნით ერთმანეთში აღუღმხული სარწმუნოებანი, ჭვარი ჭვრის წინააღმდეგ, ნახევარმთავრე ნახევარმთავრის წინააღმდეგ და ა. შ. აი, დასასრულ, სექსუალური, — კალაპოტიდან ამოვარდნილი ისოდენ მოულოდნელი, ისოდენ მძაფრი და ისოდენ მშფოთვარე მოვლენებით, რომლებიც ისე ახამაშებენ ჩვენს აზრებს, როგორც კატა — თავის; სექსუალური კოსები, რომლებიც კარგავენ თავიანთ ექვებს, ხელახლა პოულობენ და კვლავ კარგავენ მათ; სექსუალური კოსები, რომლებმაც არ იციან, როგორ მოიხმარონ ან რას მოახმარონ თავიანთი გონების ძალა.

ხომალდი ისე ძლიერ ირყვოდა, რომ ყველაზე უკეთ დამაგრებული ლამპრებიც კი გადმოყარავენ.

რა განაპირობებს სულს კრიზისის მთელ სიღრმესა და სიმძიმეს? მდგომარეობა, რომელშიც მან აუადმყოფს მოუწყო.

მე არც დრო მაქვს და არც ძალი შემწვევს იმისათვის, რომ 1914 წლის ევროპის ინტელექტუალური მდგომარეობის სურათი დახატო. ან კი ვინ გაბედავს ამ მდგომარეობის თუნდაც ზოგად დახასიათებას? თემა გრანდიოზულია: ის მოითხოვს ათასგვარ ცოდნას, უსასრულო ინფორმაციას, და მართლაც, როცა საქმე ესოდენ



როდეს კომპლექსს ეხება, მაშინ თუნდაც უახლესი წარსულის აღდგენის ცდა თითქმის ისეთსავე სიმწინესთანაა დაკავშირებული, როგორც მომავლის, თუნდაც ყველაზე უახლოესი მომავლის აგების ცდა; ან, უკეთ რომ ვთქვათ, ორივე ეს სიმწინე ერთმანეთის ტოლფასია. წინასწარმეტყველი და ისტორიკოსი ერთსა და იმავე მუხრში სხედან. გაუშვი, ისხდნენ!

მე კი ამჟამად მმართველს მხოლოდ გაკვირბო, მხოლოდ ზოგადად გავიხსენო ის, რასაც ფიქრობდა ევროპა ომის წინა დღით, რასაც იცვლიდა ან აქვეყნებდა.

და აი, თუ მე გვირდს აფუელი ყოველგვარ დეტალს და მარტოოდენ პირველადი შთაბეჭდილებებითა და იმ ბუნებრივი მთლიანობით შემოვიფარებო, რასაც მომენტალური აღქმა იძლევა, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ **მე ვერაფერს ვერ ვხედავ!** — ვერაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არაფერი, შესაძლოა, უსასრულოდ მდიდარიც იყოს.

ფიზიკოსები გვასწავლიან: ჩვენს თვალს რომ გავრავლებულ ლუმენში ხელის უნაირი შენარჩუნება შეეძლოს, ის ვერაფერს ვერ დაინახავდა. იქ წაშლილია ყოველგვარი სინათლისმიერი უთანაბრობა, რაც თვალს სივრცის წერტილთა განსხვავების საშუალებას აძლევს. ამ უზარმაზარ, ლუმენის სიფრთველში მომწყვდეთელ ენერჯიას უხილავობისკენ, შეუგრძობელი თანასწორობისკენ მივყავართ. მაგრამ ამგვარი თანასწორობა სხვა არა არის რა, თუ არა სრულყოფილი მდგომარეობის ხარისხში აყვანილი უწყისობა.

რა განაპირობებდა ჩვენი სულიერი ევროპის ამ უწყისობას? — ყველა ღრმად განსწავლულ სულში ერთმანეთისაგან უკიდურესად განსხვავებული იდეების, სიცოცხლისა და შემიცნების აბსოლუტურად ურთიერთსაპირისპირო პოზიციების თავისუფალი თანაარსებობა. ასეთია მოდერნის ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი.

მე სრულიადაც არ ვარიდებ თავს იმ პრობლემას, რომ განვზოგადო „მოდერნის“ ცნება და არსებობის ვარკვეულ ფორმას მივუსადაგო. ნაცლად იმისა, რომ „თანადროული“ წმინდა სინონიმად ვიხმარო იგი. ისტორია იცნობს ბევრ ეპოქას თუ სახელმწიფოს, რომელთაც ჩვენ — **მოდერნის შეილებს** — თავისუფლად შეგვიძლია მივაკუთვნოთ თავი, ისე, რომ მეტისმეტად არ დავარღვიოთ მათი სპეციფიკური პარამონია და იქ მეტისმეტად კურობულ, მეტისმეტად განსხვავებულ ან უხამს, არასიმბოლირებად და დიონანტურ არსებებად არ გამოვჩნდეთ. ხოლო იქ, სადაც ჩვენი გამოჩენა ყველაზე ნაკლებ სენსაციას გამოიწვევდა, ჩვენ თითქმის ისე ვიქნებოდით, როგორც საკუთარ სახლში. აშკარაა, რომ ტრაიანეს რომი ან ბტოლემეაოსთა ალექსანდრია ჩვენ უფრო ადვილად შეგვიწყნარებდა და შეგვიისხსებობდა, ვიდრე ღრობით უფ-

რო ნაკლებ დამორბეული, მაგრამ თავისი ზნეუკულებების მოდელის მიხედვით უფრო მჭიდროდ ტად განმზოლებული, მთლიანად ერთი რომელიმე რასის კეთილი და ერთ კულტურაზე, ერთ სასიცოცხლო სისტემაზე დაფუძნებული ცივილიზაცია.

რა ვთქვამის! 1914 წელს ევროპამ თითქმის უკვე მიიღო მოდერნიზმის ამ უკიდურეს წერტილს. მაღალი რანგის ყოველი ტენი ის გზა-წვარდენი იყო, სადაც თავს იყრიდნენ ათასგვარი აზრები და კონცეფციები. ყოველი მოაზროვნე იდეების მსოფლიო გამოქვინას მოგაგონებდათ. თითებზე ჩამოსაფლენი როდი იყო იმ ნაწარმოებთა რიცხვი, რომელთა შინაგანი წინააღმდეგობანი და ურთიერთსაპირისპირო იმპულსების სიუხვე მხოლოდ ევროპული დელაქალაქების იმდროინდელი გამძვინვარებელი განათების კონტრასტებს თუ შეიძლება შევადაროთ: თვალს გჭრიდათ და გაბრმავებდათ სინათლის ქაოტური მორევი.

რამდენი მასალა, რამდენი შრომა, რამდენი ზუსტი ოპერაცია, რამდენი განმარტველი საუკუნე და რამდენი სხვადასხვა, შემოქმედებით ძიებებში დაფერფლილი სიცოცხლე დასჭირდა ამ კარნავალის გამართვას და მის გამოცხადებას კაცობრიობის უმაღლესი სიბრძნისა და ტრიუმფის ფორმად!

ამ ეპოქის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაწარმოებში ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შევიძლიათ აღმოაჩინოთ: რუსული ნალეტის გაცვენა, პასკალის პირქუში სტილის ნატამალი, გონკურისებურ შთაბეჭდილებათა თვალსაჩინო რაოდენობა, რაღაც ნიცუესეული, რაღაც რემბოსეული, რაღაც კიდევ — მხატვრების ხშირი ვიზიტებით განაპირობებული, აქა-იქ — მეცნიერული შრომების ტონი, და ყველაფერი ეს — მთლიანად გაცენილი ერთგვარი ბრიტანული ნელსურნელებით, რომლის დოზა საკმაოდ ძნელი დასადგენია!.. გაკვირთ შევნიშნავთ, რომ ამ მიქსტურის თვითვე შემადგენელ ნაწილში, თავის მხრივ, შეიძლება და ერთი და ორი ინგრედიენტის აღმოჩენა, მაგრამ მათი ძენა სრულიად ზედმეტია: მაშინ ჩვენ მოგვიხდებოდა იმის ხელახლა განმეორება, რაც მე ესესა ვთქვი მოდერნიზმის შესახებ და დაგვიწერა ევროპის მთელი მეცნიერული ისტორია.

და აი, ელსინორის უზარმაზარ ტერასაზე, რომელიც ბუხელიდან კელნამდე ვადაჭიბული და ნიუპორის ქვირობებს, სომის ჭოობებს, შამპანის ცარცის შრებებსა და ელხასის გრანტიოვან კლდეებს უწევს, ევროპელი ჰალეტი მწუხარად უმზერს მირიად ანრდილს.

მაგრამ ეს ჰალეტი ინტელექტუალისტია. ის

**პოლ ვალერი**  
წიგნილიბი, აზრები



კაცთა ყოფნა-არყოფნის პრობლემაზე კი არა, ჭეშმარიტებათა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე ფიქრობს. მისი აზრდილება — ჩვენი მუდმივი პაექრობის ყველა საგანია, ხოლო მისი სინდისის ქენჩნა — ჩვენი დიდების ყველა საფუძველი. ის წელში წყდება ათასგვარი აღმოჩენისა თუ შემეცნების სიმძიმისაგან და არ იცის, როგორ დააღწიოს თავი ამ ჭეშმარიტიად უსაზღვრო ქმედითობას და ქმნადობას. ის ფიქრობს, რა მოსაწყენია წარსულის თავიდან დაწყება და რაოდენ არაკონიერულია განახლებისკენ მუდმივი სწრაფვა. ის მერყეობს ორ უფსკრულს შორის, რადგან სამყაროს გამუდმებით ემუქრება ორი საფრთხე: წესრიგი და უწყესრიგობა.

როცა ის იხრება და თავისქალას იღებს, ეს უთუოდ რომელიმე დიდი კაცის თავისქალაა. *whose was it?* — ოდესღაც ეს იყო ლეონარდო. მან გამოიგონა მფრინავი კაცი, მაგრამ მფრინავმა კაცმა ვერ გაამართლა გამოგონებლის იმედები: ჩვენ ვიცით, რომ თავისი დიდი გედის ზურგზე შემომჯდარი მფრინავი კაცი (*il grande uccello sopra del dosso del suo magnio cecero*) დღეს სულ სხვა ფუნქციებს ასრულებს, ვიდრე ეს ლეონარდოს სურდა: მაღალი მთის მწვერვალებიდან მოეხვეტა ქათქათა თოვლი, რათა, ზაფხულის ცხელ დღეებში, ქალაქებსა ქვეყნებში მიმოებნია იგი... ამ, მეორე თავისქალაც, — ეს ლაიბნიცი იყო, რომელიც საყოველთაო მშვიდობაზე ოცნებობდა. ის კიდევ — კანტი; *Kant qui genuit Hegel, qui genuit Marx, qui genuit...*

პამლეტმა თვითონაც არ იცის, რა უყოს ამდენ თავისქალას. გადაყაროს?.. ხომ არ უღალატებს ამით საკუთარ თავს?! მისი შემზარავად ნათელმხილველი სული მთელი სიცხადით ჭერტს ომიდან მშვიდობაზე გადასვლის გზებს. მაგრამ ეს გადასვლა უფრო ძნელია და უფრო სახიფათო, ვიდრე მშვიდობიდან ომზე გადასვ-

ლა. მან ყველა ხალხი შესძრა, შეარყია — მაგრამ მე? — კითხულობს ის, — რა მომელოდა ევროპის ინტელექტს?.. რა არის მშვიდობა? შესაძლოა, მშვიდობა სხვა არა არის რა, თუ არა საგანთა ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც კაცთა ბუნებრივი ურთიერთ მტრობის გრძნობა შემოქმედებით შეაზარბო იჩენს თავს, ნაცვლად იმისა, რომ ამ შემოქმედების ნაყოფთა ნგრევაში გამოვლინდეს, რასაც ჩვენ ვხედავთ ომის დროს. ეს — შემოქმედებითი კონკურენციის, ქმნილებათა ურთიერთბრძოლის დრამა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ დავიდაღე ამდენი ქმნილობით? ხომ არ ამოვწურე შლეგობა მისხანდასახულობათა ყველა სურვილი და ხომ არ გადავამალა მეცნიერულ მიღწევათა ეგზობი ბიოლოგიად გამოყენებით? როგორ მოვიქცე? ვუფროვდეთ ჩემს მძიმე მოვალეობებს და ტრანსცენდენტურ მიწრაფებებს? თუ ფეხდაფეხ მივსვლი დროს და, ამრიგად, მივბაძო ბოლონიუსს, რომელიც დღეს რომელიღაც დიდი გაზეთის რედაქციაში თანამშრომლობს? ან ლაერტს, რომელიც საავიაციო მრეწველობის ერთ-ერთი დარგის მუშაია? ან კიდევ როზენკრანცს, რადაცას რომ ჩხიჩკედულობს, რუსულ გეარს ამოფარებული?

— მშვიდობით, აზრდილო! სამყაროს თქვენ აღარ სჭირდებათ, ისევე როგორც აღარ გჭირდება მე, სამყარო, რომელიც თავის სწრაფვას საბედისწერო სისუსტისაკენ პროგრესის სახელით ნათლავს, თავგამოდებით ცდილობს სიცოცხლის ყველა სიკეთეს როგორმე სიკვდილის სარგებლიანობად მიუსართოს. ჭერ კიდევ ერთგვარი გაურკვევლობა სუფევს, მაგრამ მალე მთელი ბურჟუაზია გაიფანტება, და ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ვიხილავთ გამოცხადებულ სასწაულს, — სოციალურ საზოგადოებას, — სრულყოფილსა და მთავარ თავში დასრულებულ ჭიანჭველეთს.

## ბოლშევის მდგომარეობა

ბოლშევი დიდების ზენიტშია.

„ბოროტების ყვაილთა“ ეს პატარა ტომი, რომელიც სამას გვერდსაც კი არ შეიცავს, პოეზიის მცოდნეთა აზრით, არა ერთსა და ორ ყველაზე მნიშვნელოვანსა და ყველაზე ვრცელ პოეტურ ქმნილებას აიწონის. ის თარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. ამ ფაქტზე მე საგანგებოდ შეეჩერებები ერთის წუთით, რადგან, ვფიქრობ, ის უმაგალითოა ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში.

ფრანგ პოეტებს, საერთოდ, ცუდად იცნობენ და ცუდად აფასებენ საზღვარგარეთ. უცხოელები უფრო თამამად და თავისუფლად აღიარებენ ფრანგული პროზის პრიმატს; მაგრამ როცა საქ-

მე ეხებ ჩვენს პოეტურ ძალმოსილებას, მის შეფასებაში ისინი დიდ სიფრთხილეს და სიძუნწეს იჩენენ. მწუბობრი წესრიგი და ერთგვარი სიმკაცრე, რომელიც ჩვენს ენაში XXVII საუკუნის შემდეგ ბატონობს, ჩვენი თავისებური აქცენტუაია, ჩვენი მოქნილი პროსოდა, ჩვენი სწრაფვა სისადაისა და უშუალო სიცხადისაკენ, ჩვენი შიში ყოველივე გაზვიადებულისა თუ უცნაურის მიმართ, ჩვენი ტულის ექსპრესიულობა და მისი აბსტრაქტული ტენდენცია, — აი, რამ განაპირობა ფრანგული პოეზიის სპეციფიკა, რომელიც ასე ძლიერ განსხვავდება ყოველივე იმი-საგან, რაც სხვა ხალხების პოეზიის ახასიათებს, და რომელიც მას თითქმის მიუწვდომელს ხდის





მათი აღმშენებლის. ლაფონტენი უტყობლებს უფერული ეჩვენებათ. რასინი — მოუხელთებელი. მისი პარმონია მეტისმეტად ნატივია, მისი ნახატა — მეტისმეტად ფაქიზი, მისი მეტყველება — მეტისმეტად დახვეწილი და ნიუანსებით მეტისმეტად მდიდარი, რათა საგრძნობი და მიწვევით შეიქნეს მისთვის, ვინც ინტიმურად და სრულყოფილად არა ფლობს ფრანგულ ენას.

თვით ვიქტორ ჰიუგომაც კი მხოლოდ თავისი რომანების წყალობით მოხვეჭება პოპულარობა საფრანგეთს ვარეთ.

მაგრამ ბოდლერთან ერთად, ფრანგული პოეზია, ბოლოს და ბოლოს, გასცდა ნატივის ფარგლებს. მან აიძულა მსოფლიო ეკითხა და ესწავლა იგი. ის თავს ეხვევა ყველას, როგორც თანადროელობის პოეზია; ის მისაბამ ნიშნულად იტყვევა და კეთილმყოფელ ზემოქმედებას ახდენს არა ერთსა და ორ მაღალ სულზე. ისეთი პოეტები, როგორც არიან სუინბერნი, გაბრიელ დ'ანუენიო ან სტეფან გეორგე, ნათლად მიწმობენ ბოდლერის გავლენას საზღვარგარეთ.

მაშასადამე, მე უფლება მაქვს ვთქვა, რომ, თუ ფრანგულ პოეზიაში, შესაძლოა, კიდევაც მოიძებნოს ვინმე, ბოდლერზე უფრო დიდი და უფრო მძლავრი პოეტური ნიჭით ცხებული, სამაგიეროდ არაფერია მასზე უფრო მნიშვნელოვანი.

რას ემყარება ეს უცნაური მნიშვნელობა? როგორ მოხდა, რომ ისეთმა თავისებურმა და ყოველგვარი საშუალო დონისაგან ისერივად დაშორებულმა კაცმა, როგორც ბოდლერი იყო, შესძლო ასეთი ფართო მოძრაობა გამოეწვია?

ეს საყოველთაო სიკვდილმდგომი აღიარება, ეს სულიერი ნაყოფიერება, ეს ქვემარტო აბოთიოზი განპირობებული უნდა იყოს არა მარტო მისი, როგორც პოეტის პირადი დამსახურებით, არამედ ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოებითაც. ამ გარემოებათა კრიტებს უნდა მიეკუთვნოს კრიტიკული სულისა და პოეტური ნიჭის ურთიერთშერწყმა. ამ იშვიათ კავშირს უნდა უმადლოდეს ბოდლერი თავის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას. ის დაბადებით, მგრძნობიარე და სიუზუსტის მოყვარული იყო. სწორედ ეს გრძნობელობა აიძულებდა მას უზუსტესი კვლევა-ძიებისათვის მიემართა პოეტური ფორმას სრულყოფის მიზნით. მაგრამ ყველა ამ ღირსების წყალობით ბოდლერისგან შეიძლება მხოლოდ ფაქტებს მეტოქე ან პარანასი ერთი ბურჯთავანი გამოსულიყო, თუ მის დაუცხრომელ ცნობისწაფილს იგი ედგარ პოს ქმნილებებში ახალი ინტელექტუალური სამყაროს აღმოჩენამდე არ მიეყვანა. სინათლის დემონი, ანალიზის გენია, უახლესი და უმაცუთრესი კომბინაციების ავტორი, რომელიც ლოგიკას ორგანულად უხამებს და უკავშირებს ფანტაზიას, ხოლო მისტიციზმს — მკაცრ რაციონალიზმს, განსაკუთრებულობათა ფსიქოლოგი, ლიტერატურის ინჟინერი,

რომელიც აღრმავებს და ახლებურად იყენებს ხელოვნების შესაძლებლობებს, — აი, რა დიდი ნახა, რამ მოხიბლა ის ედგარ პოში. ამდენსა ორიგინალურმა პერსპექტივამ და ამდენმა არაჩვეულებრივმა შესაძლებლობამ საბოლოოდ მოაჯადოვეს იგი. მისმა ტალანტმა სრული სახეცვლილება განიცადა, სასწაულებრივად შეიცვალა მისი ბედნი.

ქვემოთ მე კვლავ მიუბრუნდები ამ ორი სულის მაგიური ურთიერთშეხების შედეგს.

ახლა კი უნდა განვიხილო ბოდლერის სულიერი ფორმირების მეორე განსაკუთრებული ვარემოება.

იმ მომენტისათვის, როცა იგი სიმწიფის ასაკს მიაღწევს, რომანტიზმი თავის აპოგეუმში იმყოფება. ზრწყინვალე თაობა მბრძანებლობს სალიტერატურო ასპარეზზე: ლამპრტინი, ჰიუგო, მიუსე, ვინი — წამის ბატონ-პატრონი.

წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი ახალგაზრდა კაცის ადგილას, რომელმაც 1840 წელს იმ ასაკს მიაღწია, როცა კალამს ჰკიდებდა ხელს. ის ალზრდილია იმათ წიგნებზე, ვის შემუსვრასაც მბრძანებლური ტონით ჰკარნახობს მისი ინსტიტუტი. მისი ლიტერატურული არსებობა, მათ მიერ გამოწვეული, მათი დიდებით წაქეზებული და მათი ნაწარმოებებით განპირობებული, ყოველივე ამის მიუხედავად, აიძულებს ბოდლერს უარყოს, დაამზოს და შეეცალოს ეს კაცნი, რომელნიც, მისი აზრით, ავსებენ ლიტერატურული დიდების მთელ სივრცეს და, ამრიგად, ერთი — ფორმის, მეორე — გრძნობების, მესამე — მხატვრულობის, ხოლო მეოთხე — სიღრმის სამყაროთა კარს უზღობენ მას.

ის იძულებულია, რადაც არ უნდა დაუტდეს, გამოეყოს ამ დიდ პოეტთა ზომის, რომელნიც თითქოს საბედისწერო შემთხვევითობას შეუყვარია ერთად და რომელთაგან თვითთული შემოქმედებითი სიმწიფის ასაკშია.

ამრიგად, ბოდლერის პრობლემა შეიძლება ასე დავისვას: „მე უნდა გავხედ დიდი პოეტი, მაგრამ არა ლამპრტინი, არა ჰიუგო, არა მიუსე“. მე არ ვპირობებ იმის მტკიცებას, რომ ეს გადაწყვეტილება გაცნობიერებული იყო, მაგრამ ის არსებითად ბოდლერისეულია, ის თვით ბოდლერია, მას სხვაგვარად ვერ წარმოედგინა თავისი არსებობა. შემოქმედების, ანუ, რაც იგივეა, სიამაყის სფეროში საკუთარი ადგილის პოვნა განუყოფელია თვით არსებობისაგან. „ბორტების ყვავილთა“ წინასიტყვაობის პროექტში ბოდლერი წერს: „დიდმა პოეტებმა დიდხანია ერთმანეთში გაინაწილეს პოეტური სამეფოს ყველაზე აყვავებული პროვინციები, და ა. შ... ამიტომ მე სხვა გზას ვირჩევ“.

მოკლედ რომ ვთქვათ, ის იძულებულია თა-

**პოლ ვალერი**  
წინილბში, აზრებში



ვისი სულიერი მდგომარეობითა და თავისი მონაცემებით სულ უფრო და უფრო აშკარად დაუპირისპირდეს იმ სისტემას თუ უსისტემობას, რომელსაც რომანტიზმი ჰქვია.

მე არ შეუდღებები ამ ტერმინის განსაზღვრას, რადგან ამისათვის საჭიროა არ გავაჩნდეს სიზუსტისა და ზომიერების გრძნობა. მე მინდა მხოლოდ შეძლებისდაგვარად აღვადგინო ჩვენი პოეტის ზოგიერთი ყველაზე ზუსტი ინტუიტიური რეაქცია ე. წ. „თვითღამყვილარების პერიოდში“, როცა მან პირველად შეხედა მცდელო თვალთ თავისი დროის ლიტერატურას. ჩვენ უფლება გვაქვს და, ასე ვასიწყოთ, ადვილდაც შევკვილია ბოდლერის მამინდელი შთაბეჭდილებების რეკონსტრუქცია. დროის მსვლელობის, ლიტერატურულ მოვლენათა შემდგომი განვითარების, თვითონ ბოდლერის, მისი შემოქმედებისა და ამ შემოქმედების ბედის წყალობით, ჩვენ ხელთა გვაქვს მარტივი და საკმაოდ სანდო საშუალება, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ერთგვარად მაინც დავაზუსტოთ ჩვენი უცილობლად ბუნდოვანი, ხან საყოველთაოდ აღიარებული, ხანაც თვითნებური წარმოდგენა რომანტიზმზე. ეს საშუალება არის უშუალო დაკვირვება იმაზე, რამაც რომანტიზმი შეცვალა, და არა მარტო შეცვალა, კიდევაც გარდაქმნა, შესწორა ის და მისი შინაგანი წინააღმდეგობანი გამოავლინა, რათა, ბოლოს, თვითონ დაეკავებინა მისი ადგილი. საკმარისია ვანიხილოთ ის მოძრაობანი და მიმდინარეობანი, რომელთაც რომანტიზმის შემდეგ და რომანტიზმის საპირისპიროდ იჩინეს თავი და რომელნიც თავისთავად, ავტომატურად იძლევიან ზუსტ პასუხს იმაზე, თუ რას წარმოადგენდა იგი. ამ კუთხით დანახული რომანტიზმი იყო ის, რასაც უპირყოფდა ნატურალიზმი და რის წინააღმდეგ საბრძოლველდაც ჩამოყალიბდა პარანსი; რომანტიზმი იყო ისიც, რამაც განაპირობა ბოდლერის თავისებური მიმართულება და თითქმის იმედაროულად ამხედრა სრულქმნილების ნებასურვილიც, — მისტიციზმი ფორმულისა „ხელოვნება ხელოვნებისთვის“, — საგნებზე ობიექტური დაკვირვებისა და მათი უპიროვნო ასახვის მოთხოვნისა, ერთის სიტყვით, უფრო მყარი სუბსტანციისა და უფრო დახვეწილი, უფრო წმინდა ფორმისკენ სწრაფვა. ვერაფერი ვერ ავიხსნის უფრო უკეთ რომანტიკოსებს, ვიდრე მათი მემკვიდრეების პროგრამებისა თუ ტენდენციების ერთობლიობა.

შესაძლოა, რომანტიზმის მანიერებანი მხოლოდ ზედმეტი თვითრწმენის ექსცესებად უნდა მივაჩინდეს? ნოვატორობათა სიკაბუჯე მეტისმეტად თვითდაკერებულია. სიბრძნე, სიზუსტე და, ბოლოს, სრულქმნილებაც მხოლოდ ძალთა ეკონომიის მომენტში იჩენენ თავს.

ასეა თუ ისე, დაეკვების ერა ბოდლერის სიკაბუჯის დროიდან იწყება. გოტიე უკვე ღრტივ-

ნავს და ილაშქრებს ფორმის უგულვებელად ფის, ენის გალატაკებისა და დანაგვიანების აღმდგე, მაღალ სენტ-ბევის, ფლობერის, ლკონტ დე ლილის ძალისხმევა წინ აღუდგება გზაღმტრებულ სიმბატეს და სიმსუბუქეს, სტილისტურ უშეწობას, მიამიტობისა და ქინიანობის ყველა უკიდურესობას... პარანსელები და რეალისტები არ უფროხიან გაირეგნული დაძაბულობის, გრძნობათა სიუხვის, ორატორული ბრწყინვალების დეკარგვას, რასაც ისინი სიღრმად, სიმართლით, ტექნიკური და ინტელექტუალური დახვეწილობის ხარისხით ინაზღაურებენ.

დასასრულ, დასკვნის სახით, მე ვიტყვოდი, რომ რომანტიზმის ადგილზე ამ სხვადასხვა „სკოლების“ აღმოცენება შეიძლება ვანიხილოთ იქნეს, როგორც სპონტანური ქმედითობის შეგნებული, გაენობიერებული ქმედითობით შეცვლა. რომანტიკული ქმნილებანი, საერთოდ, საკმაოდ ცუდად იტანენ დახვეწილი და განათლებული მკითხველის აუჩქარებელ, გამჭრიახ და კრიტიკულ თვალს.

ასეთი მკითხველი იყო ბოდლერი. მას ჰქონდა ერთი უდიდესი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ სასიცოცხლო ინტერესი, — გამოეჩხრია, გამოევიანა და გაეზვიადებინა რომანტიზმის ყველა ზად თუ ხარვეზი და გამოეწვიოდა ვანიხილა ისინი რომანტიზმის ქმნილებებსა თუ მისი უდიდესი წარმომადგენლების სულში. რომანტიზმი თავის ამოგავაშია, — შეეძლო ეთქვა მას თავისი თავისათვის, — მანახადამე, მისი აღსასრული ახლოა; დიახ, მას შეეძლო ისეთი თვალთ ეცქირა ღმერთებისა თუ ნახევარღმერთებისათვის, როგორთაც 1807 წელს ტალეირანი და მეტერნიხი უცქერდნენ სამყაროს მბრძანებელს...

ბოდლერი აკვირდებოდა ვიქტორ ჰიუგოს. არც ისე ძნელი მისახედრია, რას ფიქრობდა იგი თავის დიდ წინამორბედზე. ჰიუგო მეფე იყო; მან უკან ჩამოიტოვა ლამარტინი შეუდარებლად უფრო მძლავრი და უფრო ზუსტი მატერიალურობით. მისი ლექსიკური სიმდიდრე, მისი რიტმული მრავალფეროვნება და სახეთა უჩვეულო სიუხვე პირდაპირ სრესდნენ ყველა მერტოქს. მაგრამ მისი შემოქმედება არც თუ ისე იშვიათად უხდიდა ხარკს ვულგარულობას და პროვოცირებულ მჭერმეტყველებისა თუ დაუსრულებელი აპოსტროფების ქაოსში ინთქმებოდა ხოლმე. ის ეკოკეტებოდა ბრბოს და ეპაქერებოდა ღმერთს. მისი ფილოსოფიის სიმარტივე, კონსტრუქციების დისპროპორციულობა და არათანმიმდევრულობა, მკვეთრად გამოხატული წინააღმდეგობანი, ერთის მხრივ, დეტალთა ბრწყინვალეობასა და მეორე მხრივ, მტკიცების სიმყიფესა თუ მთელის უმტკიცობას შორის, მოკლე, ყველაფერი, რასაც შეეძლო გაეოგნებინა და, მანახადამე, კიდევაც განესწავლა და ხელოვნებაში თავისი საკუთარი გზების ძიებისკენ მიექცია



ახლავარდა, შეუბრალებელი დამკვირვებელი, ბოდღერს საგულდაგულოდ უნდა ჩაენიშნა და იმ აღფრთოვანებისავე, რასაც მასში ჰიუგოს სასწაულომოქმედი ნიჭიერება იწვევდა, საბოლოოდ გამოეყო მისი შემოქმედების ყველა მანკირი და სუსტი მხარი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითდამკვიდრებისა და სახელის მოხვედრის ყველა შესაძლებლობა, რასაც ეს დიდი ხელოვანი უტოვებდა სხვებს.

თუ ჩვენ მივმართავთ ერთგვარ ცბიერებას და უფრო მეტ შემპარაობას, ვიდრე ჯერ არს, შესაძლოა თავი ვერ დავაწვიოთ მომხიბლავ ცუდენებას: ერთმანეთს დავუხალოვთ ვიქტორ ჰიუგოსა და ბოდღერის პოეზიას, რათა ის უქანასენელი პირველის უშუალო დამატებად წარმოვიდგინოთ. არ დავიფიქნებ. ისედაც ცხადია, რომ ბოდღერი ეძებდა მას, რაც ბოლომდე არ მიიყვანა ვიქტორ ჰიუგომ; რომ ის თავს არიდებდა ყველა ფეიქტს, სადაც ვიქტორ ჰიუგო უძლეველი იყო; რომ ის მიუბრუნდა ნაკლებ თავისუფალსა და პროზისაგან შეგნებულად დაშორებულ პროსოდას; რომ ის ცდილობდა და თითქმის ყოველთვის ახერხებდა ვადროეცა დაოკებული ხიბლის შევარქმება, ზოგიერთი ლექსის ეს ფასდაუდებელი და თითქოს ტრანსცენდენტური თვისება, რომელიც სუფთა სახით ესოდნ იწვიათად გვხვდება ვიქტორ ჰიუგოს უზარმაზარ შემოქმედებაში.

თუმცა ბოდღერი არ იცნობდა, ან ცუდად იცნობდა უქანასენელი პერიოდის — უქიდურესი შეცდომებისა და უშავლეს მშენებათა პერიოდის ვიქტორ ჰიუგოს. „საუტუნეთა ლეგენდა“ „ბოროტების ყვაილებსა“ გამოცემიდან ორი წლის შემდეგ გამოვიდა. რაც შეეხება ჰიუგოს ბოლო ქმნილებებს, ისინი ბოდღერის სიკვდილის შედეგად დიდხანს არ გამოქვეყნებულან. ტექნიკური სრულყოფილების მხრივ მე მათ შეუღებულად უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვიდრე ჰიუგოს ყველა სხვა ლექსს. აქ არც ადგილია, — და არც დრო მაქვს ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად. მე მხოლოდ გავკრით შევებები მთავარი თემიდან შესაძლებელ ვადახვევას. ვიქტორ ჰიუგოში, უბირველეს ყოვლისა, მე მაკვიფრებს უებრო სასიცოცხლო ძალმოსილება. სასიცოცხლო ძალმოსილება ნიშნავს დღეგრძელობისა და შრომისმოყვარეობის ურიოტო-ურწყმას; შრომისმოყვარეობაზე გამრავლებულ დღეგრძელობას. სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს არაჩვეულებრივი კაცი ყოველდღიურად თავაუღებლივ მუშაობს ხუთ საათს, დღიდან შუადღემდე. ის გამოდგებით იწვევს არსებობისათვის სიტყვათა პარმიოიულ ნაერთებს, მიიღებს მათყვან, მოთმინებით ელის მათ გაღვიძებას და გამოძახილს. ის ქმნის ასა თუ ორასი ათას ლექსს და ამ დღუცხრომელი გუღმოდგინების წყალობით აზროვნების განსაკუთრებულ მანერას იძენს, რომელსაც ზერელე

კრიტიკოსები, შემღებისდაგვარად, იწონებენ ან უარყოფენ. მაგრამ ამ გრძელი კარიერის მანერა ლზე ვიქტორ ჰიუგო გამუდმებით სრულყოფს და ხვეწს თავის ბელოვებას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დღითიდღე სულ უფრო ხშირად სცოდავს სიცხადის წინააღმდეგ, სულ უფრო მეტად ჰკარავს პროპორციის გრძნობას. ის თავის ლექსებზე ზღოვებული, ბუნდოვანი და თავებრღამხვევი სიტყვებით ავსებს და ისე ენაწყლიანად, ენადაუშრომლად ლაპარაკობს უფსკრულზე, უსასრულობასა თუ აბსოლუტზე, რომ ეს მონსტრუოზული ტერმინები იმ მოჩვენებით სიღრმესაც კი კარგავენ, რასაც მათ ანიჭებს ჩვევა. და მაინც, რა განსაცვიფრებელი, თავისი გაქანებით, შინაგანი მონოლითურობით, ხშიერებითა და სისასხით რათდენ შეუდარებელი და განუგებორებელი ლექსები შექმნა მან თავისი საცოცხლის დამღვეს! „ბრინჯოს სიმში“, „მძებროსა“ და „სატანის აღსასრულში“, ისევე როგორც ვოტეს სიკვდილზე დაწერილ ლექსში, სამოდდაათი წლის პოეტმა, რომელიც მოესწრო ყველა თავისი თანამებრძოლის სიკვდილს, რომელმაც თავისი თვალით იხილა მისგან შობილ პოეტთა მფელი თაობა და კიდევაც ისარგებლა იმ ახალი, ფასდაუდებელი გამოცდილებით, რომლითაც მოწაფე ვაამდიდრებდა მასწავლებელს, ამ უქანასენელს ცოტა მეტს რომ აცლიდეს სიკვდილი, — დიდმა მოხუცმა მიადღწია პოეტური ძალმოსილებისა და ვერსიფიკაციის კეთილშობილი მეცნიერების მწვერვალს.

ჰიუგო სიცოცხლის უქანასენელ დღეებამდე წერდა, სწავლობდა. ბოდღერი, რომლის სიცოცხლის ხანგრძლივობა ძლივსიღვივებით შეადგენს ჰიუგოს დღეგრძელობის ნახევარს, სულ სხვა გზით ვითარდება. შეიძლება ითქვას, რომ ის იძულებულია მოახდინოს მისი წილხვდომილი სასიცოცხლო დროის მონაკვეთის სავარაუდო სიმუცლისა და წინასწარსაცხური უქმარისობის კომპენსირება იმ კრიტიკული ინტელექტუალიზმის გამოყენებით, რომელზეც მე ესე-სა ვილაპარაკე. მხოლოდ ოციოდე წელი გაიმტა ვანგებამ იმისათვის, რომ „ბოროტებისა“ მწვერვალისათვის მიეღწია, შეეცნო თავისი ხვედრი და ვანსაზღვრა ის სვეციფიკური ფორმა და მღვთმარეობა, რომლებიც ვანადიდებენ მას სახელს და დავიწყებისაგან დაიფარებენ მას\*. ბოდღერს არ სცალია და ვერც მოიცილს იმისათვის, რომ თადათანობით, მრავალრიცხოვანი ცდებისა და ქმნილებათა მრავალფეროვნების

\* „მე შენ გთავაზობ ამ ლექსებს და თუ ჩემი სახელი მშვიდობით მიადღწევს შორეულ დროთა მყუდრო სავანეს...“

**პოლ ვალერი**  
წიროლიძე, ჯარბი





გზით ეზიაროს ლიტერატურული კვლევა-ძიების მომხიბლავ მიზნებს. საჭიროა უმოკლესი გზით სიარული, ძიებათა ეკონომია, განმეორებათა და ურთიერთშეუთანხმებელ მტედელობათა თავიდან აცილება: მაშასადამე, საჭიროა, ანალიზის გზით, ეძიო, რა ხარ, რა გსურს, რა შეგეძლია და პოეტის სპონტანურ სიქველეთ შენსავე სულში შეუხამო დამპყრობათა, სკეპტიციზმი, გულისხმიერება და კრიტიკოსის მჩხრეკელი ნეჟი.

აი, სად იღებს ბოდღერი — თუმცაღა არა მართო წარმომავლობით, გემოვნებითაც რომანტიკოსი, — კლასიკოსის იერს. არსებობს კლასიკოსის განსაზღვრის თუ მისი განსაზღვრულად მიზნების ათასი ხერხი. ამჟამად ჩვენ ვიღებთ შემდეგს: კლასიკოსი არის მწერალი, რომელიც თავის თავში ატარებს კრიტიკოსს და ინტიმურად აწიარებს მას თავის შემოქმედებით ძიებებს. ხომ იყო რასინში ბუალო და ბუალოს ხატო.

რას ნიშნავდა, არსებითად, რომანტიზმში შერჩევის პრინციპის ვატარება და მასში კეთილისა და ბოროტის, ქვეშაირებისა და ყალბის, ფასეულისა და უფასურის ერთმანეთისაგან გარჩევა, თუ არა XIX საუკუნის პირველი ნახევრის მწერალთა მიმართ იმისეე განმეორებას, რაც ლუი XIV-ის ეპოქამ მოიბოქმედა XVI საუკუნის მწერალთა მიმართ? ყოველგვარი კლასიციზმი უშუალოდ გულისხმობს წინააღობებს რომანტიზმს. ყველა უპირატესობა თუ ნაკლოვანება, რომელსაც „კლასიკურ“ ხელოვნებას მიაწერენ, ამ აქსიომამდე დაიყვანება. კლასიციზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ყოველთვის შემდეგ ვეღვარდება. წესრიგი გულღისხმობს მის მიერ ანულირებულ უწყისრიგობას. კომპოზიცია, ანუ, რაც იგივეა, ხელოვნება, ინტელიციისა და ბუნებრივ განვითარებათა ერთგვარი პირველადი ქაოსის ადგოს იკავებს. სიწმინდე ენის დაუსრულებელი დახვეწის შედეგია, ხოლო ფორმალურ ზრუნვა სხვა არა არის რა, თუ არა გამოსახვის საშუალებათა გულდასმით მოაზრებულ რეორგანიზაცია. მაშასადამე, კლასიკა გულისხმობს ვოლუნტარისტულსა და ცნობიერ აქტივს, რომელიც „ბუნებრივ“ ქმნალობას, მისი მოდელიციის გზით, ადამიანისა და ხელოვნების ნათელსა და გონივრულ კონცეფციას უსადაგებენ. მაგრამ, როგორც მეცნიერების მავალითიდან ჩანს, ჩვენ მხოლოდ პირობითობათა ვარკველთა რაოდენობის გამოყენებით შეგვიძლია გონივრულობის პრინციპი განვახორციელოთ ნაწარმოებში და ამა თუ იმ წესრიგის მიხედვით ავაგოთ იგი. კლასიკური ხელოვნება ამ პირობითობათა სიცხადით, მათი სიწმინდითა და აბსოლუტურობით ცნაურდება ჩვენთვის; სულ ერთია, საქმე ეხება სამი ერთობის პრინციპს, პროსოდიის პრეცეპტებს თუ ლექსიკურ დასაზღვრულობებს, — ეს გარეგნულად თვითნებური წესები ყოველ-

თვის განაპირობებდნენ მის ძლიერებას თუ მის სისუსტეს. დღეს უკვე ნაკლებად ძნელად დასაცავნი და დაკვირვებისთვის თითქმის მთლიანად მიუწვდომელი, ისინი მაინც შემუდგრეველი ინტელექტუალური ტიპობის ძველებურ, ღრმა და დახვეწულ პირობათა ურთიერთკავშირისა და თანხმობისგან იღებენ დასაბამს.

რომანტიზმის გარემოცვაში ბოდღერი ჩვენ მოგვაგონებს რომელიღაც კლასიკოსს, მაგრამ მხოლოდ მოგვაგონებს. ის ახალგაზრდა მოკვდა, და, ეგეც არ იყოს, იმ საზიზღარი შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ ცხოვრობდა, რასაც მის თანამედროვეებზე ძველი, იმპერიისდროინდელი კლასიციზმის უბადრუტი გადმონაშთები ახდენდა. საქმე ეხებოდა არა იმის გაცივლებას და აღორძინებას, რაც მოკვდა, არამედ, შესაძლოა, სულ სხვა გზებით იმ სულის კვლავ მიკვლევას, რომელიც უკვე აღარ იყო ამ მკვდარ სხეულში.

რომანტიკოსები უარყოფდნენ ყველაფერს, ან თითქმის ყველაფერს, რაც ცოტად თუ ბევრად მტანჯველ გულისხმიერებასა და თანმიდევრულობას მოითხოვს. ისინი ეძებდნენ შოკირების, დაუოკებელი ლტოლვისა და კონტრასტის ეფექტებს და ნაკლებად იწუხებდნენ თავს ზომიერებაზე, სიმკაცრესა და სიღრმეზე ზრუნვით. მათ აფრთხობდათ აბსტრაქტული აზროვნება და მკაცრი რაციონალიზმი; ეს იგრძნობა არა მართლმათ ქმნილებებში, არამედ მათ შემოქმედებით შთანაფიქრშიაც, რაც ვაცილებით უფრო არსებითია. კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ ფრანგებმა დაივიწყეს თავიანთი ანალიტიკური შესაძლებლობანი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომანტიკოსები XVIII საუკუნის მიმართ უფრო შეუტირებულნი იყვნენ, ვიდრე XVII საუკუნის მიმართ და ზერელობასა და ზედადირულობაში განუყოფელად სდებდნენ ზარს ვაცილებით უფრო ღრმად განსწავლულ, ფაქტებსა და იდეების უფრო გულდასმით მჩხრეკელსა თუ სიზუსტითა და ანალიტიკური აზროვნების მასშტაბურობით უფრო მეტად დანიტერესებულ პიროვნებებს, ვიდრე ოქსემდე ყოფილან თავად.

მეცნიერების არნახული განვითარების ეპოქაში რომანტიზმი ამქავენებდა სულის ანტიმეცნიერულ განწყობილებას. ენეზიანობა და შთაგონება გაძღმებით შეგაგონებდნენ თავიანთ თავს, რომ ისინი თვითმკმარნი არიან, და რომ მათთვის ზედმეტია ყველაფერი, მათივე თავის კერდა.

მაგრამ სულ სხვა ცის ქვეშ და სულ სხვა ხალხში, რომელიც მხოლოდ თავისი მატერიალური განვითარებითა და თავისი მომავლის შენებით იყო დანიტერესებული, ჯერ კიდევ სრულ გულგრილობას იჩენდა წარსულისადმი და აბსოლუტურ თავისუფლებას ანიჭებდა ყოველგვარ ექსპერიმენტს, — ამავე დროს, აღმოჩნდა კაცი, რომელიც ისეთი სიცხადითა და სიღრმეთა წვდო-



მით იკვლევდა სულიერი მოვლენებისა და, მათ შორის, ლიტერატურული შემოქმედების აარსს, როგორც არასდროს, პოეტურ წარმოსახვის ნიჭით ცხებულ არც ერთ სხვა სულს არ უკვლევია. ედგარ პომდე ლიტერატურის პრობლემის კვლევისას არაფერ შეხებია მის წინამძღვრებს, არაფის დაუყვანია იგი ფსიქოლოგიის პრობლემამდე და არაფის მიუყვებია მისთვის ანალიზის მეთოდი, ხოლო ანალიზისას არაფის გამოუყენებია უფრო თამამად ლოგიკისა და მექანიკის ყველა ეფექტი; პირველად გაიკვია მხატვრული ნაწარმოებისა და მკითხველის ურთიერთმიმართების საკითხი და პირველადვე გამოცხადდა იგი ხელოვნების პოზიტიურ საფუძვლად. ეს ანალიტიკური მეთოდი — და სწორედ აქ მელანდებამ მთელი მისი ღირსება და ღირებულება, — თანაბარი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლიტერატურული შემოქმედების ყველა ენაში. იგივე დაკვირვებანი, იგივე განმასხვავებელი ნიშნები, იგივე კვანტიტატური შენიშვნები თამამად შეიძლება მიეყენონ როგორც მძაფრი განცდებისა და უჩვეულო ავანტურების მოყვარული მკითხველის ფსიქიკაზე ტლანქი ზემოქმედების მოხდენის მიზნით შექმნილ ნაწარმოებებს, ისე ყველაზე დახვეწილი და ნატიფი შინაგანი ორგანიზაციის მქონე პოეტურ ქმნილებებსაც.

როდესაც ვამბობთ, რომ ეს ანალიზი ფასეულია როგორც პროზის, ისე პოეზიის მიმართ, და რომ ის თანაბარი წარმატებით შეგვიძლია მიეყენონ როგორც წარმოსახვისა და ფანტასტიკა კონსტრუქციებს, ისე სინამდვილის ლიტერატურულ წარმოდგენას და ასახვას, — ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ის უნივერსალურია. ხოლო უნივერსალურის არსებითი ნიშანი მისი ნაყოფიერება გახლავთ. მიადწიო წერტილს, საიდანაც შეგვიძლია დაეუფლო მოქმედების მთელ ასპარეზს, ნიშნავს აუცილებლად მოიცვა აღმშობი შესაძლებლობათა მთელი სიმრავლე: სვერონი, რომელიც უნდა გამოიკვლიო; გზები, რომლებიც უნდა გაკავლო; ტერიტორიები, რომლებიც უნდა აითვისო; ნაგებობანი, რომლებიც უნდა ააგო; დამოკიდებულებანი, რომლებიც უნდა დაამყარო; საშუალებანი, რომელთაც უნდა მიმართო. და რა გასაკვირია, რომ ედგარ პომ, რომელიც ესოდენ უნივერსალურ და უტყუარ მეთოდს ფლობდა, არა ერთი და ორი ახალი ენარის შემქმნელი, მეცნიერული მოთხრობის, თანამედროვე კოსმოგონიური პოემისა თუ კრიმინალისტური დიდაქტიზმით აღბეჭდილი რომანის პირველი ღირსშესანიშნავი ნიმუშების ავტორა და ლიტერატურაში ავადმოყვარი ფსიქოლოგიური განცდების დამწერგავი გახდა, და რომ მთელი მისი შემოქმედება ნებისმიერ ფურცელზე ავლენს ისე ღრმა ინტელექტუალიზმსა და მისკენ ლტოლვის ისეთ სიმძაფრეს, რასაც არ

იცნობს არც ერთი სხვა ლიტერატურული კრიტიკა.

ეს დიდი კაცი დღეს უკვე საგებით დაფიქვებული იქნებოდა, ბოდლერს რომ მის ეფროპულ ლიტერატურაში შემოყვანა არ დაესახა მიზნად. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლიოთ იმ ფაქტს, რომ პოს მოვლო დიდება სულთია ან საკვირა მხოლოდ მის სამშობლოში და ინგლისში. საოცარი კია, რომ ამ ანგლო-საქსონულ პოეტს ცუდად იცნობენ მისი თვისტომნი.

მეორე შენიშვნა: ბოდლერი და ედგარ პომ ერთმანეთს უკვლიან ფანტულობებს. ერთი მეორეს სთავაზობს იმას, რაც აქვს და მისგან იღებს იმას, რაც თვად არ გააჩნია. ერთი მათგანი მეორეს აძლევს ახალი და ღრმა აზრების მთელ სისტემას. ის არა მარტო ამდიდრებს და ანაყოფიერებს მას, არამედ კიდევაც განაპირობებს მის შეხედულებებს არა ერთთა და ორ საკითხზე: კომპოზიციის ფილოსოფია, ხელოვნურობისა და მოღერინების გააზრება-გაზიარებისა თუ უარყოფის თეორია, გამოხატვისისა და ერთგვარი უჩვეულობის მნიშვნელობა, არისტოკრატიული მანერა, მისტიციზმი, ელვანტიურობისა თუ სიზუსტის გრძობა და თვით პოლიტიკური აღლო — ყველაფერი ეს განწონის, შთააგონებს, აღრმავებს ბოდლერს.

მაგრამ ყველა ამ სიკეთის სანაცვლოდ, ბოდლერი უსასრულო ვრცეულობას ანიჭებს და მომავალს აზიარებს ედგარ პოს აზრს. რა არის ეს ვრცეულობა, რომელიც, მაღალმეს ბრწყინვალე ლექსისა არ იყო\*, თავისსავე თავში ცვლის პოეტს? ესა ბოდლერის დეაფი, ბოდლერის თარგმანი, ბოდლერის წინამიტყვაობა, რომლებიც მთლიანად ავლენენ ამერიკელ პოეტს და საწყალობელ პოს ჩრდილქვეშ უმევიდრებენ მის კუთვნილ ადგილს.

მე არ მოყვები ყოველივე იმის განხილვას, რასაც ამ ჯადოქარი გამოგონებულს უნდა უმადლოდეს ლიტერატურა. სულერთია, ვის ვიგულისხმებთ — ქიულ ვერნს და მის მეტოქეებს, გაბორიოს და მის მსგავსთ თუ — უფრო მაღალ ენაში, — ვილერ დე ლილ ადანიას ან დოსტოვესკის ქმნილებებს, — ჩვენთვის აშკარაა, რომ „გორდონ პიმის თავგადასავალი“, „მორგის ქუჩის საიდუმლოება“, „ლიგეია“ თუ „მამხლებელი გული“ თვითეული მათგანისათვის რჩებოდა არაერთგზის მისაბამ ნიმუშად და ყოველმრხები შესწავლის საგნად, რომელსაც ვერავინ ვერასოდეს ვერ აღემეტა.

მე ჩემს წინაშე ვსვამ მხოლოდ ასეთ კითხვას: რა მნიშვნელობა ჰქონდა ბოდლერისა და

\* „და ასე, თავის თავში ცვლის მას მარადისობა“..

პოლ ვალერი  
წირობიში, აზრები

მუდრო ზოგადად, მთელი ფრანგული პოეზიისათვის ედგარ პოს ქმნილებების აღმოჩენას? „პოროტების ყვავილთა“ ზოგიერთი ლექსი ედგარ პოს ქმნილებებიდან სესხულობს მათ სენსუალურს და სუბსტანციას. აქა-იქ შეხვედებით სტრიქონებს, რომლებიც პოდან გადმოღებული ეგონება კაცს; მაგრამ მე გვერდს ავუვლი სესხების ყველა ამ კერამ შემთხვევას, რომელია მნიშვნელობა, გარკვეული აზრით, პირწმინდად ლოკალურია.

აღნიშნავ მხოლოდ არსებითს, ე. ი. მხოლოდ იმ აზრს, რომელიც პომ შეიმუშავა პოეზიაზე. პოს კონცეფცია, რომელიც მის ზედაღსხვა წერტილშია ჩაოყალიბებული, ბოდლერის იდეებისა და ხელოვნების მოდიფიკაციას უმთავრეს ფაქტორად იქცა.

გადამუშავება, რომელიც კომპოზიციის ამ თეორიამ განიცადა ბოდლერის სულში, გაკვეთილი, რომელიც მან მისცა ფრანგ პოეტს, განვითარება, რომელიც მან ჰპოვა თავისი ინტელექტუალური მემკვიდრის ნაზრევში და, განსაკუთრებით, მისი უდიდესი თავისთავადი ფასეულობა, — გვაგაღებებლებენ მცირე ხნით მაინც შეჩერდეთ მასზე.

არ დავმალავ იმას, რომ ედგარ პოს აზრები თავიანთი არსით უკავშირდებიან გარკვეულ მეტაფიზიკას, რომელიც მან თავისთვის შეიმუშავა. და თუმცა ეს მეტაფიზიკა თავისი ნებით წარმოიარებს და განაპირობებს ზემოხსენებულ თეორიას, მაგრამ როდი განწონის მათ. ის ბადებს მათ და ხსნის კიდევ მათ დაბადებას, მაგრამ არ შედის მათში შემადგენელი ნაწილის სახით.

ედგარ პოს შეხედულებანი პოეზიაზე ჩაოყალიბებულია რამდენიმე ესეში, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანს (და საკუთრივ ინგლისური ლექსის ტექნიკის ყველაზე მეტად უშუალებელყოფელს) ასეთი სათაური აქვს: „პოეტური პრინციპი“ (The Poetic Principle).

ამ ნაშრომმა ისე გაიტაცა ბოდლერი და ისე-ვე მძლავრი ზემოქმედება მოახდინა მასზე, რომ მან პოს ესესი წინაარსი და არამარტო წინაარსი, ასე გასინჯეთ, თვით ფორმაც კი, თავის პირად საკუთრებად, პირად სიყვითელ მიიჩნია.

აღმაინს არ შეუძლია არ მიითვლოს ის, რაც, ესოდენი სიხუსტით, პირადად მისთვის შექმნილი ჰგონია და რასაც, თავისდაუნებურად, ის უყურებს როგორც მის მიერ შექმნილს... ის დაუცხრომლად ცდილობს დაეუფლოს მას, რაც ისოდენ კარგად გამოხატავს მის გულისთქმას და მისწრაფებებს. და თვითონ ენაც, „სიკეთის“ ხსენების მეშვეობით, მკვეთრად როდი გამოიწავს ერთმანეთისაგან, ერთის მხრივ, იმას, რაც ვიღაცამ ისესხა და სავსებით აკმაყოფილებს მას, ხოლო, მეორეს მხრივ, იმას, რაც ამ ვიღაცის პირად საკუთრებას შეადგენს.

და აი, ბოდლერმა, „პოეტური პრინციპი“ მთელი მისი გატაცების მიუხედავად, რამდენიმე სწორად ამ გატაცების გამო, — ედგარ პოს ნაწარმოებებში კი არ შეიტანა ამ ესესს თარგმანი, არამედ „უჩვეულო თვებადასავალია“ საკუთარი თარგმანის წინასიტყვაობაში ჩართო მისი ყველაზე საინტერესო ნაწილი, მაგრამ ისე კი, რომ აქა-იქ გადაადგილა ფრაზები და რამდენადმე შეცვალა იგი. ამრიგად, ჩვენ საქმე გვექნებოდა აშკარა პლაგიატთან, ავტორს რომ თვითონვე არ დაედასტურებინა ეს ფაქტი: თეოფილ გოტიესადმი მიძღვნილ სტატიაში\* მან გადაიტყუა და მთელი ნაწევრები და სიტყვები ნათული, ქემ-მარიტად განსაკვიფრებელი სტრიქონები წაუშლავარა მას: „ზოგჯერ ნებადართულია დავიძოწმით ჩვენზე თავი, რათა თავი დავაღწიოთ პარაფრაზებს. მასადავამ, მე ვიპოვებ, რომ...“ შემდეგ მოდის ზემოხსენებული ნაწევრები.

მაგრამ რას ფიქრობდა ედგარ პო პოეზიაზე? მე მოკლედ, სულ რამდენიმე სიტყვით ვაღმოგავით მის აზრებს. ის ანალიზებს ლექსის ფსიქოლოგიურ განხირობებულობას და ამ პირობათაგან პირველ ადგილზე აყენებს პოეტურ ქმნილებათა განზომილებაზე დამოკიდებულ ფაქტორებს. პო განსაკუთრებულ, მე ვიტყოდი, პირდაპირ უცნაურ მნიშვნელობას ანიჭებს ნაწარმოებთა სიღრმეს. მეორეს მხრივ, ის იკვლევს თვით ამ ნაწარმოებთა არსს და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გამოჰყოფს არა ერთსა და ორ ლექსს, რომელთა პრობლემატიკისთვის სავსებით საკმარისი იქნებოდა პროზა. ისტორია, მეცნიერება, მორალი ბევრს ვერაფერს იგებენ სულის ენაზე გადატანისას. დიდაქტიკურ, ისტორიულსა თუ ეთიკურ პოეზიაში, მათი ავტორების მთელი სიდიადისა და ბრწყინვალეობის მიუხედავად, უცნაური ვაშლით ერწყმან ერთმანეთს დისკურსიული, ანუ ემპირიული შემეცნების მონაცემები და ინტიმური არსის ქმნალობა თუ ემოციური ძალმოხილება.

პომ შევიწყო, რომ თანამედროვე პოეზია უნდა შეესატყვისებოდეს ეპოქის ტენდენციებს, ეპოქისა, რომლის თვალწინ მიმდინარეობს მოქმედების სფეროთა და საშუალებათა სრული დიფერენციაცია, და რომ მას უფლება აქვს პრეტენზიას აცხადებდეს თავისი ქემპარტი არსის გამოვლენასა და მის, ასე ვთქვათ, წმინდა სახით შესწავლავაზე.

ასე, პოეტური ვნების გამაპირობებელ ფაქტორთა ანალიზისა და გაცხრილვის გზით მიღწეული ახლოლუტური პოეზიის დეფინიციის შემეგობით ედგარ პომ დასახა გზა და ჩამოაყალიბა ძალზე მაცუთური და მკაცრი ლოქტრინა, რომელშიც ერთმანეთს შეერწყვა ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტია...

თუ ახლა ჩვენ დაუტყვირდებით „პოროტების

\* იხ. „რომანტიკული ხელოვნება“.





ყვართთა“ ერთობლიობას და ვეცდებით შევადაროთ ეს კრებული მის თანამედროვე სხვა პოეტურ ქმნილებებს, ალბათ, აღარ გაგვაკვირვებს ბოდლერის შემოქმედების აშკარად თვალში საცემი შესატყვისობა ედგარ პოს პოეტურ შეგონებებთან და მისი ასევე აშკარა განსხვავება რომანტიკული ნაწარმოებებისაგან. „ბოროტების ყვაილება“ ვერ შეხვედებით ვერც ისტორიულ პოემებს და ვერც ლეგენდებს, მოკლედ, თხრობითი ეპოსის ვერავითარ ნატამალს; მასში ამაოდ დაუწყებთ ძებნას ფილოსოფიურ ტრადებს თუ პოლიტიკას. აღწერა ძუნწია და ყოველთვის მნიშვნელოვანი. მაგრამ მათში ყველაფერი — იდუმალი ხბლია, ყველაფერი — მუსიკა; ყოველისმძლე და განყენებული გრანოზობა... დიდებულება, სიუხვე, ფორმა და ვნება.

ბოდლერის საუკეთესო ლექსები ჩვენ გვხბილავს სულიერი და ზორციელი ბუნების შერწყმით, ზარ-ზეიმის, ენებისა და სიმწრის ნაერთით, ნებელობისა და პარაზიტულობის უიშვიათესი კავშირით, რომ პირწმინდად განსხვავებს მათ როგორც რომანტიკოსებს, ისე პარანსელების ქმნილებებისაგან. პარანსი თავს როდი ევლებოდა და ელოლიაგებოდა ბოდლერს. ლეკონტ დელილი მას უნაყოფობას უსაყვედურებდა. ის იფიქრებდა, რომ პოეტის ქეშმარიტი ნაყოფიერება მისი ლექსების რიცხვით კი არა, მათი ზემოქმედების ხანგრძლივობით განისაზღვრება, და რომ ამ ნაყოფიერების ერთადერთი მსაჭული დროა.

და, აი, დღეს, სამოცი წლის შემდეგაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ბოდლერის ქმნილებათა ერთადერთი მომცრო ტომის გამოძახილი ჯერ კიდევ ავსებს პოეზიის ყველა სფეროს, რომ ის კვლავ ცოცხლობს ჩვენს სულში, რომ შეუძლებელია მისი უგულვებელყოფა და რომ მას ზურგს უმაგრებს მის მიერ ანსებობისათვის გამოწვეულ ნაწარმოებთა თვალსაჩინო რაოდენობა, რომელიც მის მიბაძვეს კი არა, შემდეგდროინდელ განვითარებებს წარმოადგენენ; ამრიგად, სამართლიანობა მოითხოვს, რომ „ბოროტების ყვაილება“ პატარა კრებულს მიემატოს პირველხარისხიან ქმნილებათა მთელი წყება და ყველაზე ღრმა, ყველაზე დახვეწილი ცდების ერთობლიობა, რომლებისთვისაც ოდესმე მიუძღვართან პოეზიას. „ანტიური პოემების“ და „პარაზიტული პოემების“ გავლენა ნაკლებ მრავალფეროვანი და ნაკლებად მასშტაბურა იყო.

და მაინც, უნდა ვაღიაროთ: ეს გავლენა რომ თვით ბოდლერსაც შეხებოდა, აუცილებლად თავს შეაკავებინებდა მას ზოგიერთი მეტიმეტრად მომეგებული სტრიქონის დაწერისაგან, რომელიც მის წიგნში გვხვდება. მე ყოველთვის განმაცვიფრებს ის ფაქტი, რომ „ჩაფიქრების“ — „ბოროტების ყვაილება“ ერთ-ერთი ყველაზე მომხილავი სონეტის თოთხმეტ სტრიქონში

ხუთი თუ ექვსი უდაოდ სუსტია. სამაგიეროდ ამ სონეტის პირველი და ბოლო სტრიქონები ისეთი მაგიური ძალმოსილებით გამოირჩევიან რომ შუა ნაწილი აბსოლუტურად მოკლებულია თავისი უმწეობის გამოვლენის შესაძლებლობას და ჩვენ მას აღვიქვამთ როგორც არარსებულს. მხოლოდ ძალიან დიდ პოეტს თუ შეუძლია ამგვარი სასწაულის მოხდენა.

ის იყო ვახსენე მომხილველობა, რომ იქვე წარმოვთქვი სიტყვა სასწაული. რა თქმა უნდა, ეს ისეთი ტერმინებია, რომელთა მოხმობისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, როგორც მათა მნიშვნელობის, ისე მათი მეტისმეტად გაიოლებული და გაუმართლებელი ხმარების გამო. მაგრამ მათ შესაცვლელად მე მომხილვეობა მიმართა ისეთი რთული და, შესაძლოა, იმდენად საეჭვო ანალიზისათვის, რომ, ალბათ, შეპატივება, თუ უარს ვიტყვი მასზე და, ამრიგად, დავზოგავ ჩემს თავსაც და ჩემს მკითხველებსაც. ამიტომ მე შემოვიფარგლები ამ ორი ბუნდოვანი სიტყვით და მხოლოდ გაკვირთ და ვადაკვირთ მიგანიშნება, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ანალიზი. ჩვენ მოგვიწევდა გვეჩვენებინა, რომ ენა თავის პრაქტიკულსა და უშუალო მნიშვნელობის მქონე ნიშან-თვისებებთან ერთად შეიცავს ემოციური ზემოქმედების საშუალებებსაც. პოეტის მოვალეობა და დანიშნულება გამოავლინოს და ამოქმედოს მოძრაობისა და მოხიბვის ეს იდუმალი ძალები, აფექტაციისა და ინტელექტუალური გრძობელობის ეს აღმგზნები ფაქტორები, რომელთა სიწმინდე ჩვეულებრივ მეტყველებაში შერყვნილია ყოველდღიური, ზერეულ და ზედაპირული ცხოვრების სიმბოლურ ნიშნებსა თუ საკომუნიკაციო საშუალებებთან შერევით. ამრიგად, პოეტი თავის თავს ალევს, თავის თავს სწირავს ენის ფორმირებას ენაში, მეტყველების კონსტრუირებას მეტყველებაში; და მისი ხანგრძლივი, რთული, უკიდურესად დახვეწილი და დაუსრულებელი ქმედითობა, რომელიც მთელი სისრულით ვერასოდეს ვერ ახორციელებს თავის ქეშმარიტ მიზანს, — ცდილობს შექმნას სინამდვილეში არსებულ ნებისმიერ ინდივიდზე უფრო წმინდა, უფრო ძლიერი, უფრო ღრმად მოაზროვნე, უფრო ინტენსიური შინაგანი ცხოვრების მქონე და სიტყვის მაგიური ძალმოსილების უკეთ მგრძობობა არსების ენა. ეს უჩვეულო ენა ჩვენივე ცნაურდება თავისი რიტმულობითა და პარაზიტულობით, რომლებიც შინაგან მონოლითურობას ანიჭებენ მას და რომლებიც ისე ინტიმურად, მეტიც, — ისე იდუმალად უნდა უქავშირდებოდნენ მის გენეზისს, რომ შეუძლებელი ხდებდა ბუერისა და აზრის განცალკევება და ისინი ჩვენ-

**პოლ ვალერი**  
წიგნი: „პარანსი“

და შეუტნობლად ესიტყვებიან ერთმანეთს მეს-სიერების სიღრმეში.

ბოდღერის პოეზია თავის უბერებლობას და იმ ძალმოსილებას, რომელსაც ის დღემდე ინარჩუნებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა უძაღლოდეს საყოფიერო ტემბრის სისავსესა და განსაკუთრებულ სიწმინდეს. ეს ხმა, ხანდახან, მკვერ-მეტყველებამდე ეშვება, რაც არც თუ ისე იშვითი მოვლენაა მთელს იმდროინდელ პოეზიაში, მაგრამ ის მტკიცედ იცავს და ავითარებს თითქმის ყოველთვის მგლოდიურ, განსაცვიფრებლად წმინდა ხაზს და აბსოლუტურად უნაკლო ქღერადობას, რაც ასერიგად განასხვავებს მას ნებისმიერი პროზისაგან.

ამით ბოდღერმა მტკიცედ გაილაშქრა ყოველგვარი პროზაიზმისაგან მისწრაფების წინააღმდეგ, რაც ფრანგულ პოეზიაში XVII საუკუნის შუა წლებიდან შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ კაცი, რომელსაც ჩვენ უნდა ვუძაღლოდეთ ფრანგული პოეზიის მიბრუნებას მისი უქმშარიტი არსისა და რაობისაგან, ამავე დროს არის ერთი იმ პირველ ფრანგ მწერალთაგანი, რომელნიც განსაკუთრებული ვნებიანობით მიეღტვოდნენ და სწავლობდნენ მუსიკას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მე ვისხენიებ „ტანკოიზმისა“ და „ლოგოფრინიზმი“ მიძღვნილ ბრწყინვალე სტატიებში გამოვლენილ ამ ლტოლვის ლიტერატურაზე მუსიკის შემდგომდროინდელ გავლენასთან დაკავშირებით... „ის, რაც შემდეგ სიმბოლიზმის სახელით მოხატულეს, სრულიად მარტივად დაიყვანება პოეტთა რამდენიმე ჭგუვის საერთო მისწრაფებამდე, რომელიც მუსიკისაგან მისი ძალმოსილების სესხებას ისახავდა მიზნად“...

ბოდღერის აქტუალური მნიშვნელობის ახსნის ამ ცდისათვის უფრო მეტი სიცხადისა და სრულყოფილების მისანიჭებლად მე უნდა მოვაგონოთ, რას წარმოადგენდა ის, როგორც ფერწერის კრიტიკოსი. ბოდღერი პირადად იცნობდა დელაკრუას და მანეს. მან სცადა შეეფასებინა ენერჯისა და მისი მეტოქის თვალსაჩინო დამსახურებანი, ისევე როგორც შესძლო, მათი სრულიად სხვადასხვა „რეალიზმის“ ნიშნით, ერთმანეთისათვის შეედარებინა კურბესა და მანეს ქმნილებანი. ის აღფრთოვანებული იყო დიდი დომიეთი და შთამომავლობა იზიარებს ამ აღფრთოვანებას. შესაძლოა, ის რამდენადმე აზვი-

დებდა კონსტანტინ გისის მნიშვნელობას... მეორამ, საერთოდ, თვითული მისი მოსაზრებების ყოველთვის დასაბუთებული და ფერწერის ვე-ლაზე დახვეწილ და ყველაზე სანდო ანალიზზე დაფუძნებული, დღემდე რჩება მხატვრული კრიტიკის საშინლად მარტივი და, მაშინააღამე, საშინლად რთული ეპირის უმაღლესი ნიმუში.

მაგრამ ბოდღერის უქმშარიტი დიდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა იმან, რომ მისმა შემოქმედებამ რამდენიმე ძალიან დიდ პოეტს მიანიჭა სიცოცხლე. არც ვერლენი, არც მალარმე და არც რემბო არ იქნებოდნენ ისინი, რაც იყვნენ, „ბოროტების ყვავილები“ რომ არ ეკითხათ გადამწყვეტ ასაკში. ჩვენ ძალდაუტანებლად შეგვეძლო გვიჩვენებინა ამ კრებულის რამდენიმე სონეტი, რომელთა ფორმამ და შთავონებამ ვერლენის, მალარმეს თუ რემბოს ზოგიერთი ლექსის შექმნაში მათი პირველსახის როლი ითამაშეს. მაგრამ ეს შესატყვისობა ისე აშკარაა, ხოლო თქვენი ყურადღების დრო ისე მიწურული, რომ მე აღარ გამოვუდგები თვითულ წერაილმანს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ინტიმურობის გრძნობა და მისტიური მღვლეარებისა და სენსუალური გზნების უცნაური, მღვრიე ნახავი, რამაც შემდგომი განვითარება პოეზიის პოეზიაში, მოგზაურობის ვნებიანი სიყვარული, სამყაროს მრავალფეროვნებით გამოწვეული მოუთმენლობის მოძრაობა და შეგრძნებებისა და მათი პარმონიული რეზონანსის უღრმესი წვდობა, რომლებიც ასეთ ენერგიულობას და ქმედითობას ანიჭებენ რემბოს ხანმოკლე და ბოზოქარ შემოქმედებას, — ყველაფერი ეს მკაფიოდ იგრძნობა და ცნაურდება ბოდღერში.

რაც შეეხება სტეფან მალარმეს, ვისი პირველი ლექსებიც შეიძლება „ბოროტების ყვავილთა“ ყველაზე მშვენიერ, ყველაზე სრულყოფილ ლექსებში აერიოს კაცს, — მან შემდგომ განავითარა მათი ყველაზე დახვეწილი ფორმალისტური თუ ტექნიკური მიღწევები, რომელთა სიყვარული და პატივისცემა მას შთაუნერგეს ელვარს მის ანალიტიკურმა მეთოდმა და ბოდღერის ესსეებმა და კომენტარებმა. თუ ვერლენი და რემბო გრძნობელობისა და შეგრძნებების სფეროში ავითარებენ ბოდღერს, მალარმე სრულყოფილებისა და პოეტური სიწმინდის მხრივ აგრძელებს ბოდღერის ხაზს.

## ს ა რ ე ბ ი

ხელოვნების ურჩეულესი ქმნილებანი, ხაზების დახვეწილობა, სრულქმნილი ენის სინატიფისა და პარმონიულობის გემოსხილვით მონიჭებული სიამოვნება, ზოგიერთი მათგანაკუთრი ორპროვონების სიტკბოება, სიხუსტე, რომელსაც

სულის იღვმალ სიღრმეთა ჩხრეკით შეიძლება მიიღწიოს კაცმა, — ყველაფერი ეს რამდენიმე პირის კერძო საქმეა. წაართვით მათ ისინი, — ვინ წარმოიდგენს უფრო დიდ დანაკარგს?



შვენიერი ქმნილებანი მათივე ფორმის ასუ-  
ლნი არიან; ფორმისა, რომელიც მათზე ადრე  
იბაღება.

ზოგიერთი ნაწარმოები თავისი პუბლიკის მი-  
ერ არის შექმნილი, ზოგიერთი კი თვითონვე  
ჰქმნის თავის პუბლიკას.

პირველნი აკმაყოფილებენ საშუალო ბუნებ-  
რივი გრძობილობის მოთხოვნილებებს, მეორე-  
ნი კი თვითონვე ჰქმნიან ხელოვნურ მოთხოვნი-  
ლებებს და, ამავე დროს, კიდევაც აკმაყოფი-  
ლებენ მათ.

არაფერია უფრო ორიგინალური, უფრო ჩვე-  
ნულო, ვიდრე ის, რომ სხვებისგან და სხვებით  
ვსაზრდობთ. მაგრამ საჭიროა მათი მოწყობა.  
ღობი კარგად ათვისებული და ასიმილირებული  
ვერძისაგან არის შექმნილი.

შიში სისულელისა და ძრწოლა ბანალურის  
წინაშე; ვეშინოდეს იმისა, რომ თითოთი საჩვე-  
ნებელი შეიქმნე და იმისაც, რომ ვერვინ შეგნიშ-  
ნოს: — ორი უფსკრული.

გემოვნება, რომელიც მხოლოდ სიახლით ტკე-  
ბა და სიახლეს უწევს ანგარიშს, კრიტიკული სუ-  
ლის დეგენერაციას მოწმობს, რადგან არაფერია  
უფრო ადვილი, ვიდრე ნაწარმოების სიახლეზე  
მსჯელობა.

ჩვენი მოწაფეები და მიმდევრები ათასწალ  
უფრო მეტს ვეასწავლიდნენ, ვიდრე ჩვენი მას-  
წავლებლები, სიკვდილი რომ გვაცლიდეს მათი  
ქმნილებების ხილვას.

სინტაქსი სულის უნარია.

**წიგნები**

თითქმის ყველა წიგნი, რომელსაც ვეაფსებ  
და უკლებლივ ყველა წიგნი, რომელიც რამეში  
გამომდგომია, საკმაოდ ძნელი საკითხავია.

აზრს შეუძლია მოსწყდეს მათ, მაგრამ არ შე-  
უძლია ზერეღედ, თვალის ერთი გადავლებით  
გადაიკითხოს ისინი.

ზოგი მე გამომადგა მათი სიძნელის მიუხე-  
დავად; ზოგი კი — სწორედ მათი სიძნელის გა-  
მო.

**თანამედროვე მწერლის შესახებ:**

მისი აქციდენტები განსაცვიფრებელია, რასაც  
ვერ ვიტყვი მისი სუბსტანციის მიმართ.

ბოეტური იდეა ის იდეაა, რომელიც, პროზით  
გაღმოცემული, კვლავ ლექსად გარდაიქმნის მო-  
თხოვს.

სრულყოფილება თავდაცვის იარაღია. აღზრდი-  
თე სრულყოფილება შენსა და სხვას შორის;  
შენსა და შენსავე თავს შორის.

მსუბუქი უნდა იყო, როგორც ჩიტი და არა  
როგორც ბუმბული.

კაცი, რომელიც მუშაობს, ასე ესიტყვება სა-  
კუთარ თავს: მე მინდა ვიყო უფრო ძლიერი,  
უფრო გონიერი, უფრო ბედნიერი — ვიდრე —  
მე.

დიდება რომ გიყვარდეს, ძალზე დიდი წარ-  
მოდგენისა უნდა იყო აღამიანებზე: უნდა გვე-  
როდეს, უნდა გწამდეს მათი.

კაცი, რომელსაც ერთხელაც არ უცდია დამ-  
სჯავსებოდა ღმერთს, უფრო პატარაა, ვიდრე კა-  
ცი.

კაცი, რომელიც თქვენ ვიტყვით, არის კაცი,  
რომელიც გულს იოხებს მხოლოდ.

წარმოდგინეთ ამ კაცის სახე, როცა იგი მის  
წინ გაშლილ სუფთა ქაღალდზე თქვენს საღამ-  
ღვე სიტყვას პოულობს. ის ულის დაწერილს და  
კიდევ უფრო უკეთესი სიტყვით ცვლის მას.

ნურასოდეს ჩამოხსნით ამ სურათს თქვენი  
სულის კედლიდან.

თუ ჩემი მე ზიზღის ღირსია, მაშინ პრინციპი  
— გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შე-  
ნი — სასტიკ ირონიად იქცევა.

ბოლოს და ბოლოს, ეს უზადრუკი სიციცხლე  
არა ღირს იმად, რომ ჩვენს ქეშპარიტ რაობას  
მსხვერპლად ვწირავდეთ მას, რადაც გვსურს გჩა-  
ნდეთ, მით უმეტეს, როდესაც ვიცით, თუ ვინ  
თვალში ან რა თვალში უნდა გჩანდეთ.

**ბანალური საუბარი.**

ბანალურია საუბარი, რომელშიაც ერთი თანა-  
მოსაუბრის პირიდან თავისუფლად შეიძლება მე-  
ორისაში გადატანილ იქნან სიტყვები, რომლე-  
ბიც ერთიმეორეს ენაცვლებიან.

ამ სიტყვებს მხოლოდ ზმის ტემპრით თუ გა-  
არჩევს კაცი. ზმის ტემპრით მე შემიძლია უცნო-  
ბი ვიცნო. ის იშვიათად მატყუებს მე.

ზმა მე მიმელავნებს სულის ზოგიერთ თვისე-  
ბას. ეს ძალიან ჰგავს აღამიანთა ამოცნობას მა-  
თი ხელწერის მიხედვით, რასაც თავიანთ პრაქ-  
ტიკაში მიმართავენ გრაფოლოგები. მაგრამ ჩე-  
მი ფონოლოგია ნაკლებ ობიექტურია.

**პოლ მაღვარი**

წერილები, აზრები





ამა თუ იმ არსების უკუშარიტი საიდუმლო მისთვის უფრო საიდუმლოა, ვიდრე სხვისთვის.

ჭკვიანი კაცის საიდუმლო უფრო ნაკლებ საიდუმლოა, ვიდრე სულელის.

ნათელი სული ვასაგებს ხდის მას, რაც თვისთვის მისთვის გაუგებარია.

აუხსნელი პატარა ფაქტები ყოველთვის შეიცავენ რაღაც ისეთს, რასაც შეუძლია თავდაყირა დააყენოს იდიდი ფაქტების ნებისმიერი ინტერპრეტაცია.

**სიღრმე.**

ყოველი სიღრმე, რომელსაც **ამა თუ იმ მდგომარეობის** თვისებად ესახავთ, სხვა არა არის რა, თუ არა ამ მდგომარეობის **დაშორება** ნორმალური მდგომარეობიდან და არა მისი **მიახლოება** უპირატესად მნიშვნელოვანსა და დაფარულთან.

**სიღრმე.**

ღრმა იდეა ის იდეაა, რომელიც მთლიანად გარდაქმნის მოცემულ სიტუაციას თუ კითხვას. სხვაგვარად, საქმე ეხება მხოლოდ რეზონანსის ეფექტს და ჩვენ **ლიტერატურაში ვართ.**

უმრავლესობა თავისი აზროვნების განვითარების საწყის ეტაპებზე ჩერდება. მათი სულის მთელი სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა დასაწყისთა ერთობლიობა.

ყოველი კოსმოგონია, ყოველი მეტაფიზიკა აპრიორულად გულისხმობს კაცს — ყველა იმ სპექტაკლის უშუალო მოწმეს, რომელიც მას გამოირიცხავს.

იგივე ითქმის ფიზიკის, ისტორიის თუ, უბრალოდ, გუშინდელი დღის მოგონების მიმართ. ის, ვინც ხედავს, შეუთავსებელია მასთან, რასაც ხედავს; მაგრამ მეტეორები სიცხადით.

**ვარიანტები დეკარტეს თემაზე.**

ხანდახან **ვარაუდებ**, მამსაღამე, ხანდახან **ვარაუდებ**.

სიკვდილი კი არა, სიცოცხლე ჰყოფს ერთმანეთისგან სულსა და სხეულს.

ჩვენი პიროვნების, ჩვენი აზრების, სიკვდილისა თუ სიყვარულის ჩვენშივე განცდის უინტერესი და უღრმესი სუბსტანცია სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი **წინაპრების გულუბრყვილობა**, მათი ხატოვანი ლულუღი, მათი ზოზლი, მათი უმწეობა ფსიქოლოგიური მოვლენების სფეროში, მათი ენობრივი სილატაქე და ა. შ.

ხოლო ჩვენ ვაგრძელებთ ამ უბადრუკ წინამძღვრებს, ვაგრძელებთ მათ ჩვენი სინკრეტული ფაციფუციტო, არათანმიმდევრულობითა და ჩვენი უცნაური და ნერვოული დროის ეგზოტოპოტად გამოყენებით.

რამდენი რამის არცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ „იმოქმედო“.

**სულემს**, აზრების უშუალო კომუნიკაციას, უკვდავებას, გონებას და გონებისეულ აქტებს საფუძვლად უდევს საშუალებათა, გრძნობათა, სხეულთა და მექანიზმთა ამოება. უთვალისჩინოდ ხედვა, უსხეულოდ სიცოცხლე, შეუხებლად შეგება, უსაქმოდ მოქმედება, უსწავლელად განსწავლა, უძრავად მოძრაობა და, განსაკუთრებით, უსიკვდილოდ კვდომა, — აი, საწყისი და უცნაური წამება ჩვენი.

აი, რა არის ყველაზე ძნელი ამ ქვეყნად: ჩააყენო მთელი შენი ინტელექტი და შემოქმედებითი უნარი — **მამსახურში.**

მე ხშირად ვფიქრობ სუბიექტზე, რომელსაც ეცოდინებოდა ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით, და ამ ცოდნას მოიხმარდა ზუსტი ოპერაციებისა თუ რეკუპერებისთვის; მაგრამ, ამასთან, არ ეცოდინებოდა არც ერთი ცნება თუ სიტყვა, რომლებიც არ იძლევიან წმინდა ხატებს და არსებობისთვის არ იწვევენ ერთგვაროვანსა და განმეორებად აქტებს.

მას არასოდეს სმენია სიტყვები: **სული, აზროვნება, სუბსტანცია, თავისუფლება, ნება, დრო, სივრცე, ენერჯია, ყოფიერება, ინსტიტუტები, მენსიერება, მიწეში, ღმერთები, არც მორალი, ან საწყისები.** მოკლედ მან იცის არაფერი, რაც ჩვენ ვიცით, და არ იცის არაფერი, რაც ჩვენთვისაც უცნობია. **მაგრამ მან არ იცის თვით მათი სახელებიც კი.**

და აი, ასე, მე მას ვუპირისპრებ სიძნელეებს და იმ განცდებსაც, რასაც ისინი იწვევენ, მე ვაგებ მას ასეთიანად და, დასასრულ, მოქმედებისთვის აღძრულს, მარტოცა ვტოვებ გარემოებათა ენიგმურ რეალში.

სამყაროსა და სულის სიცოცხლე გრძელდება მხოლოდ იმ წინააღმდეგობის წყალობით, რასაც ძნელად საცნაური საცნებო გვიწვევენ. საკმარისია ყველაფერი შევიცნოთ, რომ ყოველივე გაქრეს, განქარდეს. ცნობიერების მიერ კიდთკიდემდე განწონილი სამყაროს არსებობა იმდენადვე იქნება შესაძლებელი, რამდენადვე მხილვადი გაიძვერობა თუ გაქნილი თვალთმაქცის ოინი, რომლის საიდუმლო აღარავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას.



აზრს არ შეუძლია თავისი თავის წინასწარ ხილვა. თუმცა მას შეუძლია წინასწარ იხილოს თავისი ზიზღავიანი გზა და თავისი განვითარება. მაგრამ ეს განვითარება თითქმის უკვე აღარ არის ის.

**დანაშაული.**

არის ბევრი სიტუაცია თუ იდეა, რომელიც არ შეიძლება ისე გაირკვეს, თუ თვითონ არ ვემსხვერპლეთ მას, ან არ ვუმსხვერპლეთ სხვები.

ბუნებრივი კანონები, მორალური კანონები, სამოქალაქო კანონები, სუნთქვა, მორჩილება, ანგარიშწარმოება, — ზოგჯერ ეს უცნაური წეს-ღებანი სიზმრებსა ჰგვანან.

**ყველა მკვლელია.**

არის ჩვენში ძლივს შესამჩნევი, იღუმალი მუქარაობა, უსახელო რეფლექსი, რომელიც პირ-წმინდად შლის და მიწისთან ასწორებს მას, ეინც სიტყვით თუ საქმით გვიპირისპირდება ჩვენ.

სად დატევილი ბავშვებს, მზერას რომ განაცოფიერება შეეძლოს!

ან კიდევ მკვდრებს, კაცისკვლა რომ შეეძლოს მას!

ქუჩები სავე იქნებოდა გვაგებით და ფეხმძიმე ქალებით.

მორალი ცუდად შერჩეული და ცუდი რეპუტაციის მქონე სახელია საყოველთაო პოლიტიკის იმ დარგისა, რომელიც მოიცავს თვითაქტივ-კას თავისივე თავის მიმართ.

წინადადებაში: მე ჩემს თავს ვფლობ, მე ჩემს თავს ვუთმობ, მე ჩემს თავს ნებას ვრთავ, — ა. შ., მე და ჩემს თავს სხვადასხვანი არიან — თუ არა — ?

მორალის მთელი ანალიზი შეიძლება დაყვანილ იქნეს იმის გარკვევამდე, თუ როგორ განსხვავდება ეს ორი ნაცვალსახელი ერთმანეთისგან: რეალურად თუ ფიქტიურად?

არის ბევრი რამ, რისი თეორიული უარყოფა უფრო მეტ გამგებლობას მოითხოვს, ვიდრე მას სრული უგულებელყოფა პრაქტიკაში. ხშირად საჭიროა უფრო მეტი გამგებლობა, რათა იფიქრო ან ილაპარაკო მორალის წინააღმდეგ, ვიდრე საქმით უარყო იგი.

ის, რაც ჩემთვის ძნელია, ყოველთვის ახალი ჩემთვის.

კაცის ტვინი ის ადგილია, რომელსაც გამოდ-მებით ჩხვლეს და ჩქმეტს სამყარო, რათა დარ-წმუნდეს თავისივე არსებობაში. კაცია აზროვ-

ნებს, მაშასადამე, მე ვარსებობ, — ამბობს სა-ყარო.

აზრი არის მეტნაკლებად სწრაფი, მეტნაკლებად განყენებული და მოუხელთებელი ქესტი თუ აქტი არსებისა, რომლის ნაწილები და ორგანობა ყველა შესაძლებელი საგანი და რომელსაც თავისი აქტების საარტიკულაციოდ და სამკვიდროდ მიზომილი აქვს დრო. ხოლო ამ სამკვიდროს საზღვრებდა — რეალობა.

სულისთვის ბოროტებაა აზროვნებდეს მხოლოდ პოლიმისტურად, როგორც პუბლიკის, — როგორც მტრის წინაშე.

გამოდიება ისეთ მნიშვნელობას ანიჭებს სიზმრებს, რასაც ისინი არ იმსახურებენ.

„გულია“ ის ორგანო, რომელიც წამიერსა თუ წარუვალ ღირებულებას ანიჭებს შთაბეჭდილებებსა და საგნებს. იგია თვითეულ ჩვენგანში სრულიად განსხვავებულ ფასეულობათა მსაჯუ-ლი; იგია ცენტრალური რეზონატორი, რომელიც ირჩევს თავის ობიექტს საგანთა ტოლფასოვნებაში.

ჩვენი ცენტრუმენანი თუ წინათვრჩობანი, სწრაფვა თუ იმპულსი, — იდეათა შინაგანი უთანასწორობის მომენტალური რეორგანიზაცია.

რას ამტკიცებს ეს გული, ან რა ფასი აქვს ამ ფასეულობებს?

ჩვენ იძულებულნი ვართ ყოველ წამს ბო-ლიშს ვიხდიდეთ კეთილის ქმნისთვის.

არაფერი ასეთ ტკივილს არ გვაყენებს ჩვენ.

წიგნებს იგივე მტრები ჰყავთ, რაც აღამიან-ნებს: ცეცხლი, წყალი, უმცირება, დრო და მათივე საკუთარი შინაარსი.

აბსოლუტურად შიშველი აზრები თუ ემოცი-ები ისევე უმწერნი არიან, როგორც თხემით ტერფამდე შიშველი კაცნი.

მაშასადამე, საჭიროა მათი შემოსვა.

აზრი ორსქესოვანია: ის თვითონ ანაყოფი-რებს თავის თავს და თვითონვე დაატარებს სა-კუთარ ნაყოფს.

პოემის სიუჟეტი მისთვის ისევე უტეხა და ისევე მნიშვნელოვანი, როგორც კაცისთვის — მისი სახელი.

სახელში ყველაზე უკეთესი არის ის, რაც ძველ სურვილს ეპასუხება.

**პოლ ვალერი**  
წმირილიძე, აზრები

ყველაზე უკეთესი ქმნილება არის ის, რომელიც ყველაზე დიდხანს ინახავს თავის საიდუმლოს.

ძალიან დიდხანს აზრადაც არ მოუვა ვინმეს, რომ ის, საერთოდ, იმარხავს რამე საიდუმლოს.

ერთია იყო „ნიჭით ცხებულნი“ და მეორე — შეგვეძლოს სრულყოფილი ნაწარმოების შექმნა. სამყაროს მთელი ექსტაზი დისკრეტულ ელემენტებს იძლევა მხოლოდ.

ზუსტი გათვლისა და გაანგარიშების გარეშე ნაწარმოები მდარეა, მდორე. უშეშარიტი პოემა გონების ზუსტ ქმედითობას გულისხმობს. საქმე ეხება არა იმდენად ძალას, რამდენადაც ამ ძალის აპლიკაციას.

ავფვთო პატარა მონუმენტი ყოველ სიძნელეს; პატარა ტაძარი — თვითეულ კითხვას. თავისი ვარსკვლავი — ყოველ ენიგმას.

ფილოსოფოსობა შესაძლებელია მხოლოდ იმის გამო, რომ შეუძლებელია ინტუიციითა ფიქსირება.

ჩვენ რომ შეგვეძლოს მთელი სიციხადით ჩავწვდეთ ყველაფერს, რაზეც ფიქრობს ფილოსოფოსი იმ მომენტში, როცა, ვთქვათ, არსზე მსჯელობს, რა შეგვერჩებოდა ხელთ ფილოსოფიის ნაცვლად?

რა არის Cogito თუ არა უთარგმნელის თარგმნა და გამოუთქმელის სიტყვით გამოთქმა?

ჩემთვის სრულიად უსარგებლოა იმის ცოდნა, რისი მოდიფიცირებაც არ შემიძლია.

გრიგალს შეუძლია მიწასთან გაასწოროს ქალაქი, მაგრამ არ შეუძლია გახსნას კონვერტი ან განსაკუთრილი ძაფი.

ყველა ავტორს აქვს რაღაც ისეთი, რის დაწერასაც არ ვისურვებდი; ყველას და მეც.

ის აღებს კარს და ჩუმად მიიზერს. მას ჰგონია, რომ ვერ ვამჩნევ, რომ მხოლოდ თავის გასაგებად გაიხმაურა, და რომ მე კვლავ მარტოც ვარ ჩემსავე წიგნში.

მაგრამ მე ვგრძნობ, მე ვიჭერ მას და ნებას ვერთავ დამაკვირდეს; თუმცა მე თვითონ ვაკვირდები სტუმარს, და ჩემს უძრავ ყდას, უძრავ ყუას მტკიცედ უპყრია იგი.

ადამიანი უნდა დაიხარჯოს: ან სხვების, ან თავისივე თავის მიერ. სწორედ ამით განისაზღვრება მისი ფაზა. წაართვით მას ეს ფაზი და ადამიანი არარად იქცევა.

ყველაფერი, რაც გარს მარტყია, რაც შეგვიძინია, დამიწერია ან დამიბეჭდავს, ჩემი შეილება, ჩემი წიგნები, ჩემი წესრიგი თუ უწესრიგობა, — ყველაფერი ეს უფრო მეტად მგავს მე, ვიდრე მე — ჩემსავე თავს; ყველაფერი ეს უფრო სტაბილურია და უფრო მკვეთრად გამოხატული, ვიდრე ჩემივე მომენტო.

სიკაბუეე მთავრდება მაშინ, როცა ის, რასაც ვფიქრობ, აღიბეჭდება იმაში, რასაც ვაკეთებ, და პირიქით. — როცა ის, რასაც ვაკეთებ, ინკრუსტირდება იმაში, რასაც ვფიქრობ.

სურვილი თვითონ უნდა ქმნიდეს თავის საგანს, მაშინ როდესაც, თუ ამოსავალ წერტილად ქვენა გრძნობებს მივიჩნევთ, — საგანი თვით იწვევს სურვილს.

ჩემი რეპუტაცია, ჩემი რეპუტაცია-ი-ა! — ამბობს ეს მიაშიტი კაცი; — რა სამწუხაროა, რომ იძულებული ვარ ვებაძვედ თქვენს მიერ წარმოსახულ იმ ყალბ პერსონაჟს, რომელთანაც მე მაიგივებთ.

„უშეშარიტება“, ახლის აღმოჩენა, თითქმის ყოველთვის რაიმე ანტი-ბუნებრივი ძალისხმევის შედეგია. აზრის კონცენტრაცია ყოველთვის იძულებითია. საჭიროა ჩავიდინოთ ან დავითმოინოთ გარკვეული ძალადობა, რათა სხვა თვალთ, სხვაგვარად ან ახლებურად შევხედოთ რასმე. ცნებების ეგზოზი მნიშვნელოვანი სისადავე და უბრალოება ძალიან ძვირად ვიჯდება ჩვენ.

რელიგია ადამიანებს ამარაგებს იმ გარემოებათათვის საჭირო სიტყვებით, აქტებით, ექსტეზითა და „აზრებით“, სადაც მათ არ იციან, რა თქვან, რა ქნან, რა წარმოუდგინონ.

კაცი ყოველთვის ცდილობს უარყოს ის, რისი დამტკიცებაც (გამოხატაც) არ შეუძლია.

ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე მთელ თავის მიმზიდველობას კარგავს.

ყოველი ინდივიდი თავის თავს უყურებს არა როგორც უშუალოდ კაცს, — რა არის კაცი, — არამედ როგორც ენტრს, საფუძველს და ყოველის მიზანს. მას ვერ შეუვნია, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნდა მოკვდეს, ვერ შეუვნია, რომ ის სხვა არა არის რა, თუ არა დეტალი.

და ბოლოს, მას მხოლოდ გონებით შეუძლია შეიცნოს ყოველივე ეს.

დიდი ადამიანები ორჯერ კვდებიან: ერთჯერ — როგორც ადამიანი და მეორეჯერ — როგორც დიდნი.



**„ჩემს ოთახში“**

ამ ჩემს ოთახს ერთადერთი ფანჯარა აქვს. მე ვცხოვრობ ფართოდ გახედილ თვალში.

იმედი რევოლუციური უნდობლობა ჩვენი წინ-დახედულობისა თუ წინასწარხედის მიმართ; კურთხეული უნდობლობა. იმედი სკეპტიციზმია. ის, ვინც იმედოვნებს, ეპეის თვალთ უყურებს ყოველწამიერი და წარუვალი ბოროტების არსებობას სამყაროში.

მაშასადამე, არსებობს ინსტინქტი, რომელიც არკვევს და აფართოებს ალბათობისა და უეჭველობის ურთიერთგანსხვავების სფეროს. და რომელიც ყოველგვარი კანონის, ყოველგვარი ძალისა და თვით სიკვდილის საშირისპიროდ, დაუყოვნებლივ სარგებლობს ნებისმიერი შეცდომით, რასაც ჩვენი ცნობიერება უშევს ზემოწამოთვლილ ფენომენთა შემეცნებისას.

დაუკვირდი ბალახს: გულისშემძვრელი კონტრასტი, ერთის მხრივ, ძალისხმევის უჩვეულო ენერჯიასა და, მეორეს მხრივ, ღეროს უმწურობას შორის; კონტრასტი სიცოცხლის სიმყიფესა (რადგან ის სწორედ ამ უმწურო ღეროზე ჰკიდია) და სიცოცხლის სურვილის თითქმის უსასრულო ძალმოსილებას შორის.

აღამიანი თავს აფარებს შეუცნობელს. ის უმაღლესი თავის ცოდნას. შეუცნობელი იმედის იმედი, სასიგების სასიგებაა. იმედი რომ არა, ინდეტერმინაცია იქნებოდა ყოველგვარი აზროვნების ზღვარი. იმედი ინტიმიური აქტია, რომელიც თავისი მოქმედების სფეროდ შეუცნობელს ირჩევს. იმედი სქულ კედელს ღრუბლის ქულად აქცევს, და არ არსებობს სკეპტიციზმი ან პირონისტი — აზროვნების, გონების, მეჭველობისა თუ უეჭველობის უფრო ცხიერი მტერი, ვიდრე იმედის, სასიგების შლგედი დემონი.

მიწყვი ეული და მარტოსული, უმეტეს წილად მღუმარე და თავის ცათამბჯენ ციხე-კოშკში დაყუდებული, — იმედი იყურება შორს, — სხეულისა და სულის მიღმა.

**ფორმალური უარყოფის არსებითი.**

კამათის სიმძაფრე, ორატორის გზნება, მისი მახვილსიტყვაობა, მისი მეტაფორები, მისი ტალანტი, მისი გენია... რამდენი გამანადგურებელი არგუმენტი არსებითის წინააღმდეგ.

ყველა ქეშმარიტი თეზისი შიშველია.

მაგრამ როდესაც მათ რთავენ და ჯავშანში სვამენ?... რამდენი გამანადგურებელი არგუმენტი აუდიტორიის წინააღმდეგ.

„პატივისცემა“, თავყანისცემა, ქება-დიდება, ქველმოქმედება, — დახავსებული სიძველენი,

რომელიც დღითიდღე უცხოინი ხდებიან ჩვენთვის და ზნე-ჩვეულებებიდან თანდათანობით მუხუხუხუნეული ზეუმებში გადადიან (ალბათ მოგვიწევს გარშნობათა მუხუხუნის აგება).

ყოველი გრძობა, რომელიც თავის საბოლოო სიტყვიერ გამოხატულებას პოულობს, ამით ამოთავრებს თავის არსებობას.

თავისი პარაზიტების, ქურდების, მომღერლების, მისტროსების, მოცეკვავეების, გმირების, პოეტების, ფილოსოფოსების, საქმისნების ვარზე შეკაცობრიობა ცხოველურ საზოგადოებად იქცევა; ან საზოგადოებად კი არა, — უბრალოდ, ცხოველურ გეარად ან სახეობად; მიწის მიული მარილი ვანქარდებოდა.

თავიანობა ორგანიზებული გულგრილობაა. ღიმილი — სისტემა. ყურადღება — წინასწარხედვა.

პოეტი ყველაზე დიდი უტილიტარისტიკა ეცთა შორის. ყოველგვარ მცონარებას, სასოწარკვეთას, მეტყველების ამა თუ იმ აქციდენტს, მრავლისმთქმელ გამოხედვას, მოკლედ, ყველაფერს, რასაც დაუდევრად ფანტაზს, ანწევს, ყურადღებას არ აქცევს და მეყსეულად ივიწყებს პრაქტიციოსი, — პოეტი გულმოდგინედ აგროვებს, თავს უყრის და თავისი ხელოვნებით ვარკვეულ ღირებულებას ანიჭებს.

პოეზია არის დანაწევრებული მეტყველების მეშვეობით იმ მდგომარეობის წარმოდგენისა თუ აღდგენის ცდა, რომლის გამოხატვასაც ბუნდოვანად ცდილობს ყვირილი, ცრმოლი, ალერსი, კოცნა, ღიმილი, ოხვრა და ა. შ.

როდესაც ვკითხულობ, მე მინტერესებს არა წიგნი, არა ავტორი, არამედ ის, რამაც ეს წიგნი შექმნა.

ყოველი წიგნი უმაღ ათასი სხვადასხვა ფაქტორის ქმნილებაა, ვიდრე „ავტორის“.

**არის უფრო დასეული რამ, ვიდრე ორიგინალობა, სახელდობრ, უნივერსალურობა.**

ეს უკანასკნელი მთლიანად მოიცავს პირველს და, საპირობების მიხედვით, იყენებს ან არ იყენებს მას.

სიამოვნება თუ მოწყენილობა, რომელსაც XX საუკუნის მეოთხეულს XVII საუკუნეში დაწერილი წიგნის კითხვა ჰკვრის, წმინდა შემთხვევითობის ბრალია.

მე იმის თქმა მსურს, რომ ამ შემთხვევაში

აოლ ვალერი  
წარწერილი, აპრილი



საქმეში ერევა იმდენი ახალი და იმდენად მრავალრიცხოვანი პირობა, რამდენიც XVII საუკუნის ყველაზე ღრმა, ყველაზე დახვეწილ და ყველაზე წრფელ ავტორს სიზმრადაც არ შეიძლება მოლანდებოდა.

დღევანდელი დიდება ისეთივე შარავანდელით მოსავს წარსულის ქმნილებებს, როგორთაც ხანძარი, რომელიც ბიბლიოთეკის მთელ ფონდებს სპობს.

**ეპიური პოემები.**

დიდი ეპიური პოემები, როცა ისინი მშვენიერნი არიან, მთელი თავიანთი სიდიდის მიუხედავად, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების, ცალკეული ეპიზოდების წყალობით არიან მშვენიერნი.

იმტკიცება: გრძელი პოემა შეიძლება **შემოკლებს**. ხოლო ლექსის შემოკლება არ შეიძლება. განა ვინმე ამოკლებს მელოდიას?

**თარგმანები.**

დიდი უცხოელი პოეტების თარგმანები არქიტექტურულ გეგმებსა ჰგვანან, რომელთაც ჩვენი განცვიფრება ძალუძთ. მაგრამ მათვე შეუძლიათ მიწასთან გაასწორონ თვით ნაგებობანი — სისახლეები თუ ტაძრები.

მათ აკლიათ ე. წ. **მესამე განზომილება**, რომელიც არა მარტო აღგვიქმნევიანებს, კიდევაც გვაგრძნობინებს და განგვიცოცხლებს **მათ**.

**არაუღელ-ღარუღობა.**

პოეტი-ფილოსოფოსი (ვინი და ა. შ...). ეს ნიშნავს ერთმანეთში ურევედ მხატვარ-მარინისტს და გემის კაპიტანს.

(ლუკრაციუსი იშვიათი გამონაკლისია).

რამდენი ბუნდოვანი იდეა იმალება ამგვარ გამოთქმებში: „ფსიქოლოგიური რომანი“, „ხანაიათის სიმართლე“, „ანალიზი“ და ა. შ.

რატომ არ ელაპარაკობთ, მაგალითად, ჯოკონდას ნერვიულ სისტემაზე ან ვენერა მილოსელის ღვიძლებზე?

მე მძულს ყალბი სიღრმე, მაგრამ მიინცდამაინც არც ნამდვილზე მეღევა სული. ლიტერატურული სიღრმე ყოველთვის სპეციალური პროცესის შედეგია. — საკმარისია შევიცნოთ, როგორ მზადდება, მაგალითად, აზრების წიგნი, — მე ვგულისხმობ ღრმა აზრებს.

განა სულერთი არ არის, რა სიღრმე აქვს ამ წყალსაცავს — ორმოცი სანტიმეტრი თუ ოთხი ათასი მეტრი? ჩვენ გვზიბლავს მხოლოდ ჰაელის ციმციმი.

**გულწრფელი მეგობარი.**

ვინ გაბედავს პირში უთხრას თავის მეგობარს: მე აბსოლუტურად დაგივიწყე შენ.

მარტელი: მე მირჩენია მოკვდევ, ვიდრე... ვიაზროვნო.

არ არსებობს „ქეშმარიტება“ ვნების გარეშე, ცთომის გარეშე. მე მინდა ვთქვა: **ქეშმარიტება მხოლოდ ვნებით მიიღწევა, მიიწვდომება.**

ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები ის აზრებია, რომლებიც ჩვენსავე გარბობებს ეწინააღმდეგებიან.

როცა **მორწმუნე ურწმუნოს** აზრებზე მსჯელობს, ანდა პირველ, ამ მსჯელობას არავითარი აზრი არა აქვს.

ორ კაცს, რომელთაგან ერთი მთელი არსებით გრძნობს და განიცდის მუსიკას, ხოლო მეორე მას აღიქვამს როგორც მარტოოდენ ყურისწამლებს ხმაურს, თავისუფლად შეუძლია მთელი ღამე ტკბილ მუსიკაში გაატაროს.

**სულთა ტიპები.**

ზოგიერთის ღირსება ის არის, რომ ცხადად ხედავს ყველაფერს, რასაც ყველა მხოლოდ ბუნდოვანად ხედავს; ზოგიერთისა კი ის, რომ ბუნდოვანად ხედავს ყველაფერს, რასაც ჯერჯერობით ვერაფერს ვერ ხედავს. ამ ორი ღირსების ერთად შერწყმა მეტისმეტად იშვიათია.

პირველნი, ბოლოს და ბოლოს. ბრბოს უბრუნდებიან.

მეორენი კი პირველთა მიერ შთაინთქმებიან, ან უყვარდნა ქრებიან და იკარგებიან. პირველნი უჩინარდებიან ბრბოში, ხოლო მეორენი — პირველთაში, ან კიდევ — წმინდა და მარტივ დროში.

ასეთია სულიერ კაცთა ხედვრი.

„მე ვარ პატიოსანი კაცი“, — ამბობს ის. — ეს ნიშნავს: „მე ვიწონებ ჩემი მოქმედებების უმრავლესობას“.

ბანალურობის დაძლევა ადვილი საქმეა. სიბრძნევეს სიგოით პასუხობენ. ეს მექანიკურად ხდება. მთელი თანამედროვე მენტალური ისტორია, ხელოვნება, პოლიტიკა და ა. შ. ისეთივე მარტივია, როგორც ბაყაყის რეფლექსები. მე მეზიზღება მარტივი რეაქციების ეს უაზრო თამაში, ექსტრემისტული ავტომატიზმი, ურთიერთსიმეტრიული ქმედება და უსუქმედება; მე მეზიზღება, როცა სიახლეს მხოლოდ მისი სიახლის მიხედვით აფასებენ, სიძველეს — მისი სიძველის მიხედვით და ა. შ.



**ცხოველის მსჯელობა.**

საესებით ბუნებრივია, როცა მე ვლოკავ ხელს, რომელიც საკმელს მამლევს; რომელმაც საკმელი მომცა; რომელიც საკმელს მომცემს; რომელსაც შეეძლო საკმელი მოეთქა... მაგრამ თვით ეს ხელი რომ იჭმებოდეს?... ვითომ რაო... რა განსხვავებაა?... სალაფავი სალაფავის წილ.

რაოდენ იშვიათია აზროვნება ოხვრის გარეშე.  
ოხვრა აგვირგვინებს ყველა ღრმა აზრს.

ფორმა ნაწარმოების ჩონჩხია. არსებობს ბევრი ნაწარმოები, რომელსაც ჩონჩხი არ გააჩნია. ყველა ნაწარმოები მოკვდავია, მაგრამ ჩონჩხიანი უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე უჩონჩხი. დღება ღრო, როცა ნაწარმოები ვეღარ გვართობს, ვეღარ გვაღელვებს. მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს მეორეული სიცოცხლე, რომლის განმავლობაშიც ის შესწავლის ობიექტის როლში გვევლინება, ანდა — მესამეული, როცა მას უფურცლებს როგორც უბრალო ცნობარს.

თავდაპირველად — სიხარული; შემდეგ — ტექნიკური გაკვეთილი; ბოლოს — დოკუმენტი.

ნაწარმოების სიუჟეტი არის ის, რაზედაც მდარე ნაწარმოები დაიყვანება.

ყველაფერი, რასაც ჩვენზე ფიქრობენ, ყალბია, მაგრამ არა უფრო მეტად ყალბი, ვიდრე ის, რასაც ჩვენსავე თავზე ვფიქრობთ; — მხოლოდ სხვაგვარად ყალბი.

მომენტი, როცა პატარა ბავშვი თავისი ტირილის ძალას შეიცნობს, არაფრით არ განსხვავდება იმ მომენტისგან, როცა ის ამ ძალას ზემოქმედებისა და ძალადობის იარაღად აქცევს.

ქედმაღლობას არ შეუძლია ხანდახან მიანიც არ დამდაბლდეს და მოიდრიკოს. მაგრამ ეს ზამბარის შეკუმშვის ჰგავს. შეუძლებელია მან დაჰკარგოს თავისი ძალა. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება მეყვესულად ხდება, — კიბეზე თუ ქუჩაში.

ფილოსოფოსმა, არსებითად, სრულიადაც არ იცის უფრო მეტი, ვიდრე მისმა მზარეულმა, თუკი, რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება სამზარეულოს, სადაც ამ უკანასკნელმა, არსებითად (საერთოდ) უფრო მეტი იცის, ვიდრე პირველმა.

მაგრამ მზარეული (საერთოდ) თავის წინაშე არ სვამს ყოვლისმომცველ კითხვებს. მაშასადამე ეს ის კითხვებია, რომლებიც ჰქმნიან ფილოსოფოსს. რაც შეეხება პასუხებს... საუბედუროდ ყოველ ფილოსოფოსში ჩასახლებულია

ბოროტი სული, რომელიც პასუხობს და, თანაც ყველაფერზე პასუხობს.

აბსურდი, გულუბრყვილობა, ფანტასტიკა, თვითნებობა, ბუნდოვანება, გაურკვეველობა, მეტისმეტი მწუხარება თუ მეტისმეტი მშვენიერება ყოველი მხრიდან გარს ერტყმინან ახალშობილ აზრს და თავიანთი უფსკრულისაკენ ეზიდებიან. ალყაშემორტყმულს თავისკენ უხმობს, თავისკენ ეძახის ყველა, მაშინ როდესაც ის ნელნელა, — ბეწვის ხილთ, მიიწევს წინ ფორმირებისა და ფრთაშეხმობის გზაზე. და სინათლის თეთრი ფრინველი, თავისი ფრთებით რომ მივაპობს სულის დროსა თუ სივრცეს, იძულებულია დალაგოს, დააგუფოს და ერთმანეთს დაუპირისპიროს ისინი, რათა, ფრთაშეხმობილი, ძირს არ დაეცეს.

**დაცემანი.**

ა). ჩვენ ვცნობთ ორ დიდსა და მისტურ დაცემას. ანგელოსთა დაცემა, კაცის დაცემა: **ჰომოთეიტკური** კატასტროფანიო, იტყოდა გეომეტრი.

ყველაფერი, რაც მან შექმნა, უნდა დაეცეს.  
ბ). დასაბამიერი დაცემის იდეაზე დაფუძნებული ყველა რელიგია წყვეტილობის ტკივილებისთვისაა განწირული.

გ). მაგრამ შესაქმნა პირველი ბზარი. სამყაროს შექმნას უშუალოდ უკავშირდება ორი აქტი: ერთი — შემოქმედისა, მეორე — შექმნილის. პირველი აფუძნებს რწმენას, მეორე კი... თავისუფლებას.

ცნობიერებას ეშინია სიცარიელის.

რელიგია რომ არ არსებულებო, ალბათ, არც მეცნიერება იარსებებდა, რადგან ადამიანის თავი ვერ შესძლებდა აბსტრაქციონებას იმ უშუალოდ მულმივი ემპირიზმისგან, რასაც მას უსაზღვრავს რეალობა.

თეოლოგია ისე ათამაშებს „ქეშმარიტებას“, როგორც კატა — თავგს.

სიზმარი არის ფენომენი, რომელსაც მხოლოდ მისი აბსცენციის დროს აღვიქვამთ. ზმნას „დასიზმრება“ აწმყო თითქმის არ გააჩნია (მე მე-სიზმრება, შენ ვესიზმრება და ა. შ. — მხოლოდ და მხოლოდ რიტორიკული ფიგურებია, რომელთაც მღვიძარე თუ გამოღვიძების კანდიდატწარმოსთქვამს).

**მეტაფიზიკური მსჯელობანი.**

თუ სივრცე სასრულია, თუ მსგავსი ფიგურები შესაძლებელი არიან, თუ... და ა. შ.

**პოლ ვალერი**  
წერილები, აზრები



ეს დისპუტები, რომელთა რკალი სულ უფრო და უფრო ვიწროვდება, ისევე ხიბლავენ კაცს და ისეთივე შედეგებით გვირგვინდებათ, როგორც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრებული საქადრაკო პარტიები.

ბოლოს და ბოლოს, აღარაფერი აღარ რჩება, გარდა იმისა, რომ A უფრო ძლიერი მოთამაშეა, ვიდრე B.

**ღრმა** (დღეინიციის მიხედვით) არის ის, რაც ცნობიერებისგან დაშორებულია.

**ზედაპირული** არის ის, რაც მომენტალური და ძალდაუტანებელი ცნობიერების თანაზომიდანა და თანაფორმადი.

სიბნეულ ღრმა, — ამბობს თვალი.  
ღრმაა ღუმელი, — ამბობს ყური.  
ის, რაც არ არის, — სიღრმეა მისი, რაც არის...

**არის და ცოდნა.**  
„ცოდნა“ სხვა არა არის რა, თუ არა საფეხური. — არსობის საფეხური.

ჭეშმარიტია მხოლოდ ის ცოდნა, რომელსაც ძალუძს არსად თუ არის სუბსტანციად, ე. ი. აქტად იქცეს.

ყველაზე ფუჭი და ამაოა ცოდნა, რომელიც წმინდა სიტყვებამდე დაიყვანება და რომელსაც არ ძალუძს ამ სიტყვიერ წრეს გასცდეს.

სივრცე არ არის წერტილთა ერთობლიობა. ეს ბავშვური აზრია.

სივრცე ერთიანობაა, როგორც ერთია წერტილი.

სივრცე განზოგადოებული წერტილია. სივრცე წარმოსახვითი სხეულია, ისევე როგორც ღრო — ფიქტიური მოძრაობა.

როდესაც ვამბობთ: „სივრცეში“, „სივრცე საფეხი“ და სხვა — ჩვენ ვახდენთ სხეულის დეფინიციას.

**ანთროპომორფიზმი.**  
ძალი რომ აბსოლუტურად ჰომოგენური იყოს, მაშინ, რაგინდ დიდი სიმძიმეც არ უნდა ჩამოეკიდათ მასზე, მთელი თავისი სიწვრილის მიუხედავად, ის ვერ შესძლებდა გაწყვეტას, ან კი ხად უნდა გაწყვეტილიყო?

**მწარე სიცილი.**  
„სიხარულის“ ელემენტი, რომელსაც სიცილი შეიცავს, მწარე სიცილში წმინდა პირობითობად იქცევა.

ეს სიცილის ვართულებაა. ეს კონტაქტია ორ ურთიერთგამომრიცხველ ექსპრესიას შორის. ისინი თავიდან იცვლებიან და ერთიმეორესაც ცვლიან. ასე ამბობენ: **ჩრდილო-დასავლეთი.** სიზუსტე გამოიხატება ორი უზუსტობით, რომ-

ლებიც მას გარემოიცავენ, ხოლო ერთმანეთს გაშორიხავენ.

**ანალოგია.**  
ქურდი კომიკოსია. ისე იქცევა, თითქოს ნიე-თი მას ეკუთვნოდეს.

**სახელმწიფო — ეს მე ვარ.**  
კაცი ამბობს:  
მგელმა არ უნდა შევკამოს ცხვარი. ეს ამორალური საქციელია... რადგან ცხვარი მე უნდა შევკამო.

სარეველამ არ უნდა შევკამოს პურის ყანა, რადგან პური ჩემი საქმეელია.  
ასე ლაპარაკობს კაცი, მაგრამ, უფრო ხმამაღლა, ასე ლაპარაკობს **სახელმწიფო.**

სიტყვა აღამიანის მიერ აღამიანის მართვის იარაღია. მეძახიან, — მე ვბრუნდები... მაგინებენ, — მე მიყვირს, ვბრაზდები და გარტყმით ვპასუხობ... მაგრამ ვემორჩილები. ეს მორჩილება: ჩემი ქცევა წინასწარ განპირობებული იყო.

აღამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმიტომ, რასაც ამქვავებენ და ერთმანეთს ჰგვიანან იმიტომ, რასაც მალავენ.

აზრის ერთადერთი ჭეშმარიტი და მუდმივი ობიექტია ის, რაც არ არის. ის, რაც ჩემს წინაშე არ არის; ის, რაც იყო; ის, რაც იქნება; ის, რაც შესაძლებელია ან — შეუძლებელი.

ზანდაზან აზრი ცდილობს რეალობის ხარისხში აიყვანოს არარსებული, ან ფიქციამდე დაიყვანოს არსებული.

ყოველი სისტემის დასასრული რომ ყალბია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. საწინააღმდეგო დასკვნა შეუძლებელი იქნებოდა და არაბუნებრივი.

რაც შეეხება მათ დასაწყისს, — ამაზე კიდევ შეიძლება იღავოს კაცმა.

**გონება, სიბრძნე, ჭეშმარიტება** და ა. შ. პოპულარული ლეთებანი არიან, კონფორმიზმის კერებები საგნებთან თუ აზრებთან მათს მიმართებაში.

არიან უფრო დაბალი რანგის ლეთებანიც: **მანერა, თავდაპირილობა, გემოვნება** და ა. შ.

**იგავი.**  
**მაესტრო ტვინს, თხემის ქანდარავე დაბუღ-რებულს,**  
საკუთარ ნაოქებში ეჭირა თავისი მისტერია...  
გავრძელება დამავიწყდა.

**მეტაფიზიკა** — ყველასგან მოქულებული და

ჟველას მიერ დევნილი ბებერი ყვაი — თავგზა-  
ანუელი ეხებება ძველისძველ კოშკებს, ჩხა-  
ვილით გაურბის ბუნებას და სიკვდილსა და მუ-  
სიკას აფარებს თავს.

იხილე, ერთდროულად, დიდი ქმნილებათა  
ბრწყინვა და პატარათა ნისლიანი მტვერი ინ-  
ტელექტის ცაზე. იხილე, ერთის მხრივ, ეგვიპ-  
ტის, ელადისა და აღორძინების თანავარსკვლა-  
ვედთა თანაარსებობის მისტერია, რამდენადაც  
ამის შესაძლებლობას გაძლევს **ბიბლიოთეკა** ან  
**მუზეუმი** — ერთდროის თავი, — ხოლო, მეორეს  
მხრივ, ჩამქარა ვარსკვლავთა უკანასკნელი კია-  
ფი.

უჭვრიტე ყოველივე ამას, როგორც ცის თა-  
ვანზე ერთმანეთისგან უზარმაზარი ასაკობრივი  
პერიოდებით განსხვავებულ სხეულებს თუ სხე-  
ულთა ჩვეულებს ჰერტც... თვალის ბაღურა ყვე-  
ლაფერს ათანადროულებს.

ისტორიული თხზულებებისა თუ რომანების  
კითხვა მეორე თუ მესამეხარისხოვანი დროის  
მოკვლას ემსახურება.

პირველხარისხოვანი დრო მოკვლას არ საკი-  
ოებს. ის თვითონ ჰკლავს წიგნებს, ან არსებო-  
ბას ანიჭებს ზოგიერთს.

დღეს ამბობენ: ნაპოლეონი და სტენდალი.  
ვინ ეტყოდა ნაპოლეონს, რომ ოდესმე იტყო-  
დნენ: ნაპოლეონი და სტენდალი.

ვინ ეტყოდა ზოლას ან დიდესს, რომ ერთი  
ტანმორჩილი, საყვარელი და ენამჭვერი კაცი —  
**ხტეფან მაღარამე** — თავისი უცნაური, პატარა და  
ბნელი ლექსებით უფრო დიდ გავლენას მოახ-  
დენდა თაბებზე, ვიდრე მათი სქელტანიანი რო-  
მანები?.. აღმასი უფრო დიდხანს ძლებს, ვიდ-  
რე მთელი კაპიტალი, ან, თუნდაც, მთელი ცივი-  
ლიზაცია. სრულქმნილების წყურვილი ყოველ-  
გვარი დროულობისგან თავის დაღწევას, ზე-  
დროულობამდე ამაღლებას ისახავს მიზნად.

სიახლის მოთხოვნილება სულის დაღლილობი-  
სა თუ სისუსტის ნიშანია, სულია, რომელიც  
შითხოვს იმას, რაც თავად აკლია.  
რადგან ყველაფერი ახალია ამ ქვეყნად.

ობიექტები ცუდად წერენ.

**ლიტერატურა.**

აქ შეხვდებით კაცობიებს, რომლებიც იბეჭ-  
დებიან; დევებს, რომლებიც თავიანთ კორექტუ-  
რებს კითხულობენ; ცეცხლისმფრქვეველ დრა-  
კონებს, რომლებსაც პრესის მუშაკებად მოაქვთ  
თავი და ა. შ. ყოველივე ეს ისევე ბუნებრივია,  
როგორც მათი ორგანიზმის ყველაზე ბუნებრი-  
ვი ფუნქციები.

**ამოლოგეტია.**

აი, რას ეძღვნება ყველაზე მნიშვნელოვან ნა-  
წარმოებათა უმრავლესობა:

„შენ არ გიყვარს ის, რაც შენ გიყვარს;“  
„შენ გიყვარს ის, რაც შენ გიყვარს;“  
„შენ არ ხარ ის, რაც ხარ, და პირუტყ“.

**დილის პატარა ფსალმუნი.**

ჩემი სული ფიქრობს ჩემს სულზე.  
ჩემი ისტორია უცხოა ჩემთვის.  
ჩემი სახელი მაცვიფრებს მე და ჩემი ხორცი  
არის იდეა.

მე ვიყავ ის, რაც იყო ყველა.  
მაგრამ არა ვარ ის, რაც უნდა ვიქნე.

როდესაც კაცი იღვიძებს, იმავე მდგომარე-  
ობას უბრუნდება, რომელშიც ძილის წინ იმყო-  
ვებოდა. მისი პირველი იდეა ძილისწინ მიტო-  
ვებული უკანასკნელი იდეაა. მკვდრებს რომ გა-  
მოღვიძება შეეძლოთ, ისინი მომავლდებად გა-  
იღვიძებდნენ.  
განაგრძეთ კვლევა.

როგორც ხელს არ შეუძლია ერთბაშად მოი-  
შროოს ცხელი და მწველი საგანი, რომელიც  
კანს ეკრის და ეწებება, ასევე სულსაც არ შე-  
უძლია თავი დააღწიოს მტანჯველ გრძნობას,  
იღვას თუ წარმოდგენას, რომელიც თავისი  
მტკიცუნულობით გვაფიცებს ჩვენ.

სულის მთელი ძალა რომ ერთ წამში გამოვ-  
ლინდეს, ჩვენ მოიღვენო წამშივე დავიღუბებო-  
დით.

ბევრი ჩვენგანი თავისი აზრებისა თუ გრძნო-  
ბების უმრავლესობას ისე უყურებს, როგორც  
უცხოს, როგორც გაერუშს. არის ჩვენში ბევრი  
ნაკრძალი თუ ცხრაკლიტული, სადაც ფხიზლობს  
შიში, სირცხვილი. არის ჩვენში ბევრი საფლავი  
თუ სასაფლაო, რომელთაც სული სიახლოვეს არ  
აკარებს საკუთარ აზრებს. არის ჩვენში ბევრი  
საროსკიპო, უფრო ცხელი და უფრო ბილწი, ვი-  
დრე დიდი ქალაქის ბორღელები: ზოგისთვის —  
საუნჯე, ზოგისთვის — სატანჯველი. არის ჩვენში  
ბევრი ღვთაება, უცნობი თუ ნაცნობი ღმერთი.  
რამდენი რამ, რაც არასდროს გამქლავდებოდა,  
გამოვლინდება; აქტა ლანდები, აზრთა ჩანა-  
სახები!

და ყველაფერი ეს, სულ რამდენიმე წამში,  
კალმის ერთი მოსმით შეიძლება ჯაღაბასნილი-  
ვით აღდგეს, შეიძრას, გატოცლდეს და გასუ-  
ლიერდეს: საფლავებმა განახუნან პირნი, ამოა-  
ნთხიონ ჩვენი ცხედრები, და ჩვენმა არკანებმა

**პოლ ვალბრი**  
წიროლიანი, აზრები



ვაიღონ ხმა — ჩვენი კუთვნილი თუ არა კუთვნილი.

სიცოცხლე რომ მხოლოდ განცხრომა იყოს, ან მხოლოდ ტანჯვა-ვაება, დიდხანა მისი სახსენებელიც აღარ იქნებოდა ქვეყნად.

ქალი სულის მტერია, მაშინაც, როცა იზიარებს და მაშინაც, როცა უარყოფს სიყვარულს. ბუნებრივი და აუცილებელი მტერი; მე ვიტყვოდი, უკეთესი მტერიც სულისა.

უკეთესი მტერია ის, ვინც გვაიძულებს თავდაცვისა თუ თავდასხმის ყველაზე მახვილონიერულ ხერხებს მივმართოთ.

ჩვენთვის ძვირფასი მოგონებები — დაკარგული ძვირფასი თვლები.

გადმოიბირე, მოიხზრე ყველა ქილიკა, ყველა ღირფი თუ ცინიკოსი, — და აი, ნაეციკალ მხარეს იხრება, ყირადღება და მათთან ერთად გძირავს ვულვარიზმის მორევეში.

მე შენ გიყურებ, როგორც ცხოველს და შენ მე მიყურებ, როგორც შეშლილს.

ჩვენ მხოლოდ დროსტარებასა და ამინდზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

— მაგრამ ვინ გითხრათ, თითქოს ან ერთი და ან მეორე არსებითი არ იყოს ჩვენთვის?

— ეჰ, ბატონებო!

თვითუფილი ჩვენგანი ერთადერთი არსია სამყაროში, რომელიც ყოველთვის როდი ემორჩილება შექანიის კანონებს.

### ეკოლუცია.

ანთროპოფაგია — უფრო გვიან ფსიქოფაგიაღ, პრონოფაგიაღ, კაცთა სახელისა და დიდების, მათი სიმდიდრის, მათი ნიჭის, მათი ღრის ფაგიაღ ქვეყლი.

რა განსხვავებაა, ადამიანურ ფასეულობებს ნთქავ თუ ცოცხალ ადამიანს?!

ანალიზი ზოგჯერ სხვა არა არის რა, თუ არა დეტალურად განხილვის გზით იმის შეზონების საშუალება, რაც, მთლიანობაში, ასატანი ჩანდა. ვინმესთან ერთად ცხოვრებაც ანალიზის ერთი სახეა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ანალოგიური შედეგით მთავრდება.

ქალისა და კაცის ურთიერთობა მთელი მაგიაა.

სიმძიმე, რომელიც ამდენხანს უჭირავს ამ თლეტს, სინამდვილეში მას კი არა, მის სიამაყეს უჭირავს; უხილავი ანგელოსი, რომელიც შეველის ხორციელ კაცს.

ქება გარკვეული ძლიერების წყაროდ, კვეული უძღურების მთარგანიზებულ ფაქტორად იქცევა... იგივე თითქმის კრიტიკის მიმართ.

ყველა ჩვენი მტერი მოკვდავია.

რა ფასი აქვს იმას, რაც იყო! ოდესღაც მოხვეჭილი დიდება შეურთაცყოფს, ამცირებს და ამაღლებს აწმყოს. ის სინაუნლის ჭიშისა და ბუნებისაა. მითომაც მისტირის მას, რაც აღარ არის, რაც განქარაღ, რაც მოკვდა.

სიკვდილზე ფიქრი (პასკალის უნარი) იმისი საქმეა, ვისაც არ სჭირდება არსებობისათვის ბრძოლა და ოფლითა პირისა თვისისათია საკუთარი ოჯახის რჩენა.

მარადისობაში იხსრებებიან მხოლოდ ისინი, ვისაც ბევრი თავისუფალი დრო აქვს. მარადისობა მოცალეობის ერთი სახეა.

სიკვდილის არსზე ფიქრი, ანუ აბსოლუტური ნულის მეშვეობით ოპერირება სხვა არა არის რა, თუ არა ყოველი საგნის, ყოველი ნივთის მთელი მნიშვნელობისა და ღირებულების გაუფასურება.

ეს ძველისძველი ოპერაციაა. ნუ დაივიწყებ, რომ ის თავისუფლად შეგვიძლია მივუყენოთ თვით სიკვდილის იდეასაც.

მათ ეშინიათ სიკვდილის, მაგრამ არ ეშინიათ სიცოცხლისა.

რა არის საშიში სიკვდილში? — ერთგვარი სიცოცხლე. რომელიც, მათი წარმოდგენით, გასურვალად თან ახლავს სიკვდილს; სიცოცხლე, რომელიც გრძნობს და რომელიც ზომავს მას. რა გვაპრწუნებს სიკვდილის წინაშე? არა მის მიერ ძლევის, არამედ მასთან შებმის შიში.

საზოგადოება მხოლოდ ილუზიებით ცოცხლობს. მთელი საზოგადოება კოლექტიური ზმანების ერთი სახეა.

ეს ილუზიები მავნე ილუზიებად იქცევიან, როცა არავითარ ილუზიას აღარ იწვევენ.

ამგვარი ზმანებიდან გამორკვევა ნამდვილი კომპარია.

### სიცოცხლის პოლიტიკა.

სინამდვილე ყოველთვის ოპოზიციაში დგას.

თუ სიამაყეს ყველა კეთილი თვალთ უყურებს, — ის სიკეთეა.

ადამიანი თავისივე სხეულის ჯვარზეა გაკრული. უღონოდ დაბლა დახრილი თავი დაჩხვლეთილი აქვს საკუთარი აზრის ეკლებით.

ფრანგულიდან მარბმან ბახანან ბრემპამეჟ



# ქუჩნალ „მისკრის“ 1971 წლის ნომერების შინაარსი

## რომანი, მოთხრობა, ნოველა, თარგმანი.

- აკუტავა — ცხოვრება ილიოტისა, თარგმანი თეიმურაზ მაღლაფერიძემ, № 6
- ამისულაშვილი შალვა — ბურბურა ბალახი (მოთხრობა), № 5
- ანდრონიკაშვილი ოთარ — ეს გუშინ მოხდა (მოთხრობა), № 5
- არსენიშვილი კარლო — კოშკი (მოთხრობა), № 7
- ასანაშვილი შოთა — ჯილდო (მოთხრობა), № 12
- ახვლედიანი ერლომ — აღუ (მოთხრობა), № 6
- ახუნა ჭუმბა — დაბრუნება (მოთხრობა), თარგმანა ჯაბა ასათიანმა, № 1
- ბაღლაშვილი არსენ — მუშის სინდისი (მოთხრობა), № 5
- ბაქანიძე გიორგი — ორმოცი დღე და ორმოცი ღამე (მოთხრობა), № 11
- ბერაძე ვივი — მშობლები (მოთხრობა), № 9
- ბოცვაძე ნანული — ქალბატონი ელენეს „სულღიერი მამა“ (მოთხრობა), № 11
- გამსახურდია ზვიად — სასწოროთვალა და აუწონავი ხმის ქაბუცი (ზღაპარი), № 11
- გაწერელია აკაკი — იმამის ერთი დღე (დოკუმენტური ეპოსი), № 7
- გეგუშვიძე გურამ — აპრილი (მოთხრობა), № 12
- გელოვანი აკაკი — საბედისწერო უღელტეხილი (მოთხრობა), № 2
- გოგუაძე მიხეილ — მზე სარკეში (მოთხრობა), № 8
- გოდერძიშვილი თამაზ — ნუკრი (ზღაპარი), № 11
- გძელიძე თეიმურაზ — ცისფერი საყურე (მოთხრობა), № 4
- დოსტოვეცი ფეოდორ — თეთრი ღამეები (სენტიმენტალური რომანი), თარგმანა აკაკი ბრეჯაძემ, № 9
- ემე მარსელ — ადამიანი, რომელიც კედელში გადის (ნოველა), ფრანგულიდან თარგმანა ირინე ქორქიამ, № 2
- თელია გიორგი — ისნის ვაება (ნაწევები რომანიდან), № 11
- იოსელიანი ოტია — მანქანის გატაცება (მოთხრობა), № 1
- კეკელიძე ნოდარ — ტალღების ხმაურში (მოთხრობა), № 10
- კოკია ლადო — შემოდგომის ღამე (მოთხრობა), № 7
- ლორთქიფანიძე კონსტანტინე — ...არ ელაღლები (მოთხრობა), № 4
- მაღლაფერიძე თეიმურაზ — წყურვილი (რომანი), № 7, 8, 9, 10
- მირიანაშვილი დიმიტრი — ელდა (მოთხრობა), № 11
- მიშველაძე რევაზ — მოთხრობები, № 3
- ნიკოლაიშვილი სოფიო — საპაერო ხულიგანი (მოთხრობა), № 3
- რცხილაძე ზურაბ — ნარდი (მოთხრობა), № 8
- სულდაუბრი არჩილ — ჯადოსნური კაბა (ზღაპარი), № 6
- სხირტლაძე გურამ — რომეო და ჯულიეტა (მოთხრობა) № 3

- ტაბატაძე კარლო — სადაც შენა ხარ (მოთხრობა), № 7
- ტოლედი შოთა — ორმხრივი შეცდომა მოთხრობა), № 12
- ფანჯიკიძე გურამ — თვალი პატიოსანი (რომანი), № 1
- ქეთელაური სულხან — ტარახინა (ზღაპარი), № 4
- შავლიაშვილი მდედა — შვილი (მოთხრობა), № 11
- შამანაძე ნოდარ — სტუმარი (მოთხრობა), № 11
- შატაიძე ნუნუზარ — წვიმიანი დღე (მოთხრობა), № 4
- ჩიქოვანი გრიგოლ — კირწეი, სალუყი და მახარია (მოთხრობა), № 4
- ჩიხლაძე ოთარ — ორი დღესასწაული, (დოკუმენტური მოთხრობა), № 10
- ჩხარტაშვილი სერგო — ოდერის ნაპირთან (მოთხრობა), № 5
- ქილაია სერგი — მე და ჩემი პროფესორი (ქრონიკა), № 1, 2
- ქილაძე თამაზ — პოსეიდონის სასახლე (მოთხრობა), № 2
- ხეჩიანი მირონ — სამაგიერო (მოთხრობა), № 6
- ხორგუაშვილი გიორგი — რწყისისა და ჭინჭელას არაკი (მოთხრობა), № 3
- ჯანელიძე ნანა — ნუში (მოთხრობა), № 4
- ჯაფარიძე რევაზ — უკვდავი სული (მოთხრობა), № 10
- ჯორბენაძე ბესარიონ — ჩემი სოფლის სურათები (მოთხრობა), № 8
- ჯოხაძე ვივი — მწუხრი (მოთხრობა), № 2
- ჯოხაძე შაკა — მოთხრობები, № 1
- პომეროსი — ოდისეა, ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ, თამაზ ჩხენკელმა, № 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12
- პომპეტტერი ვიფი — წითელი სასახლე (მოთხრობა), გერმანულიდან თარგმანა მერი გომართელია, № 4

## ლექსები, პოემები

- აბრამიშვილი მანანა — ლექსები, № 3
- აბრამიშვილი მარი — ლექსები, № 8
- აბულაშვილი ანზორ — ლექსები, № 2; ლექსები, № 10
- ადეიშვილი ნოდარ — ლექსები, № 9
- ადონია აპოლონი — ლექსები, № 7
- ამარშანი ვიტალი — ლექსები, თარგმანა ვივი ძნელაძემ, № 1
- ამისულაშვილი შალვა — ლექსები, № 10
- აპოლინერი გიომ — ზონა (პოემა), ფრანგულიდან თარგმანა ვივი გეგუშვიძემ, № 7
- არაბული ალუდა — საქართველო (ლექსი), № 2, ლექსები № 11
- არაბული კობა — ლექსები, № 10
- აროსია ილია — 25 თებერვლის დღია (ლექსი), № 2
- ახობაძე ამირან — ლექსები, № 6
- ახობაძე დომენტი — ლექსები, № 4
- აქბა ტაიფ — ლექსები, თარგმანა ჯანსუღ ჩარკვიანმა, № 1



ბებია პლატონ — პოეტი და მთები (ლექსი),  
თარგმნა ანჰორ აბულაშვილმა, № 1  
ბედნიანად დაიღობა — ლექსი, № 7  
ბერნსი რობერტ — მხიარული მათხოვრები (კან-  
ტატა), თარგმნა მურმან ლებანიძემ, № 8  
ბექეშვილი თედო — ლექსები № 2; ლექსები  
№ 11  
გაბრიჩიძე ნელი — ლექსები, № 12  
გაგუა ხუტა — ლექსები, № 6  
განჩევი მარკო — ცვივიან სოფლები ქალაქებ-  
ში (ლექსი), ბულგარულიდან თარგმნა  
მუხრან მაჭავარიანმა, № 6  
გაფრინაშვილი ავთანდილ — ლექსები (ჰუმანი-  
ტი), № 7  
გეგეჭკორი გივი — ლექსები, № 2  
გერსელია კონსტანტინე — შენი სიტყვა (ლექ-  
სი), თარგმნა ანჰორ აბულაშვილმა, № 1  
გველესიანი მარი — ლექსები, № 4  
გოგუაძე ნანა — ლექსები, № 11  
გომიშვილი ალექსანდრე — ლექსები, № 11  
გორგანელი ვახტანგ — ლექსები № 2; ლექსები  
№ 9  
გოცაძე იზა — ლექსები, № 6  
გურგულია ბორის — საქართველოს ვახაფხუ-  
ლი (ლექსი), თარგმნა ანჰორ აბულაშვილ-  
მა, № 1  
დავიდოვი ივან — ოლე ბაქანზე (ლექსი), ბულ-  
გარულიდან თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა,  
№ 6  
დუმბაძე ნოდარ — ლექსები, № 12  
ნოდაროვი ნიკოლაი — ვახაფხულის მოლოდი-  
ნი (ლექსი), ბულგარულიდან თარგმნა მუხ-  
რან მაჭავარიანმა, № 6  
ივანიძე ავთანდილ — მესხეთი (ლექსი), № 9  
ივარდავა დილარ — ლექსები, № 4  
ინჯია ჭემალ — ლექსები, № 11  
ინჯილი ნიკოლა — ნაწვიმარი ცისარტყელა (ლექ-  
სი), ბულგარულიდან თარგმნა მუხრან მა-  
ჭავარიანმა, № 6  
ისაყვი მლაღენ — დიდროა (ლექსი), ბულგარუ-  
ლიდან თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა, № 6  
კაყუშაძე თენგიზ — ლექსები, № 4; ლექსები  
№ 12  
კალანდია გენო — ლექსები, № 1  
კალატოზი თამარ — ლექსი, № 6  
კახიძე მედეა — ლექსები, № 8  
კეშელავა ბონდო — მერი ნიჟარაძეს (ლექსი)  
№ 4  
კონტრადე ჭეთინო — ლექსები („ჰუმანიტი“), № 7  
კვიციანი ემზარ — ლექსები, № 1; თქვენი  
სიციცხლის გამწყდარი სიმი (ლექსი), № 9;  
ლექსები, № 12  
კვიციანი ნიკოლოზ — წყალობა მზეთა (ლექსი),  
თარგმნა გივი ძმნელაძემ, № 1  
კილასონია ნაზი — ფრინველი (პოემა), № 3;  
ლექსები, № 8  
კლიაშვილი გურამ — ლექსები, № 8  
კუხიანიძე ზურაბ — ლექსები, № 4  
ლასურია მუშენი — აცხანი (ლექსი), თარგმნა გი-  
ვი ძმნელაძემ, № 1  
ლასურია რაულ — მაჰარი (ლექსი), თარგმნა  
ემზარ კვიციანიშვილმა, № 1  
მამაცაშვილი ნოდარ — სიკაბუტის ძახილი (ლექ-  
სი), № 2  
მამფორია ოთარ — ლექსები, № 1  
მარანოზოვი ნიკოლა — ლირიკული ლოგიკა  
(ლექსი), ბულგარულიდან თარგმნა მუხრან  
მაჭავარიანმა, № 6  
მებუღრეშვილი ტავუ — ლექსები, № 7; ლექსები,  
№ 12

მიდელაური მერი — ლექსები, № 10  
მირცხულავა ალიო — ლენინური კომპოზიციები  
(ლექსი), № 9  
მიქაია ივანე — ლექსი, ავხაზურიდან თარგმნა  
რ. ფერაძემ, № 6  
მიქაუტაძე ამირან — ლექსები, № 10  
მოლაშხია ზაურ — ლექსები, № 6  
მჭედლორი დავით — ლექსები, № 6  
ნარიაშვილი ვალერიან — ლექსები, № 11  
ნარსავიძე ვახტანგ — ლენინის დროშა ასწიფ  
მალა (ლექსი), № 9  
ნეყერიშვილი ნაილი — ლექსები, № 7  
ორჩონიძე იზა — ლექსები, № 3  
პეტრიაშვილი გურამ — ლექსები, № 4  
პო ედგარ — ლექსი, ინგლისურიდან თარგმნა  
მალიკო ხელაშვილმა, № 6  
საგანელიძე დავით — ცისია (ლექსი), № 6  
სამხარაძე გიორგი — ბეთქილის ნაკვალევზე  
(ლექსი), № 4  
სარიგელი ოსმან — საქართველოს მიწაზე (ლექ-  
სი), ანტიბივიკულიდან თარგმნა ლილია  
ერაქემ, № 5  
სახვამე თეერ — ლექსები, № 6  
სვანიძე ლია — ცისფერი დღე (ლექსი), № 3  
სტეფანოვი პირვან — სურათი (ლექსი), ბულგარ-  
ულიდან თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა,  
№ 6  
ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები, № 11  
ტაბიძე ვალკაციონ — ჰე, მამულო! (ლექსი),  
№ 5  
უკრაინკა ლისია — ლექსები, თარგმნეს ჯანსუღ  
ჩარკვეანმა, გივი გეგეჭკორმა, ამირან ახა-  
ნიძემ, № 3  
ფოტოვი ხრისტო — ჩემს შვილს (ლექსი), ბულ-  
გარულიდან თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა  
№ 6  
ფოციშვილი მირის — ლექსები, № 9  
ფშაველაშვილი ნათო — ლექსები, № 11  
ფხოველი ჭარჭი — ლექსები, № 4; ლექსები,  
№ 10  
ქავთარაძე გიორგი — პური (ლექსი), № 9  
შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 7  
შერაზადშვილი ზაქარია — ლექსები, № 2  
ჩარკვიანი ჯანსუღ — ჭაჭეის თორანი (პოემა),  
№ 5  
ჩაჩავა ნიკოლოზ — ლექსები, № 9  
ჩილაჩავა რაულ — ლექსები, № 6  
ჩუივი ფელიქს — ლექსები, თარგმნა მურმან  
ჭგუბურიამ, № 11  
ჩხეტანი შიკა — ლექსები, № 10  
ჩხიკვაძე ვანო — ლექსები, № 6; ლექსები, № 11  
ციგროშვილი ირაკლი — ლექსები, № 9  
ძნელაძე გივი — ამალბა (ლექსი), № 11  
ჭანტურია ტარიელ — ლექსები, № 2; ძმები  
(დოკუმენტური პოემა), № 9  
ქილაძე ოთარ — ლექსები, № 7  
ხარიაშვილი ავთანდილ — ლექსები, № 2  
ხეოაგური შიკა — ლექსები, № 6  
ხედელიძე ნოდარ — ლექსები, № 6  
ხორნალუი ვაჟა — პირველად (ლექსი), № 6  
ხურცილავა მურმან — ლექსები, № 1  
ჯანელიძე ჭანო — ლექსები, № 1; ლექსები № 10  
ჭგუბურია მურმან — ლექსები, № 4; ლექსები,  
№ 12  
ჯიქია შუკო — ლექსები, № 12  
ჭულუშიძე გრიგოლ — დიდება ლენინს! (ლექ-  
სი), № 4

**ნარკვევები, მოგონებები**

აბულაძე გიორგი — როცა თენდებოდა, № 2  
არჩემაშვილი ხეთისო — შელიშვილის მადლო-  
ბა, № 5



ბერიძე გიორგი — ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, № 9  
 ბილბაო მარტინა მინტევი — კვლავ ჩემს ბასკეთში, № 3  
 ვარლახანძე გივი — გონჯი მზეთუნახავი, № 2, № 3  
 თევზაძე გივი — რაიკომის მდივანი, № 6  
 კობერიძე მზია — „მათი სიკვდილი სიცოცხლეა“, № 9  
 კობერიძე კარლო — პარტიის ღირსეული შვილი, № 5  
 მდივანი ვლადიმერ — ჩემი უნივერსიტეტი, № 12  
 მებელიშვილი ჭეშად — მისამართი: ნოღის ველი, № 8  
 ნადირაძე ჭურხა — შამბიანის მთის ყორღანები, № 4  
 ნადირაძე გიორგი — მიწის ღმირი, № 2  
 გულუვა ირაკლი — ათასი აპაბი, № 8  
 ილია ზაურ — ჩქვალური, № 11  
 ჩუკურაშვილი ვალერიან — მზე ხეობაში, № 5  
 ხავთახი ტარიელ — მზე მწვეანე ტალღებზე, № 2

**პრინტიპა, კუბლიციპრინტიპა, კუბლიპაგინი**

აბაშიძე ირაკლი — „ცისკარს“ ვულკავი, № 9  
 ალიმონაყი ლერი — ტერენტი გრანელის პოეზია, № 7  
 ამაშუკელი რეზო — სახელი დროში! № 8  
 ასათიანი გურამ — გერონტი ქიქოძე, № 9  
 ბათიაშვილი გურამ — „რწმენა“ № 6  
 ბაქრაძე აკაკი — ქება და დიდება, № 6; „ცაში ასროლილი ქულები“, № 9  
 ბაჩიაშვილი იზოლდა — ჟან ანუი, № 3  
 ბერაძე იზოლდა — პატრიოტული მოტივი ანტონ დურცელაძის შემოქმედებაში, № 12  
 ბაიბლაშვილი ალა — ზოგ მანსიიდორის შემოქმედებითი ევოლუციის ძირითადი ეტაპები, № 3  
 ბერაძე გახტონ — ბოდლერის ცივი მზე, № 4  
 გამახაზურდია ზვიად — ტრადიციის გაგება ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში, № 4  
 გამარჯელი ია, ცინციძე იოსებ — ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალი, № 5  
 გაჩეჩილაძე გიორგი — ღუმლის ცნება და ლიტერატურა, № 12  
 გვერდწითელი გურამ — „ავანთოთ უშუი ჩვენ ჩვენი ხვედრი“, № 6  
 გრიგოლია რუსუდან — ნიკოლოზ მიწიშვილი, № 3  
 ღუმუშაძე ნოდარ — სამოცდაათი წლის ქაბუცი, № 8  
 ერაძე ლილა — ქართული თემა აზერბაიჯანულ საბჭოთა პოეზიაში, № 9  
 ერისთავი დიმიტრი — ახალგაზრდობას ეკუთვნის, № 9  
 ვახაძე აკაკი — როცა თავად არ ღალატობ პოეზიას, № 7  
 ხანდუკელი ფიქრია — ფოლკლორული ტრადიციის მაყვალა მრეგელიშვილის საბავშვო პოეზიაში, № 3  
 ხვიციანი ავლიბი — პერსონოლოგიური პრობლემები ილია ქავჭავაძის შემოქმედებაში, № 4  
 იარაჟი ივანე — ახალგაზრდობა ჩვენი მომავალი, № 1  
 ივანეძე დავით — დიდი მწერლობის გზაზე, № 5  
 ვარაძე რევაზ — არუმპაველი და რუსთაველი, № 8

თურნავა სერგო — ზარიელი მკვლევარის ნაშრომი ირაკლი აბაშიძეზე, № 1  
 იმნაიშვილი ივანე — ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები, № 1  
 კაპარავა ლილა — სიყვარულის თემა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, № 3  
 კენჭოშვილი ირაკლი — ირონიულ-პოეტური ვარიაციები, № 10  
 კეცხოველი ნიკო — გრძელ გზაზე ანთია უწვევი სანთელი, № 9  
 კვაჭილაშვილი ტარიელ — კომენტარი ზედმეტი არ არის, № 6  
 კვიციანიშვილი ემზარ — ჩრდილოეთის ყვავილები, № 7  
 კობერიძე კარლო — მოთხრობა ენგურპესელებზე, № 9  
 კოროტიანი ვიტალი — მისი სახელის ნათელი, № 3  
 ლაფერაშვილი ვასილ — ახალგაზრდობის მგზნებარე მომღერალი, № 5  
 ლალიძე რევაზ — კომკავშირის ხნისა ვარ, № 9  
 ლორთქიფანიძე იოსარ — საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს, № 10  
 მაისურაძე ილია — წიგნი დედაენის წარსულზე, № 4  
 მარგაიანი გრიგოლ — უახლესი გამოკვლევა საქართველოს ახალ ისტორიაში, № 7  
 მაღლუარია გივი — „წერილები მკვდარი სახლიდან“, № 11  
 მეგლაძე დავით — ქ. მარქსი და ფ. ენგელსი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გზების შესახებ, № 12  
 მექვაბიშვილი ვალერიან — ბრძოლებში დაფერფლილი, № 12  
 მიშველაძე რევაზ — თანამედროვეობა და ლიტერატურის ამოცანები, № 11  
 მუშუტლიანი ქეთევან — ილია ოქრომკვდილიშვილის მოსაგონებლად, № 8  
 ნაღბაძე ნათელა — ალექსანდრე ბატონიშვილი, № 2  
 ნადირაძე გიორგი — ნ. ურბნელი დავით აღმაშენებლის ეპოქის ზოგიერთი საკითხის შესახებ, № 9  
 ნოზაძე ლამარა — ენა და მწერალი, № 12  
 პატიაშვილი ჯუმბერ — სიკაბუჯის წიგნი, № 9  
 პაპუკორია ოტია — დრო და სახელები, № 12  
 უვანია ნინო — გმირული რომანტიკა, № 9  
 რევაშვილი შოთა — XVII საუკუნის გერმანული მწერალი ქართველების შესახებ, № 12  
 რურუა რომან — ნიშნად გამარჯვებისა, № 9  
 სიგუა სოსო — „მახილი“, № 6  
 სირაძე რევაზ — „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“... № 6  
 ტაბაღუა ილია — პარიზის კომუნის 100 წლისთავი, № 3  
 ფანჭვიძე თეიმურაზ — ბიბლია გუმინ, დღეს, ხვალ, № 7  
 ფოფხაძე ნუგზარ — ბორის ძნელაძე, № 8  
 ქუშინიშვილი დიმიტრი — ტერმინების „ვეფხისტ“ და „ჯიქის“ გაგებისათვის, № 11  
 ღვინჯილია განსულ — „სამხრეთი“, № 6  
 ყარალაშვილი რევაზ — იოზეფ კენჭის სიკვდილი, № 7  
 შარაძე გურამ — მნიშვნელოვანი წვლილი, № 7  
 შეთქვარი გიორგი — სოციალისტური შრომის პერიოდი ქართულ ხალხურ პოეზიაში, № 2  
 შენგელაია ელდარ — მისი სიცოცხლე მაგალითია, № 8  
 ჩარკვიანი ალექსანდრე — საბჭოთა წლებში განახლებული სენიეთი, № 10





ჩხეველი ზურაბ — „ბედენბროკები“, ქართულად, № 8  
 ძნელაძე ლია — „ჩაყოს ხიზნების“ შემოქმედებითი ისტორიისათვის, № 3  
 ძოწენიძე გიორგი — ქართველი ერის დიდი დღესასწაული, № 5  
 წულეისკირი ნოდარ — რევოლუციის რაინდი, № 8  
 ქანუყაძე შოთა — მარადი სიჭაბუკის დღესასწაული, № 9  
 ჭყონია გულნარა — ილიომთა მხატვრული ფუნქციისათვის დემნა შენგელაიას „ბათა ქეჩიაში“, № 11  
 ზინთიბიძე ელგუჯა — „ვეფხისტყაოსნის“ კრონოსი, № 2  
 ზუნაშვილი გიორგი — დრო და პოეტი, № 6  
 ჯაში ნიკოლოზ — ასახვის ლენინური თეორია და მისი გამოყენების უბაღლო ნიმუშები, № 11  
 ჭულაბაშვილი ლეონარდო — საქართველოთი მოხიბლულნი, № 8

**ხელოვნება**

ლორთქიფანიძე საამ — „საქართველო ხალხურ სიმღერებში“, № 7.  
 უზნაძე ირინე — ცხოვრების მხარდამხარ, № 11  
 ხერგიაიანი მირონ — ფერებში ასახული ისტორია, № 9

**ნაწილი კალენდარი**

ბუაჩიძე გასტონ — მარსელ პრუსტი მინდვრებზე, № 8  
 ვალერი პოლ — წერილები, აზრები, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, № 12  
 ლაფერაშვილი ვასილ — რუსი ხალხის დიდი პოეტი, № 12  
 ტაბალუა ილია — კალისტრატე სალია 70 წლისა, № 9

**იუმორი**

მახვილაძე გიგა — ფეხბურთზე, № 6

**სპორტი**

გამრეკელი გივი — ისინი რვანი არიან, № 4  
 გიორგაძე თენგიზ — ქართული ქადრაკის წარსული და აწმყო, № 5  
 ქირია შალვა — ინტერვიუ რომან რურუასთან, № 5

**ცისკრის ანკაბა**

ლიტერატურა და ენა — ამირეჯიბი ქაბუა, დოჩანაშვილი გურამ, მაჭავარიანი მუხრან, სულაბერიძე ლადო, ფანჯიკიძე გურამ, შენგელია ალექო, ჯაფარიძე რევაზ, № 4

**შოგვალი მხრიდან**

უცხოეთის ქრონიკა, № 1, № 2, № 4, № 5, № 7, № 8, № 9, № 10, № 11

ქურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-86.

ვადაეცა ასაწყობად 18/X-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI-71 წ., ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საც. თაბახი 14,5. შეკვეთა 3689. უე 02220. ტირაჟი 25.700.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
 Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 4/20



წაკა 60 კაკ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236